

Georgian National Museum Ot. Lordkipanidze Centre of Archaeology

**ბაკო-თბილისი-ჯეიჰანი  
სამხრეთ კავკასიის მილსადენი  
და  
არქეოლოგია საქართველოში**



**RESCUE ARCHAEOLOGY  
IN GEORGIA:  
BAKU-TBILISI-CEYHAN  
SOUTH CAUCASIAN PIPELINES**



საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
Georgian National Museum

**ბაკო-თბილისი-ჯეიჰანი  
სამხრეთ კავკასიის მილსადენი  
და  
არქეოლოგია საქართველოში**



**RESCUE ARCHAEOLOGY  
IN GEORGIA:  
BAKU-TBILISI-CEYHAN  
SOUTH CAUCASIAN PIPELINES**

თბილისი 2010 Tbilisi

მთავარი რედაქტორი  
**გელა გამყრელიძე** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

ინგლისური ტექსტის რედაქტორი  
**მაიკლ ვიკერი** (ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)

სარედაქციო საბჭო:

**ნინო ერქომაიშვილი** (BP საქართველო)  
**გურამ კვირკველია** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)  
**გოდერძი ნარიმანიშვილი** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)  
**ვაჟა სადრაძე** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)  
**ზურაბ ცქვიტინიძე** (BP საქართველო)  
**მიხეილ წერეთელი** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

ასისტენტები:

**მაია ჩარკვიანი** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)  
**მარიამ კვაჭაძე** (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

Editor in-chief

**Gela Gamkrelidze** (Georgian National Museum)

Editor of English text

**Michael Vickers** (University of Oxford)

Editors:

**Nino Erkomaishvili** (BP Georgia)  
**Guram Kvirkvelia** (Georgian National Museum)  
**Goderdzi Narimanishvili** (Georgian National Museum)  
**Vazha Sadradze** (Georgian National Museum)  
**Michael Tsereteli** (Georgian National Museum)  
**Zurab Tskvitinidze** (BP Georgia)

Assistants:

**Maia Charkviani** (Georgian National Museum)  
**Mariam Kvachadze** (Georgian National Museum)



საქართველოს ეროვნული მუზეუმი მადლობას უხდის  
**BP-ს და მის პარტნიორებს** მხარდაჭერისათვის

Georgian National Museum expresses gratitude to the  
**BP and its Partners** for their support

# სარჩევი CONTENTS

## ნინო ერკომაიშვილი

BP-სა და მისი პარტნიორების როლი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
შენარჩუნებაში..... 5

## NINO ERKOMAISHVILI

BP and its partners' contribution to cultural heritage protection in Georgia..... 8

## გელა გამყრელიძე

საქართველოში არქეოლოგიის განვითარების ისტორიიდან ..... 11

## GELA GAMKRELIDZE

The development of archaeology in Georgia ..... 33

## გურამ გრიგოლია

ჭორატის ქვედა პალეოლითური ნამოსახლარი ..... 48

## GURAM GRIGOLIA

The Chorati lower paleolithic settlement ..... 53

## კეთევან სტურუა

ქვის ხანის მონაპოვრები თრიალეთიდან ..... 64

## KETEVAN STURUA

Stone Age finds from Trialeti..... 70

## გურამ ჩიქოვანი, ზაბაძე შატბერაშვილი, გიორგი გოგოჭური

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ახალი ძეგლი თეთრინყაროდან ..... 80

## GURAM CHIKOVANI, ZEBEDE SHATBERASHVILI, GIORGI GOGOCHURI

A new site of the Eneolithic-Early Bronze Age from Tetrtsqaro ..... 91

## გიორგი გოგოჭური, ალექსანდრა ორჯონიკიძე

თისელის სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი ..... 106

## GIORGI GOGOCHURI, ALEXANDER ORJONIKIDZE

The Kura-Araxes culture settlement and cemetery at Tiselis Seri..... 115

**ალექსანდრა ორჯონიკიძე, ლერი ჯიბლაძე**

ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ საქართველოში (ორჭოსანის ნასახლარის მიხედვით)..... 129

**ALEXANDER ORJONIKIDZE, LERI JIBLADZE**

The relationships of Early Bronze Age cultures in South Georgia in the light of evidence from Orchosani settlement ..... 133

**ნინო შანშავილი**

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან..... 138

**NINO SHANSHASHVILI**

Sites of the Kura-Araxes culture in Trialeti..... 157

**ზაზაძე შატბერაშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი**

ტყემლარას ბრინჯაოს ხანის სამარხები ..... 181

**ZEBEDE SHATBERASHVILI, VAKHTANG SHATBERASHVILI, VAKHTANG NIKOLAISHVILI**

Bronze Age burials at Tqemlara ..... 190

**გოდერძი ნარიმანიშვილი, ჯუანშერ ამირანაშვილი**

ჯინისის ნამოსახლარი ..... 203

**GODERDZI NARIMANISHVILI, JUANSHER AMIRANASHVILI**

Jinisi settlement..... 220

**ოლეგ ბენდუქიძე**

ჯინისის ცხენი და ცხოველთა მოშინაურების ზოგიერთი საკითხი..... 250

**OLEG BENDUKIDZE**

The Jinisi horse: and some thoughts on the role of the onager in the Bronze Age..... 262

**გოდერძი ნარიმანიშვილი**

თრიალეთი ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში..... 271

**GODERDZI NARIMANISHVILI**

Trialeti in the 15<sup>th</sup> and 14<sup>th</sup> centuries BC..... 308

**გოდერძი ნარიმანიშვილი, ჯუანშერ ამირანაშვილი, მარინა კვაჭაძე,**

**ნინო შანშაშვილი**

ავრანლოს არქეოლოგიური ძეგლები ..... 366

**GODERDZI NARIMANISHVILI, JUANSHER AMIRANASHVILI, MARINE KVACHADZE,  
NINO SHANSHASHVILI**

Archaeological sites at Avranlo ..... 377

**ბიძინა მურვანიძე**

კვერიანი სამარხები ელი-ბაბას სამაროვნიდან ..... 406

**BIDZINA MURVANIDZE**

Burials with threshing-boards from Eli-Baba cemetery ..... 413

**ვასტანგ ნიკოლაიშვილი, ზაქადა შატბერაშვილი, ვასტანგ შატბერაშვილი**

სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი ..... 426

**VAKHTANG NIKOLAISHVILI, ZEBEDE SHATBERASHVILI, VAKHTANG SHATBERASHVILI**

Skhalta Settlement and Cemetery ..... 436

**დავით მინდორაშვილი**

თისელის ნასოფლარი ..... 488

**DAVID MINDORASHVILI**

Tiseli settlement ..... 497

**მალხაზ ბარამიძე, გურანდა ფხაკაძე**

ჭორატის ნამოსახლარი ..... 450

**MALKHAZ BARAMIDZE, GURANDA PKHAKADZE**

The Settlement at Chorati ..... 457

**ვერა ჩიხლაძე**

ჭორატის ადრექრისტიანული ხანის სამაროვანი ..... 468

**VERA CHIKHLADZE**

Chorati Early-Christian Period Cemetery ..... 475

**ვასტანგ ლიჩელი, გიორგი რჩეულიშვილი**

სამცხე - ძველი მეღვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით..... 522

**VAKHTANG LICHELI, GIORGI RCHEULISHVILI**

Wine-making in antiquity in the light of evidence from excavations at Samtskhe ..... 529

## **ლიანა ბიტაძე**

საფარ-ხარაბას სამაროვნის ანთროპოლოგიური დახასიათება ..... 543

## **LIANA BITADZE**

Anthropological Characteristics of Sapar-Kharaba Cemetery..... 548

## **ქეთევან ესაკია**

თრიალეთში არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ქვის ინვენტარი  
(ფუნქციონალური ანალიზი)..... 554

## **KETEVAN ESAKIA**

Stone finds from archaeological sites in Trialeti: a functional analysis..... 562

## **ელისო ყვავაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი**

წალკის პლატოს პალეოლანდშაფტები გვიანპლეისტოცენისა და ჰოლოცენში  
(არქეოლოგიური და გეოლოგიური მასალის პალინოლოგიური  
მონაცემების მიხედვით)..... 568

## **ELISO KVAVADZE, GODERDZI NARIMANISHVILI**

The palaeolandscapes of the Tsalka Plateau in the Late Pleistocene and Holocene  
(According to palynological data from archaeological and geological material) ..... 582

## **ქეთევან ლომოური**

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიისა და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის  
ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობის შესახებ  
(ჭორათისა და ორქოსანის სამაროვნების მიხედვით)..... 602

## **KETEVAN LOMOURI**

On the changes of anthropological types of the ancient populations of the  
south-west Caucasus and Asia Minor in the light of evidence  
from burlals at Chorati and Orchosani..... 610

## BP საქართველოს და ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობა — მემკვიდრეობის დაცვა და უპატიო მომავლის შექმნა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2004 წლის დეკემბერში, პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე დაარსდა, თუმცა მისი ფესვები ბევრად უფრო ღრმა წარსულიდან მოდის, როდესაც თბილისში 1852 წელს საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის დეპარტამენტი გაიხსნა.

ეროვნული მუზეუმი აერთიანებს ორ სამეცნიერო დანესებულებას და ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მუზეუმებს. სამუზეუმი გაერთიანება ქმნის ქსელს, რომელიც ფარავს დედაქალაქსა და საქართველოს ბევრ კუთხეს. ხოლო საგანძური, რომელიც მასშია დაცული მოიცავს — ბუნების ისტორიის, გეოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ხელოვნების ძეგლებს.

დღეს მუზეუმი მოქმედებს, როგორც სამეცნიერო და საგანმანათლებლო დანესებულება და მისი მთავარი მოვალეობაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მეცნიერული შესწავლა და საზოგადოებისათვის წარდგენა.

ამ მისიის განხორციელებაში მონაწილეობს ეროვნული მუზეუმის ყველა თანამშრომელი და აგრეთვე, პარტნიორი ორგანიზაციები კულტურულ-საგანმანათლებლო თუ კერძო სექტორებიდან. შესაბამის ინსტიტუციებთან გახსნილი, ნდობაზე დაფუძნებული და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბება საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ფუნდამენტური პრინციპია. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა კიდევ უფრო ეფექტურად წარიმართოს დანესებულების საქმიანობა.


BP საქართველოს ეროვნული მუზეუმის განსაკუთრებული პარტნიორია. ეს პუბლიკაციაც BP-სა და მისი პარტნიორების და ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობის შედეგია. მასში შევიდა ის სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც აისახა **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთკავკასიური** მილსადენების მშენებლობისას ე.წ. *გადარჩენითი არქეოლოგიური პროგრამის* ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენები. იგი 2000-05 წლებში განახორციელა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა.

*გადარჩენითი არქეოლოგიური პროგრამა* უპრეცედენტოა თავისი მასშტაბებით მილსადენების საერთაშორისო პროექტებს შორის; პასუხობს გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით როგორც საერთაშორისო, ისე BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ შემუშავებულ უმაღლეს სტანდარტებს. ამ სტრატეგიამ ქართველი არქეოლოგების ნაყოფიერი მუშაობისთვის სათანადო პირობა შექმნა და, ამავე დროს, უძძიმესი, 1990-იანი წლების შემდეგ ახალ პროექტებს გაუხსნა გზა.

BP-სა და მისი პარტნიორების და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობა მრავალმხრივია. ის სცილდება *გადარჩენითი არქეოლოგიური პროგრამით* გათვალისწინებული სავსე სამუშაოებს. BP-სა და მისი პარტნიორები კეთილი ნება და პასუხისმგებლობა სამუშაოების მთელ ციკლზე ვრცელდება: სადაზვერვო არქეოლოგია, სავსე და ლაბორატორიული კვლევები, ნივთების კონსერვაცია და დაცვა, გამოფენების მოწყობა. მათივე მხარდაჭერით ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა სათანადო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი; ჩატარდა დმანისის არქეოლოგიური ძეგლის კვლევა, აიგო დამცავი ნაგებობა და დაარსდა ვიზიტორთა ცენტრი; შეიქმნა საკონსერვაციო ლაბორატორია; უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით გაიმართა სემინარები ქართველი არქეოლოგებისათვის; გამოიცა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და კატალოგი.

ამ ორი ინსტიტუციის — BP-სა და მისი პარტნიორების და საქართველოს ეროვნული მუზეუმის — ერთობლივად განხორციელებული ინიციატივები სახელმწიფო და კერძო სექტორთა ნაყოფიერი თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია, რადგან იგი მრავალ მიმართულებას მოიცავს და მისი მოსარგებლე მთელი საზოგადოებაა.

დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
გენერალური დირექტორი





## **PARTNERSHIP BETWEEN BP AND THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM HERITAGE PROTECTION AND PUBLIC BENEFIT**

The Georgian National Museum (GNM) is a complex of ten museums and two research institutes. Together they constitute a rich network devoted to the fine arts, archaeology, ethnography, and natural history. The present legal status of the GNM was created by presidential decree in December 2004, but its oldest constituent member was established as early as 1852.

The GNM acts as a research base and centre for scholarly excellence. Its mission is to uphold the highest standards of research, conservation and presentation of Georgia's cultural and natural heritage; to increase public involvement; to maintain an effective organizational structure; and to ensure the sustainability of the institution. One way in which the GNM hopes to accomplish these goals is through constructive collaboration with other cultural, educational, and research institutions as well as with the private sector.


The GNM's highest aim, however, is to play a major role in the cultural life of the country and to present Georgia's rich heritage to a wide audience through exhibitions, educational programmes, and publication.

BP is one of the largest energy companies in the world, and its local representatives at BP Georgia have been exceptional partners of the GNM. The present publication is the fruit of collaboration between BP Georgia and the GNM. It includes studies resulting from the Rescue Archaeology Programme sponsored by BP and its partners as part of their efforts to protect the cultural resources discovered during the construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) and the adjacent South Caucasus pipelines. These activities took place in 2000-05 and were carried out by the Otar Lordkipanidze Archaeological Research Centre of the GNM.

The Rescue Archaeology Programme represents one of the most significant commitments to cultural heritage ever made by an international pipeline project. It met both the highest international requirements and BP's own internal standards for environmental and cultural protection. This approach provided a useful life-line to Georgian archaeologists, and opened the door to new projects after the difficult period of the 1990s.

Cooperation between BP Georgia and the GNM goes far beyond sponsoring fieldwork at the archaeological sites identified during the construction process. The responsibility of BP and its partners extended over the whole cycle of work: survey archaeology, field and laboratory work, the conservation and storage of the objects, and the presentation of the results through exhibitions, publication, and various media. In addition, the GNM has, with the support of BP Georgia and its partners, implemented the following: the construction of an auditorium; research on and the conservation of the site of Dmanisi; the establishment of a conservation laboratory at the Simon Janashia Museum of Georgia; the professional development of Georgian archaeologists; the publication of catalogues, etc.

The collaboration between these two leading institutions, BP Georgia and the GNM, is a prime example of public-private partnership. The special significance of these relationships is a fruitful cooperation that is beneficial for the whole community. Here the economy, culture, and public policy are united in a single endeavour.



**David Lordkipanidze**

General Director, Georgian National Museum

## BP-სა და მისი პარტნიორების როლი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში

თანამედროვე საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და კერძოდ, არქეოლოგიური მემკვიდრეობის გამომზეურება-შენარჩუნებაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ნავთობკომპანია BP, რომელიც პარტნიორ კომპანიებთან ერთად აშენებს და მართავს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ ნავთობისა და გაზის მილსადენებს. ის საქართველოში სამი მილსადენის ოპერატორია: ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენის, რომლის საშუალებითაც ხდება ნავთობის ტრანსპორტირება კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, კერძოდ კი სუფსის ტერმინალამდე; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის, რომელიც ნავთობს საქართველოს გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთში ატარებს და ერთმანეთთან აკავშირებს კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს; და ე.წ. სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა, რომლის საშუალებითაც ხდება აზერბაიჯანული გაზის საქართველოსა და თურქეთისათვის მინოდება.

კომპანია BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მილსადენების ტრასაზე არა ერთი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი და უნიკალური არქეოლოგიური ნიმუშია გამოვლენილი, შესწავლილი და ფართო საზოგადოებრიობისთვის საჩვენებლად გამოფენილი მუზეუმებში. BP-ის მხარდაჭერითა და არქეოლოგიური მენეჯმენტის წყალობით განადგურებას გადაურჩა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი. საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს პარტნიორული ურთიერთობა კვლავაც გრძელდება, რაც მომავალში დიდად წაადგება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, და კერძოდ არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლისა და მოვლის საქმეს.

წარმოდგენილი კრებული ასეთი მილსადენების მშენებლობის შედეგად გამოვლენილ არქეოლოგიური მონაპოვრებს შეეხება. ეს არის საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტი – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენის მშენებლობა, რომელიც საქართველოში კომპანია BP-ს ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. სამშენებლო პროექტში კომპანიის მიერ გადადგმულმა სტრატეგიულმა ნაბიჯებმა დიდი როლი ითამაშა ახალ და მეტად საინტერესო არქეოლოგიურ აღმოჩენებში.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი ერთმანეთის პარალელურად მიემართება და მათი მშენებლობაც 2003-2006 წლებში თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სიგრძე ბაქოდან ჯეიჰანამდე 1760 კმ-ია, აქედან 249 კმ საქართველოზე გადის; მილსადენი აზერბაიჯანიდან გარდაბნის რაიონში, სოფელ ჯანდარაში შემოდის, შემდეგ უახლოვდება ქ. რუსთავს, გადადის მარნეულის რაიონში, კვეთს თეთრინყაროს, წალკას, შემდეგ - ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებს და ქ. ვალესთან შედის თურქეთის ტერიტორიაზე. ეს რეგიონები დიდი ხანია უკვე ცნობილია თავისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით; ამდენად, მილსადენი გადის ისტორიულ ქვემო ქართლში, სამშვილდეში, ბედენის პლატოზე, თრიალეთში და თორისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიებზე.

ბუნებრივია, რომ ისეთი ძველი და მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხი ძალიან აქტუალური იქნებოდა; ამიტომაც ის თავიდანვე გახდა უცხოელი და ქართველი მკვლევარების განსჯის საგანი. BP-ის, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მქონე კომპანიას, ვალდე-

ბულება ჰქონდა აღებული დაეცვა მილსადენების არეალში მოქცეული არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები; სამშენებლო პროექტი არ უნდა გამხდარიყო ისტორიული ობიექტების დაზიანების მიზეზი და კომპანია სრულად – სპეციალისტებითაც და ფინანსურადაც — უზრუნველყოფდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის განხორციელებას.

BP-ის მიდგომა არქეოლოგიური ძეგლებისადმი ზუსტად ემთხვევა ამჟამად აღიარებულ სტანდარტებსა და საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, გადაწყდა, რომ თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა, კომპანია კი არ გათხრიდა ძეგლს, პირიქით, შეეცდებოდა ის მიწაში *in situ* დაეტოვებინა და გვერდი აეარა მისთვის. პროექტის დაგეგმვისას სწორედ არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების არსებობა გახდა მიზეზი მილსადენის მარშრუტის ცვლილებებისა სამშვილდესა და თრიალეთში; თეთრინყაროს ტყეებში გავლისას მილსადენის მარშრუტი რამდენჯერმე შეცვალეს, რათა მშენებლობას ძველი ნამოსახლარები არ დაეზიანებინა, ასევე დააშორეს ის ნადარბაზევის არქიტექტურულ კომპლექსს; თრიალეთში კი ბრინჯაოს ხანის ძეგლებმა გადაადგილა მილსადენი თავდაპირველად შერჩეული ადგილებიდან. იმ ტერიტორიებზე, სადაც ტექნიკური მიზეზების გამო (ლანდშაფტი, ეკოლოგია, ადგილობრივი მოსახლეობა და ა.შ.) მარშრუტის ცვლილება შეუძლებელი იყო — არქეოლოგიური გათხრები დაიგეგმა. გათხრები მშენებლობის დაწყებამდე სამშვილდეში, თრიალეთსა და სამცხეში ჩატარდა. ქართველი სპეციალისტების მიერ გამოვლენილი და შესწავლილი იქნა სხვადასხვა ისტორიული პერიოდის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლი.

ამგვარად, მილსადენის მარშრუტი დადგინდა და თითქოს სრულად განთავისუფლდა ხილული არქეოლოგიური ძეგლებისაგან; ამით უნდა დასრულებულიყო კიდევ კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა, მაგრამ შერჩეული მარშრუტის მიმდებარე ტერიტორიებზე არქეოლოგიური ძეგლების ნიშნების სიუხვემ, აუცილებელი გახდა მშენებლობის დროს მუდმივი არქეოლოგიური მეთვალყურეობა. სწორედ მშენებლობის დროს მოხდა უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენები; მილსადენის მშენებლობამ შანსი მისცა ქართველ არქეოლოგებს, რათა გამოეგლინათ და შეესწავლათ ადრე უცნობი ძეგლები და სინათლე მოეფინათ ფართო არეალზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურებისათვის. ყველასათვის, ვისაც კი ოდნავ მაინც ჰქონია შეხება არქეოლოგიასთან ან, ზოგადად კულტურულ მემკვიდრეობასთან, ცნობილია, თუ რაოდენ ინფორმატიულია 249 კილომეტრზე გადაჭიმული 50 მ სიგანის საკვლევი ტერიტორია, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებს აერთიანებს.

მილსადენის მშენებლობისას დაახლოებით 300-მდე ახალი, სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გამოვლინდა, რომელთა დიდი ნაწილი მართლაც უნიკალური იყო, როგორც თავისი სამეცნიერო ღირებულებით, ასევე გეოგრაფიული და ლანდშაფტური მდებარეობითაც. მილსადენი ისევე გადის ქაობიან ადგილებში, სუბალპურ და ალპურ ზონებში, როგორც ბალახიან მინდვრებში, კვეთს მდინარეებს და უღელტეხილებს. ადრე ეს ადგილები უგზობის გამო მიუწვდომელი იყო მკვლევარებისთვის, ხშირ შემთხვევებში ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ კონკრეტულ ლანდშაფტურ გარემოში შესაძლებელი იქნებოდა არქეოლოგიური ძეგლის არსებობა. დაახლოებით 70 არქეოლოგიური ძეგლი გათხრილი და შესწავლილი იქნა ქართველი არქეოლოგების მიერ; ძეგლების გავრცელების სიხშირე არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარებოდა, მაგალითად, გარდაბნის რაიონში არც ერთი ძეგლი არ აღმოჩენილა, მარნეულიც არ იყო განსაკუთრებით უხვი, მაგრამ თეთრინყაროდან მოყოლებული ვიდრე თურქეთის საზღვრამდე, მილსადენი მძივივით იყო ახუნძლული არქეოლოგიური ძეგლებით.

ქართველმა არქეოლოგებმა არნახული პროფესიონალიზმი და გამძლეობა გამოავლინეს; ექსპედიციებს, ძალიან ხშირად, მუშაობა ყინვაში, წვიმაში, ძლიერ ქარში და პაპანაქება სიცხეში უწევდათ. გათხრების გადადება და ხელსაყრელი ამინდის ლოდინი კი შეუძლებელი იყო მშენებლობის მკაცრი რეჟიმისა და ტემპების გამო. თეთრ-წითელი ლენტით შემოსაზღვრული ტერიტორია გამაფრთხილებელი ნიშნით “არქეოლოგიური ძეგლი” კარგად იყო ცნობილი ინჟინრებისათვის, რაც იმას ნიშნავდა რომ ამ ადგილას მიწას ვერავინ შეეხებოდა იქამდე, სანამ არქეოლოგიური

გათხრები არ დამთავრდებოდა და ექსპედიციის ხელმძღვანელი წერილობით დასკვნას არ გასცემდა ტერიტორიის განთავისუფლების შესახებ.

აღმოჩენილი ძეგლები თითქმის სრულ ისტორიულ სპექტრს მოიცავს – აქ შეგვხვდა ძეგლები დაწყებული ენეოლითიდან — დამთავრებული განვითარებული შუა საუკუნეებით. ზოგი ძეგლი ერფენიანია, ზოგი – მრავალ კულტურულ ფენას შეიცავდა. BTC/SCP პროექტის კულტურული მემკვიდრეობის პროგრამის ფარგლებში შესწავლილი ძეგლები ძირითადად შემდეგ ტიპებად შეიძლება დაიყოს: ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხები, შუა ბრინჯაოს ხანის ნასახლარი და გორა-სამარხები, გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხთა კომპლექსები, ენეოლითური – სპილენძის ხანის ნასახლარი საცხოვრებელი მინურითა და სამარხებით, რკინის ხანის ნასახლარი, ანტიკური პერიოდის ნასახლარი და სამარხები, ადრეული შუა საუკუნეების სასაფლაო (გაითხარა 100-მდე სამარხი) და წინა-ქრისტიანული სამარხები, შუა საუკუნეების მარნების კომპლექსი, შუა საუკუნეების აკვედუკი, რომელიც წყლით ამარაგებდა ახალციხის ციხე-სიმაგრეს, შუა საუკუნეების მონასტრის ნაშთები სოფელ ციხისჯვარში და მრავალი სხვა. ასევე შეგვხვდა მრავალფენიანი და მულტიკომპონენტური არქეოლოგიური ძეგლებიც, რომლებიც განსხვავებული პერიოდებისა და დანიშნულების მქონე კომპლექსებს წარმოადგენდნენ. ასე, მაგალითად, თეთრინყაროში აღმოჩენილი ძეგლი შეიცავდა ენეოლითურსა და ადრე ბრინჯაოს ხანის ნასახლართა ნაშთებს, შუა ბრინჯაოს ხანის საცხოვრებელ მინურს და გვიან ბრინჯაოს ხანის სამეურნეო ორმოებსა და კერას. ასევე საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი, გათხრილი ბორჯომის რაიონში. შეიცავდა რომაული პერიოდის სამარხებს (რაც ძალიან უჩვეულოა ამ რეგიონისათვის). ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებმაც მცირე ნაშთების სახით მოაღწია ჩვენამდე, გარკვეულწილად მაინც იქნა შესწავლილი ისე, რომ ძეგლის სტრატეგრაფია, მისი პერიოდი და გავრცელების საზღვრები, ფუნქცია და ხასიათი მეტ-ნაკლებად მაინც ყოფილიყო გამოკვლეული.

მილსადენის 249 კმ-იან სექციაზე გადაჭიმული სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურა ფართოდაა წარმოდგენილი მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალით — კერამიკული ჭურჭელი, ბრინჯაოს სარიტუალო და საყოფაცხოვრებო ინვენტარი, ასევე მრავლადაა სამკაულები – სხვადასხვაგვარი მძივები, ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები, აღმოჩენილ იქნა არქიტექტურული დეტალები, სხვადასხვა პერიოდის მონეტები და სხვა.

კომპანიის პასუხისმგებლობა არქეოლოგიის მიმართ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ გათხრების ჩატარებით; როდესაც მოპოვებული მასალა რეგიონებიდან თბილისში ჩავიდა, BP-მ ორგანიზება გაუკეთა არტეფაქტების რესტავრაციას და მათთვის სრულფასოვანი ლაბორატორიული კვლევების ჩატარებას, რაც ნიშნავდა არქეოლოგიურ სამუშაოებში ისეთი სპეციალობების ჩართვას, როგორცაა ანთროპოლოგია, პალეოზოოლოგია, პალეობოტანიკა, პალინოლოგია და ტრასოლოგია; მომზადდა არქეოლოგიური ძეგლებისა და მასალების ფოტო- და გრაფიკული დოკუმენტაცია, ნახაზები. ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ შორეული წარსულის ყოფითი მომენტები, მაგალითად, ცხოვრების წესი (მესაქონლეობა, მომთაბარეობა, მინათმოქმედება და ა.შ.), კვების რაციონი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, დაავადებათა ტიპები და მათი გავრცელების საზღვრები, გენდერული თანაფარდობა, შობადობა და სიკვდილიანობა და სხვა. ამ ტიპის ანალიზებმა მრავალი და უაღრესად საინტერესო ფაქტი წარმოგვიჩინა, მაგალითად არქეოკლიმატის, ლანდშაფტის ცვლილებებისა და კონკრეტული მცენარეების გავრცელების შესახებ. ყველაფერი ეს კი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ შორეული წარსულის რეკონსტრუქცია. ყველა გამოვლენილი ძეგლი დაფიქსირებულია GIS-ის (გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების) მონაცემთა ბაზაში.

კომპანია ამჟამადაც აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრთან, რაც გულისხმობს მილსადენების მშენებლობის დროს მოპოვებული არქეოლოგიური აღმოჩენების გამოფენას თბილისისა თუ საქართველოს რეგიონალური მუზეუმების, მათ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებას, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია წინამდებარე კრებული.

## BP AND ITS PARTNERS' CONTRIBUTION TO CULTURAL HERITAGE PROTECTION IN GEORGIA

BP in Georgia has played an important part in the discovery and preservation of Georgia's historical and cultural heritage, and in particular Georgia's archaeological heritage. The oil company has been responsible, in partnership with other companies, for the construction and management of oil and gas pipelines that run through Georgia. There are three major pipelines operated by BP in Georgia: the Baku-Supsa oil pipeline, which carries oil from the Caspian to the Black Sea, and in particular to the Supsa terminal; the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline, which runs from Azerbaijan to Turkey via Georgia and links the Caspian to the Mediterranean; and the South Caucasian pipeline, through which Georgia and Turkey are supplied with oil from Azerbaijan.

Thanks to archaeological excavations initiated by BP and its partners a number of remarkable sites and remarkable finds have been discovered, studied, and put on display in museums for the general public to enjoy. As a result of BP's support and archaeological intervention, many archaeological heritage sites of several periods have been saved from destruction. It is especially important for Georgia that this partnership should continue, for it will be extremely beneficial for future research, and for the support of the cultural heritage of Georgia, and especially its archaeological aspects.

The present publication is concerned with archaeological finds made during the construction of two of these pipelines. Together they constituted one of the most important international projects ever carried out on Georgian territory, namely, the construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline led by BP in Georgia. Strategic measures with regard the cultural heritage taken by the company in the construction project played an important role in making possible a series of fascinating new discoveries.

The Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and the South Caucasian gas pipeline run parallel to each other, and their construction was carried out almost simultaneously in 2003-2006. The length of the BTC pipeline from Baku to Ceyhan is 1760 km, and 249 km runs through Georgia. From Azerbaijan the pipeline enters Georgia at the village of Jandara in Gardabani district, approaches the town of Rustavi, crosses Marneuli district and Tetritskaro, Tsalka, then Borjomi, Akhaltsikhe and Adigeni districts, and at the town of Vale enters Turkish territory. These regions have long been known for their historical and cultural importance, and pipeline runs through the territories of historical Kvemo Kartli, Samshvilde, Bedeni Plateau, Trialeti, Tori and Samtskhe-Javakheti.

Naturally, the problem of protecting the cultural heritage was very pressing for a country like Georgia with its ancient roots and rich historical past. For this it was the subject of debate among foreign and Georgian researchers from the initial stages of the construction project. Conscious of its status as a company of modern international standards, BP took on the commitment of protecting any archaeological and architectural monuments that might present themselves in the course of construction or operation of the pipelines. The construction project should not be the cause of the destruction of historical sites, and the company provided a complete guarantee, in the form of both specialist and financial support, of the cultural heritage protection programme.

BP's approach to archaeological sites meets not only currently recognized standards, but also Georgian and international legislation in the area of cultural heritage. It was consequently agreed that wherever possible, the company would try to leave a site below ground in situ and by-pass it rather than excavate it. During

the planning process, the presence of archaeological sites and architectural monuments became the reason for the diversion of the pipeline route in Samshilde and Trialeti. In traversing the woods at Tetrtskaro the route had to be altered several times in order not to damage ancient settlements; it was also diverted from the Nadarbazevi architectural complex; in Trialeti, Bronze Age sites caused the pipeline route to be redirected from the originally selected areas. In places where it was impossible to alter the route for technical reasons (landscape, ecology, local population centres, etc.) they planned archaeological excavations. These were carried out in Samshilde, Trialeti and Samtskhe before construction began. Georgian specialists revealed and investigated several especially significant archaeological sites of different historical periods.

The route of the pipeline was thus determined and seemed to be free of visible archaeological sites. This ought to have been the end of the Cultural Heritage Programme, but an abundance of signs pointing to archaeological sites in areas adjacent to the selected route made it inevitable that there should be constant archaeological monitoring during the construction process. This was in fact when the most significant archaeological discoveries were made. The construction of the pipeline gave Georgian archaeologists a chance to reveal and investigate previously unknown sites and bring to light archaeological cultures spread across vast areas. Anyone who has had some kind of contact with archaeology or with cultural heritage in general, knows how informative has been the detailed study of the territory in question, this piece of ground 249 km long and 50 m wide that unites the eastern and southern provinces of Georgia.

While building the pipeline about 300 new cultural heritage sites, previously unknown to scientific circles, were recovered. Most of them were unique for both their scientific value and their geographical and landscape situation. The pipeline goes through swampy areas, sub-alpine and alpine zones as well as grassy meadows; it crosses rivers and passes. Previously, these areas were inaccessible to scholars who in many cases could not even have imagined the presence of an archaeological site in a particular landscape environment. About 70 archaeological sites were excavated and studied by Georgian archaeologists. There was no pattern to the way in which sites occurred. For instance, Gardabani district did not reveal a single site; nor was Marneuli district especially abundant, but the pipeline route from Tetrtskaro to the Turkish border appeared to be a chain of archaeological sites.

Georgian archaeologists showed incredible professionalism and stamina; sometimes the expeditions had to work in frost, rain, strong wind and scorching heat. It was impossible to delay excavations and wait for convenient weather because of the strict routine and pace of building. Engineers were well aware of the areas confined with red and white tape and the warning signs "Archaeological Site", which indicated that nobody was allowed to even touch the ground here until the archaeological excavations were complete and the leader of the expedition had officially signed the site off to the pipeline builders.

The sites studied within the framework of the BTC Cultural Heritage Programme can be divided as follows: Early Bronze Age burials, Middle Bronze Age settlements and burial mounds, Late Bronze Age burial complexes, an Eneolithic-Bronze Age settlement with a dugout dwelling and burials, an Iron Age settlement, a settlement and burials of the Classical period, an Early Medieval cemetery (of which about 100 graves were excavated) and pre-Christian burials, a complex of Medieval wine cellars, a Medieval aqueduct which supplied the Akhaltsikhe fortress with water, remains of a Medieval monastery in the village of Tsikhisjvari, and more. There were also complex multi-strata and multi-component sites of various periods and with various purposes. For example, the site excavated at Tetrtskaro contained remains of Eneolithic and Early Bronze Age settlements, a dugout residence of the Middle Bronze Age and late Bronze Age household pits, and a hearth of the same period. Another interesting archaeological site excavated in Borjomi district contained Roman period burials (quite unusual for this region). These archaeological sites that have barely survived have now been studied to the degree that it is possible to define their stratigraphy, date, extent, nature and function.

The range of the various archaeological cultures spread over the 249 km section of the pipeline is amply demonstrated by the diverse archaeological material that includes: pottery, bronze ritual and everyday items,

jewellery, including beads of various kinds, finger rings, bracelets, and earrings, architectural details, and coins of different periods.

The company's archaeological responsibilities were not limited to excavation alone. When the excavated material was taken from the regions to Tbilisi, BP with its partners organized restoration and comprehensive laboratory research of the artefacts. This involved specialists in such areas as anthropology, palaeozoology, palaeobotany, palinology and traceology. Photographic documentation and drawings of archaeological sites and material were prepared. The results of laboratory studies allow us to restore aspects of everyday life in the remote past, such as the way of life (livestock breeding, transhumance, farming, etc.), diet, life expectancy, types and distribution patterns of disease, gender correlation, or birth and death. This type of analysis revealed many interesting facts about, for example, the climate in antiquity, changes in landscape, and the distribution of particular plants. All these enable us to reconstruct the remote past. All the recovered sites have been recorded in a GIS (Geographical Information System) database.

The company continues to have close cooperation with the O. Lordkipanidze Archaeological Centre of the Georgian National Museum. This involves the display, in Tbilisi and regional museums of Georgia, of archaeological material recovered during the construction of the pipelines, and their publication in specialist journals. The present collection of articles is a impressive example of this practice.

## საქართველოში არქეოლოგიის ბანკითარების ისტორიიდან

საქართველოში ძველი ნივთების კოლექციონერობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ სიძველეების შესწავლისა და მათი ისტორიასთან დაკავშირების ცდა კი გაცილებით გვიან მოხდა. შუა საუკუნეებში ძველი ნივთების საცავი ქართველ მეფეთა კარზე იყო. სულხან-საბა ორბელიანი რომის მუზეუმის დათვალიერებისას იხსენებს, რომ ამგვარი ნივთების საცავი მას უნახავს მეფე ვახტანგ VI კარზე, „სალაროში“. საცავ-სალაროს თბილისში, სადაც სამეფო ხაზინასთან ერთად ინახებოდა მინაში ნაპოვნი ნივთებიც, კერძოდ, ძველი მონეტები და იარაღ-საჭურველი, მოიხსენიებს ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონიც. იგი იქვე დასძენს, რომ, სამწუხაროდ, 1795 წელს სპარსელების მიერ საქართველოს დედაქალაქ თბილისის აღება-დანგრევისას მეფის სასახლე და მასთან ერთად ეს საცავ-მუზეუმიც დაუზღვევიათ და გაუძარცვავთ.

XIX საუკუნემდე საქართველოში სიძველეთა შესწავლას ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. შემოგვრჩა მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები ზოგიერთი ძეგლის შესახებ. ეს ცნობები საინტერესოა თავისი აღწერილობითი ხასიათით, რადგან ზოგიერთი ძეგლი შემდგომ ან სულ განადგურდა, ან დაზიანდა და სახე იცვალა. სიძველეთა აღწერა გვხვდება ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონისა და თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულებებში, აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა ნაწერებში — არქანჯელო ლამბერტის, კრისტოფორო დე კასტელის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, იოჰან გიულდენშტედტისა და სხვ.

XIX საუკუნის საქართველოში სიძველეთა შესწავლა შედარებით უფრო სისტემურ ხასიათს იღებს. ჯერ კიდევ 1837 წელს საქართველოს სტატისტიკურმა კომიტეტმა მიაქცია ყურადღება ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-დაცვის საქმეს და საამისოდ შეადგინა სპეციალური ინსტრუქცია-მითითება, რომელიც სახელმწიფო დანებსებულებებში გაავრცელეს. მასში ყურადღება გამახვილებული იყო ყორღანების ან მსგავსი სიძველეების გამოვლენა-აღნუსხვაზე. ამ ინსტრუქციის შედგენაში მონაწილეობდნენ ნ. ფალავანდიშვილი და მ. ჭილაშვილი, რომლებიც სტატისტიკურ კომიტეტში მსახურობდნენ. მ. ჭილაშვილი სიძველეთა დაცვა-შესწავლისათვის შემდგომშიც იღვწოდა და აქტიურობდა. მისთვის, როგორც სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტის თანამშრომლისა და სიძველეთა აღნუსხვა-დაცვის შესახებ ინსტრუქციის ერთ-ერთი შემდგენლისათვის, კარგად იყო ცნობილი სიძველეთა შესწავლის მაშინდელი მდგომარეობა საქართველოში. ამიტომ, 1856 წლის 8 დეკემბერს კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღძრა საკითხი საქართველოში ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. სამწუხაროდ, მისი წინადადება საქართველოში ფართო არქეოლოგიური გათხრების წარმოებაზე მაშინ არ მიიღეს, რადგან ის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ შესასწავლი საკითხების სფეროში არსებულად არ მიიჩნეეს.

მართალია, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მსგავსად არც სტატისტიკურ კომიტეტს ჩაუტარებია გათხრები და არც რაიმე მეცნიერული დასკვნები გამოუტანია (რადგან ეს არ შედიოდა მის ფუნქციებში), მაგრამ მან მაინც გარკვეული როლი შეასრულა ძეგლთა აღნუსხვა-დაცვის საქმეში, რასაც მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამით განადგურება-გაქრობას გადაურჩა ბევრი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი. მაგრამ მარტო აღნუსხვა-დაც-



ვით სიძველეთა შესწავლის საქმე წინ ვერ წაინეცდა. ამიტომ XIX საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს სიძველეთა უფრო ფართო, მრავალმხრივი შესწავლისათვის საჭირო გახდა გათხრების დაწყება და ამით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა გათხრით არქეოლოგიას.

პირველი გათხრა, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, ჩატარდა 1852 წლის ზაფხულში, ქ. გორიდან დაახლოებით თხუთმეტიოდე კილომეტრით დაცილებულ ნაქალაქარ უფლისციხეში. აქ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს არქეოლოგიის პიონერი დიმიტრი მელვინეთუხუცესი-შვილი (1815-1878 წწ.). სამწუხაროდ დ. მელვინეთუხუცესი-შვილის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემონახული, რაც აძნელებს ამ პიროვნებაზე სრული წარმოდგენის შექმნას. მისი თანამედროვეების აზრით, „დიმიტრი მელვინეთუხუცესი-შვილი ნიჭიერი კაცი იყო და საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე; იგი, სადაც კი შეეძლო, ყველგან ცდილობდა საქართველოს ისტორიის სასარგებლოდ. ბევრი სხვა და სხვა სამეცნიერო, საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოებათა წევრი იყო“ (იხ. ჟურნალი „საქართველოს კალენდარი“, ტფილისი, 1895). მაღალ შეფასებას აძლევს დ. მელვინეთუხუცესი-შვილის სამეცნიერო მოღვაწეობას ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსეც, რომელიც ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს მის სიბეჯითეს და იმ დახმარებას, რომელიც მისგან მიიღო.

დ. მელვინეთუხუცესი-შვილმა აღწერა და შეისწავლა მრავალი საყურადღებო ძველი ძეგლი, შეაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი თუ ნივთი. მან მოიარა და შეისწავლა ქართლი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა და სხვა. დ. მელვინეთუხუცესი-შვილი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: «მე მსურს, რაც საქართველოში ძველი ეკლესიაა თუ მონასტერი, ჯვარი, ხატი და რაზედაც ძველი წარწერილობაა, ყველა აღწერო თვითოეულად და ნაწერიც ეგრეთ გარდმოვიღო“. 1849 წელს იგი დააჯილდოვეს სპეციალური სიგელით სამეცნიერო საქმიანობისა და საინტერესო მოხსენებებისათვის.

დ. მელვინეთუხუცესი-შვილი მსახურობდა ქ. გორის სასამართლოში, რაც მას ხელს უშლიდა სამეცნიერო მუშაობის ფართოდ გაშლაში. ამიტომ 1851 წელს გორიდან გადავიდა ქ. თბილისში სახელმწიფო კანცელარიაში სამუშაოდ, სადაც სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უფრო მეტი დრო რჩებოდა და მატერიალურადაც უკეთ იყო უზრუნველყოფილი. აქ მას, სხვა საქმეებთან ერთად, დაავალეს მოეწყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რათა აღწერა და შეესწავლა ისტორიული სიძველეები. სამწუხაროდ, ამ ექსპედიციებს მთავრობისაგან დაფინანსება-დახმარება მალე შეუწყდა.

1852 წლის ზაფხულში დ. მელვინეთუხუცესი-შვილმა მთავრობისაგან მიიღო გარკვეული თანხა და შეუდგა უფლისციხის ნაქალაქარის გათხრას. მას თბილისიდან მოუწვევია მხატვარი და შეუძენია სათანადო აღჭურვილობა ძეგლის გათხრა-ფიქსაციისათვის. არქეოლოგიური გათხრების დროს დ. მელვინეთუხუცესი-შვილი აწარმოებდა საველე დღიურს. როგორც ჩანს, იგი აპირებდა უფლისციხის გათხრების შედეგების გამოქვეყნებას. სამწუხაროდ, გათხრების შედეგების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, ხოლო საველე დღიურები და მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დაიკარგა (ჯერჯერობით არ ხერხდება მათი მიკვლევა). ამიტომ ამ გათხრების შესახებ წარმოდგენას ძირითადად გაზეთ „კავკაზ“-ში (№43, 66; 1852 წ.) დაბეჭდილი მოკლე ანგარიშები გვიქმნის.

უფლისციხის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა დ. მელვინეთუხუცესი-შვილს ზედაპირული დაზვერვით დაუწყია — აუგეგმავს ნაგებობები, აღმოუჩენია რამდენიმე წარწერა და გადმოუწერია. ამისათვის მას მოუხდა მალა, ფრიალო კლდეებში ნაკვეთი ნახევრად ჩანგრეული ნაგებობების ნახვა, რაც არცთუ უსაფრთხო იყო.

დ. მელვინეთუხუცესი-შვილს პირველად უფლისციხის დიდი დარბაზის გათხრა დაუწყია. გაუჭრია დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის თხრილი; აქ აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები, დიდი დარბაზის გვერდზე მდებარე ოთახში კი ქვევრები. მისი აზრით, დიდი დარბაზი და მიმდებარე ნაგებობები წარჩინებული პირის სასახლეს წარმოადგენდა. დ. მელვინეთუხუცესი-შვილს შეუსწავლია უფლისციხის შესახებ არსებული ყველანაირი ცნობა, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონისა და ფრედერიკ ლიუბუა დე მონპერეს ცნობები უფლისციხის შესახებ და

ადგილობრივ მცხოვრებთა ფოლკლორული გადმოცემები. იგი ერთმანეთს ადარებს უფლისციხისა და ვარძიის კლდეში ნაკვეთ ნაგებობებს. უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლის დროს დ. მელვინეთუხუცესიშვილს გაუთხრია სამარხებიც.

დ. მელვინეთუხუცესიშვილი გარდაიცვალა 1878 წელს და დასაფლავებულია გორთან, სოფ. ხიდისთავში. დ. მელვინეთუხუცესიშვილის ნაწერებიდან ჩვენამდე მოაღწია ისტორიული ხასიათის რამდენიმე ნაშრომმა: „მეფობა და ცხოვრება ერეკლე II“, „აღწერა გორთან მდებარე ეკლესიებისა, მონასტრებისა და მათ ზედა ღირსსახსოვარ წარწერათა სრულიად“, „მოგზაურობა გორთან, ხიდისთავსა შინა 1849-სა წელსა“, „მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა 1850 წელსა“ (მოხსენებები ინახება ს.-პეტერბურგში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა საცავში, ბროსესეულ ფონდში — №47).

XIX საუკუნის შუა წლებისათვის საქართველოში 1832 წლის ეროვნულ-განმანათავისუფლებელ გამოსვლას მოყოლილი რეპრესიების შედეგად ჩამკვდარი კულტურული ცხოვრება რამდენადმე გამოცოცხლდა. დაარსდა სამეცნიერო საზოგადოებები; გაიხსნა მუზეუმი, ბიბლიოთეკა; დაიწყო პერიოდული გამოცემების დასტამბვა, სადაც სამეცნიერო სტატიებიც იბეჭდებოდა. ამ პერიოდულ გამოცემებში ხშირად ნახმარ სიტყვა „არქეოლოგია“-ს მაშინ საკმაოდ ფართო, მრავლისმომცველი მნიშვნელობა ჰქონდა, ის ფრიად მოდურ სიტყვად იქცა. გამოქვეყნებულ წერილებში არქეოლოგიური მასალის შესწავლა და ფიქსირება ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ამ მასალის აღწერა უმეტესად ჩართულია ან არეულ-გადახლართულია საბუნებისმეტყველო და ფოლკლორულ მონაცემებთან. სიტყვა „არქეოლოგიაში“ მაშინ ძირითადად ყოველგვარ სიძველეთა — ნიგნების, ეკლესია-მონასტრების, ხატების, ეპიგრაფიკული ძეგლების — აღწერა-შესწავლა იგულისხმებოდა. მინისქვეშა ძეგლების კვლევას კი უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან იმ დროს არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული დღევანდელი მნიშვნელობით. ერთ-ერთი პირველი საზოგადოება, რომელმაც რამდენადმე მიაქცია ყურადღება საქართველოს სიძველეებს, იყო გეოგრაფიული საზოგადოება. ის 1850 წელს გაიხსნა თბილისში. პირველსავე სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად აღინიშნა, რომ დაარსებულმა საზოგადოებამ უნდა შექმნას მუზეუმი და არქივი. მისი აქტიური წევრები იყვნენ: რ. ერისთავი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, გ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვ. სოლოგუბი, ა. ბერჟე, პ. უსლარი, მ. ქილაშვილი და სხვ.

ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა თბილისში მუზეუმის მოწყობასთან დაკავშირებით საზოგადოების წევრებისათვის დავალებინა ექსპონატების შეგროვება-კატალოგიზაცია და საკვლევ ექსპედიციებში მონაწილეობა. მუზეუმი გაიხსნა 1852 წლის გაზაფხულზე. მისი იმდროინდელი ადგილსამყოფელი იყო დღევანდელ ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სახლი. ეს იყო პირველი მუზეუმი მაშინდელ კავკასიაში. თბილისში დაარსებული მუზეუმი შედგებოდა ეთნოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილებებისაგან. 1854 წლისათვის მუზეუმი უკვე 3300 ექსპონატს ითვლიდა. მუზეუმის საისტორიო-არქეოლოგიური კოლექციები შეავსო მიწის წიაღში აღმოჩენილმა ბევრმა ექსპონატმა. აქ თავი მოიყარა დიდი რაოდენობით ნუმიზმატიკურმა მასალამ, საჭურველ-იარაღის ნაშთებმა, სამკაულებმა და სხვ. მუზეუმს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა უცხოურ სამეცნიერო დაწესებულებასთან.

1863 წელს ეს მუზეუმი დაიშალა. მისი კოლექციები გადაეცა თბილისში ახლად გახსნილ კავკასიის მუზეუმს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გ. რადე. ამ მუზეუმსაც, ისევე როგორც მის წინამორბედს, უფრო ეთნოლოგიურ-საბუნებისმეტყველო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ აქ არც ისტორია-არქეოლოგია იყო დავინყებული. შემდგომში კავკასიის მუზეუმის საფუძველზე დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი აღმოცენდა.

პირველი მუზეუმის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა პლატონ იოსელიანმა (1809-1875 წწ.), რომელმაც თავის დროზე საყურადღებო ქართველოლოგიური გამოკვლევები შექმნა. კერძოდ, ჩვენთვის ფრიად საინტერესოა მისი ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის შრომები, სადაც იგი ეხება საქართველოში ქალაქე-

ბის წარმოშობის საკითხებს. მისი მოსაზრებით, საქართველოში ქალაქები ძირითადად წარმოიქმნა მთავარ მდინარეთა ნაპირებზე და მათ ძირითად შენაკადებთან, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებთან, რელიგიურ ცენტრებთან; უფრო იშვიათად, წარმოების თავისუფალი კონცენტრაციის ან ვაჭრობის განვითარების შედეგად. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად პ. იოსელიანს მცირე მასშტაბის დაზვერვითი გათხრები უწარმოებია დღევანდელ სოფ. ჟინვალთან, ძველი ნაქალაქარის ადგილზე. მას აქ აღმოუჩინია და გაუთხრია რიყის ქვის ნაგებობის ნაშთები, მოუპოვებია კერამიკისა და ლითონის ნივთების ნატეხები (სამწუხაროდ, უფრო დანვრილებითი ცნობები ამ გათხრების შესახებ არ შემორჩენილა).

ჯერ კიდევ 1844 წელს (ე.ი. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მცხეთა მიიქცევა საყოველთაო ყურადღებას) პ. იოსელიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ მცხეთაში არის ბევრი ნანგრევი, რომელიც ჯერ არავის შეუსწავლიაო.

1867 წელს მცხეთაში, სარკინიგზო ხიდის მახლობლად, მდ. მტკვრის ნაპირზე, გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ქვათლილი 75 წელს ამოკვეთილი წარწერით. შემდგომ წლებში მცხეთაშივე, სამთავროს ველზე და ბებრისციხის მიდამოებში, ისევ შემთხვევით, უძველესი სამარხები აღმოჩნდა. ამ აღმოჩენებმა გამოიწვია მთავრობის დაინტერესება და 1871 წელს თბილისში მცხოვრებ ნატურალისტ ფრიდრიხ ბაიერნს სთხოვეს სამთავროს მინდორზე გათხრების წარმოება. აქ გაითხარა ქვის ფილებისაგან შედგენილი სამარხები. ამოღებულ იქნა კერამიკა, ლითონის იარაღები, სამკაულები და სხვ. ხსენებულმა ნივთებმა შემდეგ კავკასიის მუზეუმის ფონდები შეავსო. მართალია, არც სავსე სამუშაოები ჩატარებულა სათანადო დონეზე და არც განათხარის ისტორიული გააზრება მომხდარა სწორად, მაგრამ თვით არქეოლოგიურმა მასალამ საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. 1885 წელს ქ. ბერლინში დაისტამბა ფრ. ბაიერნის ნაშრომი, რომელშიც სხვებთან ერთად განხილულია სამთავროს ველის სამარხებიც. 1879 წელს ფრანგი ანთროპოლოგი ე. შანტრი სამთავროშივე თხრის რამდენიმე სამარხს.

მცხეთის ამ არქეოლოგიური აღმოჩენების შემდეგ კავკასიისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი ისტორიკოს-არქეოლოგთა ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ 1872 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტი, რომელსაც ისტორიულ-არქეოლოგიური სამუშაოების კოორდინაცია უნდა მოეხდინა კავკასიაში. კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობები იბეჭდებოდა სპეციალურ ჟურნალში, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1872-1873 წწ. აქ მოყვანილი ცნობები ძირითადად ეკლესიების აღწერილობებს შეიცავს. მალე ეს კომიტეტი შეუერთდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებას“, რომელიც დაარსდა 1873 წელს ქ. თბილისში.

“კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დაარსებას წინ უძღოდა გარკვეული სამზადისი. კერძოდ, 1873 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (იხ. №3-4) გამოქვეყნდა დ. ბაქრაძის სტატია, რომლითაც ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა თავის სამშობლოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივებს. სტატიის სათაურია – „შესახებ კავკასიის არქეოლოგიის მოსიყვარულე საზოგადოებისა, რომლის დაფუძნებასაც აპირებენ ტფილისში“. დასაწყისში საუბარია საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის რეგიონის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობასა და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის; შეფასებულია ისტორიული ძეგლების წარწერების ადგილი ქვეყნის წარსულის შესწავლაში. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ არქეოლოგიას ჩვენთანაც მიექცა ყურადღება და გადანყვეტილია არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა, რათა „მოიყვანონ ცნობაში ძველნი სახსოვარნი, აკლდამების გათხრა, სადაცა მოიპოვებიათ ძველის დროების კვდართან ჩატანებული ნივთები, ზედ წარწერების შეკრება და რა მოიყვანოს ყველა ეს ცნობაში, გაავრცელონ ეს ცნობები ხალხში. ამ არქეოლოგიის შეწევნა აღიდგინა კარგათ ძველის, დიდი ხნის გამქრალის ხალხების მდგომარეობა კავკასიაში, ამ აზრს ჯერ აქომამდე არ შეხებიათ, თუმცა ამას, ქვეყნის ზურგზედ, არქეოლოგიის მხრივ თითქმის უჭირავს პირველ ადგილთაგანი“. იქვე:

„ეს სახსოვარნი მარტო თვალსაჩინარნი კი არ არიან, რამდენნი არიან დაფლულნი თვით მიწაში, როგორც გვარნმუნებს, მცხეთა, სადაც, რა გადათხარეს აკლდამები, რამდენი ღირს შესანიშნავი ძველის დროსანი, აღმოჩნდნენ“. რაც აღმოაჩინეს, ილუბება ჰაერის შეხებისგანო — შემოფოთებულია დ. ბაქრაძე. მას აგრეთვე ანუხებს ის, რომ ხალხი ძველი ნანგრევების ქვებს სამშენებლო მასალად ხმარობს და ამით ზიანს აყენებს ძეგლებს; იგი თვლის, რომ არქეოლოგიური საზოგადოების შექმნა ამიტომაც არის საჭირო — საზოგადოებამ უნდა „... მოიყვანოს ცნობაში ღირს სახსოვარნი შენობები; გაუფრთხილდეს, არავინ წაახდინოს, ფოტოგრაფიებით გადმოიღოს ისინი და იმათი მხატვრობა; გადმონეროს ზედ ნარწერები; შეისყიდოს, სადაცა ჰპოვებს, ძველი ფულები, ოქმები, მანუსკრიპტები და იმისთანა ნივთები, რომელნიცა წარმოგვიდგენს ძველის დროის სახსოვარსა; გადაათხრეინოს ის აკლდამები, სადაცა დაინახავს საჭიროდ“.

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში მომავალი არქეოლოგიური საზოგადოებისათვის დასახულია ფრიად პროგრესული აზრებით გამსჭვალული პროგრამა; დასმულია საკითხი ძეგლთა დაცვის, გრაფიკული ფიქსაციის, აღწერის, შესყიდვის და გათხრის შესახებ. ამ საპროგრამო სტატიის ავტორი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890 წწ.) „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური მოღვაწე იყო.

დ. ბაქრაძე საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის ერთ-ერთ მთავარ გზად საქართველოს ისტორიის წყაროებისა და მასალების ძიებას თვლიდა. მას, სრულიად სამართლიანად, მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიისათვის მასალების შეგროვება ძირითადად ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემწეობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ დ. ბაქრაძე აწარმოებდა კვლევა-ძიებას სვანეთში, აჭარაში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, სამეგრელოში, საინგილოში და სხვ. [ბაქრაძე 1889: 1-15].

ეს ისტორიულ-არქეოლოგიური მოგზაურობები დ. ბაქრაძის მიერ შემუშავებული საერთო გეგმის ნაწილს შეადგენდა. მისი საერთო დიდი მიზანი მთლიანად საქართველოს სიძველეების შესწავლა იყო. ამ მიზნის მიღწევა, ბუნებრივია, მარტო ერთი მეცნიერის ძალებს აღემატებოდა. ამიტომ საჭირო შეიქმნა გარკვეული სამეცნიერო ძალების გაერთიანება. ამ დროისათვის საქართველოში მოღვაწე მეცნიერები კარგა ხნის განმავლობაში არაორგანიზებულად, მაგრამ მაინც დიდი გულისყურით კრებდნენ და სწავლობდნენ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან მასალებს. ამიტომ იყო, რომ არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსების იდეას მონივნავე საზოგადოება სიხარულითა და აღტაცებით შეხვდა. დაინტერესებულ წრეებში უკვე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ქართველი მეცნიერ-მოღვაწეების — პ. იოსელიანის, ს. ბარათაშვილის, რ. ერისთავის, დ. ყიფიანის, გ. ორბელიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა საქმიანობას, რაც ნათლად ჩანდა მაშინდელ საქართველოში გამომავალი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე.

1873 წლის 23 მარტს დამტკიცდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ წესდება. დაადგინეს, რომ ამ საზოგადოების ცენტრი იქნებოდა ქ. თბილისში და მისი მიზანი იყო ძველი ნაგებობებისა და, საერთოდ, სიძველეთა გადარჩენა დანგრევა-განადგურებისაგან. საზოგადოებას შეძლებისდაგვარად უნდა შეეძინა სიძველეები მოსახლეობისაგან, თვითონაც მოეპოვებინა მასალები და ყოველივე ეს მეცნიერულად შეესწავლა. ამგვარი შესწავლის შედეგები თითოეულ წევრს უნდა მოეხსენებინა კრებაზე და საზოგადოების კომიტეტის დასტურით გამოექვეყნებინა. საზოგადოებას სამეცნიერო კავშირი უნდა ჰქონოდა როგორც კავკასიის, ისე ევროპის სხვადასხვა საზოგადოებასთან, რათა ახალი ინფორმაცია მიეღო. საზოგადოების წესდებაში აღნიშნულია, რომ ის მოაწყო სპეციალურ ექსპედიციებს და აწარმოებს გათხრებს. წესდებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ ყველა სამეცნიერო შრომა გადაეცემოდა საჯარო ბიბლიოთეკას, ხოლო არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა გადავიდოდა საზოგადოების მუზეუმში. შემდგომში ეს მუზეუმი შეუერთდა კავკასიის მუზეუმს,

საზოგადოებას მთავრობისაგან მიეცა შრომების ბეჭდვის ნებართვა. ამგვარად, 1875 წელს თბილისში გამოიცა საზოგადოების პირველი წიგნი. წიგნში დაიბეჭდა საზოგადოების ოქმები და სამეცნიერო სტატიები. როგორც ირკვევა, საზოგადოების წევრობა შეეძლოთ როგორც ადგი-

ლობრივ, ისე უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებს. საზოგადოების ძირითადი წევრი სამოცამდე კაცი იყო. ის არსებობდა საწევროების, საქველმოქმედო შემოწირულობათა ხარჯზე და დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ ამ ხელმოკლეობის გამო საზოგადოებამ ვერ მოახერხა თავისი საქმიანობის ფართოდ გაშლა. მას არქეოლოგიური გათხრები თითქმის არ უწარმოებია და შემოისაზღვრა ძირითადად მიწისზედა ისტორიული ძეგლების აღწერა-პუბლიკაციით; გამოიცა საზოგადოების შრომების სულ ორი კრებული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ დამსახურება ქ. თბილისში არქეოლოგიური კონფერენციის ჩატარების საქმეში. ის არქეოლოგთა ამ თავყრილობის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

1873 წელს კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების გახსნის დღეს, კავკასიაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების პერსპექტივების შესახებ მოკლე მიმოხილვითი მოხსენება გაკეთდა, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა საზოგადოების კრებულში. აღინიშნა, რომ საჭირო იყო შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური შესწავლა, რადგან აქ აღმოჩნდა ისეთი საინტერესო ნაგებობები, როგორც დოლმენები. აქვე აღინიშნა სოხუმის, ფოთის და ბიჭვინთის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა, შემდეგ ჩამოთვალეს ისტორიული ძეგლები, რომელთა შესწავლაც სასურველად მიაჩნდათ. ესენია: დასავლეთ საქართველოში — ბედია, ნოქალაქევი, ფოთი-ფასისი, ოზურგეთი, ქუთაისი, ვარდციხე, ონი, ხონი, შორაპანი; აღმოსავლეთ საქართველოში — სურამი, ოძრხე, თმოგვი, ახალციხე, ახალგორი, კასპი, ბოლნისი, დმანისი, მცხეთა, ჟინვალი, გრემი, ნეკრესი, უჯარმა, ჭერემი და სხვ. აქვე იყო დასმული საკითხი კავკასიის მხარის არქეოლოგიური რუკის შედგენის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შესახებ საკითხი პირველად 1856 წელს მ. ჭილაშვილმა აღძრა, მაგრამ ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა დ. ბაქრაძე. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმე; ყურადღება გაამახვილა მომავალი გათხრების ობიექტებზე და იმაზე, თუ სად უნდა მოველოდეთ უკეთეს შედეგებს. დ. ბაქრაძემ წამოაყენა წინადადება, რომ იმ ეტაპზე უპირატესად უნდა შესწავლილიყო კავკასიის ადრეული ეპოქები, რადგან მათ შესახებ ყველაზე უფრო მცირე ინფორმაცია ჰქონდათ. ძველი წერილობითი წყაროების გამოყენებით მან მოგვცა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა. შემდეგ იგი საგანგებოდ აღნიშნავს და მოიხსენიებს ორ პუნქტს — მცხეთასა და ვაშნარს. ამ პუნქტებში, მისი აზრით, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ძალიან ნაყოფიერი და საქართველოს ისტორიისათვის ბევრის მომცემი იქნებოდა. 1874 წელს დ. ბაქრაძეს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად სოფ. ვაშნართან (გურიაში) ჩაუტარებია არქეოლოგიური დაზვერვები. გათხრების შედეგად მას მოუპოვებია კერამიკის, მინის, რკინის და ბრინჯაოს ნივთები. მას აქვე უნახავს ნაგებობის ნაშთები, კერძოდ, მარმარილოს სვეტის ნაწილები, აგური, კრამიტი.

დ. ბაქრაძის ხანგრძლივი ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევის შედეგი იყო მისი მონოგრაფია - „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“, რომელიც დაიბეჭდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ კრებულში. ნაშრომში მოცემულია ძირითადად საქართველოს ქრისტიანული ძეგლების აღწერილობა და კვლევის შედეგები. ძეგლების აღწერას თან ახლავს მეცნიერული ანალიზი, მითითებულია წყაროები, რომელთა საფუძველზეც დაინერა გამოკვლევა. თითოეული ძეგლის აღწერას წინ უძღვის მოკლე მხარეთმცოდნეობითი მიმოხილვა იმ რეგიონისა, სადაც ეს ძეგლი მდებარეობს. ამ ნაშრომში გამოტოვებული არ არის არც ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი. დ. ბაქრაძისათვის ძეგლის დათარიღებისას მთავარია მისი არქიტექტურული სტილი. ნაშრომში სულ სამას ოცამდე ძეგლია აღწერილი და შესწავლილი. ამ მონოგრაფიისათვის 1877 წელს დ. ბაქრაძე ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

დ. ბაქრაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ცდილობდა საქართველოს ისტორიის კვლევისას გამოეყენებინა ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესასწავლად არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყო

საჭირო. იგი თავის ნაშრომში „ისტორია საქართველოსი“ აღნიშნავს, რომ „... ისტორიის წინააღმდეგ არქეოლოგია ჩვენ, რომ გამოკვლეული გვექონდეს, შეიძლება იმათ ყოფა-ცხოვრებას, დამოკიდებულებას ერთისა მეორესთან და უცხო ტომნათესავებთან შევხებიყავით; მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ნაკლებად ვართ“. იქვე: „უეჭველია, რომ ქართლ-კახეთში, იმერეთში, მესხეთში და შავი ზღვის პირად უნდა აღმოჩნდეს მრავალი ძველი ნივთიულობა, რომელიც ნათელს მოჰფენს ჩვენს წარსულს საუკუნოებსა“.

“კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ დ. ბაქრაძის აქტიური მონაწილეობით აღნუსხავდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა კავკასიის ტერიტორიაზე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენათა თითქმის არცერთ ფაქტს. ამგვარად აღინუსხა ახალციხის კენ მდ. კურცხანის და ოცხის შესართავთან სახლის საძირკველის თხრის დროს აღმოჩენილი სამი მოთეთრო ფერის პატარა დოქი; სოფ. ნინოწმინდაში შემთხვევით ნაპოვნი სპილენძის მახვილი; არტანუჯის ციხესთან მოპოვებული ბრინჯაოს ზარი და თიხის ქოთანის. ამ ზარს ასომთავრული წარწერა ჰქონდა; სოფ. საგურამოში და სოფ. ურბნისთან 1876 წელს შემთხვევით უპოვიათ თიხის სარკოფაგები. ურბნისშივე მონეტების აღმოჩენის შესახებ ცნობას გვანვდის პ. იოსელიანი. თბილისში ქალთა გიმნაზიისათვის (ჩიტაძის ქუჩა) ფუნდამენტის გაჭრის დროს უპოვიათ მონეტების განძი.

მცხეთის შემდეგ იმ პერიოდში, არქეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე დიდი ინტერესი სტეფანწმინდის (ყაზბეგის) უძველესმა ნივთებმა გამოიწვია. ამ პუნქტმა და მისმა მიმდებარე ტერიტორიამ უკვე XIX ს.-ის 60-იანი წლებიდან მიიქცია სიძველეების მკვლევართა ყურადღება შემთხვევით ნაპოვნი ძველი ნივთებით. ცნობილია გათხრების შედეგად მიკვლეული დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა დაბა სტეფანწმინდასთან (ყაზბეგთან), რომელიც ამჟამად ინახება მოსკოვის ისტორიული მუზეუმის, ს.-პეტერბურგის ერმიტაჟისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდებში.

დაბა სტეფანწმინდაში, ახლანდელი ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გვერდით, სახლის საძირკველის თხრისას უპოვიათ ბრინჯაოს ნივთები — საკინძეები, სამაჯურები და სხვ. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით სტეფანწმინდაში ჩამოვიდა გ. ფილიმონოვი, რომელმაც 1877 წელს, ამ ნივთების აღმოჩენის ადგილის აღმოსავლეთით გაჭრა თხრილი. აქ დადასტურდა ე.წ. სხივანა საყურე, ოქროს ბალთა, პასტის მძივები, ბრინჯაოს ჯაჭვის ნაწყვეტები, ვერცხლის თასი, სპილენძის სიტულა, სულ ორასამდე სხვადასხვა ნივთი. შემდგომ ამ ნივთების ნაწილი ს.-პეტერბურგის და მოსკოვის ზემოთ ხსენებულ მუზეუმებში მოხვდა. გამთხრელის აზრით, მის მიერ მოპოვებული მასალა სამარხეული ინვენტარი იყო. ამ სამარხს კი ის რკინის ხანის დასაწყის ეტაპს აკუთვნებდა და მიიჩნევდა ადგილობრივი მაღალგანვითარებული კულტურის ნაყოფად.

ამავე ადგილის მომიჯნავე ფართობი 1878 წელს გათხარა ფ. ბაიერნმა. აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და რკინის შუბისპირები. გამთხრელის აზრით, ეს ადგილი უნდა ყოფილიყო სალოცავი, სადაც სწირავდნენ სხვადასხვა ნივთებს. ფ. ბაიერნმა აგრეთვე არქეოლოგიურად დაზვერა მდ. სნოს ხეობა. კერძოდ, სოფ. ჯუთაში მან გათხარა სამი სამარხი, რომლებშიც აღმოჩნდა რკინის ისრისპირები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები და სხვა. აქვე სოფ. ართხმოში გაუთხრიათ სამარხები.

1879 წელს სტეფანწმინდაში ჩასულა არქეოლოგი ალ. უვაროვი, რომელსაც ფ. ბაიერნის მიერ გათხრილი მონაკვეთის სამხრეთით გაჭრილ საცდელ თხრილში აღმოუჩენია სამი უძველესი სამარხი. აქ უპოვიათ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები. 1882 წელს დაბა სტეფანწმინდის ჩრდილოეთით, მდ. თერგის ხეობაში სოფ. გველეთთან აღმოჩენილა ძველი ნივთები, რომლებიც შემდგომ მოხვდა ს.-პეტერბურგის ერმიტაჟში.

ერთ-ერთი საყურადღებო არქეოლოგიური ძეგლი, რომელმაც ადრევე, კერძოდ, 1876 წელს მიიქცია ძველი ისტორიით დაინტერესებულ პირთა ყურადღება, არის ვანი (მდებარეობს მდ. სულორის და მდ. რიონის შესართავის მახლობლად). 1876 წელს გაზეთ „დროებაში“ №52 აღნიშნულია სოფ. საჩინოს (ვანი) ახვლედიანების გორაზე სამარხებისა და ოქროს სხვადასხვა ნივთების ხშირი აღმოჩენის ფაქტები. აქვე გამოთქმულია აზრი - „როგორც ჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა

იყოს ამ გორაში. ვინ იცის, ისტორიის რამდენი მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობისაგან დაღუპულა და რამდენი კვლავ იპოვება ამ გორაში“. ვანში ნაპოვნმა ცალკეულმა საგნებმა თავი იჩინა ჯერ კიდევ 1848 წელს, როცა ქ. ქუთაისში გავლით მყოფ ცნობილ ქართველოლოგს მ. ბროსეს ვანში ნაპოვნი მამაკაცის თხუთმეტიოდე სანტიმეტრის სიმაღლის ქანდაკება გადასცეს. ნივთი მ. ბროსეს ს.-პეტერბურგში გადაუგზავნია. ნივთი ამჟამად დაკარგულია.

1880 წელს მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გიორგი წერეთელს (1842-1900 წწ.) ვანში ნაპოვნი ნივთების შესახებ ინფორმაცია მიუწოდებია არქეოლოგიური კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტისათვის. ერთგვარად ამის შედეგიც იყო ალბათ ის, რომ 1889 წელს ვანში, ახვლედიანების გორაზე არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით მცირე გათხრები ჩაუტარებიათ. აქ გაუთხრიათ რამდენიმე სამარხი, უპოვიათ ლითონის ნივთები და კერამიკა.

გ. წერეთელს 1878-80-იან წლებში არქეოლოგიური დაზვერვები ჩაუტარებია და მოუხილავს მღვიმევის გამოქვაბული, რომელიც მდ. ყვირილას ხეობაში ქ. საჩხერესა და ქ. ჭიათურას შორის მდებარეობს; საჩხერესთანვე, ციხე მოდინახეს გორის ფერდობზე უნახავს სამარხების ნაშთები. აქ ყოფილა კერამიკისა და ლითონის ნივთები; მდ. ყვირილას ხეობაში შორაპნის ციხესთან უნახავს თიხის ძველი წყალსადენის ნაშთები; სოფ. შორაპანთან, ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, რკინიგზის ხაზის გაყვანისას მუშებს შემთხვევით უპოვიათ სამარხები, რომელთა ნივთებიც გზის მუშებს დაუტაციათ; ქ. ქუთაისში, მდ. რიონის ნაპირთან, ახლანდელი წითელი ხიდის ახლოს აღმოჩნდა ძველი აბანო; ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთით შემთხვევით უნახავთ სამაროვნის ნაშთები. ქუთაისშივე, ახლანდელი ბაზრის მიდამოებში, სადაც წინათ ბაღი ყოფილა გაშენებული, აღმოჩნდა კერამიკა. აღწერიდან ჩანს, რომ ის ე.წ. კოლხური კერამიკა უნდა ყოფილიყო. გ. წერეთელსვე შეუტყვია, რომ სოფ. ციხისძირთან, კვირიკეს გორაზე ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობის დროს უპოვიათ მარმარილოს სარკოფაგი. აქ ნანახი ოქროს და ვერცხლის ნივთები მუშებს დაუტაციათ.

1880 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზზე სოფ. ჭოგნარსა და სადგურ აჯამეთს შორის მიწის სამუშაოებისას აღმოჩნდა ორი ძველი ნამოსახლარი გორა ადგილ ნასაჯვარეთთან. აქ, დადასტურდა კერამიკული ნანარმი; ლითონის იარაღი — ცულები, დანები, ისრისპირები, ბრინჯაოს სამაჯურები და სხვ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ქ. სოხუმის ერთ-ერთ სკოლაში ყოფილა მცირე არქეოლოგიურ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, რომელიც შემდეგ, საომარი მოქმედებების გამო, ქვეყნის შიდა რაიონებში გადაუტანიათ. შემდგომში ეს ძველი ნივთები დაკარგულა. დაახლოებით ამავე დროს, ქ. სოხუმში ჩაუტარებიათ კვლევა-ძიება: უნახავთ ძველი დიოსკურიის ნანგრევები. ამის შესახებ მიუწოდებიათ ცნობა არქეოლოგიური კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტისათვის. ცნობაში აღნიშნულია არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ადგილები. ესენია: ქ. სოხუმის სანაპირო დღევანდელი საზღვაო პორტის ჩრდილოეთით, სადაც ზღვის ნაპირზე პოულობდნენ ხოლმე ძველ ნივთებს; აგრეთვე ბიჭვინთის ტერიტორიასთან ინკიტის ტბის სანაპირო, მდ. ნე-ბელდის ხეობა.

1886 წელს ქ. სოხუმში არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით, ახლანდელი რუსთაველის ბაღის დასავლეთ ნაწილში მცირე მასშტაბის გათხრები ჩაუტარებიათ. განათხარში აღმოჩნდა კერამიკა, მათ შორის ამფორის, შავ და წითელლაკიანი ჭურჭლის ნატყები. აქვე ნახეს ქ. ამისოს მონეტა.

1880 წელს სოფ. დილომთან, იქ სადაც დილმისწყალი უერთდება მდ. მტკვარს, მცირე გათხრები აწარმოეს. ამ ადგილზე ნაპოვნ სიძველეებს ჯერ კიდევ 1866 წელს მიუქცევია ყურადღება. ნანახი ნივთების მიხედვით გამოითქვა აზრი, რომ ისინი მცხეთის სამთავროს სამაროვნის მონაპოვარს ჰგავდა. ხსენებულ ტერიტორიაზე გაითხარა თერთმეტი სამარხი. მათში ვერცხლის სამკაულები და თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამ“ პირველმა წამოჭრა საკითხი ქ. თბილისში არქეოლოგიური კონფერენციის ჩატარების შესახებ.

ჩამოყალიბდა მოსამზადებელ-საორგანოზაციო კომიტეტი, რომლის მუშაობასაც ხელს უწყობდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“. 1878 წელს ქ. თბილისში აირჩიეს კონფერენციის მომწიფი ადგილობრივი საორგანოზაციო-მოსამზადებელი კომიტეტი დ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით. კომიტეტმა დიდი მუშაობა განა — მას უნდა შეეკრიბა მასალები კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და ენების შესახებ. თბილისის კომიტეტის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ — დ. ბაქრაძე, დ. ჯორჯაძე, ა. ცაგარელი, რ. ერისთავი, ა. კომაროვი, ა. ბერჟე, ე. ვეიდენბაუმი, გ. რადე და სხვ. ხალისიანად ჩაება კონფერენციის მოსამზადებელ საქმიანობაში ქ. თბილისის ინტელიგენციაც. არქეოლოგიური კონფერენციისათვის ეს მზადება ძლიერი ბიძგი იყო საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერებების, კერძოდ, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

არქეოლოგიური ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა თბილისის ყრილობაზე მოიწვია ორმოცამდე ცნობილი უცხოელი მეცნიერი. მათ შორის — ოს. მონტელიუსი (სტოკჰოლმი), რ. ვირხოვი (ბერლინი), ჰ. შლიმანი (ათენი), ა. რამბო (პარიზი), ე. შანტრი (ლიონი), გ. მორტილიე (პარიზი), ე. როსი (რომი) და სხვ.

არქეოლოგიური კონფერენცია თბილისში 1881 წლის 8 სექტემბერს 13 საათზე გაიხსნა, ხოლო დაიხურა 21 სექტემბერს. კონფერენციამ ქალაქში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მას ესწრებოდა 850-მდე კაცი, რომელთაც ჰქონდათ სპეციალური საშვები და სამკერდე ნიშნები. კონფერენცია დაიყო რვა განყოფილება-სექციად: პირველყოფილი საზოგადოების ძეგლები; წარმართული და კლასიკური ხანის ძეგლები; ქრისტიანული ხანის ძეგლები; მუსულმანური სიძველეები; ხელოვნების და მხატვრობის ძეგლები; დამწერლობის ძეგლები; ლინგვისტიკა; ისტორიული გეოგრაფია. სექციების სხდომებზე 81 მოხსენება იქნა წაკითხული. კონფერენციის თავმჯდომარემ, სხვა საკითხებთან ერთად, დამსწრეთ მოკლედ მოახსენა არქეოლოგიური კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის მიერ ჩატარებულ საქმიანობაზე. კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო იყო მხოლოდ მცირე არქეოლოგიური მოხსენება-ინფორმაცია სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) და მდ. რიონის გაყოლებაზე მდებარე არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მოხსენებლებს საუბარი ჰქონდათ კონფერენციის წინ ამ პუნქტებში ჩატარებულ არქეოლოგიურ დაზვერვაზე, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. საყურადღებოა, რომ ამ კონფერენციაზე, უკვე მეორედ, წამოიჭრა საკითხი კავკასიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების რუკის შედგენის თაობაზე. სამწუხაროდ, შემდგომშიც ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდა. კონფერენციის სტუმრებისათვის სპეციალურად მოეწყო არქეოლოგიური ნივთების გამოფენა; ამასთანავე განაახლეს კავკასიის მუზეუმის ექსპოზიციები. კონფერენციის მონაწილეებისათვის ექსკურსიები მოეწყო მცხეთაში, უფლისციხეში, გელათში.

სახელი „არქეოლოგიური“ თბილისის არქეოლოგიური კონფერენციისათვის ფრიად პირობითია, რადგან მისი მუშაობის დროს სხვა მეცნიერებები უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე არქეოლოგია. კონფერენცია კავკასიაში ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის დიდმნიშვნელოვანი იყო; მაგრამ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისათვის, საერთოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიების მეთოდიკის გაუმჯობესებისათვის, მისი, როგორც მეცნიერების წინსვლისათვის თითქმის არაფერი გაკეთებულა. ცნობილი ისტორიკოს-არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ ამ არქეოლოგიურ თავყრილობაზე „...რატომღაც არც ბაიერნი გამოჩენილა, არც მისი მცხეთას ნამუშევარი და, საერთოდ, არც ჩვენში წარმოებულნი თხრის შედეგები“. ამგვარად, ეს კონფერენცია მხოლოდ იმით არის ნიშანდობლივი, რომ მან კიდევ უფრო გააღვივა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესი.

1881 წელს „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“ უსახსრობის გამო დაიშალა. 1881 წლის 28 ნოემბერს ამ საზოგადოების ყოფილი წევრები გაერთიანდნენ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებაში“. ამ ახალი საზოგადოების წესდების მიხედვით გაფართოვდა მისი მოღვაწეობის არე. საზოგადოებას უნდა შეესწავლა კავკასიის ისტორია, უპი-



რატესად მისი ისტორიის წერილობითი და ნივთიერი წყაროები; შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეცვა ეს ისტორიული ძეგლები განადგურებისაგან; გათხრების შედეგად მოპოვებული ან მოსახლეობისაგან შესყიდული ძველი ნივთები ბარდებოდა კავკასიის მუზეუმს (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ხოლო ძველი ხელნაწერები თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას.

ამ ახალი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, რომელიც მას 1886 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1881-85 წლების განმავლობაში მოხერხდა ნაშრომების ორი ტომის გამოცემა. აქ გამოქვეყნებული ძეგლებიდან არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე პუნქტი, სადაც მოუპოვებიათ ზედაპირული არქეოლოგიური მასალა. ესენია: ახალციხე, ახალქალაქი, სოხუმი, ახალი ათონი, ხუცუბანი, ანაკოფია და სხვ. საინტერესოა საზოგადოების შრომებში დაბეჭდილი სამხედრო მოსამსახურის პოლკოვნიკ ნ. წილოსანის ინფორმაცია დილიჯანთან (ამჟამად სომხეთშია) ჩატარებული გათხრების შესახებ. ნ. წილოსანის აზრით, აქ აღმოჩენილი სამარხები თავისი აღნაგობით და ინვენტარით ჰგავს მცხეთის სამთავროს სამარხებს.

საზოგადოების შრომების მეორე კრებულის გამოსვლის შემდეგ, „კავკასიის ისტორიის და არქეოლოგიის საზოგადოება“, მის წინამორბედ „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებასავით“, უსახსრობის გამო დაიშალა. საზოგადოებას არქეოლოგიური გათხრები არ უწარმოებია.

მიუხედავად ამ საზოგადოების დაშლისა, საქართველოს სიძველეებისადმი ინტერესმა მაინც არ იკლო. ამას მოწმობს ტროისა და მიკენის აღმოჩენის და გათხრების ჰენრიხ შლიმანის დაინტერესება საქართველოს შავიზღვისპირეთით, ძველი კოლხეთით, საბერძნეთის ისტორიასთან კავშირში. კერძოდ, არგონავტების ოქროს სანმისისათვის ჩამოსვლის ამბავი. ჰ. შლიმანს 1883 წელს საქართველოში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების ნებართვა უთხოვია, მაგრამ სამუშაოები ვერ ჩატარდა.

XIX ს-ის ბოლოსათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი განწყობილებების გააქტიურებასთან დაკავშირებით, იხურებოდა ყოველგვარი საზოგადოება, სადაც კი შეიძლებოდა ადამიანების თავშეყრა და მსჯელობა. ამან კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გარკვეული ჩაკვდომა გამოიწვია. ექ. თაყაიშვილის თქმით, 1887 წელს, როცა იგი ევროპიდან საქართველოში დაბრუნდა, თითქმის სულ მიტოვებული დახვდა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ამ მხრივ მხოლოდ 1889 წელი გამოირჩევა, როცა მცხეთის სიძველეებმა ისევ მიიქცია ყურადღება. უძველესი ნივთები იმჟამად ბაგინეთთან, არმაზციხეზე აღმოჩნდა. ბაგინეთში ნივთების აღმოჩენის ფაქტს ყურადღება მიაქციეს ილია ჭავჭავაძემ და დიმიტრი ბაქრაძემ. ამ უკანასკნელს ხნოვანების გამო თვითონ აღარ შეეძლო თხრის მეთვალყურეობა და თავზე დადგომა, ამიტომ გათხრების წარმოება ბაგინეთში ექვთიმე თაყაიშვილს და დავით ქუთათელაძეს დაავალა.

ბაგინეთთან მუშაობა სულ სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ხოლო შემდეგ უსახსრობის გამო შეწყდა. გათხრები, ხანმოკლეობის მიუხედავად, საინტერესო და საყურადღებო გამოდგა. გაითხარა ნაგებობა, სადაც დადასტურდა სამი სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფენა. ნაგებობის ნანგრევებში აღმოჩნდა ქვათილები, ალიზის აგური, მარმარილოს ნატეხები, მინისა და თიხის ჭურჭელი, სპილენძის ცული. ნაგებობის შემორჩენილ კედელზე გამოხატული ყოფილა ქალის გამოსახულება. ბაგინეთში მუშაობის ხელმძღვანელობა ქართველოლოგიის სწორუპოვარი მკვლევარის და დიდი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილისათვის (1863-1953 წწ.) ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიური გათხრა იყო.

მცხეთის ამ გათხრებიდან მოყოლებული საქართველოში არქეოლოგიურ კვლევას სათავეში უდგება ექ. თაყაიშვილი. კერძოდ, სადგურ მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის მახლობლად, იგი თხრის სამაროვანს, სადაც ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, მინის ნაშთები და ჭურჭელი აღმოჩნდა. ხსენებული ძველი ნივთები ექ. თაყაიშვილმა ახ.წ. I-V საუკუნეებით დაათარილა.

1896 წელს ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიურ გათხრებს ატარებს მდ. სულორის ხეობაში, ვანის ახვლედიანების გორაზე და ამის შესახებ გვთავაზობს რამდენიმე საყურადღებო მოსაზრებას. ახვლედიანების გორაზე მან პირველმა დაადასტურა თლილი ქვით აშენებული ნაგებობების ნაშთები, თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სამკაულები, მონეტები, ლითონის სამეურნეო და საბრძოლო იარაღი. აქ აგრეთვე აღმოჩნდა ეგვიპტური, ბერძნული, ირანული და რომაული ნივთები. ექ. თაყაიშვილი ვანის არქეოლოგიური თხრის შედეგს განიხილავს საერთო ისტორიულ ჭრილში; მკვლევარი ითვალისწინებს აგრეთვე აქ წინა წლებში ნაპოვნ მასალას და უკვე იმ დროს აღნიშნავს, რომ ახვლედიანების გორაზე კლასიკური პერიოდის ძველი ნაქალაქარის ნაშთებთან უნდა გვექონდეს საქმე; იგი უცხოური ნაწარმის და მონეტების მიხედვით ვარაუდობს, რომ ეს ნაქალაქარი ძველ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალთან მდებარეობდა, ხოლო ნაქალაქარზე ნაპოვნი ოქროს სამკაულები ადგილობრივი ნაწარმია, რადგან აქვე, მდ. სულორის შენაკადის — საქვაბიას ღელის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს.

1896 წელს დასავლეთ საქართველოშივე — სოფ. საჯავახოსთან, მდ. რიონის მარცხენა მხარეს (ამჟამად სამტრედიის რ-ნში) და სოფ. ხუცუბანთან, მდ. კინტრიშის მარჯვენა ნაპირზე (ამჟამად ქობულეთის რ-ნში) ექ. თაყაიშვილს ჩაუტარებია არქეოლოგიური თხრა. სოფ. ხუცუბანში შემთხვევით აღმოჩენილმა ძველმა ნივთებმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება და ამ პუნქტისადმი ექ. თაყაიშვილის ინტერესი გამოიწვია. დასახელებულ ადგილზე ექ. თაყაიშვილს მიუკვლევი კულტურული ფენებისათვის, სადაც აღმოჩენილა კერამიკა და ლითონის რამდენიმე ნივთი. სოფ. საჯავახოსთან დრანდალელს ნაპირზე არქეოლოგიური დაზვერვისას დიდი რაოდენობით კერამიკა აღმოჩნდა, რის მიხედვითაც ექ. თაყაიშვილი აქ კერამიკული სახელოსნოს არსებობას ვარაუდობდა.

1902 წელს არქეოლოგიური თვალსაზრისით ყურადღება მიიქცია სოფ. ბორმა მდ. ბორიმელას მარჯვენა ნაპირზე. აქ ადგილობრივი მცხოვრებლები მინის ხვნის დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ სამაროვანს, სადაც აღმოჩნდა ოქროს და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი საკურთხეველთან მდგომი ცხენის გამოსახულებით; რომაული და პართული მონეტები. სოფ. ბორში ნაპოვნი ძვირფასი ნივთები ს.-პეტერბურგის „ერმიტაჟის“ მუზეუმში მოხვდა (ახლაც იქ ინახება).

1904 წელს ციხისძირთან (ქობულეთის რ-ნი) სახლის საძირკვლის გაჭრის დროს II საუკუნის მდიდრული ნივთები აღმოჩნდა. ესენია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ჭურჭელი, მონეტები, ამოკვეთილ გამოსახულებიანი ქვები (გემები). სულ ორმოცამდე საგანი (ინახება ს.-პეტერბურგის „ერმიტაჟში“).

1908 წელს მდ. ქსნის ხეობაში სოფ. საძეგურთან მინის სამუშაოების დროს შემთხვევით წააწყდნენ მდიდრულ ნივთებს, რომლებიც ცნობილია „ახალგორის განძის“ სახელით. სამწუხაროდ, ამ ძვირფასი ნივთების მხოლოდ ნაწილის შეგროვება და კავკასიის მუზეუმისათვის შექმნა შეძლო ექ. თაყაიშვილმა. ეს ნივთებია ოქროს საყურეები, საკისრე რკალები, სასაფეთქლები, სამაჯურები, ყელსაბამი, ბეჭდები, ვერცხლის ფიალები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ.

ამავე წელს სოფ. ახალქალაქთან (ახლა კასპის რ-ნშია) მინის სამუშაოების დროს იპოვეს ბრინჯაოს ცულები და ლითონის რამდენიმე ზოდი. ნივთები ექ. თაყაიშვილმა კავკასიის მუზეუმისათვის შეიძინა. ამ ნივთების აღმოჩენამ ექ. თაყაიშვილს, ჯერ კიდევ მაშინ, აქ ლითონსადნობი სახელოსნოს არსებობა ავარაუდებინა.

1912 წლის ზაფხულში ექ. თაყაიშვილს არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია მდ. ბანისხევის და მდ. მტკვრის შესართავთან. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურები, საკინძეები, სარდიონის მძივები. ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილს არქეოლოგიურად დაუზვერავს აგრეთვე საჩხერე, სადაც სპილენძის რამდენიმე ცული, სამაჯურები, საკინძეები და თიხის ჭურჭელი უპოვია.

ექ. თაყაიშვილი, რომელიც ამ დროს ახლადდაარსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ედგა სათავეში, ცდილობდა საქართველოს მინის წიაღში შემთხვევით ნაპოვნი არცერთი ნივთი არ გამოჰპარვოდა მხედველობიდან, რათა კავკასიის მუზეუმისათვის შეეძინა.

საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე ექ. თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ზოგიერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება: არქეოლოგიური მონაპოვრის გააზრებისას ადგილობრივი ეთნოლოგიურ-ფოლკლორული ფაქტების მოშველიების აუცილებლობა; მოსაზრებები ვანის ნაქალაქარის შესახებ (იხ. ზემოთ); ოქროსა და სხვა ლითონის იარაღის და სამკაულის ადგილობრივი წარმოშობის შესახებ (ადრე თითქმის ყველა ლამაზ, პენიან ნივთს შემოტანილად და უცხოურად თვლიდნენ); მიუთითა აუცილებლად შესასწავლ ძეგლებზე — ვანში, საჩხერეში, თრიალეთ-ნალკაში, ბაგინეთში და ჟინვალში.

1918 წელს ცნობილმა ენათმეცნიერმა ნიკო მარმა ექ. თაყაიშვილი მიიწვია მის მიერ თბილისში ახლად დაარსებულ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი ფართო პროფილის დაწესებულება იყო. ნ. მარის მოუცლელობის გამო ინსტიტუტს ძირითადად ექ. თაყაიშვილი უძღვებოდა. ამავე პერიოდში ექ. თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ადგენს არქეოლოგიის კურსის პროგრამას და იწყებს ამ კურსის კითხვას.

1924 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით – „სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ“, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა ნებართვის გარეშე საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი თვითნებური არქეოლოგიური გათხრები აკრძალა. ამ წლიდან მოყოლებული, არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-მზრუნველობაზე სახელმწიფო იღებდა პასუხისმგებლობას.

თავდაპირველად არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება და მოპოვებული ნივთების მოვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაევალა. პირველ ეტაპზე არქეოლოგიურ აღმოჩენებს უმეტესწილად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და დაგეგმილი წინასწარ მომზადებული არქეოლოგიური კვლევაც არ ტარდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს გიორგი ნიორაძის მიერ 1925-1931 წლებში ჩატარებული გათხრები კარსნისხევში, ზემო ავჭალაში, სასირეთში, დევისხვრელში და საკაჟიაში. გ. ნიორაძეს პროფესიული არქეოლოგიური განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა იმ პერიოდის სავსე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების მეთოდებს. 1925 წელს იგი დაბრუნდა სამშობლოში და სათავეში ჩაუდგა სავსე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. გ. ნიორაძე დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად. მან სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიების გადახალისების მიზნით შემოიკრიბა ძველი და ახალი თაობის მეცნიერები — ს. მაკალათია, გ. გოზალიშვილი, ს. იორდანიშვილი, ბ. კუფტინი, ლ. მუსხელიშვილი და გ. ჩიტაია, რომლებიც მაშინ სავსე არქეოლოგიურ კვლევას ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ფლავისმანში, თაგილონში, იყალთოში, ნოქალაქევში, კიკეთში და წინამურში.

1925 წელს გ. ნიორაძემ გააგრძელა და განაახლა ექ. თაყაიშვილის მიერ ჯერ კიდევ 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაწყებული არქეოლოგიის კურსის კითხვა. თავდაპირველად გ. ნიორაძე ძველი ისტორიის კათედრაზე მუშაობდა, ხოლო 1934 წლიდან – მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრაზე, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა და აერთიანებდა არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სპეციალობებს. ამ კათედრას 1953 წლამდე ხელმძღვანელობდა გ. ნიორაძე. 1953 წლიდან, წლების განმავლობაში არქეოლოგიის კათედრას სათავეში ედგა ოთარ ჯაფარიძე. თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრა საქართველოში პროფესიონალი არქეოლოგების აღზრდის მთავარ კერად იქცა. ქართველი არქეოლოგების უმრავლესობა სწორედ ამ კათედრაზე დაეუფლა არქეოლოგიის საფუძვლებს.

თბილისის სახ. უნივერსიტეტი თუ არქეოლოგების ახალი კადრების მთავარი სამჭედლო იყო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ძირითად საცავს წარმოადგენდა. მათ ერთმანეთთან ახლო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდათ.

1919 წლიდან კავკასიის მუზეუმს, რომელიც ჯერ კიდევ 1852 იქნა დაარსებული, საქართველოს მუზეუმი ეწოდა. ამჟამად ის საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია გაერთიანებული. 1929-30

ნლებში საქართველოს მუზეუმს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის კოლექციები გადაეცა. საქართველოს არქეოლოგიის სამსახურში ძირითადად მუზეუმის ერთი, წინასწარმართული არქეოლოგიის განყოფილება იდგა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1925 წლიდან გიორგი ნიორაძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება საქართველოს ქვის ხანის ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ არქეოლოგიური კვლევის შედეგად, საბოლოოდ, მეცნიერულად დასაბუთდა, რომ ბრინჯაოს ხანის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანი ცხოვრობდა. ამ დრომდე კი გავრცელებული იყო აზრი, თითქოს პალეოლითური ხანის ადამიანს არ უცხოვრია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაშიც.

1926-31 წლებში მიმდინარეობდა ქვის ხანის ადამიანის სადგომის დევისხვრელის (ხარაგაულის რ-წმ) გათხრები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე გ. ნიორაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელიც პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო საქართველოს პალეოლითის შესახებ. შემდეგ დევისხვრელის არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე საქართველოს სახ. მუზეუმში გამოქვაბულის მაკეტი დამზადდა, რომლითაც საზოგადოებას მიეცა საშუალება ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებას გაცნობოდა.

დევისხვრელის გათხრებს მოჰყვა ქვის ხანის სხვა არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა. კერძოდ, 1936 წელს გაითხარა საკაჟიას გამოქვაბული (თერჯოლის რ-ნი). 1934-1936 წლებში ითხრებოდა მღვიმევის გამოქვაბული (ჭიათურის რ-ნი), ხოლო აფხაზეთში ქალაქ სოხუმის მახლობლად გაითხარა იახშთხვას ქვის ხანის უძველესი სადგომი.

1936 წელი საქართველოს არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამ წელს კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის (ნ. მარის მიერ დაარსებული ყოფილი კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი) ბაზაზე ჩამოყალიბდა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (შემოკლებით „ენიმკი“), რომელიც ძირითად ქართველოლოგიურ ცენტრად იქცა. ინსტიტუტში სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად გაიხსნა საქართველოს არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება, რომელსაც 1938 წელს ცალკე გამოეყო არქეოლოგიის განყოფილება. ამ განყოფილებას შეუერთდა განათლების სამინისტროს არქეოლოგიის ინსტიტუტიც. „ენიმკის“ ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად იმთავითვე დაინიშნა გ. ნიორაძე. აქედან მოკიდებული ეს განყოფილება საქართველოში არქეოლოგიური კვლევის ძირითად კერად იქცა. განყოფილებაში შეიქმნა სათანადო სამეცნიერო-მატერიალური ბაზა, რომელიც აუცილებელი იყო გეგმაზომიერი სავსე არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად.

„ენიმკი“-ს არქეოლოგიის განყოფილების გარდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში. ეს მუზეუმი ძირითადად შუა საუკუნეების, კერძოდ, რუსთაველის ეპოქის ამსახველი გამოფენის მოსაწყობად იყო დაარსებული. ამ მუზეუმმა 1936-1939 წლებში გათხრები აწარმოვა დმანისში, გუდარეხში, ბოლნისში, გეგუთში და სხვ. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა ბოლნისში აღმოჩენილი ქვაზე ამოკვეთილი 493 წ. ასომთავრული წარწერა, რომელიც ერთ-ერთ უძველეს ქართულ დათარიღებულ წარწერად ითვლება.

ივანე ჯავახიშვილმა, ისევე როგორც სხვა ქართველოლოგიურ დარგებს, ქართულ არქეოლოგიასაც დასდო ამაგი. მან იმთავითვე მიუთითა, რომ „არქეოლოგია ისტორიის უძველესი ხანისათვის მთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს“, „არქეოლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდის მქონე მეცნიერების დარგი, სათანადო სპეციალისტთა კვლევა-ძიების სარბიელს შეადგენს და ჩვეულებრივ ისტორიკოსი მისი მონაპოვრით სარგებლობს ხოლმე თავისი მიზნებისათვის“.

ივ. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად არქეოლოგიური მონაცემების გამოყენება აუცილებლად მიაჩნდა. ჯერ კიდევ „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ გამოცემაში გამოყენებულია არქეოლოგიური მასალა, ხოლო ამავე წიგნის 1928 წლის

გამოცემას წინ უძღვის სპეციალური ნაწილი — „კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“, რომელშიც, მაშინდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, განხილულია კავკასიის ბრინჯაოს და რკინის ეპოქების მატერიალური კულტურა. აქვე მოცემულია არქეოლოგიური მასალის ფოტოები და გრაფიკული ჩანახატები.

გათხრით საველე არქეოლოგიურ სამუშაოებში ივ. ჯავახიშვილი 1930 წლიდან მონაწილეობს, როცა იგი ნოქალაქევე-არქეოპოლისის არქეოლოგიური შესწავლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ინიშნება. სამუშაოდ, ნოქალაქევის გათხრები მხოლოდ ორიოდ თვე მიმდინარეობდა და მერე შეწყდა. 1936 წლიდან კი ივ. ჯავახიშვილი უფრო აქტიურად ებმება საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში. იგი საერთო ხელმძღვანელობას უწევს დმანისის, გუდარეხის, გეგუთის და ბოლნისის არქეოლოგიურ გათხრებს. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეიმუშავა საქართველოში შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა. მასში საქართველოს ძველი კულტურის შესწავლის ერთ-ერთ საყურადღებო ამოცანად ძველი ნაქალაქარების შესწავლაა მიჩნეული. კერძოდ, გეგმარების, საშენი მასალის და სხვადასხვა დანიშნულების ნივთების კვლევა. ამავე დროს იგი ყურადღებას ამახვილებს წყალსადენებისა და სარწყავი არხების შესწავლაზეც, რისი კვლევაც მაშინ სრულიად ახალი საქმე იყო.

1937 წელს ივ. ჯავახიშვილი კრებულ „ენიმკის მოამბეში“ ბეჭდავს სპეციალურ წერილს, რომელიც სხვა ქართველოლოგიურ დარგებთან ერთად, საპროგრამო საქართველოს არქეოლოგიისათვისაც — „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“, სადაც აღნიშნავს: „... აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისდა მიხედვით, ისტორიული სააღებშიცემო გზების მიმართულებით და გზათა შესაყარების გათვალისწინებით, ძველი ყველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალისადმი ჯეროვანი ყურადღების მიპყრობით წარმოებდეს“.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ძირითადი მიმართულების მიხედვით მცხეთაში 1937 წელს არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. აქ „ენიმკი“-ს ინსტიტუტიდან გაიგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც არმაზისხევის შესართავთან, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმოაჩინა ძველი აბანოს ნაშთები. ამ აღმოჩენის გარდა მცხეთაში ყურადღება მიიქცია სამთავროს ველის ცნობილმა სამაროვანმა. ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ველის დასახლება განეზრახა, რაც ძველი საქართველოს ისტორიისათვის პირველხარისხოვან არქეოლოგიურ ძეგლს განადგურებას უქადდა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ მიიქცია არქეოლოგთა ყურადღება და დააჩქარა გეგმაზომიერი გათხრების დაწყება მცხეთაში. სამთავროს ველის დაზიანებული სამაროვნის საკითხი განიხილეს „ენიმკის“ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მისი არქეოლოგიური შესწავლა გადაწყდა. ამის საფუძველზე შეიქმნა და 1938 წლის 27 ოქტომბერს მუშაობას შეუდგა „მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია“, თოთხმეტი კაცის შემადგენლობით. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით და ენერგიით შეუდგა საექსპედიციო საქმიანობას.

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა მეცნიერ-თანამშრომლის შრომის შედეგია დღეს საყოველთაოდ ცნობილი, უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენები. ესენია ნაგებობები, სამარხები და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, რომლებიც საქალაქო ცხოვრების მაღალ დონეზე მიგვანიშნებს იმ ეპოქის საქართველოში. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესიული საველე არქეოლოგიური დაოსტატების სკოლად იქცა. აქ არქეოლოგიურ და საველე-საექსპედიციო საქმიანობაში მრავალი ქართველი არქეოლოგი გამოიწრო. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო მუშაობის იმ დროინდელი ეტაპის შეჯამება იყო 1955 წელს გამოცემული მონოგრაფიული ნაშრომი — მცხეთა I (არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები).

1936-40 წლებში ხრამპქესის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით ნალკის რაიონში, თრიალეთში მდიდრული ყორღანები გაითხარა. აქ ბრინჯაოს ხანის შესანიშნავი ძეგლების მთელი წყება აღმოჩნდა, რომელიც „თრიალეთული კულტურის“ სახელით არის დღეს ცნობილი.

თრიალეთის და საერთოდ საქართველოს არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე არქეოლოგმა ბ.კუფტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველთა კულტურის უძველესი ფესვები ადგილობრივ-ავტოქტონურია.

1941 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა არქეოლოგიური გამოფენა — „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურის კერები“. ეს მცხეთის და თრიალეთის ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალის პირველი საყოველთაო-საზოგადოებრივი ჩვენება იყო. მონყობილი გამოფენა ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი მესვეურის სიმონ ჯანაშიას ენერგიული ორგანიზაციული ძალისხმევის შედეგი იყო. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ ს. ჯანაშიაზე გადავიდა საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების საერთო ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, შემდეგ კი ეს საქმე ნ. ბერძენიშვილმა იტვირთა. ჯერ კიდევ „ენიმკის“ ინსტიტუტის შექმნისას არქეოლოგიის განყოფილებას დაუსახეს არქეოლოგიური კვლევის სამეცნიერო-საორგანიზაციო გეგმა, რომლის მიხედვითაც შემდგომში სამუშაოები საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარდა.

საქართველოს ტერიტორიაზე გეგმაზომიერმა არქეოლოგიურმა კვლევამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მიიღო. ამ დროისათვის გათხრები ჩატარდა გრემში, რუსთავში, დმანისში, ხოვლეში, ბაკურციხეში, უჯარმაში, ნადარბაზევში, თბილისში, საგარეჯოში, თეთრწყაროში, ბოლნისში, გუდარეხში, სამშვილდეში, ურბნისში, ვაშნარში, ეშერაში, ტყვიავში, გელათში, სკანდაში, შორაპანში, კლდეეთში, იაშთხვაში, საკაჟიაში, საგვარჯილეში, ოდიშში, თეთრამინაში, საკაოში, საჩხერეში, ბრილში, ანაკლიაში, დაბლაგომში, ქობულეთ-ფიჭვნარში, ურეკში, ყულევში, ბიჭვინთაში, გეგუთში, სოხუმში და სხვ. ჩამოთვლილი არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე მასალის განზოგადების საფუძველზე 1959 წელს საქართველოს არქეოლოგიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო გამოიცა.

1941 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტიდან ცალკე გამოყვეს ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც 1943 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელს ატარებს. შესაბამისად, „ენიმკი“-ში მომუშავე არქეოლოგები ჩაირიცხნენ ისტორიის ინსტიტუტში, რომელსაც 1964 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ეწოდა. ისტორიის ინსტიტუტს „ენიმკისაგან“ გამოყოფისას არქეოლოგიის მხოლოდ ერთი განყოფილება ჰქონდა. ამ განყოფილების ბაზაზე ინსტიტუტში შემდგომ არქეოლოგიის სექტორი შეიქმნა, რომელშიაც უკვე რამდენიმე არქეოლოგიური განყოფილება გაერთიანდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება სასწრაფო გადაუდებელ არქეოლოგიურ სამუშაოებზე. ამიტომ 1977 წელს პროფ. ოთარ ლორდქიფანიძის ძალისხმევით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (შემოკლებით — აკც). არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძირითადი სამეცნიერო უჯრედები იყო: პალეოლითის, ბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური ხანის იბერია-კოლხეთის, შუა საუკუნეების, ინტერდისციპლინარული კვლევის დანაყოფები. ხსენებული სტრუქტურული დანაყოფების საშუალებით არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში მუშავდებოდა საქართველოს არქეოლოგიის კარდინალური პრობლემები. კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური დახასიათება-კლასიფიკაცია; ადამიანის თავდაპირველი განსახლება საქართველოს ტერიტორიაზე; მწარმოებლური ეკონომიკის ჩასახვა-განვითარება; ქართველთა ეთნოგენეზი; ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია; პოლიტოგენეზი საქართველოს ტერიტორიაზე (იბერია, კოლხეთის სამეფოები); პალეოურბანისტიკა; არქეოლოგიური კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები; ძველი კულტურების ურთიერთობები გარე სამყაროსთან; საომარი იარაღი; ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა; სამონეტო მიმოქცევა; შუა საუკუნეების ქალაქები და სხვ.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში მიმდინარეობდა ცალკეული არქეოლოგიური არტიფაქტების კომპლექსური შესწავლა და საძიებო სისტემების შექმნა. ინტერ-დისციპლინარული კვლე-

ვის ლაბორატორიაში ხორციელდება რენტგენულ-სპექტრული, ქიმიური, მეტალოგრაფიული, არქეომაგნიტური, პალეობოტანიკური, პალეოზოოლოგიური, პალეოდენდროლოგიური და სხვა ანალიზები; ხდება არქეოლოგიური ნივთების კონსერვაცია. ცენტრში მიმდინარეობს აეროფოტოგადაღებების არქეოლოგიური დემიფირება. 1985 წლიდან ტარდება წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევები საქართველოს შავიზღვისპირეთსა და ტბა პალიასტომში. ჰიდროარქეოლოგიურად შესწავლილია ბიჭვინთის, სოხუმის, ანაკლიის, ფოთის, ციხისძირის შეღებები [იხ. Gamkrelidze 1992; გამკრელიძე 1992: 30-48].

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი სადღეისოდ იწოდება — საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი. ის ამჟამად არქეოლოგიური კვლევა-ძიების მთავარ დაწესებულებას წარმოადგენს საქართველოში. მისი მეცნიერ-თანამშრომლები არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ გათხრების მოკლე ანგარიშები ყოველწლიურად იბეჭდება კრებულში — „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება“.

ამჟამად მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შესწავლილია საქართველოს თითქმის ყველა კუთხე.

თანამედროვე ქართული არქეოლოგიის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დმანისის ნაქალაქარის ქვედა ფენებში ჰომინიდების თავის ქალების აღმოჩენა. მათი ასაკი 1,8 მილიონი წლითაა განსაზღვრული. აქვე, თავის ქალებთან დადასტურდა ქვის პრიმიტიული იარაღები და მრავალფეროვანი პალეოფაუნისტური და პალეობოტანიკური მასალა. დმანისში არქეოლოგიურად შესწავლილი უძველესი ადამიანების ნაშთები *Homo erectus*-ის ტიპს მიეკუთვნება და ტრანსკავკასია წარმოადგენს ჰომინიდების ევროპაში გავრცელების ერთ-ერთ უძველეს კერას.

სადღეისოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეულია 350-ზე მეტი პალეოლითური პერიოდის სადგომი [საქართველოს არქეოლოგია, 1991]. მათ შორის მნიშვნელოვანი სტრატეგიცირებული სადგომებია – კუდარო I, კუდარო II, წონა, წოფი, ჯრუჭულა, ორთვალა, აფიანჩა, საკაჟია, ეძანი, ქვაჭარა, დარკვეთი, საგვარჯილე, თეთრი მღვიმე და სხვ. რომლებიც შავიზღვისპირეთში, რიონ-ყვირილას ხეობაში, ჯავახეთის პლატოზე, ქვემო ქართლში მდებარეობენ. ამ ძეგლებზე გამოვლენილმა ქვისა და ოსტეოლოგიურმა მონაცემებმა საინტერესო მასალა მოგვცა პალეოლითის ეპოქის ადამიანის ცხოვრების შესახებ. ამ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პალეოლითის პერიოდის უძველესი საფეხურიდან დაწყებული ადრე სამინათმეოქმედო კულტურის ჩათვლით ადამიანის ცხოვრების უწყვეტი სურათი დასტურდება. საქართველოს ზედაპალეოლითურ არქეოლოგიურ ძეგლებში გარკვეულად შეიმჩნევა მსგავსება მესოპოტამიისა და სირია-პალესტინის სინქრონულ ძეგლებთან.

ნეოლითის ანუ ახალი ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები სადღეისო კვლევა-ძიების შედეგად მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ, ანასეული, პალური, დარკვეთი, ხორში, ჩხორთოლი და სხვ. ამ ძეგლების სულ გვიანდელ ეტაპს ძვ.წ. VI ათასწლეულით ათარიღებენ. ამ ეტაპის სამოსახლოებზე უკვე გვხვდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები – ნამგლის ჩასართები, სასრეს-საფქვავეები და სხვ. ეს არტეფაქტები კი მიანიშნებენ იმაზე, რომ იმდროინდელი მცხოვრებლები უკვე მინათმეოქმედება-მესაქონლეობაზე გადავიდნენ. ეს კი საზოგადოებაში მიმდინარე კარდინალურ ძვრებზე მიგვანიშნებს. ამ პროცესის ბოლო ფაზა გამოკვეთილად ჩანს ძვ.წ. IV ათასწლეულის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ადრესამინათმეოქმედო კულტურის ძეგლებზე [იხ. Kiguradze 1986].

ქვემო ქართლის ძვ.წ. V-IV ათასწლეულის სამოსახლოთა არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა უძველესი ადგილობრივი სამინათმეოქმედო საზოგადოება, რომელთა ცხოვრების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა მარტივ მორწყვაზე დამყარებული მინათმეოქმედება და მასთან ერთად მეცხოველეობაც. ეს არქეოლოგიური ძეგლებია – არუხლო I - IV, შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა და სხვ. მათი გათხრებისას აღმოჩნდა ალიზით აშენებული ნაგებობანი, სამეურნეო სათავსები, მრავალფეროვანი კერამიკა, ქვისა და ძვლის იარაღები

(ძირითადად სამინათმოქმედო დანიშნულების). აქვე დადასტურდა მრავალფეროვანი პალეობოტანიკური მასალა – ხორბალი, ღომი, ქერი.

ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება ახალი ეტაპი ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში. ეს ეტაპი საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურაში „მტკვარ-არაქსის კულტურის“ სახელით იხსენიება. ეს არქეოლოგიური კულტურა ვრცელდება ტრანსკავკასიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩრდილოეთ ირანში და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. საქართველოში ამ კულტურის კლასიკურ ძეგლებად მიჩნეულია – საჩხერის ყორღანები, ქვაცხელები, ხიზანანთ გორა, ამირანის გორა, ილტო, სამშვილდე, კოდა, ჟინვალის ნამოსახლარი, ღრმახევისთავი, დილომი და ა.შ. „მტკვარ-არაქსული კულტურა“ თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებით განვითარებული მინათმოქმედ-მესაქონლეთა საზოგადოების კულტურადაა მიჩნეული. მასში უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარიდან აღინიშნება მეტალურგიის გამოყოფა ცალკე დარგად [საქართველოს არქეოლოგია, 1992].

წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულის და II ათასწლეულის პირველი ნახევრის ანუ შუა ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური შესწავლა, რასაც საფუძველი დაედო თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის აღმოჩენით [იხ. Куфтин 1941]. ასეთივე არქეოლოგიური მონაცემები დადასტურდა დმანისის რ-ნში გომარეთის პლატოზეც. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ამ კულტურის ახალი კერები დადასტურდა – მცხეთაში, კახეთში და სხვ. აქ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა – ხის ძელებით ნაგები სამარხი ნაგებობები, მდიდრული არტეფაქტები: დასაკრძალავი ეტლები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ბრინჯაოს იარაღი, შავად ნაპრიალები კერამიკა.

უახლესი გამოკვლევებით ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე აღინიშნება სანარმოო ძალების, პირველ რიგში, ბრინჯაოს მეტალურგიის დაჩქარებული განვითარებით, მინათმოქმედების კიდევ უფრო აღმავლობით და პროტოურბანისტული ცივილიზაციის წანამძღვრების გამოჩენით. ამ ტიპის ძეგლების კვლევა სათავეს იღებს მცხეთის სამთავროს გათხრებიდან [იხ. ჯაფარიძე 2003; ჯაფარიძე 2006].

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები – სამოსახლოები, სამაროვნები, სამლოცველოები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების ნაშთები. ამ პერიოდის ძეგლები აღნუსხული და ნაწილობრივ გათხრილ-გამოკვლეულია: შიდა ქართლში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ივრისა და არაგვის ხეობებში, ქვემო ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, კოლხეთში, სვანეთში, რაჭაში და ა.შ.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის მსხვილი დასახლება, რომელიც პროტოქალაქური ტიპის დასახლებას ჰგავს, აღმოჩენილია თბილისთან, დილომში – „თრელი გორები“. მისი არქეოლოგიური გათხრები დღესაც მიმდინარეობს.

ქართველმა არქეოლოგებმა გარკვეულწილად წარმატებას მიაღწიეს რკინის მეტალურგიის შესწავლისას, საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების დაწყება არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ძვ.წ. XIV ს-დან ჩანს, ხოლო მისი ფართოდ ათვისება ძვ.წ. IX ს-დან ივარაუდება. საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდის რკინის წარმოების ასეულობით ფაქტია გამოვლენილი, რკინის გამოსადნობი ქურის, წიდეების და მადნეულის სახით. ეს არტეფაქტები არქეოლოგიურად აღმოჩენილია – პალურში, ნიგვზიანში, ურეკში, მერხეულში, ბრილში და სხვ. ძვ.წ. VIII-VII სს. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლილ ძეგლებზე დადასტურებულია რკინის სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღების საოცარი სიმრავლე [იხ. Хахуцаიшвили 1987].

კლასიკურ ეპოქაში ძველი საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ჰეგემონობა კოლხეთისა და იბერიის (ქართლის) სამეფოებმა მოიპოვეს (ორივე ეს სამეფო ბერძნულ-რომაული და ქართული წერილობითი წყაროებით კარგად არის ცნობილი), რომელთა ადგილსა და საფუძველზე წარმოიქმნა ერთიანი სახელმწიფო – საქართველო.



სწორედ კლასიკური ეპოქის ამ სამეფოთა შესწავლის საქმეში ქართველმა არქეოლოგებმა მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს. დღესდღეობით არქეოლოგიურად შესწავლილია ქართულ და ბერძნულ წყაროებში არაერთგზის დაფიქსირებული ნაქალაქარები, კერძოდ: მცხეთა-არმაზციხე [იხ. აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე 1955], ნასტაკისი, უფლისციხე, ძალისი, სარკინე, შორაპანი, ბიჭვინთა, აფსაროსი და სხვ. ამავე პერიოდის ძეგლებია – სამადლო, ციხიაგორა, ვანი, ეშერი, ქობულეთი-ფიჭვნარი, საირხე, საქორქიო, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე და სხვ. ამ არქეოლოგიური ძეგლების უმეტესობას ურბანიზაციისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვთ. კერძოდ, თავდაცვითი კედლები, აკროპოლისი, კრამიტით გადახურული და თლილი ქვით ნაგები საზოგადოებრივი და საკულტო შენობები, აბანოები [იხ. ლორთქიფანიძე 2002; Lordkipanidze 1991; გამყრელიძე 2002; გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი 2005; Braund 1994].

ქართველი არქეოლოგების მრავალწლიანი ძალისხმევით ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების კოლხეთი გამოჩნდა როგორც რეალური ქვეყანა თავისი სახელმწიფოებრიობით, განვითარებული მინათმოქმედებით, ქალაქებით, მრავალმხრივი ხელოსნური წარმოებით, საომარი იარაღებით, თავისებური კერამიკით, ტორევტიკით, ოქრომჭედლობით, მონეტებით, არქიტექტურით და სხვ.

ზემოთ ნახსენები არქეოლოგიური ძეგლებიდან მომდინარე არტეფაქტები ძირითად წყაროდ იქცა საქართველოს ისტორიის ისეთი პირველხარისხოვანი სამეცნიერო საკითხების შესწავლისას, როგორცაა არქაულ-კლასიკური პერიოდის საქართველოს საზოგადოების სტრატეფიკაცია, სამოსახლოების და ქალაქების ტოპოლოგიურ-ფუნქციური კლასიფიკაცია, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები გარე სამყაროსთან, ხელოსნური წარმოება, მინათმოქმედება, ფულადი მიმოქცევა, იდეოლოგია, ხელოვნების ნიმუშების კვლევა, არქიტექტურა და სხვ.

საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები სხვა პერიოდის ძეგლებთან შედარებით უფრო მრავალია. ქართველმა არქეოლოგებმა შეისწავლეს შუა საუკუნეების ნაქალაქარები, ნასოფლარები, ციხესიმაგრეები, წარმოების ნაშთები, საკულტო ხუროთმოძღვრება, სარწყავი და სანიტარული სისტემები. მიმდინარეობს კონკრეტული არტეფაქტების კვლევა – კერამიკა, ლითონი, მინა, სამკაული, იარაღი, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ. [იხ. ლომთათიძე 1977].

გასული საუკუნის 60-70-იან წლებიდან მოყოლებული ფართო საველე კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე: თბილისში, რუსთავში, უჯარმაში, ვარდციხეში, ჟინვალში, სოფ. კაზრეთში, სოფ. მთისძირში (ვანის რ-ნ), ბალიჭში, დმანისში, ახალქალაქში (ჯავახეთის რ-ნ), გავაზში, თელავში, ფოთში (პალიასტომის ტბასთან) და სხვ. გრძელდება ცალკეული არქეოლოგიური არტეფაქტების კომპლექსური შესწავლა. კერძოდ, კერამიკის, ოქროს და ვერცხლის სამკაულების, ტორევტიკის ნიმუშების, მინის ნაწარმის, შეიარაღების, სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების, გლიპტიკური, ნუმიზმატიკური და სხვა ნიმუშების კვლევა.

არქეოლოგიის ცენტრის, საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების პერიოდში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიზანი და საგანია:

1. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლთა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.
2. არქეოლოგიურ არტეფაქტთა ტიპოლოგიური შესწავლა.
3. ბიოგეოგრაფი (ფლორა, ფაუნა, კლიმატი, ზღვის ტრანსგრესია და სხვ.) კლასიკურ და ადრე-შუა საუკუნეებში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
4. პოლიტოგენეზი – საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
5. საქართველოს ტერიტორიაზე კლასიკური და ადრე შუა საუკუნეების ეპოქის სოციალური სტრატეფიკაციის კვლევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.

6. ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების გამოყენება კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციისათვის.
7. საქართველოს კლასიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კარტოგრაფირება და ზუსტი კოორდინატების განსაზღვრა.
8. სამარხთა აღნაგობის, ტიპის, სამარხეული კომპლექსების ანალიზის; დაკრძალვის წესის და რიტუალის კვლევა კლასიკური და ადრე შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
9. ურბანიზმის გენეზისის პრობლემების კვლევა.
10. კლასიკური და შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრუქტურების კვლევა არქეოლოგიური თვალთახედვით.
11. ხელოსნური წარმოების კვლევა; ლითონის, კერამიკის, მინის, ქსოვილის, ტყავის სანარმოები.
12. ვაჭრობის ხასიათის; გზების, ხიდების, გადასასვლელების, საზღვაო და სამდინარო გზების, სატრანზიტო მაგისტრალის კვლევა.
13. სატრანსპორტო საშვალეების კვლევა (სახმელეთო, საზღვაო, სამდინარო და სხვ.).
14. სამონეტო მიმოქცევის და ვაჭრობის კვლევა.
15. დემოგრაფიული სიტუაცია და მოსახლეობის მიგრაციის კვლევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით.
16. სამოსახლოთა განლაგების ხასიათი და ტიპი.
17. ნაგებობათა მორფოლოგია და გეგმარების თავისებურებები.
18. სამოსახლოთა საამშენებლო მასალების (ქვა, ხე, ალიზი, აგური, კრამიტი) და მშენებლობის ტექნიკის კვლევა.
19. რელიეფის მიხედვით, სამოსახლოთა შედარებითი ანალიზი.
20. კლასიკური და შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების გეგმარების და არქიტექტურის კვლევა.
21. კლასიკური და შუა საუკუნეების სამეურნეო იარაღების კვლევა.
22. მცირე პლასტიკის კვლევა.
There are five examples of "Clactonian" flakes in the assemblage. All are low, wide and solid. Their striking platform slopes towards the back, and they have a projection of relief flaking and chips along the sharp edge produced through use (pl. V, 3).

Taking into account the degree of patination and the presence of Levallois technical features, this complex of basalt and andesite tools and flakes is close to the Mousterian material of Kumurdo (Javakheti) (Grigolia 1966), but seems more archaic in terms of typology and technology, and displays such signs of Acheulian traditions as bifacial technique and fan-like nuclei. It should therefore be dated to the early Mousterian period and the material found by Prof. Gabunia should presumably be dated to the same period (Gabunia 2006: 17-27). More important material was revealed in the second (lower) level at Chorati, a conglomerate consisting of lithic cores of various sizes, yellow sand and gypsum-bearing soil. Judging by the local Quaternary data, Chorati must correspond to the fifth of the 12 terraces recovered in the Potskhovi valley (Maisuradze 1969, 233), at a height of 70-80 m relative to the Akhaltsikhe depression.

It has been noted that there have not so far been found any examples of fossil forms in the Quaternary sediments of the Akhaltsikhe basin that would enable us to estimate the location of terraces and the extent of the young lava in the stratigraphic column of Quaternary sediments (Maisuradze 1969, 313). The discoveries in the lower level at Chorati might therefore serve as significant correctives to the dating of Terrace V at Potskhovi. In which case, it is remarkable that the material of level II was incorporated in the conglomerates, and this in turn indicates that the formation of Terrace V took place incorporating this material and that the terraces must consequently be contemporary.

In the area of grids Nos 16-31 at Chorati, the first or the humus layer was removed and when the earth surface of the second layer was uncovered, ten stone tools and flakes of andesite-diorite came to light em-

bedded in the upper gypsum-bearing horizon. Although only a small amount of material was recovered, it is very interesting from the typological, chronological and palaeogeographical perspectives.

It must be mentioned that the exterior facets of every piece in this complex are badly worn, typical of water driven alluvial material. A thick patina completely obscures the natural dark colour of the stone. A heart-shaped hand-axe fashioned by means of the bifacial technique is especially note-worthy among the finds of Level II (pl. V, 4). A basalt or perhaps diorite pebble or rough chip was used for making the hand-axe. The whole length of one side of the tool, including its rounded bottom and the adjoining long side was formed by having lateral solid flakes knapped off by striking the edges. The lower platform of the hand-axe is divided into two parts by a high, broken crest. Its left half is untreated, smooth and sloping, while the upper right part is formed with lateral flakes, typical of bifacial tools. The main line of the longitudinal sides of the hand-axe is broken, a feature that is diagnostic of archaic technical traditions of stone treatment. Most of the lower platform of the tool is covered with a thick coating of gypsum indicative of its having been embedded for a long time in a gypseous conglomerate, which somehow protected the lower platform of the hand-axe from intensive wear or patination.

Similar surface states occur on three conical nuclei, which are actually andesite cores with a slightly flaked striking platform sloping to the back, and low facets of flakes in different directions which are almost worn off preserved on the surface, (pl. VI<sub>1-2</sub>). The dorsal sides of the nuclei are, as a rule, covered with a thick coating.

One of the most remarkable tools among the finds of Level II was a chopper. It was made from an oval andesite lithic core split in the middle, whose lower platform is horizontal and the upper convex (pl. VII<sub>1</sub>). The lower wide rectilinear side was the main operating part of the tool. It is treated with wide flakes on the dorsal side and is crushed through use. The facets of the upper platform are badly worn and are covered with a thick opaque grey patina. A gypsum deposit is preserved on the lower platform. Another oval solid andesite core must have had the same chopping function. Its upper side has two sloping sides whose central raised uneven crest is badly worn. At top and bottom three wide longitudinal flakes are chipped off. The other side of the tool is, in fact, horizontal and has slight traces of chipping on two wide lateral flakes (pl. VII<sub>2</sub>). At the narrow end of the chopper the negative scars of three flakes can also be discerned on the lower platform, diagnostic of tools made for chopping. The surface of the tool is completely covered with thick opaque grey patina. It was uncovered in grid No. 32a at Chorati, where it was embedded in the gypsum-rich conglomerate of Level II.

There were four scrapers in the Chorati assemblage; all are formed on a rough chip of andesite by single side treatment. An exception is an oval tool with three sloping sides. Both longitudinal sides and its lower end are formed from the upper platform with rough steep retouching. The lower end is also corrected from the ventral side with flat flakes (pl. VI<sub>3</sub>), which resembles a common element for bifacial technique.

Another scraper formed on a solid wide andesite flake displays similar technical features. The tool is re-touched all round from both platforms. This is particularly true of the grooved sides of the scraper which are formed with steep retouch from both platforms (pl. VII<sub>3</sub>). The presence of this feature means that this tool is a typical example of a grooved-sided scraper. The facets and edges of the scrapers, as well as of all the tools and flakes in the complex are badly worn and abraded, typical of material that has been in a river. Patination of the surface and a gypsum-rich deposit on one of the platforms is also typical of scrapers.

Material from Level II is hardly ever found on the surface. The distinctive archaic technical modeling, the intensive patination of the surface, worn facets and gypsum-rich sediments preserved on surfaces, all the archaic features diagnostic of the Chorati Acheulian period settlement, are occasionally found. The material from Level II at Chorati has something in common with Acheulian period sites in Samtskhe-Javakheti and Adjara; sites such as Akhalkalaki I and II (Grigolia 1966), Murji, Akhalkalaki III and Akhalkalaki IV (Gabunia 1994), dwellings in Kars, Turkey, north-west Anatolia, Acheulian sites on the Armenian plateau and finds from Bulula

(Khulo district) in the mountains of Adjara (Grigolia 2002; Grigolia 2007). As well as general similarities, the assemblage of Level II at Chorati can be deemed to be archaic by the preservation of the surface as well as typological and technological features. It should preliminarily be dated to the Early Acheulian period.


The discovery of the Chorati II Paleolithic settlement is important because it helps to define more precisely the palaeo-geographic situation in the area, in particular the dating of the terraces of the Potskhovi valley. As mentioned above, the Chorati settlement is situated on Terrace V at 70-80 m above the Akhaltsikhe depression, dated by specialists of Quaternary geology, such as D. Jighauri, J. Tsereteli, or G. Maisuradze, to the Upper Quaternary (Maisuradze 1969: 205). In our view, the discovery of Stone Age sites at Chorati should lead to a reconsideration of presumed dates of the terraces.

### Bibliography:



- Gabunia M. 1994:** *samkhret sakartvelos vulkanuri mtianetis dzveliqvis khana (The Lower Paleolithic Period of the South Georgian Volcanic Highlands)*. Doctoral thesis, Tbilisi.
- Gabunia M. 2006:** tchoratis qvedapaleolituri ghia adgilsapovneli (The Chorati Lower Paleolithic open dwelling). *Dziebani. Researches in Georgian Archaeology* 17-18, 17-27.
- Grigolia G. 1966:** javakhetis kveda paleolituri dzeglebi (Lower Paleolithic Monuments of Javakheti. *Materials for Georgian and Caucasian Archaeology* 4, Tbilisi.
- Grigolia G. 2002:** pirvelqophili adamianis udzvelesi nakvalevi archarashi (Ancient traces of primitive man in Adjara). *Proceedings of the Batumi Archaeological Museum* 2, Tbilisi.
- Grigolia G. 2007:** kveda paleolituri dzegli atcharis maghal mtianetshi (A Lower Paleolithic site in the highlands of Adjara). *Studies on South-West Georgian History, Adjara* 1. Tbilisi.
- Maisuradze G. 1969:** *akhaltsikhis kvabulis meotkheuli nalekebi da reliephis ganvitarebis istoria (mtkvrის zemo auzi sakartvelos pharglebshi) (Quaternary Sediments of the Akhaltsikhe Depression and the History of Relief Development [The upper basin of the Mtkvari within Georgia])*. Doctoral thesis, Tbilisi.

### Illustrations:


PIs I – VII – Stone industry from the Chorati settlement.




II




1








3





2













1




2










3



4







## ქვის ხანის მონაპოვრები თრიალეთიდან

2002 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ნალკა-თრიალეთის რეგიონში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები გაიშალა. ეს მხარე ათწლეულების მანძილზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში თრიალეთის მაღალმთიან ზოლში, ნალკის პლატოზე წარმოებული საველე სამუშაოების შედეგად გამოვლინდა უნიკალური კულტურები, რამაც საფუძველი ჩაუყარა სისტემატურ არქეოლოგიურ გათხრებს ამ რეგიონში. 1936 წლიდან მოყოლებული დღემდე, მეცნიერთა ინტერესი ამ მხარისადმი არ შენელებულა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უკანასკნელი წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა არაერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა შესძინა საქართველოს არქეოლოგიას.

ერთ-ერთი პირველი ცნობა პრეისტორიული არტეფაქტების აღმოჩენის შესახებ სწორედ ამ რეგიონიდან მომდინარეობს. ეს გასაკვირი არცაა, მთელს თრიალეთში ძნელად თუ მოიპოვება ადგილი, სადაც პირველყოფილი ადამიანის კვალი არ ფიქსირდებოდეს – მსურველი დღესაც მრავლად მოიპოვებს უძველესი ადამიანის მიერ დამზადებულ ხელოვნურ ანატაკეცებს.

ჯერ კიდევ 1887 წ. ა. უვაროვმა გამოაქვეყნა მოკლე ცნობა თანდართული ტაბულით ხრამის ხეობაში მოპოვებულ მასალაზე [Уваров 1887: 85]. ა. იოაკიმოვის ობსიდიანის კოლექცია მოგვიანებით კავკასიის მუზეუმის კატალოგში გამოქვეყნდა [Уваров 1887: 205]. 1896 წ. ექ. თაყაიშვილმა ნალკის რაიონში ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილი ობსიდიანის ფირფიტებისა და ნვეტანების კოლექცია გამოაქვეყნა. 1936 წ. ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთან დაკავშირებით დაწყებული სისტემატური საველე სამუშაოების დროს ბ. კუფტინმა სოფ. ბარმაქსიზში აღმოაჩინა მეზოლითური სადგომი [Куртин, 1941: 119-123]. 1946 წ. ლ. მარუაშვილმა გეომორფოლოგიური კვლევებისას კიდევ ერთი მეზოლითური ძეგლი, ზურტაკეტის სადგომი გამოავლინა [Маруашвили, 1946: 56-61]. 1943-63 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ხსენებულ რაიონში მუსტიესა და ადრენეოლითის ხანის კაჟისა და ობსიდიანის მასალა მოიპოვა. ეს კოლექციები გამოქვაბულებსა და მათ მიმდებარე ტერასებზე იყო შეგროვილი [ბერძენიშვილი, 1963: 5-12]. 1963-67 წწ. ეძანსა და ზურტაკეტში განახლებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს მონოგრაფიული კვლევა მ. გაბუნია მიუძღვნა.

იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, თრიალეთში მიმდინარე სტაციონარული თუ დაზვერვითი სამუშაოების პროცესში მკვლევარებს არაერთხელ მიუთითებიათ სპორადულად გამოვლენილი ქვის ხანის მასალების არსებობაზე ამ რაიონში. 1998 წელს ნალკა-თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ნარიმანიშვილი) ადგილობრივი მოსახლეობისაგან მუსტიერული ხანის ნიშანდობლივი კოლექცია შეიძინა (დაცულია ნალკის მუზეუმში). 2003 წელს ადგილობრივი მაცხოვრებლისაგან ექსპედიციამ მრავალრიცხოვანი კოლექცია შეიძინა, რომელიც ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით ყველა ეპოქის მასალას შეიცავს [ნარიმანიშვილი, 2004: 3].

ამავე წლებში ნალკის პლატოზე დაფიქსირდა რამდენიმე ღია (სავარაუდოდ მეზოლითური) და მღვიმური სადგომი. 2002-2006 წწ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანში წარმოე-

ბული გათხრების შედეგად, სოფ. ავრანლოს, სანთასა და ბეშთაშენის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვის ხანის მასალები გამოვლინდა [ნარიმანიშვილი, 2003: 17]. ავრანლოში ზედაპირულად აკრეფილი და აი-ილიას სადგომებზე გავლებული თხრილებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა გვიანდელი ხანის მონაპოვრებთან ერთად პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქის არტეფაქტებით იყო წარმოდგენილი.

სოფელი ავრანლო მდებარეობს წალკის რაიონში, მდინარე ქციის ნაპირებზე, წალკიდან 35 კმ დაცილებით, ზღვის დონიდან 1580 მ სიმაღლეზე. 1998 წელს რეგიონში განახლებული სამუშაოების შედეგად, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ზედაპირულად აიკრიფა პალეოლითური და ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები (ქვის ნაკეთობები, კერამიკა).

სამუშაოები მიმდინარეობდა სოფ. ავრანლოს ჩრდილო-დასავლეთით აღმართულ ზეგანზე მდებარე მინდვრის აღმოსავლეთ კიდედან. მინდვრის სამხრეთით მოედინება მდ. ქცია, რომლის ღრმა კანიონის გასწვრივ, ფრიალო ფერდობებზე და თხემზე გაშენებულია „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრე, კანიონის კედელში მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. ციხეს ჩრდილოეთიდან ჩამოედის მოზრდილი რუ, რომელიც გამოედინება ციხის ჩრდილოეთით, დაახლ. 1,5-2,0 კმ დაშორებული წყაროდან. ციხეს ჩრდილოეთით და დასავლეთით ეკვრის მდელი, რომლის ზედაპირზეც ვიზუალურად შეინიშნება ნამოსახლარისა და სამაროვნის ნაშთები. ქვის მასალა სწორად ამ მიდამოებში გამოვლინდა.

თრიალეთის სიძველეებს პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა ექ. თაყაიშვილმა. მანვე მიუთითა პირველად სოფ. ავრანლოსთან გამოქვაბულებისა და სხვა ნაგებობების კვალის არსებობაზე. ხრამის კანიონისებურ ხეობაში (ვახუშტის მიხედვით, „თევზის ხრამი“) მდებარე გამოქვაბულთა ჯგუფებიდან ყველაზე მასშტაბური ავრანლოს გამოქვაბულთა კომპლექსია. [ბახტაძე, 1991: 92]. მღვიმეები მდინარის მარცხენა ნაპირზე, წმ. გიორგის ეკლესიის მიდამოებში, შვეულ კლდეში სამ იარუსადაა გამოკვეთილი. ცხოვრების კვალი დაფიქსირებულია ადრეული, გვიანი ბრინჯაოსა და შუა საუკუნეების ფენებით. კლდის ძირში ობსიდიანის იარაღები მოიპოვება [ნარიმანიშვილი, 2004: 5].

გამოქვაბულების მეორე ჯგუფი უფრო აღმოსავლეთით, წმ. ღვთისმშობლის ეკლესიის მიდამოებშია. ერთი მათგანი მდინარისეულ პირველ ტერასაზევეა განლაგებული. მესამე ტერასაზე, ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის მარჯვნივ მდებარე ბუნებრივი გამოქვაბული მინითაა შევსებული ისე, რომ მისი სიმაღლე 1,0-1,2 მ-ს არ აღემატება. სიგრძე 9-10 მ-ია, სიგანე – 6-7 მ. გამოქვაბულის წინ მოედანია, რომელიც მსხვილი ქვებითაა შემოზღუდული. ბაზალტის იარაღები შესასველთან და მოედანზეა აღმოჩენილი. ლამელები მხოლოდ ზედა მინდორზე გვხვდება [ნარიმანიშვილი 2004: 8].

ვინაიდან ამ მიდამოებში აღმოჩენილი ქვის მასალა სტრატოგრაფიულ კონტექსტს მოკლებულია, კოლექციისა და ცალკეული არტეფაქტების ეპოქალური კუთვნილების განსაზღვრის მცდელობა ვარაუდის ფარგლებს ვერ გასცილდება. ინვენტარის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, მუსტიესა და მეზოლითის ეპოქებს განეკუთვნება. რაც შეეხება ნამგლის ჩასართებს, ამ ეტაპზე უფრო მართებული იქნებოდა ამ მასალის მტკვარ-არაქსის კულტურული კომპლექსისათვის მიკუთვნება.

ციკლოპური ციხე-სიმაგრის მიმდებარე ზეგანზე, ქციას მარცხენა შენაკადთან ხევში ჩამენყრილ ფენაში აღმოჩენილ იქნა ქვის იარაღების მცირერიცხოვანი კოლექცია. იარაღები გაფორმებულია ანდეზიტისა და ობსიდიანის მოზრდილ ანატაკეცებზე. ანატაკეცებს საკმაოდ ფართო დარტყმის მოედანი და მკვეთრად გამოხატული ბურცობი აქვს. ზოგიერთზე შენარჩუნებულია კაჭრის კანი, რაც კოლექციას არქაულ იერს სძენს (ტაბ. I). ამავე ფენაში განლაგებული იყო ორმხრივ ამოღარული ობსიდიანის საფხეკი (ტაბ. II); სამი მხრიდან რეტუშირებული ობსიდიანის მომრგვალო საფხეკი (ტაბ. II<sub>გ</sub>) და ობსიდიანის კომბინირებული იარაღი – საფხეკ-საჭრისი (ტაბ. II<sub>დ</sub>). სოფ. ავრანლოდან რეხასაკენ მიმავალ გზასა და ციკლოპურ ციხე-სიმაგრეს შორის მოქცეულ მინდორზე, პატარა ხევით ეროზირებულ მდ. ქციას ნაპირზეა აღმოჩნდა ობსიდიანის რეტუშირე-

ბული ანატკეცი (ტაბ. II<sub>10</sub>), სამი ერთეული კაჟის ნამგლის ჩასართი (ტაბ. II<sub>11-13</sub>) და ერთი კომბინირებული იარაღი – საფხეკ-სახვრეტი (ტაბ. II<sub>14</sub>).

ციკლოპური ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე აიკრიფა ორმოცამდე ერთეული ქვის იარაღი. კოლექცია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ობსიდიანის ორი მხრიდან რეტუშირებული წვეტანები (ტაბ. II<sub>15,17,20</sub>); ორმხრივ რეტუშირებული საჭრისი (ტაბ. II<sub>16</sub>); ობსიდიანის საფხეკი წვრილი გამაფხიანებელი რეტუშით (ტაბ. II<sub>18</sub>); ობსიდიანის დიდი ზომის ცალ მხარეს დამუშავებული საფხეკი, (ტაბ. II<sub>1</sub>), ობსიდიანის საჭრისი წვრილი რეტუშით (ტაბ. II<sub>2</sub>); ობსიდიანის წვრილად რეტუშირებული ლამელები და ლამელის ფრაგმენტი (ტაბ. II<sub>3-4,19</sub>); ობსიდიანის ანატკეცები მსხვილი რეტუშით (ტაბ. II<sub>6,23</sub>); ობსიდიანის ნუკლეუსი (ტაბ. II<sub>21</sub>); ანდეზიტის ხელცულები (ტაბ. III<sub>1-2,4</sub>); ანდეზიტის დაუმუშავებელი და ნაწილობრივ დამუშავებული ანამტკერევი (ტაბ. III<sub>3,5-11</sub>); ანდეზიტისა და ობსიდიანის ნატეხი ფირფიტები დამუშავებისა და გამოყენების კვალით (ტაბ. V<sub>8-11,41-47</sub>); კაჟის ნამგლის ჩასართები (ტაბ. V<sub>1-7</sub>).

უფრო მრავალრიცხოვანი და სტრატეგრაფიულად გაკონტროლებული (თუმცა გადაადგილებული და არეული) ქვის მასალა აი-ილიას ნამოსახლარზე იქნა მოპოვებული. აი-ილიას ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ბეშთაშენსა და სანთას შორის აი-ილიას მთის გარშემო ზ.დ. 1683,1 მ სიმაღლეზე. მთის თხემი და ფერდობები უკავია “ციკლოპურ” სიმაგრეს, ნამოსახლარსა და ხელოვნურ ტერასებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენი გადის აი-ილიას მთის სამხრეთ კალთაზე, “ციკლოპურ” სიმაგრესა და ნამოსახლარს შორის.

2002 წლის სექტემბერში დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ქვის მასალა აქ გვიანმეზოლითური და ადრენეოლითური სადგომის არსებობაზე მიუთითებდა [ნარიმანიშვილი 2003:]. 2002 წ. მთის თხემი და ფერდობები აიგემა ტოპოგრაფიულად. ტერიტორია დაიყო A, B, C, D უბნებად. 2003 წ. წარმოებული გათხრების დროს ფართობს E უბანი დაემატა. უძველესი ფენების შემცველი თხრილები 1.0×1.0 კვადრატებად დაიყო.

აი-ილიას ფენათა სტრატეგრაფია ამგვარად იყო წარმოდგენილი:

1. კორდოვანი ფენა, 0,05-0,1 მ სიმძლავრის. შეიცავდა კერამიკისა და ობსიდიანის მასალას.
2. შავი ყომრალი ნიადაგის ფენა, 0,1-0,3 მ სიმძლავრის. შეიცავდა შუა საუკუნეების კერამიკასა და ობსიდიანის მასალას.
3. მოყვითალო თიხნარი ფენა, 0,05-0,26 მ სისქის. ზოგ ადგილას მისი სიმძლავრე 1,2-1,4 მ აღწევს.
4. ღორღოვანი ფენა (კლდოვან დედაქანამდე დასულ უბნებზე) სტერილური.
5. ვულკანური წარმოშობის დედაქანი.

ქვის ინვენტარი ძირითადად ქვემოთ დასახელებულ ეგზემპლარებს შეიცავდა: ლამელები გამაფხიანებელი და დამაბლაგვებელი რეტუშით (ტაბ. IV<sub>29,32,35,37,38,40</sub>); ლამელები დაუმუშავებელი (ტაბ. IV<sub>30,31,33,34,36,39,41</sub>); ოვალური საფხეკები (ტაბ. IV<sub>18,24-26</sub>); ბოლოკიდურა საფხეკი (ტაბ. IV<sub>27</sub>; ტაბ. V<sub>48</sub>); მართკუთხა საფხეკი (ტაბ. IV<sub>28</sub>; ტაბ. V<sub>52</sub>); მიკროსაფხეკები (ტაბ. IV<sub>1-17,21</sub>; ტაბ. V<sub>38,53,54</sub>); მრგვალი საფხეკები (ტაბ. V<sub>22,23</sub>; ტაბ. V<sub>50,51</sub>).

სატეხები ერთი და ორი სამუშაო პირით (ტაბ. V<sub>24-29</sub>; ტაბ. V<sub>34</sub>). საჭრისი დამზადებული ანატკეცის გადანატეხზე (ტაბ. V<sub>30</sub>). ობსიდიანის ნუკლეუსები (ტაბ. V<sub>31-33</sub>).

ანატკეცები დამაბლაგვებელი რეტუშით (ტაბ. V<sub>12,17</sub>; ტაბ. V<sub>37</sub>). ანატკეცები გამაფხიანებელი რეტუშით (ტაბ. V<sub>13,15,16,19</sub>). ამოღარული რეტუშირებული ანატკეცები (ტაბ. V<sub>20-23,39</sub>).

ძირითადი სანაკეთობო მასალა ობსიდიანია. სულ რამდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი კაჟის იარაღი. ქვის ინვენტარი, უმეტესწილად დამზადებულია მცირე და საშუალო ზომის ანატკეცებზე. მათი სამუშაო პირი გაფორმებულია წვრილი, გამაფხიანებელი და წვრილი და მსხვილი დამაბლაგვებელი რეტუშით მუცლიდან და ზურგიდან, ურთიერთსაპირისპირო რეტუშით ან ორივე ბოლოზე ბრტყელი და სასაჭრისე ანატკეცების ჩამოთლით.

2002 წ. მოპოვებული კოლექცია წარმოდგენილია რეტუშირებული ანატკეცებით (14) და ლამელებით (11). ანატკეცებში გამოიყოფა 6 რეტუშირებული ამოღარული ანატკეცი, 5 ანატკეცი დამაბლაგვებელი რეტუშით ნაპირებზე და 3 ანატკეცი ფხისმიმცემი რეტუშით. ლამელებს შორის 8 ცალი წვრილი ფხისმიმცემი რეტუშითაა ერთ ან ორივე მხარეს (სიგანე 1,5-3 სმ), 2 ცალი ორივე მხრიდან დამაბლაგვებელი რეტუშითაა გაფორმებული (სიგანე 1,2 სმ), ერთიც – ცალმხრივად რეტუშირებული და ამოღარული (სიგანე 1,5 სმ).

შედარებით მრავალრიცხოვანი სერიითაა წარმოდგენილი საფხეკები, რომლებიც ძირითადად ანატკეცებზეა დამზადებული (16 ც). მათგან უმრავლესობა მიკროსაფხეკებია – 6 ამოღარული, 4 მომრგვალებული, 2 ოვალური. საფხეკები რეტუშირებულია ზურგიდან ან ურთიერთსაპირისპიროდ მთელს პერიმეტრზე. მოპოვებულია აგრეთვე 3 ბოლორეტუშიანი მიკროსაფხეკი ოვალური სამუშაო პირით და ერთი გვერდულ საფხეკი, რომლის სამუშაო პირი გაფორმებულია ანაკეცის ფართო ბოლოზე. საჭრისი 7 ცალია: ლამელის გადანატეხის კუთხეზე დამზადებული 1 ეგზემპლარი (სიგანე 3,2 სმ), და 1 ორმაგი საჭრისი (სიგანე 2,4 სმ), ანატკეცის გადანატეხზე დამზადებული 3 საჭრისი და ორი კუთხის საჭრისი. სატეხებიდან 4 ცალი ანატკეცებზეა დამზადებული, ერთი — ნუკლეუსზე. სახვრეტები ერთი ეგზემპლართაა წარმოდგენილი. ესაა 2,4 სმ სიგანის რეტუშირებულ კაჟის ლამელაზე დამზადებული იარაღი სუსტად გამოხატული წვეთით.

კოლექციაში ჭარბობს მასალა მეორადი დამუშავების გარეშე - ძირითადად ანატკეცები. ლამელები, ნუკლეუსები და იარაღები შედარებით ცოტაა.

2003 წ. აი-ილიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა გაპოხილი ქვის 487 ერთეული (484 ობსიდიანის და 3 კაჟის). 2 ბაზალტის ქვა, რომელიც, როგორც ჩანს დასარტყმელ იარაღად გამოიყენებოდა. მასალაში კვლავინდებურად ჭარბობდა დაუმუშავებელი ანატკეცების რიცხვი (386 ცალი). აღმოჩნდა 23 ცალი დაუმუშავებელი ლამელა, 4 ნუკლეუსი, ორი სასაჭრისე ანატკეცი და 81 ცალი სხვადასხვა დასახელების იარაღი. იარაღებს შორის კვლავინდებურად ჭარბობს საფხეკები (41 ცალი): მიკროსაფხეკები, მცირე ზომის ანატკეცებზე დამზადებული მომრგვალო, ოვალური, მართკუთხა საფხეკები საპირისპირო რეტუშით მთელს პერიმეტრზე (33 ცალი). 3 საფხეკი დამზადებულია საშუალო ზომის ანატკეცებზე. ბოლოკიდურა საფხეკი 5 ცალია. რეტუშირებული ანატკეცები და ლამელები გაფორმებულია ფხისმიმცემი ან დამაბლაგვებელი რეტუშით ერთ კიდეზე ზურგის ან მუცლის მხრიდან.

სატეხი სულ 8 ცალია, ორ- ან ერთსამუშაოპირიანი. აქვე აღმოჩნდა ანატკეცის გადანატეხის კუთხეზე დამზადებული 1 საჭრისი, დიდი ზომის ანატკეცებზე დამზადებული სახოკი, მცირე ზომის ანატკეცებზე დამზადებული 2 საფხეკ-სახვრეტი. აი-ილიას ქვის მასალა პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ყველაზე ადრინდელი – მუსტიერული კოლექცია, გვიანმეზოლითისა და ადრენეოლითის ინვენტარი, რომელშიც უფრო არქაული იერის ეგზემპლარები გამოიყოფა (ობსიდიანის ლამელისებური ანატკეცები და კაჟის სახვრეტი, დამზადებული კაჭრის კანით დაფარულ მასიურ ლამელაზე). ეს უკანასკნელნი შეიძლება მეზოლითის უფრო ადრეული საფეხურითაც დათარიღდეს. ყველაზე გვიანდელი კოლექცია მსგავსებას ავლენს ელი-ბაბას სამაროვანზე გამოვლენილ თანადროულ მასალასთან და თითქმის იდენტურია აი-ილიას სხვა თხრილებში მოპოვებული ინვენტარისა [ჭელიძე, 2005: 34-45].

ამრიგად, აი-ილიას მთის თხემი და ფერდობები, ავრანლოს მიმდებარე არეები ადამიანს მეზოლითის ეპოქაში ფართოდ ჰქონდა ათვისებული. ზურტაკეტისა და ეძანის სადგომების, პატარა ხრამის პეტროგლიფების აღმოჩენა თავიდანვე ნათელს ხდიდა თრიალეთის რეგიონის მნიშვნელობას, სამხრეთ კავკასიაში ყველაზე სუსტად შესწავლილი მეზოლითის ეპოქის კვლევის თვალსაზრისით. მართალია, აქ მოყვანილ მასალას ერთი დიდი ნაკლი აქვს - ქვის ხანის მონაპოვრები ან ზედაპირული კოლექციების სახითაა წარმოდგენილი, ან გადაადგილებულია და არეული ფე-



ნებიდან მომდინარეობს, რაც მეტად ზოგად წარმოდგენას გვიქმნის პირველყოფილი ადამიანის ყოფასა და საქმიანობაზე. ასეთ პირობებში ამ მასალის ინტეგრირება ინტერდისციპლინარული კვლევის ბაზაში ძალზე პირობითი იქნებოდა. თუმცა ერთი რამ ნათელია, მასალის ასეთი სიმრავლე აქ მეზოლითური სადგომების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ქვის ხანის არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილია აი-ილიას მთის თხემის თითქმის ყველაზე მაღალ წერტილში და მისი ჩამორეცხვა მხოლოდ აქვე 30-40 მ-ში მდებარე მთის წვერიდან ან ფერდობიდან იყო შესაძლებელი. ამიტომ, ამ ადამიანის საცხოვრებლის ნაკვალევიც სწორად ამ ადგილებშია საძებნელი. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აი-ილიაზე მასალა დიდად არ იყოს გადაადგილებული, ან სულაც *in situ* მდგომარეობაშიც იყოს აღმოჩენილი. ამაზე უნდა მიუთითებდეს ერთ-ერთ თხრილში დაფიქსირებული სიტუაცია, სადაც ბაზალტის ქვებით შედგენილი კედლის ქვეშ მხოლოდ ობსიდიანის იარაღები იქნა აღმოჩენილი. მოგვიანო პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატყეხები კი მხოლოდ დანარჩენი ფართობის პრეპარაციისას აღმოჩნდა [ნარიმანიშვილი 2004: 57].

რაც შეეხება ავრანლოს, აქ შესაძლო რეკულტივაციის ნიშნები არ დასტურდება - მასალა აშკარად გამორეცხილია გამოქვაბულებიდან და მიმოფანტულია მღვიმის მიმდებარე მოედნებზე, ან გადაადგილებულია გამოქვაბულების ძირში მდებარე ტერასებზე. როგორც ჩანს, აქაც მეზოლითელი ადამიანი დასავლეთ საქართველოს კარსტული ოლქების მსგავსად, ფართოდ იყენებდა ბუნებრივ მღვიმეებს საცხოვრებლად. უფრო მეტიც, ვინაიდან ელი ბაზაზე, აი-ილიასა და ავრანლოს კოლექციებში უფრო არქაული იერის მატარებელი ეგზემპლარებიცაა წარმოდგენილი, არ არის გამორიცხული, რომ დაზვერვითმა სამუშაოებმა პალეოლითის ხანის სადგომებიც გამოავლინოს. ნალკის წყალსაცავთან, სოფ. ბეშთაშენთან აკრეფილი ზედაპირული მასალა მიუთითებს, რომ აქ ქვედა პალეოლითელ ადამიანსაც დაუდგამს ფეხი. გარდა მუსტიეს ეპოქის ნივთებისა, აქ აშელური ხანის მასიურ ტლანქ ანატკეცებთან ერთად ბიფასებიც გვხვდება. 2006 წ. სოფ. სანთის სამხრეთით მილსადენის დერეფნის 137 კმ-ზე შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ანდეზიტის ორმხრივ დამუშავებული ხელცული. საყურადღებოა ნალკაში აღმოჩენილი ძალზე დიდი ზომის ობსიდიანის ნუკლეუსი (32×12) მრავლობითი პარალელური დარტყმის მოედნებით კაჭრის კიდის გასწვრივ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, კიდევ ერთხელ ადასტურებს თრიალეთის მრავალმხრივი კვლევის აუცილებლობას და იმ პერსპექტივას, რასაც ამ რეგიონში აღმოჩენილი მასალების სიმრავლე სახავს. ქვემო ქართლი, დასავლეთ საქართველოს ადრეული კულტურებისაგან განსხვავებით. ხანგრძლივ იზოლაციაში არ უნდა მოქცეულიყო. სამხრეთ კავკასიონის ოროგრაფია აიოლებდა ადამიანების მოძრაობას სამხრეთიდან სუბმერიდიანული ქედების გასწვრივ. ადამიანთა ჯგუფების ინტენსიური გადაადგილებით უნდა აიხსნას თრიალეთის მეზოლითური კულტურის თავისებურება, რომელიც ერთდროულად საქართველოს შავიზღვისპირეთისა და წინააზიური კომპლექსების ზოგად ნიშნებს ითავსებს. ნალკასა და თრიალეთში აღმოჩენილი ახალი მასალები გარკვეულ სიახლოვეს ავლენენ ეძანის ქვის ინვენტართან, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება მიკროლითური საფხეკებისა და მცირე ზომის ანატკეცებზე დამზადებული მრგვალი საფხეკების სიმრავლით, თუმცა ლამელარული ტექნიკა აქ უფრო სუსტადაა გამოხატული. ეს საფუძველს გვაძლევს წინასწარულად განხილული მასალა გვიანმეზოლითური ხანით დავათარილოთ. ცალკე მსჯელობის საგანია ავრანლოსა და აი-ილიას კოლექციებში წარმოდგენილი ტრაპეციის ფორმის ნამგლის ჩასართები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის იარაღი გვიანდელ კულტურებშიც გვხვდება, ალბათ არ უნდა გამოირიცხოს მათი ნეოლითური ან ადგილობრივი ადრესამინათმოქმედო კულტურისათვის მიკუთვნების შესაძლებლობაც. ერთი რამ კი უდავოა, თრიალეთი ქვის ხანის ძეგლების მნიშვნელოვან საცავს წარმოადგენს და ამ რეგიონის კომპლექსურმა და გეგმაზომიერმა კვლევამ შესაძლოა ნათელი მოფინოს სამხრეთ კავკასიის ქვის ხანის არქეოლოგიის არაერთ მეტად საინტერესო საკითხს.

## ლიტერატურა

- ბახტაძე ნ. 1991:** ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი
- ბერძენიშვილი ნ. 1963:** ხრამის ხეობის პალეოლოთური ძეგლები. – მსკა, III, 5-17.
- ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ. 2003:** წალკის რაიონში 2002 წლის სექტემბერში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი), ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში
- ნარიმანიშვილი გ., დავლიანიძე რ., მინდიაშვილი გ., კვაჭაძე მ., ჭელიძე ლ. 2004:** აი-ილიას (BPGA-6) ნა-მოსახლარზე 2003 წელს ჩატარებული სამუშაოების წინასწარი ანგარიში (ხელნაწერი).
- ჭელიძე ლ. 2005:** ქვის პერიოდის ახალი სადგომი წალკაში. – ძიებანი, № 15-16, 30-45.
- Маруашвили Л. 1946:** Зуртакетская палеолитическая стоянка в Южной Грузии и ее геологическое значение. – “Природа”. Тбилиси.
- Куртин А. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси
- Уваров А. 1887:** Об обсидиановых орудиях найденных на Цалке А.Я. Иоакимовым. – Труды Археологического съезда в Тифлисе. Москва

## ტაბულების აღწერა

- ტაბ. I – 1-9. ავრანლო, ობსიდიანისა და ანდეზიტის ანატკეცები.
- ტაბ. II – ავრანლო. 1, 7, 8, 18. საფხეკები; 2, 16. საჭრისი; 3, 4, 19. ლამელები; 5, 6, 10, 22, 23. ანატკეცები; 9, 14. კომბინირებულ იარაღი; 11-13. ნამგლის ჩასართები; 15, 17, 20. წვეტანები; 21. ნუკლეუსი.
- ტაბ. III – ავრანლო. 1, 2, 4. ანდეზიტის ხელცულები; 3, 5-11. ანდეზიტის დაუმუშავებელი და ნანილობრივ დამუშავებული ანამტვრევები.
- ტაბ. IV – აი-ილია. 1-17, 21. მიკროსაფხეკები; 18-20, 22-28. საფხეკები; 29-41. ლამელები.
- ტაბ. V – ავრანლო. 1-7. ნამგლის ჩასართები; 8-11, 18, 41-47. ნატეხი ფირფიტები; აი-ილია. 12, 13, 15-17, 19, 20-23, 29, 35, 37, 39. ანატკეცები; 24-29, 34. სატეხები; 48-52. საფხეკები; 37, 38, 40, 53, 54. მიკროსაფხეკები; 30. საჭრისი; 31-33. ნუკლეუსები.

## STONE AGE FINDS FROM TRIALETI

In 2002 wide-scale archaeological work was carried out in the Tsalka-Trialeti region in connection with the construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline. This region had been one of the most important areas of archaeological research for decades. In the 1930s unique cultures were revealed as a result of fieldwork conducted in the highlands of Trialeti, on the Tsalka Plateau, and this laid the foundations of systematic archaeological excavation in the region. Scientific interest in this area has not diminished since 1936 and, as anticipated, research conducted in recent years has provided Georgian archaeology with several more significant discoveries. One of the first reports of the discovery of prehistoric artefacts comes from this very region. It is no surprise since traces of primitive humans are recorded almost everywhere throughout Trialeti; one can find numerous stone flakes produced by ancient people even today.

In 1887 A. Uvarov published a short illustrated report on material from the Khrami valley (Uvarov 1887, 85). A. Ioakimov's collection of obsidian later appeared in the catalogue of the Caucasian Museum (Uvarov 1887, 205). In 1896 E. Taqaishvili published a collection of obsidian objects and pointed tools that he had acquired from members of the public. In 1936, during systematic field works begun in connection with the construction of the Khrami hydro-electric station, B. Kuftin discovered a Mesolithic dwelling in the village of Barmaksizi (Kuftin 1941, 119-123). Another Mesolithic site, a dwelling at Zurtaketi, was found in 1946 by T. Maruashvili in the course of geo-morphological research (Maruashvili 1946, 56-61). The Khrami Valley archaeological expedition of the I. Javakhishvili Institute of History under the supervision of N. Berdzenishvili found Mousterian and early Neolithic flint and obsidian material in caves and on associated terraces (Berdzenishvili 1963, 5-12). M. Gabunia wrote a monograph on the results of excavations at Edzani and Zurtaket that had been resumed in 1963-1967.

Ever since, continued research in Trialeti has shown that Palaeolithic material occurs throughout the region. In 1998 the Tsalka-Trialeti Archaeological Expedition directed by G. Narimanishvili acquired a significant Mousterian collection from members of the public, that is now in the Tsalka Museum. In 2003 the expedition bought a large collection from a local resident, containing material from all periods from the lower Paleolithic to the Middle Ages (Narimanishvili 2004, 3).

In the same year several (presumably Mesolithic) dwellings were found on open ground and in caves on Tsalka Plateau. As a result of excavations carried out in the ROW [Right of Way] of the BTC pipeline between 2002-2006, Palaeolithic material was uncovered on the area adjacent to the villages of Avranlo, Santa and Beshtasheni (Narimanishvili 2003, 17). Surface finds from Avranlo and finds from trenches dug at the Ai-Ilia dwellings, together with later finds, included artefacts of the Palaeolithic, Mesolithic and Neolithic periods.

Avranlo is situated in Tsalka district, on the banks of the River Ktsia, 35 km from Tsalka, and 1580 m above sea level. In 1998, when work was resumed in the region, surface finds of Palaeolithic and Bronze Age artefacts were made by the Trialeti Archaeological Expedition (including stone objects and pottery). Work was carried out on the eastern edge of a field on a plateau to the north-west of Avranlo. The field is

bounded to the south by the river Ktsia. A "Cyclopean" fortress stands on the steep slopes and the crest of the deep canyon of the Ktsia. Numerous caves are cut in the wall of the canyon. A large stream flows to the north of the fortress, which has its source 1.5-2 km to the north. A meadow to the north produced lithic material.

E. Taqashvili was the first to carry out research on the antiquities of Trialeti. He it was that first pointed to the existence of caves and other features at Avranlo. Of the clusters of caves situated in the canyon-like valley of the Khrami ("Tezis Khrami" according to Vakhushiti) the Avranlo cave complex is the largest (Bakhtadze 1991, 92). The caves are carved in three tiers through the cliffs on the left bank of the river near St. George's church. Traces of domestic occupation are recorded through Early and Late Bronze and Medieval levels. Obsidian tools are found at the bottom of the cliff (Narimanishvili 2004, 5).

The second cluster of caves is located further east, near the church of the Virgin. One of them is situated on the first terrace of the river. A natural cave on the third terrace, to the right of the Avranlo "Cyclopean" fortress is filled with earth so that its height does not exceed 1.0-1.2 m. It is 9-10 m long and 6-7 m wide. There is a square in front of the cave, which is defined by large stones. Basalt tools were found at the entrance and on the square. Lamellae are found only on the upper field (Narimanishvili 2004, 8).

Since the lithic material found in this area lacks any stratigraphic context, the identification by period of the various artefacts is based merely on assumption. Most of the inventory, however, probably belongs to the Mousterian and Mesolithic periods. As for the sickle blades, they can be ascribed to the Kura-Araxes cultural complex.

On the plateau next to the "Cyclopean" fortress, at the left tributary of Ktsia, a small number of lithics were discovered in a level of fallen earth in the gorge. The tools are fashioned from large andesite and obsidian flakes. The flakes have a wide striking platform and prominent round protrusions. The outer skin of the original pebble is preserved on some of them, which gives the collection an archaic appearance (pl. I). The same layer contained an obsidian scraper with grooves on both sides (pl. II, 7), an obsidian rounded scraper retouched on three sides (pl. II, 8), and a composite obsidian tool part scraper and part burin (pl. II, 9). A retouched obsidian flake (pl. II, 10), three fragments of flint sickle blades (pl. II, 11-13) and one scraper-burin (pl. II, 14) were found in a field between the road running between Avranlo and Rekha and the "Cyclopean" fortress, where the bank of the Ktsia is eroded by a small gorge.

Nearly forty stone tools were collected within the "Cyclopean" fortress. They included: obsidian pointed tools retouched on two sides (pl. II, 15, 17, 20); a burin retouched on two sides (pl. II, 16), an obsidian scraper with a thin sharpening retouch (pl. II, 18), a large obsidian scraper treated with a single-sided retouch (pl. II, 1), an obsidian burin with a thin retouch (pl. II, 2), thinly retouched obsidian lamellae and a fragment of a lamella (pl. II, 3-4, 19), obsidian flakes with a thick retouch (pl. II, 6, 23), an obsidian nucleus (pl. II, 21), andesite hand-axes (pl. III, 1-2, 4), untreated and partly treated andesite chips (pl. III, 3, 5-11), broken plaques of andesite and obsidian with traces of working and use (pl. V, 8-11, 41-47), and flint sickle blades (pl. V, 1-7).

The Ai-Ilia settlement yielded even more pieces, and this time in stratigraphically controlled contexts (for all that they were somewhat disturbed). The Ai-Ilia settlement is located between the villages of Besh-tasheni and Santa around Mount Ai-Ilia, at 1683 m above sea level. The crest and the slopes of the mountain are occupied by a "Cyclopean" fortress, a settlement and artificial terraces. The BTC pipeline runs along the south slope of Mount Ai-Ilia between the fortress and the settlement.

The lithic material revealed by excavations begun in September 2002 pointed to the existence of a late Mesolithic and early Neolithic dwelling in this area (Narimanishvili 2003). A topographical plan of the crest and the slopes of the mountain was made in 2002. The area was divided into plots A, B, C and D. In 2003 plot E was added. The trenches containing the ancient levels were divided into grids of 1.0 x 1.0.

The stratigraphy of the levels of Ai-Ilia was represented as follows:

A layer of turf 0.05-0.1 m thick; contained pottery and obsidian.

A layer of black grayish soil 0.1-0.3 m thick; contained Medieval pottery and obsidian.

A yellowish loamy layer 0.05-0.26 m thick; in places 1.2-1.4 m.

A layer of detritus; in places reaching bedrock; sterile.

Volcanic bedrock.

The principal contents of the lithic inventory were: lamellae with sharpening and blunting retouch (pl. IV, 29, 32, 35, 37-38, 40); untreated lamellae (pl. IV, 30-31, 33-35, 39, 41); oval scrapers (pl. IV, 18, 24-26); a scraper-end scraper (pl. IV, 27; pl. V, 48); a rectangular scraper (pl. IV, 28; pl. V, 52); micro scrapers (pl. IV, 1-17, 21; pl. V, 38, 53-54); round scrapers (pl. V, 22-23; pl. V, 50-51).

Chisels with single and double edges (pl. V, 24-29; pl. V, 34). A chisel formed from a broken flake (pl. V, 30). Obsidian nuclei (pl. V, 31-33).

Flakes with blunting retouch (pl. V, 12, 17; pl. V, 37). Flakes with sharpening retouch (pl. V, 13, 15-16, 19). Engraved retouched flakes (pl. V, 20-23; 39).

Obsidian was the principal material; only a few flint tools were found. The lithic inventory was mostly made from small and medium-sized flakes. Their edges are formed with thin sharpening and thin and thick blunting retouching from the dorsal and ventral sides, opposed retouching or by knapping flat and cutting flakes on both edges.

The collection made in 2002 contains retouched flakes (14) and lamellae (11). There are 6 retouched engraved flakes, 5 flakes with blunting retouch on the edges and 3 flakes with sharpening retouch. Eight of the lamellae are formed with blunting retouch on both sides (width 1.2 cm) and one is retouched and engraved on one side (width 1.5 cm).

The number of scrapers is relatively greater and they are mainly formed on flakes (16 items). Most of them are micro scrapers: 6 engraved, 4 rounded, and 2 oval. The scrapers are retouched on the dorsal side or on two opposite sides along the whole perimeter. There are three micro scrapers with retouched ends and oval cutting edges and one scraper whose cutting edge is formed on the wide end of the flake. There are 7 burins: one example is made on the corner of a chip of a lamella (width 3.2 cm) and one double burin (width 2.4 cm), three burins formed on a chip of a flake and two corner burins. Four of the chisels are made on flakes, while one is formed on a nucleus. There is only one perforator. It is a 2.4 cm wide tool produced on a retouched flint lamella with a weakly expressed point. Most of the material lacks secondary treatment: what we mostly have are flakes. Lamellae, nuclei and tools are relatively few in number.

As a result of excavations on Mount Ai-Ilia in 2003, 487 items of split stone (484 obsidian and 3 flint) were collected. There were 2 basalt stones which were apparently used as striking tools. Again most were untreated flakes (386 items). There were 23 untreated lamellae, 4 nuclei, 2 burin flakes and 81 different tools. There are 41 scrapers among the tools: micro scrapers, rounded, oval, rectangular scrapers with opposed retouching along the whole perimeter produced on small-sized flakes (33 items). Three scrapers are formed on medium-sized flakes. There are 5 scraper-end scrapers. The flakes and the lamellae are formed with a sharpening or blunting retouch on one edge either from the dorsal or ventral side.

There are only eight chisels with one or two cutting edges. Nearby appeared a chisel made on a broken piece of a flake, a scraper made from large flakes, and two scraper-perforators made on small flakes. The material from Mount Ai-Ilia can theoretically be divided into three groups ranging from Mousterian at the earliest, to late Mesolithic and early Neolithic (containing examples of a more archaic appearance (obsidian

lamellar flakes and a flint perforator made on a solid lamella retaining the coating of the original pebble). The latter may be dated to an even earlier stage of the Mesolithic. The latest collection resembles contemporary material from the Eli-Baba cemetery and is almost identical with the inventory obtained from other trenches at Ai-Ilia (Chelidze, 2005, 34-45).

Thus, the crest and slopes of Mount Ai-Ilia, areas contiguous to Avranlo, were densely inhabited in Mesolithic. The discovery of the Zurtaketi and Edzani dwellings, and of the petroglyphs of Patara Khrami make it clear how important is the Trialeti region for the investigation of the Mesolithic period, perhaps the least studied in the South Caucasus, from its very beginnings. The material recovered here has one major drawback however: Stone Age material is either represented by surface finds or else it came from mixed layers, giving us only an approximate picture of the life and activities of primitive man. In these circumstances to integrate this material into an interdisciplinary research database would be very conditional. It is clear, however, that the numerous finds should point to the existence of Mesolithic dwellings. The Stone Age material was found at the highest point of Mount Ai-Ilia and could only have been washed down from the top or the slope of the mountain some 30-40 m away. Traces of human habitation should probably be looked for in this area, although it is just possible that the material on Ai-Ilia was mostly brought from elsewhere, or that it was found *in situ*. The situation recorded in one of the trenches, where only obsidian tools were unearthed beneath the wall of basalt stones, may be significant. Later potsherds were found during preparation work in the rest of the area (Narimanishvili 2004, 57).

As for Avranlo, signs of likely re-occupation have not been observed here; the material has obviously been washed out of the cave and is strewn on squares adjacent to the cave or has been transferred to the terraces below. It would appear that, as in western Georgia, Mesolithic people regularly lived in natural caves. Since, moreover, the collections made at Eli Baba, Avranlo, and Ai-Ilia include specimens of a more archaic appearance, future research may well reveal Palaeolithic dwellings as well. Surface finds made in the environs of Beshtasheni near the Tsalka reservoir point to the fact that Lower Paleolithic humans once walked here too. Apart from Mousterian items, there are bifacial objects next to Acheulean solid rough flakes. In 2006 an andesite hand-axe treated on both sides was found by chance south of the village of Santa, at 137 km on the ROW. A large obsidian nucleus (32 x 12 cm) with numerous parallel striking platforms along the boulder edge is also worthy of note.

All of this emphasizes once again the importance of wide ranging research in Trialeti and the possibilities suggested by the quantity of the material excavated in the region. Kvemo Kartli, unlike the early cultures of western Georgia, cannot have been isolated for a long period of time. The South Caucasus landscape made it easier for humans to move from the south along the sub-meridian mountain ranges. The peculiarity of the Trialeti culture of the Mesolithic period can only be explained by an intensive movement of human groups. The Trialeti culture combines general traits of both Georgian Black Sea coastal and Near Eastern complexes. The latest material discovered at Tsalka and Trialeti is close to the lithic inventory of Edzani, which is expressed in the first place by the quantity of microlithic and round scrapers made on small flakes, although lamellar technique is less evident here. It provides a basis for dating the material provisionally discussed here to the late Mesolithic period. The trapezoidal sickle blades represented in the Avranlo and Ai-Ilia collections are the subject of special discussion. This type of tool is common in later cultures as well, and they may be associated with Neolithic or Early Farming Culture. One thing is indisputable, Trialeti is a significant source of Stone Age sites and the comprehensive and systematic investigation of this region may shed new light on many interesting problems of the South Caucasian Stone Age.

**Bibliography:**

**Bakhtadze N. 1991:** *kvemo kartlis kldis dzeglebi (Rock Sites of Kvemo Kartli)*. Tbilisi.

**Berdzenishvili N. 1963:** khramis kheobis paleoloturi dzeglebi (Paleolithic sites of the Khrami Valley. *MSKA*, 5-17.

**Chelidze L. 2005:** kvis periodis akhali sadgomi tsalkashi (A New Stone Age Dwelling in Tsalka). *Dziebani* 15-16, 30-45 (in Georgian).

**Kuftin B. 1941:** *Arkheologicheskie raskopki v Trialeti (Archaeological Excavations in Trialeti)*. Tbilisi.

**Narimanishvili G., Makharadze Z., Shanshashvili N. 2003:** *tsalkis raionshi 2002 tslis sektembershi chatarebuli arkeologiuri samushaobis angarishi (Report on Archaeological Excavations conducted in Tsalka District in September 2002)* (Manuscript in the Centre for Archaeological Studies, Tbilisi).

**Narimanishvili G., Davlianidze R., Mindiashvili G., Kvachadze M., Chelidze L. 2004:** *ai- ilias (BPGA-6) namosakhlarze 2003 tsels chatarebuli samushaobis tsinastsari angarishi (Preliminary Report on Work at Ai-Ilia (BPGA-6) Settlement in 2003)* (Manuscript).

**Maruashvili R. 1946:** *Zurtaketskaya paleoliticheskaya stoyanka v Yuzhnoi Gruzii i ee geologicheskoe znachenie (Zurtaketi Paleolithic dwelling in South Georgia and its geological importance)* Tbilisi (in Russian).

**Uvarov A. 1887:** Ob obsidianovikh orudiakh naidennikh na Tsalka A. Ia. loakimovim (On obsidian tools found in Tsalka by A. Yakimov). *Trudi Arkheologicheskogo Sezda v Tiflise*, XXXV.

**Illustrations:**


Pl. I - 1-9. Avranlo, obsidian and andesite flakes

Pl. II – Avranlo, 1, 7, 8, 18: scrapers; 2, 16: burin; 3, 4, 19: lamellae; 5, 6, 10, 22, 23: flakes; 9, 14: composite tool; 11-13: sickle blades; 15, 17, 20: pointed tools; 21: nucleus

Pl. III – Avranlo, 1, 2, 4: andesite hand-axes; 3, 5-11: untreated and partly treated andesite chips


Pl. IV – Ai-Ilia, 1-17, 21: micro scrapers; 18-20, 22-28: scrapers; 29-41: lamellae


Pl. V – Avranlo, 1-7: sickle blades; 8-1, 18, 41-47: broken plaques; Ai-Ilia, 12, 13, 15-17, 19, 20-23, 29, 35, 37, 39: flakes; 24-29, 34: burins; 48-52: scrapers; 37, 38, 40, 53, 54: micro scrapers; 30: burin; 31-33: nuclei.







II





IV





## ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ახალი ქვბლი თეთრინყაროდან

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობისა და გაზის ტრასის სამშენებლო დერეფანში მინის სამუშაოებისას, საქართველოს მონაკვეთში, მესხეთსა და ქვემო ქართლის რეგიონში მრავალი ახალი არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა. ახალმა აღმოჩენებმა კიდევ უფრო წინ წამოსწია სხვადასხვა ეპოქის ძეგლებით ისედაც მდიდარი ამ რეგიონების მნიშვნელობა და როლი პრეისტორიული და ისტორიული ხანის საზოგადოების განვითარების რიგი საკვანძო საკითხის შესწავლის საქმეში.

ახლად აღმოჩენილი ძეგლებიდან განსაკუთრებულად გამორჩეულია ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლი, რომელიც მდებარეობს თეთრინყაროს რაიონში, მილსადენის ტრასის 85-ე კმ-ზე, ტერიტორიაზე, რომელსაც „ნაჭივჭავებს“ უწოდებენ. აღნიშნული ძეგლი 2003 წლიდან 2004 წლამდე, სამი სავსე კამპანიის განმავლობაში, ითხრებოდა თეთრინყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ [შატბერაშვილი და სხვ. 2005]. ექსპედიციამ აქ შეისწავლა 1000 მ<sup>2</sup> ფართობი.

ადგილი „ნაჭივჭავები“ მდებარეობს თეთრინყაროდან სამხრეთ-დასავლეთით 4 კმ-ის დაშორებით. იგი წარმოადგენს ფართოფოთლოვანი ტყითა და ბუჩქნარებით დაფარულ მთიან ზოლზე გარდამავალ დამრეც ფერდობს, ტყეში არსებული მცირე მინდვრებით. უშუალოდ არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორია მოქცეულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩამომდინარე მდინარე ჭივჭავის ღრმა და სამხრეთ-დასავლეთიდან არსენას მცირე ხევის შორის.

ნაჭივჭავებში, მილსადენის მშენებლობისას, მინის ფენის მოჭრის შემდეგ, მოყვითალო თიხნარზე, მეტ-ნაკლები ინტენსივობით გამოიკვეთა შავი, წრიული ლაქები. როგორც არქეოლოგიური გათხრებით გაირკვა, ლაქების უმრავლესობა ორმოები გამოდგა, ნაწილი სამარხები, ხოლო ერთი – ნახევრად მიწურის ნაშთი.

საბოლოოდ, ძეგლზე გაითხარა 49 ენეოლითური ორმო, ერთი ნახევრადმიწური და ხუთი სამარხი. ყვითელ თიხნარში ჩაჭრილი ორმოები შევსებული იყო არქეოლოგიური მასალების შემცველი შავი მიწით, ზოგიერთ ორმოში ჩაყრილი იყო ქვები, რომელთა ნაწილი წარმოადგენდა ბაზალტის ხელსაფქვავს, ზოგი კი ფილაქვას.

ორმოები გამართული იყო მჭიდროდ, ერთმანეთისაგან 1,5-4 მეტრის დაშორებით და ეკავა გათხრილი ფართობის ძირითადი ნაწილი. სამარხები აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, ხოლო ნახევრადმიწური — მის სამხრეთ ნაწილში (ტაბ. I).

ნასახლარზე გათხრილი 49 ორმოდან ყველაზე მცირე ორმოების პირის დიამეტრი 0.7-0.9 მ-ია, ხოლო სიღრმე 0,25-0,30 მ. საშუალო ორმოების პირის დიამეტრი – 1,5 მ-ია, ხოლო სიღრმე 0,50-0,70 მ. დიდი ზომის ორმოების პირის დიამეტრი 1,7-1,9 მ-ია, სიღრმე - 0,7-1,6 მ, ხოლო ძირის დიამეტრი - 2,5 მეტრი. ორმოების მცირე ნაწილი სწორკედლიანი იყო, ხოლო მათი უმრავლესობა ძირისკენ ფართოვდებოდა და ე.წ. „მსხლისებრი“ ფორმა ჰქონდა.

არქეოლოგიური მასალა – თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის, ქვის, ძვლისა და რქის იარაღები და ცხოველთა ძვლები, აღმოჩნდა ორმოებში, სამარხებსა და მიწურში; სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხელსაფქვავების ძირითადი ნაწილი ჩვეულებრივ ქვებთან ერთად გამოყენებული იყო ორმოების შევსებაში და იშვიათად გვხვდებოდა სამარხის ქვაყრილში, თვით სამარხსა და მიწურში.

ნაჭივჭავებში გათხრილი ძეგლი დასახლების ტიპის ძირითადი ელემენტებითა და კულტურულ-სამეურნეო საქმიანობის მონაცემებით მსგავსებას ამჟღავნებს, როგორც საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ გათხრილ ძეგლებთან და ასევე გამოირჩევა რიგი თავისებურებით, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მეცნიერულ მნიშვნელობას. ნაჭივჭავებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მიეკუთვნება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას, რომელიც ძირითადად მომდინარეობს ორმოებიდან და სამარხებიდან. სავარაუდოა, რომ ადრებრინჯაოს ნასახლარი მდებარეობს დერეფნის გარეთ, გაუთხრელ ფართობში.

ადრესამინათმომქმედო კულტურის ნასახლარების შესწავლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაიწყო XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. ქიულ თეფე I-ის აღმოჩენით საფუძველი დაედო მანამდე უცნობი მრავალპორიზონტიანი წრიულ-გუმბათოვანი საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლას. ასეთი ხელოვნური გორა-ნასახლარები, ძირითადად, შესწავლილ იქნა ქვემო ქართლსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მდინარეთა სიახლოვეს ან გაშლილ ველზე და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა შულავერ-შომუ თეფეს კულტურის სახელწოდებით [კილურაძე 1976: 105].

მეორე ტიპის ერთფენიანი ნასახლარები შესწავლილია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, როგორც გაშლილ ველზე, ასევე მდინარეთა ნაპირზე, მთისწინეთსა და მთიან ზოლზეც და „სიონის ტიპის“ [მენაბდე, კილურაძე 1981: 31], ან „ნოფი-გინჩის“ წრის ძეგლებს მიეკუთვნება [Чиковани 1989: 86]. ამ წრის ნასახლარების თავისებურებაა სავარაუდო მიწისზედა ფაცხისებრი საცხოვრებლების არსებობა, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში დადასტურებულია ნახევრადმინურები და ქვით ნაგები კომპლექსები. მიმოიხილავს რა ნეოლით-ენეოლითური ერთფენიანი ძეგლების სამშენებლო ტრადიციებს, გ. მირცხულავა ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით (პალური, ხორში, ქობულეთი, დარკვეთი, ჩიხორი, გუანდრა) ასკვნის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებითი მეურნეობის განვითარების ამ ეტაპზე ოთხკუთხა და მრგვალ მიწისზედა ან ნახევრადმინურ საცხოვრებლებს აშენებდნენ [მირცხულავა 2001: 41].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და, მათ შორის, შიდა ქართლში, ასევე აღმოჩნდა მაღალ სამშენებლო ტრადიციაზე დაფუძნებული საცხოვრებელი და სატაძრო კომპლექსის ნაშთი გალავნით, ადგილ „ბერიკლდეებზე“, ქარელის რ-ნში [Глonti, Джавахишвили 1987: 84-85] და ამავე კულტურული წრის ყორღანული სამარხი სოფ. კავთისხევთან, ე.წ. „იორამის გორასთან“, კასპის რ-ნში [Makharadze 2007: 124-125]. მსგავსი ნასახლარები და ყორღანები შედარებით უფრო მეტი რაოდენობით შესწავლილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და ცნობილია „ლეილა თეფეს“ კულტურის სახელით [Алиев, Нариманов 2001: 7].

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩატარებული გეგმაზომიერი, ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრებით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამინათმომქმედო კულტურის განვითარების პროცესი სხვა რეგიონებთან შედარებით თავისებურად მიმდინარეობდა და აქ შესაძლებელია გამოიყოს სამი – შულავერ-შომუ თეფეს, ნოფი-გინჩის წრის და ბერიკლდეები-ლეილა თეფეს არქეოლოგიურ კულტურათა ძეგლები, რომლებიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე თანაარსებობდნენ და გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე [ჩიქოვანი 1998ბ: 3-5].

ნაჭივჭავების ენეოლითური ნასახლარი და მოპოვებული მასალები მიეკუთვნება ნოფი-გინჩის წრის ძეგლებს, რომელთა მსგავსი ნასახლარები შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც. უშუალოდ ქვემო ქართლში ასეთია – ნოფი [Кушнарева, Чубинишвили 1970: 28-32], სიონი [მენაბდე, კილურაძე 1981: 7], წითელი სოფელი, არუხლო VI, ჯავახი [გოგელია, ჭელიძე 1992: 59-62], ვაზიანი [ჩიქოიძე და სხვ. 2003: 11], კახეთში – კვირიასწყალი, დამწვარი გორა და სხვ. [Варазашвили 1992: 18, 32]. შიდა ქართლში კი – აბანოსხევი, ბოდორნა, ახალი ჟინვალი, ჟინვალი, ჩინთი, ხერთვისი [ჩიქოვანი 1999 ბ: 7-11], თანდინყარო I [ჩიქოვანი 1999ა: 19], ნიჩბისი [ჩიქოვანი 2001: 16].

ამავე კულტურულ წრეს ეკუთვნის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის 74-ე და 77 კმ-ზე, გამოვლენილი მრავალფენიანი ძეგლი. სადაც დერეფნის გაჭრისას დაზიანდა ენეოლით-ადრებრინჯაოს ფენა [მირცხულავა და სხვ. 2005; მირცხულავა 2007].

ასეთი ძეგლებისათვის დამახასიათებელია მცირე – 0,5-დან 1 მ-მდე სისქის არქეოლოგიური მასალების შემცველი კულტურული ფენა, რომლის ელემენტებია ორმოები, მცირე ქვაყრილები, ნაცეცხლურები, უფრო იშვიათად კი - ნახევრადმინურები და სამარხები. აღმოსავლეთ საქართველოში მათი არეალი გაცილებით ფართოა, ვიდრე შულავერ-შომუ თეფეს კულტურის ნასახლარებისა, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია ქვემო ქართლის ორ რაიონში – ბოლნისსა და მარნეულში.

ნოფი-გინჩის წრის ტიპური ძეგლია ნაჭივჭავების ენეოლითური ნასახლარი. ნაჭივჭავებზე გათხრილი ყველა ორმოს შევსება, მინური და სამარხი შეიცავდა არქეოლოგიურ მასალას, მაგრამ მასალის სიუხვით მაინც გამოირჩეოდა ზოგიერთი მათგანი, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკე კომპლექსადაც კი შეიძლება, რომ განვიხილოთ. მოპოვებულ მასალებში, განსაკუთრებით თიხის ჭურჭლის ნატეხებში, კარგად ჩანს როგორც კულტურის უწყვეტობის, ისე სხვა რეგიონებთან ურთიერთობის კვალი. ამის საფუძველზე, ნაჭივჭავების მასალებში შესაძლებელია გამოიყოს როგორც ადრეული, ისე შედარებით გვიანდელი მასალები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ძეგლის ქრონოლოგიური ჩარჩოს დასადგენად.

ნაჭივჭავების ენეოლითური თიხის ჭურჭლის ნატეხები ძირითადად ფრაგმენტულია, თუმცა მოხერხდა ზოგიერთი მათგანის ნაწილობრივ აღდგენა, ხოლო ერთი, დერგისებრი, დიდი ზომის ჭურჭელი მთლიანად აღდგა. ისინი ძირითადად უხემკეციანია, ჭარბი არაორგანული მინარევეებით, თუმცა ზოგიერთს ეტყობა მცენარეული ჩანარების კვალიც. თიხის ჭურჭლის ნატეხები გამომწვარია მოყავისფრო-მოჩალისფროდ, მაგრამ ასევე გვხვდება მოშავო და მონითალოდ გამომწვარი ნატეხებიც. მათი ფრაგმენტულობის გამო ჭირს ფორმის დადგენა, თუმცა პროფილირებული და ნაწილობრივ აღდგენილი ეგზემპლარები მაინც იძლევიან შესაძლებლობას, მივაკუთვნოთ ისინი ჭურჭელთა გარკვეულ ტიპს. პირ-გვერდის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მცირე და საშუალო ზომის ჭურჭლები; ასეთებია – არაპროფილირებული ან მცირედ პროფილირებული ჭურჭლის ნატეხები, რომელთაც სწორი ტანი, ოდნავ მოყრილი ან გადაშლილი პირი აქვთ (ტაბ. II<sub>2,3,8,10</sub>). ცალკე შეიძლება გამოვყოთ სხვადასხვა ზომის დაბალყელიანი, პირგადაშლილი ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. II<sub>1,2,5</sub>); ალსანიშნავია სხვადასხვა ზომის, მაღალყელიანი, ოდნავ პირგადაშლილი, მუცლიანი ჭურჭლები (ტაბ. II<sub>10,13</sub>; ტაბ. III<sub>1,2,4</sub>). ჭურჭლის სხვა ფორმებიდან გამოიყოფა შედარებით ვიწროძირიანი ჯამისებრი (ტაბ. II<sub>4</sub>) და დაბალტანიანი, ოდნავ ქუსლგამოყოფილი, ფართოძირიანი ჭურჭლები (ტაბ. II<sub>2</sub>). ყელ-გვერდისა და ძირ-გვერდის მიხედვით გამოირჩევა გამობერილმუცლიანი, ბრტყელძირა ჭურჭლები, რომელთა ნაწილს ქუსლი გამოყოფილი აქვთ (ტაბ. II<sub>7,11</sub>). ჭურჭლის ფრაგმენტებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ე.წ. „ბიბილოსებრპირიანი“, შვერილიანი და კოპისებრდანაძერნიანი ნატეხები (ტაბ. II<sub>3,6,8,9</sub>).

ქვის ნატეხები იარაღების აბსოლუტური უმრავლესობა დამზადებულია ობსიდიანისგან, რომელთაგან განირჩევა ლამელები და სხვადასხვა ფორმის ლამელასებრი ანატეხები. მათ ნაწილს ეტყობა მეორადი დამუშავების ან გამოყენების კვალი. ზოგი კი წარმოადგენს კომბინირებულ იარაღს (ტაბ. II<sub>15-17</sub>). ერთ-ერთ ორმოში აღმოჩნდა ყუნწოტეხილი კაჟის ისრისპირი. ხელსაფქვავეები დამზადებულია ბაზალტისაგან. ქვედა ქვების უმრავლესობა ნავისებრი ფორმისაა, ხოლო ზედას – ბრტყელი მუცელი და სწორზურგისანი ტანი აქვს. ქვის სანაყებიდან აღსანიშნავია მაღალტანიანი, ღრმაფოსოიანი სანაყი (ტაბ. II<sub>4</sub>). წარმოდგენილია ორმხრივ პირლესილი ქვის ცულისებრი იარაღის ნაწილი. ასევე გვხვდება სწორი, ვიწროტანიანი და მომრგვალო ფორმის ქვები, რომლებიც, შესაძლებელია, სანაყ-სასრესებად გამოეყენებინათ. ორმოებსა და მინურში აღმოჩნდა ირმის რამდენიმე დატოტვილი რქა გადანაჭრების კვალით, რომელთაგან ერთს წამახვილებული ნვერი აქვს.

რაც შეეხება სამარხეულ კომპლექსებს, როგორც აღვნიშნეთ, ერთი სამარხი ენეოლითური ნასახლარის თანადროული იყო, ოთხი კი მომდევნო – ადრე ბრინჯაოს ხანისა. ენეოლითური, მცირე ქვაყრილიანი ორმოსამარხი დაკრძალვის წესის მხრივ, ძალიან საინტერესოა. თავდაპირველად ქვაყრილის პრეპარაციისას ჩვეულებრივ ქვებს შორის აღმოჩნდა დიდი ზომის, ბაზალ-

ტის ნავისებრი ფორმის ხელსაფქვავე; თვით სამარხეული ორმო ოდნავ ოვალური ფორმის იყო. ქვაყრილის ზომა 1,80×1,50 მ შეადგენდა, თვით ორმოსამარხისა კი – 1,40×1,30 მ. ამ სამარხის თავისებურება ისაა, რომ მიცვალებული დაკრძალულია მუხლებში ძლიერ მოხრილ პოზაში, ისე რომ ფეხის ტერფები მიტანილია მენჯთან. ორმოს შეესებაში შერეული იყო ენეოლითური თიხის ჭურჭლის რამდენიმე მცირე ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩნდა: ნაპობი ძვლის სადგისი მარჯვენა იდაყვთან, რქის იარაღი, შუაზე გატეხილი ხელსაფქვავეს ზედა ქვა, რომლის ერთი ნაწილი მიცვალებულის მენჯის ქვეშ იდო, მეორე ნაწილი კი მარჯვენა ტერფთან (ტაბ. IV<sub>1,3</sub>). ამ სამარხმა უკვე მიიქცია ავტორთა ყურადღება და გამოითქვა გარკვეული მოსაზრება [Шатберашვილი, Чиковანი 2007: 230], კონსტრუქციით მისი მსგავსია არუხლო I ქვაყრილიანი ორმოსამარხები [Чиковანი 2005: 178]. დანარჩენი ოთხივე სამარხი ეკუთვნის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპს და სამარხის კონსტრუქციითა და დაკრძალვის წესით სრულიად განსხვავებულია ენეოლითური სამარხისაგან. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ხუთივე სამარხი აღმოჩნდა გათხრილი ფართობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ერთმანეთის სიახლოვეს (ტაბ. I, კვ. 7-8/10-12).

აკლდამა № 1. გარე ზომა 2,40×2,20 მ, ხოლო შიდა – 1.90×1,45 მ-ია, სიღრმე – 0,50 მ. სამარხი გამართული იყო მოყვითალო თიხნარში, ქვედა რიგის ქვები ჰორიზონტალურად იყო დანყობილი, ზედა კი ვერტიკალურად, იატაკი მოგებული იყო ქვის ფილებით. შესასვლელი ორსაფეხურიანი კიბე სამხრეთ მხარეს ჰქონდა. აკლდამა მრავალჯერადი დაკრძალვისთვის იყო გამოყენებული, ბოლო მიცვალებული დაკრძალული იყო სამხრეთ ნაწილში, თავით სამხრეთით. ანთროპოლოგ ლ. ასლანიშვილის დასკვნით, დაკრძალული იყო 40-44 და 30-34 წლის ორი მამაკაცი, 50-54 წლის ორი დედაკაცი და 12-14 წლის გოგონა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 8 ჭურჭელი, ობსიდიანის ლამელა, ნუკლეუსი და მძივები – სარდიონის – 1 და პასტის 38 ერთეული (ტაბ. V<sub>1-11</sub>).

აკლდამა № 2 ოთხკუთხა ფორმისაა. გარე ზომა 2,20×1,70 მ, შიდა კი 1,84×1,35 მ-ია. კედლის ქვები ჩადგმულია შვეულად. სულ გამოყენებულია 12 ქვა. პირველი აკლდამისაგან განსხვავებით მისი იატაკი არ იყო მოგებული ქვის ფილებით. დაკრძალული იყო 3 მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი, თავით სამხრეთით. პირველი დაკრძალული იყო ცენტრში, მარცხენა გვერდზე. მეორე ესვენა მარჯვენა გვერდზე აკლდამის აღმოსავლეთ ნაწილში. მამაკაცის ასაკი განისაზღვრა 55-59 წლით, დედაკაცისა – 30-34 წლით. მესამე მიცვალებული იყო 16-18 წლის გოგონა. სამარხში აღმოჩნდა ოთხი ჭურჭელი (ტაბ. VI<sub>1,4</sub>), ძვლის კვირისტავი და ობსიდიანის ორი ანატეკიცი.

სამარხი № 3 მცირე ქვაყრილიან ორმოსამარხს წარმოადგენს. მომრგვალებულ ორმოსამარხში დაკრძალული იყო მცირეწლოვანი ბავშვი, თავით სამხრეთით. მიცვალებულის სახის წინ იდო ერთმანეთში ჩადგმული მცირე ზომის ორი ჭურჭელი – ჯამი და კოჭობი (ტაბ. VI<sub>5,6</sub>).

№ 5 აკლდამის მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეული იყო. გადარჩენილი ნაწილის მიხედვით მას ქვით ნაგები კედელი და ფილაქვებით მოგებული იატაკი ჰქონდა. სამარხში აღმოჩნდა ორი ბადია (ტაბ. VI<sub>7,8</sub>).

საყურადღებოა პალეოზოოლოგიური, პალინოლოგიური და კარპოლოგიური კვლევის მონაცემები. პალეოზოოლოგ ო. ბენდუქიძის ანალიზით, ორმოებსა და ნახევრადმინურში მოპოვებულ ცხოველთა ძვლების 35-40% ეკუთვნის გარეულ ცხოველებს. შინაური ცხოველებიდან დადასტურებულია ღორის, ცხვრის, თხისა და ძროხის ძვლები. მსხვილფეხა საქონლის ძვლები ეკუთვნის ტანმორჩილი ძროხის ჯიშს. გარეული ცხოველების ძვლების მიხედვით ნადირობა აქ მოსახლეთა შორის დიდ როლს თამაშობდა. აღმოჩენილია გარეული ცხენის – *Equus caballus fossilis* ზედა საჭრელი კბილი, კავკასიური ტახის – *Sus scrofa ottila* ქვედა ეშვის ფრაგმენტი, კავკასიური კეთილშობილი ირემი – *Cervus elaphus maral*, კავკასიური ღორი – *Alces alces caucasicus*, გარეული ხარის – *Bos primigenius* ძვლები. გარეული ხარის ძვლები ენეოლითურ ნამოსახლარებზე არც თუ ბევრია დადასტურებული, მისი ძვლები აღმოჩენილია კახეთში „დამწვარ გორაზე“ [Варазашვილი 1992: 98] და არაგვის ხეობაში, აბანოსხევეში [ჩიქოვანი 1999ბ: 10]. რაც შეეხება ირმის რქებს, ადრესამინათ-მოქმედო კულტურის ძეგლებიდან მისგან დამზადებული თოხები ბევრია აღმოჩენილი შულავერ



-შომუ თეფეს კულტურის ნასახლარებში. თითო-ოროლა ეგზემპლარი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, ნოფის ჯგუფის ძეგლებში. ნაჭივჭავებში კი დადასტურებულია ირმის დატოვილი რქები გადანაჭრების კვალით და ერთ შემთხვევაში ნამახვილებული წვერით. ო. ბენდუქიძის დასკვნით, აქაურ მოსახლეებს შეეძლოთ შეეგროვებინათ ირმის გამონაცვალის რქები და გამოეყენებინათ იარაღების დასამზადებლად.

ნაჭივჭავების ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეთა სამეურნეო საქმიანობისა და იმ დროის ეკოსისტემაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა კარპოლოგიური და პალინოლოგიური ანალიზის შედეგები. ნ. რუსიშვილისა და ნ. მელაძის მიხედვით სამეურნეო ორმოებიდან და სამარხებიდან ფლოტაციის მეთოდით დამუშავდა 42 ნიმუში. აღსანიშნავია კულტურულ მცენარეთა მარცვლების აღმოჩენა. ესენია: რბილი ხორბალი – *Triticum aestivum L.*, ორმარცვალა ხორბალი – *Triticum dicoccum Schiibl.*, კილიანმარცვლიანი ქერი – *Hordeum vulgare L.*, ფეტვი – *Panicum miliaceum L.*

პალინოლოგ ე. ყვავაძის მიერ შესწავლილ იქნა 14 ორმოსა და ერთ-ერთი სამარხის ჭურჭლიდან აღებული ნიმუშები. მისი დასკვნით პალინოლოგიური სპექტრისათვის დამახასიათებელია კულტურული მარცვლოვანებისა და სარეველა მცენარეთა მტვრის სიჭარბე. ნაკლებია ტყის ელემენტები და გვიმრის სპორები. ენეოლითური ორმოებიდან აღებულ ნიმუშებში აღმოჩენილია ხორბალი – *Triticum type*, შვრია – *Avena type*, ქერი – *Hordeum type*, ნემსინვერა – *Geranium* და ნარშავი – *Carduus*.

ტყის ელემენტებიდან *Pinus* – ფიჭვი, *Picea* – ნაძვი, *Abies* – სოჭი, *Tilia* – ცაცხვი, *Carpenus Caucasica* – რცხილა, *Palipaodium vulgare* – გვიმრა კილამურა, *Polypodiaceae undiff.* – გვიმრისნაირების სპორა.

№ 3 სამარხის ჭურჭელში კი აღმოჩნდა ჩვეულებრივი თხილის – *Corylus avellana*, დათვის თხილის – *Corilus colurna*, ჩვეულებრივი კაკლის ხის *Juglans regia*, კულტურული ვაზის – *Vitis vinifera*, ქართული მუხის – *Quercus iberica* მტვერი. მისი აზრით, ნასახლარის არსებობის პერიოდში აქ უფრო თბილი კლიმატი უნდა ყოფილიყო.

ნაჭივჭავებზე ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგების მიხედვით შესაძლებელია გამოითქვას გარკვეული მოსაზრება აქ მოხინაძრე ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეთა კულტურულ-სამეურნეო, სულიერი და მეზობელ რეგიონებთან ურთიერთობის საკითხების შესახებ.

თიხის ჭურჭლის ნატეხების ანალიზით ირკვევა, რომ „ნაჭივჭავების“ სხვადასხვა კომპლექსში მოპოვებულ მასალებს შორის, გარკვეულ თავისებურებასთან ერთად, ჩანს პირდაპირი მსგავსება გამონვის ტექნიკის, ფორმისა და ორნამენტის მიხედვით. ამის დასტურია პირს ქვემოთ გამჭოლ ნასვრეტიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც აღმოჩენილია ორმოებში (ტაბ. II<sub>9</sub>). ერთ ნატეხს კი ტანი ხშირი ნასვრეტებით აქვს დაფარული. მცირე რაოდენობით გვხვდება კოპებიანი და შვერილებიანი ნატეხები (ტაბ. II<sub>6,13</sub>).

ასევე საინტერესოა ორმოებში უყურო ჭურჭლების გვერდით, ყურიანი ჭურჭლების გამოჩენა (ტაბ. II<sub>5</sub>; ტაბ. III<sub>1,2</sub>). ორიგინალური ფორმით გამოირჩევა ე.წ. „ბიბილოსებრშვერილიანი“ ნატეხები ორმოებიდან, რომლებსაც, ერთის გარდა, დამატებით გამჭოლი ნასვრეტები აქვს დატანილი (ტაბ. II<sub>9</sub>).

ცალკე აღსანიშნავია ჭურჭლის ორი ნატეხი, № 11 და № 31 ორმოდან, ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას ტეხილხაზოვანი ორნამენტით და მაღალი, ზურგიანი სარტყლით (ტაბ. II<sub>3,11</sub>) – ასევე ორმოში აღმოჩენილ ჭურჭლის ძირის ერთ მცირე ფრაგმენტს კი ეტყობა წრიულად მოწნული ჭილოფის ანაბეჭდი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნაჭივჭავების ენეოლითური ნასახლარი მიეკუთვნება ნოფი-გინჩის წრის ძეგლების რიცხვს, რომლის მსგავსი აღმოსავლეთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ბევრია გათხრილი. მართალია, ორმოები თითქმის ყველა ნასახლარისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ამ მხრივ ნაჭივჭავები უფრო ახლოსაა ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა ნოფი,

სადაც გაითხარა 27 ორმო, ნითელი სოფლის ნასახლარი – 18 ორმო, [გოგელია, ჭელიძე 1992: 55, 61] და დამწვარი გორა – 26 ორმო [Варазашვილი 1992: ტაბ. II]. საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მასალებიც სხვა ადრესამინათმოქმედო ნასახლარების მასალების მსგავსია. განსაკუთრებით ეს ითქმის თიხის ჭურჭლის ნატეხებზე, რომლებსაც რიგი ძეგლების მასალებთან ეძებნება პარალელური, როგორც კეცის სტრუქტურისა და გამოწვის ტექნიკის, ისე ფორმისა და ორნამენტის მიხედვით. ამ ნიშნებით ნაჭივჭავების სამეთუნეო ნაწარმი მეტ მსგავსებას ან უშუალო ანალოგიებს პოულობს ნოფი-გინჩის წრის ძეგლების მასალებთან. პირს ქვემოთ ან ყელის არეში გამჭოლნახვრეტიანი ნატეხები დამახასიათებელია აბანოსხევის, ახალი ჟინვალის, ხერთვისის, ჩინთის [ჩიქოვანი 1999ბ: 14-18], ნიჩბისის [ჩიქოვანი 2001: 16], დამწვარი გორისა და კვირიასწყლის [Варазашვილი 1992: 21, ტაბ. XII], არუხლო VI [გოგელია, ჭელიძე 1992: 60], ნოფის [Кушнарева, Чубинашვილი 1970: 32], დასავლეთ საქართველოში კი დარკვეთის [ნებიერიძე 1978: 26], საგვარჯილეს [ნებიერიძე 2003: 200], აზერბაიჯანში პადარის [Ахундов 2001: ნახ. XXV<sub>1</sub>], ქეჩილის [Нариманов 1987: ნახ. XXXV<sub>11</sub>], სომხეთში მაშტოცბლურის, ტერტერიძორის, ტეხუტის [Мунчаев 1982: ტაბ. XLVII<sub>1-3</sub>; ტაბ. XLVIII<sub>25</sub>] და არატაშენის [Palumbi 2007: 70, სურ. II<sub>3,4,5</sub>, სურ. III<sub>1,2,3</sub>], დალესტანში კი – რუგუჯის, გინჩისა და ჩინას მასალებისათვის [Гаджиев 1991: ნახ. XX; ნახ. XII<sub>12,13,16</sub>; ნახ. XV<sub>2,7</sub>].

კოპებისა და შვერილების სხვადასხვა სახე ძეგლების ფართო წრისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მრგვალი, წაგრძელებული შვერილები გვხვდება ენეოლითის მოგვიანო ხანის მასალებში. კერძოდ, ნაჭივჭავების ენეოლითური, შვერილებიანი თიხის ჭურჭლის მსგავსი მასალა დადასტურებულია დამწვარ გორაზე [Варазашვილი 1992: ტაბ. XIII<sub>1-3</sub>], ჩინთში [ჩიქოვანი 1998ა: ტაბ. II], აზერბაიჯანში, ოვჩულარ-თეფეზე [Алиев, Нариманов 2001: ტაბ. XXV<sub>9</sub>].

ბრტყელი ან ოდნავ ქუსლგამოყოფილ ძირებსაც გავრცელების ფართო არეალი აქვს, მაგრამ მომრგვალებულ და ვიწროძირიან ჭურჭლებთან ერთად ისინი გვხვდებიან ნოფი-გინჩის წრის მოგვიანო ხანის ნასახლარებში. ძირების ერთ ნაწილს კი ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდები. შულავერ-შომუ თეფეს კულტურის ძეგლებში ასეთი ჭურჭელი უქუსლო ძირებთან ერთად ჩნდება განვითარების მესამე საფეხურიდან [კილურაძე 1976: 121]. აღნიშნული კერამიკა გვხვდება კვირიასწყლის, დამწვარი გორის [Варазашვილი 1992: ტაბ. XXVII-XXVIII], ჩინთის [ჩიქოვანი 1998ა: ტაბ. I<sub>8</sub>], გინჩის [Гаджиев 1991: ნახ. XV<sub>3,4</sub>] და სხვა ძეგლების მასალებში. ნაჭივჭავების დაბალტანიანი, ფართოძირიანი ჭურჭლების (ტაბ. II<sub>12</sub>) მსგავსი მასალები აღმოჩენილია არუხლო VI-ზე [გოგელია, ჭელიძე 1992: XVII-XVIII], დამწვარ გორაზე [Варазашვილი 1992: ტაბ. XX], აზერბაიჯანში ილანლი-თეფეზე [Нариманов 1987: ნახ. XI<sub>11</sub>], გინჩში [Гаджиев 1991: ნახ. XIII<sub>4</sub>].

ნაჭივჭავებში აღმოჩენილი „ბიბილოსებრპირიანი“, ჭურჭლის ნატეხების შედარებით განსხვავებული ვარიანტები აღმოჩენილია არაგვის ხეობის ნასახლარებზე [ჩიქოვანი 2005: 60], თანდინყარო I-ში [ჩიქოვანი 1999 ა: ტაბ. V<sub>71-76</sub>], დამწვარ გორაზე [Варазашვილი 1992: ტაბ. XII<sub>3</sub>], მაგრამ ნაჭივჭავებში აღმოჩენილი ჭურჭლის ნატეხები შესაძლებელია ე.წ. პირჩადრეკილი ჭურჭლების მსგავსი იყოს. ასეთი ნატეხები აღმოჩენილია როგორც მაშტოცბლურის ენეოლითურ [Мунчаев 1982: ტაბ. XVII<sub>3</sub>], ისე ადრე ბრინჯაოს გალგალათლის ძეგლებზე [Гаджиев 1991: ნახ. XXVIII<sub>108</sub>].

კავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურებში ყურიანი ჭურჭლები ჩნდება მათი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ამ მხრივ საყურადღებოა ნაჭივჭავების მრგვალგანივკვეთიანი, ქედიანი და სქელი, მასიურყურიანი ჭურჭლები (ტაბ. II<sub>5</sub>; ტაბ. III<sub>1,2</sub>), რომელთა ანალოგიები გვხვდება ჩინთის [ჩიქოვანი 1998ა: ტაბ. I<sub>2,3</sub>], დამწვარი გორის [Варазашვილი 1992: ტაბ. XII<sub>12-16</sub>, ტაბ. XIII<sub>6-9</sub>, ტაბ. XXIV<sub>2</sub>], ნითელი სოფლის [გოგელია, ჭელიძე 1992: ტაბ. XVII], საგვარჯილეს [ნებიერიძე 2003: ტაბ. XXXIV], თეთრი მღვიმეს [კალანდაძე 1994: ტაბ. XXII<sub>4,6</sub>], აზერბაიჯანში ალიკემეკ-თეფესის [Мунчаев 1982: ტაბ. XIV<sub>5,6</sub>], პადარის [Ахундов 2001: ნახ. II<sub>1,2</sub>] და ოვჩულარ-თეფეს ნასახლარზე, სადაც გვხვდება მასიურ ყურიანი ჭურჭლები [Алиев, Нариманов 2001: ტაბ. XXVII<sub>5,8,9</sub>, ტაბ. XXVIII<sub>1-4</sub>], დალესტანში, გინჩის [Гаджиев 1991: ნახ. XIII<sub>9-17</sub>], ჩრდილოეთ ოსეთში, რედანტის მასალებისათვის დამახასიათებელია გამჭოლი ნასვრეტები, შვერილები, ყურები [Ростунов 2005: 159-160, ტაბ. II-III].

ნაჭივჭავების დაბალყელიანი, ყურიანი ჭურჭლის პირდაპირი ანალოგი აღმოჩენილია დამნვარი გორის ნასახლარზე [Vаразашვილი 1992: ტაბ. XXIV<sub>2</sub>], ასეთივე ანალოგი ეძებნება მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხს კორპუსზე მაღალი სარტყლით (ტაბ. II<sub>5</sub>) ჩინთის ნასახლარის მასალებში [ჩიქოვანი 1998ა: ტაბ. I<sub>2,3</sub>].

ნაჭივჭავების ენეოლითური თიხის ჭურჭლებზე საუბრისას, მკვლევართა ყურადღება გვინდა მივაპყროთ ნახევრადმინურის გვერდზე, № 31-ე ორმოში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებზე, რომლებიც ერთგვარად გამოირჩევიან დანარჩენი სამეთუნეო ნაწარმისაგან. ასეთია მაღალი, ცილინდრულყელიანი, 0.85 მ სიმაღლის ორყურა ჭურჭელი (ტაბ. III<sub>2</sub>). მოყავისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, რომელიც გამონვის ტექნიკითა და ყურის ფორმით ერთგვარად უახლოვდება მტკვარ-არაქსის კულტურის ჭურჭლებს, მაგრამ მეტი მსგავსება ჩანს ზემოთ აღნიშნული ოვჩუღარ-თეფესისა და გინჩის მასალებთან. ასეთი მასიურყურიანი დიდი ზომის ჭურჭელი სიახლეა აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლებში. ასევე სიახლეა საშუალო სიდიდის მაღალყელიანი, მკვეთრად პირგადაშლილი, ვინრო, ბრტყელძირა ჭურჭელი, რომელსაც შედარებით პრიალა მოშავო ზედაპირი აქვს (ტაბ. III<sub>4</sub>). მისი პარალელი ამიერკავკასიის ძეგლებში ჩვენში უცნობია, მაგრამ ზუსტი ანალოგი ეძებნება არსლან თეფე VII თიხის ჭურჭელთან [Frangipane, Palumbi 2007: 235, ნახ. III<sub>1,2</sub>]. ასევე ტიპოლოგიურად ახალია მაღალყელიანი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ყურიანი ჭურჭელი (ტაბ. III<sub>1</sub>), ხოლო ამავე ტიპის უყურო ჭურჭელს, რამდენადმე მსგავსი პარალელი ეძებნება გინჩის მაღალხარისხოვან ჭურჭლებსა [Гаджиев 1991:70, ნახ. XIV<sub>20,21</sub>] და ლეილა თეფეს მასალებთან [Алиев, Нариманов 2001: ტაბ. X<sub>1</sub>]; რაც შეეხება ბიკონუსური ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხებს (ტაბ. III<sub>3,5</sub>), რამდენადმე მსგავსი ფორმის ჭურჭლები გვხვდება დამნვარი გორას, შავწყალას [Vаразашვილი 1992: ტაბ. XI<sub>1</sub>; ტაბ. XI<sub>11,4</sub>] და ლეილა თეფეს მასალებში [Алиев, Нариманов 2001: ტაბ. VIII<sub>7-10</sub>], ხოლო ჯამისებრ ჭურჭელს (ტაბ. II<sub>4</sub>), ასევე ლეილა თეფესა და მის თანადრულ ძეგლების მასალებში ეძებნება პარალელი [Алиев, Нариманов 2001: ტაბ. XII<sub>10,11</sub>].

კიდევ შეიძლება გაგვეგრძელებინა ნაჭივჭავების სამეთუნეო ნაწარმის პარალელების ჩვენება ფორმისა და ორნამენტის მიხედვით, თუმცა საკმაოდ გვეჩვენება მოძიებული პარალელები ძეგლის ხასიათისა და კულტურული კუთვნილების განსასაზღვრად. რაც შეეხება ნაჭივჭავების ენეოლითური ეტაპის დანარჩენ მასალებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრესამინათმოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელი ძვლისა და რქის თოხები, სადგის-სახვრეტები, კოვზები, საპრიალებლები და სხვა იარაღები აქ თითქმის არ გვხვდება, რაც ძეგლის თავისებურებას შეიძლება მივანეროთ. საყურადღებოა, რომ ნაჭივჭავებში გავრცელებული ნავისებრი ხელსაფქვავეები უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს შულავერ-შომუ თეფეს კულტურის ნასახლარების ხელსაფქვავეებთან, ხოლო ობსიდიანის ანატკეც მასალაში, რომელთა მცირე ნაწილი წარმოდგენილია სტატიკაში (ტაბ. II<sub>15-17</sub>), არ ჩანს ადრესამინათმოქმედო კულტურის სამეთუნეო და საყოფაცხოვრებო იარაღების რიგი სერიები, თუმცა მასალის ეს ნაწილი ტიპოლოგიურ და ტრასოლოგიურ დამუშავებას საჭიროებს.

ნაჭივჭავების ენეოლითური ნასახლარის თანადროული, მცირე ქვაყრილიანი ორმოსამარხის აღმოჩენა თავისთავად საინტერესო ფაქტია, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდის სამარხები მხოლოდ რამდენიმე ძეგლზეა აღმოჩენილი – აბანოსხევში, ნითელგორებზე, არუხლო I, III-ზე, ბერიკლდეებზე, იორამის გორაზე კავთისხევთან [Шатберашვილი, Чиковани 2007: 230].

ნაჭივჭავების ენეოლითურ ნასახლარზე ადრე ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის მტკვარ-არაქსის კულტურის სამი აკლდამისა და ერთი მცირე ქვაყრილიანი ორმოსამარხის აღმოჩენა თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, თუმცა გათხრილ ფართობზე, სამწუხაროდ, მისი თანადროული ნასახლარის ნაშთი არ დადასტურდა. აქ გათხრილ აკლდამებსა და ორმოსამარხს კონსტრუქციით, დაკრძალვის წესით და აღმოჩენილი არტეფაქტებით, განსაკუთრებით თიხის ჭურჭლებს – ქოთნებს, ბადიებს, დოქებს, კოჭობს მრავალი პარალელი გააჩნია როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე მის ფარგლებს გარეთ შესწავლილ ნასახლარებსა და სამარხებში. ნა-

ჭიჭავჭავების სამარხებში გამოვლენილი თიხის ჭურჭლები გამოწვის ტექნიკით, ფერით, ფორმით, კოპებითა და ყურებით მიეკუთვნებიან მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის და მახასიათებელ კლასიკურ ტიპებს. ნაჭიჭავჭავებში ამ კულტურის სამარხების აღმოჩენა მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან მდინარე ნაჭიჭავჭავების ხეობაში შესწავლილია თეთრინყაროს ცნობილი ნასოფლარი [გობეჯიშვილი 1978], მარნეულის რ-ნში სამშვილდის ნასოფლარი და სამაროვანი [მირცხულავა 1975], დმანისის რ-ნში სოფელ ვარდისუბანთან ღრმახევისთავის ნასახლარი და სამარხები [აბრამიშვილი და სხვ. 1980], ასევე მარნეულის რ-ნში სოფელ თამარისთან აკლდამა და გარდაბნის რ-ში კიკეთის სამაროვანი [ფხაკაძე 1963] და სხვ. ნაჭიჭავჭავების სამარხების მსგავსი ქვის ფილებით მოგებული ან ჩვეულებრივი მინის იატაკიანი აკლდამები სხვადასხვა ვარიაციებით ცნობილია ამირანის გორადან, კიკეთიდან, ღრმახევისთავიდან, სამშვილდიდან, კოდადან, ელარიდან [მირცხულავა და სხვ. 1992: ტაბ. XVII]. სადღეისო მონაცემებით მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხების ძირითადი ნაწილი და მათ შორის აკლდამები აღმოჩენილია ამიერკავკასიაში [Мунчаев 1994: 34].

მკვლევართა დაკვირვებით, მტკვარ-არაქსის კულტურის პირველ ეტაპზე კერამიკა თითქმის ერთგვაროვანია. საქართველოში ასეთია დიდუბე-კიკეთის ჯგუფის, სომხეთში - ელარის და აზერბაიჯანში ბაბადერვოშის ადრეული ეტაპის ძეგლები [მირცხულავა და სხვ. 1992: 77].

მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭლის ფორმებისა და ორნამენტის ნამყვანი ტიპების მიხედვით ალ. ორჯონიკიძე ასკვნის, რომ ქვემო და შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებს შორის მჭიდრო კავშირი ჩანს ადრეულ და მოგვიანო ეტაპზე, რასაც ვერ ვიტყვით ამ კულტურის განვითარების შუა საფეხურზე, რაც გამოწვეულია ამ ეტაპის ძეგლების არარსებობით. ასევე ქვემო ქართლი ადრეული კერამიკული ფორმებითა და ორნამენტით ახლოს დგას სამხრეთ საქართველოს მოგვიანო ხანის მასალებთან, რაც შეიძლება აიხსნას ქვემო ქართლის სამეთუნეო წარმოების ტრადიციების ამ მაღალმთიან ზონაში გადანაცვლებით [ორჯონიკიძე 2001: 91].

მკვლევართა უმრავლესობა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპს ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარილებს [Мунчаев 1994: 17]. ნაჭიჭავჭავების სამარხები კონსტრუქციითა და ინვენტარით სწორედ ადრეული ეტაპის ძეგლებთან ავლენს კავშირს.

მკვლევართა მოსაზრება ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა ნოფი-გინჩის წრის ძეგლების დათარილებაში, რაც ძირითადად ძვ.წ. IV ათასწლეულს პირველ ნახევარზე მოდის. ამ წრის ძეგლების ზოგადი და შიდა ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შიდა ქართლში, მდ. არაგვის ხეობის მთისწინეთში გათხრილმა ნასახლარებმა. ამ ძეგლების სტრატეგრაფიული და მასალების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე პირობითად განისაზღვრა მათი ქრონოლოგიური ჩარჩო — ძვ.წ. V ათასწლეულს მეორე ნახევრით და IV ათასწლ. პირველი ნახევრით [Чиковани 1989: 86]. ნაჭიჭავჭავების ენეოლითურ სამეთუნეო ნაწარმს უფრო მეტი ანალოგი ეძებნება იმ ძეგლების მასალებთან, რომლებიც ძვ.წ. ის IV ათასწლეულს პირველი ნახევრით თარიღდებიან. მათი დათარილების დაკონკრეტებაში ჭურჭლის ფორმებსა და ორნამენტთან ერთად მნიშვნელოვანი ელემენტია ბრტყელი და ვინრო, მომრგვალებულძირიანი და ყურიანი ჭურჭლები, რომლებიც დამახასიათებელია ძვ.წ.-ის IV ათასწლეულის პირველ ნახევრის ძეგლებისათვის და მიჩნეულია ადრესამინათმოქმედო კულტურის ეტაპობრივი განვითარების ერთ-ერთ კომპონენტად [Чиковани 2003: 47-48].

ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს თიხის ჭურჭლები №31 ორმოდან, რომლებსაც ანალოგები ეძებნებათ ბერიკლეები-ლეილა თეფე – არსლან თეფე VII სინქრონულ ძეგლებზე. დღესდღეობით კავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის მკვლევართა ყველაზე ცხოველ ინტერესს იწვევს ბერიკლეები-ლეილა თეფეს კულტურის ძეგლების გამოჩენა კავკასიაში და მათი კავშირი წინააზიურ კულტურულ ცენტრებთან. [Dzavaxišvili 1998: 7-16; Мусейбли 2007: 155-158]. ამ მხრივ სხვა მკვლევარებთან ერთად საყურადღებოდ გვეჩვენება აზრი კავკასიაში ახალი კულტურული ტალღის გამოჩენაში ურუქის კულტურის ფენომენის შესახებ [Гулиев 2005: 82; Мунчаев 2007: 8-9], რომელსაც გარკვეულწილად ესადაგება ბ. ლიონეს ქრონოლოგიური სქემა [Lyonnet 2007: 13].

ამრიგად, ნაჭივჭავების სახით საქმე გვაქვს ახალ ძეგლთან, სადაც კარგად ჩანს, როგორც ნოფი-გინჩის წრის ძეგლების კულტურული ტრადიცია, ისე არსლან თეფე VII სინქრონული ინოვაცია და მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი დაკრძალვის რიტუალი თანმხლები არტეფაქტებით. ძნელია საუბარი, არის თუ არა ნაჭივჭავების ენეოლითურ ნამოსახლარსა და მტკვარ-არაქსის სამარხებს შორის ქრონოლოგიური წყვეტილი, მაგრამ იგი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლად, სადაც აშკარად ჩანს ფინალურ ენეოლითსა და ადრებრინჯაოს ადრეულ ეტაპს შორის მჭიდრო ქრონოლოგიური სიახლოვე. მოხმობილი პარალელებისა და მკვლევართა მიერ ცალკეული ძეგლების დათარიღების საფუძველზე შეიძლება ნაჭივჭავების ნასახლარისა და სამარხების სავარაუდო ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ძვ.წ. IV ათასწლეული მივიჩნიოთ.

## ლიტერატურა

- აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. 1980:** ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. – რ. აბრამიშვილი (რედ.), ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, 7-88, თბილისი.
- გობეჯიშვილი გ. 1978:** თეთრინყაროს ნასოფლარი. თბილისი.
- გოგელია დ., ჭელიძე ლ. 1992:** ენეოლითი. – ო. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, ტ. II. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა, 17-69. თბილისი.
- კალანდაძე კ. 1994:** თეთრი მღვიმე. თბილისი.
- კილურაძე თ. 1976:** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამინათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი.
- მენაბდე მ., კილურაძე თ. 1981:** სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- მირცხულავა გ. 1975:** სამშვილდე. თბილისი.
- მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ა., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1992:** ადრებრინჯაოს ხანა. – ო. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, ტ. II. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა, 70-151, თბილისი.
- მირცხულავა გ. 2001:** ადრესამინათმოქმედო კულტურების ნამოსახლართა განვითარების ზოგიერთი საკითხი. – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის საკითხები, 40-45. თბილისი.
- მირცხულავა გ., მაისურაძე ბ., კოპალიანი ჯ., მინდორაშვილი დ., ჩიხლაძე ვ., რამიშვილი ქ. 2005:** სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის მუშაობის ანგარიში. ხელნაბეჭდი. თბილისი.
- მირცხულავა გ. 2007:** სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2005 წლის მუშაობის კომპლექსური ტექნიკური ანგარიში. ხელნაბეჭდი. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1978:** დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 2003:** მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. თბილისი.
- ორჯონიკიძე ალ. 2001:** რეგიონთშორისი კავშირები ადრებრინჯაოს ხანის საქართველოში. – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, 88-93. თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1963:** ქვემო ქართლის ენეოლითი (კიკეთის ენეოლითური ძეგლები). თბილისი.
- ჩიკოიძე ც., მინდიაშვილი გ., ჩხატარაშვილი მ., პაჭიკაშვილი ნ. 2003:** კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. – ვ. ჯაფარიძე (რედ.), მილსადენის არქეოლოგია, ტ. II, 10-17. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1998ა:** ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი სოფელ ჩინთიდან. – ნ. ტაბიძე (რედ.), „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, 72-80. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1998ბ:** კულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითურ ნამოსახლარებში წინა აზიის მასალების მიხედვით. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცე-

- სი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით) მოხსენებათა თეზისები, 3-5. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1999ა:** ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდინყარო I სოფელ ხელთუბანთან (გორის რაიონი). ძიებანი, № 3, 19-23. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 1999ბ:** შიდა ქართლი ძვ.წ.-ის V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
- ჩიქოვანი გ. 2001:** სოფელ ნიჩბისის ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი. – ძიებანი, № 8, 16-18.
- ჩიქოვანი გ. 2005:** ბიბილოსებრპირიანი ჭურჭლები აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებიდან. – ძიებანი, № 15-16, 60-63.
- შატბერაშვილი ზ., ამირანაშვილი ჯ., გოგოჭური გ., მინდორაშვილი დ., გრიგოლია გ., ნიკოლაიშვილი ვ. 2005:** თეთრინყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები 2003-2004 წლებში, ხელნაბეჭდი. თბილისი.
- Алиев Н., Нариманов И. 2001:** Культура северного Азербайджана в эпоху позднего энеолита. Баку.
- Ахундов Т. 2001:** Северозападный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Баку.
- Варазашвили В. 1992:** Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тбилиси.
- Гаджиев М. 1991:** Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. Москва.
- Гулиев Ф. 2005:** Урукская керамика южного Кавказа. – Т. Буниятов (ред.), Археология, этнология, фольклористика Кавказа, 82. Баку.
- Глonti Л., Джавахишвили А. 1987:** Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита – поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА, вып. 192, 80-87.
- Кушнарева К., Чубинишвили Т. 1970:** Древние культуры Южного Кавказа. Ленинград.
- Мунчаев Р. 1982:** Памятники культуры энеолита Кавказа. – Б. Рыбаков (ред.), Археология СССР, энеолит СССР, 100-137. Москва.
- Мунчаев Р. 1994:** Куро-Аракская культура. – Б. Рыбаков (ред.), Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа, 8-57. Москва.
- Мунчаев Р. 2007:** Урукская культура (Месопотамия). – Г. Гамбашидзе (ред.), Кавказ – Археология, этнография и фольклористика Кавказа, 8-9. Махачкала.
- Муσειбли Н. 2007:** К вопросу о хронологии леилатепинской культуры. – Г. Гамбашидзе (ред.), Археология, этнография и фольклористика Кавказа, 155-158. Тбилиси.
- Нариманов И. 1987:** Культура древнего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Баку.
- Ростунов В. 2005:** Памятники типа «Редант» из предгорной зоны Северной Осетии. – Т. Бунятов (ред.), Археология, этнография и фольклористика Кавказа, 159-160. Баку.
- Чиковани Г. 1989:** Новые памятники раннеземледельческой культуры Арагвского ущелья. – И. Дьяконов (ред.), Кавказ и цивилизации Древнего востока, 84-86. Орджоникидзе.
- Чиковани Г. 2003:** Глиняная посуда с ушками как один из определяющих компонентов поэтапного развития раннеземледельческих культур Грузии. – Л. Абрамян (ред.), Археология, этнография и фольклористика Кавказа, 47-48. Эчмиадзин.
- Чиковани Г. 2005:** Глиняный сосуд с седьмого погребения из раннеземледельческого поселения Арухло I. – Т. Бунятов (ред.), Археология, этнография и фольклористика Кавказа, 178. Баку.
- Шатберашвили З., Чиковани Г. 2007:** Погребения № 4 из раннеземледельческого поселения Начивчавеби. – Г. Гамбашидзе (ред.), Археология, Этнология и фольклористика Кавказа, 230-232. Тбилиси.
- Frangipane M., Palumbi G. 2007:** Red-Black Ware, Pastoralism, Trade, and Anatolian-Transcaucasian interactions in the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> millennium BC. – В. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI-III<sup>ème</sup> millénaires av. n. è.). Leurs relations

avec le Proche-Orient, 233-255. Paris.

**Lyonnet B. 2007:** Introduction. – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI-IIIème millénaires av. n. è.). *Leurs relations avec le Proche-Orient*, 11-19. Paris.

**Makharadze Z. 2007:** Nouvelles Données sur le Chalolithique en Georgie orientale. – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI-IIIème millénaires av. n. è.). *Leurs relations avec le Proche-Orient*, 123-132. Paris.

**Palumbi G. 2007:** A Preliminary Analysis on the Prehistoric Pottery From Aratashen (Armenia). – B. Lyonnet (ed.), Les cultures du Caucase (VI-IIIème millénaires av. n. è.). *Leurs relations avec le Proche-Orient*, 63-76. Paris.

## ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – ნაჭივჭავეები. გენგეგმა და ჭრილი.

ტაბ. II – თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქვის სანაყი და ობსიდიანის იარაღები ორმოებიდან.

ტაბ. III – ნახევრადმინურისა და № 31 ორმოს გეგმა და ჭრილი; თიხის ჭურჭელი № 31 ორმოდან.

ტაბ. IV – № 4 ენეოლითური ორმოსამარხის გეგმა და ჭრილი; 1. ხელსაფეკვავი, 2. ძვლის იარაღი, 3. რქის იარაღი № 4 სამარხის ორმოდან.

ტაბ. V – აკლდამა № 1, გეგმა და ჭრილი. 1. სარდიონისა და პასტის მძივები, 2. ობსიდიანის ლამელა, 3-9, 11. თიხის ჭურჭელი, 11. ძვლის კვირისტავი № 1 აკლდამიდან.

ტაბ. VI – აკლდამა № 2. გეგმა და ჭრილი; 1-4. თიხის ჭურჭელი № 2 აკლდამიდან; № 3 ორმოსამარხის გეგმა; 5-6. თიხის ჭურჭელი № 3 ორმოსამარხიდან; 7-8. თიხის ჭურჭლები № 5 დანგრეული აკლდამიდან.

## A NEW SITE OF THE ENEOLITHIC-EARLY BRONZE AGE FROM TETRITSQARO

A number of archaeological sites came to light as a result of work carried out in Georgia in connection with the construction of the BTC pipeline and ROW [Right of Way], specifically in Meskheta and Kvemo Kartli regions. The new discoveries emphasized the important role played by these regions, rich in ancient sites, in the study of the development of prehistoric and historic societies. Particularly interesting among the new discoveries is the Eneolithic-Early Bronze Age site situated at Nachivchavebi in Tetristsqaro district, at 85 km on the pipeline. The site was excavated in 2003-2004 during three campaigns by the Tetristsqaro archaeological expedition (Shatberashvili et al. 2005), and an area of 1000 m<sup>2</sup> was investigated.

Nachivchavebi is situated 4 km south-west of Tetristsqaro. It lies on a slope on a mountainside covered with broad leaf forest and occasional fields and shrub-lands. The area of the archaeological site itself is deep within a gorge on the river Chivchavi, that flows from Arsena gorge in the north-east to the south-west. Once the topsoil was removed at Nachivchavebi, round black spots appeared in the yellowish loam. Most of these spots proved to be pits, although some were burials, and one was the remains of a semi-dugout dwelling.

Forty-nine Eneolithic pits, one semi dugout-dugout dwelling and five burials were eventually excavated. The pits were filled with black earth containing archaeological material, although some yielded stones such as basalt hand- grinders and slabs. The pits were close to another, roughly 1.5-4 m apart, and they occupied most of the eastern part of the trench, while the adobe dwelling was in the south (pl. I). The smallest pits were 0.7-0.9 m in diameter, and 0.25-0.30 m deep; the medium-size pits were 1.5 m in diameter, and 0.50-0.70 m deep; the largest pits were 1.7-1.9 m in diameter at the top, 0.7-1.6 m deep, and 2.5 m at the bottom. A small number of the pits had vertical walls, while most of the pits were in effect pear-shaped, broadening towards the base.

The finds: potsherds, obsidian, stone, bone and horn tools as well as animal bones were found in the pits, burials and the dugout dwelling; hand-grinders of various sizes and shapes were largely heaped in stone mounds, and were found together with ordinary stones in the pits but rarely occurred in the burials themselves or the dugout dwelling.

The settlement type and the domestic and industrial activities carried out at Nachivchavebi have affinities with other sites both in Georgia and beyond. The site is also distinguished by a number of particularities which increase its scientific importance. The finds belong to the Eneolithic-Early Bronze Age, and come mainly from the pits and burials. The settlement is presumably situated in an unexcavated area outside the ROW, but this has not been confirmed archaeologically.

The study of Early Farming Cultures began in the eastern Caucasus as early as the 1950s. The discovery of Kjul-tepe I laid the foundation for the study of multi-horizon round-domed residential buildings unknown before. Such artificial hill-settlements were mainly studied in Kvemo Kartli and Azerbaijan, near rivers or on open ground and it was called in the literature the Shulaver-shomu Tepe culture (Kiguradze 1976, 105).

Another type of single-stratum settlement is known as the Sioni type (Menabde, Kiguradze 1981, 31) or Tsopi-ginchi group of sites (Chikovani 1989, 86) and it has been studied in Georgia and beyond. Sites lie on



open ground as well as on river banks, foothills, and mountain ranges. Settlements of this group are characterized by the presence, presumably above ground, of huts with wattle and daub walls, although in some cases semi-dugout dwellings and stone-built complexes have been recorded. In a review of the building traditions of Neolithic-Eneolithic single-stratum sites, G. Mirtskhulava concluded on the basis of evidence from Paluri, Khorshi, Kobuleti, Darkveti, Chikhori and Guandra that square and round above-ground or semi-dugout dwellings were built at this stage of development of the productive economy (Mirtskhulava 2001, 41).

Remains of a dwelling and temple complex with an outer wall based on a sophisticated building tradition have also been found in east Transcaucasia, in Shida Kartli, at Berikldeebi in Kareli district (Ghlonti, Javakhishvili 1987, 84-85) and in a kurgan near the village of Kavtiskhevi, near the so-called Ioramis Gora, in Kaspi district (Makharadze 2007, 124-125). Similar settlements and kurgans have been studied in larger numbers in Azerbaijan and are known as Leila Tepe Culture (Aliev, Narimanov 2001, 7).

Systematic wide-scale archaeological excavations since 1960 have shown that the development of the Early Farming Culture in eastern Georgia took place in an idiosyncratic fashion compared with other regions. Here sites of three archaeological cultures: Shulaver-shomu Tepe, the Tsopi-ginchi group and Berikldeebi–Leila Tepe, can be distinguished. They apparently co-existed at a certain stage of their development and impacted on each other (Chikovani 1998b, 3-5).

The finds from the Nachivchavebi Eneolithic settlement belong to the Tsopi-ginchi group. Similar settlements have been studied elsewhere in eastern Georgia: at sites in Kvemo Kartli such as Tsopi (Kusznaeva, Chubinishvili 1970, 28-32), Sioni (Menabde, Kiguradze 1981, 7), Tsiteli Sopeli, Arukhlo VI, Javakhi (Gogelia, Chelidze 1992, 59-62), Vaziani (Chikoidze et al. 2003, 11); in Kakheti: Kviriastskali, Damtsvari Gora, etc. (Varazashvili 1992, 18, 32); in Shida Kartli: Abanoskhevi, Bodorna, Akhali Zhinvali, Zhinvali, Chinti, Khertvisi (Chikovani 1999b, 7-11), Tanditsqaro I (Chikovani 1999a, 19) and Nichbisi (Chikovani 2001, 16).

The multi-level site recovered at 74 and 77 km on the BTC pipeline belongs to the same cultural group. The Eneolithic-Early Bronze Age level was damaged while digging the ROW (Mirtskulava et al. 2005; Mirtskhulava 2007). Such sites are characterized by a thin (between 0.5 and 1 m thick) cultural layer containing archaeological material. This includes pits, small stone mounds, hearths, and rarely semi-dugouts and burials. The site extends over a wider area in eastern Georgia than do the settlements of the Shulaver-shomu Tepe Culture, which is mainly to be found in two districts of Kvemo Kartli, in Bolnisi and Marneuli.

The Nachivchavebi Eneolithic settlement is a typical site of the Tsopi-ginchi group. Finds came from all of the pits, dugouts and burials, but some were outstanding by virtue of the abundance of material, and they might even be considered as separate complexes. The finds, especially potsherds, clearly demonstrate the continuity of the culture as providing evidence for relations with other regions. Both early and late material can be distinguished, an important factor in establishing the chronology of the site.

The Eneolithic potsherds from Nachivchavebi tend to be large, and some have been partly restored. In one case, a large pot was completely restored. The fabric is mostly coarse, with excess non-organic admixture, though some vegetal matter has been noted embedded on some of them. The ceramic vessels were mostly fired brown, but there are some that are black or reddish. Their fragmentary condition does not permit complete restoration of their shapes, but partly restored examples still enable us to establish certain categories of vessels. Judging by rims and walls, small and medium-sized vessels can be distinguished; non-profiled or slightly profiled vessels with straight-walled bodies or slightly incurved or offset rims (pl. II, 2-3, 8, 10). A separate group consists of different sized, low-necked vessels with slightly offset rims and convex bodies (pl. II, 10, 13; pl. III, 1-2, 4). Other shapes include bowl-like vessels with a narrow base (pl. II, 4), and others with low bodies, slightly protruding heels and broad bases (pl. II, 12). Judging by rim and wall fragments some vessels had convex bodies and flat bases, some of which have protruding feet (pl. II, 7, 11). Other shapes we have termed “comb-rims”, with ledges and knobs (pl. II, 3, 6, 8-9).

Most flaked tools were made from obsidian, and lamellae and lamellar flakes can be distinguished.

Some bear traces of secondary treatment or use. Some are combined tools (pl. II, 15-17). In one pit there was a flint arrowhead with a broken shaft. Hand-grinders were made from basalt. Most of the lower stones are boat-shaped, while the upper ones have flat ventral and straight dorsal sides. Among stone mortars, one with a tall body and a deep cavity is noteworthy (pl. II, 14). There is part of the blade of a double-edged stone axe-like tool. There are also straight, narrow and round stones that might have been used as pestles. Pits and dugouts yielded several antlers with cut-marks. One has a pointed tip.

One burial complex was contemporary with the Eneolithic settlement, and four belonged to the Early Bronze age. The Eneolithic pit-burial with a small stone mound is very interesting in terms of burial practice. During the cleaning of the stone mound there appeared a large, boat-shaped basalt hand-grinder among the ordinary stones; the pit-burial itself was oval. The size of the stone mound was 1.8 x 1.5 m, while the pit-burial measured 1.4 x 1.3 m. The peculiarity of this burial is that the deceased was found lying in an extreme crouched position, with the feet close to the pelvis. Several small fragments of an Eneolithic vessel were mixed in the filling of the pit. The burial produced a bone awl, a horn tool at the right elbow, and the upper stone of a hand-grinder broken in two parts, one of which lay beneath the pelvis of the deceased and the other at the right foot (pl. IV, 1-3). This burial has already attracted scholarly attention (Shatberashvili, Chikovani 2007, 230), and has been compared construction-wise to the Arukhlol pit-burials with stone mounds (Chikovani 2005, 178). The other four burials belong to an early stage of the Kura-Araxes Culture and completely differ from the Eneolithic burial in both construction and funeral rite. All five burials were found close to each other in the north-east part of the excavated area (pl. I, grids 7-8/10-12).

Burial No. 1. External dimensions: 2.4 x 2.2 m; internal: 1.9 x 1.45 m x 0.5 m. The burial was dug into yellowish loam. The stones in the lower row were laid horizontally, while those in the upper course were vertical; the floor was paved with stone slabs. There were two steps to the south. The chamber had been used for multiple burials, the most recent one in the south part, with the head to the south. The anthropologist L. Aslanishvili has concluded that two males of 40-44 and 30-34, two mature females of 50-54 and a girl of 12-14 were buried here. The burial contained eight ceramic vessels, an obsidian lamella, a nucleus and beads: one of sardonyx and 38 of paste (pl. V, 1-11).

Burial No. 2 is oval, externally 2.2 x 1.7 m, internally 1.84 x 1.35 m. The twelve stones of the walls are fitted vertically. Unlike Burial No. 1, it was unpaved. There were three individuals all buried in the crouch position, the head to the south. A male of 55-59 lay in the centre, resting on his left. A female of 30-34 lay in the eastern part on her right. The other deceased was a girl of 16-18. Grave goods included four vessels (pl. VI, 1-4), a bone patella and two obsidian flakes in the burial.

Burial No. 3 was a pit-burial with a stone mound containing the remains of a child with the head to the south. Two small vessels, a pot nestling in a bowl, lay before the face (pl. VI, 5-6).

Most of the Burial No. 5 had been destroyed. Judging by what survived it had a stone wall and a floor paved with stone slabs. There were two bowls in the burial (pl. VI, 7-8).

Palaeozoological, palynological and carpological analysis were carried out. The palaeozoologist O. Bedukidze reported that 35-40% of the animal bones recovered in the pits and the semi-dugout belonged to wild animals. Domestic animals were represented by pig, sheep, goat and cow bones, the latter being small in stature. In view of the wild animal bones, it is clear that hunting was an important activity for the local community. There was the upper incisor of a wild horse, *Equus caballus fossilis*, a fragment of the lower tusk of a Caucasian boar, *Sus scrofa ottila*, a Caucasian stag, *Cervus elaphus maral*, a Caucasian pig, *Alces alces caucasicus*, bones of a wild ox, *Bos primigenius*. The bones of wild oxen are not often found in large numbers in Eneolithic settlements, but are known from Damtsvari Gora, Kakheti (Varazashvili 1992, 98) and Abanoskhevi in the Aragvi Valley (Chikovani 1999b, 10). Antlers were used as hoes in the Early Farming settlements of the Shulaver-shomu Tepe Culture. One or two examples have been found in eastern Georgia, at a site of the Tsopi group. Nachivchavebi yielded antlers with traces of cutting and in one case a pointed tip. O. Bendukidze notes that the local inhabitants could have collected shed antlers and used

them for making tools.

Carpological and palynological analysis throws light on the domestic activity of the Eneolithic-Early Bronze Age population of Nachivchavebi and the ecosystem of the time. N. Rusishvili and N. Meladze analyzed 42 samples from the household pits and burials. The most remarkable finding is the discovery of cereals – soft wheat, *Triticum aestivum* L.; emmer wheat, *Triticum dicoccum* Schübl.; hulled barley, *Hordeum vulgare* L.; millet, *Panicum miliaceum* L.

The palynologist Eliso Kvavadze investigated samples from 14 pits and from a vessel found in one of the burials. She concluded that the palynological spectrum is characterized by a prevalence of the pollen of cereal crops and attendant weeds with relatively few forest elements and fern spores. Samples from Eneolithic pits produced wheat, of *Triticum* type; oats, of *Avena* type; barley, of *Hordeum* type; geranium, *Geranium* and thistle, *Carduus*.

Among the forest elements were: pine, *Pinus*; fir, *Picea*; nordman fir, *Abies*; lime, *Tilia*; hornbeam, *Carpenus caucasica*; sweetroot, *Palipodium vulgare*; the spores of undifferentiated ferns, *Polypodiaceae*.

In the vessel from Burial No. 3 there was pollen of: hazelnut, *Corylus avellana*, bear-nut, *Corylus colurna*, walnut, *Juglans regia*; the cultivated vine, *Vitis vinifera*; Georgian oak, *Quercus iberica*. Dr Kvavadze concludes that the climate must have been warmer at the time the settlement functioned.

Thanks to the research at Nachivchavebi, we can now express an option on various cultural, economic and religious questions relating to the local Eneolithic-Early Bronze Age community, as well as on their relationship with neighbouring regions.

An analysis of the potsherds shows that apart from certain peculiarities among the material recorded from different complexes of Nachivchavebi there seems to be an overall similarity in terms of firing technique, form and ornament. This is supported by fragments of ceramic vessels with perforations beneath the rims that were recovered from the pits (pl. II, 9). One fragment has holes all over the body. There are a few fragments with knobs and ridges (pl. II, 6, 13).

It is also interesting that there are vessels both with and without handles (pl. II, 5; pl. III, 1-2). The shape of the fragments from the pits with so called “comb-like” ridges stands out for originality, and the fragments have additional perforations (pl. II, 9).

Two fragments from pits Nos 11 and 31 should be singled out. They have granular and hatched ornament on the upper wall. The rim and wall fragment of a small vessel with a high base on the body (pl. II, 3-11) were also discovered in the pit. A small fragment of a base bears the impression of a woven mat.

It has already been mentioned that the Nachivchavebi Eneolithic settlement belongs to the Tsopi-ginchi group of monuments, of which large numbers have been excavated in eastern Georgia and beyond. Although pits are diagnostic of almost every settlement, Nachivchavebi nevertheless stands closer to such sites as Tsopi, where 27 pits have been recovered, the settlement of Tsiteli Sopeli with 18 pits (Gogelia, Chelidze 1992, 55, 61) and Damtsvari Gora with 26 pits (Varazashvili 1992, pl. II). The everyday and industrial material is also similar to that of the Early Farming settlements. It is particularly true for pottery which resembles the material from a number of sites in terms of the structure of the fabric and the firing technique as well as in terms of ornament. Judging by these features, the Nachivchavebi pottery displays more immediate affinities with material of the Tsopi-ginchi group of sites. Fragments with perforations beneath rims or on necks are common to material from Abanoskhevi, Akhali Zhinvali, Khertvisi, Chinti (Chikovani 1999b, 14-18), Nichbisi (Chikovani 2001, 16), Damtsvari Gora and Kviriashtqali (Varazashvili 1992, 21, pl. XII), Arukhlolo VI (Gogelia, Chelidze 1992, 60) Tsopi (Kushnareva, Chubinishvili 1970, 32); in western Georgia: Darkveta (Nebieridze 1978, 26), or Sagvarjile (Nebieridze 2003, 200); in Azerbaijan: Padar (Akhundov 2001, fig. XXV, 1), or Kechil (Narimanov 1987, fig. XXXV, 11); in Armenia: Mashtotsblur, Terteridzor, Tekhut (Munchaev 1982, pl. XLVII, 1-3; pl. XLVIII, 25), or Aratashen (Palumbi 2007, 70, fig. II, 3-5, fig. III, 1-3), in Daghestan: Ruguj, Ginchi or China (Gadjiev 1991, fig. XX; fig. XII, 12-13. 16; fig. XV, 2, 7).

Different kinds of knobs and ridges are diagnostic of a wide group of sites but round, elongated ridges

occur on late Eneolithic material. In particular, material similar to the Nachivchavebi Eneolithic pottery with ridges is recorded at Damtsvari Gora (Varazashvili 1992, pl. XIII, 1-3), Chinti (Chikovani 1998a, pl. II), and Ovchular-tepe in Azerbaijan, (Aliev, Narimanov 2001, pl. XXV, 9).

Flat, slightly projecting feet occur over a vast area, but they are recorded at late period settlements of the Tsopi-Ginchi group together with vessels with a round and narrow base. The impression of a woven mat can be seen on the base of some vessels. On sites of the Shulaver-Shomu Tepe culture such pottery appears alongside the footless vessels from the third stage of development (Kiguradze 1976, 121). This type of pottery is recorded in the material from Kviriastsqali, Damtsvari Gora (Varazashvili 1992, pl. XXVII-XXVIII), Chinti (Chikovani 1998a, pl. I, 8), Ginchi (Gadjiev 1991, fig. XV, 3-4), etc. Similar material to that of Nachivchavebi, namely, vessels with a low body and broad base (pl. II, 12) came to light at Arukhlo VI (Gogelia, Chelidze 1992, XVII-XVIII), Damtsvari Gora (Varazashvili 1992, pl. XX), Ilanlitepe in Azerbaijan (Narimanov 1987, fig. XI<sub>11</sub>), and Ginchi (Gadjiev 1991, fig. XIII, 4).

Different variations of "comb-rim" sherds from Nachivchavebi come from settlements of the Aragvi Valley (Chikovani 2005, 60), Tanditsqaro I (Chikovani 1999a, pl. V, 71-76), and Damtsvari Gora (Varazashvili 1992, pl. XII<sub>3</sub>), but the fragments from Nachivchavebi might be similar to vessels with incurved rims. Such fragments have been recorded both at Mashtotsblur Eneolithic (Munchaev 1982, pl. XVII, 3) and Galgalatli Early Bronze Age sites (Gadjiev 1991, fig. XXVIII, 108).

Handled vessels appear at sites of Early Farming Cultures at a certain stage of their development. Special interest should be attached to vessels with high swung, thick, solid handles round in section (pl. II, 5; pl. III, 1-2), for which parallels exist at settlements in Chinti (Chikovani 1998a, pl. I, 2-3), Damtsvari Gora (Varazashvili 1992, pl. XII, 12-16, pl. XIII, 6-9, pl. XXIV, 2), Tseteli Sopeli (Gogelia, Chelidze 1992, pl. XVII), Sagvarjile (Nebieridze 2003, pl. XXXIV), Tetri Mghvime (Kalandadze 1994, pl. XXII, 4-6), Alikemek Tepesi in Azerbaijan (Munchaev 1982, pl. XIV, 5-6), Padar (Akhundov 2001, fig. II, 1-2) and Ovchular tepe, where vessels with solid handles are found (Aliev, Narimanov 2001, pl. XXVII, 5, 8-9, pl. XXVIII, 1-4), but perforations, ridges, handles are found at Ginchi in Daghestan (Gadjiev 1991, fig. XIII, 9-17) and Redant in North Ossetia (Rostunov 2005, 159-160, pl. II-III).

A direct parallel for a vessel with a low neck and a handle came from the Damtsvari Gora settlement (Varazashvili 1992, pl. XXIV, 2). A fragment of a small vessel with a tall band on the body (pl. II, 5) has a parallel in the material from the Chinti settlement (Chikovani 1998a, pl. I, 2-3).

In discussing the Eneolithic pottery from Nachivchavebi, we would like to draw attention to pottery vessels found in a small pit near the semi-dugout, for they are in some ways different from the rest of the pottery. One vessel is 0.85 m tall with two handles and a cylindrical neck (pl. III, 2). It is fired brown and both firing technique and the handle shape resemble analogous features on vessels of the Kura-Araxes Culture, although they are closer still to those from the aforementioned Ovchular-tepe and Ginchi settlements. Such a large vessel with a solid handle is a novelty among the sites of the eastern Georgian Early Farming Culture. Another novelty is a medium-sized vessel with a long neck, an offset rim and a flat narrow bottom, and which has a black-burnished surface (pl. III, 4). We do not know of any parallels from Transcaucasian sites, but it is exactly analogous to a ceramic vessel from Arslan Tepe VII (Frangipane, Palumbi 2007, 235, fig. III, 1-2). Typologically new is a handled vessel with a tall neck, an offset rim, and a spherical body (pl. III, 1), but the same type vessel without a handle has affinities with the high quality pottery of Ginchi (Gadjiev 1991, 70. Fig. XIV, 20-21), and with the material from Leila Tepe (Aliev, Narimanov 2001, pl. X, 7). As for the fragments of bottom and wall of bi-conical vessel (pl. III, 3), vessels of a similar shape are known from Damtsvari Gora, Shavtsqala (Varazashvili 1992, pl. XI, 1, pl. XI, 11.4) and Leila Tepe (Aliev, Narimanov 2001, pl. VIII, 7-10), while a bowl-like vessel (pl. II, 4) has parallels at Leila Tepe and contemporary sites (Aliev, Narimanov 2001, pl. XII, 10-11).

We could continue demonstrating parallels from Nachivchavebi pottery in terms of shape and ornament but we believe the material we have found is enough to establish the nature and cultural affiliation of

the site. As for the rest of the Eneolithic material, it should be noted that there are hardly any bone or horn hoes, perforators, spoons, polishers or other tools, but this can be put down to the peculiarity of the site. Stone mortars, hand-grinders, however, occur almost everywhere. It is remarkable that boat-shaped hand-grinders common at Nachivchavebi more closely resemble those from the settlements of the Shulaver-Shomu Tepe Culture, while among the flaked obsidian material, a small part of which is represented here (pl. II, 15-17), there are no tools characteristic of the Early Farming Culture. But it should be said that this part of the material requires further typological and traceological analysis.

The discovery of a small pit burial with a stone mound contemporary with the Eneolithic settlement is remarkable in itself, since in eastern Georgia burials of this period have been discovered at only a few sites, at Abanoskhevi, Tsitelgorebi, Arukhlo I and III, Berikldeebi, and Ioramis Gora near Kavtiskhevi (Shatberashvili, Chikovani 2007, 230).

The discovery of three stone-built tombs and a small pit-burial with a stone mound of the early stage of the Bronze Age Kura-Araxes Culture is significant. There are no remains, however, of a contemporary settlement recorded at Nachivchavebi. The construction, burial practices and finds, especially the pottery, the stone-built tombs and the pit-burial have many parallels with settlements and burials investigated in eastern Georgia and beyond. In terms of firing technique, colour, shape, knobs and handles the pottery from the Nachivchavebi burials belongs to classical types diagnostic of the early stage of the Kura-Araxes Culture. The discovery of the burials of this culture at Nachivchavebi cannot be accidental as in the Nachivchavebi Valley there were studied the famous settlement at Tetrtsqaro (Gobejishvili 1978), the Samshvilde settlement and cemetery in Marneuli district (Mirtskhulava 1975), the Ghramakhevistavi settlement and burials near the village of Vardisubani in Dmanisi district (Abramishvili et al. 1980), a stone-built tomb near the village Tamarisi in Marneuli district, the Kiketi cemetery in Gardabani district (Pkhakadze 1963) etc. Stone-built tombs paved with stone slabs or with an earthen floor similar to the Nachivchavebi burials are known with different variations from Amiranis Gora, Kiketi, Ghramakhevistavi, Samshvilde, Koda, Elari (Mirtskhulava et al. 1992, pl. XVII). So far, the majority of burials and stone-built tombs of the Kura-Araxes Culture were excavated in Transcaucasia (Munchaev 1994, 34).

Scholars have noted that in the first stage of the Kura-Araxes Culture pottery is almost uniform. In Georgia such is the case at the early stage sites of Didube-Kiketi group, in Armenia at Elar and in Azerbaijan at Babadervish (Mirtskhulava et al. 1992, 77). A. Orjonikidze concludes on the basis of the leading types of shape and ornament on the pottery of the Kura-Araxes Culture, that there seem to be close ties between Kvemo and Shida Kartli and Kakheti regions at the early and later stages, but that this is not the case for the middle stage of the evolution of this culture. The reason must lie in the absence of sites of this stage. Furthermore, in terms of early shapes and ornament of pottery Kvemo Kartli stands close to the later period material of southern Georgia, a fact that can be explained by movement of Kvemo Kartlian traditions of pottery production to these highlands (Orjonikidze 2001, 91).

Most scholars date the early stage of the Kura-Araxes Culture to the second half of the 4<sup>th</sup> millennium BC (Munchaev 1994, 17). From the point of view of their construction and grave inventory, the Nachivchavebi burials relate to sites of early stage. Scholars mostly concur in dating the sites of the Tsopi-Ginchi group, which has its beginnings in the first half of the 4<sup>th</sup> millennium BC. Settlements excavated in the foothills of the Aragvi Valley in Shida Kartli played an important part in working out the chronological framework both in general and in detail. The overall period was conventionally defined as the second half of the 5<sup>th</sup> millennium and the first half of the 4<sup>th</sup> millennium BC based on an analysis of the relevant stratigraphy and the typology of the material (Chikovani 1989, 86). The Eneolithic pottery of Nachivchavebi finds more analogies in the material from sites dated to the first half of the 4<sup>th</sup> millennium BC. An important element for accurate dating, apart from the shapes and ornamentation of the vessels, is the presence of flat and narrow vessels with a round bottom and handles, diagnostic of sites of the first half of the 4<sup>th</sup> millennium BC and considered to be one of the components of the gradual development of the Early Farming Culture

(Chikovani 2003, 47-48). This view is supported by the vessels from one of the pits, which have analogies in contemporary sites of Berikldeebi, Leila Tepe and Arslan Tepe VII.

At present, scholars of the Caucasian Early Farming Culture have been especially interested in the discovery of sites of the Berikldeebi-Leila Tepe culture in Caucasia and links with Near Eastern cultural centres (Dzavaxiřhvili 1998, 7-16; Museibli 2007, 155-158). In this connection the suggestion that the phenomenon of the Uruk Culture emerging as a new cultural wave in the Caucasus is rather appealing to us and to other researchers (Guliev 2005, 82; Munchaev 2007, 8-9); B. Lyonnet's chronological scheme also tends to bear out this suggestion (Lyonnet 2007, 13).

Thus, Nachivchavebi is a new site which clearly demonstrates the cultural traditions of sites of the Tsopi-Ginchi group and the contemporary innovations of Arslan Tepe VII, as well as burial practices that involve grave goods that resemble those of the early stage of the Kura-Araxes Culture. Even though it is difficult to establish whether there is a chronological break between the Nachivchavebi Eneolithic settlement and the Kura-Araxes burials, Nachivchavebi can nevertheless be considered to be an outstanding site that is close in chronological terms to the final Eneolithic and the early stage of the Early Bronze Age. The likely date for the Nachivchavebi settlement and burials is the 4<sup>th</sup> millennium on the basis of the parallels we have noted and dates that scholars attribute to other sites.

## Bibliography

- Abramishvili R., Giguashvili N., Kakhiani K. 1980:** ghrmaxevistavis arkeologiuri dzeglebi (Ghrmakhevistavi Archaeological Sites). In: R. Abramishvili (ed.), *Ghrmakhevistavi Archaeological Sites*, 7-88, Tbilisi.
- Akhundov T. 2001:** *Severozapadnij Azerbajdjan v epokhu eneolita i bronzy (North-West Azerbaijan in the Eneolithic and the Bronze Age)*. Baku.
- Aliev N., Narimanov I. 2001:** *Kultura severnogo Azerbaidjana v epokhu pozdnego neolita (The culture of north Azerbaijan in the Late Neolithic)*. Baku.
- Chikoidze T., Mindiashvili G., Chkhatarashvili M., Pachikashvili N. 2003:** kukhetis arkeologiuri ekspeditsiis mushaobis angariši (Report of the Kukheti Archaeological Expedition). In: V. Japaridze (ed.), *Archaeology of the Pipeline 2*: 10-17. Tbilisi.
- Chikovani G. 1989:** Novye pamyatniki rannezemledelcheskoi kulturi Aragvskogo ushchelya (New sites of the Early Farming Culture of the Aragvi Valley). In: I. Dyakonov (ed.), *Kavkaz i civilizatsii drevnego vostoka*, 84-86. Ordjonikidze.
- Chikovani G. 1998a:** adresamitsatmoqmedo kulturis namosaxlari sopher chintidan (An Early Farming Culture settlement at the village of Chinti). In: N. Tabidze (ed.), *proceedings of "Legia de Compania" University 2*: 72-80. Tbilisi.
- Chikovani G. 1998b:** kulturuli protsesebi aghmosavlet sakartvelos eneolitur namosakhlarebsi tsina aziis masalebis mikhedvit (Cultural processes in East Georgian Eneolithic settlements in the light of material from the Near East. In: Scientific Session 5: "World Cultural-Historical Processes and Georgia (in the light of archaeological data)", *Abstracts 3-5*. Tbilisi.
- Chikovani G. 1999a:** adresamitsatmoqmedo kulturis namosakhlari tanditsqaro I sopher xeltubantan (goris raioni) (The Early Farming Culture settlement of Tanditsqaro I near the village of Kheltubani (Gori district). *Dziebani 3*: 19-23.
- Chikovani G. 1999b:** shida kartli dzv.ts. V-IV atatsleulebshi (arkeologiuri masalebis mikhedvit) (*Shida Kartli in the 5th-4th millennia BC (in the light of archaeological material)*). Doctoral thesis. Tbilisi.
- Chikovani G. 2001:** sopher nichbisi adresamitsatmoqmedo kulturis namosakhlari. (An Early Farming Culture Settlement at Nichbisi). *Dziebani 8*: 16-18.
- Chikovani G. 2003:** Glinyana posuda s ushkami kak odin iz opredelyayushchikh komponentov poetapnogo razvitiya rannezemledel'cheskikh kul'tur Gruzii (Pottery with handles as one of the defining components of the gradual

- development of Early Farming Cultures in Georgia). In L. Abramyan (ed.), *Arkheologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 47-48. Echmiadzin.
- Chikovani G. 2005:** Glinianii sosud s sedmogo pogrebeniya iz rannezemledel'cheskogo poseleniya Arukhlo I (A ceramic vessel from Burial No. 7 at the Early Farming settlement Arukhlo I). In T. Bunyatov (ed.), *Arkheologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 230-232. Tbilisi.
- Chikovani G. 2005:** bibilosebrpiriani tchurtchlebi aghmosavlet sakartvelos adresamitsatmoqmedo kulturis namosakhlarebidan (Comb-rim vessels from East Georgian Early Farming Culture settlements). *Dzhebani* 15-16: 60-63. Tbilisi.
- Dzavxisvili Al. 1998:** Ausgrabungen in Berikldeebi (Shida Kartli). In: H. Fenrich (ed.), *Georgien* 21: 7-16. Konstanz.
- Frangipane M., Palumbi G. 2007:** Red-black ware, pastoralism, trade and Anatolian-Transcaucasian interactions in the 4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> millennia BC. In: B. Lyonnet 2007, 233-55
- Gadjiev M. 1991:** *Rannezemledel'cheskaya kul'tura severo-vostochnogo Kavkaza (The Early Farming Culture of the north-east Caucasus)*. Moscow.
- Glonti L. Javakhishvili A. 1987:** Novye dannye o mnogosloinom pamyatnike epokhi eneolita-posdnei bronzy v Shida Kartli-Berikldeebi (New data on the multi-level site of the Eneolithic and Late Bronze Age in Shida Kartli-Berikldeebi). *KSIA*, 192: 80-87.
- Gobejishvili G. 1978:** tetrtsqaros nasophlari (*Tetrtsqaro Settlement*). Tbilisi.
- Gogelia D., Chelidze L. 1992:** Eneoliti (Eneolith). In: O. Japaridze (ed.), *Georgian Archaeology 2. Eneolithic-Early Bronze Age*. Tbilisi.
- Guliev F. 2005:** Urukskaya keramika yuzhnogo Kavkaza (The Uruk pottery of South Caucasus). In: T. Bunyatov (ed.), *Arkheologiya, etnologiya, i fol'kloristika Kavkaza*, 82, Baku.
- Kalandadze K. 1994:** *Tetri Mgvime*. Tbilisi.
- Kighuradze T. 1976:** aghmosavlet amierkavkasiis adresamitsatmokmedo kulturis periodizatsia (*The Division into Periods of East Transcaucasian Early Farming Culture*). Tbilisi.
- Kushnareva K., Chubinishvili T. 1970:** *Drevnie kultury Yuzhnogo Kavkaza (The ancient cultures of South Caucasia)*. Leningrad.
- Lyonnet B. 2007:** Introduction. In: Lyonnet 2007, 11-19.
- Lyonnet B. (ed.) 2007:** *Les cultures du Caucase (VI-III<sup>ème</sup> millénaires av. n. è.). Leurs relations avec le Proche-Orient*. Paris.
- Makharadze Z. 2007:** Nouvelles données sur le Chalcolithique en Georgie orientale. In: Lyonnet 2007, 123-132.
- Menabde M., Kighuradze T. 1981:** *sionis arkeologiuri dzeglebi (Archaeological Sites at Sioni)*. Tbilisi.
- Mirtskhulava G. 1975:** *Samshvilde*. Tbilisi.
- Mirtskhulava G., Orjonikidze A., Mindiashvili G., Japaridze O. 1992:** adrebrinjaos khana (Early Bronze Age). In: O. Japaridze (ed.), *Georgian Archaeology 2. Eneolithic-Early Bronze Age*, 70-151. Tbilisi.
- Mirtskhulava G. 2001:** adresamitsatmoqmedo kulturebis namosakhlarta ganvitarebis zogierti sakitkhi (Problems of Development of Settlements of Early Farming Cultures). In: O. Japaridze (ed.), *Caucasia, Problems of the Neolithic-Bronze Age*. Tbilisi.
- Mirtskhulava G., Maisuradze B., Kopaliani J., Mindorashvili D., Chikhladze V., Ramishvili K. 2005:** *samshvildis arkeologiuri ekspeditsiis 2004 tslis mushaobis angarishi (Report of the Samshvilde Archaeological Expedition of 2004)*. (Manuscript). Tbilisi.
- Mirtskhulava G. 2007:** *samshvildis arkeologiuri ekspeditsiis 2005 tslis mushaobis kompleksuri teknikuri angarishi (A Comprehensive Technical Report of the Samshvilde Archaeological Expedition of 2005)*. (Manuscript). Tbilisi.
- Munchaev R. 1982:** Pamyatniki kul'tury eneolita Kavkaza (Eneolithic sites of the Caucasus). In: B. Rybakov (ed.), *Arkheologiya SSSR, Eneolit*, 100-137. Moscow.
- Munchaev R. 1994:** Kuro-Arakskaia kul'tura (The Kura-Araxes Culture). In: B. Rybakov (ed.), *Arkheologiya epokhi bronzy Kavkaza i Srednei Azii (The Early and Middle Bronze Age in the Caucasus and Central Asia)*, 8-57. Moscow.
- Munchaev R. 2007:** Urukskaya kul'tura (Mesopotamia) (Uruk Culture (Mesopotamia)). In: G. Gambashidze (ed.), *Arkheologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 8-9. Makhachkala.

- Museibli N. 2007:** K voprosu o khronologii leilatepinski kul'tury (On the chronology of the Leilatepe Culture). In: G. Gambashidze (ed.), *Arkheologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 155-158. Tbilisi.
- Narimanov I. 1987:** *Kul'tura drevnego zemledelchesko-skotovodcheskogo naseleniya Azerbaidjana (The culture of the ancient farming-cattle-breeding population of Azerbaijan)*. Baku.
- Nebieridze I. 1978:** *darkvetis mravalpheniani ekhi (Darkveti Multilayered Cave)*. Tbilisi.
- Nebieridze L. 2003:** *mghvime sagvarjiles eneolituri khanis namosakhlari (The Eneolithic Settlement at Sagvarjile Cave)*. Tbilisi.
- Orjonikidze A. 2001:** regiontshorisi kavshirebi adrebrinjaos khanis sakartveloshi (Inter-regional Links in Early Bronze Age Georgia). In: O. Lordkipanidze (ed.), *Caucasia, Archaeological Problems of the Neolithic-Bronze Age*, 88-93. Tbilisi.
- Palumbi G. 2007:** A preliminary analysis of the prehistoric pottery from Aratashen (Armenia). In: Lyonnet 2007, 63-76.
- Pkhakadze G. 1963:** *kvemo kartlis eneoliti (kiketis eneolituri dzeglebi) (The Eneolithic Period in Kvemo Kartli (Kiketi Eneolithic Sites))*. Tbilisi.
- Rostunov V. 2005:** Pamyatniki tipa "Redant" iz predgornoi zony Severnoi Osetii (Sites of "Redant" type from the foothill zone of North Ossetia). In: T. Bunyatov (ed.), *Arkheologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 159-160. Baku.
- Shatberashvili Z., Amiranashvili J., Gogochuri G., Mindorashvili D., Grigolia G., Nikolaishvili V. 2005:** *tetristsqaros arkeologiuri ekspeditsiis samushaoebi 2003-2004 tslebshi (Activities of the Tetristsqaro Archaeological Expedition in 2003-2004)*. (Manuscript). Tbilisi.
- Shatberashvili Z., Chikovani G. 2007:** Pogrebenie № 4 rannezemledel'cheskogo poseleniya Nachivchavebi (Grave 4 from the Early Farming settlement of Nachivchavebi). In: G. Gambashidze (ed.), *Arkheologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 230-232. Tbilisi.
- Varazashvili V. 1992:** *Rannezemledel'cheskayia kul'tura loro-Alazanskogo basseina (The Early Farming Culture of the Lori-Alazani basin)*. Tbilisi.

## Illustrations

Pl. I – Nachivchavebi. General plan and section.

Pl. II – Fragments of pottery, stone mortar and obsidian tools from the pit.

Pl. III – Plan and section of the semi-dugout and pit No. 31; pottery from pit No. 31


Pl. IV. Plan and section of No. 4 Eneolithic pit-burial: 1. hand-grinder, 2. bone tool, 3. horn tool from No. 4 burial pit

Pl. V – Crypt No. 1, plan and section. 1. sardonyx and paste beads, 2. obsidian lamella, 3-9, 11. pottery, 11. bone patella from crypt No. 1


Pl. VI – Crypt No. 2. Plan and section; 1-4. pottery from crypt No. 2; plan of pit-burial No. 3; 5-6. pottery from pit-burial No. 3; 7-8. pottery from destroyed crypt No. 5.




I





I - I






III






I - I




2




-0.71

0 0.5 1 m




1







3


V








№ 2



I - I



№ 3



## თისელის სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი

მტკვარ-არაქსის კულტურა პირველად ბ. კუფტინმა გამოყო მტკვრისა და არეზის ორმდინარეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით გასული საუკუნის 40-იან წლებში. განსაზღვრა რა ამ კულტურის ძირითადი ნიშნები და მისი კერამიკის მახასიათებლები, მან ამ კულტურას მტკვარ-არაქსის ენეოლითი უწოდა [Куптин 1944a; Куптин 1944b]. დღეისათვის დადგენილია, რომ ამ კულტურის გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა, ვიდრე სამხრეთ-კავკასიის ორმდინარეთი. მან მოიცვა: თითქმის მთელი ამიერკავკასია, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილი, ჩრდილო-დასავლეთი ირანი და აღმოსავლეთ ანატოლია. მტკვარ-არაქსის კულტურის ცალკეული ელემენტები და ნიშნები ჩანს კავკასიიდან ძალიან შორს, სამხრეთით, სირიასა და პალესტინაში, სადაც ისინი შეადგენენ ე.წ. კირბეტ-კერაკის კულტურას [Мунчаев 1975: 149]. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სხვა კავკასიურ კულტურას, არც მანამდე და არც მერე, ისეთი ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურას, რომლის მატარებელმა ტომებმა უთუოდ მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიისა და წინა აზიის უძველეს ისტორიაში [ჯაფარიძე 1976a: 79]. მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის შესწავლას მრავალი პუბლიკაცია და შემაჯამებელი ნაშრომი მიეძღვნა [ჯაფარიძე 1961; ჯაფარიძე 1976b; ჩუბინიშვილი 1965; Кушнарева, Чубинишвили 1970; Мунчаев 1975; Мунчаев 1994; ორჯონიკიძე 2004], ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის მისი წარმომავლობის, პირველი ადგილსამყოფელისა და წინამორბედ კულტურასთან ურთიერთობის საკითხები. ასევე შემდგომ კვლევას მოითხოვს ამ კულტურის ლოკალური ვარიანტების თავისებურება. ერთიანი აზრი არ არის მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური საფეხურის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს მტკვარ-არაქსის კულტურისა და მისი მომდევნო ადრეული ყორღანების კულტურის ურთიერთობის საკითხები [ჯაფარიძე 1988; ჯაფარიძე 1989; ჯაფარიძე 1998].

ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურას განიხილავენ როგორც ერთიან კულტურულ-ისტორიულ მოვლენას, მაგრამ თავისი ლოკალური თავისებურებებით. განსხვავება ლოკალურ ვარიანტებს შორის გამოიხატება ნამოსახლარების ტოპოგრაფიაში, ნაგებობების არქიტექტურასა და მშენებლობის ტექნიკაში, მატერიალური კულტურის ზოგიერთ ელემენტში [მახარაძე 1994: 4].

სწორედ თისელის სერის ნამოსახლარი და სამაროვანია ის ძეგლი, სადაც აისახა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილი მტკვარ-არაქსის კულტურის ლოკალური ვარიანტების კონტაქტები. აქედან მომდინარე არქეოლოგიური მასალის ანალიზი და შემდგომში ძეგლზე დამატებითი სავლე კვლევა-ძიების ჩატარება გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში მიმდინარე პროცესებზე.

მტკვარ-არაქსის კულტურა მძლავრადაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა ბორჯომის ხეობასა და მის მიმდებარე ტყიანი ლანდშაფტების მქონე რაიონებში. ამ ხანის ძეგლების რაოდენობით ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეზობელ რაიონებს [ორჯონიკიძე 2004: 11]. აქ ბოლო დრომდე შესწავლილი არ ყოფილა მტკვარ-არაქსის კულტურის არც ერთი ძეგლი. მდგომარეობა შედარებით შეიცვალა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ენერგომავისტრალის მშენებლობის შემდეგ.

2004 წლის ზაფხულში, ბორჯომის რაიონის მონაკვეთზე, სოფ. ტაძრისის სამხრეთ-დასავლეთით, ახალციხისა და ბორჯომის რაიონების გამყოფი ქედის — „თისელის სერის“ დასავლეთ ფერდობზე, ენერგოდერეფნის საზღვრებში მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა ნამოსახლარისა და სამაროვნის ნაწილი. ძველი რთულ რელიეფზეა განთავსებული და ის ზღვის დონიდან 1607 მ სიმაღლეზე მდებარეობს. არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა მხოლოდ ნავთობისა და გაზის მიწების ჩასაწყობ ზოლში. ნაგებობების არსებობის კვალი დაფიქსირდა ენერგოდერეფნის სამხრეთ მონაკვეთში. აქვე აღმოჩნდა ორი სამარხი. ნამოსახლარის თანადროული 8 სამარხი გამოვლინდა დერეფნის ჩრდილოეთ ნაწილში, გაზსადენის მხარეზეც (ტაბ. I).

თისელის სერის ნამოსახლარის ძირითადი ტერიტორია, როგორც ჩანს მდებარეობს ენერგომარგისტრალის გარეთ, მისგან სამხრეთით არსებული ბუნებრივი ბორცვის ფერდობზე. ის ჩრდილო-დასავლეთი კალთიდან თანდათანობით მალდება და მთავრდება სწორი, ტყით დაფარული თხემით. მშენებლობის ზონაში სწორედ ნამოსახლარის ქვედა ტერასა აღმოჩნდა. გათხრილ ფართობზე დაფიქსირებული არქიტექტურული დეტალები (კედლის მცირე ფრაგმენტები, იატაკში ჩაჭრილი სტაციონალური კერის ფოსო) გვაფიქრებინებს, რომ ამ მონაკვეთში რამდენიმე ნაგებობა უნდა არსებულიყო (ტაბ. II<sub>1-3</sub>).

ნასახლარის შესწავლილი ნაწილი ვერ იძლევა ნათელ სურათს აქ არსებულ ნაგებობების არქიტექტურასა და გეგმარებაზე. ამიტომ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მთის ფერდობზე არსებული სოფელი, რელიეფის შესაბამისად, ტერასულად უნდა ყოფილიყო გაშენებული. ქვით, ტალახზე ნაშენი სწორი კედლების ფრაგმენტების მიხედვით თითქოს ისე ჩანს, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს ოთხკუთხა ნაგებობებთან, რომელთაც, ალბათ, ბანური გადახურვა ჰქონდა. ქვის ნაგებობა ძალზე დამახასიათებელია მეზობელი რეგიონებისათვის. იქაურ ძეგლებთან პოულობს საერთოს თისელის სერის ნასახლარის სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ცილინდრული ფორმის უშვერილო კერა და ამგვარივე კერის ნატეხებიც (ტაბ. VI<sub>18,19</sub>), რომელსაც უახლესი ანალოგი ახალციხის ამირანის გორაზე ეძებნება [ჩუბინიშვილი 1963: სურ. 2, 4].

თისელის სერზე მტკვარ-არაქსის კულტურის ნასახლარის თანადროული 10 სამარხი გაითხარა. აქედან ორი № 1 და № 3 ნასახლარის მონაკვეთზე, დანარჩენი 8 (№№ 2, 4-10) კი გაზსადენის ტრასაზე. საინტერესოა, რომ ამ მონაკვეთში სამარხები გამართულია დასახლების სინქრონულ თხრილში, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 22 მ სიგრძეზე ყოფილა გაჭრილი. თხრილის მაქსიმალური სიღრმე ცენტრალურ ნაწილში 1,6 მ-ია, ნაპირებისკენ კი თანდათანობით კლებულობს (ტაბ. I<sub>2</sub>). მისი ბოლომდე შესწავლა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა და, ბუნებრივია, გაურკვეველი დარჩა თხრილის თავდაპირველი ფუნქციაც.

თხრილი, როგორც ჩანს, დროდადრო ივსებოდა კულტურული „ნარჩენებით“ და აქვე კრძალავდნენ მიცვალებულებსაც. შევსებაში მოხერხდა ექვსი ჰორიზონტის გამოყოფა. ისინი ერთიმეორისაგან ძირითადად ფერებითა და არქეოლოგიური მასალის ინტენსივობით განირჩევა. თხრილში სხვადასხვა დონეზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 8 სამარხი იქნა გათხრილი.

შესწავლილი 10 სამარხიდან ცხრა ორმოსამარხია (№№ 1-3, 5-10), ერთი კი სამარხი-აკლდამა (№ 4), რომლის კედლები ნაშენი იყო მშრალად თირის ქვით. აკლდამა ხის ძელებით უნდა ყოფილიყო გადახურული, რომელზედაც მცირე ზომის ქვაყრილი ყოფილა მოწყობილი. ქვაყრილიანი იყო № 6 ორმოსამარხიც, დანარჩენი სამარხები მინაყრილიანია (ტაბ. III).

თისელის სერზე გათხრილი სამარხების დამხრობაში გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება. ექვსი სამარხი (№ 4-10) გრძივი ღერძით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა ორიენტირებული (ტაბ. I). მიცვალებულები დაკრძალული არიან ხელ-ფეხ მოკეცილ მდგომარეობაში. შვიდ შემთხვევაში მარცხენა, ხოლო სამში – მარჯვენა გვერდზე. სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია, მხოლოდ ორში (№№ 7, 9) დაფიქსირდა წყვილადი დაკრძალვა, ორივე შემთხვევაში მამრობითი სქესის ინდივიდი იყო დაკრძალული. მიცვალებულთა უმრავლესობას თავი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აქვს მიმართული.



სამარხებში 11 ინდივიდი აღმოჩნდა. აქედან სამი ბავშვია. რვა მიცვალებულიდან ექვსი მამრობითი, ხოლო ორი – მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

სამარხების უმრავლესობა უინვენტაროა. ნივთები აღმოჩნდა ოთხ სამარხში (№№ 1, 2, 4, 6). ის წარმოდგენილია ოთხი ჭურჭლით, ძვლის კვირისტავითა და მძივებით (ტაბ. IV<sub>15-17</sub>; ტაბ. V<sub>1-3</sub>). უინვენტარო სამარხებში ხშირად ცხვრის, თხის, ხარისა და ძროხის ძვლები ჩნდებოდა თავებისა და კიდურების სახით.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების დაკრძალვის წესები რთული და მრავალფეროვანი იყო. ასევე მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა სამარხი ნაგებობები და მათი კონსტრუქცია. სამაროვნები უმეტესწილად ნამოსახლარების სიახლოვეს იმართებოდა [Мунчаев 1994: 34]. ამ მხრივ გამონაკლისს არც თისელის სერის ნამოსახლარი და მისი სამაროვანი წარმოადგენს.

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მსგავსი ტიპის სამარხები დაკრძალვის ანალოგიური წესით, კარგადაა ცნობილი. არსებობის ხანგრძლივობითა და გავრცელების ფართო დიაპაზონით გამოირჩევა ორმოსამარხი. ის განსაკუთრებით დამახასიათებელი ჩანს შიდა ქართლური ძეგლების წრისათვის, სადაც მას ვხვდებით ქვაცხელაზე [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 23], ხიზანანთ გორაზე (კიკვიძე 1972: 43), ურბნისში [ჭილაშვილი 1964: 9] და სხვ. ამგვარი სამარხი სამხრეთ კავკასიის სხვა ოლქებშიცაა, თუმცა აქ, ამის გარდა, განსხვავებული ტიპიც გვხვდება, მათ შორის ქვით ნაგები აკლდამაც, მსგავსი თისელის სერის სამარხისა. ის ცნობილია ძირითადად ქვემო ქართლიდან [მირცხულავა და სხვ. 1992: 99], არის ახალციხის ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963: 36], სომხეთში [Ханзадян 1979: 152], თავს იჩენს დაღესტანშიც [Гаджиев 1969: 103].

თისელის სერის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული არტიფაქტების უმრავლესობა კერამიკული ნაწარმითაა წარმოდგენილი, რომლის დიდ ნაწილს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები შეადგენს. მასში გამოირჩევა დერგის, ქოთნის, კოჭობის ჯამისა და სხვა ფორმები. თიხის ჭურჭელი უმთავრესად სადაა. იშვიათად გვხვდება რელიეფური (სპირალი, რკალი, გველის გამოსახულება) და ნაკანრი გეომეტრიული ორნამენტით (სამკუთხედები, ზოომორფული ფიგურები) შემკული ფრაგმენტებიც. თიხის ჭურჭელი მთლიანად ხელითაა დამზადებული, სამეურნეო მორგვის გამოყენების გარეშე. უმეტესობა მოვარდისფროა, გვხვდება მონაცისფრო და შავპირიანნიც, მოვარდისფრო და მონაბლისფრო სარჩულით. თისელის სერის ნამოსახლარზე მოპოვებული კერამიკული მასალა ტიპიური მტკვარ-არაქსული ნაწარმია და მიეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს.

დერგი ფრაგმენტების სახით სამკაოდ მრავლადაა წარმოდგენილი. უმეტესობას აქვს მაღალი ცილინდრული ან კონუსური ყელი, რომელიც გარდატეხის ხაზით გადადის კვერცხისებრი ფორმის კორპუსზე. ოვალურ განივკვეთიანი ყურები დაძერწილია ყელსა და მხარზე ან მხოლოდ ტანზე. გამოირჩევა ერთი დერგი, რომელსაც ყური აქვს ყელსა და მხარზე, ასევე – ტანზეც, რაც საკმაოდ იშვიათია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის (ტაბ. IV<sub>1</sub>). ღია ფერის მქონე ჭურჭლის ზედაპირი ხაოიანი და შლადია, მაშინ, როცა შავი ფერის ნაწარმი გამოირჩევა ნაპრიალები ზედაპირით (ტაბ. IV<sub>1-6</sub>).

ზოგიერთი დერგი შემკულია რელიეფური სპირალური ორნამენტით (ტაბ. IV<sub>7</sub>), თუმცა ჭარბობს ამოკანვრით შესრულებული შემკობა, რომელიც ჭურჭლის გამოწვის შემდეგაა დატანილი კორპუსის ზედა ნაწილზე. ესაა რომბების მწკვრივი, შიგ ჩახაზულ პატარა რომბებით (ტაბ. IV<sub>1,6</sub>). აქვე არის წვერებით შეერთებული ტოლფერდა სამკუთხედებით გამოსახული სტილიზებული თხებიც (ტაბ. IV<sub>9-11</sub>).

თისელის სერის ჭურჭელს ემსგავსება ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილი დერგები, შემკული რელიეფური ორნამენტით [მირცხულავა და სხვ. 1992: ტაბ. CX], ზველის გვიან მტკვარ-არაქსული ჭურჭელი, მხარზე ნაკანრი სამკუთხედებით [მირცხულავა და სხვ. 1992: ტაბ. CXVIII] და ამავე ხანის ბეშთაშენის ეგზემპლარებიც [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 34-35]. გარკვეული მსგავსება ჩანს ციხიაგორის ფენის შედარებით ფართოყელიან და ვინროძირიან ჭურჭელთანაც [მახარაძე 1994: ტაბ. LVI]. რამდენადმე ახლოა დიგაშენი I ნასახლარის კვერცხისებრტანიანი დერგიც რელიეფური ორნამენტით მხარზე [ორჯონიკიძე 1998: ტაბ. I<sub>8</sub>]. წვერით შეტყუებული სამკუთხ-

ედებით სტილიზებული რქოსანი ცხოველების გამოხატვა ცნობილია ზველის სამარხიყანებიდან მომდინარე დერგიდანაც [ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 27<sub>5</sub>]. ამგვარივე შემკობას ვხვდებით სომხეთში – შენგავითის ჭურჭელზე [Мунчаев 1975, სურ. 26] და ანატოლიაში – თეფე-ჯიკსა და არსლან-თე-ფეზე [Sagona 1984, Fig. 250, 256]. აღნიშნული მოტივი ფართოდ იყო გავრცელებული წინააზიის ადრეული კულტურების მოხატულ კერამიკაზე [Массон 1963: სურ. 7]. მტკვარ-არაქსული კულტურის თიხის ჭურჭელზე წინააზიური წარმომავლობის ეს მოტივი ადგილობრივი ტრადიციული ტექნიკური ხერხებითაა გამოყვანილი და მიანიშნებს სამხრეთ საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობების არსებობაზე ამ რეგიონთან ადრეობინჯაოს ხანაში.

ქოთანის წარმოდგენილია თითქმის თანაბარი რაოდენობის მოვარდისფრო მოყვითალო და შავ-ზედაპირიანი ეგ ზემპლარებით. ამგვარი სამი ჭურჭელი აღმოჩნდა გაზსადენის მონაკვეთზე, კერასა და სამარხებს შორის მოქცეულ კულტურულ ფენაში. სამივე მათგანი ცალყურაა და ხასიათდება გამოყვანილი ყელით, ნიბურით გამოყოფილი, ზედა ნაწილში გამოზნეტილი კორპუსით და ყელსა და მხარზე მიძერწილი ყურით [ტაბ. IV<sub>12-14</sub>]. ამ ფორმის ჭურჭელი, ოღონდ ყურით პირსა და ყელზე, კარგადაა ცნობილი შიდა ქართლის ძეგლებზე [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: ტაბ. IV; კიკვიძე 1972: სურ. 14, 15]. ამგვარი ჭურჭლის ერთ ფრაგმენტს მსხვილი ნახვრეტის ქვეშ აქვს რელიეფური ზოლი (გველი), მსგავსად დიგაშენი I ნასახლარის ჭურჭლისა [ორჯონიკიძე 1998: ტაბ. I].

თისელის სერის სამარხებში აღმოჩნდა ბიკონუსური ფორმის ქოთნები, რომლებიც შემკულია ნყვილი კოპებითა და უნაგირისებრი დანაძერწით, ზოგჯერ ფოსოების მოკლე მწკრივით [ტაბ. IV<sub>15-17</sub>]. განხილული ქოთნებიდან ერთ, მცირე ზომის ძირშედრეკილ, ქოთანს [ტაბ. IV<sub>12</sub>] ბევრი პარალელი მოეპოვება შიდა ქართლის ძეგლებზე. მიჩნეულია, რომ ამ ნიშნის მქონე ჭურჭელი შიდაქართლური ლოკალური წრისთვისაა დამახასიათებელი [კიკვიძე 1972, ნახ. 72-73].

ქილა თისელის სერის კერამიკულ ნაწარმში თითქოს იშვიათია. აქ აღმოჩენილი ორივე ქილა ღია ფერისაა, მაღალი ცილინდრული ყელით. ერთი გამოვლინდა ნაგებობის სიახლოვეს, მეორე – სამარხში. ამ უკანასკნელს აქვს ყელისგან მკვეთრი ნიბურით გამოყოფილი დაბალი, გამობერილი კორპუსი. ყელსა და მხარზე მიძერწილია ყური (ტაბ. V<sub>3</sub>). ფორმით ეს ჭურჭელი შეიძლება შევადაროთ ჯავახეთში, სათხეს ნასახლარზე აღმოჩენილ ქილებს [ქიქოძე და სხვ. 1998, ტაბ. V<sub>5,6</sub>]. რამდენადმე ემსგავსება იგი ციხიაგორის ფენის შედარებით დაბალყელიან ჭურჭელსაც [მახარაძე 1994: ტაბ. XXVIII]. ფორმით გარკვეულ სიახლოვეს იჩენს იგი თრიალეთის ადრეული ყორღანებისა და ახალციხის ამირანის გორის ორმოსმარხების მსხლისებრ და სამწილადტანიან ძირვინრო და უხვად ორნამენტირებულ ნაწარმთან [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 48; ჩუბინიშვილი 1963: სურ. 17]. საერთო იერით ასევე შეიძლება შევუდაროთ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული – დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლების მომრგვალებულტანიან ჭურჭელსაც [მირცხულავა და სხვ. 1992: ტაბ. XXX].

თისელის სერის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ჯამის ფრაგენტები უმეტესად ღია მოვარდისფრო-მონაცისფროა, იშვიათად ნაპრიალები, უპირატესად ნახევარსფერული ფორმის, პირმოყრილი, უორნამენტო. ზოგჯერ პირთან გარედან კოპით ან ნახვრეტიანი შვერილით [ტაბ. V<sub>4,5,6</sub>], რითაც გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ბედენურ კერამიკასთან [ჯალაბაძე 1998: 15]. აღსანიშნავია, რომ აქ არ გვხვდება შიდაქართლური ძეგლებისათვის დამახასიათებელი ზარისებრი ფორმის ჯამები.

ტაფისებრი ჭურჭელი ღია მონითალო ან მოვარდისფროა, შიდაპირი მას კარგად აქვს მოგლუვებული და ნაპრიალები, გარეთა კი ზერელედაა მოსწორებული. ძირი უხეში და უსწორმასწორო აქვს. ზოგიერთი ტაფის ძირი და გვერდები გახვრეტილია (ტაბ. V<sub>8-10</sub>). ამ ტიპის ჭურჭლის გვერდი ერთ ადგილას შიგნითაა შედრეკილი, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს – გახსნილია. შედრეკილ ადგილზე გარედან ზოგჯერ ყური ან ნალისებრი დანაძერწი გააჩნია [ტაბ. V<sub>10</sub>]. მტკვარ-არაქსის კულტურაში მსგავს ჭურჭელს პარალელები უმთავრესად მოგვიანო ეტაპის ძეგლებზე ეძებნება. ის ცნობილია ჯავახეთიდან [ქიქოძე და სხვ. 1998: ტაბ. IV], თრიალეთიდან [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. XVII], შიდა ქართლიდან [კიკვიძე 1972: სურ. 4; მახარაძე 1994: ტაბ. LXII], სომხეთიდან

[Петросян 1989: ტაბ. 13] და სხვ. ზოგიერთი ავტორი ყურთან ამგვარ ჭურჭელს შიდაქართლურ ორიგინალურ ფორმად თვლის [კიკვიძე 1972: 75].

ხუფის ნატეხები თისელის სერის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში დიდი რაოდენობით იქნა ნაპოვნი. ხუფები ყველა დისკოსებრი ფორმისაა, ისინი ხასიათდება მოშავო ან მოყავისფრო ზედაპირით. გვხვდება მონაცისფრო-მოვარდისფრო ეგზემპლარებიც. ზედაპირი კარგადაა მოგლუვებულ-ნაპრიალები. ცენტრში ხუფს უმთავრესად მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყური ან სვეტისებრი სახელური. პირის კიდის მოყვანილობით გამოირჩევა სწორკუთხა, ნამახული, მომრგვალებული და სხვა ფორმის ხუფები. (ტაბ. V<sub>11-17</sub>).

დისკოსებრი ხუფი ძალზე დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კერამიკული კომპლექსისათვის. თისელის სერის ეგზემპლარები სრულიად იმეორებს ამ კულტურის ხუფების აღნიშნულ თავისებურებებს. მტკვარ-არაქსის კულტურაში უფრო ყურიანი ხუფია გავრცელებული. შედარებით იშვიათია ხუფი სვეტისებრი სახელურით. უკანასკნელი ცნობილია ზღუდრისგვერდიდან, აბელიდან [Кушнарева, Чубинишвили 1970: სურ. 51], ქვაცხელადან [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962, 31] და რეხადან [Гамбашидзе, Квижинадзе 1981] და სხვ.

კერამიკულ ნაწარმს მიეკუთვნება ნამოსახლარზე და სამაროვანზე აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის კერები და სადგრები. ყველა მათგანი კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურაში. სულ გამოვლინდა კერის 26 ფრაგმენტი. სრული სახით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კერა და ისიც სამაროვანზე დაფიქსირდა და რომელიც, როგორც ჩანს, დაკრძალვის რიტუალთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერები ორ ჯგუფად იყოფა: პირველს წარმოადგენს ე.წ. სტაციონარული კერა, რომელიც კეთდებოდა ადგილზე, ნაგებობის იატაკის ცენტრალურ ნაწილში ამოღებული ორმოს ნამჯანარევი თიხით მოლესვის გზით, კერის ბორდიური გადადიოდა იატაკზე და მისგან ოდნავ იყო გამოყოფილი წრიული შემადლებით. მეორე ჯგუფს ქმნის ე.წ. გადასატანი კერა, რომელშიც გამოიყოფა ცილინდრული და შვერილიანი ტიპები. ისინი მზადდებოდა ცალკე და შემდეგ ხდებოდა მათი დამონტაჟება იატაკში. თისელის სერის მტკვარ-არაქსულ ძეგლზე გამოვლენილი კერა და კერის ფრაგმენტები განეკუთვნება ცილინდრულ და შვერილიან კერებს (ტაბ. V<sub>18,19</sub>), რომელთაც ახლო პარალელები საკმაოდ მრავლად მოეპოვება ამ კულტურის გავრცელების თითქმის ყველა ნამოსახლარზე.

კერასთანაა დაკავშირებული თიხის ზესადგრები. ძეგლის ორივე უბანზე (ნამოსახლარი, სამაროვანი) ნაპოვნი არა ერთი სადგრის ფრაგმენტი. ფრაგმენტულობის გამო ზოგიერთი ნატეხის მიკუთვნება დღემდე ცნობილი რომელიმე სადგრის ტიპისათვის თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად აღნიშნულისა მაინც მოხერხდა ნალისებრი, რქისებრი, კონუსური და ა.შ. ტიპების გამოყოფა. უმეტესობას ნალისებრი ტიპის ზესადგრის ფრაგმენტები ქმნის. მასში გამოიყოფა უშვერილო და ცენტრალურ შვერილიანი ტიპები. ორივე ტიპი კარგადაა ცნობილი საქართველოს მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ამ კულტურის მოგვიანო ხანას განეკუთვნება და ძირითადად მესხეთ-ჯავახეთის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი [ორჯონიკიძე 1999: 16-17]. ხშირად ასეთ სადგარს ცენტრში ჰქონდა ანთროპომორფული შვერილი, წინ პატარა ფალოსით (ტაბ. V<sub>7,20,21</sub>). ერთ ამგვარ სადგარს ტერფი ორნამენტირებული აქვს ნაჭდევი, ტეხილ-ხაზოვანი ლენტი, რომელშიც ჩახაზულია სამკუთხედები და რომბები, შუაში მსხვილი, ნაჩხვლეთი, წერტილებით (ტაბ. 21). უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში ნალისებრი ზესადგრის ტერფების შემკობისა [ორჯონიკიძე 2004: 126].

მიჩნეულია, რომ ნალისებრ სადგარს უნდა ჰქონოდა როგორც პრაქტიკული, ისე საკულტოსარიტუალო დანიშნულება. მასზე გამოსახულია მჯდომარე მამაკაცი ძლიერ შემცირებული ტანით, რკალურად მოხრილი ფეხებით. იგი ითიფალური მამაკაცის კერპს წარმოადგენს და კერის კულტს უკავშირდება [ჩუბინიშვილი 1963: 66-68, ტაბ. X<sub>9</sub>, XI]. საქართველოს ტერიტორიაზე ამგვარი სადგრის უმეტესობა ახალციხის ამირანის გორაზეა აღმოჩენილი. გაცილებით მრავლადაა ის საქართველოს სამხრეთით მდებარე რეგიონებში – სომხეთში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და აღ-

მოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, სადაც ნალისებრ ანთროპომორფულ სადგრებს ზოგჯერ, თისელის სერის ზედაპირის მსგავსად აქვს ტერფები ორნამენტირებული [Braidwood, Braidwood 1960: 374, 400]. ამ ნამოსახლარის აღმოჩენამდე ნალისებრი სადგრის საქართველოში გავრცელების ჩრდილო ზღვარი ახალციხის ამირანის გორაზე გადიოდა [ორჯონიკიძე 1999: 18]. ამ აღმოჩენამ ეს საზღვარი უფრო ჩრდილოეთით, ბორჯომის ხეობამდე გადაწია.

რქისებრი სადგარი წარმოადგენს თიხის ბრტყელ ფილას, რომლის ზედა ცალ მხარეს რქისე-ბურად ანეული ორი შვერილია გამოყვანილი, მოპირდაპირე მხარეს კი მსხვილი ნახვრეტი აქვს. ამგვარი სადგრის ფრაგმენტები აღმოჩნდა თისელის სერის ნამოსახლარის კულტურულ ფენებშიც [ტაბ. V<sub>22,23</sub>]. მსგავსი სადგრები ფართოდაა გავრცელებული მცირე აზიასა და ბალკანეთზე. კარგადაა წარმოდგენილი ის კავკასიაშიც მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე ამ კულტურის ადრეული ეტაპებიდანვე [მირცხულავა და სხვ. 1992: 76].

ტორსისებრი სადგარიც, რქისებრი სადგრის მსგავსად, ფართოდაა გავრცელებული მცირე აზიასა და ეგეოსიურ სამყაროში [ჯაფარიძე 1961: 81]. საქართველოში ამ ტიპის სადგარსაც ხანგრძლივი გამოყენება ჰქონდა მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის განმავლობაში.

თისელის სერის ნამოსახლარის № 3 ნაგებობის არეალში აღმოჩნდა ცხოველის (ცხვარი?) მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხის მომცრო ფიგურა (სიგრძე – 7,8 სმ; სიმაღლე – 4,3 სმ). ის დაზიანებულია, მოტეხილი აქვს ფეხები და სახის მარჯვენა ზედა ნაწილი. სახე სამკუთხაა, ზედა ნაწილი განიერია, ქვედა, დრუნჩის მხარე კი შევიწროებული. მარცხენა და მარჯვენა ზედა კუთხეებში თვალები გამოსახულია გამოუწვავ თიხაზე დატანილი ფოსოების საშუალებით. მარჯვენა თვალის ადგილი დაზიანებულია, პირი არ იკითხება, თავიდან გავამდე გაუყვება ქედი, ფეხები ირიბადაა აქვს განზე გაშვერილი. ცხოველი გადმოცემულია მდგომარე პოზაში [ტაბ. VI<sub>1</sub>].

ცხვრის ფიგურები ხშირად ჩნდება მტკვარ-არაქსის ნამოსახლარებზე. მეტ-ნაკლებად მსგავს ფიგურებს ვხვდებით ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ახალციხის ამირანის გორა [ჩუბინიშვილი 1963: სურ. 2], ხიზანაანთ გორა, ქვაცხელა და სხვ. [მირცხულავა და სხვ. 1992: ტაბ. XCII, C].

ცხვრის გარდა ნამოსახლარზე ხარის მცირე ქანდაკების არსებობაცაა სავარაუდო. ამას გვაფიქრებინებს მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის რქის ფრაგმენტის აღმოჩენის ფაქტი № 2 ნაგებობის არეალში (ტაბ. VI<sub>2</sub>).

საქართველოში, ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, ხარის ძალზე სტილიზებული ქანდაკებებია ცნობილი, მოკლე, დაბალი რქებით. თისელის სერის ნასახლარზე ნაპოვნი რქის ნატეხი, ალბათ, ეკუთვნოდა ხარის ისეთ ფიგურას როგორც ცნობილია ციხიაგორის ნასახლარიდან [მახარაძე 1994: ტაბ. LXXVII] და სომხეთიდან, არიჭის ნამოსახლარიდან [Хачатрян, 1975: სურ. 41].

თისელის სერის ნამოსახლარზე ნაგებობის არეალში აღმოჩნდა ჯერჯერობით ლითონის ერთადერთი ნივთი – ცული. ის ტრაპეციის ფორმისაა, ყუადაქანებული, ყუაზე დაუყვება დაბალი ქედი. აქვს მრგვალი სატარე ხვრელი. ტანი პირისკენ თანდათანობით თხელდება და გადადის მორკალულ ბლაგვ პირში [ტაბ. VI<sub>3</sub>]. დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმის გზით. იგი 12 სმ სიმაღლისაა, სხმული 1,5% დარიშხანს შეიცავს, რაც შენადნობში მის ხელოვნურად შეტანაზე უნდა მიუთითებდეს. ამ ფორმის ცული სამეცნიერო ლიტერატურაში ქულბაქების ტიპის სახელითაა ცნობილი. მსგავსი იარაღი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე: ქულბაქებზე, იალბუზში, მეჯვრისხევეში, ბრდაძორში. ამგვარივე ცული ნაპოვნი სომხეთშიც – ლენინაკანთან. სომხეთიდანვეა ცნობილი მსგავსი ტიპის ცულის ჩამოსახმელი ყალიბები გარნისიდან და შენგავითიდან. აღნიშნული ტიპის ცული მიჩნეულია ადგილობრივ, მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩამოყალიბებულ ფორმად, რომელიც აქ ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდება. როგორც ფიქრობენ, წინააზიურ დაწინაურებულ სამყაროსთან კონტაქტების გაძლიერების შედეგად [ჯაფარიძე 1961: 92; ჯაფარიძე 1991: 225]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარი ცულის პროტოტიპი შეიძლება ყოფილიყო მსგავსი ფორმის ქვის ზოგიერთი ცულიც [ორჯონიკიძე 2004: 101].

თისელის სერის ნასახლარზე ნაპოვნი ცულის სამეცნიერო მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ იგი ერთადერთი ყუადაქანებული ცულია, რომელიც გათხრებით იქნა გამოვლენილი და კულტურულ ფენაში იქნა აღმოჩენილი.

თისელის სერის ნამოსახლარისა და სამაროვნის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა ქვის სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების იარაღი, რომელიც დამზადებულია ბაზალტის, რიყის, ქვიშაქვის, კაჟისა და ობსიდიანისაგან. სულ ნაპოვნი 50-მდე ერთეული, რომელიც წარმოდგენილია ხელსაფეკვავეებით, სანაყებით, სასრესებით, სალესებით, ნამგლის ჩასართებითა და ლამელებით (ტაბ. VI<sub>4-13</sub>).

ქვის იარაღებიდან გამოვყოფთ კაჟის შუბისპირს, რომელსაც ფოთლისებური ფორმა და ნანვეტებული ფუძე აქვს. ის შესანიშნავადაა დამუშავებული მცოცავი რეტუშით. მისი ზომებია: სიგრძე – 7,7 სმ, სიგანე – 3,2 სმ, სისქე – 1,0 სმ (ტაბ. VI<sub>4</sub>). ის აღმოჩნდა სამაროვნის კულტურულ ფენაში. მსგავსი ფორმის იარაღი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე იშვიათია. რამდენადმე უახლოვდება მას ნამოსახლარ ხიზანანთგორის B ფენის ერთი შუბისპირი [კიკვიძე 1972: 20<sub>5-4</sub>]. უფრო ახლო ანალოგები მას დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულების მასალებში ეძებნება საგვარჯილესა [ნებიერიძე 2003: ტაბ. VIII<sub>4</sub>] და სამელეკლდის კოლექციებში [ნებიერიძე 1986: ტაბ. XXXIV]. წინააზიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ამგვარი იარაღი „ტელ-ბრაკის“ ტიპშია გაერთიანებული. აღმოსავლეთ ანატოლიაში, ნორშუნთეფეს ნასახლარზე ის ადრებრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება [Schmidt 1996: 68, ტაბ. 60].

თისელის სერის ნამოსახლარისა და სამაროვნის კულტურული ფენებიდან აღებული მიწის ნიმუშების კვლევის შედეგებმა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა აქაური მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე. მიწათმოქმედების არსებობაზე მიუთითებს ძეგლზე დადასტურებული კულტურული მარცვლეულის ნაშთები: რბილი ხორბალი (*Triticum aestivo-compactum schiemanni*); ორმარცვალა ხორბალი (*Triticum dicocum schübl*); კილიანმარცვლიანი ქერი (*Hordeum vulgare L.*) და კულტურული ფეტვი (*Panicum miliaceum L.*).

თისელის სერის მაცხოვრებლები რომ მიწათმოქმედებას მისდევდნენ ამას ადასტურებს ქვის იარაღების (ნამგლის ჩასართები, ლამელები, საფხეკები და ა.შ.) ტრასოლოგიური კვლევა. ნამგლის ჩასართები და ლამელები ძირითადად გამოიყენებოდა კულტურული მარცვლეულის ასაღებად. მეურნეობის ერთ-ერთი ნამყვანი დარგი მესაქონლეობაც უნდა ყოფილიყო. კულტურულ ფენებსა და სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შინაური ცხოველის ძვლები: ძროხა (*Bos taurus*), ცხვარი (*Ovis aries*), თხა (*Capra hircus*). ძვლოვან მასალაში გამოირჩა გარეული ღორის (*Sus scrofa*) – ტახის ეშვი და შველის (*Capreolus capreolus*) წინა კიდურების ძვლები, რაც სამონადირეო საქმიანობის არსებობაზე მიანიშნებს.

საინტერესო აღმოჩნდა ნასახლარსა და სამაროვანზე შალისა და სელის ბოჭკოების დაფიქსირება. აღნიშნული მასალებისაგან დამზადებული ფერადი ძაფების არსებობა უსათუოდ საფეიქრო ოსტატობაზე მიუთითებს. აღნიშნულის დასტურია აგრეთვე თიხის ჭურჭლის ძერწვის ტექნოლოგიაში ქსოვილის გამოყენების ფაქტიც.

თისელის სერზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ტიპიურ მტკვარ-არაქსულ ნასახლართან, რომელსაც მახლობლად სინქრონული სამაროვანიც გააჩნია. მართალია, სამარხებში არსებული მცირეოდენი კერამიკული ნაწარმი არ იძლევა საშუალებას მოვახდინოთ ამ კომპლექსების პირდაპირი შედარება, მაგრამ მოტანილი პარალელები თითქოს შესაძლებელს ხდის მათი თანადროულობის დაშვებას და ძეგლის ასაკის ამ კულტურის მოგვიანო საფეხურით – ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე მეოთხედით განსაზღვრას (ტრადიციული ქრონოლოგიით).

ეს ის დროა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის რამდენიმე ლოკალური ვარიანტის არსებობა შეინიშნება. ჩნდება კითხვა, თუ რომელ ვარიანტთან იჩენს კავშირს სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლს შორის მოქცეული თისელის სერის ნამოსახლარი. სავარაუდოდ, ნაგებობათა მცირე ნაშთების მიხედვით და აკლდამის არსებობით ის ახლოს დგას

სამცხე-ჯავახეთის ნასახლარებთან. მასთან ურთიერთობის არსებობაზე მიუთითებს რელიეფური სპირალებით შემკული კერამიკაც. ნალისებრი ანთროპომორფული ზესადგრებიტაც სიახლოვე ჩანს სამხრეთ საქართველოს ამ მხარესთან, რომელიც ამ მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოსთან [ჯაფარიძე 1976: 113; Кавтараძე 1983: 90]. თუმცა, სომხეთისათვის დამახასიათებელ კერამიკას, რომელიც ამ პერიოდში გავრცელებას იწყებს ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში (ჯაფარიძე 1976: 142; მახარაძე 1994: 52), თისელის სერის მასალებში ვერ ვხედავთ. ეს გარემოება ასევე აკავშირებს საკვლევ ძეგლს სამცხე-ჯავახეთის მტკვარ-არაქსულ ძეგლებთან. ამ რეგიონთან შენიშნული სიახლოვის მიუხედავად, თისელის სერის თიხის ჭურჭლის გარკვეული ნაწილი, კერძოდ კი მცირე ზომის ცალყურა ქოთნები (ტაბ. IV<sub>12-14</sub>), უფრო შიდა ქართლური წარმომავლობისა უნდა იყოს.

ამდენად, თისელის სერის ნასახლარი წარმოგვიდგება მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური და სამხრეთული ვარიანტების საკონტაქტო ძეგლს, რომელზედაც უკანასკნელის ნიშნები გაცილებით მეტია.

## ლიტერატურა

- კიკვიძე ი. 1972:** ხიზანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.
- მახარაძე ზ. 1994:** ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.
- მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ა., მონდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1992:** ადრებრინჯაოს ხანა. – ო. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, II, 70-215. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 1986:** დასავლეთ საქართველოს ადრესამინათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბილისი.
- ნებიერიძე ლ. 2003:** მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. თბილისი.
- ორჯონიკიძე ალ. 1983:** სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი.
- ორჯონიკიძე ალ. 1998:** ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I. – ძიებანი, № 1, 15-22.
- ორჯონიკიძე ალ. 1999:** მტკვარ-არაქსის კერა – ზესადგარი. – ძიებანი, № 4, 13-22, თბილისი.
- ორჯონიკიძე ალ. 2004:** მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები. თბილისი.
- ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიკიძე ალ., 1998:** ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. – ძიებანი, № 2, 42-51.
- ჩუბინიშვილი ტ. 1963:** ამირანის გორა. თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ. 1965:** მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბილისი.
- ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.
- ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962:** ურბნისი, I. თბილისი.
- ჯალაბაძე მ. 1998:** ბედენის კულტურა შიდა ქართლში. ავტორეფერატი. თბილისი.
Contacts between these two parts of Georgia were revealed in the Early Bronze Age complexes of the Orchosani settlement excavated near the town of Vale in the ROW (Right of Way). The squared stone construction of this settlement is typical of a number of sites of the Kura-Araxes Culture. It is particularly diagnostic at the neighbouring Amiranis Gora in Akhaltsikhe (Chubinishvili 1963: 24). A large number of pits with domestic and religious functions is recorded at settlements of the Kura-Araxes and Bedeni Cultures (Orjonikidze 2005, 70). Some of the bronze finds, e.g. a knife blade or an arrowhead, seem to be of Kura-Araxes and early Kurgan origin. The closest parallels for the pottery of these cultures is to be found in the black burnished and yellowish bi-conical vessels with spherical bodies from the Orchosani settlement (pl. I, 1-9).

Some vessels closely resemble the Bedeni type material (pl. I, 3-9) that comes from complexes of Kvemo (Lower) Kartli, Kakheti, Natsargora and Berikldeebi in Khashuri (Orjonikidze 2005, 71). As for the pan-like vessel with a row of perforations beneath the rim and traces of plaited, circular impressions on the base (pl. I, 10-11), it was employed in Georgia from the Eneolithic to the Middle Bronze Age (Dedabrishvili 1969, 52). It seems to be common in Daghestan at the same period; here cultural contacts with East Georgia were particularly close. Nevertheless, this kind of vessel remained unknown in ceramic assemblages of the Kura-Araxes Culture in Georgia (Orjonikidze 2005, 73). Instead, it is widely represented in West Georgia, at Early Bronze Age sites in Imereti (Japaridze 1991, 119; *Georgian Archaeology* 2, 1992, 253, 265, 280). The Maikop-type ceramic vessel with a spherical body and a funnel-like neck bears a certain relationship to the cave assemblage of

Imereti (pl. I, 12-13).

The bronze hoe from Orchosani must also be related to this culture. It was cast in a mould, with a solid trapezoidal body gradually widening towards the edge. It ends in a butt that slants backward, is round in section and has a large hole for holding a wooden shaft firmly (pl. II, 5). The discovery of this tool is very interesting as it stands close to hoes of the early Maikop Culture. They do not simply resemble each other but are wholly identical (Jibladze 2005, 100). The hoe is particularly close to an example from Galugai I which is identical in nearly every respect (Jibladze 2005, 100). It is remarkable that this hoe from Orchosani, with a shape completely unfamiliar in South Caucasia, differs from Early Bronze Age Transcaucasian bronze objects in respect of its nickel content (4.2%), for the latter are made of bronze with an admixture of arsenic (Japaridze 1991, 130). Instead, bronze tools containing nickel are widely known in the Maikop Culture (Korenevskii 2004, 99), which emphasizes again the genetic proximity between hoes from Orchosani and those from north-west Caucasia. There is some similarity between the Maikop and Near Eastern hoes both in terms of shape and nickel content, which leads to the conclusion that hoes from Maikop and Orchosani may have a common Near Eastern ancestor. And yet, in the absence of transitional links with Near Eastern examples, the tool from Maikop is considered to be a local product (Korenevskii 2004, 96), manufactured there using imported ore (Japaridze 1976, 215). The similarities between the hoe from Orchosani and that from Maikop favour the view that Georgia and the north-west Caucasus were close and that influence had come from the north.

The dagger recovered at the Orchosani settlement is flat, small, with a hoop and lacks a hole in the haft. There are slightly slanting shoulders above almost vertical sides and the tip is rounded (pl. II, 4). Bronze arrowheads from the Orchosani settlement fall into three types. All three have hoops and correspond in detail to the types of weapons common in South Caucasia, especially in East Georgia in the Early Bronze Age. Type I consists of bi-pyramidal arrowheads with a pointed head and an end whose head is not separated from the shaft (pl. II, 9-11). Type II are arrowheads with a differentiated body and an elongated triangular or rhomboid head separated from the shaft (pl. II, 12-13). On one specimen the place where head and shaft come together is distinctly wide. It is flattened and its alloy contains 1.2% nickel (pl. II, 12). Type III has a small pyramidal head which fits over a long shaft that is either rectangular or round in section (pl. II, 14-15). Bronze arrowheads of Type I are widespread over a vast part of Europe and Asia, including the area of the Kura-Araxes Culture, where it is present from the developed stage of this culture to the end of the Early Bronze Age. Such arrowheads, like their Near Eastern equivalents, were the earliest here too (Japaridze 1969, 168).

Arrowheads of Type II emerge only at the later stage of the Early Bronze Age and coexist with Type I arrowheads. They are characteristic of Samtskhe-Javakheti (Orjonikidze 2005, 70). Type III arrowheads with pyramidal heads are typical of the so-called Early Kurgan Cultures, especially of the Martqopi group of sites, although it is not unknown in the burials of the Bedeni group (Japaridze 1998, 80). Data from some of the sites suggest that metal arrowheads of Types I and II are also familiar in the Bedeni Culture (Jalabadze 1998, pl. IX), while the emergence of the Type III arrowhead already indicates the establishment of the so-called Early Kurgan Culture. It does not occur in the previous Kura-Araxes Culture, or the subsequent Trialeti Culture (Japaridze 1998, 81).

Fish-hooks from the Orchosani settlement are made of wire (pl. II, 6-8). Metal fish-hooks are a rarity at the sites of this period in South Caucasia, and are hardly known in western Georgia. Some fish-hooks from Sagvarjile are almost identical to ours (Nebieridze 2003, pl. XXII, 14). Close parallels are mostly to be found in the north Caucasus, and in the early cultures of the northern Black Sea coast and south-eastern Europe (Nebieridze 2003, 49). A few rods made from wire that is round in section must come from jewellery, and are probably pin fragments (pl. II, 1-2). This is certainly the case with one that has a slightly thickened head (pl. II, 3). Metal items from the Orchosani settlement do not apparently come from a single metallurgical centre. Most are close to bronze objects of the Bedeni Culture epoch, others to those of the Maikop Culture of the north-west Caucasus.

In this part of Samtskhe, which adjoins western Georgia and enjoys a similar natural environment, it is

easy to understand how western and eastern Georgian cultures coexisted. This was presumably the way by which Maikop elements reached Samtskhe (Orjonikidze 2004, 75)<sup>1</sup>, and the finds from the early complexes of the Orchosani settlement appear to confirm this. It is likely that this is a place where traditions of East and West Georgian Early Bronze Age cultures converged, which were in turn closely related to neighbouring cultural movements.

#### Bibliography:


- GSE (Georgian Soviet encyclopedia), 1986**, vol. 10. Tbilisi.
- Chubinishvili T. 1963**: *Amiranis Gora*. Tbilisi.
- Dedabrishvili Sh. 1969**: Pamyatniki epokhi rannei i srednei bronzy. (Early and Middle Bronze Age sites). *TKAE* 1, 35-75.
- Gambashidze O., Gambashidze I. 1995**: Raboty Meskhet-Javakhetskoi ekspeditsii (The work of the Meskhet-Javakheti expedition). *PAI in 1987*, 48-54. Tbilisi.
- Gambashidze O., Kvizhinadze K. 1981**: Raboty Meskhet-Javakhetskoi ekspeditsii. (The work of the Meskhet-Javakheti expedition). *PAI in 1978*. 57-64. Tbilisi.
- Pkhakadze G. 1992**: Eneoliti da adrebrinjaos khana dasavlet sakartveloshi (*Eneolith and Early Bronze Age in Western Georgia*). – O. Japaridze (ed.) *Georgian Archaeology*, vol. II, 216-280. Tbilisi.
- Jalabadze M. 1998**: *bedenis kultura shida kartlshi (berikldeebis namosakhlari) (The Bedeni Culture in Shida Kartli (Berikldeebi settlement))*, doctoral thesis. Tbilisi.
- Japaridze O. 1991**: *sakartvelos arkeologia (Georgian Archaeology)*. Tbilisi.
- Japaridze O. 1998**: *kartveli tomebis etnokulturuli istoriisatvis dzv.ts. III atastsleulshi (On the Ethnocultural History of Georgian Tribes in the 3rd Millennium BC)*. Tbilisi.
- Jibladze L. 2005**: Novaya unikal'naya arkheologicheskaya nakhodka iz Orchosani (A new unique archaeological find from Orchosani). In: T. Bunyatov (ed.), *Archeologiya, etnografiya i fol'kloristika Kavkaza*, 100-101. Baku.
- Korenevskii S. 2004**: *Drevneishie zemledel'tsi i skotovody Predkavkazya. (The ancient agriculturists and cattle-breeders of Transcaucasia)*. Moscow.
- Kuftin B. 1950**: *Materialy k arkheologii Kolkhidy (Materials on the archaeology of Colchis)*, 2. Tbilisi.
- Nebieridze L. 2003**: *mghvime sagvarjiles eneolituri khans nasakhlari (The Eneolithic Settlement of the Sagvarjile Cave)*. Tbilisi.
- Orjonikidze A. 2004**: *mtkvar-araksis kulturis ganvitarebis dziritadi saphekhurebi aghmosavlet sakartveloshi (The Main Stages of the Evolution of the Kura-Araxes Culture in East Georgia)*. Tbilisi.
- Orjonikidze A. 2005**: ortchosnis nasakhlaris adreuli kompleksebi (Early Complexes of Orchosani Settlement). *Dziebani* 15-16, 69-83.
- Pkhakadze G. 1993**: dasavleti amierkavkasia dzv.ts. III atastsleulshi (*Western Transcaucasia in the Third Millennium BC*). Tbilisi.
- Pkhakadze G., Kalandadze K., Orjonikidze A. 1982**: Rezultaty rabot Abastumanskoi ekspeditsii (Results of the work of the Abastumani expedition). *PAI in 1980*, 20-21.


#### Illustrations:

- Pl. I – Early complexes of Orchosani Settlement: 1-2. Kura-Araxes type pottery; 3-9. Bedeni type pottery; 10-11. Pan-like vessel with a trace of plaited circular impression on the base; 12-13. Maikop type pottery.
- Pl. II – Bronze objects from early complexes of Orchosani settlement: 1-3. pins; 4. dagger-blade; 5. hoe; 6-8. fish-hooks; 9-15. arrowhead.

<sup>1</sup> It should be mentioned that there is no evidence for cultural layers of the Maikop and Kura-Araxes Cultures in the caves of western Georgia, apart from occasional finds of single pieces (Pkhakadze 1993, 44; *Archeology of Georgia* II, 1992, 230-231). This suggests that Maikop Culture material reached Zemo Imereti (west Georgia) from the North, and that Kura-Araxes Culture material came from eastern Georgia.

I





## მტკვარ-არაქსის კულტურის ქებლები თრიალეთიდან

თრიალეთი საქართველოს სამხრეთ ნაწილში, თრიალეთის ქედის გასწვრივ მდებარეობს, რომელიც მცირე კავკასიონს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება (ტაბ. 1<sub>1</sub>).

თრიალეთი, არქეოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. აქ თავმოყრილია თითქმის ყველა პერიოდის, როგორც პრეისტორიული, ასევე ისტორიული პერიოდის ძეგლი, რომლებიც მდიდარ და მრავალფეროვან მასალას შეიცავს.

**შესწავლის ისტორია.** თრიალეთის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. XX საუკუნის დასაწყისში ფუნდამენტური გამოკვლევა თრიალეთის სიძველეებს ექ. თაყაიშვილმა მიუძღვნა [Такайшвили 1913]. 1936 წელს ნალკის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებულმა მასშტაბურმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელსაც პროფ. ბ. კუფტინი ხელმძღვანელობდა, სრულიად ახლებურად გააშუქა არა მხოლოდ თრიალეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის ძველი ისტორიის არაერთი საკითხი [Куфтин 1938; Куфтин 1940; Куфтин 1941; Куфтин 1948].

თრიალეთში ბ. კუფტინმა სრულიად ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოაჩინა, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენდა „განსაკუთრებულ კერამიკულ კომპლექსს, რომელსაც ძალზე ერთგვაროვანი და კარგად გამოხატული თავისებურებები აქვს. ფორმების სიმდიდრის მიუხედავად, მას თან ახლავს საოცრად მწირი არაკერამიკული ინვენტარი. ამ გარემოებითაა გამოწვეული თრიალეთის „ენეოლითური“ კერამიკის ბოლომდე ამოუცნობი ხასიათი. მას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და მისი მიმდებარე ქვეყნების სამეურნეო-კულტურული ფორმების ჩამოყალიბების შესწავლაში“ [Куфтин 1941: 106]. ბ. კუფტინმა თრიალეთში აღმოჩენილი „ენეოლითური“ კერამიკა დაუკავშირა სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე ადრე აღმოჩენილ კერამიკულ კომპლექსებს, რის საფუძველზე გამოყო მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის კულტურა. ამ ეპოქას იგი „თრიალეთის არქეოლოგიის ყველაზე საიდუმლო ფურცელს“ უწოდებს [Куфтин 1941: 106].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უძველესი ნამოსახლარების შესწავლას, რომლის საფუძველზეც ბ. კუფტინმა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებაში გამოყო ორი ეტაპი: ენეოლითური და ადრე ბრინჯაოს ხანის. ახლად აღმოჩენილი კულტურა მან ძვ.წ. 3000-2200 წწ. დაათარილა [Куфтин 1947: 67; Куфтин 1949: 75]. ბ. კუფტინმა თრიალეთში გათხრები ჩაატარა მტკვარ-არაქსის კულტურის ორ ნამოსახლარზე (ბეშთაშენი, ოზნი). მან მტკვარ-არაქსის ეპოქის რამდენიმე სამარხიც (ბეშთაშენი, ოზნი, ტაშ-ბაში, ბარმაქსიზი) გათხარა.

1998-2006 წლებში თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. გ. ნარიმანიშვილი) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, გამოვლენილ და შესწავლილ იქნა ავრანლოს ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი [ნარიმანიშვილი 2007].

**თრიალეთის ნამოსახლარები.** ავრანლოს ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა სოფ. ავრანლოსთან, „ციკლოპური“ ციხის ჩრდილოეთით მდებარე მინდორში (ტაბ. 1<sub>2</sub>), სადაც 1998 წელს ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი შავი და წითლად გაპრიალებული კერამიკის ფრაგმენტები.

2003 წელს სოფ. ავრანლოს მკვიდრმა გ. აშკალოვმა თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადასცა სოფლის მიდამოებში მის მიერ შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომელიც მრავლად შეიცავდა ავრანლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილ, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელი ყურების (ტაბ. VII<sub>1-10</sub>), ხუფების (ტაბ. VII<sub>28,29,31-36</sub>) და პირ-გვერდების (ტაბ. VII<sub>11-16,30</sub>) ფრაგმენტებს.

ნამოსახლარზე 2006 წელს არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა, რომელიც დაკავშირებული იყო ნალკის ზემო ზონის სოფლების წყალმომარაგების სისტემის მშენებლობასთან. წყალსადენის მილის მშენებლობამ ნამოსახლარის ერთი ნაწილი წარმოაჩინა.

ნამოსახლარი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განფენილია მთელ მინდორზე, „ციკლოპური“ ციხიდან სამანქანო გზამდე. ის უფრო ინტენსიური ჩანს სამხრეთ ნაწილში, ციხესთან ახლოს, რომლისაგანაც ხევითაა გამოყოფილი. ეს ხევი ნამოსახლარს ორად ყოფს.

ნამოსახლარზე ოთხი თხრილი იქნა გავლებული, რომელთაგან ორში ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები დადასტურდა. მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი ძლიერაა დაზიანებული გვიანი ბრინჯაოს და ანტიკური ხანის სამარხების მიერ (ტაბ. II<sub>2</sub>; ტაბ. III<sub>1,2</sub>). ადრე ბრინჯაოს ხანის შენობების ფრაგმენტები ორ თხრილში დადასტურდა (ტაბ. IV<sub>1,2</sub>; ტაბ. V<sub>1-3</sub>).

№ 2 თხრილის ზომებია 4,0×8,0 მ (ტაბ. II<sub>1</sub>). გაითხარა ძვ.წ. XIII-XII სს-ის ორი სამარხი, ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკის ნაწილი და ამავე ეპოქის სამეურნეო ორმო (ტაბ. III<sub>2</sub>; ტაბ. IV<sub>3</sub>). მტკვარ-არაქსის ეპოქის კერამიკა თხრილის ყველა მონაკვეთში აღმოჩნდა.

სამარხების ბაზალტის ქვისაგან შედგენილი კრომლები მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0,2-0,3 მ სიღრმეზე გამოვლინდა. ქვების საფუძვლები კი 0,45-0,5 მ-ზე მდებარეობს. მათ ქვეშ, 0,1-0,3 მ და მინის ზედაპირიდან 0,6-0,8 მ სიღრმეზე თიხატკეპნილი იატაკების ფრაგმენტები აღმოჩნდა (ტაბ. III<sub>1,2</sub>).

ადრებრინჯაოს ხანის იატაკი ყველაზე უკეთ № 5 სამარხის ზონაში გამოვლინდა. სამარხის კრომლები მთლიანად მოიცავს თხრილს, ამავე ფართობზეა გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენაც (ტაბ. II<sub>2</sub>). თუმცა ის თხრილის ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ქრილებშიც შეინიშნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ფენა თხრილის გარეთაც ვრცელდება. კრომლების ქვების ქვედა დონიდან თიხატკეპნილი იატაკამდე 0,2-0,25 მ-ია.

ადრებრინჯაოს ხანის სახლის კედლები თხრილში გამოვლენილი არ იქნა, რაც მათი არქიტექტურული ფორმის და გეგმარების გარკვევის საშუალებას არ იძლევა. თუმცა იატაკის დონეზე ნაპოვნი იქნა ალიზის გამომწვარი ფრაგმენტები, რომლებზეც სარ-ლასტის ანაბეჭდები შეინიშნება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო ქვის არანაირი ნაშთი არ ყოფილა აღმოჩენილი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სახლები ხით იყო ნაგები და ალიზით შელესილი.

ერთ-ერთი სამარხის ზონაში (CXCIII ნაკვეთის მე-12, CXCIV ნაკვეთის მე-10, CCXXIII ნაკვეთის მე-3 და CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატები) გამოვლენილი თიხატკეპნილი იატაკის ფართობი 2,5×4,0 მ-ს აღწევს (ტაბ. III<sub>1,2</sub>). მას ყვითელი თიხის თხელი საფუძველი აქვს, რომელზეც 0,005-0,008 მ სისქის კარგად გამომწვარი თიხის იატაკია გამართული. იატაკზე კერამიკული მასალა და ნამგლის ჩასართებია ნაპოვნი (ტაბ. VII<sub>37,38,40,44</sub>).

ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის კონცენტრაციის ადგილები და იატაკის ცალკეული ფრაგმენტები თხრილის ცენტრალურ ნაწილში, სხვა სამარხის ზონაშიც (CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატი) აღმოჩნდა. ამ ადგილას დარღვეულია არა მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა, არამედ სამარხის კრომლებიც. თუმცა ნამოსახლარის ეს ნაშთი ზემოთ აღწერილის მსგავსია.

№ 3 თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, მე-5 და მე-6 კვადრატების საზღვარზე ადრებრინჯაოს ხანის სამეურნეო ორმო გაითხარა. ორმოს ქვაყრილი მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა (ტაბ. IV<sub>3</sub>). ქვაყრილს წრიული ფორმა აქვს და მისი დიამეტრი 1,9 მ-ს უდრის. ორმოს დიამეტრი 0,8 მ-ია, სიღრმე კი 0,95 მეტრს უდრის. ის შევსებული იყო საშუალო და წვრილი ზომის ქვით (ტაბ. III<sub>2</sub>). სხვადასხვა დონეზე გვხვდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. VII<sub>39,46</sub>).



ადრე ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარის ნაშთები 4 თხრილშიც აღმოჩნდა. თხრილის ზომებია 6,0×8,0 მ, რომელშიც გამოვლინდა შვიდი სამარხი და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები (ტაბ. II<sub>2</sub>). გაითხარა ძვ.წ. IV ს-ის ერთი (№ 1) და ძვ.წ. XIII-XII სს სამი სამარხი (№№ 2, 3, 4). მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის ნაშთები თხრილის ყველა მონაკვეთში გამოვლინდა. უძრავი მძლავრი ფენა კი მხოლოდ თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, CXCII ნაკვეთის 5 კვადრატის 2, 3 მონაკვეთებში დაფიქსირდა (ტაბ. IV<sub>2</sub>). ნაცარ-ნახშირის 0,3 მ სიმძლავრის ფენა 1,8×2,4 მ ფართობზე ვრცელდება (ტაბ. V<sub>1</sub>). აღმოსავლეთიდან ამ ფენას ბაზალტის ქვებით შედგენილი კედლის ფრაგმენტი საზღვრავს, სამხრეთით და დასავლეთით გაუთხრელ ფართობში შედის. ჩრდილოეთით ანტიკური ხანის ქვაყუთია გამართული, რომელსაც ჩაჭრილი აქვს ადრებრინჯაოს ხანის ფენა. ერთი სამარხი თხრილის სამხრეთ კედელთანაც გამოვლინდა (არ გათხრილა). როგორც ჩანს, CXCII ნაკვეთის მე-5 კვადრატის 2, 3 მონაკვეთებში გამოვლენილი ნამოსახლარის ფრაგმენტი ადრებრინჯაოს ხანის სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეს წარმოადგენს. ქვის ცალპირად ნაგები კედელი გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხის კრომლესხის ნაწილს წარმოადგენს და არა სახლის კედელს, რამდენადაც იატაკი მცირედ, მაგრამ მაინც შედის მის ქვეშ (ტაბ. V<sub>2,3</sub>). სახლს თიხატკეპნილი იატაკი აქვს, რომელზეც სხვადასხვა ფორმისა და ზომის თიხის ჭურჭელი მდგარა (ტაბ. VII<sub>41-43, 45, 47-50</sub>). განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ზომის დერგის ფრაგმენტი, რომელზეც ცხოველის რელიეფური გამოსახულებაა დატანილი (ტაბ. VII<sub>45</sub>). თიხის ჭურჭელი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, ზედაპირი გაპრიალებული აქვს. ყველა მათგანი მონითალო ფერისაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახლს ძლიერი ხანძრის კვალი ემჩნევა და კერამიკის ფერი შეიძლება მეორადი გამონვის შედეგი იყოს. იატაკზე აღმოჩნდა ქვის სანაყები და ბათქაშის ნაწილები. ამ უკანასკნელზე დაფიქსირებული წნელების ანაბეჭდები მიუთითებს, რომ ეს სახლიც, № 3 თხრილში გათხრილი სახლის მსგავსად, „ჯარგვალის“ ტიპისა იყო.

ნამოსახლარის ტერიტორიაზე და სახლების იატაკებზე *in situ* მდგომარეობაში მრავლადაა აღმოჩენილი სხვადასხვა ჭურჭლის: დერგების (ტაბ. VI<sub>1</sub>; ტაბ. VII<sub>45,47</sub>), ქოთნების (ტაბ. VI<sub>8</sub>; ტაბ. VII<sub>11,40</sub>), ბადიების (ტაბ. VI<sub>9</sub>; ტაბ. VII<sub>24,46,49</sub>), ჯამების (ტაბ. VII<sub>25,27</sub>) პირ-გვერდების (ტაბ. VII<sub>20,21</sub>), ნახევარსფერული ყურების (ტაბ. VII<sub>1,5</sub>), ე.წ. ცრუ ყურების (ტაბ. VII<sub>6,38,39</sub>), ძირების და ხუფების (ტაბ. VII<sub>28,29,31-36</sub>) ფრაგმენტები. გვხვდება თიხის კერების, კერის სადგრების ცალკეული ნაწილები, ტიგელი (ტაბ. VI<sub>5</sub>) და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის დისკები (ტაბ. VII<sub>17-19</sub>). მრავლადაა აღმოჩენილი კაჟისაგან დამზადებული ნამგლის ჩასართები (ტაბ. VI<sub>3</sub>) და ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები (ტაბ. VII<sub>22,23,44</sub>).

**ბეშთაშენის ნამოსახლარი** მდებარეობს ნალკის რაიონში, სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-დასავლეთით, 0,5 კმ-ის დაცილებით, მდინარეების ჩილ-ჩილის და ბაშკოვ-სუს ხერთვისში. აქ, სამკუთხა ფორმის კონცხზე, „ციკლოპური“ სიმაგრეა განლაგებული.

ნამოსახლარის გარშემო სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე სამაროვანია. გვიანი ბრინჯაოს ხანის ერთი სამაროვანი ნამოსახლარის ჩრდილოეთით, მეორე კი მდ. ჩილ-ჩილის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით აქემენიდური ხანის სამაროვანია, აღმოსავლეთით და დასავლეთით შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხების რიგია განლაგებული [Куфтин 1941: 108].

ბეშთაშენის ციკლოპური სიმაგრის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა ბ. კუფტინმა 1939 წელს დაიწყო, 1991-1992 წლებში ძეგლის შესწავლა თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა [ნარიმანიშვილი 2004]. ნამოსახლარი მრავალფენიანია. მისი ზედა ფენა შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მის ქვემოთ გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარია, ხოლო ქვედა ფენა მტკვარ-არაქსის კულტურას ეკუთვნის. კულტურული ფენის სიმძლავრე ზოგან 3,5 მეტრს აღწევდა. მტკვარ-არაქსული კერამიკა 2,0 მეტრის სიღრმის ქვემოთ აღმოჩნდა [Куфтин 1941: 109]. ბ. კუფტინმა ის სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყო [Куфтин 1941: 115-117].

ჰორიზონტები მრავლად შეიცავს ნაგებობათა ნაშთებს, გამოვლენილია თიხატკეპნილი იატაკების ფრაგმენტები, კერები და ლუმელები. ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი იმდენად ძლიერ არის დაზიანებული გვიანი პერიოდის ფენებით, რომ შენობათა გეგმის დადგენა არ მოხერხდა.

ბ. კუფტინი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „სიმაგრის“ შიდა ტერიტორია გაჭრილია ოდნავ შესამჩნევი შიდა კედლების და ოთხკუთხა ნაგებობების ქვის საძირკვლების ნაშთებით. ადრე აქემენიდური პერიოდის სამარხებს შორის გამოვლინდა თიხატკეპნილი იატაკზე დაძვრნილი წრიული ფორმის 1,65 მ დიამეტრის კერა, სადაც ნახშირის და ნაცრის სქელი ფენის ზემოთ აღმოჩნდა პრიზმული ფორმის საკვამლე მილის თიხის მოლესილობის ფრაგმენტები. აქვე იდო ქვის ხელსაფეხავები, შლაკის ნარჩენები და თიხის ჭურჭელი [Куфтин 1941: 109]. იგივე პერიოდის შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი და წითელი ანგობით დაფარული კერამიკის ფრაგმენტების შემცველი კულტურული ფენა აღმოჩნდა ადრე აქემენიდური ხანის №№ 45 და 46 სამარხებს შორის. ოდნავ მოშორებით გაითხარა ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკზე გამართული კერის, თუ ლუმელის კარნიზის კერამიკული ფრაგმენტები [Куфтин 1941: 113]. ნამოსახლარზე მრავლადაა აღმოჩენილი ქვისგან დამზადებული სამუშაო თუ საბრძოლო იარაღი: კაჟის ისრისპირები და ნამგლის ჩასართები, დანა, ხელსაფეხავი. საინტერესოა ცხოველის (ხარის) თიხის ქანდაკება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით მოხატული კერამიკის ფრაგმენტები და „პიქტოგრამებით“ შემკული ჭურჭელი [Куфтин 1941: 109-111].

**ოზნის ნამოსახლარი** მდებარეობს სოფ. ოზნის სამხრეთ განაპირას, „ნადარ-შაჰის“ მთის სამხრეთ კიდეზე. ნამოსახლარი გადაჭრილია მდ. გუნია-ჯურის არხით. ბ. კუფტინი აქ გათხრებს ანარმოებდა 1947-48 წლებში. არქეოლოგიური სამუშაოები ორ უბანზე ჩატარდა: ა) პირველ ტერასაზე, სადაც გამოვლინდა საცხოვრებლის ნაშთები და თიხატკეპნილი იატაკი საკულტო კერის ფრაგმენტებით და ბ) ჰიდროსადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე [Куфтин 1948, 35-42].

პირველ უბანზე, სოფ. ოზნის სამხრეთით, ნადარ-შაჰის მთის კალთაზე, არხთან გაითხარა 7,5 მ დიამეტრის მქონე ნახევარწრიული საძირკველი, რომელიც თხელი ქვის ფილებით იყო წარმოდგენილი. ბ. კუფტინის აზრით ეს იყო კონუსური ნაგებობის ნაშთი, რომელიც ნაგებია არა მარტო ხისგან, არამედ ქვისა და აგურისგან. მსგავსი შენობები, ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურაში (შენგავითი). მრგვალი არქიტექტურა დამახასიათებელია ზემო მესოპოტამიის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ენეოლითისათვის, რაც ბ. კუფტინს ავარაუდებინებს რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხალხი ეკუთვნოდა ზემო მესოპოტამიურ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირულ კულტურულ წრეს [Куфтин 1948: 27-29].

მრგვალი შენობის გარეთ მდებარეობდა წრიული ფორმის შვერილიანი თიხის კერა, მოშორებით კი – 1-2 სმ სისქის თიხატკეპნილი იატაკი, რომელზედაც ნალისებურ სადგარსა და „პიქტოგრამებით“ შემკულ ჯამთან ერთად აღმოჩნდა სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები [Куфтин 1948: 26-48, ტაბ. XXIX-XXXVII]. ოზნის ნამოსახლარის არქიტექტურა შედარებით უკეთაა შემორჩენილი, ვიდრე ბეშთაშენის.

ოზნის ნამოსახლარზე გათხრილი მეორე უბანი, ჰიდროსადგურთან, ორფენიანი იყო. ამ უბანზე აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, სპილენძის ოთხნახნაგოვანი სადგისი და მინიატურული დანა [Куфтин 1948: ტაბ. XXXVII-XLI]. ამის გარდა აქ გამოვლინდა ძალზე საინტერესო მრგვალნახვრეტიანი კერის თიხის ბრტყელი ფილები, რომელთაგან შემდგარი დისკო 0,98 მ. დიამეტრისაა. ბ. კუფტინი მას „სამსხვერპლო მაგიდას“ უწოდებს [Куфтин 1948: ტაბ. XLII]. ამ ობიექტზე გამოვლინდა აგრეთვე ოთხნახნაგა წითლად შეღებილი სასაკმეველი [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 39-63].

**სამაროვნები.** თრიალეთში ბ. კუფტინის მიერ ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხებიც გათხარა. 1936-1940 და 1947-1948 წლებში ბარმაქსიზთან (ნალკა), ტაშ-ბაშთან, ბეშთაშენთან და ოზნიში შესწავლილი სამარხები წარმოადგენს მცირე ზომის ქვაყუთებს. მათი ინვენტარი საკმაოდ მწირია: ძირითადად გვხვდება კერამიკა, სპილენძის სამაჯურები, ქვის და მინისებური პასტის მძივები.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის შემცველი ქვაყრილიანი ყორღანი გამოვლინდა 2003 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დერეფანში (KP-117+550) წარმოებული სამშენებლო სამუშაოების დროს. ძეგლის გამოვლენისას ყორღანის ბაზალტის ქვის ყრილი ძლიერ იყო დაზიანებული, მისი დიამეტრი 10-12 მ-ს უდრიდა. როგორც ჩანს, შიდა სივრცე მთლიანად იყო ქვაყრილით შევსებული. ქვაყრილის ცენტრში ბაზალტის ფილებით ნაგები სამარხი კამერა დადასტურდა, რომელიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი. კამერის ოთხივე კედელი ბაზალტის ბრტყელი, სპეციალურად შერჩეული ფილებითაა ამოშენებული. ქვები ერთმანეთზე კარგადაა მორგებული, ისე, რომ მათ შორის ცარიელი ადგილები დატოვებული არ არის. აღსანიშნავია, რომ როგორც ცალკეული ქვები, ისე კედლები მყარადაა ერთმანეთზე გადაბმული (ტაბ. IX<sub>1,2</sub>).

სამარხი კამერა გეგმაში „ნალისებურია“. მისი ჩრდილოეთი კედელი გვერდით კედლებთან მართკუთხედს ქმნის, მაშინ როდესაც სამხრეთი კედლის კუთხეები აშკარად მომრგვალებულია (ტაბ. IX<sub>2,5</sub>). აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კედელს წყობის ქვედა ერთი რიგი არ აქვს. დანარჩენი სამი კედლის საფუძველი სამარხის იატაკზე ღრმად არის ჩაჭრილი. სამხრეთით იატაკის დონიდან 0,1 მ სიმაღლის მიწის საფეხურია დატოვებული და მასზეა ამოყვანილი ქვის კედელი. თითოეული კედელი ქვის წყობის რვა რიგს შეიცავს. ამდენად, ამ მცირე ნაგებობას არქიტექტურული ფორმაც გააჩნია და ესთეტიკური მხარეც აშკარადაა გამოხატული.

სამარხში ერთი მიცვალებული, 50-60 წლის მამაკაცია ჩასვენებული. იგი ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ. თავი სამხრეთით უდევს. სახის წინ ჩადგმული აქვს მოზრდილი თიხის ბადია (ტაბ. IX<sub>3</sub>). კეცი გადანატეხში მოყავისფროა, შიდაპირი მოყავისფრო, ზედაპირი ლეგა-მოშავო. პირი მხრისაგან ღარით გამოიყოფა. მხარზე აქვს ოვალურგანივკვეთიანი ორი შვერილი. დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში, იატაკის დონეზე კი მინისებური თეთრი პასტის ორი მძივი (ტაბ. IX<sub>4</sub>) აღმოჩნდა.

სამარხი კამერის სამხრეთით, 0,1-0,15 მ.-ის დაცილებით შავი ფერის ლაქა გამოიკვეთა. მისი სიგრძე 1,55 მ, ხოლო სიგანე 0,8 მ-ია. პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ ის წარმოადგენს ამავე ფართობის ორმოს, რომლის სიღრმე 0,1 მ-ია (ტაბ. IX<sub>2</sub>). სამარხი კამერის პირი და სარიტუალო ორმოს ძირის მიმართება გვიჩვენებს, რომ ორმოს თავდაპირველი სიმაღლე 0,3 – 0,4 მ მაინც უნდა ყოფილიყო. ორმოს იატაკზე აღმოჩნდა მცირე ზომის ქვის სამი დაუმუშავებელი ფრაგმენტი და საქონლის ნეკნისაგან დამზადებული იარაღი, რომელიც ალების დროს დაიშალა. ორმო დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასევე რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული ორმოს სამხრეთით, 1,4 მ-ის დაცილებით დადასტურებული კერამიკის ნამტვრევების გროვა და ობსიდიანის ანატკეცები.

საფარ-ხარაბას ყორღანში აღმოჩენილი ბადია ტიპურია მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. მსგავსი ბადიები აღმოჩენილია სამშვილდეში, № 2 [მირცხულავა 1975: ტაბ. X<sub>9</sub>], № 5 [მირცხულავა 1975: ტაბ. XIII<sub>17,18</sub>], № 14 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXII<sub>8,9</sub>], № 18 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXVI<sub>9</sub>], № 19 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXVII<sub>6,11</sub>], № 20 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXVIII<sub>4,5</sub>], № 23 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXIX<sub>6,7</sub>], № 31 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXXIV<sub>5,6,9,14</sub>], № 36 [მირცხულავა 1975: ტაბ. XXXVIII<sub>2,4</sub>], № 38 [მირცხულავა 1975: XXXIX<sub>4,5</sub>] სამარხებში; კიკეთში, № 6 [ფხაკაძე 1963: სურ. 3<sub>12</sub>], № 8 [ფხაკაძე 1963: სურ. 5<sub>26</sub>], № 9 [ფხაკაძე 1963: სურ. 6<sub>27,30,32</sub>], № 12 [ფხაკაძე 1963: სურ. 7<sub>52</sub>], № 14 [ფხაკაძე 1963: სურ. 10<sub>73</sub>] სამარხებში; დიდუბეში [ქორიძე 1955: ტაბ. III<sub>17</sub>]; დანგრეულ გორაზე [ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1975: სურ. 56<sub>8</sub>], ყაითმაზზე [ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1975: სურ. 55<sub>26</sub>], მარნეულის № 3 ყორღანში [ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1975: ტაბ. XXXIII<sub>2</sub>], გომარეთში [ცქვიტინიძე 2001: ტაბ. XVI].

როგორც ჩანს, უყურო, ორი პარალელურად განლაგებული შვერილის მქონე ბადიები ძირითადად ქვემო ქართლისთვის არის დამახასიათებელი და გავრცელებულია ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრამდე.

ქვით ნაგები აკლდამების დიდი უმრავლესობა სამხრეთ საქართველოში – კიკეთი [ფხაკაძე 1963: 71-72, სურ. 4], კოდა [Чубинишвили, Небиеридзе, Пхакаძე 1976: 19], არდასუბანი [თუშიშვილი 1968], თამარისი [ფხაკაძე 1963: 73, ტაბ. XV], ახალციხის ამირანის გორა [ჩუბინიშვილი 1963: 36, სურ. 10, ტაბ. IV], გომარეთი [ცქვიტინიძე 2001: 103-14], ღრმახევისთავი [ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები 1980: 17] და სომხეთში — გელაროტი [Badalyan, Smith 2007: 38-40], ჰორომი [Badaljan, Edens, Gorny, Kohl 1993: 4] არის აღმოჩენილი.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ქვით ნაგები აკლდამები მხოლოდ სამხრეთ რეგიონებში იყო გავრცელებული და ქვემო ქართლის ჩრდილოეთით არ ვრცელდებოდა. თუმცა შიდა ქართლშიც, სოფ. დოესში, აღმოჩნდა ქვაყრილიანი აკლდამა, რომელიც ქვის ფილებით არის ნაგები [კახაძე 1990: 155].

ყველა აკლდამა ნაგებია ბრტყელი ქვით. დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. შესასვლელი სამხრეთიდან აქვთ. ჩრდილოეთი კედელი მორკალურია. ზოგი სამარხი კოლექტიურია (ღრმახევისთავი, კოდა, ამირანის გორის № 16 სამარხი, კიკეთი, თამარისი, გომარეთი, გელაროტი, ჰორომი), ზოგიც – ინდივიდუალური (ამირანის გორის № 36 სამარხი, კიკეთის № 7 სამარხი, დოესი). აკლდამების ნაწილი ქვაყრილითაა დაფარული (გომარეთი, ღრმახევისთავი, დოესი). სამარხების საშუალო ზომა 2,5×1,5 მ; 3×1,8 მ-ია. მათი ნაწილი დიდი ზომის ბრტყელი ლოდებითაა გადახურული (ამირანის გორის №№ 16, 36 სამარხები, ღრმახევისთავი, გომარეთი, კოდა), ნაწილს კი – თაღოვანი გადახურვა აქვს (თამარისი, კიკეთის №№ 7, 12 სამარხები). აკლდამებში შესასვლელი სამხრეთიდანაა, ზოგან ქვის ლოდებითაა ჩაკეტილი (გომარეთი); ერთ შემთხვევაში საფეხურებია გამოხატული (თამარისი); ზოგი შესასვლელი ღიაა (კიკეთი), ზოგან კი – ვერტიკალურად ჩამდგარი ლოდებია გამოვლენილი (ამირანის გორის №№ 16, 36 სამარხები). ზოგი სამარხის იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული (კოდა).

სამხრეთ კავკასიაში აღმოჩენილი ანალოგიური სამარხები თარიღდება ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით. ჰორომის აკლდამა C<sup>14</sup> მეთოდის ანალიზის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. 3350-3050 წწ. და ძვ.წ. 3371-3136 წწ. [Badaljan, Kohl, Stronach, Tonikjan 1994: 14; Badaljan, Edens, Gorny, Kohl 1993: 3], გელაროტისა კი – ძვ.წ. 3100-2700 წწ. (AA 52898) [Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004: 20]. ამ თარიღების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საფარ-ხარაბას ქვით ნაგები აკლდამა ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით უნდა დათარიღდეს.

**კერამიკა.** თრიალეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე მრავლად არის აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის, ფორმის და დანიშნულების თიხის ჭურჭელი. ნამოსახლარებზე აღმოჩენილია დიდი ზომის დერგები (ბეშთაშენი, ოზნი, ავრანლო), დიდი და მცირე ზომის ყურიანი და უყურო ქოთნები, ქილები, ბადიები, ჯამები, კოჭობები, ხუფები (ბეშთაშენი, ოზნი, ავრანლო), სამყურა მაღალყელიანი ჭურჭელი (ოზნი), ქუსლიანი ჯამები (ოზნი), ორმაგი ჭურჭელი (ბეშთაშენი), ოთხნახნაგა, ნითლად შეღებილი სასაკმევლე (ოზნი).

ბეშთაშენის ნამოსახლარზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა ბ. კუფტინმა ჰორიზონტების მიხედვით სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად დაჰყო. ყველაზე ადრეულ, ქვედა ჰორიზონტში აღმოჩენილ ჭურჭელს ახასიათებს მასიურობა და ზედაპირის ზერელე დამუშავება. ეს ჯგუფი წარმოდგენილია ფართო ძირიანი, დიდი ზომის დერგებით და ქოთნებით [Куптин 1941: 115, სურ. 122]. რომლებსაც ცილინდრული ყელი და შესქელებული პირი აქვთ. ზოგი ჭურჭელი უყუროა, ზოგს ორი ყური აქვს, ზოგსაც – ე.წ. ცრუ ყურები.

მეორე ჯგუფის კერამიკა ხასიათდება მაღალი ტექნიკური და მხატვრული თვისებებით და ზედაპირის გაპრიალების მაღალი ხარისხით. ამ ჭურჭლის არქიტექტონიკაც განსხვავებულია [Куптин 1941: 115, სურ. 124]. ამ ჯგუფის კერამიკა წარმოდგენილია ფართოპირიანი ჯამებით, რომელთაც აქვთ გადაშლილი და შეთხელებული პირი; აგრეთვე ფართო და მაღალყელიანი ქოთნებით, რომელთა მუცელი ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება პატარა, ზოგჯერ სპეციფიურად შედრეკილი ძირისკენ. ჭურჭლების ყურები, როგორც წესი, ნახევარსფერულია. ორნამენტიც საკმა-

ოდ თავისებურია: წვრილი ამოკანრული ორნამენტის გარდა გვხვდება ჭურჭლის დეკორირების ახალი მეთოდი – ამოლარულ-ამობურცული წვრილი რელიეფური ორნამენტი [Куфтин 1941: 116].

მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფს შეადგენს კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც აღმოჩნდა იგივე სასიმაგრო მოედანზე, ოდნავ ზედა ფენებში. ამ კომპლექსში ბ. კუფტინი აერთიანებს შავ-პრიალა კერამიკას ნატიფი ამოლარული ორნამენტით და მოხატული კერამიკის ფრაგმენტებს [Куфтин 1941: 117].

თრიალეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე იშვიათად გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურისათვის არადაამახასიათებელი თიხის ჭურჭელი. ასეთად, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს „პიქტოგრამით“ შემკული ქუსლიანი ჯამი ოზნიდან. ამ ტიპის ჭურჭელი სრულიად უცნობია სამხრეთ კავკასიაში, თუმცა ის ირანში, იანიკ-თეფეზე [Burney 1961: ტაბ. LXXIV<sub>51</sub>], მტკვარ-არაქსულ ფენაში გვხვდება. მსგავსი ჯამები ირანის ადრე ბრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებზეც არის დადასტურებული [Станкевич 1978: სურ. 11, 17, 19], რომლებიც ელამის კულტურულ წრეში არიან გაერთიანებული.

მტკვარ-არაქსის კერამიკისათვის ასევე უჩვეულოა ორმაგი ჭურჭელი, რომელიც ბეშთაშენში აღმოჩნდა. ეს არის ძალიან მცირე ზომის (6,7 სმ. სიმაღლის) შავპრიალა ორი სასმისი, რომელიც ერთმანეთთან გვერდებით არიან შეერთებული და აქვთ საერთო ნახევარსფერული ყური [Куфтин 1941: ტაბ. CXXIV; Жоржикашвили, Гогодзе 1974: 46, ტაბ. 34-211]. ჭურჭელი აღმოჩნდა ქვედა, III ფენაში. ანალოგიური სასმისი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოში, ფიჩორის ნამოსახლარის მე-8 ფენაში [ფხაკაძე 2002: 29], ბედენის № 5 ყორღანში [გობეჯიშვილი 1981: 75,87] და ჩრდილოეთ კავკასიის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე [ფხაკაძე 2002: 29]. მსგავსი ჭურჭლის სხვადასხვა ვარიანტი (სამი და ოთხი შეერთებული ეგზემპლარი) აღმოჩენილია, ძირითადად, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლზე პალესტინიდან პირინეის ნახევარკუნძულამდე (ბეთ-იერაჰი [Esse 1991: ტაბ. 9-A], კვიპროსი-ვუნუ [Dikaios 1932: ტაბ. LXXIII<sub>3</sub>], მერსინი, ტარსუსი, კარატაში [Garstang 1953: 2; Huot 1982: სურ. 64], ბიბლოსი, ბალკანეთი [ფხაკაძე 2002: 30], ელ-არგარი-ესპანეთი) [Historia de España 1954: სურ. 480], თუმცა ცალკეული ეგზემპლარები ირანშიც გვხვდება (სუზა, სიალკი, პისარ I) [ფხაკაძე 2002: 30]. როგორც ჩანს, ამ ტიპის ჭურჭელი გამოიყენებოდა მხოლოდ სარიტუალო დანიშნულებით.

ავრანლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი წითლად ან შავადაა გამომწვარი, მათი ზედაპირი გაპრიალებილია. გვხვდება მოხატული ჭურჭლების ფრაგმენტებიც (ტაბ. VII<sub>43</sub>); კერამიკული მასალა ძირითადად ბადიებით, ქოთნებითა და დერგებითაა წარმოდგენილი.

ავრანლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიდან მხოლოდ ბადიისა და ქოთნის აღდგენა მოხერხდა.

ბადია, წითელი ზედაპირით, შიდაპირით და კეცით. ზედაპირი ანგობირებულია. აქვს მომრგვალებული ბაკო, ცილინდრული ყელი, წიბოიანი მუცელი, პირსა და გვერდზე მიძერწილი ყური (ტაბ. VI<sub>9</sub>; ტაბ. VII<sub>49</sub>). აღმოჩნდა CXCII ნაკვეთის 5-2,3 კვ-ში, 0,52 მ სიღრმეზე.

ქოთანის, წითელი ნაპრიალები ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირითა და კეცით; აქვს მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, მომრგვალებული მუცელი, ბრტყელი ძირი; ყელსა და მუცლის გამყოფ ხაზზე დაძერწილი აქვს კოპი. ზედაპირზე შერჩენილი აქვს წითელი ანგობის კვალი (ტაბ. VI<sub>8</sub>; ტაბ. VII<sub>50</sub>).

აღსანიშნავია წითლად გამომწვარი დერგის ფრაგმენტები, რომელსაც წვრილმინარევებიანი კეცი და მოყვითალო შიდაპირი აქვს. ზედაპირი დამსკდარია და ალაგ-ალაგ ეტყობა ანგობის კვალი. აქვს მრგვალი ბაკო, მაღალი ცილინდრული ყელი. ყელსა და მხარს ღარი გამოყოფს, ღართან 1,5 სმ დიამეტრის გამჭოლი ნახვრეტია. მხარი შემკულია მაღალრელიეფური ორნამენტით (ტაბ. VI<sub>17</sub>; ტაბ. VII<sub>45</sub>).

წითელპრიალა ბადია ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი მეოთხედით თარიღდება.

ანალოგიური ბადიები აღმოჩენილია ხიზანანთ გორაზე [კიკვიძე 1972: ტაბ. XX<sub>1</sub>, XXI<sub>1,6,7</sub>] და ქვაცხელების C1 და B1 ფენებში [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 119-120, ტაბ. IV<sub>368-375</sub>], ასევე საჩხერისა და ნაჩერქეზევის № 2 ყორღანებში [ფხაკაძე 1993: ტაბ. XVIII, XVI<sub>2</sub>], ნაცარგორის № 196 სამარხში [Рапишвили 1997: სურ. 36<sub>2</sub>]. ის გარკვეულ მსგავსებას იჩენს ოზნიში [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 27<sub>109</sub>] და ციხიაგორის №17 ორმოში [მახარაძე 1994: ტაბ. XLIX<sub>2,3</sub>] აღმოჩენილ ბადიებთან.

ქოთანი ახლო პარალელებს პოულობს ქვემო ქართლის და სომხეთის ძეგლებზე: ამირანის გორაზე [ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 5, 16, 19], ოზნიში [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 24<sub>67</sub>, 27<sub>110</sub>, 29<sub>120,126</sub>], ბეშთაშენში [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 31<sub>152</sub>], კიკეთში [ფხაკაძე 1963: ტაბ. XIII<sub>6</sub>], დანგრეულ გორაზე [ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1975: სურ. 56<sub>10</sub>], ოკამში, ზველში, ახალქალაქის რ-ნში [ორჯონიკიძე 1983: ტაბ. 28<sub>1</sub>, 37], გელაროტში [Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004: სურ. 12<sub>d,e,f</sub>], ჰორომში [Badaljan, Kohl, Stronach, Tonikjan 1994: სურ. 12<sub>20,22</sub>] აღმოჩენილ ჭურჭელთან. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ქოთანი აღმოჩნდა არსლანთეფე VI B1 ფენაში, ე.წ. „მეფის“ სამარხში, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 3000-2900 წწ. გვიან ურუქულ კერამიკასთან ერთად [Frangipane 2004: სურ. 91, 158].

საყურადღებოა ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ჭურჭლების გვერდებისგან დამზადებული სხვადასხვა ზომის თიხის დისკები (ტაბ. VII<sub>17-19</sub>). მსგავსი დისკები ხშირად გვხვდება როგორც ადრე, ისე გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტერიტორიაზე. მრავლადაა აღმოჩენილი ასეთი საგნები ბალკანეთის ნეოლითური ხანის ძეგლებზეც. მეცნიერთა ვარაუდით, ეს დისკები წონის ერთეულს წარმოადგენდნენ [Gimbutas, Winn, Shimabuku 1986: 254].

**ნიშნები და სიმბოლოები.** თრიალეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ჭურჭლის დეკორი არ არის მრავალფეროვანი. კერამიკა შემკულია რელიეფური, ამოკანრული, ამოლარული ორნამენტით, ან შეღებილია. რელიეფური ორნამენტი ძირითადად დიდი ზომის ჭურჭელს ახასიათებთ. გვხვდება რელიეფური ორმაგი სპირალების (ბეშთაშენი, ოზნი), ორმაგი სპირალისა და სირაქლემასებრი ფრინველების (ოზნი), სირაქლემასებრი ფრინველის (ავრანლო), ცხოველის, თუ ქვეწარმავალის (ავრანლო) გამოსახულებები. ამოკანრული და ამოლარული ტექნიკით შესრულებულია სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები და ფრინველების გამოსახულებები (ბეშთაშენი, ოზნი, ავრანლო).

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე, განსაკუთრებით ქვემო ქართლის, სომხეთის, ანატოლიის და ირანის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად გვხვდება რელიეფური, ამოკანრული და მოხატული სირაქლემასებრი ფრინველების გამოსახულებები: კიკეთში [ფხაკაძე 1963: 150], ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963: 67, ტაბ. 13<sub>3,4</sub>], ბეშთაშენში [Куфтин 1941: 109. სურ. 116], ოზნიში [Куфтин 1948: 35], დანგრეულ გორაზე [ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1975: სურ. 56<sub>6,13</sub>], ქვაცხელებზე [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 25, ტაბ. IV], გარნში, არევიკში, კარნუტში, შენგავითში [Хачатрян 1975: სურ. 46, 74, 75, 78, 79], იანიკ-თეფეზე [Burney 1961: ტაბ. LXX], მალათის და ქებანის რეგიონებში, ანატოლიაში [Marro 1997: ტაბ. 86-92].

საინტერესოა ავრანლოში აღმოჩენილი ნითელპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელზეც რელიეფურად ყარყატია გამოსახული (ტაბ. VI<sub>4</sub>; ტაბ. VII<sub>14</sub>). მეცნიერების მიერ ყარყატების გამოსახულებების თაობაზე მრავალი სხვადასხვა შეხედულება გამოითქვა. ისინი დიდ მსგავსებას ავლენს მესოპოტამიის და ირანის ნეოლითურ კულტურებში დამონმებულ თიხის ჭურჭელზე გამოსახულ სირაქლემასებრი ფრინველების პროცესიებთან. მტკვარ-არაქსის კერამიკაზე ხშირია ამ ფრინველების გამოსახულება ორმაგი სპირალის თანხლებით (ორმაგი სპირალი ფლანკირებულია ორი ფრინველის გამოსახულებით, რის შედეგადაც ვიღებთ ე.წ. „სამწილად კომპოზიციას“), რაც მას აახლოვებს ძვ.წ. II ათასწლეულის სირია-მესოპოტამიური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ იკონოგრაფიულ სახესთან – ორი ფრინველით ფლანკირებული ქალღმერთის ფიგურა

[Wegner 1981: 89-93] ქალღმერთის (ინანა-იშთარი-შაგუშქა) სიმბოლო, ბერძნული ომეგას მსგავსი ნიშანი სწორედ ორმაგ სპირალს მოგვაგონებს.

ავრანლოში აღმოჩენილ ერთ-ერთი შავპრიალა ჭურჭლის მცირე ფრაგმენტზე (ტაბ. VI<sub>6</sub>; ტაბ. VII<sub>12</sub>) გამოსახულია სამკუთხედით შეკიდული ორმაგი ვოლუტი და ცალი ჩახვეული სპირალი. მსგავსი გამოსახულებები აღმოჩენილია ქვემო ქართლში [ლლონტი 1972: 53] და სომხეთში [Хачатрян 1975: სურ. 7] როგორც აღნიშნავდა ლ. ლლონტი, მსგავსი ორმაგი ვოლუტი გვხვდება არა მხოლოდ კერამიკაზე, „არამედ ამ პერიოდისათვის მეტად დამახასიათებელ ლითონის საკინძებზე და საკიდებზე ... გავრცელებულია მცირე აზიაში ხეთურ ხანაში, მონუმენტურ რელიეფებზე და გლიპტიკაში“ [ლლონტი 1972: 57]. მსგავსი ფორმის გულსაკიდი აღმოჩნდა გელაროტში [Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004: სურ. 15], ოქროსგან დამზადებული ორვოლუტიანი საკიდი აღმოჩნდა შენგავითში [The State History Museum of Armenia 1991: სურ. 6]. ძალზე მდიდრული და მასიური ოქროს გულსაკიდი ნაპონია ანანაურის ყორღანში [ჯაფარიძე 2003: ტაბ. XXXI]. ჩვენი აზრით, ამ ფორმის საკიდი არის ცულის სიმბოლური გამოსახულება, რომელიც თავის მხრივ რომელიღაც ღვთაების, შესაძლოა თეშუბის ატრიბუტს განასახიერებდა და ამდენად მის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდა.

მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭელი, რომელთა ორნამენტი გამორჩეულია. კერამიკის შემკულობას არ გააჩნია რითმი, ელემენტების განმეორებადობა. ასეთი ჭურჭლების აღმოჩენისთანავე გაჩნდა აზრი, რომ ეს უცნაური ორნამენტი – ნიშნები, „პიქტოგრაფიულ“ დამწერლობას წარმოადგენენ [შანშაშვილი 1999: 3]. ორი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა თრიალეთში, ოზნისა და ბეშთაშენის ნამოსახლარებზე.

„წარწერით“ შემკული ჯამი აღმოჩნდა 1947 წელს, სოფ. ოზნიში ჩატარებული გათხრების დროს, თიხატყეპნილ მოედანზე [Куртин 1948: 26]. წრიულად ამოკანრული ნიშნები ბ. კუფტინმა პროტოელამურ დამწერლობას მიახლოებდა [Куртин 1948: 90]. საინტერესოა, რომ მსგავსი ჯამი ამოკანრული ნიშნებით აღმოჩნდა იანიკ-თეფეზე. ჩ. ბარნეის აზრით, ირანის აზერბაიჯანში და მიმდებარე რეგიონებში ადრე ბრინჯაოს ხანის მოსახლეობას გააჩნდა თავისი დამწერლობა, რისთვისაც ხის ფირფიტებს იყენებდნენ [Burney 1961: 147-149]. შესაძლოა, 2002 წელს ირანში იუსუფ მაჯიზადეჰის მიერ ახალი ცივილიზაციის აღმოჩენით, რომელიც არატას სახელით იყო ცნობილი შუმერებისთვის და არსებობდა ძვ.წ. 3000-1500 წწ-ში [Muscarella 2005], შუქი მოეფინოს მტკვარ-არაქსული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას ირანის ტერიტორიაზე.

„პიქტოგრამიანი“ მცირე ზომის ჭურჭელი აღმოჩნდა ბეშთაშენშიც, რომლის ზედაპირზე სწორხაზოვანი ნიშნებია ამოკანრული [Куртин 1941: 109-110].

ნიშნებიანი კერამიკა აღმოჩენილია საქართველოს, სომხეთის, ანატოლიის და ირანის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე და დაკავშირებული უნდა ყოფილიყო გარკვეულ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ძვრებთან, რომლებიც მიმდინარეობდა ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მახლობელ აღმოსავლეთში.

**მინათმოქმედება.** თრიალეთის ნამოსახლარებზე ხშირია ნამგლის კაჟის ჩასართების (ტაბ. VI<sub>3</sub>), სანაყების (ტაბ. VIII<sub>2,3,7,11</sub>) და ხელსაფქვავეების (ტაბ. VIII<sub>10</sub>) აღმოჩენის ფაქტები. საინტერესოა ავრანლოში აღმოჩენილი თიხის ოვალური ფორმის საგანი (ტაბ. VIII<sub>4</sub>), რომელსაც ოთხი ღრმა ღარი კვეთს ვერტიკალურად. მსგავსი, გეომეტრიული დეკორით შემკული ნივთი აღმოჩენილია სირიაში, მარიში, სასახლის ტერიტორიაზე და წარმოადგენდა პურის საცხობ ფორმას [Fortin 1999: 101, სურ. 34].

ავრანლოს ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბაზალტის მრგვალი ფორმის ხელსაფქვავეის ერთი ნაწილი (ტაბ. VIII<sub>9</sub>), რომელსაც შუაში ნახვრეტი აქვს. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული იყო ორი ერთმანეთში ჩასმული ქვისაგან შემდგარი ხელსაფქვავეები. ეს

იყო მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ხალსაფქვაკვების ვარიანტი, რომელიც ძალზე წვრილად ფქვაკვდა მარცვალს. სირიაში, ნამოსახლარ ტელ-ბაზიზე აღმოჩნდა ავრანლოს მსგავსი ხელსაფქვაკვის ორივე ნაწილი [Fortin 1999: 182, სურ. 120].

მტკვარ-არაქსის კულტურა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მიჩნეულია მინათმოქმედ-მესაქონლეთა საზოგადოებად. მინათმოქმედების დიდ როლზე მეურნეობაში მეტყველებს ნამოსახლარებზე მრავალრიცხოვანი სამინათმოქმედო იარაღის აღმოჩენა: ირმის რქისაგან დამზადებული სახვნელი იარაღი, კაჟისგან დამზადებული ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვაკვები, მარცვლეულის შესანახი ჭურჭლები და თვით მარცვლეულის ნიმუშები [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 45; Лисицына, Прищипенко 1977: 65-69; Лордкиპანიძე 1989: 100]. ცნობილია ლითონის ნამგლის აღმოჩენის ფაქტებიც [კიკვიძე 1976: 54; Кушнарёва, Чубинишвили 1970: 126]. მტკვარ-არაქსელები მევენახეობასაც [Лисицына, Прищипенко 1977: 15, 25] მისდევდნენ. კვირისტავების დიდი რაოდენობა და ქსოვილის ანაბეჭდები თიხის ჭურჭელზე ფეიქრობის განვითარებაზე მეტყველებს [ჯავახიშვილი, ლლონტი 1962: 33; Лордкиპანიძე 1989: 101]. მეურნეობაში დიდ როლს მესაქონლეობაც ასრულებდა. სადღვებლების და სანურების აღმოჩენა ნამოსახლარებზე მესაქონლეობის მნიშვნელობაზე და რძის პროდუქციის ფართო წარმოებაზე მეტყველებს [Лордкиპანიძე 1989: 101]. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების ტოპოგრაფიას რომ გადავაჯლოთ თვალი, ადვილი შესამჩნევია მათი სპილენძით მდიდარ რეგიონებში კონცენტრაცია. იშვიათია მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, სადაც ლითონი და ლითონის წარმოება დამონმებული არ იყოს. „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კულტურა მეტალურგიის ბაზაზეა განვითარებული“ [კიკვიძე 1976: 75].

თრიალეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე ძალზე იშვიათად გვხვდება ლითონის იარაღი და მეტალურგიასთან დაკავშირებული საგნები, მაგ. ტიგელი ავრანლოდან (ტაბ. VI<sub>2</sub>). შესაძლოა, თიხის დისკებიც ლითონის ნედლეულის ასანონად იხმარებოდა. ავრანლოდან ხანდოსკენ მიმავალ გზაზე კი დღესაც არსებობს სპილენძის საბადო ძველი შახტებით და მთა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მადანს ეძახის.

**თრიალეთის ადრე ბრინჯაოს ხანის ძეგლების დათარიღების საკითხები.** თრიალეთის ადრე ბრინჯაოს ნამოსახლარებსა და სამარხებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა მსგავსია სამხრეთ საქართველოში, სომხეთში და ანატოლიაში (მალათიის რეგიონში) აღმოჩენილი კერამიკისა. თუმცა ზოგიერთი ეგზემპლარი შიდა ქართლისთვისაც დამახასიათებელია. ბ. კუფტინის მიერ ბეშთაშენის ნამოსახლარზე ადრეულ კომპლექსად მიჩნეული კერამიკა იდენტურია არსლანთეფე VI B1 ფენაში, გვიან ურუქულ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი ქოთნებისა და სომხეთში, გელაროტსა და ჰორომში აღმოჩენილი ჭურჭლისა. სომხეთში აღმოჩენილი მსგავსი კერამიკის შემცველი ფენები ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. გელაროტის მსგავსი კერამიკა მომდინარეობს ფენებიდან, რომელთა C14 მეთოდის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. 3100-2700 წწ. [Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004: 20], ხოლო ჰორომიდან ძვ.წ. 3350-3050 წწ. და ძვ.წ. 3371-3136 წწ. [Badaljan, Kohl, Stronach, Tonikjan 1994: 14; Badaljan, Edens, Gorny, Kohl 1993: 3]. არსლანთეფე VIB ფენა ტრადიციული „საშუალო“ ქრონოლოგიით ჯემდეთნასრის/ადრე დინასტიური I ეპოქის თანადროულია და 3100-2800წწ. თარიღდება [Conti, Persiani 1993: 386].

ბ. კუფტინის მიერ გამოყოფილი მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის კერამიკა ბეშთაშენიდან მსგავსებას იჩენს შიდა ქართლის ნამოსახლარებთან.

მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის მოხატული ფრაგმენტები მალათიის და ქებანის რეგიონებში აღმოჩენილი მოხატული კერამიკის ანალოგიურია. არსლანთეფეს VI C და ნორშუნთეფეს XXI-XVIII ფენებში დადასტურებული მოხატული ჭურჭელი ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევართა და შუა ხანებით თარიღდება [Conti, Persiani 1993: 388]. ანალოგიური კერამიკის შემცველი



პულურის VIII ფენა C<sup>14</sup> მეთოდით ძვ.წ. 2470±150წ თარიღდება [Kosay 1976: 130]. უნდა აღინიშნოს, რომ ბედენის № 5 ყორღანშიც აღმოჩნდა მოხატული კერამიკა. ღია ფერის ზედაპირზე მუქი საღებავით დატანილი იყო ორნამენტი, რომელიც სრულიად გაქრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ლაბორატორიაში მათი გარეცხვის დროს [გობეჯიშვილი 1981: 48]. ბეშთაშენის მოხატული ფრაგმენტებიც ღია ფერის ფონზე მუქი საღებავებითაა შესრულებული. სავარაუდოა, რომ ნამოსახლარის მახლობლად აღმოჩენილი ადრეული ეპოქის ყორღანები ბეშთაშენის მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის შემცველ სამოსახლოს მაცხოვრებლებს ეკუთვნოდა

ჩვენი აზრით, ბეშთაშენის ადრე ბრინჯაოს ეპოქის ნამოსახლარი შეესაბამება არსლანთეფეს VI B და C და პულურის X-VIII ფენებს. გამომდინარე აქედან, ფუნქციონირებდა ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე და ორი არქეოლოგიური კულტურის (მტკვარ-არაქსი, ბედენი) თანაარსებობის ამსახველ ფენებს შეიცავს.

ოზნის და ავრანლოს ნამოსახლარებზე გვხვდება როგორც ადრეული, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულით დათარიღებული კერამიკა, ასევე მოხატული კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. ამდენად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ბეშთაშენის, ოზნის და ავრანლოს უძველესი ნამოსახლარები ფუნქციონირებდა დაახლოებით 500 წლის განმავლობაში, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანამდე.

**დასკვნა.** მტკვარ-არაქსის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა გავრცელების ფართო არეალით არის გამორჩეული: სამხრეთ-დასავლეთით ანატოლიაში, ელიაზიგ-მალათიის რეგიონს მოიცავს და სირია-პალესტინაში ვრცელდება; დასავლეთ საქართველოში - ყვირილის აუზსა და გურიაში გვხვდება; სამხრეთით ვანის ტბამდე აღწევს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით - ურმიის ტბასა და თავრიზის რაიონს მოიცავს. აღმოსავლეთით კი მილისა და ყარაბაღის სტეპებშია გავრცელებული. ამ კულტურისათვის მზარდი დემოგრაფიის ფონზე ინტენსიური განსახლების პროცესია დამახასიათებელი. მტკვარ-არაქსის კულტურის ფენომენი მის ხანგრძლივობაში, უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებასა და თვისებების საოცარ ერთგვაროვნებაში მდგომარეობს, თუმცა ლოკალური თავისებურებებიც შეიმჩნევა. ასეთ ლოკალურ რეგიონად შეიძლება ჩაითვალოს ქვემო ქართლი, თრიალეთი, მესხეთი და დღევანდელი სომხეთი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთნაირი კერამიკული ფორმები, კერამიკის ორნამენტული სახეები, დაკრძალვის წესები და მაცხოვრებლების არქიტექტურა.

მტკვარ-არაქსული კერამიკა ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მცირე რაოდენობით ჩნდება ევფრატის ზემო წელზე, ელიაზიგ-მალათიის რეგიონში, რომელიც ამ პერიოდში ეკონომიკურ აყვავებას განიცდიდა. ელიაზიგ-მალათიის ეკონომიკური აყვავება დაკავშირებული იყო ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში ურუქელი ვაჭრების შემოღწევით ამ რეგიონში. ამას ადასტურებს კორუჯუთეფე B-ს მდიდრული სამარხები, რომელთა ინვენტარი და აკლამების არქიტექტურა ახლო პარალელებს პოულობს თეფე გავრას XI-IX ფენებთან. არსლანთეფეს მონუმენტური არქიტექტურა და სიმდიდრე მ. ფრანჯიპანეს ავარაუდებინებს არსლანთეფეში ადმინისტრაციული აპარატის და ადრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციული სისტემის არსებობას [Frangipane 1997: 45-48]. ამდენად, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულს მალათიის რეგიონი წარმოადგენდა ეკონომიკურად განვითარებულ და კარგად ორგანიზებულ რეგიონალურ ცენტრს, რომელსაც სავარაუდოა, რომ მტკვარ-არაქსული მოსახლეობა ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან აწვდიდა ბრინჯაოს და შესაძლოა ოქროსაც. არსლანთეფეს მოსახლეობის სიმდიდრის წყარო ლითონით ვაჭრობა იყო. ამას მოწმობს III შენობის ერთ-ერთი ოთახში (113) აღმოჩენილი იარაღის სანყოფი [Burney 1993: 314-315]. არსლანთეფე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სირია-მესოპოტამიასთან ურთიერთობაში, რადგანაც სხვადასხვა კულტურულ არეალებს შორის არსებულ

სასაზღვრო ხაზზე მდებარეობდა. ჩვენი აზრით, ურუქელი ვაჭრების და მტკვარ-არაქსელი ადრეული მელითონების საკონტაქტო ზონა არსებობდა სწორედ ამ რეგიონში. შესაძლოა მესოპოტამიელთა სავაჭრო ინტერესმა გამოიწვია მეტალურგიის განვითარება და ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისი სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც თან სდევდა საერთო ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. ამ პროცესების შედეგი იყო დემოგრაფიული ზრდა და მტკვარ-არაქსის კულტურის დიდ ტერიტორიაზე გავრცელება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ გვიანურუქული პერიოდის მდიდარი არსლანთეფე სამხრეთ კავკასიიდან მოსულმა ხალხმა დაანგრია. მ. ფრანჯიპანეს გამოთქმით „ნახევრად მომთაბარე კავკასიელებმა“ თავისი სარ-ლასტით ნაგები ქოხები აღმართეს დანგრეული სასახლეების ადგილზე.“ მისი აზრით მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ხალხი ნახევრად მომთაბარე, პასტორალური მეურნეობის მქონე საზოგადოებას წარმოადგენდა [Frangipane 2003: 32-34].

ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში სამხრეთ კავკასიასა და ანატოლიიდან სირია-პალესტინისაკენ და ირანისკენ მტკვარ-არაქსელთა ერთი ნაწილის ინტენსიური ინფილტრაცია მიმდინარეობდა, თუმცა ამ კულტურის ხალხის ძირითადი ნაწილი თავის ძირ-ძველ ადგილსამყოფელზე რჩება.

ანატოლიისა და სირია-პალესტინის ადრებრინჯაოს ხანის ზოგიერთი ნამოსახლარზე ძლიერი ხანძრის კვალი დასტურდება. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ისინი მტკვარ-არაქსელებმა გაანადგურეს [Schaeffer 1961: 231; Frangipane 2003: 33-34]. უკანასკნელ ხანს მ. როტმანმა მტკვარ-არაქსელთა ახლო აღმოსავლეთში გამოჩენა თურქ-სელჯუკთა მიგრაციას შეადარა [Rothman 2003: 98-99].

ჩვენი აზრით, ორივე ეს მოსაზრება სერიოზულ კორექტირებას მოითხოვს. ხაზგასასმელია, რომ სამხრეთ კავკასიაში გათხრილი მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარები გამოირჩევა თავისი მშვიდობიანი ხასიათით. ამ ტერიტორიაზე დადასტურებული არქეოლოგიური ძეგლები სრულ უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხალხს მალაღგანვითარებული მიწათმოქმედება ჰქონდა.

სამხრეთ კავკასიაში არქეოლოგიურად შესწავლილი მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების მნიშვნელოვანი ნაწილი მრავალფენიანია და დიდ ფართობზეა გაშლილი. მაგ. ქვაცხელას ფართობი 3,5 ჰა-ს უდრის და სამ კულტურულ ფენას შეიცავს, შვიდი სამშენებლო ჰორიზონტით. ხიზანაანთ გორა ნიადაგის ეროზიით ძლიერ არის დაზიანებული, თუმცა თავის დროზე საკმაოდ დიდ ნამოსახლარს წარმოადგენდა. მისი სამი სამშენებლო ჰორიზონტი უფრო ადრეულია, ვიდრე ქვაცხელასი. ამდენად, ეს ნამოსახლარი საკმაოდ დიდხანს ფუნქციონირებდა. ახალციხის ამირანის გორას ეკავა 8 ჰა. ამ ტერასულ ნამოსახლარზე სამი სამშენებლო ჰორიზონტი გამოიყოფა [Джавахишвили 1973: 114, 131, 150]. ბეშთაშენის ნამოსახლარი 12 ჰა-ზეა განფენილი. ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენის სიძლიავე 1,5 მ-ია და სამ სამშენებლო ჰორიზონტს მოიცავს. ავრანლოს ფართობი 6 ჰექტარია. აქაც სამი ქრონოლოგიური პერიოდი გამოიყოფა. ოზნის ნამოსახლარი 10 ჰა ფართობზე ყოფილა გაშენებული. შენგავითის ფართობი დაახლოებით 30 ჰა-ს უდრიდა. ოთხი მეტრის სისქის ადრე ბრინჯაოს ეპოქის კულტურულ ფენაში ე. ბაიბურთიანმა სამი სამშენებლო ჰორიზონტი გამოყო [Джавахишвили 1973: 168, 182].

სამხრეთ კავკასიის ადრე ბრინჯაოს ხანის დასახლებებისა და საცხოვრებლების დაგეგმარებას მთელი რიგი საერთო ნიშნები ახასიათებს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამშენებლო მასალა გამოყენებული (ქვა, ხე, ალიზი, აგური). სამშენებლო მასალის არჩევა დამოკიდებული იყო ბიოგარემოზე. ყველა მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი მდებარეობდა სამიწათმოქმედო სავარგულეებში, მდინარის ნაპირას. სოფლები ერთმანეთის სიახლოვეს იყო განლაგებული. ინდივიდუა-

ლური სახლებიც შემქმნდროვებულად იდგა. შეიმჩნევა საკულტო ცენტრის, აგრეთვე ქუჩების და მოედნების გამოყოფის ტენდენცია [Джавахишвили 1973: 110-116].

ამ ეპოქის სამშენებლო საქმე და არქიტექტურა, ასევე ის ფაქტი, რომ ნამოსახლარები დროის საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთში ფუნქციონირებდა, გამორიცხავს ამ საზოგადოების ნახევრად-მომთაბარე პასტორალურ მეურნეობას. ისინი მიწათმოქმედები და მელითონეები არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიაში გათხრილი ადრებრინჯაოს ხანის სამაროვნები საბრძოლო იარაღს თითქმის არ შეიცავს. დასახლებებს კი მძლავრი თავდაცვითი სისტემები არ გააჩნია. საბრძოლო იარაღი დიდი რაოდენობით მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიაზე ჩნდება (საჩხერე). ბ. კუფტინის და ო. ჯაფარიძის აზრით, საჩხერეში აღმოჩენილი საბრძოლო და საპარადო იარაღი წინააზიურ მინაბაძებს წარმოადგენენ [Куфтин 1949: 71-74; ჯაფარიძე 1991: 124-125]. თუმცა ნამოსახლარების ადრეულ ფენებში აღმოჩენილი სხვადასხვა სახის საბრძოლო და შრომის იარაღის ყალიბები და იარაღი სავარაუდოდ ხდის მათ ფართო გამოყენებას ყოფაში [Кушнарёва, Чубинишвили 1970: 114-116]. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მილიტარიზაციის ნიშნები სამხრეთ კავკასიაში ჩნდება შედარებით გვიან და შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან იყოს დაკავშირებული, რასაც ჩვენი აზრით, ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში, მტკვარ-არაქსელთა ნაწილის კავკასიაში დაბრუნება მოჰყვა.

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე მტკვარ-არაქსის კულტურის ხალხი ელიაზიგ-მალათიის რეგიონში მკვიდრდება. თუ ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში მტკვარ-არქსული, ანუ რასაც თანამედროვე თურქეთში „ქარაზულ“ კერამიკას უწოდებენ, ქებანის რეგიონში, სირიულ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ანატოლიურ კერამიკის 35% შეადგენს, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე — 60%, ხოლო ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში 80%-მდე გაიზარდა [Abay 1997: 18-19]. ჩვენი აზრით, ელიაზიგ-მალათიის რეგიონში ქვემო ქართლის ლოკალური ერთობის წარმომადგენლები დამკვიდრდნენ. მათ სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიური კულტურის ელემენტები შემოიტანეს.

მ. კელი-ბუჩელატის აზრით, არსლანთეფე VI B1 პერიოდში მოსულმა ადრეტრანსკავკასიური კულტურის (მტკვარ-არაქსის კულტურა) ხალხმა ლითონის საბადოებზე და ვაჭრობაზე კონტროლი დააწესა და გამანაწილებელი პუნქტების რეორიენტაცია მოახდინა [Kelly-Buccellati 1990: 122]. მტკვარ-არაქსელთა შემოსვლამ არსლანთეფეს განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა. „კავკასიელები“ ვერ ჩაერთნენ ადგილობრივ ეკონომიკურ სისტემაში, რამაც მალათიის რეგიონში ხანმოკლე პერიოდით ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია [Frangipane 2003: 32-34]. თუმცა სწორედ მესოპოტამიური კულტურული გავლენით უნდა აიხსნას ინოვაციები სამხრეთ კავკასიის კულტურაში.

ძვ.წ. IV ათასწლეულის ახლო აღმოსავლეთისთვის ქვით, ან აგურით ნაგები აკლდამები საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. თითქმის ყველა შემთხვევაში ისინი გამოირჩევა მდიდარი ინვენტარით და შესაბამისად წარჩინებულთა დასაკრძალავებს წარმოადგენს. ქვით და აგურით ნაგები მდიდრული აკლდამები პირველად ჩნდება თეფე გავრას XI-VIII ფენებში და ურუქის პერიოდით, ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება [Плойд 1984: 72]. თითოეულში მრავლადაა ფირუზის, ობსიდიანის, სერდოლიკის, ლაზურიტის, სპილოს ძვლის და ოქროს სამკაული, რომელიც სავარაუდოდ ტანისამოსსა და დიადემებზე იყო მიმაგრებული. როგორც ჩანს, ისინი თემის წარჩინებულ პირებს ეკუთვნოდათ [Плойд 1984: 93]. თეფე-გავრას აკლდამებთან ახლო პარალელებს პოულობს მდიდრული ინვენტარის შემცველი, ქვით და აგურით ნაგები კოლექტიური აკლდამები მალათიის რეგიონიდან [Burney 1980: 161]. კორუჯუთეფე B ფენაში, რომელიც თარიღდება ძვ.წ. 3500-3000 წწ. აგურით ნაგები ორი აკლდამა აღმოჩნდა. პირველ სამარხში ესვენა ქალი, რომელიც შემკული იყო მრავალრიცხოვანი ქვის და ვერცხლის სამკაულით, რომელთა შორის აღსანიშნავია

ვერცხლის დიადემა. მეორე სამარხში ესვენა ორი მიცვალებული – ქალი და მამაკაცი. ორივე შემკული იყო ვერცხლის და სპილენძის სამკაულით [Loon van, Güterbock 1971: 17].

ძვ.წ. 3000-2900 წწ. თარიღდება არსლანთეფეს VI B1 ფენაში აღმოჩენილი ე.წ. „მეფის“ აკლდამა, რომელიც ქვის ფილებით არის ნაგები. კერამიკის ნაწილი ადგილობრივი, გვიანურუქული ტიპისაა, ნაწილი კი – მტკვარ-არაქსული, შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი. ძირითადი მიცვალებულის გარდა, იქ კიდევ ოთხი ახალგაზრდა მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. მ. ფრანჯიპანეს აზრით, ორი მათგანი შესაძლოა მსხვერპლად იყო შეწირული. სამი მიცვალებული შემკული იყო სპილენძის, ვერცხლის და ოქროს სამკაულით, რომელთაგან აღსანიშნავია ვერცხლის და სპილენძის შენადნობისაგან დამზადებული დიადემა, რომლებიც ქვაცხელას №2 სამარხში აღმოჩენილი დიადემის მსგავსია. ძირითად მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა დიდი რაოდენობით სამხრეთ კავკასიური წარმომავლობის ლითონის იარაღი, სამკაული და კერამიკა. მრავალრიცხოვანი მძივები დამზადებული იყო მთის ბროლის, ვერცხლის და ოქროსგან. მძივები ისე იყო განლაგებული, რომ შესაძლოა ტანსაცმლის და სუდარის მოკაზმულობას წარმოადგენდნენ. ლითონის ინვენტარი (შუბისპირები, სატევრები, მახვილები, ცულები, ხვიები, სამაჯურები და სხვა) დამზადებულია სპილენძის, ბრინჯაოს, ვერცხლის და ისეთი არატიპიური შენადნობისგან, როგორცაა ვერცხლი და სპილენძი. მ. ფრანჯიპანეს აზრით, ძირითადი მიცვალებული უცხოელია, კავკასიელი, თუმცა დიდებული წარმომავლობის და ძველი ელიტის მემკვიდრეცაა [Frangipane 2003: 33-34].

ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში ქვის აკლდამები ზემო მესოპოტამიური მინაბადით იგებოდა, რადგანაც მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უკვე „მეფობის“ პრეტენზია ჰქონდა. ისინი ცდილობდნენ გარეგნულად მაინც მიეზაძათ თეფე-გავრას დიდებულებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამის ეკონომიკური საფუძველი, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ.

როგორც ჩანს, დროის გარკვეულ მონაკვეთში მტკვარ-არაქსელებმა შეძლეს აღმოსავლეთ ანატოლიის ბაზრის მონოპოლიზირება და უშუალოდ დაუკავშირდნენ მესოპოტამიელ ვაჭრებს, რადგან ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარსა და შუახანებში შავპრიალა კერამიკა ჩრდილო სირიის ქალაქებში ტელ-ბრაქსა [Oates 1987: 198] და ტელ-მოზანში [Kelly-Buccellati 1990: 121] ჩნდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე მტკვარ-არაქსელები მესოპოტამიური კულტურის მიღწევებს ეზიარნენ და შეეცადნენ მისი მინაბადები შემოეტანათ სამხრეთ კავკასიაში (მაგ. ოზნიში აღმოჩენილია ოთხნახნაგა სასაკმევლე [Жоржикашвили, Гогодзе 1974: ტაბ. 39<sub>გვ</sub>]). მსგავსი ნივთები, რომლებიც შედარებით უკეთ გამოსახავს შენობების მინიატურულ მოდელებს და ამავე დროს, შესაძლოა, წარმოადგენს სასაკმევლეებს, აღმოჩენილია ქვაცხელაზე [ჯაფარიძე 1976: სურ. 43], ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963: სურ. 4<sub>24</sub>], ხიზანანთ გორაზე [კიკვიძე 1972: ტაბ. XXIV<sub>1</sub>] და დიგაშენში [Орджоникиძე 1995: სურ. 141<sub>1</sub>]. აღსანიშნავია, რომ ასეთი მაკეტები არც ანატოლიაში გვხვდება და არც კავკასიის სხვა რეგიონებში და გარკვეულ სიახლოვეს იჩენს მესოპოტამიურ სასაკმევლეებთან. მსგავსი სასაკმევლეები აღმოჩენილი იყო უბეიდის პერიოდის ერიდუში – აბუ-მახრეინში, აგრეთვე თეფე გავრას XI ფენაში, რომელიც ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება და ჯემდეთ-ნასრის პერიოდის (ძვ.წ. 3200-2800 წწ.) ხაფაჯში [Goff 1963: სურ. 147, 237, 328, 496]. მრგვალი შენობის მაკეტი აღმოჩნდა მარიში ძვ.წ. 2700-2500 წწ. დათარიღებულ ფენებში [Fortin 1999: 278]. მტკვარ-არაქსული სასაკმევლეები მსგავსად მესოპოტამიური censer, ან incense burner-ისა სახლების მაკეტებს წარმოადგენს. ოვალური (ხიზანანთ გორა), ან ოთხკუთხა (ოზნი, ქვაცხელა, დიგაშენი), ფანჯრიანი და ალბათ საკვამლე მილიანი მინიატურული სახლები ყველაზე მეტ სიახლოვეს პოულობს უბეიდურ ეპოქის სასაკმევლეებთან (თეფე-გავრა, ტელ-ბრაქი, ხაფაჯე) და აბსოლუტურად განსხვავდება მოგვიანებით, ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ანატოლიასა და ირანში გავრცელებუ-

ლი წელში გამოყვანილი და ფართოპირიანი სასაკმევლებისაგან. ჩვენი აზრით, ოზნის, ისევე როგორც საქართველოს სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი სასაკმევლები დაკავშირებულია მესოპოტამიურ საკულტო პრაქტიკასთან.

როგორც აღვნიშნეთ, თრიალეთში (ოზნი, ბეშთაშენი) აღმოჩნდა ორი ჭურჭელი, რომელზეც წრიულად ნიშნებია გამოსახული. ასეთი ჭურჭლები აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე საქართველოში, სომხეთში, ირანსა და ანატოლიაში (ქვაცხელა, ამირანის გორა, არადეთი, შენგავითი, არიჭი, იანიკ-თეფე, ნორშუნთეფე, პულური) და როგორც ჩანს, „პიქტოგრაფიული“ დამწერლობის შექმნის მცდელობას წარმოადგენდა.

ყველგან ძველ მსოფლიოში, დამწერლობის შექმნა თან სდევს ცივილიზაციის გაჩენას. დამწერლობის შემოღება ქრონოლოგიურად ემთხვევა სახელმწიფოს შექმნას, დიდ ძვრებს ხელოსნობაში, ვაჭრობაში, წარმოებაში, მეტალურგიაში, სატრანსპორტო გზების და საშუალებების და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამ პროგრესული მოვლენების ფონზე ყველა დამწერლობამდელი კულტურა შედარებით პრიმიტიულად გვეჩვენება [Гелън 1982: 211]. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის საზოგადოება გარკვეულ ეტაპზე ასული იყო იმ საფეხურზე, როდესაც ჩნდება დამწერლობის შექმნის მოთხოვნილება, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ვერ დაძლია ეს ეტაპი და ნიშან-სიმბოლოები დამწერლობით სისტემად არ გადაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ნიშნები ჩნდება მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურაში და აღარ გვხვდება არც „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების“ კულტურაში და არც გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე. როგორც ჩანს, ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ მაგიური, საკრალურ-რიტუალური დანიშნულებით და ფუნქცია დაკარგეს გარკვეული სოციალ-ეკონომიკური ცვლილებების და სტრუქტურულად ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგად.

ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ კავკასიაში, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე, ჩნდება ახალი კულტურული ელემენტების მთელი რიგი, რომელიც, ჩვენი აზრით, ჩრდილო მესოპოტამიური კულტურული გავლენით უნდა აიხსნას. კულტურულ ნოვაციებს მიეკუთვნება ალიზის აგურით ნაგები შენობები (ქვაცხელა, ქიულ-თეფე II, შენგავითი), საცხოვრებელი შენობების იატაკის ქვეშ დაკრძალვა (ამირანის გორა), ქვით ნაგები აკლდამები (თამარისი, კოდა, კიკეთი, არდასუბანი, საფარ-ხარაბა და სხვა) პოლიქრომული მოხატულობა შენობების კედლებზე (გუდაბერტყა), იდეოგრამული ნიშნები კერამიკაზე (ოზნი, ამირანის გორა, ბეშთაშენი, არადეთის ორგორა), მოხატული კერამიკა (ქვაცხელა, ბეშთაშენი, არაგვის ხეობა), მინიატურული არქიტექტურული მოდელები – სასაკმევლები, (ქვაცხელა, ხიზანანთ გორა, ამირანის გორა, ოზნი, დიგაშენი), თიხის ანთროპომორფული ქანდაკებები (ქვაცხელა, ციხიაგორა, ხიზანანთ გორა, ამირანის გორა), რქიანი ზესადგრები (ქვაცხელა, ხიზანანთ გორა, ქულბაქები, არიჭი), შტამპური საბეჭდავები (ახალი ჟინვალი, გუდაბერტყა), საბეჭდავით დაბეჭდილი კერამიკა (ქვაცხელა). ამ კულტურულ ნოვაციებს თან სდევდა მთელი რიგი სოციალური ცვლილებები: ჩნდება დიდი და მცირე სამლოცველოები (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა, შენგავითი), განსხვავებული, აგურით ნაგები სახლები, რომლებიც შესაძლოა თემის წარჩინებულებს ეკუთვნოდა (ქვაცხელები, ბაბა-დერვიში), ბელად-ქურუმები, თუ „მეფეები“ იკრძალებიან განსხვავებულ სამარხებში (საჩხერე, თამარისი, ამირანის გორა, კიკეთი, კოდა, საფარ-ხარაბა), მათ გამორჩეული სამარხეული ინვენტარი გააჩნიათ (დიადემა ქვაცხელადან, საპარადო იარაღი საჩხერედან, ნიშნებიანი ჭურჭელი ამირანის გორადან). ეს ფაქტები მოწმობს, რომ არსებობს გარკვეული ფენა, რომელიც სარგებლობს უფრო დიდი პრივილეგიებით, ვიდრე ჩვეულებრივი მეთემე. არსებობს სატაძრო, თუ სათემო საკუთრება, რომელიც დაცვას საჭიროებს და არსებობს ნიშანთა სისტემა, რომლის საშუალებითაც ფიქსირდება და ინახება გარკვეული ინფორმაცია. ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე, ძვ.წ. III ათას-

ნლეულის პირველ ნახევარში, ფორმირების სტადიაში იყო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც მესოპოტამიური სატაძრო ადმინისტრაციული სისტემის მოდელის პრიმიტიულ ასლს წარმოადგენს. მტკვარ-არაქსელ დიდებულებს, კი რომელთაც მეფობის პრეტენზია გააჩნდათ, კრძალავდნენ განსაკუთრებული რიტუალით და იშვიათ შემთხვევაში გამორჩეული ინვენტარით.

მიუხედავად ამისა მტკვარ-არაქსელთა სოფლები ვერ გადაიქცა ქალაქებად, არსად ჩანს მონუმენტური არქიტექტურა, ნიშან-სიმბოლოები ვერ გადაიქცა დამწერლობად და ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო ეს საზოგადოება „ქალაქური ცივილიზაციის“ დონემდე ვერ ამაღლდა.

ძვ.წ. III ათასწლეულის მინურულისათვის სამხრეთ კავკასიაში ჩნდება „მეფეთა“ და დიდებულთა „ბრწყინვალე ყორღანები.“ მათ გამორჩეულ დასაკრძალავებთან, ძველი აღმოსავლეთისათვის ტრადიციული, მაგრამ სამხრეთ კავკასიისათვის მანამდე სრულიად უცნობი გრანდიოზული საპროცესიო-სარიტუალო გზები იგება [ნარიმანიშვილი 2000; Narimanishvili 2004.]. ყორღანებში დიდი რაოდენობითაა ფუფუნების საგნები, ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული ჭურჭელი, სამკაული და იარაღი. კერამიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად შეინიშნება წინარე, მტკვარ-არაქსის კულტურის ტრადიციები. ასევე შესამჩნევია მესოპოტამიური და ირანული გავლენა კერამიკულ და საიუველირო ნაწარმში.

ჩვენი აზრით, „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანებში“ დაკრძალული „მეფეები“ და დიდებულები სამხრეთიდან Urheimat-ში დაბრუნებული მტკვარ-არაქსელთა შთამომავლები არიან. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსელთა ერთი ნაწილი ანატოლიასა და მესოპოტამიაში დარჩა, ხოლო მეორე ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და წინა აზიის კულტურული მიღწევები ძველ ტრადიციებს შეუსაბამა.

### ლიტერატურა

- გობეჯიშვილი გ. 1981:** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.
- თუშიშვილი ნ. 1968:** არდასუბნის ზოგიერთი ადრეული ძეგლი. – ძმ, № 15, 41-45.
- კახაძე კ. 1990:** დოესი. – სიკძა, 5, 155. თბილისი.
- კიკვიძე ი. 1972:** ხიზანანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბილისი.
- კიკვიძე ი. 1976:** მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.
- მახარაძე ზ. 1994:** ციხიაგორის მტკვარ- არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.
- მირცხულავა გ. 1975:** სამშვილდე. თბილისი.
- ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ., მელიქიძე შ. 2004:** წალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში. – საკძ, 123-128.
- ნარიმანიშვილი გ. 2000:** ძვ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში. – ძიებანი, № 5, 47-54.
- ნარიმანიშვილი გ. 2004:** წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 2003 წლის სექტემბერ-ნოემბერში (ხელნაწერი). თბილისი.
- ნარიმანიშვილი გ. 2007:** ავრანლოში 2006 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი). თბილისი.
- ორჯონიკიძე ა. 1983:** სამცხე-ჯავახეთი ადრე ბრინჯაოს ხანაში. თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1963:** ქვემო ქართლის ენეოლითი. თბილისი.
- ფხაკაძე გ. 1993:** დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.
- ფხაკაძე გ. 2002:** ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისა და გავრცელების შესახებ. – ძიებანი, № 9, 29-33.

- ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1975:** ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971). თბილისი.
- ქორიძე დ. 1955:** თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ნაწილი I. თბილისი.
- ლლონტი ლ. 1972:** დანგრეული გორა. – ძმ, № 30, 50-57.
- ღრმახვევისთავის არქეოლოგიური ძეგლები 1980:** ღრმახვევისთავის არქეოლოგიური ძეგლები თბილისი.
- შანშაშვილი ნ. 1999:** ნიშნები და სიმბოლოები მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე. თბილისი.
- ჩუბინიშვილი ტ. 1963:** ამირანის გორა. თბილისი.
- ცქვიტინიძე ზ. 2001:** ქვემო ქართლი ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში. – ჯ. კობალიანი (რედ.), დმანისი, III, 77-128. თბილისი.
- ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. 1962:** ურბნისი, I. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1976:** ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1991:** საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2003:** საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.
- Гельб И.Е. 1982:** Опыт изучения письма. Москва.
- Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974:** Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.
- Джавахишвили А. 1973:** Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси.
- Куфтин Б. 1938:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. Рукопись.
- Куфтин Б. 1940:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. Рукопись.
- Куфтин Б. 1941:** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.
- Куфтин Б. 1947:** К проблеме энеолита Внутренней Картлии и Юго-Осетии. – სსმმ, ტ. XIV, 67-88.
- Куфтин Б. 1948:** *Археологические раскопки 1947года в Цалкинском районе.* Тбилиси.
- Куфтин Б. 1949:** *Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию.* Тбилиси.
- Кушнарёва К., Чубинишвили Т. 1970:** Древние культуры Южного Кавказа. Ленинград.
- Лисицына Г., Прищипенко Л. 1977:** Палеоэтноботанические находки Кавказа и Ближнего Востока. Москва.
- Ллойд С. 1984:** Археология Месопотамии. Москва.
- Лордкипანიძე ო. 1989:** Наследие Древней Грузии. Тбилиси.
- Орджоникидзе А. 1995:** Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. – ПАИ в 1987 году, 80-82. Тбилиси.
- Рамишвили А. 1997:** Раскопки в с. Нацаргора (Хашурский район). – ПАИ в 1988 году, 40-44. Тбилиси.
- Станкевич И. Л. 1978:** Керамика Южной Туркмении и Ирана в бронзовом веке.- Древность и средневековые народы Средней Азии. 17-31. Москва.
- Такашвили Е. 1913:** Археологические экскурсии, разыскания и заметки. – Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, Вып. III. Тифлис.
- Хачатрян Т. С. 1975:** Древняя культура Ширака. Ереван.
- Чубинишвили Т. Небиеридзе Л., Пхакадзе Г. и др. 1976:** Итоги полевой работы Квемо-Картлийской Археологической экспедиции. – ПАИ в 1974 году, 14-20. Тбилиси.
- Abay E. 1997:** Die Keramik der Frühbronzezeit in Anatolien. Münster.
- Badaljan R., Edens Ch., Gorny R., Kohl Ph. 1993:** Preliminary Report on the 1992 Excavations at Horom, Armenia. – Iran, Vol. XXXI, 1-24.
- Badaljan R., Kohl Ph., Stronach D. and Tonikjan A. 1994:** Preliminary Report on the 1993 Excavations at Horom, Armenia. – Iran, Vol. XXXII, 1-29.
- Badalyan R., Smith A.T. 2007:** L'Arménie a l'age du Bronze et à l'age du Fer. – Les Dossiers d'archeologie. № 321, 38-41.
- Burney Ch . 1961:** Excavation at Yanik Tepe, North-West Iran. – Iraq. Vol. XXIII. London.

- Burney Ch. 1980:** Aspects of the excavations in the Altinova, Elazig. – *Anatolian Studies*. Vol. XXX, 157-167.
- Burney Ch. 1993:** Arslantepe as a gateway to the highland: a note on periods VI A-VID. – M. Frangipane, H. Hauptmann, M. Liverani, P. Matthiae, M. Mellink (eds.), *Between the rivers and over the mountains*, 311-312. Roma.
- Conti A. M., Persiani C. 1993:** Cultural Development in Eastern Anatolia in the Early Bronze Age. – M. Frangipane, H. Hauptmann, M. Liverani, P. Matthiae, M. Mellink (eds.), *Between the rivers and over the mountains*, 361-413. Roma.
- Dikaios P. 1932:** Les cultes préhistoriques dans île de Chypre. – *Syria*, № 13, 348-354.
- Esse D.L. 1991:** Subsistence, trade and social change in Early Bronze Age Palestine. Chicago.
- Fortin M. 1999:** Syrie. Terre de civilisation. Quebec.
- Frangipane M. 1997:** A 4<sup>th</sup> millenium temple/palace complex at Arslantepe-Malatya. North-South relations and the formation of early state societies in the northern regions of Greater Mesopotamia. – *Paléorient*, vol.23/1, 45-73.
- Frangipane M. 2003:** Splendore e misteri di una tomba. – *Archeologia Viva*, Anno XXII, № 99, 32-34.
- Frangipane M. 2004:** Arslantepe. Alle origini del potere. Milano.
- Garstang J. 1953:** Prehistoric Mersin – Yümük Tepe in Southern Turkey. Oxford.
- Gimbutas M., Winn S., Shimabuku D. 1986:** Achelleion. A Neolithic settlement in Thessaly, Greece: 6400-5600 B.C. – *Monumenta Archaeologica*, 14, Los Angeles.
- Goff B.L. 1963:** Symbols of Prehistoric Mesopotamia. London.
- Hauptmann H. 1972:** Die Grabungen auf dem Norşun-Tepe, 1970. – *Keban Project 1970*, 103-117. Ankara.
- Historia de España. 1954:** Dirigada por R. Menendez Pidal. Tomo I. Madrid.
- Huot J.-L. 1982:** Les céramiques monochromes lissées en Anatolie à l'époque du Bronze ancien, Vol.II. Paris.
- Kelly-Bucchellati M. 1990:** Trade in metals in third millenium: northeastern Syria and Eastern Anatolia. – *Resurrecting the past. A joint tribute to Adnan Bounni*. 117-131. Istanbul.
- Koşay H. Z. 1976:** Pulur excavations 1968-1970. *Keban Project*. Ankara.
- Marro C. 1997:** La culture du Haut-Euphrate au Bronze Ancien: Essai d'interprétation à partir de la céramique peinte de Kéban (Turquie). Paris.
- Muscarella O. W. 2005:** Jiroft and "Jiroft- Aratta", A Review article of Yousef Madjizadeh, Jiroft: The earliest Oriental Civilization. – *Bulletin of the Asia Institute*, 15, 173-198.
- Narimanishvili G. 2004:** Ritual roads at Trialeti barrows. – *Journal of Georgian Archaeology*, № 1, 120-133. Tbilisi.
- Oates J. 1987:** A Note on Ubaid and Mittanni pottery from Tell Brak. – *Iraq*, vol. XLIX, 193-198.
- Rothman M. S. 2003:** Ripples in the stream: Transcaucasia – Anatolian interaction in the Murat/ Euphrates basin at the beginning of the third millennium BC. – A. Smith and K. Rubinson (eds.), *Archaeology in the borderlands: Investigations in Caucasia and beyond*, 95-110. Los Angeles.
- Schaeffer C.F.A. 1961:** Les fondements pré- et protohistoriques de Syrie du néolithique ancien au bronze ancien. – *Syria*, XXXVIII, 221-242.
- Smith A.T., Badalyan R., Avetisyan P., Zardaryan M. 2004:** Early complex societies in Southern Caucasia: A preliminary report on the 2002 investigations by project ArAGATs on the Tsakahovit plain, Republic of Armenia. – *AJA*, 108, 1-41.
- The State History Museum of Armenia 1991:** Museums of Armenia. St. Peterburg.
- Wegner I. 1981:** Gestalt und Kult der Istar-Sawuska in Kleinasien. – *AOAT*. Neukirchen.



## ტაბულების აღწერა

- ტაბ. I – 1. საქართველოს რუკა თრიალეთის აღნიშვნით; 2. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრისა და ნამოსახლარის ხედი.
- ტაბ. II – 1. №3 თხრილის საერთო ხედი; 2. №3 თხრილი. ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკი, №5 სამარხის კრომლები და სამარხი კამერის ქვაყრილი.
- ტაბ. III – 1. №3 თხრილი. გეგმა და ჭრილები. IV დონე; 2. №3 თხრილი. გეგმა და ჭრილები. V დონე; 3. ადრებრინჯაოს ხანის ორმო. გეგმა და ჭრილი.
- ტაბ. IV – №4 თხრილი. 1. საერთო ხედი; 2. ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკი. მარცხნივ №1 სამარხი; 3. №3 თხრილი. ადრებრინჯაოს ხანის ორმოს ქვაყრილი.
- ტაბ. V – 1. №4 თხრილი, II დონე, გეგმა და ჭრილი; 2. №4 თხრილი, III დონე, გეგმა და ჭრილი; 3. №4 თხრილი. ჭრილები.
- ტაბ. VI – 1, 2. ნამოსახლარი. შემთხვევით მოპოვებული კერამიკა; 3. ნამგლის ჩასართები; 4. ყარყატის გამოსახულება; 5. ტიგელი; 6. სპირალით შემკული ჭურჭელი; 7. №4 თხრილი. დერგის ფრაგმენტი; 8. №4 თხრილი. ქოთანის; 9. №4 თხრილი. ბადია.
- ტაბ. VII – 1-36. ნამოსახლარი. შემთხვევით მოპოვებული კერამიკა და ობსიდიანის ლამელები; 37,38,40,44. №3 თხრილი. სახლის იატაკზე აღმოჩენილი არტეფაქტები; 39, 46. №1 ორმოში აღმოჩენილი მასალა; 41-43, 45-50. №4 თხრილი. შენობის იატაკზე აღმოჩენილი მასალა.
- ტაბ. VIII – 1, 2, 4-6, 10. №4 თხრილში აღმოჩენილი ქვისა და თიხის არტეფაქტები; 3, 7-9, 11. ნამოსახლარზე შემთხვევით მოპოვებული მასალა.
- ტაბ. IX – 1. საფარ-ხარაბა. აკლდამიანი ყორღანის გეგმა და ჭრილები; 2. აკლდამის გეგმა და ჭრილები; 3-4. აკლდამაში აღმოჩენილი ბადია და მძივები; 5. აკლდამა. ჩანახატი.

## SITES OF THE KURA-ARAXES CULTURE IN TRIALETI

Trialeti is situated in the southern part of Georgia, along the Trialeti mountain range, on the north side of the Lesser Caucasus (pl. I, 1). In terms of archaeological research, Trialeti is one of the most significant regions in South Caucasia. There is a concentration of sites of almost all periods both prehistoric and historic, and which contain rich and varied material.

**History of research.** The archaeological investigation of Trialeti began as early as the second half of the 19<sup>th</sup> century. At the beginning of the 20<sup>th</sup> century E. Taqaishvili devoted a monograph to the antiquities of Trialeti (Taqaishvili 1913). Large-scale archaeological excavations carried out in 1936 in connection with the construction of the Tsalka reservoir under the leadership of Prof. B. Kuftin, gave a completely new perspective for a number of issues relating to the ancient past not only of Trialeti but also of South Caucasia (Kuftin 1938; Kuftin 1940; Kuftin 1941; Kuftin 1948).

In Trialeti Kuftin brought to light entirely new archaeological artefacts which, in his opinion, formed a “special ceramic complex, very uniform with clearly distinctive peculiarities. Despite an abundance of shapes, it is accompanied by a very scanty non-ceramic inventory. This is the reason for the unidentified nature of Trialeti “Eneolithic” pottery. “Its importance for the study of the formation of economic and cultural patterns in Georgia and its contiguous countries is enormous” (Kuftin 1941: 106). Kuftin related the Eneolithic pottery excavated in Trialeti to ceramic complexes recovered earlier at South Caucasian sites, on the basis of which he distinguished the culture of the Kura and the Araxes. He calls this period “the most mysterious page of the archaeology of Trialeti” (Kuftin 1941: 106).

The study of the ancient settlements was of the utmost importance, and enabled Kuftin to distinguish two stages in the development of the Kura-Araxes Culture: Eneolithic and Early Bronze Age. He dated the newly found culture to 3000-2200 BC (Kuftin 1947, 67; Kuftin 1949, 75). He conducted excavations at Trialeti at two Kura-Araxes Culture sites, at Beshtasheni and Ozni. He also excavated some Kura-Araxes period burials, at Beshtasheni, Ozni, Tash-Bashi, and Barmaksizi. In 1998-2006, in connection with the building of the BTC pipeline, the Trialeti Archaeological Expedition, directed by G. Narimanishvili investigated the Early Bronze Age settlement of Avranlo.

**Trialeti settlements.** The Avranlo Early Bronze Age settlement was found near the village of Avranlo, in a field to the north of the “Cyclopean” fortress (pl. I, 2), where archaeological survey work in 1998 produced fragments of black- and red-burnished pottery diagnostic of the Kura-Araxes Culture. In 2003 G. Ashkalov, a resident of Avranlo, gave the Trialeti Archaeological Expedition some chance finds made in the area. The material included fragments of handles (pl. VII, 1-10), lids (pl. VII, 28-29, 31-36) rims and walls (pl. VII, 11-16, 30) typical of Kura-Araxes Culture pottery.

In 2006 excavations were conducted in connection with the construction of an irrigation system for the villages in the upper zone of Tsalka. The building of the water-pipe found one part of a settlement that stretches over the field from north to south, from the main road to the “Cyclopean” fortress. It seemed more densely occupied in its southern part near the fortress, from which it was detached by a gorge that divides

the settlement into two parts.

Four trenches were dug across the settlement. Two yielded remains of the Early Bronze Age Kura-Araxes settlement, badly damaged, however, by Late Bronze and Classical period burials (pl. II, 2; pl. III, 1-2). Fragments of Early Bronze Age buildings were recorded in two trenches (pl. IV, 1-2; pl. V, 1-3). Trench No. 2 measures 4.0 x 8.0 m (pl. II, 1). Two burials of the 13<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries BC, part of the floor of an Early Bronze Age building and a household pit of the same period (pl. III, 2; pl. IV, 2) were excavated. Pottery of the Kura-Araxes period appeared in all the sections of the trench.

Chamber tombs of basalt were found 0.2-0.3m below the modern ground level. The bases of the stones were at a depth of 0.45-0.5 m. Fragments of an earthen floor plastered with clay appeared beneath the bases, at a depth of 0.6-0.8 m (pl. III, 1-2). The Early Bronze Age floor was best found in the area of Burial No. 5. The chamber tomb filled the whole trench. The Early Bronze Age level also extends over this area (pl. II, 2), and can also be observed in the north, south and east parts sections of the trench, which suggests that it extends beyond the trench as well. The distance between the lower level of the stones of the chamber tomb and the earthen floor is 0.2-0.25 m.

The walls of the Early Bronze Age house were not recorded in the trench, which makes it impossible to define their architectural form or plan. Fragments of fired adobe with impressions of wood, however, were found lying on the floor. It is a notable fact that no building stone was detected, which suggests that the constructions were built of wood and plastered with adobe.

The area of the clay plastered floor in the zone of one of the burials (Grid 12 of Plot CXCIII, Grid 10 of Plot CXCIV, Grid 3 of Plot CCXXIII and Grid 1 of Plot CCXXIV) is 2.5 x 4 m (pl. III, 1-2). It has a basis of thin yellow clay overlaid with a well-baked clay floor 0.005-0.008 m thick. Pottery and sickle blades were found on the floor (pl. VII, 37-38, 40, 44).

Areas of concentration of Early Bronze Age pottery and separate fragments of floor were found near of another burial in the central part of the trench (Grid 1 of Plot CCXXIV). Both the Early Bronze Age level and the chamber tomb were disturbed. Nevertheless, this remnant of the settlement was similar to the one described above.

In the eastern part of trench No. 3, at the border of Grids 5 and 6, an Early Bronze Age household pit was excavated. A circular stone mound 1.9 m in diameter constructed over the pit appeared at a depth of 0.5 m (pl. IV, 3). The pit itself was 0.8 m in diameter and 0.95 m deep. It was filled with small and medium sized stones (pl. III, 2). Potsherds occurred at various levels (pl. VII, 39, 46).

Remains of Kura-Araxes Culture dwellings of the Early Bronze Age were also recorded in Trench No. 4. It measured 6.0 x 8.0m and was found to contain seven burials and the remains of an Early Bronze Age dwelling (pl. II, 2). One burial of the 4<sup>th</sup> century BC (No. 1) and three burials of the 13<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries BC (Nos 2, 3, 4) were excavated. Every part of the trench contained Early Bronze Age remains. An undisturbed thick layer was recorded only at the south-west corner of the trench, in sections 2, 3 of Grid 5, Plot CXCII (pl. IV, 2). Consisting of ash and carbon 0.3 m thick, it covers an area of 1.8 x 2.4 m (pl. V, 1). Part of a basalt wall abuts this layer, and continues through the unexcavated areas to the south and west. To the north was a Classical period cist burial, which cut through the Early Bronze Age layer. One burial appeared in the south face of the trench, but was left unexcavated. The part of the settlement found in sections 2, 3 of Grid 5, Plot CXCII proved to be the north-east corner of an Early Bronze Age house. The stone wall dressed on one side is a part of the chamber tomb of the Late Bronze Age burial and not the wall of the house since at least a small part of the floor goes under it (pl. V, 2-3). The house has an earth floor plastered with clay on which vessels of different shapes and sizes had stood (pl. VII, 41-43). Particularly important is a fragment of a large pot with a representation of an animal in relief (pl. VII, 45). The pottery is made from well-precipitated clay and its surface is burnished. All of it is reddish, although it should be mentioned that the house displays traces of an intense fire and the colour of the pottery might be the result of secondary burning. There appeared stone mortars and pieces of plaster on the floor. The latter have impressions of wood which points to the fact that this house, like the one excavated

in Trench No. 3 was of *jargvali* type, or a timber house.

Within the settlement and on the floors of the houses there were numerous vessels *in situ*: fragments of large pots (pl. VI, 7, pl. VII, 45, 47), smaller pots (pl. VI, 8; pl. VII, 11, 40), large bowls (pl. VI, 9; pl. VII, 24, 26), smaller bowls (pl. VII, 25, 27), rims and wall fragments (pl. VII, 20-21), hemispherical handles (pl. VII, 1, 5), so called pseudo-handles (pl. VII, 6, 38-39), bases and lids (pl. VII, 28-29, 31-36). There are separate pieces of clay hearths, hearth mountings, a crucible (pl. VI, 5) and discs of various sizes made from potsherds (pl. VII, 17-19). There are numerous flint sickle blades (pl. VI, 3) and obsidian tools and flakes (pl. VII, 22-23, 44).

Beshtasheni settlement is located at 0.5km north-west of the village of Beshtasheni in Tsalka region, at the confluence of the rivers Chil-chil and Bashkov-su. A "Cyclopean" fort is situated here on a triangular cape. There are several cemeteries of different periods around the settlement. A Late Bronze Age cemetery is situated north of the settlement, and another is on the bank of the River Chil-chil. An Achaemenid period cemetery is at the north-east of the fortress, while east and west are taken up by a row of Middle Bronze Age burial mounds (Kuftin 1941, 108).

Archaeological investigation of the Beshtasheni "Cyclopean" fort was begun by B. Kuftin in 1939 and the Trialeti Archaeological Expedition resumed the investigation in 1991-1992 (Narimanishvili 2004). It is a multi-level settlement. Its upper level is Medieval; the layer below is of the Late Bronze Age, while the lowest one belongs to the Kura-Araxes Culture. The thickness of the cultural stratum at some places reached 3.5 m. The Kura-Araxes pottery appeared at a depth of two metres (Kuftin 1941:109). Kuftin divided it into three chronological phases (Kuftin 1941, 115-117). The various archaeological horizons contain many remains of buildings, fragments of clay plastered earthen floors, hearths and stoves. The Early Bronze Age settlement is so badly damaged by strata of later periods that it proved impossible to attempt a plan of the structures.

Kuftin remarks in this connection: "The inner territory of the fort is criss-crossed by remains of stone foundations of interior walls and square constructions that are difficult to discern. Among the Early Achaemenid period burials a circular hearth of 1.65m diameter modeled on a clay plastered earthen floor was found, where there appeared fragments of clay plaster of a prismatic chimney over a thick coating of carbon and ash. Nearby lay stone hand grinders, remains of slag and pottery" (Kuftin 1941, 109). Black-burnished potsherds of the same period with a pink interior and a red slip were found in the cultural levels situated between the early Achaemenid period burials Nos 45 and 46. A little further away there appeared ceramic fragments of a hearth arranged on the clay plastered earthen floor (Kuftin 1941, 113). Numerous stone tools and weapons were found at the settlement: flint arrowheads and sickle blades, a knife, and a hand grinder. There is also a clay statue of an ox. Particularly remarkable are ceramic fragments painted with various geometrical patterns and a vessel ornamented with "pictograms" (Kuftin 1941, 109-111).

Ozni settlement is situated on the southern outskirts of the village of Ozni, at the southern edge of Mount Nadir-Shah. The settlement is crossed by a canal of the river Gunia-Juri. Kuftin conducted excavations here in 1947-48. Archaeological work was carried out in two areas: 1: on the first terrace where remains of a dwelling and a clay plastered earthen floor with fragments of a ritual hearth were found and 2: at the hydro-station building site (Kuftin 1948, 35-42).

In the first area south of the village of Ozni, on the slopes of Mount Nadir-Shah and near the canal, a semi-circular foundation 7.5 m in diameter consisting of thin stone slabs was excavated. According to Kuftin it was the remains of a conical structure built of wood, stone and brick. Similar buildings are known from the Kura-Araxes Culture, at Shengavit. Circular buildings are common to Eneolithic Mesopotamia and the eastern Mediterranean, which led Kuftin to the conclusion that the community of the Kura-Araxes Culture belonged to the upper Mesopotamian and eastern Mediterranean cultural group (Kuftin 1948, 27-29).

Outside the round building there stood a circular hearth with a projection and further away there was a clay plastered earthen floor over which there appeared a horseshoe shaped "andiron" and a bowl decorated with "pictograms" together with fragments of various potsherd (Kuftin 1948, 26-48, pl. XXIX-XXXVI). The architecture of the Ozni settlement is relatively better preserved than that of Beshtasheni.

The second area excavated at the Ozni settlement near the hydro-station consisted of two levels. This area yielded fragments of pottery, a copper four-faceted awl and a miniature knife (Kuftin 1948, pl. XXXVII-XLI). Apart from these, flat clay slabs of a hearth with a round hole forming a disc 0.98 m in diameter were found here. Kuftin called it a "sacrificial table" (Kuftin 1948, pl. XLII). This area also yielded a red-painted four-faceted incense burner (Zhorzhikashvili, Gogadze 1974, pl. 39-63).

**Cemeteries.** Kuftin also excavated Early Bronze Age burials in Trialeti. Burials investigated near Barmaksizi (Tsalka), Tash-Bashi, Beshtasheni and Ozni in 1936-1940 and 1947-1948 consist of small cists. The grave goods are rather scanty: mainly pottery, copper bracelets, stone and vitreous paste beads.

A kurgan overlaid with a stone mound and containing Kura-Araxes Culture pottery was found during building work in the BTC pipeline ROW (KP-117+550) in 2003. The basalt stone mound of the kurgan was badly damaged by the contractor, but it was established that its diameter was 10-12 m. The interior was entirely filled with a stone mound in the centre of which a tomb chamber of basalt slabs lying north-south was recorded. All four walls of the chamber are built with specially selected flat basalt slabs that fit together so well that there are no spaces between them. It is remarkable that the separate slabs as well as the walls are so firmly joined together (pl. IX, 1-2).

The burial chamber is horseshoe-shaped in plan. Its north wall forms a right angle with the side walls, while the corners of the south wall are clearly rounded (pl. IX, 2, 5). We should note that the south wall lacks one lower row of masonry. The foundations of the other three walls are deeply cut into the burial floor. To the south a step 0.1m high was left and a stone wall built upon it. Each wall consists of eight rows of masonry. Thus, this small structure possesses both architectural form and clearly expressed aesthetic qualities.

There was a single burial: of a male of 50-60, lying on his left side in a crouched position, the head to the south, with a large ceramic bowl in front of the face (pl. IX, 3). The latter is of brownish fabric with a grey-black exterior. A groove runs between rim and shoulder, and there are two projections oval in section on the shoulder. In the central part of the west wall two vitreous paste beads lay on the floor (pl. IX, 4).

At 0.1-0.15 m south of the burial chamber a black stain 1.55 x 0.8 m was observed. It proved on cleaning to be a pit 0.1m deep (pl. IX, 2). The edges and orientation of the base of this ritual pit indicate that its original depth was at least 0.3-0.4 m. The floor yielded three small untreated stone fragments and a tool made from the rib of a bovine which disintegrated on lifting. The pit must be related to the burial ritual. A pile of ceramic fragments and obsidian flakes recorded at 1.4 m south of the pit must also be connected this ritual.

The bowl found in the Sapar-Kharaba kurgan is typical of the Kura-Araxes Culture. Similar bowls have been found at Samshvilde in Burials No. 2 (Mirtskhulava 1975, pl. X, 9), No. 5 ( Mirtskhulava 1975, pl. XIII, 17-18) and No. 14 (Mirtskhulava 1975, pl. XXII, 8-9), No. 18 ((Mirtskhulava 1975, pl. XXVI, 9), No.19 (Mirtskhulava 1975, pl. XXVII, 6, 11), No. 20 (Mirtskhulava 1975, pl. XXVIII, 4-5), No. 23 (Mirtskhulava 1975, pl. XXIX, 6-7), No. 31 (Mirtskhulava 1975, pl. XXXIV, 5-6, 9,14), No. 36 (Mirtskhulava 1975, pl. XXXVIII, 2, 4), No. 38 (Mirtskhulava 1975, pl. XXXIX, 4-5); in Kiketi Burials No. 6 (Pkhakadze 1963, fig. 3, 12), No. 8 (Pkhakadze 1963, fig. 5, 26), No. 9 (Pkhakadze 1963, fig. 6, 27, 30, 32), No. 12 (Pkhakadze 1963, fig. 7, 52), No. 14 (Pkhakadze 1963, fig. 10, 73); in Didube (Koridze 1955, pl. III, 17); at Dangreuli Gora (Results 1975, fig. 566, 8); at Qaitmazi (Results 1975, fig. 5526), at Kurgan No. 3 in Marneuli (Results 1975, pl. XXXIII, 2), in Gomareti (Tskvitinidze 2001, pl. XVI). It would appear that handle-less bowls and with two parallel projections are mainly diagnostic of Kvemo Kartli and are common from the second half of the 4<sup>th</sup> millennium BC to the second half of the 3<sup>rd</sup> millennium BC.

The majority of stone tomb chambers are found in South Georgia, at Kiketi (Pkhakadze 1963, 71-72, fig. 4), Koda (Chubinishvili, Nebieridze, Pkhakadze 1976, 19), Ardasubani (Tushishvili 1968), Tamarisi (Pkhakadze 1963, 73, pl. XV), Amiranis Gora in Akhaltsikhe (Chubinishvili 1963, 36, fig. 10, pl. IV), Gomareti (Tskvitinidze 2001, 103-14), and Ghrmakhevistavi (Ghrmakhevistavi 1980, 17) and in Armenia, at Gegharot (Badalyan, Smith 2007, 38-40), and Horom (Badalyan, Edens, Gorny, Kohl 1993, 4). There was a view that tomb chambers built of stone were only common in southern regions and that they did not extend to the north of Kvemo

Kartli. However, a tomb chamber with a stone mound was found in the village of Doesi in Shida Kartli, which was built with stone slabs (SIKZA 1990: 155).

All the tomb chambers are built of flat stone slabs and are oriented south to north, with the entrance at the south. The north wall is curved. Some burials are collective (Ghrmakhevistavi, Koda, Burial No. 16 at Amiranis Gora, Kiketi, Tamarisi, Gomareti, Gegharot, Horom) and some are individual (Burial No. 36 at Amiranis Gora, Burial No. 7 in Kiketi, Doesi). Part of the tomb chamber might be covered with a stone mound (Gomareti, Ghrmakhevistavi, Doesi). The average size of the burials is between 2.5 x 1.5 m and 3 x 1.8 m. Some are covered with large slabs (Burials Nos 16, 36 at Amiranis Gora, Ghrmakhevistavi, Gomareti, Koda), and some have arched roofs (Tamarisi, Burials Nos 7, 12 in Kiketi). The tomb chambers can be entered from the south, sometimes entrances are closed off with stone blocks (as at Gomareti); in one case steps could be seen (at Tamarisi); some entrances are open (Kiketi), while in other cases vertically fitted stone slabs are found (Burials Nos 16, 36 at Amiranis Gora). Some burials are paved with stone tiles (Koda).

Similar burials excavated in South Caucasia are dated to the second half of the 4<sup>th</sup> millennium BC. According to the results of C<sup>14</sup> analysis, the Horom tomb chamber dates to 3350-3050 BC and 3371-3136 BC (Badalyan, Kohl, Stronach, Tonikyan 1994, 14; Badalyan, Edens, Gorny, Kohl 1993, 3), while the Gegharot tomb chamber dates to 3100-2700 BC (AA 52898) (Smith, Badalyan, Avetisyan, Zardaryan 2004, 20). In the light of these dates we conclude that the Sapar-Kharaba stone tomb chamber should be dated to the end of the 4<sup>th</sup> millennium BC.

**Pottery.** The Trialeti Early Bronze Age sites produced numerous ceramic vessels of different sizes, shape and function. The settlements yielded large pots (at Beshatasheni, Ozni, and Avranlo), large and small pots with and without handles, jars, bowls, and lids (at Beshtasheni, Ozni, and Avranlo), a three-handled vessel with a tall neck (at Ozni), footed bowls (at Ozni), a double vessel (at Beshtasheni), a four-faceted incense burner painted red (at Ozni).

Kuftin divided the pottery from the Beshatasheni settlement into three chronological groups according to horizons. The pottery found in the earliest, lower, horizon is characterized by their size and the superficial treatment of the exterior. This group is represented by large pots with broad bases (Kuftin 1941, 115, fig. 122). The second group is characterized by high technical and artistic qualities. Pottery of the second group is represented by wide-rimmed bowls with an offset and delicate rim; also by broad pots with high necks, whose bodies narrow dramatically towards the base, which is sometimes deliberately concave. Handles are as a rule hemi-spherical. The ornament is also distinctive: beside the thin incised decoration a new method is introduced: small grooved and convex relief ornaments (Kuftin 1941, 116). The third chronological group consists of pottery fragments found in the same area of the fort, in its upper layers. Kuftin brought together fragments of black burnished pottery with sophisticated engraved ornament and painted ceramics (Kuftin 1941, 117).

The Trialeti Early Bronze Age sites rarely produce any pottery that cannot be attributable to the Kura-Araxes Culture. The footed bowl ornamented with a "pictogram" from Ozni can be regarded as one of these exceptions. Pottery of this type is completely alien to South Caucasia, although it is found in Iran, in a Kura-Araxes stratum at Ianik-tepe (Burney 1961, pl. LXXIV, 51). Similar bowls have also been excavated at other Early Bronze Age sites in Iran (Stankevich 1978, fig. 11,17,19), which are attributable to the Elam cultural group.

The double vessel found at Beshtasheni, is another exception. It consists of two very small (6.7 cm high) black burnished drinking vessels joined to each other at the sides and having a hemispherical handle in common (Kuftin 1941, pl. CXXIV; Zhorzhikashvili, Gogadze 1974, 46, pl. 34-211). The vessel appeared in the lower level III. An analogous drinking vessel appeared in West Georgia, in level 8 at the Pichori settlement (Pkhakadze 2002, 29), Kurgan No. 5 at Bedeni (Gobejishvili 1981, 75, 87) and at early Bronze Age sites in north Caucasia (Pkhakadze 2002, 29). Different variants of the similar vessel (three or four conjoined vessels) have been recorded mainly on the Mediterranean coastline from Palestine to the Pyrenees (Bet-Ierah [Esse 1991, pl. 9-A], and at Vounu, Cyprus [Dikaios 1932, pl. LXXIII-3], Mersin, Tarsus, Karatash [Garstang 1953, 2; Huot

1982, fig. 64], Byblos, the Balkans [Pkhajadze 2002, 30], and El-Algar in Spain [Menendez Pidal 1954, fig. 480]), although separate specimens have been recorded in Iran as well (at Suza, Sialk, and Hissar I [Pkhakadze 2002, 30]). This type of vessel clearly only had a ritual function.

The pottery recovered at the Avranlo settlement is fired red or black with a burnished exterior. There are also fragments of painted vessels (pl. VII, 43). The ceramic material is largely represented by bowls and pots. Among the fragments from the Avranlo settlement only a large bowl and a smaller pot could be restored. The large bowl has a red exterior, interior and fabric. The surface shows signs of a slip. It has a rounded rim, a cylindrical neck, a ribbed body, and a handle modelled to the rim and side (pl. VI, 9; pl. VII, 49). It was recovered at a depth of 0.52m in Grid 5-2,3 of Plot CXCII. The smaller pot has a red-burnished exterior, and a red interior and fabric. It has a round lip, an offset rim, a tall cylindrical neck, a rounded body, and a flat base; it has a knob attached at the point where neck joins the body. A trace of red slip can be seen on the surface (pl. VI, 8; pl. VII, 50).

Fragments of a large pot fired red should be mentioned. The fabric contains fine admixtures. The interior is yellowish. The exterior is cracked and traces of slip can be observed here and there. It has a round rim and a tall cylindrical neck. There is a groove at the junction of neck and shoulder with a hole 1.5 cm in diameter. The shoulder is decorated with an ornament in high relief (pl. VI, 7; pl. VII, 45).

The red-burnished large bowl can be dated to the first quarter of the 3<sup>rd</sup> millennium BC. Similar large bowls have been found at Khizanaant Gora (Kikvidze 1972, pl. XX, 1, XXI, 1, 6-7) and in levels C1 and B1 at Kvatskhelebi (Javakhishvili, Glonti 1962, 119-120, pl. IV, 368, 375), also at Sachkhere and in Kurgan No. 2 at Nacherkezevi (Pkhakadze 1993, pl. XVIII, XVI, 2), and in Burial No. 196 at Natsargora (Ramishvili 1997, fig. 36, 2). It is close to the bowls excavated in Ozni (Zhorzhikashvili, Gogadze 1974, pl. 27, 109) and in Pit No. 17 at Tsikhiagora (Makharadze 1994, pl. XLIX, 2-3).

შვერილები, რომლებიც ამოღარული ხაზებითაა შევსებული (ტაბ III<sub>1</sub>); 5) ტოლჩის ყელგვერდის ფრაგმენტი, შავპრიალა, მოყვითალო-მორუხო სარჩულიანი. ჭურჭელს გადაშლილი პირი ჰქონდა. მხარზე ცერა თითის ანაბეჭდის ზომის ფოსო ემჩნევა, ფოსოს ქვემოთ ამოღარული ხაზები შეიმჩნევა (ტაბ III<sub>8</sub>); 6) ტოლჩების პირისა და ყელის ფრაგმენტები (3 სასმისი). შავპრიალა, მოყავისფრო-მორუხო სარჩულიანი, სამივე პირგადაშლილია. ყელი თითქმის ცილინდრულია; ორ მათგანს ყური ყელსა და მხარზე ჰქონდათ მიძერნილი (ტაბ. III<sub>2,5,7</sub>).

დასაკრძალავი კამერის (ტაბ. II<sub>4,5</sub>) იატაკი მოტკეპნილი იყო. ცენტრში, თიხნარზე, დანახშირებული წნულის (ლასტის) ანაბეჭდები იყო შემორჩენილი. სამარხის ძირიდან 1,4 მ-ის სიმაღლეზე, კედლების გასწვრივ, 0,6 მ-ის სიგანე თიხის ბაქანი იყო გამართული, რომლის დასავლეთ მხარეს ბრინჯაოს ფოთლისებრი დანა აღმოჩნდა. იატაკის N და S მხარეს, კლდოვან დედაქანში გაჭრილი იყო ორი თხრილი (2,5×0,5×0,6 მ). თხრილებში ხის ურმის თითო ბორბალი და ღერძის ნაწილი იყო ჩანყოფილი. მის გასწვრივ, თხრილებსა და იატაკზე თიხის რამდენიმე ჭურჭელი – დერგები და ტოლჩები ელაგა. მიცვალებული სამარხში არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ კამერის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტების ერთი ნაწილი ჩაშვებული სამარხის ჭურჭელს ეკუთვნოდა, ხოლო ზედა ფენებში კი სამარხის იატაკზე აღმოჩენილი ჭურჭლების ფრაგმენტებსაც ვხვდებით, რაც, შესაძლოა, სამარხის გაძარცვაზე მეტყველებს.

დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა: 1) ურმის ფრაგმენტები, ხე დანახშირებულია, გადასულია მინაში. მოხერხდა ბორბლებისა და ღერძის დაფიქსირება და ლაბორატორიული დამუშავება. ლაბორატორიული სამუშაო შეასრულა ნინო კალანდაძემ, რეკონსტრუქცია - ნინო ოქრუაშვილმა (იხ. ტაბ II<sub>3</sub>); 2) წნულის დანახშირებული ფრაგმენტები; 3) დანა, ბრინჯაოსი, პატინირებული, დაზიანებული, ფოთლისებური ფორმის (ტაბ. III<sub>14</sub>); 4) ტოლჩა, შავპრიალა, მოყავისფრო სარჩულიანი, პირი მკვეთრად გადაშლილია, ტანი – ბიკონუსური, ყური მხარზეა დაძერნილი. მხარი შემკულია ე.წ. მარგალიტებისაგან შედგენილი ორი სარტყლით, რომელთა შორის რელიეფური ზოლია მოქცეული. მუცელზე ოდნავ შესამჩნევი ნიბო აქვს. ძირი ბრტყელია (ტაბ. III<sub>12</sub>); 5) დერგი, მოვარდისფრო-მოყავისფრო, პირგადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელ დაბალი, მუცელი სფერულია, ძირი მომრგვალებული (ტაბ IV<sub>2</sub>); 6) დერგი, მოშავო მორუხო, ორყურა; ბაკო მომრგვალებულია, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული. ორი ოთხკუთხა განივკვეთიანი ყური მხარზეა დაძერნილი. ძირი ბრტყელია. ყურის თავების ორივე მხრიდან გამოდის მორკალური რელიეფური ზოლი, რომელთა შორის ასევე რელიეფურადაა გამოსახული დაკლაკნილი თითო გველი. ცალ მხარეს, გველის თავიდან ჭურჭლის ყურებამდე ორი რელიეფური კოპია (ტაბ. IV<sub>1</sub>); 7) დერგი, მორუხო-მოშავო, ორყურა; პირი გადაშლილია, ბაკო მომრგვალებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ვიწრო. ყურები მხარსა და მუცელზეა დაძერნილი (ტაბ. IV<sub>3</sub>); 8) ქოთანი, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი, ცალყურა. პირი გადაშლილია, ბაკო მომრგვალებული, ყელი გამოყოფილია ამოღარული ხაზით. ტანი ოდნავ გამობერილია, ძირისაკენ ბიკონუსური, კალთა მოკლე და მკვეთრად შეწეულია, ძირი ბრტყელი. ყური ტანზეა დაძერნილი. ყელის ქვემოთ და ნიბოს ზემოთ ჭურჭელს გასდევს ჰორიზონტული, ამოღარული ხაზების რამდენიმე რიგი. ვერტიკალურ ხაზებს შორის ამოკანრული ხაზებითაა გადმოცემული ბადისებური ორნამენტით შევსებული რომბები (ტაბ. III<sub>9</sub>); 9) ქოთანი, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი, პირი გადაშლილია, ყელი თითქმის ცილინდრული – ქვემოთკენ გაფართოებული, მუცელი სფერული, ძირი – ვიწრო და ბრტყელი. ყური მხარსა და მუცელზეა დაძერნილი. მხარი გოფირებულია – ემჩნევა ექვსი ამოღარული ხაზი (ტაბ. III<sub>10</sub>); 10) ტოლჩა, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი; პირი გადაშლილია, ყელი – ცილინდრული, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყური ყელსა და მუცელზეა მიძერნილი, მხარი გოფირებულია – ამოღარული ხაზები ჭურჭელს ყელსა და მუცელზე გასდევს, ყურთან კი შვეულად ეშვება ძირისაკენ (ტაბ. III<sub>14</sub>); 11) ქოთანი, შავპრიალა, ნაწილობრივ აღდგენილი, პირი გადაშლილია, მუცელი სფერული, მხარზე დაუყვება ორი, ამოღარული, განივი ზოლი, რომლის ქვემოთაც შეინიშნება ამოღარული, დამრეცი ხაზები. ყური მხარზეა მიძერნილი (ტაბ. III<sub>11</sub>); 12) დერგი, მოშავო-მორუხო, ორყურა, პირი გადაშლილია, ყელი ცილინდრული, ოდნავ შეზ-

ნეკილი, მუცელი სფერულია, ძირი ვინრო. ზეანეული ყურები მხარზეა დაძერწილი. მხარზე 6 რელიეფური კოპია (ტაბ. IV<sub>4</sub>).

№№ 1, 2 და 4 ყორღანებში აღმოჩნდა სხვადასხვა მასალისა და დანიშნულების ნივთი, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ კერამიკულ ნაწარმს. სამივე სამარხში მოპოვებული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა შავად გამომწვარი და ნაპრიალებია, თუმცა გამოირჩევა მცირე ზომის ჭურჭლის ერთი ჯგუფი — ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი, ნატიფი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ტოლჩები და ქოთნები — რომელიც №№ 1 და 4 ყორღანებში აღმოჩნდა.

ტოლჩებში გამოიყოფა: 1) მაღალცილინდრულყელიანი, სფეროსებურმუცლიანი (ტაბ. I<sub>2</sub> – ყორღანი № 1; ტაბ. III<sub>13</sub> – ყორღანი № 4, ძირითადი სამარხი); 2) დაბალყელიანი, სფეროსებურმუცლიანი (ტაბ. III<sub>3</sub>, ყორღანი № 4, ჩაშვებული სამარხი); 3) ბიკონუსური ტოლჩა, რომლის ტანის მაქსიმალური დიამეტრი მის სიმაღლეზე მეტია (ტაბ. III<sub>12</sub>, ყორღანი № 4, ძირითადი სამარხი); 4) ბიკონუსურტანიანი გრძელმხრიანი, მოკლეკალთიანი (ტაბ. I<sub>4</sub>, ყორღანი № 1). ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ჭურჭელი მხოლოდ ბედენურ კომპლექსებში გვხვდება [გობეჯიშვილი 1981: 62-68; Дедабришвили 1979: 44-47].

ქოთნები ტოლჩებზე მოზრდილია და ფორმით მათი მსგავსია: 1) № 4 ყორღანის ჩაშვებულ სამარხში აღმოჩენილ უყურო ქოთანს დაბალი, ცილინდრული ყელი და სფეროსებური ტანი აქვს (ტაბ. III<sub>1</sub>); 2) № 4 ყორღანის ძირითად სამარხში ცალყურა, ოდნავ გამობერილ მუცლიანი, მოკლეკალთიანი და ბრტყელძირიანი, ორნამენტირებული ქოთანია (ტაბ. III<sub>9</sub>); 3) №№ 1 და 4 ყორღანებში ცილინდრულყელიანი, სფეროსებურტანიანი, ცალყურა ქოთნებია (ტაბ. I<sub>2</sub>; III<sub>10</sub>).

ცალკე დგას № 2 ყორღანის, ბედენურ ჭურჭელთან შედარებით უხეშად დამუშავებული, ბიკონუსურტანიანი, ცალყურა ქოთანი (ტაბ. I<sub>7</sub>), რომელიც ბედენურ კომპლექსებში ნაკლებად ჩანს გავრცელებული და უფრო მარტყოფილი კომპლექსებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

№ 2 ყორღანში მიკვლეული ორი ბიკონუსური ფორმის დერგი მარტყოფილი ყორღანებისათვისაა დამახასიათებელი (ტაბ. I<sub>6,8</sub>). მართალია, ერთი მათგანის ფორმის ზუსტი აღდგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ მეორის ანალოგები მარტყოფის № 2 [ჯაფარიძე 1998: 15-16] და თრიალეთის XII [Жоржикашвили, Гогодзе 1974: 55] ყორღანებიდანაა ცნობილი. ამგვარად, ტყემლარას № 2 ყორღანის მასალა მარტყოფილია.

ტყემლარას ველზე მოპოვებული დანარჩენი დერგები № 4 ყორღანის ძირითადი სამარხიდან მომდინარეობს. მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ძირმომრგვალებული დერგი (ტაბ. IV<sub>2</sub>) ინტერესს იწვევს იმით, რომ განსხვავდება ბედენური ყორღანების შავპრიალა ნაწარმისაგან და შედარებით იშვიათად გვხვდება ამ კულტურული წრის ყორღანებში. ჩვენთვის მისი ზუსტი ანალოგი ცნობილია ბედენის № 10 ყორღანიდან [გობეჯიშვილი 1981: 105, სურ. 41]. მარტყოფის № 5 ყორღანში მიკვლეულია ამავე ფორმის, ნითლად გამომწვარი დერგი, რომელიც აღწერილი ეგ ზემპლარისაგან ტანზე შემორჩენილი მოხატულობის კვალით განსხვავდება [ჯაფარიძე 1998: 45].

სამი დერგი შავად გამომწვარი და შავად ნაპრიალებია, ორყურაა და ცილინდრული ყელი აქვს (ტაბ. IV<sub>1,3,4</sub>). ასეთი ფორმის დერგები ბედენური კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი (მაგ. იხ. წნორის № 1 ყორღანი) [Дедабришвили 1979: табл. XXII]. ერთი დერგის ყურის თავების ორივე მხრიდან გამოდის მორკალური რელიეფური ზოლი, რომელთა შორის ასევე რელიეფულადაა გამოსახული თითო, დაკლაკნილი გველი: ჭურჭლის ერთ მხარეს - გველის თავისა და ყურების გასწვრივ ორი რელიეფური კოპია დატანილი (ტაბ. IV<sub>1</sub>), მეორე დერგზე კი ყურებს შორის, მხარზე 6 კოპია დაძერწილი (ტაბ. IV<sub>4</sub>).

№ 1 და № 4 ყორღანებში აღმოჩნდა ქვიშაქვის ლახტისთავი, ამავე მასალის გახვრეტილი ცული, ბრინჯაოს სატევრისპირი და ბრინჯაოსვე მცირე ზომის დანა, აქვე აღსანიშნავია ობსიდიანის ფუძემოლარული ისრისპირი, რომელიც № 4 ყორღანის ყრილში იქნა ნაპოვნი.

ტყემლარას № 4 ყორღანის ჩაშვებულ სამარხში აღმოჩენილი მსხლისებური, ცილინდრულ-ნახვრეტიანი ლახტისთავი ინსიგნია უნდა იყოს. მსგავსი ლახტისთავები მიკვლეულია ადრეულ

ყორღანებში: თრიალეთის XL (ფარავნის № 3) ყორღანსა და საპიტიახშოში (შემთხვევითი აღმოჩენა) [Жоржикашвили, Гогадзе 1974: 13, 59-60]. ასეთივე ნივთებია მოპოვებული მარტყოფის № 5 (ბედენური), ზილიჩის № 2, ანაგის №1, აგრეთვე სტეფანაკერტის ყორღანებში [ჯაფარიძე 1998: 115].

ქვის გახვრეტილი ცულები საქართველოში საკმაოდ იშვიათია. ტყემლარას № 4 ყორღანის ჩაშვებულ სამარხში მოპოვებული ცულის ყველაზე ახლო პარალელი მარტყოფის № 1 ყორღანის (უადრესი ყორღანია) ყრილში, კამერის თავზე აღმოჩენილი ასეთივე იარაღია [ჯაფარიძე 1998: 14]. მსგავსი ცულები ჩრდილოეთ კავკასიიდანაცაა ცნობილი [Мунчаев 1961: 76 ], თუმცა ისინი მაინც განსხვავდებიან ზემოთ აღწერილი ნივთისაგან – მათი სატარე ხვრელი უფრო ზემოთ, ყუასთან ახლოსაა.

ტყემლარას №4 ყორღანის ჩაშვებულ სამარხში მოპოვებული ბრინჯაოს სატევრისპირი ყველაზე მეტად ბაკურციხის ეტლიან, ბედენურ ყორღანში აღმოჩენილი იარაღის მსგავსია [Пицхелаური 1982: 18]. დაქანებული მხრები და ვინრო პირი მას მკვეთრად განასხვავებს სხვა ადრეულ ყორღანებში მოპოვებული სატევრებისაგან. ასეთივე ნივთია მოპოვებული ჯერ გამოუქვეყნებელ, სოფ. ხანდაკის მახლობლად, კენჭიყარას ყორღანშიაც (ზ. შატბერაშვილის გათხრები).

ბედენური კულტურის ყორღანებისათვის უმნიშვნელოვანესი, დამახასიათებელი და სხვა ადრეული ყორღანებისაგან განმასხვავებელი ნიშანია ხის ეტლის სამარხში ჩატანება. ტყემლარას № 4 ყორღანის ძირითად სამარხში აღმოჩენილია ეტლის ღერძისა და ორი ბორბლის ფრაგმენტები, ხე დანახშირებულია, გადასულია მიწაში და მისი ფორმის აღდგენა საკმაოდ რთულია. როგორც ჩანს, თავიდანვე, ოთხთვალა ეტლის სწორედ ეს ნაწილი იყო ჩატანებული. ბედენურ ყორღანებში გვხვდება როგორც მთლიანი ეტლები (მაგ. ბედენის №№ 5, 8, 10 ყორღანები) [გობეჯიშვილი 1981: 42, 39, 99], ასევე მათი ნაწილები (მაგ. წნორის №№ 1 და 2 ყორღანები) [Дедабришвили 1979: 22, 40]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პალინოლოგიური კვლევის შედეგად, ტყემლარას № 4 ყორღანში მიკვლეულ ურმის ბორბალზე აღმოჩნდა მრავალძარღვას მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა, რაც, მკვლევარის აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ ურემი ფუნქციონირებდა [ყვავაძე 2003: 6]. გამოთქმულია აზრი, რომ, როგორც ბედენური, ისე თრიალეთური ეტლები ყოფაში არ გამოიყენებოდა და საკულტო დანიშნულებისა იყო – მათ სამარხებში ათავსებდნენ [ჯაფარიძე 1981: 99]. სავარაუდოა, რომ ეტლები სწორედ ბედენური ყორღანებისათვის იყო დამახასიათებელი და თრიალეთურ კულტურაში ინერციით გადავიდა, ისიც მხოლოდ მის ადრეულ მონაკვეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კუფტინის შესწავლილი XXIX ყორღანიც, რომელიც თრიალეთურად მიიჩნეოდა [Жоржикашвили, Гогадзе 1974: 22, 101-102], ბედენურ ყორღანებს მიეკუთვნება.

ადრეყოღანული კულტურის არეალი საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს ქვემო ქართლს, შიდა ქართლსა და კახეთს. იგი გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ამ კულტურის ბედენურ და მარტყოფულ ჯგუფებს აერთიანებს რეგიონისათვის სრულიად ახალი მოვლენა – მიცვალებულების ყორღანებში დაკრძალვა. თუმცა, დაკრძალვის წესში არის ერთი არსებითი განსხვავება: ბედენურ ყორღანებში გვხვდება ეტლი ან საკაცე, რაც სრულიად უცხოა მარტყოფულისათვის. განსხვავებულია კერამიკაც – მარტყოფული ყორღანებისათვის დამახასიათებელია მსხლისებური ფორმისა და ბიკონუსურტანიანი, ორყურა, შავზედაპირიანი დერგები, აგრეთვე შავი ფერის მოზრდილი, ცალყურა ტოლჩები, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენენ მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან [მირცხულავა და სხვ. 1992: 126]. ბედენური კერამიკა ნატიფია, მას ახასიათებს კეცის სითხელე და სიმკვრივე, ზედაპირის თითქმის მეტალისებური ბზინვარება (მაგალითისათვის იხ. № 4 ყორღანის მასალა).

საკამათო საკითხია ბედენური და მარტყოფული კულტურების ქრონოლოგიური ურთიერთობა. ზოგიერთი მკვლევარი მარტყოფულს ბედენურზე უფრო ადრეულად თვლის, სხვების აზრით, ბედენური უფრო ადრეულია. არსებობს მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსული კულტურის ფინალური ეტაპის სინქრონულად არსებობს მარტყოფული და ბედენური ძეგლებიც (ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა იხ. [ორჯონიკიძე 2002: 23]). საკითხს ნათელი ვერც შიდა ქართლში შესწავლილმა იმ ძეგლებმა მოჰფინა, სადაც მტკვარ-არაქსული, მარტყოფული და ბედენურ-

რი მასალა გამოვლინდა. საინტერესოა დმანისის № 1 ყორღანი, რომლის ინვენტარი მსგავსებას ავლენს როგორც ბედენურ, ისე მარტყოფულ ნაწარმთან [Кахиანი и др. 1991: 66]. საყურადღებოა ხოვლეს ყორღანი [ჯაფარიძე 1998 :148-150], სადაც ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში, ერთმანეთის თავზე, ორი ჩაშვებული სამარხი იყო გამართული, ძირითადი სამარხი კი უინვენტარო იყო. ქვედა, № 2 სამარხში მიკვლეული კერამიკა ბედენური იყო, ზედა, № 1 სამარხში აღმოჩენილი მასალა კი უფრო მარტყოფულ იერს ატარებს, ვიდრე მტკვარ-არაქსულს [შდრ. ჯაფარიძე 1998: 148-150].

ამგვარად, ტყემლარას ველზე შესწავლილი, ინვენტარიანი ყორღანები №№ 1, 2, 4 ადრეული ყორღანების რიცხვს მიეკუთვნება: № 2 ყორღანის კერამიკა მარტყოფულია, №№ 1 და 4 კი ბედენური კომპლექსია, რომელთა შორის ქრონოლოგიური სხვაობის დადგენა ჭირს. სამივე მათგანი ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით თარიღდება.

2003 წლის ივლისში, ტყემლარას ველზე არქეოლოგიური კვლევა განახლდა. გათხრები, ამჯერად, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარდა. შესწავლილ იქნა ოთხი სამარხი, აქედან ორი ყორღანი (№№ 8 და 9) და ორიც (№№ 10 და 11) ორმოსამარხი.

სამარხი № 10 (2003 წლის № 1) წარმოადგენდა მოყვითალო ფერის თიხნარ ნიადაგში გაჭრილ, ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს, რომლის ქვანრე დარღვეული იყო (ზომები: 1,10×1,20×0,40მ). მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები დაშლილი იყო. იგი მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხში, ჩრდილო კედელთან ცხვარი ჩაუტანებიათ (ტაბ. V<sub>1</sub>).

სამარხში აღმოჩნდა: 1) ქოთანის, მოყავისფრო მოშავო, კეცი მოშავო-მონაცრისფრო, ქვიშანარევი. ყელი — დაბალია, ცილინდრული, მუცელი — სფერული, ძირისკენ თანაბრად დაქანებული, ძირი — ბრტყელი (ტაბ. V<sub>3</sub>); 2) ქოთანის, მოყავისფრო-მონაცრისფრო. კეცი მოყავისფროა, ქვიშანარევი. პირი გადაშლილი ჰქონდა, ყელი — დაბალი, გამოყოფილი, მუცელი — სფერული, ძირი ბრტყელი (ტაბ. V<sub>4</sub>); 3) თიხის ჭურჭლის (ქილის) ფრაგმენტები; 4) კოჭობი, ხელით ნაძერწი, კეცი მოყავისფროა, პირს ქვემოთ კოპი ემჩნევა (ტაბ V<sub>5</sub>); 5) საკინძი ბრინჯაოსი, პირამიდისებურ-თავიანი, ნაკლული; 6) დანა, ობსიდიანის; 7) იოტები, თეთრი ფერის.

სამარხი № 11 (2003 წლის № 2) ქვაყრილიანი ორმოსამარხია (ზომები: 180×120×50 სმ). მის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი, ჩრდილო-დასავლეთით კი ძროხის ჩონჩხი (ნეკნები და თავის ქალა). დასავლეთ ნაწილში იდო თიხის დაშლილი სამი ჭურჭელი. ძროხის ჩონჩხზე იდო ბრინჯაოს ყუნწიანი სატევრისპირი. სამარხის თიხატკეპნილ იატაკზე აღმოჩნდა კერამიკის ნატეხები (ტაბ. V<sub>2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა: 1) სატევარი, ბრინჯაოსი, პატინირებული, ყუნწიანი, თავთან სამანჭვლე ხვრელი აქვს (ტაბ. V<sub>8</sub>); 2) ქოთანის, მოშავოდ გამომწვარი, ნაკლული. კეცი მოყავისფრო-მოშავოა, სილანარევი. პირი გადაშლილია, ბაკო-მომრგვალებული, ყელი — გამოყოფილი, ცილინდრული, მუცელი — სფერული, ძირისკენ თანაბრად შევიწროებული. ძირი — ბრტყელი. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე შემოუყვება ამოღარული ზოლი. მხარზე, ნვერით მუცლისკენ მიმართული, სავარცხლისებრი შტამპით შევსებული ამოღარული სამკუთხედიებია გამოსახული (ტაბ. V<sub>7</sub>); 3) ქოთანის, მოყავისფრო-მოშავო, კეცი მოყავისფროა, სილანარევი. პირი გადაშლილი ჰქონია, ბაკო — გამოყოფილი, ტანი — ვიწრო, მუცელი ოდნავ გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყური ყელსა და მხარზე უნდა ჰქონოდა მიძერწილი (ტაბ. V<sub>6</sub>); 4) თიხის ჭურჭლის ნატეხები, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, კეცი გადანატეხში მონითალო-მოყავისფროა და სილანარევი. დაშლილია. ზემოაღწერილი ჭურჭლის ანალოგიური უნდა ყოფილიყო; 5) მსგავსი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა სამარხი ორმოს იატაკზე, აგრეთვე ყრილში (შესაძლოა ორი-სამი ჭურჭლის ნაწილები იყოს).

გათხრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ № 11 სამარხი გაძარცვული უნდა ყოფილიყო.

ყორლანი № 8 (2003 წლის № 13) ქვამინაყრილიანი, ორმოიანი. დაზიანებულია მიწის სამუშაოების შედეგად, შემორჩა მხოლოდ ქვატეხილისგან შედგენილი ყრილის ნაწილი (3×2,8 მ) და კამერის ნაშთი (1,2×0,75×0,25 მ). კამერა კლდეში ჩაუჭრიათ, მას ოვალისებური მოყვანილობა ჰქონია. იატაკზე შემორჩა 14-16 წლის გოგონას თავის ქალას ნაწილი, რამდენიმე თიხის ჭურჭლის ნატეხი, მონითალო სარდიონის გამჭოლნახვრეტიანი მძივი. ყორლანი გაძარცვულია.

ყორლანი № 9 (16) ქვამინაყრილიანი და ორმოიანი. დაზიანებულია მიწის სამუშაოების დროს. შემორჩენილი იყო მხოლოდ მომრგვალებული ფორმის დედაქანში გაჭრილი კამერა (1,9×1,65×0,74 მ). მიცვალებული დაუკრძალავთ კამერის ცენტრალურ ნაწილში (ოდნავ აღმოსავლეთისკენ), მარცხენა გვერდზე, მის წინ ცხვრის მთლიანი ჩონჩხი დაფიქსირდა (ტაბ. VI<sub>1</sub>).

ყორლანში აღმოჩნდა: 1) სატევარი ბრინჯაოსი, პატინირებული. ყუნწი ფართო აქვს, ბრტყელი, თავთან ამოღარული, მხრებისკენ გაფართოებული. ტარის დასამაგრებლად სამი თანაბარი მანძილით დაცილებული ნახვრეტი ჰქონდა. წვერისკენ შევიწროვებულია. ქედი ოდნავ შემადლებულია (ტაბ. VI<sub>2</sub>); 2) ქოთანი, მოშავოდ გამომწვარი, პირნაკლული, კეცი გადანატეხში ორფენიანი, სილანარევი, მორუხო-მოშავო და ნაცრისფერი. ყელი — ცილინდრულია, მხრისგან გამოყოფილი, მუცელი — სფერული, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი — ბრტყელი. მხარზე წვერით მუცლისკენ მიმართული ამოღარული წერტილოვანი ხაზებით შევსებული 12 სამკუთხედიან გამოსახული (ტაბ. VI<sub>4</sub>); 3) ქოთანი, მოშავოდ გამომწვარი, პირნაკლული. კეცი გადანატეხში ორფენიანი, შიდაპირი ვარდისფერსარჩულიანია. ყელი ცილინდრულია — ძირისკენ გაფართოებული. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ამოღარული ზოლი შემოსდევს; მუცელი სფერულია, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი — ბრტყელი. მხარზე წვერით მუცლისკენ მიმართული, ამოღარული წერტილოვანი ხაზებით შევსებული 14 სამკუთხედიან დატანილი (ტაბ. VI<sub>2</sub>); 4) ბადია, მოშავო-მოყავისფრო, კეცი გადანატეხში სამფენიანია — სილანარევი, პირმოყრილია, ბაკო გამოყოფილია, მხარი — გამოზერილი, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი — ბრტყელი (ტაბ. VI<sub>3</sub>); 5) სასმისი (კოჭობი), მოყავისფრო, ხელით ნაძერწი, პირმრგვალია, ვიწრო, ძირისკენ გაფართოებული, ძირი ბრტყელია (ტაბ. VI<sub>7</sub>); 6) კოჭობი, მოყავისფრო მოშავო, კეცი გადანატეხში აგურისფერია, სილანარევი, პირი მრგვალია, გადაშლილი, ყელი — დაბალი, გამოყოფილი, მუცელი სფერული, ძირი — ბრტყელი (ტაბ. VI<sub>6</sub>); 7) ქოთანი, მოყავისფრო-მოშავო, დაშლილი, კეცი გადანატეხში მოყავისფროა, სილანარევი, კირქვის ჩანართებიანი, პირი გადაშლილი ჰქონდა, ბაკო — დაბრტყელებული, ყელი დაბალი, გამოყოფილი, მხარი — ამოღარული წერტილოვანი ხაზებით შედგენილი ორნამენტით იყო შემკული; 8) ქოთანი, მოყავისფრო-მოშავო, კეცი გადანატეხში მოყავისფროა, პირი გადაშლილი ჰქონდა, ბაკო — დაბრტყელებული, ყელი დაბალი და გამოყოფილი, ძირი — ბრტყელი; 9) ხუფი, ბაზალტის, სახელურიანი, ჯამისებური მოყვანილობისაა, ზედაპირი დაბრტყელებული აქვს, სახელური ამოღარულ ქუსლს ნააგავს. შესაძლოა სადგარი ან სასრესი იყოს (ტაბ. VI<sub>8</sub>); 10) სასაფეთქლე (?) ბრინჯაოსი, პატინირებული, ბოლოებგახსნილი, განივკვეთში მრგვალი, დაზიანებული, სამად გატეხილია, ბოლოები შევიწროვებული აქვს, რკალის d — 3 სმ.; 11) სასაფეთქლე ხვია ბრინჯაოსი (4 ც). წარმოადგენს ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებულ ერთნახევარ რგოლს, ბოლოები გახსნილი და ერთმანეთზე გადასული აქვს, d — 1 სმ (ტაბ. VI<sub>10</sub>); 12) საკინძი ბრინჯაოსი, შემორჩენილია ორი ნატეხი; 13) მძივები, ბრინჯაოსი და სარდიონის, ყელსაბამი უნდა იყოს. შედგება ბრინჯაოს ბორბლისებური მძივებისაგან, რომელთა შორის გარკვეული ინტერვალით ჩართულია მონითალო სარდიონის 4 მძივი. ყელსაბამის სიგრძე — 16 სმ; ბრინჯაოს მძივის d — 0,3-0,4 სმ; სარდიონის მძივის d — 0,4 სმ. (ტაბ. VI<sub>9</sub>); 14) მძივები პასტისა, თეთრი ფერის, ბორბლისებური და სფერული; (ტაბ. VI<sub>11</sub>);

ტყემლარას ყორლანების ველზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ სამარხებში დადასტურებული ინვენტარი (შევრონებით შემკული ქოთნები, ბრინჯაოს სატევრები და სხვა) დამახასიათებელია შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის სამარხებისათვის [კალანდაძე 1980: სურ. 18-19; სადრადე 1990: 657—660; რამიშვილი 2004: 117, სურ. 746] და ზოგადად ძვ.წ. II ათას-



ნლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია, რომ ეს მასალა უფრო მეტად შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებთან ავლენს მსგავსებას.

ტყემლარას ველზე გათხრილ №№ 5 და 6, უინვენტარო ყორღანებს შორის გაიწმინდა 24 მ-ის სიგრძისა და 3 მ-ის სიგანე, მიწის ზედაპირიდან ოდნავ ამობურცული, ქვით მოკირწყლული "ბილიკი". აღსანიშნავია, რომ მისი ზედაპირი მოფენილი იყო ობსიდიანის იარაღ-ანატკეცებით. ვინრო ბილიკი ნადარბაზევის მახლობლად არსებულ № 2 და № 4 ყორღანებსაც აკავშირებს, ასეთივე სურათი ჩანს საპიტიახშოს, კუმჩისა და ზურტაკერტის ყორღანებთანაც [გობეჯიშვილი 1981 :8]. ტყემლარას, ნადარბაზევისა და სხვა ყორღანებს შორის არსებულ ბილიკების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი მიხვეულ- მოხვეულია, რითაც მკვეთრად განსხვავდებიან თრიალეთში, ნალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე არსებული სარიტუალო დანიშნულების გზებისაგან. ტყემლარასა და სხვა ადგილებზე აღმოჩენილი ბილიკები ყორღანებს ერთმანეთთან აკავშირებდა, გზები კი კონკრეტული სამარხი ნაგებობისათვის იყო განკუთვნილი და მათკენ სწორ ხაზზე გადაჭიმული, დრომოსისაკენ მიემართებოდა [ნარიშვილი 2003: 9-11].

შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით დათარიღებულ № 8 ყორღანთან 2003 წელს გაითხარა ბილიკის მონაკვეთი. სამწუხაროდ, ამ ყორღანის ყრილი ძლიერ დაზიანებული იყო, ამიტომ, ბილიკისა და ყორღანის ურთიერთკავშირი (ან პირიქით, მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა) ვერ დადგინდა. ამგვარად, სარიტუალო გზებისაგან განსხვავებით, დღეისათვის ამ "ბილიკების" დანიშნულება და თარიღი გაურკვეველია.

## ლიტერატურა

**გობეჯიშვილი გ. 1981:** ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

**გოგაძე ე. 1972:** თრიალეთის ყორღანული კულტურის ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.

**კალანდაძე ა. 1980:** სამთავრო. წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძიებანი (= ა. აფაქიძე (რედ.) მცხეთა IV). თბილისი.

**მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ა., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო.** ადრებრინჯაოს ხანა. – ო. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, II, 70-215. თბილისი.

**ნარიშვილი გ. 2003:** სარიტუალო გზები თრიალეთის ყორღანებთან. – ძიებანი, № 2, გვ. 9-23.

**ორჯონიკიძე ა. 2002:** მტკვარ-არაქსული ტრადიციები ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში. – ძიებანი, № 9, 23-28.

**რამიშვილი ა. 2004:** ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები ნაღვლში. თბილისი.

**სადრაძე ვ. 1990:** სამთავროს სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია. – სმამ, 138, №3, 657-660.

**ყვავაძე ე. 2003:** ტყემლარას გორასამარხის 2002 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გახსნილი შრეების ნალექთა პალინოლოგიური და პალეოეთნობოტანიკური შესწავლის შედეგები. ხელნაწერი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში. თბილისი.

**შატბერაშვილი ზ. 2003:** თეთრინყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები 2002 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ხელნაწერი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში. თბილისი.

**შატბერაშვილი ზ., ამირანაშვილი ჯ., გოგოჭური გ., მინდორაშვილი დ., გრიგოლია გ., ნიკოლაიშვილი ვ. 2005:** თეთრინყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები 2003-2004 წლებში. ხელნაწერი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში. თბილისი.

- ჯაფარიძე ოთ.** 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის ნარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.
- ჯაფარიძე ოთ.** 1998: ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.
- Дедабришвили Ш.** 1979: Курганы Алазанской Долины (Труды Кахетинской археологической экспедиции, II). Тбилиси.
- Кахиани К., Глигвашвили Э., Каландадзе Г., Цквитинидзе З.** 1991: О работе экспедиции Машаверского ущелья в 1987 г. – ПАИ в 1987 г., 62-69.
- Мунчаев Р. М.** 1961: Древнейшие культуры Северного Кавказа. Москва.
- Пицхелаური К. Н.** 1982: Исследования Кахетинской археологической экспедиции. – ПАИ в 1980 г., 17-20.
- Жоржикашвили Л., Гогадзе Э.** 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средней Бронзы. Тбилиси.
- Шатберашвили З.** 1997: Результаты работ Марабда-Ахалкалакской экспедиции. – ПАИ в 1988 г., 63-65.

### ტაბულების აღწერა

- ტაბ. I – 1-5. № 1 ყორღანის ინვენტარი; 6-9. № 2 ყორღანის ინვენტარი.
- ტაბ. II – 1, 2. ყორღანი № 4, გეგმა და ჭრილი; 3. ჩაშვებული სამარხის გეგმა; 4. ძირითადი სამარხის გეგმა; 5. ძირითადი სამარხის ჭრილი.
- ტაბ. III – 1-8. № 4 ყორღანის ჩაშვებული სამარხის მასალა; 9-14. № 4 ყორღანის ძირითადი სამარხის მასალა.
- ტაბ. IV – 1-4. დერგები № 4 ყორღანის ძირითადი სამარხიდან.
- ტაბ. V – 1. სამარხი № 10, ჭრილი და გეგმა; 2. სამარხი № 11, ჭრილი და გეგმა; 3-5. № 10 სამარხის ინვენტარი; 6-8. № 11 სამარხის ინვენტარი.
- ტაბ. VI – 1. ყორღანი № 9, ჭრილი და გეგმა; 2-11. № 9 ყორღანის ინვენტარი.

## **BRONZE AGE BURIALS AT TQEMLARA**

The Tqemlara kurgan field is situated in Tetrtsqaro district, Kvemo Kartli, on the south-western side of Mount Bedeni, south of the river Chivchavi. It slopes north-west to south-east. There is a small Medieval church east of the plain, and the Medieval settlement of Tqemlara lies to the north-east and is bordered by a railway. Currently its greater part is situated in the area of the No. 2 oil pumping station of the BTC pipeline.

In 1987-1988 the Marabda-Akhalkalaki Expedition of the Centre for Archaeological Research directed by Z. Shatberashvili investigated two kurgans of the Early Bronze Age in this area (Shatberashvili 1997: 63-65). During construction of the BTC pipeline in 2002-2003 on land projected for the oil pumping station, excavations were carried out on the Tqemlara field by the Tetrtsqaro Expedition of the Centre for Archaeological Research directed by Z. Shatberashvili. Their object was to investigate several Bronze Age burials which had hitherto escaped notice because their low height meant they were hardly visible from the north-west, having succumbed to land slips on that side. The kurgans stood in clusters and some were connected to each other by low stone paths. In 2002 five kurgans and a connecting path between them were excavated (Shatberashvili 2003) and in 2003, two kurgans and two pit graves overlaid by stone mounds (Shatberashvili et al. 2005). The burials were labeled with separate field numbers each season. In the present article we decided to simplify matters and to give them a fresh enumeration. Nos 1 and 2 are the kurgans excavated in 1987-1988; Kurgans Nos 1, 2, 3, 4, 5 excavated in 2002 are now 3, 4, 5, 6, 7 (Nos 5, 6, and 7 were small and empty). The burials investigated in 2003 were Kurgans Nos 13 (it was badly damaged and, presumably, robbed) and 16, but now Nos 8 and 9; pit graves Nos 1 and 2 are now Nos 10 and 11.

Kurgans on Tqemlara field had been built at two different periods, in the Early Bronze Age and at the end of the Middle Bronze Age.

Before describing the burials investigated during pipeline construction, we will briefly discuss Kurgans Nos 1 and 2 excavated in 1987-1988. Both had stone mounds built over them and were not very large; their greatest diameter was 15 m; the pits were oval (No. 1: 3.5 x 3.8 m 1.5 m deep; No. 2: 3.8 x 3.6 m). The stone mound over Kurgan No. 1 had been almost completely removed. In the filling of both kurgans obsidian flakes were found.

Kurgan No. 1 contained: 1. A handled pot, black-burnished, thin-walled, brownish-grey fabric, cylindrical neck, spherical body (pl. I, 2); 2. A handled mug, black-burnished, brownish-grey fabric, cylindrical neck, spherical body, three lateral grooves at junction of neck and shoulder (pl. I, 4); 3. A handled mug, black-burnished, grey fabric; bi-conical body (pl. I, 3); 4. A mug, black-burnished, brownish-grey fabric, fragment of neck surviving (pl. I, 5); 5. A mace head, sandstone, pear-shaped (pl. I, 1).

Kurgan No. 2 contained: 1. A large two-handled pot, black burnished, reddish interior, bi-conical body; the shoulder decorated with hatched triangles and herring-bone ornament (pl. I, 6); 2. A large pot, fired grey, bi-conical body, two lateral grooves on the shoulder (pl. I, 8); 3. A pot, grey fabric, bi-conical body, handle modelled on the shoulder; two zigzag lines between two grooves on the shoulder (pl. I, 7); 4. A small handleless pot, pink, broad body (pl. I, 9).

Kurgan No. 3 (No. 1 of 2002) is circular and overlaid with a stone and earth mound; diameter 22.5 m, 1.4 m. A stone circle (diameter 3.3m) is visible in the northern part. The stone mound produced the following: 233 obsidian flakes (8 retouched), 3 obsidian chips, 4 scrapers, 5 nuclei; 13 lamellae, a perforator, a side scraper, 7 burins, 8 chisel-like tools, a blade-like tool, 51 knives, and a knife flake. In the central part of the kurgan, at a depth of 1.4 m, there appeared in a black earth layer three fragments of burnished pottery with an obsidian admixture fired brown and black. There was no burial chamber found in the kurgan, and it must have lacked a pit.

Kurgan No. 4 (No. 2 of 2002) is circular and overlaid with a stone and earth mound; diameter 23m, greatest extant height of the mound 1.23 m (pl. II, 1, 2). It must have been built after Kurgan No. 3 (the eastern part overlies the latter). The stone mound was 0.3-0.4 m deep towards the edges, and 0.6-0.8 m in the centre (pl. II, 1, 2). A fragment of Medieval pottery was found in the humus layer of the kurgan. At a depth of 0.4-1.2 m beneath ground level, there emerged from the humus and the mound the following obsidian tools: 142 flakes, 19 chips, 21 nuclei, 24 lamellae, 24 retouched flakes, 7 chisel-like tools, 3 fishhook-like tools, 14 knives, 11 side-scrapers, 2 perforators, 2 burins, 13 scrapers, 1 arrowhead with an engraved base. An oval burial chamber (4.2 x 3.2 m, height 1.75m) cut in loam in the centre of the kurgan was, presumably, once roofed with timber covered with a course of stone and plastered with clay.

On top of the chamber, in its north-west part, there appeared a raised burial (estimated size, 1.5 x 1.2 m) (pl. II, 3). The deceased was buried lying on the left side with the head to the west. The head and part of upper extremities rested on yellow loam, while the lower extremities lay on the stone mound. The upper part of the skeleton was situated 0.3 m below the level of the mouth of the chamber, and the lower 0.5-0.6m below, and was angled towards the east. The bones were badly preserved.

In the raised burial there were: 1. A bronze dagger with a hoop, slanting shoulders and a slightly prominent ridge (pl. III, 4); 2. A sandstone axe, well worked, flattened butt, oval edge, sharp (pl. III, 6); 3. A ceramic mug, fired black, thin-walled, brownish interior, offset rim, almost cylindrical neck slightly broadened towards the spherical body, belly dramatically narrowed towards the flat base. The handle must have been modelled on the shoulder and body; a hole opposite the handle. A groove at the junction of the neck and shoulder (pl. III, 3); 4. A pot, fired black, polished exterior, brown interior and thin-walled. Offset rim, neck almost cylindrical broadening towards the spherical body. Shoulder and neck separated by a band dots between horizontal grooves. Hatched leaf-like projections and made up of small dots run down from the band towards the body (pl. III, 1); 5. A fragment of the neck and wall of a mug with an offset rim, black-burnished, with a yellowish-grey fabric. A thumb-print sized depression on the shoulder; grooves beneath (pl. III, 8). 6. Fragments of mugs with offset rims (from three vessels). Black-burnished, brownish-grey fabric. Neck almost cylindrical; two with handles between neck and shoulder (pl. III, 2, 5, 7).

The floor of the burial chamber (pl. II, 4, 5) was plastered with clay. In the centre, impressions of carbonized textile have survived. At 1.4 m above the bottom of the burial, a 0.6m wide platform was arranged along the walls, on the west side of which was found a leaf-like bronze knife. To the north and south of the floor two trenches were cut in bedrock (2.5 x 0.5 x 0.6 m). There was the wheel and part of the axle of a wooden cart in each trench. Along the platform were several clay vessels, and large pots and mugs lay on the ditch and the floor. There were no traces of the deceased: it is perhaps significant that a part of the fragments of the pottery discovered on the chamber floor belonged to the inventory of the raised burial, while upper levels contained fragments of vessels discovered on the floor of the burial, likely pointers to the grave having been robbed.

The burial chamber included: 1. Fragments of a cart, the wood carbonized and turned to dust. The wheels and the axle were recorded, treated in the laboratory by Nino Kalandadze, and reconstructed by Nino Okruashvili (pl. II, 5). 2. Carbonized textile fragments. 3. A patinated leaf-shaped bronze knife, somewhat damaged (pl. III, 14); 4. A black-burnished mug of a brownish fabric; offset rim, bi-conical body, handle modelled on the shoulder; shoulder decorated with two bands of applied clay "pearls", a relief line between

them; a ridge on the body; flat base (pl. III, 12); 5. A large pot, pinkish-brown; offset, rounded rim, low neck, spherical body, rounded base (pl. IV, 2); 6. A large two-handled pot, blackish-grey, rounded rim, cylindrical neck, spherical body; handles square in section on shoulder; flat base; arched relief lines on either side of the handles with relief representations of coiled snakes between them. On one side, two knobs in relief from the snake heads to the handles (pl. IV, 1); 7. A large pot, greyish-black, with two handles, rounded offset rim, cylindrical neck, spherical body, narrow base; handles modelled on shoulder and body (pl. IV<sub>3</sub>); 8. A black-burnished one-handled pot, brown fabric; rounded offset rim, groove at neck; slightly convex body, bi-conical towards base, sharply recessed wall, flat base; handle modelled on the body; below the neck and above the ridge several rows of grooves running around the vessel; incised rhomboid motifs filled with net-like ornament (pl. III, 9); 9. A black-burnished pot, brown fabric, offset rim, almost cylindrical neck broadening towards the base, spherical body, narrow and flat base; handle modelled on shoulder and body; side ribbed, six grooves (pl. III, 10); 10. A black-burnished mug, brown fabric, offset rim, cylindrical neck, spherical body, flat base; handle modelled on neck and body; ribbed wall, grooves running around the neck and the body (pl. III, 14); 11. A black-burnished pot, offset rim, spherical body, two grooved lines on shoulder, beneath which are oblique hatchings; handle modelled on the shoulder (pl. III, 11); 12. A large two-handled pot, blackish-grey, with offset rim, cylindrical neck; slightly concave, spherical body, narrow base; high handles attached to the shoulder; six knobs in relief on the shoulder (pl. IV, 4).

Kurgans Nos 1, 2 and 4 produced objects of different materials and function. Most of the pottery from all three burials is fired black and is black-burnished, although a group of small vessels can be distinguished: mugs and pots diagnostic of the Bedeni Culture, refined, smooth and shiny, found in Kurgans Nos 1 and 4.

The mugs vary: 1. Mugs with a tall cylindrical neck and spherical body (pl. I, 2, Kurgan No. 1; pl. III, 13; Kurgan No. 4, main burial); 2. Mug with a low neck and spherical body (pl. III, 3, Kurgan No. 4, raised burial); 3. Bi-conical mug whose greatest diameter exceeds its height (pl. III, 12, Kurgan No. 4, main burial); 4. Mug with bi-conical body, long shoulder, short wall (pl. I, 4, Kurgan No. 1). All the above listed vessels are exclusively typical of Bedeni complexes (Gobejishvili 1981: 62:68; Dedabrishvili 1979: 44-47).

Pots are larger than mugs but are similar in shape: 1. The pot discovered in the raised burial of Kurgan No. 4 has a low, cylindrical neck and a spherical body (pl. III, 1); 2. an ornamented pot from the main burial of Kurgan No. 4 has a single handle, a slightly convex body, short wall and flat base (pl. III, 9); 3. Kurgans Nos 1 and 4 contained single-handled pots with cylindrical neck and spherical body (pl. I, 2; III, 10).

A single-handled pot with a bi-conical body, coarser than Bedeni ware, stands apart (pl. I, 7), and is of a kind less common in Bedeni complexes and is probably more typical of those of Martqopi type.

Two large bi-conical pots from in Kurgan No. 2 are diagnostic of Martqopi kurgans (pl. I, 6, 8). It was not possible to restore the shape of one of them, but parallels for the other are known from Kurgan No. 2 at Martqopi (Japaridze 1998: 15-16) and Kurgan 12 at Trialeti (Zhorzhikashvili, Gogadze 1974:55). The contents of Kurgan No. 2 at Tqemlara are thus Martqopian in character.

The other pots from Tqemlara come from Kurgan No. 4. The large pot which is fired pinkish-brown (pl. IV, 2) is interesting as it differs from the black-burnished production of Bedeni kurgans and is relatively rare in this cultural group of kurgans. We know of an exact parallel from Kurgan No. 10 at Bedeni (Gobejishvili 1979: pl. XXII), where again there are snakes in relief (pl. IV, 1; cf. pl. IV, 4).

Kurgans Nos 1 and 4 contained a sandstone mace-head, a perforated axe of the same material, a bronze dagger blade and a small bronze knife, and Kurgan No. 4 also had obsidian arrowhead with and engraved base. The pear-shaped mace head with a round hole for the handle found in the raised burial of Kurgan No. 4 must be a badge of office. Similar mace heads have been found in early kurgans: in Trialeti Kurgan 40 (Paravani No. 3) and in Sapitiakhsho (chance find) (Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 13, 59-60). Similar objects come from Martqopi Kurgan No. 5 (Bedeni type), Zalichi Kurgan No. 2, Anagi No. 1, and in kurgans at Stepanakert (Japaridze 1998: 115). Perforated stone axes are a rarity in Georgia. The closest parallel to the specimen found in the raised burial is one from Kurgan No. 1 at Martqopi (the earliest kurgan), just above

the chamber (Japaridze 1998:14). Similar axes are also known from North Caucasia (Munchaev 1961: 76), although they differ from ours in that their handle is higher up, closer to the butt. The bronze dagger blade from Kurgan No. 4 is closest to the weapon found in the Bedeni-type kurgan containing a cart at Bakurtsikhe (Pitskhelauri 1982: 18). The slanting shoulders and narrow head are the features that distinguish them from daggers found in early kurgans. A similar object was found in the Kenchikara kurgan near the village of Khandaki, as yet unpublished (Z. Shatberashvili's excavations).

The most important characteristic feature of the Bedeni Culture kurgans, and one that distinguishes them from other early kurgans, is the practice of depositing a wooden cart in a burial. In the principal burial of Kurgan No. 4 at Tqemplara fragments of a cart axle and wheels were recovered; the wood is carbonized and turned into dust, and thus it is difficult to restore its shape. It seems that what we have is part of a four-wheeled cart that was originally deposited in the tomb. Bedeni kurgans display both whole carts (e.g. Bedeni Kurgans Nos 5, 8, 10) (Gobejishvili 1981:42, 39, 99) and parts of carts (e.g. Tsnori Kurgans Nos 1 and 2) (Dedabrishvili 1979: 22, 40). It is noteworthy that palynological research showed that there was a large amount of plantain pollen on the wheel of the cart in Kurgan No. 4 at Tqemplara which points to the fact that the cart had been used in real life (Kvavadze 2003:6). The view has been expressed that the Bedeni and Trialeti carts only had a religious function, to be placed in burials (Japaridze 1981:99). The carts were presumably peculiar to Bedeni kurgans and the practice of depositing such vehicles was adopted by practitioners of the Trialeti Culture by inertia at an early stage. It should be noted Trialeti Kurgan No. 29, investigated by B. Kuftin, which used to be attributed to the Trialeti Culture (Zhorzhikashvili, Gogadze 1974: 22, 101-102), is in fact a Bedeni kurgan.

The area of Early Kurgan Culture in Georgia covers Kvemo Kartli, Shida Kartli and Kakheti. In general it is widespread over North-West Caucasia, Azerbaijan and Armenia. The feature that brings together the Bedeni and the Martqopi groups of this Culture is an entirely new phenomenon for this region, namely, burial in the deceased in kurgans. There is, however, one significant difference in burial practice. Bedeni kurgans contain carts or stretchers, unknown in kurgans of Martqopi type. The pottery is also different: Martqopi kurgans contain large black two-handled pear-shaped pots with a bi-conical body, and also large, one-handled mugs that display a certain affinity with the pottery of the Kura-Araxes Culture (Japaridze 1992: 126). Bedeni pottery is refined, characterized by a thin, strong fabric, and an almost metallic lustre on the exterior (cf. material from Kurgan No. 4).

Chronological correlation between the Bedeni and Martqopi Cultures is a controversial matter. Some scholars regard Martqopi to be earlier than Bedeni, while others believe Bedeni is earlier. There is an opinion that the sites of Martqopi and Bedeni were contemporary with the final stage of the Kura-Araxes Culture (for bibliography, see Orjonikidze 2002: 23). Even sites which produced Kura-Araxes, Martqopi and Bedeni material did not seem to elucidate the problem. Dmanisi Kurgan No. 1 is relevant, in that the grave goods are close both to those of Bedeni and Martqopi (Kakhiani et al. 1991: 66). The Khovle kurgan is also interesting (Japaridze 1998: 148-150), where in the central part of the stone mound there were two raised burials arranged one on top of the other, and the principal burial had no grave goods. The pottery recovered in the lower burial No. 2 belonged to Bedeni Culture, while the upper Burial No. 1 has more of a Martqopi profile than Kura-Araxes characteristics (cf. Japaridze 1998:148-150).

Thus, the Kurgans Nos 1, 2, 4 with grave goods investigated in the Tqemplara valley belong to early kurgans: pottery of Kurgan No. 2 is of Martqopi type while Nos 1 and 4 are Bedeni-type complexes and it is difficult to estimate what the chronological difference between them might have been. All three date from the mid-3<sup>rd</sup> millennium BC.

Excavations were resumed at Tqemplara in 2003, when the north-east part was investigated. Four burials were studied: two kurgans (Nos 8 and 9) and two pit graves (Nos 10 and 11).

Burial No. 10 (2003, No. 1) was a rectangular pit grave (1.1 x 1.2 x 0.4 m) with rounded corners cut into yellowish loam, whose stone circle had been disturbed. The skeletal remains were badly preserved but it

was possible to see that the deceased lay on the left side with the head to the north-east. There was a sheep placed in the burial at the north end (pl. V, 1). The burial contained: 1. A dark pot, of blackish-grey fabric, with a sand admixture; the neck is low, cylindrical, and the spherical body diminishes in diameter towards the flat base (pl. V, 3); 2. A dark pot, of a brownish fabric with a sand admixture; offset rim, low neck, separate spherical body, flat base (pl. V, 4); 3. Fragments of a ceramic vessel (jar); 4. A small hand-made pot, of brownish fabric, a knob on the surface (pl. V, 3); 5. A bronze pin with a pyramidal head, incomplete; 6. An obsidian knife; 7. Small white beads.

Burial No. 11 (No. 2 of 2003) is a pit grave with a stone mound (size: 1.80 x 1.20 x 0.50 m). A complete sheep's skeleton was found in the south-east corner and the ribs and skull of a bovine in the north-west. There were three broken ceramic vessels in the west. A bronze dagger blade with a hook lay above the cow's skeleton. Pottery fragments were revealed on the clay plastered floor (pl. V, 2). The burial produced: 1. A bronze dagger with a hook and a suspension hole in the handle (pl. V, 8); 2. A pot fired black, incomplete, brownish-black fabric with sand admixture; offset, rounded rim, cylindrical neck, spherical body diminishing in diameter towards the flat base; a groove at the junction of the neck and shoulder; on the shoulder incised inverted triangles (pl. V, 7); 3. A dark pot, blackish-grey fabric, with sand admixture; offset separate rim, narrow body, slightly convex wall, flat base; handle must have been modelled on neck and shoulder (pl. V, 6); 4. Fragments of dark pottery, reddish-brown fabric with sand admixture; similar to the last mentioned; 5. Similar potsherds found on the floor of the pit grave and also in the fill (probably from two or three vessels). Judging by the evidence it would appear that Burial No. 11 had been robbed.

Kurgan No. 8 (2003/No. 13) had a pit and an earth and stone mound. It was damaged during construction work and only a part of the fill stone (3 x 2.8 m) and remains of an oval rock-cut chamber (1.2 x 0.75 x 0.25 m) were preserved; part of the cranium of a 14-16 year-old girl, fragments of a few ceramic vessels and a pierced sardonyx bead were found on the floor. The kurgan had been robbed.

Kurgan No. 9 (16) had a pit and an earth and stone mound. It was damaged during construction work; a round chamber cut in bedrock (1.9 x 1.65 x 0.74 m); the deceased was buried in the central part of the chamber (slightly eastwards), lying on the left; the complete skeleton of a sheep in front of the deceased (pl. VI, 1). The kurgan contained: 1. A bronze dagger; wide hoop, flat, engraved at the tip, broadening towards shoulders; three holes equidistant holes for attaching handle (pl. VI, 5); 2. Dark pot, rim missing; greyish-black; cylindrical neck, spherical body, flat base; triangles on shoulder (pl. VI, 4); 3. Dark pot, rim missing; pinkish fabric; cylindrical neck; groove at junction of neck and shoulder; spherical body; flat base; inverted triangles on the shoulder (pl. VI, 2); 4. A large dark bowl, fabric has a sand admixture; incurved, separated rim, convex shoulder, flat base (pl. VI, 3); 5. A brown hand-made drinking vessel, flat base (pl. VI, 7); 6. A small dark pot, reddish fabric with a sand admixture, round, offset rim, low neck, spherical body, flat base (pl. VI, 6); 7. A dark pot, brownish fabric with sand admixture and limestone insertions, offset flattened rim, low neck, shoulder ornamented with engraved dotted lines; 8. A dark pot, brownish fabric, offset, flattened rim, low neck, flat base; 9. A basalt lid with handle, bowl-shaped, flattened top, handle in form of a foot; perhaps a pestle (pl. VI, 8); 10. Temple pendant (?), bronze, ends open, round in section, damaged, broken into three parts, ends narrowed, diameter 3 cm; 11. Four bronze wire temple spirals; diameter 1 cm (pl. VI, 10); 12. Bronze pin in two fragments; 13. Bronze and sardonyx beads from a necklace 16 cm long; bronze bead 0.3-0.4 cm diameter; sardonyx bead 0.4 cm (pl. VI, 9); 14. White paste, circular and spherical beads, (pl. VI, 11).

The finds from the burials in the north-east part of the Tqemlara kurgan valley (pots decorated with chevrons, bronze daggers, etc.) are diagnostic of burials of the final stage of the Middle Bronze Age (Kalandadze 1980: fig. 18-19; Sadradze 1990: 657-660; Ramishvili 2004: 117, fig. 746) and must generally be dated to the middle of the 2<sup>nd</sup> millennium BC. It is noteworthy that this material is close to that from contemporary sites at Shida Kartli.

Between the empty Kurgans Nos 5 and 6 there was a slightly raised paved stone path 24m long and 3 m wide. The surface was covered with obsidian tools and flakes. Narrow paths link Kurgans Nos 2 and 4

near Nadarbazevi, kurgans at Sapitiakhsho, Kushchi and Zurtaketi (Gobejishvili 1981: 8). The paths at Tqemlara, Nadarbazevi and elsewhere, are winding, and differ in this respect from the ritual roads of the Tsalka reservoir in Trialeti. The paths at Tqemlara and elsewhere were used to link the kurgans, while Trialeti roads were designed as part of the burial construction and led in a straight line to the dromos (Narimanishvili 2003: 9-11).

In 2003 part of a path was excavated near Kurgan No. 8 datable to the end of the Middle Bronze Age. Unfortunately, the fill of this kurgan was badly damaged and it was therefore impossible to work out the precise relationship between the path and the kurgan. Unlike the ritual roads, therefore, it has so far not been possible to determine the function or date of these paths.

### Bibliography:

Manuscript reports are to be found in the Library of the Otar Lordkipanidze Archaeological Centre of the Georgian National Museum. Tbilisi

**Dedabrishvili Sh. 1979:** Kurgany Alazanskoi dolini (Kurgans of the Alazani Valley). *Proceedings of the Kakheti Archaeological Expedition 2*. Tbilisi.

**Gobejishvili G. 1981:** *bedenis gorasamarkhebis kultura (Bedeni Kurgan Culture)*. Tbilisi.

**Gogadze E. 1972:** *trialetis qorghaneli kulturis kronologia da periodizatsia (The Chronology of the Trialeti Kurgan Culture and its Division into Periods)*. Tbilisi.

**Japaridze O. 1961:** *kartveli tomebis istoriasatvis litonis tsarmoebis adreul saphekhurze (On the History of Georgian Tribes at the Early Stage of Metallurgy)*. Tbilisi.

**Japaridze, O. (ed.) 1992:** *sakartvelos arkeologia (Georgian Archaeology 2. Eneolithic-Early Bronze Age)*. Tbilisi.

**Japaridze O. 1998:** *kartveli tomebis etnokulturuli istoriasatvis dzv.ts. III atastsleulshi (On the Ethnocultural History of Georgian Tribes in the 3rd Millennium BC)*. Tbilisi.

**Kakhiani K., Gligvashvili E., Kalandadze G., Tskvitinidze Z. 1991:** O rabote ekspeditsii Mashaverskogo ushchel'ya v 1987 g. (On the activities of the Mashavera Valley Expedition in 1987). *PAI 1987*, 62-69.

**Kalandadze A. 1980:** *samtavro. tsinaantikuri khanis arkeologiuri dziebani (Samtavro. Archaeological Studies of the pre-Classical Period)*. *Mtskheta 4*. Tbilisi.

**Kvavadze E. 2003:** *tqemlaras gorasamarkhis 2002 tslis noembrisa da dekembris tveebshi chatarebuli arkeologiuri gatkhebis shedegad gakhsnili shreebis nalekta palinologiuri da paleoetnobotanikuri shestsavlis shedegebi (Results of palynological and palaeoethnobotanical studies of deposits of strata opened as a result of archaeological excavations carried out at Tqemlara Kurgan, November and December 2002)*. (Manuscript) .

**Munchaev R. 1961:** *Drevneishie kul'turi Severnogo Kavkaza (Ancient Cultures of the Northern Caucasus)*. Moscow.

**Narimanishvili G. 2003:** *saritvalo gzebi trialetis qorghanebtan (Ritual roads near Trialeti kurgans)*. *Dziebani*, 2, 9-23.

**Orjonikidze A. 2002:** *mtkvar-araksuli traditsiebi adreuli qorghanebis gavrtselebis khanashi (Kura-Araxes traditions during the spread of early kurgans)*. *Dziebani* 9, 23-28.

**Pitskhelauri K 1982:** *Issledovaniya Kakhetskoi arkheologicheskoi ekspeditsii (Studies of the Kakheti Archaeological Expedition)*. *PAI 1980*, 17-20.

**Ramishvili A. 2004:** *brinjaos khanis arkeologiuri dzeglebi tsaghlvshi (Archaeological sites of the Bronze Age at Tsaghlvi)*. Tbilisi.

**Sadradze V. 1990:** *samtavros samarovnis shua brinjaos khanis dzeglebis kronologia- periodizatsia (The chronology of*



the Middle Bronze Age sites of Samtavro Cemetery and their division into periods). *SMAM*, 138/3, 657-660.

**Shatberashvili Z. 1997:** Rezul'tati rabot Marabda-Akhalkalaskoi ekspeditsii (Results of the activities of the Marabda-Akhalkalaki Expedition). *PAI* 1988, 63-65. Tbilisi.

**Shatberashvili Z. 2003:** *tetrtsqaros arkeologiuri ekspeditsiis samushaoebi 2002 tslis noember- dekembershi (Activities of the Tetrtsqaro Archaeological Expedition, November-December 2002)*. (Manuscript) .

**Shatberashvili Z., Amiranashvili J., Gogochuri G., Mindorashvili D., Grigolia G., Nikolaishvili V. 2005:** *tetrtsqaros arkeologiuri ekspeditsiis samushaoebi 2003-2004 tslebshi (Activities of the Tetrtsqaro Archaeological Expedition, November-December 2003-2004)*. (Manuscript) .

**Zhorzhikashvili L., Gogadze E. 1974:** *Pamyatniki Trialeti epokhi rannei i srednei bronzy (The Early and Middle Bronze Age Sites of Trialeti)*. Tbilisi.

### Illustrations:

**PI. I** – 1-5. Inventory of kurgan No. 1; 6-9. Inventory of Kurgan No. 2





**PI. II** – 1,2. Kurgan No. 4, plan and section; 3. Plan of raised burial; 4. Plan of main burial; 5. Section of the main burial

**PI. III** – 1-8. Material of the raised burial of Kurgan No. 4; 9-14. Material of main burial of Kurgan No. 4




**PI. IV** – 1-4. Big pots from the main burial of Kurgan No. 4




**PI. V** – 1. Burial No. 10, section and plan; 2. Burial No. 11, section and plan; 3-5. Inventory of Burial No. 10; 6-8. Inventory of Burial No. 11

**PL. VI** – 1. Kurgan No. 9, section and plan; 2-11. Inventory of Kurgan No. 9



II








1

2


3




4

7

6




8




9





11



10



12








14






13




IV





VI



## ჯინისის ნამოსახლარი

ჯინისის ნამოსახლარი სამხრეთ კავკასიაში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზეა განთავსებული. იგი ნალკის მუნიციპალიტეტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სოფ. ჯინისის უკიდურეს ჩრდილოეთ განაპირას, ჯინისი-გუმბათის სამანქანო გზის დასავლეთით, 30 მ-ის დაცილებით მდებარეობს (ტაბ. I<sub>1</sub>).

დასახლება მდ. გუმბათისწყალის მარცხენა ნაპირზე, მეორე ტერასაზე ყოფილა გამართული. რელიეფი, ნამოსახლარის ტერიტორიაზე, დასავლეთის მიმართულებით თანაბრად დამრეცია, ხოლო მდინარისაკენ დახრის კუთხე მატულობს და მდინარის მარცხენა ნაპირთან ფაქტიურად დავაკებულია. თავის მხრივ, მდ. გუმბათისწყალი ჩრდილოეთის მხრიდან მდ. ქციას უერთდება (ტაბ. I<sub>2</sub>).

ნამოსახლარი გამოვლინდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს (ტაბ. II<sub>1</sub>), ენერგოკორიდორის ჩრდილოეთ მონაკვეთში. გაითხარა 54x24 მ ფართობი, სადაც გამოვლინდა ხუთი სახლი და 24 სამეურნეო ორმო (ტაბ. II<sub>2</sub>).

**სახლი № 1** წარმოადგენს ნახევრადმინურ ნაგებობას. სახლის ასაშენებლად, ყვითელ თიხნარში, თავდაპირველად ამოჭრილია ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ორმო, რომლის კედლებიც ქვებითაა ამოშენებული (ტაბ. III; IV). კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,0 მ-ია. ნაგებობის სიგრძე 12,5 მ-ს, სიგანე 7 მ-ს უდრის. კედლები ნაგებია ცალპირად დაწყობილი რიყის ქვებით. დიდი და საშუალო ზომის ქვების წყობა ძირითადად ჰორიზონტალურია (ტაბ. IV<sub>3</sub>). აღმოსავლეთ კედელში ჩადგმულია ვერტიკალურად დაყენებული ბაზალტის დიდი ზომის ქვები. შემორჩენილია კედლის წყობის ორი-ოთხი რიგი, რომლის სიმაღლე 0,8-1,0 მ-ს, სიგანე 0,6 მ-ს უდრის. სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე მომრგვალებულია (ტაბ. III; IV<sub>2</sub>), ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები მართია, იატაკი თიხატყეპნილია. ალაგ-ალაგ ქვის ფილებით მოგებული იატაკის ნაშთებია შემორჩენილი (ტაბ. IV<sub>2</sub>; V<sub>1</sub>).

იატაკის შელესილობაში ჩადგმულია ოთხკუთხა ფორმის ბრტყელი ქვები, ისე, რომ მათი ზედაპირი და იატაკის შელესილობა ერთ დონეზეა (ტაბ. IV<sub>2,3</sub>). ისინი ბალიშებს, გადახურვის კონსტრუქციის საყრდენი ბოძების ბაზისებს წარმოადგენენ და ნაგებობის სიგრძივი ღერძის გასწვრივ ოთხ რიგადაა ჩამწყვილებული. რიგებს შორის მანძილი დაახლოებით 2,0 მ-ს უდრის. ოთხივე კედლის გასწვრივაც ქვის ბალიშები ან საბოძე ორმოებია გამართული (ტაბ. IV<sub>2</sub>). ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ბალიშების ზომები 0,45x0,35x0,08 მ-ია. იატაკის დონეზე გამოვლენილი საბოძე ორმოების დიამეტრი 0,25-0,3 მ-ს, სიღრმე 0,2 მ-ს უდრის. როგორც ჩანს, ხის ბოძების დიამეტრი ორმოების ზომებს შეესაბამებოდა.

ამ დონეზე დადასტურებული იატაკის ადების შემდეგ გაირკვა, რომ ქვის ბალიშების ქვედაპირის დონეზე მეორე თიხატყეპნილი იატაკია გამართული. ამ დონეზე თავი იჩინა მისმა შესატყვისმა საბოძე ორმოებმა, ისინი კედლების გასწვრივაა განლაგებული და ზედა დონის საბოძე ორმოების გვერდით მდებარეობენ. ეს იმითაც უნდა ყოფილიყო გამომწვეული, რომ როგორც ჩანს, ქვის ბალიშები ძველი იატაკის ფუნქციონირების დროსაც ასრულებდნენ თავის მოვალეობას. ქვედა დონის საბოძე ორმოების დიამეტრი 0,18-0,2 მ-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შედარებით სუსტი საყრდენები მოგვიანებით უფრო მძლავრი ბოძებით შეუცვლიათ.



ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სახლი ერთხელ მაინცაა კაპიტალურად შეკეთებული, რომლის დროსაც გამოცვლილია საყრდენი ბოძები და, სავარაუდოა, სახურავიც.

სახლის გათხრისას გამოვლენილი კონსტრუქციული დეტალები და მშენებლობის ტექნიკა საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მის არქიტექტურულ ფორმაზე. სახლი წარმოადგენდა ნახევრადმინურს, რომლის იატაკი მიწის თანადროული ზედაპირიდან 1,2-1,5 მ სიღრმეზე იყო გამართული. კედლები, რომლებსაც საძირკველი არ გააჩნია, ამოყვანილია ცალპირად დანყობილი რიყის ქვით. ასეთი კედლები, როგორც ჩანს, მიწის თანადროულ ზედაპირამდე ამოდიოდა. კედლის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მიწის დონის ზემოთ იყო გამართული, არქეოლოგიური მონაცემები არ გავაჩნია. ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ ზედა ნაწილიც ქვით იყო ამოყვანილი. თუ ასეთი კედელი არსებობდა ის, განსხვავებით ქვედა ნაწილისაგან, ორპირი უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ კედლის ეს ნაწილი ხის ძელებით იყო შეკრული. სახლს, როგორც ჩანს, ბრტყელი გადახურვა ჰქონდა. გადახურვის კონსტრუქცია არ ეყრდნობოდა ქვის კედლებს. გადახურვის სიმძიმეს, კედლები, ქვის ცალპირი ნყოფის გამო, ვერ გაუძლებდა. ამიტომ, ის ეყრდნობოდა კედლების გასწორვ და სახლის ინტერიერში გამოვლენილ ქვის ბალიშებზე აღმართულ ხის ბოძებს.

სახლის ინტერიერი მარტივია. ის წარმოადგენს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის დარბაზს, რომელიც სახურავის საყრდენი ბოძებით ოთხადაა გაყოფილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში № 1 კერა, ხოლო აღმოსავლეთ კედელში ღუმელია გამართული. იატაკი თიხატკეპნილია, რომელიც რამდენჯერმე ჩანს განახლებული. ზედა დონის იატაკში, რამდენიმე ადგილას, ქვის ფილებით მოგებული მოედნები შეინიშნება. ამ დონეზე იატაკი არ არის თარაზული. მაგალითად 5-6 კვადრატებში არსებული ქვის ფილების ზედაპირი 0,05 მ-ით მაღლაა, ვიდრე მათ შორის არსებული თიხატკეპნილი იატაკი, ხოლო 6 კვადრატში გამოვლენილი კერის ძირი და იატაკი 0,04 მ-ით მაღლაა, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ კვადრატებში მითითებული ქვით მოგებული მოედნები. მათი შეერთების ადგილები კარგადაა გადალესილი, რაც ბოლო ეტაპზე მათ ერთდროულად ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

სახლის ინტერიერის განახლებაზე აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ გამოვლენილი კერების ნაშთებიც მიუთითებენ. ზედა დონის იატაკის შესატყვისი კერა (№ 1) სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან დაფიქსირდა (კვადრატი 6). იგი ნახევარწრიული ფორმისაა. მისი სიგრძე ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 0,8 მ-ია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 0,7 მ. წრე ქვის ფილებითაა შედგენილი და შელესილია თიხის ხსნარით. ბორდიურის მაქსიმალური სიმაღლე 0,18 მ-ია. კერა შევსებული იყო ნაცრით. სქელი ნაცრის ფენა მის წინ და სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშიც აღმოჩნდა.

№ 2 კერა აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში (კვადრატი 9), № 1 კერიდან 2,25 მ-ის დაცილებით გამოვლინდა. ის ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია თიხით ნალესი დაბალი ბორდიური, რომელიც გადალესილი იყო ახალი იატაკის გამართვისას. ზედა იატაკის დონიდან კერის ფსკერი 0,09 მ-ით დაბლაა. კერა მრგვალი ფორმისა (დიამეტრი 0,65 მ) ყოფილა. ის ჩაკვეთილია № 4 სამეურნეო ორმოთი.

№ 3 კერა გამართული ყოფილა სამხრეთი კედლიდან 2,25 მ დაცილებით (კვადრატი 9, 12). მისი ფორმის გარკვევა ძნელია, შემორჩენილია ქვის ოთხკუთხა ფილა (0,5×0,5 მ) და ბორდიურის მცირე ნაშთები. ქვის ფილა ცეცხლის ზემოქმედების შედეგად დამსკდარია. ეს კერაც ზედა დონის იატაკის ქვეშაა მოქცეული.

ძნელია იმის თქმა, თუ ამ ორი უკანასკნელი კერიდან რომელი შეესაბამებოდა ქვედა თიხატკეპნილ იატაკს. მიგვაჩნია, რომ № 2 და № 3 კერები სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა. ამდენად საფიქრებელია, რომ № 3 კერა თავდაპირველი ინტერიერის ნაწილი იყო. თუ გავითვალისწინებთ № 3 კერის გვერდზე გამოვლენილ ორ ფილას, რომლებზეც ცეცხლის კვალი არ არის, შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი იმ დროს არის გამართული, როდესაც სახლს ქვის იატაკი ჰქონდა.

ყურადღებას იქცევს სახლის დასავლეთი კედლის კონსტრუქციული თავისებურება. სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან 3,75 მ დაცილებით კედლის წყობა ნახევარკალურად შედის კედლის სისქეში, რის შედეგადაც წარმოქმნილია 0,55 მ სიღრმის და 1,2 მ სიგანის ნიშა. ნიშაში შედგმულია ქვის ფილებით შეკრული, ნაგრძელებული ფორმის კონსტრუქცია. მისი სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 1,1 მ-ია, სიგანე 0,45 მ, სიღრმე 0,35 მ. კედლები შედგენილია ვერტიკალურად დაყენებული თხელი ფილებითა და რიყის ქვებით. ეს კონსტრუქცია, როგორც ჩანს, ღუმელს წარმოადგენდა. იგი შეიძლება ორგანოფილებიანი იყო. კონსტრუქცია ძლიერაა დაზიანებული და მისი ფორმის აღდგენაჭირს.

სახლში ხუთი სამეურნეო ორმო (№№ 1-4, 6) გაითხარა (ტაბ. III; IV<sub>1</sub>). ყველა მათგანს სახლის თიხატყეპნილი იატაკის სამივე დონე აქვს გაჭრილი.

ინტერიერში მრავალი არტეფაქტი იქნა დადასტურებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-8 კვადრატის სამხრეთ ნაწილში ირმის რქა (ტაბ. XV<sub>10</sub>), რომელიც იატაკიდან 0,4 მ სიმაღლეზე იდო. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ის ან სახლის სახურავზე იყო დამაგრებული ან ინტერიერში იყო ჩამოკიდებული.

სახლი და ორმოები სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნება. ამაზე მიუთითებს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამეურნეო ორმოების მიერ ჩაჭრილია სახლის თიხატყეპნილი იატაკები, არამედ პალინოლოგიური მონაცემებიც.

სახლის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკული მასალიდან გამოირჩევა კარგად განლეპილი თიხისაგან დამზადებული, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალეებული ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია შტამპით დატანილი ნერტილოვანი ორამენტით (ტაბ. X<sub>6-8</sub>; XII<sub>1-3,6,20</sub>). ასეთივე ფრაგმენტი აღმოჩნდა № 4 ორმოში (ტაბ. X<sub>5</sub>; XII<sub>4</sub>). ყველა დანარჩენი ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან და უხეში კეცი აქვს. მათ შორისაა: ტაფისებური ჭურჭელი, რომელიც წრიული ფორმისაა და გვერდებზე ნახვრეტები აქვს (ტაბ. XI<sub>5,6</sub>; XV<sub>3</sub>). ამავე ტიპის ერთი ჭურჭელი ოთხკუთხა ფორმისაა (ტაბ. XI<sub>1</sub>; XV<sub>1</sub>). ასეთივე კეცი აქვს ქოთნებს (ტაბ. XIII<sub>7,22,24,26</sub>), ჯამებს (ტაბ. XIV<sub>2,3,5-9,17</sub>; XV<sub>2</sub>).

თიხის ასეთივე სტრუქტურით ხასიათდება № 4 ორმოში აღმოჩენილი ჯამებიც (ტაბ. XIV<sub>35,38,39</sub>). შავად გამომწვარი უყურო სადღვებელი № 3 ორმოში იქნა ნანახი (ტაბ. XV<sub>4</sub>).

სახლის იატაკზე ნაპოვნია ირმის რქის ძირისაგან დამზადებული კვერთხისთავი (ტაბ. XV<sub>11</sub>), ბაზალტის ხელსაფქვავეები (ტაბ. XVI<sub>2,3</sub>) და რიყის ქვის სანაყები (ტაბ. XVII<sub>1,2,3</sub>).

**სახლი № 2** მდებარეობს № 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთით 3-4 მ დაშორებით, II ნაკვეთის მე-6, 9 კვადრატებსა და III ნაკვეთის მე-4, 7 კვადრატებში (ტაბ. II<sub>2</sub>). გეგმაში წარმოადგენს ნაგრძელებულ ოთხკუთხედს, რომლის სიგრძე 7 მეტრია, სიგანე 5,8 მ. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. V).

სახლი წარმოადგენს ნახევრადმინურს. თიხაში ჩაჭრილი ოთხკუთხა ფორმის ორმოს კიდეები ამოშენებულია ცალპირად დაწყობილი რიყის ქვების ჰორიზონტალური წყობით. კედლის ქვედა რიგი დიდი ზომის ქვებისაგანაა (0,6×0,5×0,35 მ) შედგენილი, ზედა რიგები – შედარებით მომცროსი ქვებით (ტაბ. VI).

სამხრეთ-დასავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში კარის ლიობი ყოფილა გაჭრილი (ტაბ. VI<sub>1</sub>). ამ ადგილზე მცირე დაქანების პანდუსია გამართული, რომელიც ყვითელ თიხნარშია ჩაჭრილი და შავი მიწის ფენითაა შევსებული. მისი საერთო სიგრძე 0,5 მ, სიგანე 1,3 მ-ია. კედლის სისქე კარებთან 0,45-0,5 მ. ამდენად კარის ლიობის ჭრილი 1,3 მ-ია, სისქე 0,5 მ. პანდუსი სამხრეთით მიემართება და კედელს 0,4 მ-ით სცილდება. პანდუსის სამხრეთით 0,32 მ დაცილებით № 8 ორმოა გამართული (ტაბ. VI<sub>1</sub>).

სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე მომრგვალებულია, ჩრდილო-დასავლეთის – მართკუთხაა. სხვა კუთხეები შემორჩენილი არ არის (ტაბ. V; VI<sub>1-3</sub>).

სახლის ინტერიერი მარტივადაა მოწყობილი. ის ერთი დარბაზისაგან შედგება (ტაბ. V), რომელიც ცენტრალურ ნაწილში დაწყობილი საბოძე ბალიშებით (ბაზისები) ორადაა (ტაბ. VI<sub>1</sub>) გა-

ყოფილი – აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით იატაკში ჩადგმულია 0,07 სისქის ორი ბრტყელი ქვა (0,45×0,5 მ; 0,35×0,38 მ), რომელთა გაყოლებაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კედლების ძირში ასეთივე, წრიული (დიამეტრი 0,25 და 0,30 მ) ქვები გამოვლინდა. გადახურვის საყრდენი ბოძების ბალიშებს (ბაზისები) შორის მანძილი დაახლოებით 1,5-1,7 მ-ია.

სახლს თიხატკეპნილი იატაკი აქვს. იატაკი ალაგ-ალაგ დაზიანებულია. მის ქვეშ მოჩანდა კიდევ ერთი შელესილობის კვალი. ზედა დონის იატაკის მოხსნის შემდეგ, 0,05 მ-ით დაბლა, გაინმინდა ქვედა დონის იატაკი, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. იატაკის ეს დონე ქვის ბალიშებზეა შემოლესილი. როგორც ჩანს, ამ სახლს, № 1 სახლისაგან განსხვავებით, საფუძვლიანი რეკონსტრუქცია არ განუცდია. აქ მხოლოდ იატაკი ჩანს განახლებული. ქვედა იატაკის დონეზე არტეფაქტები არ აღმოჩენილა.

სახლის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან, მე-9 კვადრატში კერის ნაშთი დაფიქსირდა.

სახლის შიდა პერიმეტრზე 6 სამეურნეო ორმო გაითხარა (ტაბ. VI<sub>2,3</sub>). ყველა მათგანს თიხატკეპნილი იატაკი აქვს ჩაკვეთილი. № 6 ორმო კი სახლის შესასვლელშია გაჭრილი. ყურადღებას იქცევს სახლის სამხრეთ-დასავლეთი კედლის სამხრეთით, 0,85 მ დაცილებით (მე-9 კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში) გამოვლენილი ორმო (№ 8). იგი სახლის იატაკიდან 0,5 მ-ით მაღლა მდებარეობს და უშუალოდ სახლის გარეთ, შესასვლელის წინ არის გამართული. № 6 და № 8 ორმოების განლაგება (ტაბ. V<sub>1</sub>) მიუთითებს, რომ ისინი აშკარად სახლის დანგრევის შემდეგაა ამოთხრილი.

სახლის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკული მასალიდან გამოირჩევა კარგად განლეპილი თიხისაგან დამზადებული, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალეული ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია შტამპით შესრულებული წერტილოვანი ორნამენტით (ტაბ. X<sub>4</sub>; XII<sub>7,11-13</sub>). ასეთივე ფრაგმენტი აღმოჩნდა № 2 (ტაბ. XII<sub>5,8</sub>) № 6 ორმოში (ტაბ. X<sub>4</sub>; XII<sub>11-13</sub>). ყველა დანარჩენი ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან და უხეში კეცი აქვს. მათ შორისაა: ქოთნები (ტაბ. XIII<sub>8,14,16</sub>), ჯამები (ტაბ. XIV<sub>1,4,10,11,13,15,16</sub>). ჯამების ფრაგმენტები აღმოჩნდა № 2 (ტაბ. XIV<sub>14</sub>) და № 3 (ტაბ. XIV<sub>19</sub>) ორმოებში. იატაკზე დაფიქსირდა ბაზალტის ხელსაფქვავე (ტაბ. XVI<sub>1</sub>) და რიყის ქვის სანაყები (ტაბ. XVII<sub>10,11,13</sub>). № 6 ორმოში აღმოჩნდა ძვლისაგან (ფალანგა) დამზადებული საკიდები (ტაბ. XV<sub>8,9</sub>).

**სახლი № 3** მდებარეობს № 2 სახლის ჩრდილო-დასავლეთით 4 მეტრის დაშორებით (ტაბ. VII<sub>1,2</sub>). მოიცავს II ნაკვეთის 4, 5, 7, 8 კვადრატებს. სახლი წარმოადგენს ნახევრადმინურ ნაგებობას. შენობა დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მის გასამართად ყვითელ თიხნარში ამოღებულია ოთხკუთხა მოყვანილობის ორმო, რომლის ნაპირები ქვითაა ამოშენებული. კედლები აგებულია ჰორიზონტალურ რიგებად დანყობილი რიყის ქვით, მშრალი წყობით, ცალპირად. კედლების ქვედა რიგი დიდი ზომის ქვებით არის გამართული, ყოველი ზედა რიგის ქვების ზომა კი თანდათან მცირდება (ტაბ. VIII<sub>1,4</sub>).

კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,1 მ-ს უდრის და წყობის ხუთ რიგს შეიცავს. სახლის კუთხეები მომრგვალებულია, კარის ლიობი შემორჩენილი არ არის.

№ 3 სახლის ინტერიერი მარტივია. ის წარმოადგენს მართკუთხა ფორმის დარბაზს, რომელიც სახურავის საყრდენი ბოძებით ორადაა გაყოფილი. ისინი, სხვა სახლებისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა განლაგებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სახლის კარი ამ ხაზის მოპირდაპირედ, ჩრდილო-დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო გაჭრილი. ხის ბოძების საყრდენებად ქვის ბრტყელი ფილებია გამოყენებული (0,45×0,5×0,08 მ; 0,35×0,35×0,07 მ). ქვის ბალიშები სახლის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული და კედლებიდან 1,65 მ-ითაა დაცილებული (ტაბ. VIII<sub>2</sub>).

იატაკი თიხატკეპნილია. ასეთივე მასითაა შემოლესილი ქვის ბალიშებიც. იატაკი ჩაჭრილია სამეურნეო ორმოებით (ტაბ. VII<sub>1,2</sub>; VIII<sub>2</sub>), რომელთა ჭრილში ქვედა იატაკის დონე გამოჩნდა. ზედა იატაკის დონიდან 0,05-0,07 მ ქვეშ მეორე იატაკი გაინმინდა, რომელიც ძლიერაა დაზიანებული.

ამ დონეზე აღმოჩნდა საბოძე ორმოები, მათი დიამეტრი 0,2-0,25 მ-ია, სიღრმე 0,3-0,4 მ-ს უდრის. ისინი კედლების გასწვრივაა განლაგებული.

სახლს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია აქვს ჩატარებული. როგორც ჩანს ცენტრალური ბოძები გამოცვლილია. სტრატეგრაფია უჩვენებს, რომ სახლის სახურავი თავდაპირველად ორმოებში ჩამაგრებულ ხის ბოძებს ეყრდნობოდა. რეკონსტრუქციის შემდეგ ბოძების ბალიშებად უკვე ქვის ფილებია გამოყენებული.

სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებთან კერებია გამართული. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამართული კერა ზედა დონის იატაკის ადების შემდეგ გამოვლინდა. კერა ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე ყოფილა მიდგმული, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან 1,1 მ-ითაა დაცილებული. იგი ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია თიხით ამოყვანილი ბორდიურის მცირე ნაწილი. იატაკი თიხის ხსნარით არის შელესილი. შიდა სივრცე ნაცრით იყო შევსებული. კერის შემორჩენილი სიმაღლე 0,05 მ-ს უდრის. მისი სავარაუდო დიამეტრი კი 0,75-0,8 მ უნდა ყოფილიყო.

მეორე კერა სამხრეთ-დასავლეთის კედელზეა მიდგმული, სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლიდან კი 0,75 მ-ითაა დაცილებული. ის წრიული ფორმისაა (დიამეტრი 0,75 მ). მისი ბორდიურები (სიმაღლე 0,1 მ) წერილი ქვებით და თიხის ხსნარით ყოფილა ამოყვანილი. იატაკი ქვის ოთხი ფილითაა მოგებული. კერის დასავლეთი ნაწილი ნახევარწრიულადაა ჩამოკვეთილი. ამ ადგილზე კერის ნაცროვან ფენას, სრულიად განსხვავებული შავი მიწის ფენა ენაცვლება. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება № 8 ორმოს, რომლის ძირიც სახლის იატაკიდან 0,1 მ-ით დაბლა წყდება. ორმოში აღმოჩნდა კანელურებიანი დოქი (ტაბ. X<sub>9,10</sub>; XV<sub>5</sub>) და ნაპრიალები ზოლებით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხები.

კერის შიდა სივრცე შევსებული იყო ნაცრით. ნაცროვანი ფენის და ზედა იატაკის ადების შემდეგ, უშუალოდ კუთხეში, ორი საბოძე ორმო გამოვლინდა. ერთის დიამეტრია 0,3 მ, სიღრმე – 0,2 მ, მეორისა დიამეტრია 0,2 მ, სიღრმე – 0,15 მ.

სახლი რამდენჯერმე ყოფილა შეკეთებული. ამაზე მიუთითებს კედლების გასწვრივ გამართული საბოძე ორმოები, რომლებიც ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდებარეობენ (მაგ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში) და თიხატკეპნილი იატაკები. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთხელ ჩანს კაპიტალურად შეკეთებული.

№ 3 სახლში გათხრილი №№ 1-5, 7-8 სამეურნეო ორმოები (ტაბ. VIII<sub>2</sub>) სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული. ყველა ამ ორმოს ჩაკვეთილი აქვს თიხატკეპნილი იატაკი. № 3 სამეურნეო ორმოს ჩაკვეთილი აქვს ჩაქცეული კედლების ყრილი (ტაბ. II<sub>2</sub>; VII). გარდა ამისა № 8 სამეურნეო ორმოს დაზიანებული აქვს № 2 კერა და მისი სანაცრის ნაწილი. № 4 სამეურნეო ორმო გამართულია კარის ლიობში.

სახლის ის მონაკვეთი სადაც ორმოა გამართული, ძლიერაა დაზიანებული. ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კედლები მთლიანადაა მორღვეული, სახლის იატაკები შემორჩენილი არ არის. აქვე უნდა ყოფილიყო კარის ლიობიც.

სახლის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკული მასალიდან გამოირჩევა კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია შტამპით დატანილი წერტილოვანი ორნამენტით (ტაბ. XII<sub>10</sub>). ყველა დანარჩენი ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან და უხეში კეცი აქვს. მათ შორისაა: ტაფისებური ჭურჭელი, რომელიც წრიული ფორმისაა და გვერდებზე ნახვრეტები აქვს (ტაბ. XIV<sub>34</sub>). ასეთივე კეცი აქვს ქოთნებს (ტაბ. X<sub>16</sub>; XIII<sub>17,19-21</sub>) და ჯამებს (ტაბ. X<sub>12</sub>; ტაბ. XIV<sub>20,24,25,27,30,33,34,36,40</sub>). ჯამები აღმოჩნდა № 2 (ტაბ. XIV<sub>28</sub>) და № 3 (ტაბ. XIV<sub>21-23,26,29</sub>) ორმოებში. № 8 ორმოში კანელურებიანი დოქი (ტაბ. X<sub>9,10</sub>; XV<sub>5</sub>) იქნა ნაპოვნი.

სახლის იატაკზე რამდენიმე ხელსაფქვაავი (ტაბ. XVI<sub>3,6,10-12,14</sub>), სანაყი (ტაბ. XVII<sub>5,8,15-17</sub>) და სასრესი (ტაბ. XVII<sub>4,6</sub>) იდო. ხელსაფქვაავი აღმოჩენილია № 4 (ტაბ. XVI<sub>5</sub>) და № 6 (ტაბ. XVI<sub>4,7,8,13</sub>) ორმოებში.

შიც. სანაყები კი № 4 (ტაბ. XVII<sub>1,2</sub>) და № 5 (ტაბ. XVII<sub>9</sub>) ორმოში. სახლის იატაკზე აღმოჩნდა ირმის რქა (ტაბ. XI<sub>9,10</sub>; XV<sub>6</sub>) და ძვლის საკიდი (ტაბ. XV<sub>7</sub>).

**სახლი № 4** მდებარეობს I ნაკვეთის 3, 6 და II ნაკვეთის 1, 4 კვადრატებში, № 3 სახლის ჩრდილო-დასავლეთით 3 მ დაცილებით, ენერგოკორიდორის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში (ტაბ. II).

სახლი დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (ტაბ. IX<sub>1</sub>). წარმოადგენს ნახევარმინურს. ყვითელ თიხნარში ამოღებულია სახლის პერიმეტრის ფორმის ორმო, რომლის კედლები ამოშენებულია, ცალპირად დანყობილი, რიყის საშუალო და მოზრდილი ქვებით (ტაბ. X<sub>1-3</sub>).

ჩრდილო-დასავლეთი კედელი გამოვლენილია 2,8 მ სიგრძეზე, მისი სიმაღლე 0,65 მ-ია და ქვის წყობის ორ-სამ რიგს შეიცავს.

სამხრეთ-დასავლეთი კედლის სიგრძე 4,55 მ-ია, შემორჩენილი სიმაღლე 0,65-0,75 მ-ს უდრის და ქვის წყობის ორ-ოთხ რიგს შეიცავს. აღმოსავლეთ კიდედან კედელს მომრგვალებული კუთხე აქვს. აქედან კედელი სამხეთისაკენ უხვევს და კორიდორის კედელში (სიგრძე 2,0 მ) გადადის. სამხრეთით კარის ღიობია დატოვებული, რომლის დასავლეთ კიდე დერეფნის კედელი წარმოადგენს, აღმოსავლეთით კი, 0,75 მ სიგრძის კედელი ებჯინება, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს ფიგურულ ფორმას აძლევს. მისი გამოვლენილი საერთო სიგრძე 7,0 მ-ია. შესასვლელიდან 3,5 მ დაცილებით კედელი სახლის შიდა სივრცისაკენ 1,25 მ-ით არის შეჭრილი. კედელი ამ ადგილზე მომრგვალებულია. კედლის სამხრეთ ნაწილში ქვის წყობის ერთი რიგია შემორჩენილი (სიმაღლე 0,3 მ), ჩრდილოეთ ნაწილში კი ხუთი რიგი, რომლის სიმაღლე 0,9 მ-ს აღწევს.

№ 4 სახლი ერთადერთია ნამოსახლარზე გათხრილ სახლებს შორის, რომლის შესასვლელიც შედარებით კარგადაა შემონახული. კარის ღიობიდან სახლის შიდა სივრცისაკენ კორიდორი მიემართება, რომელიც დარბაზის მიმართ ასიმეტრულადაა განლაგებული. კორიდორის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლები ერთმანეთის პარალელურადაა აგებული, მაგრამ კორიდორის კედელი აღმოსავლეთით არის გამოწეული და სახლის კედელს 1,25 მ-ით სცილდება. ამდენად, წარმოიქმნება პანდუსი, რომელიც შესასვლელის დასაწყისიდან იატაკისაკენ 12°-ით არის დაქანებული. კარის ღიობი კორიდორის სამხრეთ კედელშია დატოვებული, რომლის სიგრძე 1,3 მ-ია, შემორჩენილი სისქე 0,4 მ-ს უდრის. კორიდორის სიგანე 2,5 მ-ია. მისი ჩრდილო-დასავლეთი კედელი უფრო მოკლეა, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთისა და 2,0 მ სიგრძისაა. კორიდორის ეს კედელი მომრგვალებული კუთხით უერთდება დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კედელს. ამდენად, კორიდორის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი გახსნილია დარბაზისაკენ და მასთან ერთად ერთ სივრცეს ქმნის (ტაბ. X<sub>1</sub>).

სახლის ინტერიერი არ არის სრულად გამოვლენილი. გათხრილი ფართობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ინტერიერი მარტივად არის გაფორმებული. კედლების გასწვრივ საბოძე ორმოებია აღმოჩენილი, რომელთა ნაწილი (სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კედლებთან) გვერდი-გვერდაა განლაგებული, რაც სახლის შეკეთების მაუწყებელი უნდა იყოს. ხის ბოძების საყრდენი ქვის ბალიშებიდან ერთი (0,25×0,2×0,1 მ) სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლიდან 1,25 მ დაცილებით, დარბაზის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე დევს. მის გასწვრივ, კედლის ძირში ორი საბოძე ორმოა. ერთის დიამეტრი 0,25 მ-ია, მეორისა 0,38 მ. მათი სიღრმე 0,2 მ-ს უდრის. ქვის ერთი ბალიში (0,25×0,2×0,08 მ) სამხრეთ-დასავლეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, კორიდორის დასაწყისთან დევს. მეორე (0,2×0,18×0,08 მ) კი პირველისაგან დასავლეთით 1,25 მ დაცილებით დევს. ორივე ბალიშის მახლობლად საბოძე ორმოებია (დიამეტრი 0,2 მ, სიღრმე 0,2 მ) გამართული (ტაბ. IX<sub>1</sub>).

ჩრდილო-დასავლეთ კედელთან, სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან 2,5 მ დაცილებით კერაა გამართული (ტაბ. IX<sub>1</sub>; X<sub>3</sub>). ის დაძვრნილია სახლის იატაკზე, გამოვლენილია ნაწილობრივ. კერა ელიფსური მოყვანილობისაა და ზურგით კედელზეა მიბჯენილი. მისი სიგრძე 1,2 მ-ია, სიგანე 0,85 მ. კერის ბორდიურები (სიმაღლე 0,15 მ) ნაგებია წვრილი ქვებით და თიხით, ზედაპირი გადალესილია თიხისავე ხსნარით. კერის იატაკზე მეჩხერად ჩანყობილი ქვის ფილები გაიწმინდა, რო-

მელიც ასევე თიხითაა გადალესილი. ამ შელესილობაზე რიყის ორი მოზრდილი ქვა იდო. ქვებზე, ისევე როგორც კერის ყველა დეტალზე, ძლიერი ცეცხლის კვალი შეინიშნება. ამ შელესილობის მოხსნის შემდეგ ქვედა დონის იატაკი გამოვლინდა (ტაბ. X<sub>2</sub>). ამ დონეზე მხოლოდ თიხატკეპნილი იატაკი დაფიქსირდა. კერის იატაკებს შორის მანძილი 0,05 მ-ს უდრის.

სახლის იატაკი თიხატკეპნილია. ზედაპირზე შეინიშნება ძლიერი ცეცხლის კვალი. დასავლეთი ნაწილი კარგადაა შემონახული. ეს მონაკვეთი დაფარული იყო ნაცრის თხელი ფენით.

ყურადღებას იქცევს სამეურნეო ორმო, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი მოექცა გათხრილ ფართობში. ენერგოკორიდორის კიდეში, რომელიც არქეოლოგიური თხრილის ჭრილსაც წარმოადგენს სახლის იატაკიდან 0,4 მ სიმაღლეზე კარგად გამოჩნდა ორმოს პირი.

სახლის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკული მასალიდან გამოირჩევა კარგად განლექილი თიხისაგან დამზადებული, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებიც შემკულია შტამპით შესრულებული ნერტილოვანი ორნამენტით (ტაბ. XII<sub>14-17</sub>).

ყველა დანარჩენი ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან და უხეში კეცი აქვს. მათ შორისაა: ოთხკუთხა ფორმის ტაფისებური ჭურჭელი (ტაბ. XI<sub>1</sub>), ჯამები (ტაბ. X<sub>11</sub>; XIV<sub>12,18,31,32,41</sub>), ქოთნები (ტაბ. X<sub>14</sub>; XIII<sub>10-13,15,23,25,28</sub>), კოჭობი (ტაბ. XIII<sub>18</sub>), დერგი (ტაბ. XIII<sub>3</sub>).

**სახლების კონსტრუქციული და არქიტექტურული თავისებურებანი.** ნამოსახლარის არქეოლოგიურად შესწავლილ ნაწილში გამოვლენილი სახლები ნახევრად მიწურ ნაგებობებს წარმოადგენენ. სათავსოები ჩადგმულია მოყვითალო თიხნარ დედაქანში ამოჭრილ ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოებში, რომლის კედლებიც ცალპირად დანყობილი ბაზალტის ქვებითაა მოპირკეთებული. კედელი ქვის ერთ მწკრივს შეიცავს და მიწის თანამედროვე ზედაპირამდეა ამოყვანილი. შემაკავშირებელ მასალად მიწა-თიხის ხსნარია გამოყენებული. სახლების კუთხეები უმეტესწილად მომრგვალებულია, იშვიათად გვხვდება სწორკუთხა ფორმაც.

სახლების გათხრისას გამოვლენილი კონსტრუქციული დეტალები და მშენებლობის ტექნიკა მიუთითებს, რომ ისინი ნახევრადმიწურს წარმოადგენდა, რომელთა იატაკი მიწის თანადროული ზედაპირიდან 1,2-1,5 მ სიღრმეზე იყო გამართული. კედლებს საძირკველი არ გააჩნია. ისინი ამოყვანილია ცალპირად ნაწყობი რიყის ქვით. ასეთი კედლები მიწის თანადროულ ზედაპირამდე ამოდიოდა. როგორც ჩანს, კედლების ზედა ნაწილიც ქვით იყო ამოყვანილი. თუ ასეთი კედელი არსებობდა ის, განსხვავებით ქვედა ნაწილისაგან, ორპირი მაინც უნდა ყოფილიყო.

სახლების გადახურვა ბანურია. სახურავის კონსტრუქციის მზიდი კოჭები ხის მრგვალ ბოძებზე ყოფილა დაყრდნობილი. ბოძები კედლის გასწვრივ და სახლების ცენტრში მდგარა. ამაზე მიუთითებს კედლების შიდაპირის ძირთან და იატაკზე განლაგებული ქვის ბალიშები და მცირე დიამეტრის ორმო-ბუდეები.

გადახურვის კონსტრუქცია ქვის კედლებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ კედლების გასწვრივ და სახლის ინტერიერში გამოვლენილ ქვის ბალიშებზე აღმართულ ხის ბოძებზე იყო დაყრდნობილი. გადახურვისათვის საჭირო საყრდენი ბოძების ასეთი განლაგება თრიალეთის (ზურტაკეტი, კუში) შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებშია დადასტურებული [ჯაფარიძე 1969: 24-30, 45-54, 68, ტაბ. I; Куфтин 1948: 12-14, ტაბ. X, XI], რომლებიც ძვ.წ. XIX-XVIII სს მიეკუთვნება და ჯინისის ნამოსახლარის გამართვის თარიღს ოდნავ წინ უსწრებს.

სახლების ინტერიერი მარტივია. ისინი წარმოადგენს ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის დარბაზებს, რომელიც სახურავის საყრდენი ბოძებით რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი. ერთ-ერთ კუთხეში კერა, ხოლო აღმოსავლეთ კედელთან ღუმელია გამართული. იატაკები თიხატკეპნილია, რომლებიც რამდენჯერმეა განახლებული.

სახლები ერთხელ მაინცაა კაპიტალურად შეკეთებული, რომლის დროსაც განახლებულია იატაკები, გამოცვლილია საყრდენი ბოძები და ალბათ, სახურავიც.

**ნაგებობათა პალინოლოგიური კვლევების შედეგები.** ნამოსახლარი მდებარეობს 1569-1572 მ სიმაღლეზე. ჯინისის დღევანდელი ლანდშაფტი არის მოსწორებული ადგილი, სადაც გავრცელებულია უტყეო მდელოები, რომლებიც ძირითადად საძოვრებისთვის გამოიყენება. არის კარტოფილის ნათესებიც.

ჯინისის ნამოსახლარზე პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია №№ 1, 3 და 4 სახლებიდან აღებული ნიმუშები (ძეგლის პალინოლოგიური დახასიათება მოცემულია ელ. ყვავაძის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგების მიხედვით). პირველი სათავსოდან აღებულ ნიმუშებში აღმოჩნდა მხოლოდ დამწვარი ორგანული მიკროსკოპიული ნაშთები.

**მესამე სათავსოს** ნიმუში უხვად შეიცავს ბალახოვნების მტვრის მარცვლებს. ხე-მცენარეთა და ბუჩქნარების მტვერი აქ საერთოდ არ აღმოჩენილა. ბალახოვნებს შორის ჭარბობენ ნათესების სარეველები. ესენია ვარდკაჭაჭასნაირები (*Cichorioideae type*), ჩვეულებრივი მათიტელა (*Polygonum aviculare*). კულტურული მარცვლოვნებიდან განსაზღვრულია ხორბალი. აღინიშნება ნაცარქათამა, ლილილო, წინიბურა, ნარი. საძოვრების სარეველთაგან ამ სათავსოში ნაპოვნია ბაიას და მიხაკისნაირების მტვრის მარცვლები. აქ აღმოჩენილია ფარსმანდუკის მტვერიც, რომელიც მიეკუთვნება სამკურნალო მცენარეების ჯგუფს. ნაპოვნია ქვატეხიას (*Saxifragaceae*), ირმისმხალას (*Serratula*), ასტრას (*Aster*), კიტრისუნას (*Borraginaceae*) მტვრის მარცვლები. აქვე აღინიშნება გვიმრისნაირების სპორები.

№ 3 სახლში აღმოჩენილი ქოთნიდან (ტაბ. X<sub>1</sub>) ამოღებული მინის სინჯის პალინოლოგიური სპექტრი თითქმის არ შეიცავს ხე-მცენარეთა და ტყის ჯგუფის ელემენტებს. ნაპოვნია მხოლოდ ფიჭვის 2 მტვრის მარცვალი და გვიმრის 4 სპორა. განხილულ ნიმუშში სულ დათვლილია 111 მტვრის მარცვალი. ბევრია სათესი მარცვლოვნების და მათთან არსებული ნათესების სარეველათა მტვრის რაოდენობა. ეზოს და საძოვრების სარეველები აქ თითქმის არ არის. ამიტომ სავარაუდოა, რომ განხილულ ჭურჭელში ინახებოდა ხორბლეული. ქოთანს ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა. როგორც ჩანს ის საკვების მოსამზადებლად გამოიყენებოდა. ქოთანში აღმოჩენილი ხორბალი შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რომ მასში ფაფას ხარშავდნენ.

**მეოთხე სათავსო.** ამ სათავსოდან შესწავლილია ორი სინჯი. ერთი მათგანი იატაკის დონიდანაა აღებული, მეორე კი სათავსოს ზედა შრიდან. იატაკის ნიმუშში შეიმჩნევა ცეცხლის კვალი. აქ არის უამრავი დამწვარი ორგანული ნაშთები და მტვრის მარცვლებზეც შეიმჩნევა ცეცხლის გავლენა. მესამე სათავსოსთან შედარებით, აქ მატულობს ხორბლის მტვრის რაოდენობა. ბევრია ნათესების სარეველებიც. ეზოს სარეველათაგან აღინიშნება ჭინჭარი და ავშანი. ნაპოვნია ფიჭვის და მურყნის მტვრის მარცვლებიც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იატაკზე აღმოჩენილია ადამიანის კუჭ-ნაწლავის პარაზიტული ჭიების (ჰელმინტების) კვერცხები.

მეორე ნიმუშის პალინოლოგიური სპექტრი გაცილებით მდიდარია. გარდა ბალახოვნებისა, აქ კარგადაა წარმოდგენილი ხე-მცენარეთა და ტყის გვიმრების ჯგუფიც. ამ შრის სინჯში დათვლილია 211 მტვრის მარცვალი, სადაც ტყის ელემენტს მიეკუთვნება 28.4%. დომინირებს არყის და ფიჭვის მტვრის მარცვლები. აღინიშნება არყის ორი სახეობა. კარგადაა წარმოდგენილი მურყნის და თხილის მტვერი. ცოტაა ლიბანური კედარის, თელას, მუხის და კაკლის მტვრის მარცვლები. ტყის გვიმრებიდან ჭარბობს კილამურას სპორები. კრიპტოგრამას და მარგალიტას სპორები სუსტადაა წარმოდგენილი.

ბალახოვნებიდან, ძირითადად, სარეველების მტვერია აღრიცხული. დომინირებს ვარდკაჭაჭისნაირები, რომლებიც 42.6% შეადგენენ. არის ნაცარქათამას, მათიტელას, ლილილოს და ნათესების სხვა სარეველათა მტვრის მარცვლები. აღინიშნება ეზოს სარეველებიც: ავშანი, ჭინჭარი, ირმისმხალა. საძოვრების სარეველები აქ ნაკლებადაა წარმოდგენილი. ცოტაა ბაიას და ნარის მტვრის მარცვლები.

რაც შეეხება კულტურულ მარცვლოვნებს, განხილულ სპექტრში მათი როლი არც თუ ისე დიდია, განისაზღვრა მხოლოდ ხორბალი.

**სამეურნეო ორმობის პალინოლოგიური დახასიათება.** გათხრილ ფართობზე შესწავლილია 8 სამეურნეო ორმოს მასალა. პირველი სათავსოს ტერიტორიაზე დიდად საინტერესოა ორმო № 3-ის პალინოლოგიური სპექტრი. ბევრია ხორბლის, ჭვავის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი. ნათესების სარეველებიც უხვადაა წარმოდგენილი. დომინირებს ვარდკაჭაჭისნაირები და ნარშავი. ბევრია მათიტელას მტვრის რაოდენობაც. აღინიშნება ღილილო, ნაცარქათამა, ჩვეულებრივი მათიტელა, ბოლოკა და სხვა. განხილულ პალინოლოგიურ სპექტრში საძოვრების სარეველებიც კარგადაა წარმოდგენილი. ბევრია ბაიას, მიხაკისნაირების და ნარის მტვრის მარცვლები. შეიმჩნევა რუდერალურ მცენარეთა მონანილეობაც. ესენია ჭინჭარი და ფარსმანდუკი. ხე-მცენარეთა ჯგუფში აღინიშნება ფიჭვის, ნაძვის, სოჭის მტვერი. გარდა წინვოვანებისა არის მურყნის, რცხილის და ნაბლის მტვრის მარცვლები. ტყის გვიმრანაირებიდან აღინიშნება კილამურას სპორები. შესწავლილ ორმოში ნაპოვნია ადამიანის კუჭ-ნაწლავის ჰელმინტების კვერცხები.

№ 4 სამეურნეო ორმოს სინჯის პალინოლოგიური სპექტრი არ არის ისეთი მდიდარი, როგორც მესამე ორმოს სპექტრი. ხე-მცენარეთა ჯგუფში ნაპოვნია მხოლოდ ფიჭვის მტვრის რამდენიმე მარცვალი და ტყის გვიმრის ერთი სპორა. ბალახოვნებს შორის კულტურული მარცვლოვნების როლი დაბალია. განსაზღვრულია ხორბლის მტვრის მარცვლები. ცოტაა ნათესების სარეველათა მტვრის რაოდენობა. ამასთანავე აქ მატულობს ეზოს სარეველათა როლი. ესენია ჭინჭარი, ნარცეცხლა, სამყურა, ავშანი და სხვა. ცოტაა საძოვარ მცენარეთა მაჩვენებლებიც. განხილული ორმოს სინჯშიც ნაპოვნია ადამიანის ჰელმინტების კვერცხები. ორმო ალბათ უფრო სანაგვეს წარმოადგენს, ვიდრე მარცვლეულის შესანახს.

№ 2 სათავსოში გათხრილ № 2 სამეურნეო ორმოს სინჯის პალინოლოგიურ სპექტრში გვხვდება მარცვლოვნების მტვერი. უხვადაა წარმოდგენილი ნათესების სარეველები, სადაც დომინირებს ნარშავი, ნაცარქათამა, მათიტელა და ჩვეულებრივი მათიტელა. აღინიშნება საძოვრების და ეზოს სარეველების მტვრის მარცვლები. ხე-მცენარეთა ჯგუფში არის ნაძვის, ფიჭვის, მურყნის და ჯაგრცხილის მტვერი. ჭარბობს მურყანი და ფიჭვი. სამეურნეო მცენარეთაგან ნაპოვნია ფარსმანდუკის მტვრის მარცვლები, რომელიც ასევე ეზოს რუდერალური კომპონენტია. ორმოში ნაპოვნია ადამიანის ჰელმინტების კვერცხები.

№ 4 სამეურნეო ორმოს სპექტრიც საკმაოდ მდიდარია. გვხვდება ხორბლის, ჭვავის და სხვა კულტურული მარცვლოვნების მტვერი და ნათესების სარეველათა კომპლექსი (ვარდკაჭაჭისნაირები, ნარშავი, მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა და სხვა. ბევრია ნაცარქათამას მტვერი). საძოვრების ელემენტები მცირე რაოდენობითაა, ღარიბია აგრეთვე ეზოს სარეველათა შემადგენლობა. ხე-მცენარეთა ჯგუფში აღინიშნება ფიჭვი, რომელიც დომინანტია. ასევე მცირე რაოდენობითაა სოჭის და თხილის მტვერი. ნაპოვნია გვიმრის ერთი სპორა. განხილულ ორმოში ბევრია ადამიანის კუჭ-ნაწლავის ჰელმინტების კვერცხები.

№ 3 სათავსოს № 4 სამეურნეო ორმოში დომინირებს კულტურული მარცვლოვნების და მათთან არსებული ნათესების სარეველათა მტვერი. ბევრია ხორბლის და ჭვავის მტვრის მარცვლები. სარეველებს შორის უხვადაა წარმოდგენილი ვარკაჭაჭისნაირები და მათიტელა. ცოტაა ნარშავის და ნაცარქათამას მტვერი. საძოვრების სარეველები ნათესების სარეველებთან შედარებით ნაკლებადაა აღმოჩენილი. ამასთანავე ბევრია ეზოს რუდერალები. ხე-მცენარეთა ჯგუფში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ფიჭვის და სოჭის მტვრის მარცვლები. ნაპოვნია ტყის გვიმრას ერთი სპორა. ადამიანის ჰელმინტების კვერცხები აქ აღმოჩენილი არ არის.



№ 5 სამეურნეო ორმოდან აღებული ნიმუშის პალინოლოგიური სპექტრი მდიდარია. დათვლილია 220 მტვრის მარცვალი. დომინირებს კულტურული მარცვლოვნების მტვერი, რომელთა შორის ჭარბობს ხორბალი და ჭვავი. ნათესების სარეველათა შორის ბევრია ვარდკაჭაჭასნაირები და მათიტელა. აღინიშნება ნაცარქათამა, ნარშავი, ჩვეულებრივი მათიტელა, ლილილო. საძოვრების ელემენტებიც კარგადაა წარმოდგენილი. ბაიასა და მიხაკისნაირების გარდა, არის გოქშას მტვერი. აღმოჩენილია ეზოს რუდერალებიც: ჭინჭარი, ფარსმანდუკი და სხვა. ხე-მცენარეთა შორის ჭარბობს ფიჭვი. არის სოჭის, ნაძვის, მურყნის და თხილის მტვრის მარცვლები. აღინიშნება ტყის გვიმრისნაირების სპორებიც. ადამიანის ჰელმიტების კვერცხები არ დაფიქსირებულა.

სათავსო № 5, სამეურნეო ორმო № 3. განხილული ორმოს ნიმუშში კულტურული მარცვლოვნების რაოდენობა არც თუ ისე დიდია, მაგრამ ნათესების სარეველების როლი საკმაოდ მაღალია. ესენია ვარდკაჭაჭასნაირები, ნარშავი, ნაცარქათამა, მათიტელა, ჩვეულებრივი მათიტელა და სხვა. პალინოლოგიურ სპექტრში კარგადაა წარმოდგენილი საძოვრების და ეზოს სარეველები. ხე-მცენარეთა ჯგუფში ცოტაა ფიჭვის, სოჭის და მურყნის მტვრის მარცვლები.

სამეურნეო ორმო № 5. ამ ორმოს სინჯში ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვრის რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მესამე ორმოში. მაგრამ აქაც ბევრია ნათესების სარეველების მტვერი. დომინირებს ვარდკაჭაჭასნაირები. ბევრია ნარშავის მტვრის მარცვლების რაოდენობაც, აღინიშნება ლილილო. საძოვარ მცენარეთა მაჩვენებლები დაბალია. ხე-მცენარეთა ჯგუფში არის ფიჭვის და რცხილას მტვერი. ბევრად ჭარბობს ფიჭვის მტვრის რაოდენობა. ტყის გვიმრებისგან აღინიშნება გვიმრუჭა და ჩადუნა (*Asplenium*).

ამრიგად, განხილული ორმოების პალინოლოგიური სპექტრები საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ ორმოების პალინოკომპლექსი აჩვენებს უფრო თბილ კლიმატურ პირობებს, ვიდრე სახლებისა.

სახლების აღებული ნიმუშების ანალიზი უჩვენებს, რომ ისინი დიდი რაოდენობით შეიცავს კულტურული მცენარეების ნაშთებს. ორმოებში კი ძირითადად ტყის ელემენტები და გვიმრისნაირების მტვერი ფიქსირდება. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ორმოები ღია ცის ქვეშ იყო გამართული. ე.ყვავადის აზრით, ეს ორმოები სანაგვედ გამოიყენებოდა [ყვავაძე 2005].

პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ № 3 სახლის იატაკის და სამეურნეო ორმოების პალინოლოგიური სპექტრიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სახლში დასტურდება კულტურული მარცვლოვნები, დიდი რაოდენობით არის ნათესების სარეველები, გვხვდება ეზოს და საძოვრის სარეველებიც. ორმოებიც დაახლოებით იგივე სპექტრს იძლევა, იმ განსხვავებით, რომ მათში დიდი რაოდენობით არის ხე-მცენარეების და გვიმრისნაირების მტვერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ორმოების პირი ღია სივრცეში გადიოდა. ელ. ყვავაძის დასკვნით, ორმოების პალეოკლიმატი უფრო თბილ კლიმატურ პირობებს უჩვენებს, ვიდრე სახლებისა.

№ 4 სახლიდან პალინოლოგიური კვლევისათვის ორი ნიმუში შეირჩა. ერთი აღებულია სახლის იატაკიდან, კერასთან, I ნაკვეთის 3 კვადრატში, მეორე კი I ნაკვეთის 3 კვადრატში, იატაკიდან 0,55 მ სიმაღლეზე.

იატაკის დონეზე აღებულ ნიმუშს ცეცხლში ყოფნის კვალი ეტყობა. ცეცხლი მტვრის მარცვლებზეც შეიმჩნევა. პალინოლოგიური სპექტრი ხორბლის მტვრის დიდ რაოდენობას უჩვენებს, ასევე ბევრია ნათესების სარეველები, გვხვდება ეზოს სარეველები და უმნიშვნელო რაოდენობით ფიჭვის და მურყანის მტვრის მარცვლებიც.

მეორე ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში ბალახოვნების მტვრის (დომინირებენ ვარდკაჭაჭასნაირები, გვხვდება – ნაცარქათამა, მათიტელა, ლილილო) გარდა, დიდი რაოდენობითაა ხე-მცენარეთა (არყის ხის ორი სახეობა, მურყანი, თელა, მუხა, ლიბანური კედარი, კაკალი, თხილი)

მტვერი და ტყის გვიმრების სპორები (კილამურა, მარგალიტა). აღინიშნება ეზოს სარეველებიც, საძოვრების სარეველების წილი უმნიშვნელოა.

ამდენად, პალინოლოგიური მონაცემების საფუძველზე ნათელია, რომ სახლების შევსების ზედა დონე და სამეურნეო ორმოები ერთგვაროვან პალინოლოგიურ სპექტრს შეიცავენ და განსხვავდებიან იატაკის სპექტრისაგან. ისინი სხვადასხვა პალეოკლიმატურ პირობებში ფუნქციონირებდნენ და მიწით შევსებაც სხვადასხვა ეპოქებში მოხდა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჯინისის ნამოსახლარი ორ ფენას შეიცავს. ქვედა ფენას მიეკუთვნება ყველა სახლი, ზედას კი სამეურნეო ორმოები.

**დათარილების საკითხები.** ჯინისის ნამოსახლარის დათარილება ძირითადად სტრატოგრაფიულ მონაცემებს, კერამიკული მასალის შედარებით და სტილისტურ ანალიზს ეფუძნება. ნამოსახლარის სტრატოგრაფიის თავისებურებებზე სახლების აღწერის დროს იყო აღნიშნული.

კერამიკული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახლების იატაკზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ერთი ჯგუფი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი გაპრიალებულია. ამ ჭურჭლების ნაწილი შემკულია ამოღარული ან წერტილოვანი ორნამენტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამკუთხედის ფორმის, შტამპით დატანილი წერტილოვანი ორნამენტი (ტაბ. X<sub>4,6,8</sub>; XII). მათი აბსოლუტური უმრავლესობა სახლების იატაკზეა აღმოჩენილი (ტაბ. XII<sub>1-3,10,12-17</sub>), მხოლოდ ორი ასეთი ფრაგმენტი იქნა დაფიქსირებული ორმოებში (ტაბ. X<sub>5</sub>; XII<sub>4,5,8</sub>).

ამ სტილის ორნამენტით ჭურჭლების შემკობა მხოლოდ „თრიალეთის კულტურის“ კერამიკისათვის არის დამახასიათებელი [ჯაფარიძე 1969: სურ. 19, 22, 25, 36, 50, 51, 54, 58, 60, 61; Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 52, 60, 67, 70, 75, 76, 85, 90, 93, 95, 96, 102, 104, 105; გოგაძე 1972: ტაბ. 15, 16, 22, 25, 28-32; Дедабришвили 1969: სურ. 15; ჯაფარიძე და სხვ. 1981: სურ. 2, 5, 8, 19, 21, 24, 31-33, 35, 48]. ნამოსახლარზე ისინი პირველად ჯინისში იქნა მოპოვებული [Амиранашვილი, Нариманишვილი 2005: 42-43].

კერამიკის მეორე ჯგუფი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგანაა დამზადებული, არათანაბრად, სუსტადაა გამომწვარი, ზედაპირი უხეში აქვს. ზოგიერთ ნატეხზე ნაჭდევებით შესრულებული სარტყელების ფრაგმენტებია შემორჩენილი, რითაც ისინი „ბარეთის კულტურის“ მეორე ტიპის კერამიკაზე დატანილ ორნამენტს მოგვაგონებენ (ტაბ. XIII<sub>8,10,15,25</sub>; XIV<sub>18,37,41</sub>). თუმცა ჯინისში აღმოჩენილ მასალას შორის არ გვხვდება რელიეფური, დაკეჭნილი სარტყელებით შემკული ნატეხები, რაც ესოდენ დამახასიათებელია ე.წ. ბაიბურთული ტიპის ჭურჭლებისათვის, რომელსაც ჩვენ „ბარეთის კულტურის“ წრეში ვათავსებთ და ძვ.წ. XV-XIV ს-ის პირველი ნახევრით ვათარილებთ [ნარიმანიშვილი 2006: 92-127].

ჯინისის ნამოსახლარზე დაფიქსირებული პირველი ჯგუფის კერამიკის ის ნიმუშები, რომლებიც შემკულია შტამპით დატანილი წერტილოვანი ორნამენტით, მსგავსია „თრიალეთის კულტურის“ ამ სტილის კერამიკისა; მაშინ, როდესაც ასეთი სტილის კერამიკის არცერთი ნიმუში „ბარეთის კულტურის“ ისეთ კლასიკურ ძეგლებზე, როგორცაა ბეშთაშენის ნამოსახლარი და საფარხარაბას სამაროვნი არ გვხვდება.

ყველა სხვა ჭურჭელი მეორე ჯგუფს მიეკუთვნება. ამ ჯგუფის კერამიკა უხეშეკეციანია და ზედაპირი ხაოიანი აქვს.

მეორე ჯგუფის ჭურჭლებს შორის აღსანიშნავია ტაფისებური ჭურჭლები, რომლებიც დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი. მათ ნაწილს გვერდებზე გამჭოლი ნახვრეტები აქვს (ტაბ. XI<sub>1-7</sub>; XIV<sub>34</sub>; XV<sub>3</sub>), ამ ჯგუფში შედის: ქოთნები (ტაბ. X<sub>14</sub>; XIII<sub>3,5,7,8,10-17,19-26,28</sub>), კოჭობი (ტაბ. X<sub>13</sub>; XIII<sub>18</sub>), ჯამები (ტაბ. X<sub>11,12</sub>; XIV<sub>1-41</sub>; XV<sub>1</sub>).

ნამოსახლარის ზედა ფენას ეკუთვნის შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული უყურო სადღვებელი (ტაბ. XV<sub>4</sub>) და კანელურებიანი დოქი (ტაბ. X<sub>9,10</sub>; XV<sub>5</sub>).

სახლების იატაკზე დაფიქსირდა ბაზალტის ხელსაფქვავეები (ტაბ. XVI<sub>3,5,6,10-12</sub>; XVII<sub>3</sub>), რიყის ქვის სანაყები (ტაბ. XVII<sub>5,8,10,11,13,15-17</sub>) და სასრესები (ტაბ. XVII<sub>1,4,6</sub>). ხელსაფქვავეები (ტაბ. XVI<sub>4,5,7,8,13</sub>) და რიყის ქვის სანაყები (ტაბ. XVII<sub>9,12,14</sub>) ორმოებშიც აღმოჩნდა.

სახლების იატაკზე დაფიქსირდა ირმის რქის ძირისაგან დამზადებული კვერთხისთავი (ტაბ. XI<sub>11</sub>; XV<sub>11</sub>), ირმის რქები (ტაბ. XI<sub>9,10</sub>; XV<sub>10</sub>) და ძვლის (ფალანგა) საკიდი (ტაბ. XV<sub>7</sub>). ასეთივე საკიდები (ტაბ. XV<sub>8,9</sub>) ორმოშიც აღმოჩნდა.

ხაზგასასმელია, რომ ჯინისის ნამოსახლარის მეორე ჯგუფის თიხის ჭურჭელის მსგავსი კერამიკის არცერთი ნიმუში არ არის აღმოჩენილი „თრიალეთის კულტურის“ ძეგლებზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ჯინისის ნამოსახლარის მეორე ჯგუფის თიხის ჭურჭელს ჯერ კიდევ არა აქვს „ბარეთის კულტურის“ კლასიკური ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ფორმა და სტილი.

ამდენად, ჯინისის ნამოსახლარის, „თრიალეთის კულტურისა“ და „ბარეთის კულტურის“ კერამიკული მასალის ფორმალური და სტილისტური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯინისის ნამოსახლარი სტადიალურად ამ ორ კულტურას შორის უნდა მოთავდეს.

ნამოსახლარის სტრატეგრაფია და სახლებში აღმოჩენილი არტეფაქტები მიუთითებენ რომ ჯინისის ნამოსახლარი ორ სამშენებლო ფენას შეიცავს. ქვედას მიეკუთვნება სახლები და შესაბამისად, იატაკებზე დაფიქსირებული არტეფაქტები, ზედას კი სამეურნეო ორმოები. უნდა აღინიშნოს, რომ № 3 სახლში ორმოები ორ დონეზეა განლაგებული №№ 6, 7, 8 ორმოებს ფსკერი მხოლოდ სახლის იატაკის დონეს აღწევს ან ოდნავ კვეთს მას, ამავე დონეზეა სახლის დასავლეთით გათხრილი № 1 ორმოც. ეს ორმოები ზედა სამშენებლო ფენას შეესაბამება, დანარჩენი ორმოები, კი რომელთა პირი სახლის იატაკის დონეზეა, ქვედას უნდა ეკუთვნოდეს. № 2 სახლის ტერიტორიაზე გათხრილი № 4 ორმოს სახლის კედელი აქვს დაზიანებული, № 6 და № 7 ორმოები კი უშუალოდ შესასვლელშია გამართული. აღსანიშნავია, რომ ამ და № 1 სახლში დაფიქსირებულ ყველა ორმოს თიხატკეპნილი იატაკები აქვს ჩაჭრილი.

რაც შეეხება ზოგიერთ, ქვედა ფენის შესაბამის კერამიკულ ფრაგმენტებს, რომლებიც მცირე რაოდენობით აღმოჩნდა ორმოებში, ისინი გვიან, ორმოების გამართვის ან ფუნქციის შეწყვეტის შემდეგ ჩანს ზედაპირიდან ორმოში მოხვედრილი. პალინოლოგიურმა კვლევამაც აშკარად აჩვენა, რომ სახლები და ორმოები მტვრის სხვადასხვა სპექტრს შეიცავს. ამ კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ორმოები ღია ცის ქვეშ იყო გამართული.

კვლევის დღევანდელ ეტაპზე უნდა ითქვას, რომ ქვედა ფენა ძვ.წ. XVIII-XVII სს-ს მიეკუთვნება, ზედა კი ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება.

**დასკვნა.** თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები პირველად ბ. კუფტინმა შეისწავლა. მის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში გათხრილი ამ ეპოქის ძეგლები სამარხ ნაგებობებს – ყორღანებს წარმოადგენდნენ. აქ აღმოჩენილმა მდიდრულმა და უნიკალურმა მასალებმა ბ. კუფტინს საშუალება მისცა გამოეყო ახალი არქეოლოგიური კულტურა, რომელსაც „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურა“ უწოდა. ეს კულტურა დღეს „თრიალეთის კულტურის“ სახელითაა ცნობილი.

ათეული წლების მანძილზე „თრიალეთის კულტურის“ ნამოსახლარები ვერ იქნა მიკვლევული. ამის გამო, გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ კულტურის მატარებელი საზოგადოება მომთაბარე ტომებს წარმოადგენდა. შესაბამისად მათ სტაციონალური ნამოსახლარები არ გააჩნდათ. ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს წინამორბედი და შემდგომი ხანის ნამოსახლარებისაგან განსხვავებული ტოპოგრაფია აქვთ. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ სამხრეთ კავკასიის ნამოსახლართა ტოპოგრაფია ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით არ იცვლება. ისინი განლაგებულია დაბალი ქედების თხემებზე, მთის ფერდობებზე და მდინარისპირა ტერასებზე. მდინარისპირა დასახლებას წარმოადგენს თრიალეთში გათხრილი ნამოსახლარიც.

ჯინისის ნამოსახლარის ნაგებობათა კონსტრუქცია და მოპოვებული არტეფაქტები გარკვეულ სიახლეს შეიცავს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ნამოსახლართა დაგეგმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

ნამოსახლარზე გათხრილი სათავსოები გამართულია მოყვითალო თიხნარ დედაქანში ამოჭრილ ოთხკუთხა მოყვანილობის სხვადასხვა ზომის ორმოში, რომლის კედლებიც ცალპირად დაწყობილი ბაზალტის ქვებითაა ამოყვანილი. შემაკავშირებელ მასალად მიწა-თიხის ხსნარია გამოყენებული. კედლების შიდა პირი შედარებით სწორპირიანია. ქვის კედლების კუთხეების გადაბმის ადგილები ზოგი მომრგვალებულია, ზოგი კი სწორკუთხაა. ერთი და იგივე ნაგებობაში გვხვდება გადაბმის ორივე ხერხი.

სახლების გათხრისას დაფიქსირებული კონსტრუქციული დეტალები და მშენებლობის ტექნიკა მიუთითებს, რომ ისინი ნახევრადმინურს წარმოადგენდნენ, რომელთა იატაკი მიწის თანადროული ზედაპირიდან 1,2-1,5 მ სიღრმეზე იყო გამართული. კედლები, რომლებსაც საძირკველი არ გააჩნია, ამოყვანილია ცალპირად ნაწყობი რიყის ქვით. ასეთი კედლები მიწის თანადროულ ზედაპირამდე ამოდიოდა. როგორც ჩანს კედლების ზედა ნაწილიც ქვით იყო ამოყვანილი. თუ ასეთი კედელი არსებობდა ის, განსხვავებით ქვედა ნაწილისაგან, ორპირი მაინც უნდა ყოფილიყო.

სახლების გადახურვა ბანურია. სახურავის კონსტრუქციის მზიდი ელემენტის საყრდენად ხის მრგვალი ბოძებია გამოყენებული. ამაზე მიუთითებს კედლების შიდაპირის ძირთან და იატაკზე განლაგებული, ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ბრტყელი ქვები და პატარა ზომის ორმო-ბუდეები.

გადახურვის კონსტრუქცია ქვის კედლებს კი არ ეყრდნობოდა, არამედ კედლების გასწვრივ და სახლის ინტერიერში გამოვლენილ ქვის ბალიშებზე აღმართულ ხის ბოძებზეა დაყრდნობილი. გადახურვისათვის საჭირო საყრდენი ბოძების ასეთი განლაგება თრიალეთის (ზურტაკეტი, კუმჩი) შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებშია დადასტურებული.

სახლების ინტერიერი მარტივია. ისინი წარმოადგენს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის დარბაზებს, რომელიც სახურავის საყრდენი ბოძებით რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი. ერთ-ერთ კუთხეში კერა, ხოლო აღმოსავლეთ კედელთან ღუმელია გამართული. იატაკები თიხატკეპნილია, რომლებიც რამდენჯერმეა განახლებული. სახლები ერთხელ მაინცაა კაპიტალურად შეკეთებული. რომლის დროსაც გამოცვლილია საყრდენი ბოძები და ალბათ, სახურავიც.

ნამოსახლარზე მოპოვებული მასალები მიუთითებენ, რომ მოსახლეობას განვითარებული სოფლის მეურნეობა ჰქონია: მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი), საკვებად გამოიყენებოდა მრავალფეროვანი მცენარეული მასალა; მათი გადამუშავება ხდებოდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ხელსაფქვავეებითა და სანაყებით; ჰყავდათ შინაური საქონელი (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი). მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობას. ნანადირევს ძირითადად ირემი და კანჯარი წარმოადგენდა. კვების რაციონში შედიოდა ხორცი და ფაფები.

ჯინისის ნამოსახლარი დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ძეგლია, რომელიც „თრიალეთის კულტურის“ ფინალურ სტადიას მიეკუთვნება. ნამოსახლარის შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვერკვია ამ ეპოქის სამშენებლო ტექნიკა, ნაგებობათა არქიტექტურული ფორმა, ინტერიერი, გაგვერკვია ამ ეპოქის დასახლების ტოპოგრაფიის მთელი რიგი საკითხები.

ჯინისის ნამოსახლარი, ადრე და გვიანი ბრინჯაოს ხანის დასახლებებისაგან განსხვავებით გაშლილ მინდორზე, მდინარის პირასაა გაშენებული. თრიალეთის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფია ქვემო ქართლის ნამოსახლარების ტოპოგრაფიის საკითხების განხილვის საშუალებას იძლევა.

ქვემო ქართლი და თრიალეთი მცირე კავკასიონის ქედებით – ბამბაკი, თრიალეთი, სამსარი და გარე კახეთის ზეგანის ფერდობებით არიან გარშემორტყმული. კლიმატური პირობებით სამი ზონა გამოიყოფა: 1) ზომიერად მშრალი, 2) კონტინენტალური და 3) მკაცრი ზამთარი.

ქვემო ქართლი მდებარეობს მდ. მტკვრის შუა დინების აუზში და ორ ნაწილად იყოფა: ა) გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის დაბლობები (სიმაღლე 200-300 მ) და ბ) მდინარეების ქციის და ალგეთის ზეგანი (300-600 მ), აქ გამოყოფილია ბედენის პლატო (1600-1800 მ). მცირე კავკასიონის მთისწინეთი უკავია თრიალეთს, სადაც განლაგებულია მაღალმთიანი ზეგნები (წალკის, გომარეთის, ჭოჭიანის – 1400-1800 მ). ქვემო ქართლის ზეგნები თეთრინყაროს მიდამოებში სამხრეთისკენ არიან დაქანებული. ფართო ხეობები კი უშუალოდ ებჯინებიან ქვემო ქართლის დაბლობებს. მთისწინა ზოლი განლაგებულია ქვემო ქართლის მდინარეების შუა დინებაზე, მდინარეები სათავეს იღებენ მაღალ მწვერვალებსა და პლატოებზე.

რეგიონი ადამიანის მიერ უძველესი დროიდანაა ათვისებული და დასახლებული. პირველი სტაციონარული დასახლებები (შულავერი, არუხლო და სხვ.) გამოვლენილია მარნეულის და ბოლნისის დაბლობებზე და ძვ.წ. VI-V ათასწლეულებს მიეკუთვნებიან. შენობები ნაგებია ალიზის აგურით და თიხით. დასახლებები მდებარეობენ სამინათმოქმედო სავარგულეებში. დროის განმავლობაში, ნასახლარების განახლებისა და გაშენების შედეგად ბორცვის სახეს იღებენ. ამ ეპოქაში ისახება ნამოსახლარის, ერთიანი სისტემის გეგმარება, რომელიც ასახავს სოფლის, როგორც სოციალური ორგანიზაციის ძირითადი ტიპის ჩამოყალიბების პროცესს.

შემდეგ ათასწლეულებში (ძვ.წ. IV-III ათასწლეულები) ნამოსახლარები განლაგებულია როგორც ბარში (ყაითმაზი, კოდა), ასევე მთისწინა ტერასებზე (სიონი, ღრმახევისთავი, თაშ-ბაში, ავრანლო, ჭალა) და მდინარის ხერთვისებში (ბეშთაშენი), აგრეთვე მთის დამრეც კალთებზე (ოზნი, აბელია, სამშვილდე, თეთრინყარო). ნამოსახლარები და შესაბამისად სამაროვნები არასამინათმოქმედო ნაკვეთებზეა გამართული, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდით და პროდუქციის მატებით.

ძვ.წ. III ათასწლეულიდან ნამოსახლარების რეგულარული გეგმარება უფრო სრულყოფილი ხდება. დასახლებები იზრდება მოსახლეობის რიცხვის მიხედვით და დიდ ფართობს აღწევს. ჩნდება საცხოვრებლის ახალი ტიპი, სამშენებლოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის მასალა, რომელთა შორის დომინირებული ხდება ქვა.

ქვემო ქართლში შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები დღეისათვის ცნობილი არ არის. ამდენად, მათი ტოპოგრაფიის გარკვევა შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. საქართველოს სხვა რეგიონებიდან ამ ეპოქის ნამოსახლარები მხოლოდ კახეთიდანაა ცნობილი, სადაც ისინი მდინარისპირა ტერასებზე, მთების ფერდობებზე და დაბლობებშია განლაგებული.

ჯინისის ნამოსახლარი, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს მიეკუთვნება, მდ. გუმბათისწყალის მდინარისპირა ტერასაზე ყოფილა გაშენებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამოსახლარი წალკის მაღალმთიან ზეგანზე მდებარეობს, ის ვაკე ადგილზეა გამართული.

გვიანი ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის ნამოსახლარები ადრე ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფიის მსგავსია. მოსახლეობა ითვისებს და საცხოვრებლად იყენებს დაბალი მთების მწვერვალებსა და ფერდობებს. ძვ.წ. XV საუკუნიდან მცირე კავკასიონის მთიანეთში, მათ შორის ქვემო ქართლში ფართოდ ვრცელდება დასახლების ახალი ტიპი, რომელიც გამაგრებულია „ციკლოპური“ სასიმაგრო კედლებით (ბეშთაშენი, ახალდაბა, საბეჭდავი, კნოლე, სანთა, ოზნი, ბარეთი, აშკალა, გუმბათი, ავრანლო, ნარდევანი, აიაზმა). გვხვდება ნამოსახლარები, რომლებიც გამართული არიან სასიმაგრო კედლების გარეთ (ბარეთი, საბეჭდავი, კნოლე, გოხნარი), აგრეთვე ცალკე მდგომი სიმაგრეები (გუმბათი, ავრანლო, ჩხიკვთა, ნარდევანი). ამ ეპოქის დასაწყისში ისახება ქალაქური, ანუ პროტოქალაქური ტიპის ნამოსახლარები, რომელთაც უჩნდებათ გარე სასიმაგრო სისტემები.

ძვ.წ. VII-VI სს ვრცელდება სოფლის ტიპის დასახლებები (სასიმაგრო კედლების გარეშე), რომლებიც მდებარეობენ მთისწინა ვაკეზე (ახალდაბა, ნინწყარო).

ძვ.წ. XV-XIV სს. არქეოლოგიური ძეგლები ხუთ პუნქტში გამოვლინდა – სოფ. საფარ-ხარაბასთან (ბაიბურთი), ბეშთაშენის „ციკლოპურ“ ნამოსახლარზე, იმერაში, სანთასა და ოზნიში.

**საფარ-ხარაბას სამაროვანი.** სოფ. საფარ-ხარაბა (ბაიბურთი) მდ. ჩილ-ჩილის (ბაიბურთ-ჩაი) და მდ. ბაშქოვ-სუს ნაპირებზეა გაშენებული. მდინარეთა ხერთვისში ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი „ბეშთაშენის ციკლოპური ნამოსახლარი“ მდებარეობს. სოფელი მისგან ჩრდილოეთით 200-ოდე მეტრითაა დაცილებული.

სოფელს ახალი სახელი (საფარ-ხარაბა, ბაიბურთი) XIX ს-ში თურქეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა დაუმკვიდრეს. ისინი იმ ძველი ნასოფლარის ტერიტორიაზე დასახლდნენ, სადაც ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით სოფ. საბეჭდავი მდებარეობდა. სოფლის ტერიტორიაზე დღესაც დგას განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ბერძნებმა გადააკეთეს ან განაახლეს.

სოფლის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები XIX ს-ის მიწურულს და XX ს-ის დასაწყისში ე. თაყაიშვილმა ჩაატარა, რომელმაც შუა საუკუნეების ძეგლები გათხარა [Отчёт ... 1898: 111].

XX საუკუნის 30-იან წლებში ბ. კუფტინმა საფარ-ხარაბას მიდამოებში სამ პუნქტში იმუშავა:

1. 1938-1939 წლებში ადგილ „ბაიბურთუნ გარსიში“ სამი ყორღანი (XII, XIII, XIV) და ერთი ქვაყრილი შეისწავლა [ Куфтин 1939: 3 и сл.].

2. თანამედროვე სასაფლაოსთან 1939 წელს სამი ქვაყუთი გათხარა [Куфтин 1939: 27, 39-41; Жоржикашвили, Гогадзе 1974: 11-12].

3. ბაიბურთის მინდორზე ოთხი სამარხი გათხარა (ტაბ. II.). ეს სამარხები ჩვენს მიერ გათხრილი სამაროვნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. I<sub>2</sub>). სამწუხაროდ ბ. კუფტინის დღიურის ის ნაწილი, სადაც ბაიბურთის სამარხები უნდა ყოფილიყო აღწერილი, დაკარგულია (1937-1938 წწ. დღიურები). 1939 წლის დღიურში კი არსებითი არაფერია [Куфтин 1939]. დიდი ზომის ორი „ბაიბურთული“ სამარხი 15-18 მ დიამეტრის

ქვის წრეებით არის შემოზღუდული. დასაკრძალავი ორმოები საკმაოდ ფართოა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა ორიენტირებული. ადამიანის ძვლები თითქმის არ შემორჩენილა. მხოლოდ მათი ნაშთებით დგინდება, რომ მიცვალებული თავით ჩრდილოეთისაკენ იწვა. თავთან ჩვეულებრივ 3-7 თიხის ჭურჭელი იდგა. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ისინი სრულიად განსხვავებულია აქამდე ნალკაში აღმოჩენილი ჭურჭლებისაგან. არც ერთ ჭურჭელს ყური არ გააჩნია. ყველა მორგეზეა დამზადებული და მიუხედავად დიდი ზომებისა, საკმაოდ თხელკედლიანია. ბ. კუფტინი აღნიშნავს „არანაირი გარკვეული ადგილი ამ კერამიკას ჩემთვის ცნობილ სამხრეთ კავკასიურ სამაროვნებს შორის არ ეძებნება“ [Куптин 1941: 76]. კერამიკის გარდა დიდ სამარხებში სხვა ინვენტარი არ აღმოჩენილა, მცირე ზომის სამარხებში კი თეთრი და ცისფერი პასტის რამდენიმე მძივი, გახვრეტილი ქვა და სპილენძ-ბრინჯაოს საკინძი აღმოჩნდა. საკინძის თავი ჭვირულ სეკირას წარმოადგენს, რომელზეც ჯიხვის ფიგურა დგას.

ბ. კუფტინი ფრთხილობს ბაიბურთის სამარხების დათარიღებისას, თუმცა ზუსტად განსაზღვრავს მათ ადგილს და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისს შორის ათავსებს.

ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ოთხი სამარხი სამაროვნის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. სამარხთა ნუმერაციის გარკვევა დღეისათვის არ ხერხდება. გასარკვევია სამარხთა კომპლექსების შემადგენლობაც.

ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამარხები დღესაც კარგად ჩანს. ისინი პატარა ფერდობზეა განლაგებული. ქვანრიანი სამარხების წრეები სრულად არის შემორჩენილი. აქვე შეინიშნება დანარჩენი სამარხების ორმოთა კონტურებიც (ტაბ. II<sub>1</sub>). ყველაზე სამხრეთით დიდი ქვანრიანი სამარხი მდებარეობს. მისი წრის დიამეტრი 19 მ-ს უდრის (ბ. კუფტინის მიხედვით ქვედა სამარხი). მისგან ჩრდილო-დასავლეთით 12 მ-ის დაცილებით გამართულია მეორე სამარხი რომელსაც 14 მ დიამეტრის ქვანრე აქვს (ბ. კუფტინის მიხედვით ზედა სამარხი). ორმოსამარხები დიდი ქვანრიანი სამარხის დასავლეთით 4 მ-ის დაცილებით მდებარეობს. ეს სამარხები უშუალოდ მდ. ჩილ-ჩილის მარცხენა ნაპირზე, მდინარისპირა ტერასაზეა გამართული ისე, რომ სამაროვანს დასავლეთით მდინარე საზღვრავს. სამაროვანი განფენილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. მისი სიგრძე დაახლოებით 1,5 კმ-ია, სიგანე 0,4-0,5 კმ-ს უდრის.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა სამაროვანი შუაზე გაკვეთა (ტაბ. I<sub>2</sub>, II<sub>2</sub>). ენერგოდერეფანში გამოვლენილი სამარხების შესწავლა 2003-2005 წლებში მიმდინარეობდა [ნარიმანიშვილი 2006a].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე 2003 წელს გაითხარა 29 (№№ 1-29), 2004 წელს ორი (№№ 30-31), 2005 წელს 78 სამარხი (№№ 32-122); გასათხრელი დარჩა №№ 46, 57, 58, 60, 65, 66, 70, 102, 111-115 სამარხები და ნავთობისა და გაზის მილებს შორის (მილსადენის 119+350 კილომეტრიდან ვიდრე 120+600-მდე) მოქცეული სამარხები, რომელთა დანომვრა ვერ მოხერხდა.

**იმერას სამაროვანი.** სამაროვანი სოფ. იმერას აღმოსავლეთით, ბედენის ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ეს მონაკვეთი მკვეთრად ნაოჭიანია, რელიეფი დამრეცია და ჩრდილოეთისაკენ მიმართული. ფერდობებს მცირე ხეები და ნაკადულები კვეთს. სამარხები ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და მის ქვემოთ არსებულ მინდორზეა გამართული, რომელსაც წყალმცირე მდინარე ეგრიჩაი კვეთს, იგი სამხრეთიდან უვლის სამაროვანს და სოფ. იმერას გავლით ნალკის წყალსაცავს უერთდება. სამაროვნის ჩრდილოეთით თბილისი-ნალკის სამანქანო გზა გადის. აქვეა ორი ნახევრად დამშრალი ტბაც.

სამაროვანი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას (მილსადენის 109 და 110-ე კილომეტრებზე) გამოვლინდა [ნარიმანიშვილი 2005].

სამარხები ორ ჯგუფად მდინარის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. როგორც ჩანს, სამარხთა გამოვლენილი ჯგუფები ორ სამაროვანს განეკუთვნება, რომელთა მხოლოდ მცირე, პერიფერიული ნაწილი მოხვდა მშენებლობის ზონაში. გაითხარა 7 სამარხი (ტაბ. III<sub>4</sub>), მათ შო-

რის 2 ძლიერ დაზიანებული. 5 მათგანი (№№ 1-5) მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (110-ე კმ), 2 კი (№№ 6-7) – მარცხენაზე (109-ე კმ).

**ბეშქენაშენის (ბეშთაშენის) „ციკლოპური“ ნამოსახლარი.** ნამოსახლარი სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-დასავლეთით 0,2 კმ-ის დაცილებით, მდ. ჩილ-ჩილისა და მდ. ბაშკოვ-სუს ხერთვისში მდებარეობს (ტაბ. XXVII<sub>3</sub>). ამ მდინარეთა ღრმა კანიონებს შორის მოქცეული ფართობი (დაახლ. 20 ჰა), სოფ. საფარ-ხარაბას სამხრეთით მდებარე შემადღებისაგან ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი, რომლის სამხრეთ კიდედან „ციკლოპური“ კედელია აშენებული ისე, რომ ორმხრივ ბუნებრივად დაცული ფართობი (დაახლ. 4 ჰა), ჩრდილოეთიდან ხელოვნურადაა შემოზღუდული და გამაგრებული. ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილი მდ. ბეიუკ-ჩაის (ბაშკოვ-სუ) და ჩილ-ჩილის (გერიაკ ჩაი) ხერთვისში არსებულ კლდოვან ბორცვზე, ზღვის დონიდან 1550 მ სიმაღლეზეა გაშენებული.

აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ბეშთაშენის ქვაბულისა და კარიაკ-ბაშქოის ქვაბულის გამყოფი ქედის ყველაზე დაბალ ადგილს წარმოადგენს. სწორედ აქ გადის ქვაბულებს შორის დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც შემდეგ თრიალეთის ქედზე არსებული გადასასვლელებისაკენ მიემართება. ბეშთაშენის ქვაბულში კი თავს იყრის თრიალეთზე გამავალი ყველა გზა. ამდენად ბეშქენაშენის „ნაქალაქარი“ მოხერხებულ ადგილზეა გამართული. ეს არის ალბათ იმის მიზეზი, რომ ეს ტერიტორია ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით ინტენსიურად ყოფილა ათვისებული.

ნამოსახლარზე პირველი არქეოლოგიური გათხრები ბ. კუფტინმა 1939 წელს ჩაატარა. ნამოსახლარის ტერიტორიაზე მან ოთხი თხრილი გაავლო: პირველი თხრილი მთავარ კედელთან გაავლო, სადაც ყველაზე მძლავრი კულტურული ფენა დადასტურდა. კედლის შიდა მხარეს ფენები 3,5 მ, ხოლო გარეთ, ძველი, ხელოვნური თხრილის მხარეს, 1,8 მ სიღრმეზე ჩადიოდა, რომელიც ძირითადად შუა საუკუნეების მასალით იყო შევსებული. კედლის შიდა მხარეს, 2 მ სიღრმეზე, დიდი ზომის ჭურჭელი აღმოჩნდა, რომლის ქვეშაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა დადასტურდა. გათხარა ძველი, ხელოვნური თხრილის დასავლეთი ნაწილიც (მეორე თხრილი), სადაც კულტურული ფენა 3,0 მ აღწევდა. ეს ფენა ნახშიროვანი ზოლით ორად იყო გაყოფილი. ზედა ფენაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ზედაპირი მონითალო-ოქრისფრად იყო შეღებილი, რითაც ისინი, ბ. კუფტინის აზრით, ყორღანებში აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლების შეფერილობას ემსგავსება, ოღონდ უფრო უხეში ტიპისაა. ქვედა ფენა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკას შეიცავდა [Куфтин 1941: 109]. მესამე თხრილი ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გაავლო (ჩვენს მიერ შესწავლილი ნაკვეთი კუფტინის მიერ გავლებულ თხრილს ებჯინება და მისი გაგრძელებაა). ზედა ფენა შუასაუკუნეების მასალას შეიცავდა, მომდევნო კი გერიაკ-ჩაის მარჯვენა სანაპიროზე გათხრილი გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნის ანალოგიურ კერამიკას შეიცავდა. ქვედა ფენები კი ადრეპრინჯაოს ხანას მიეკუთვნებოდა [Куфтин 1941: 110-112]. მეოთხე თხრილი მხოლოდ შუასაუკუნეების მასალას შეიცავდა [Куфтин 1941: 109]. ჩატარებული სამუშაოების შედეგად ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ უძველესი ფენა აღმოჩნდა გვიანი და შუაპრინჯაოს ხანის ფენების ქვეშ და ციკლოპური კედლის საფუძვლის დონეზე დაბლა მდებარეობდა [Куфтин 1941: 107].

ბეშქენაშენის ნამოსახლარზე სამუშაოები 1991 წელს განახლდა. გათხრების მიზანი იყო ნამოსახლარის ფენებისა და „ციკლოპური“ ზღუდის ურთიერთმიმართების გარკვევა. ამ მიზნით ნამოსახლარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მოქცეული ორი ნაკვეთი (XVII, LXVIII ნაკვეთები) შეირჩა (ტაბ. XXVII<sub>3</sub>), რომელიც მოიცავს თავდაცვით კედელს და ბ. კუფტინის მიერ გავლებულ მესამე თხრილამდე დარჩენილ ფართობს [ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004: 126, ტაბ. CCXII].

„ციკლოპურ“ ნამოსახლარზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დღეისათვის რვა კულტურული ფენა დაფიქსირდა:



1. მეზოლითური ფენა (1991 წლის გათხრები) სიმაგრის სამხრეთით 100 მ დაცილებით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე, მინის ზედაპირიდან 3,0 მ სიღრმეზე მდებარეობს. არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია ობსიდიანისა და კაჟის მიკროლითებით.

2. მტკვარ-არაქსის ეპოქის ფენები გამოვლენილია როგორც სიმაგრის ტერიტორიაზე (1939 და 1993 წწ. გათხრები), ისე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მდ. ჩილ-ჩილის მარჯვენა ნაპირზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე.

3. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ნამოსახლარის ნაშთები სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამოვლინდა (1939 და 1991-93 წწ. გათხრები).

4. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები გამოვლენილია სიმაგრის ტერიტორიაზე და მდ. ჩილ-ჩილის მარჯვენა ნაპირზე (1939 და 1991-93 წწ. გათხრები).

5. ძვ.წ. VII-VI სს. სამაროვანი სოფ. ბეშთაშენიდან სოფ. საფარ-ხარაბასაკენ მიმავალ გზასთან, მშრალი ხევის ნაპირზე გამოვლინდა (1995-99 წწ. გათხრები).

6. ძვ.წ. V-IV სს. სამაროვანი უშუალოდ სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა გამართული (1939 წლის გათხრები).

7. ძვ. წ. IV-I სს. ნამოსახლარი და სამაროვანი (1991-99 წწ. გათხრები) „ციკლოპური“ ნამოსახლარის სამხრეთით, 100 მ დაცილებით, მდ. ბაშკოვ-სუს მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

8. შუა საუკუნეების ნამოსახლარი ძირითადად სიმაგრის შიდა ტერიტორიაზე გამოვლინდა (1939, 1992-93 წწ. გათხრები).

1991 წელს ჩატარებული სამუშაოების დროს ძვ.წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური ნაშთები LXVII და LXVIII ნაკვეთებში აღმოჩნდა. გამოვლენილი ნაგებობებიდან № 1 სახლი მთლიანად, № 2 კი ნაწილობრივ გაითხარა. ამ სახლების აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ძლიერაა დაზიანებული და ნაგებობათა კედლები მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა დარჩენილი.

**№ 1 სახლი** მდებარეობს XVII ნაკვეთის 6,9,12 და LXVIII ნაკვეთის 4,7,10 კვადრატებში (ტაბ. XXVII<sub>3</sub>). კედლები ნაგებია ბაზალტის ნატეხი ქვით, რომელთა მაქსიმალური, შემორჩენილი სიმაღლე 0,8 მ-ს აღწევს. სამხრეთი კედლის სიგრძე 7,2 მ-ია, ჩრდილოეთი კედლისა 6,75 მ. მისი აღმოსავლეთი ნაწილის გარეპირი დაზიანებულია, კედლის მაქსიმალური სიგანე 1,5 მ-ია, მინიმალური 1,0 მ, კედლის ცენტრში 0,9 მ სიგანის ნიშაა გამართული. დასავლეთი კედლის სიგრძე 6,75 მ-ია, სიგანე 1,0 მ. აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 6,5 მ-ია, კედლის წყობაში დედაქანის ქვებია ჩართული, ამის გამო კედელი ოდნავ დეფორმირებულია, მისი სიგანე სამხრეთ ნაწილში 1,5 მ უდრის, ჩრდილოეთ ნაწილში კი 1,0 მ-ია. სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში შესავლელი კარის ღიობია დატოვებული. დასავლეთი კედლის გასწვრივ შემორჩენილია ქვის ფილებით მოგებული იატაკის (ზღვე?) ნაშთი. კედლების სიგანის ასეთი სხვაობა, როგორც ჩანს, სახლის კაპიტალური გადაკეთების შედეგია. სახლის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედლები კი გვიანდელი შეკეთების შედეგი უნდა იყოს. სახლის აღმოსავლეთ კედელს ჩაჭრილი აქვს ქვის ფილებით მოგებული იატაკი (LXVIII ნაკვეთის მე-5 კვადრატი). სახლში არქეოლოგიური მასალა სამი დონიდან იქნა აღებული: I დონეს მიეკუთვნა კედლის ზედა დონიდან 0,3 მ სიღრმემდე აღმოჩენილი მასალა, II დონეს – 0,3-0,6 მ შორის მოპოვებული მასალები, III დონე კი იატაკზე დაფიქსირდა.

**№ 2 სახლი** № 1 სახლზეა მიდგმული, მათ საერთო კედელიაქვთ. № 2 სახლი მდებარეობს LXVII ნაკვეთის 6, 9, 12-ე კვადრატებში, გათხრილია ნაწილობრივ (ტაბ. XXVII<sub>3</sub>). ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები ძლიერაა დაზიანებული, თხრილის დასავლეთ ნაწილში ქვის ფილებით მოგებული იატაკის ნაშთი გამოვლინდა. სახლში არქეოლოგიური მასალა სამი დონიდან იქნა აღებული: I დონეს მიეკუთვნა კედლის ზედა დონიდან 0,3 მ სიღრმემდე დაფიქსირებული მასალა, II დონეს – 0,3-0,6 მ-ს შორის მოპოვებული მასალები, III დონე იატაკზე დაფიქსირდა.

სახლებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა კარგად განლექილი თიხისაა, კეცი შავი ან მონაცრისფროა, ზედაპირი კარგადაა დამუშავებული და გაპრიალების კვალი ემჩვენება. ნაწილი კერამიკისა შემკულია ამოღარული, კონცენტრული ხაზებით; ორ ხაზს შორის მოქცეული ტალღისებური ორნამენტით; სოლისებური შტამპით; ბადების და ჯამების პირებზე დატანილია ნერტილოვანი ან თევზიფხური ორნამენტები, კიდეებზე კი ტალღისებური ორნამენტი შემოსდევს. ნამოსახლარის კერამიკა კუფტინის მიერ აქვე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლების ანალოგიურია [Куптин 1941: 65-75, სურ. 67, 82, 83, ტაბ. XLVIII]. ბემთაშენის სამაროვანი, როგორც ცნობილია ძვ.წ. XIII-XII სს-ით თარიღდება [Abramishvili 2003: 24, 26].

ბემქენაშენის ნამოსახლარის გათხრებისას კულტურული ფენების ნაშთები LXVIII ნაკვეთის მე-12 და XIX ნაკვეთის მე-4 და მე-10 კვადრატებში დაფიქსირდა. LXIX ნაკვეთის მე-4 კვადრატში გამოვლენილი ფენა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, რომელსაც ძლიერი ცეცხლის მოქმედების კვალი ემჩვენება. ეს ფენა „ბაიბურთული“ ტიპის კერამიკის მცირე ფრაგმენტებს შეიცავს და ნამოსახლარის დამცავ „ციკლოპურ“ კედელს უშუალოდ საძირკველს ებჯინება.

ასეთივე მასალის შემცველი ფენა XIX ნაკვეთის მე-10 ნაკვეთშიც დადასტურდა, რომლის გათხრის შემდეგ № 3 სახლის ნაშთები დაფიქსირდა.

**№ 3 სახლი** LXVIII ნაკვეთის მე-12 და XIX ნაკვეთის მე-10 კვადრატში მდებარეობს (ტაბ. XXVII<sub>3</sub>). 0,1 მ სისქის ფენის მოხსნის შემდეგ სახლის ფრაგმენტი გამოვლინდა. შემორჩენილია რიყის ქვის ცალპირი წყობით ნაგები ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. სამხრეთ-დასავლეთი კედლის შემორჩენილი სიგრძე 1,2 მ-ს, ჩრდილო-დასავლეთისა კი 1,9 მ-ს აღწევს. სახლის ძირითადი ნაწილი ეროზიის შედეგადაა მონგრეული.

კედლის პირიდან 0,2 მ სიღმეზე თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი დაფიქსირდა, რომლის ფართობი 5,5x6,5 მ-ს უდრის (A დონე). ეს დონე შავი მიწის ფენითაა შევსებული. თიხატკეპნილ იატაკს ნაცარ-ნახშიროვანი თხელი ფენა ადევს, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. იატაკი უშუალოდ ადევს ნაცარ-ნახშიროვან ფენას (B დონე), რომლის მოტკეპვნის შედეგადაცაა წარმოქმნილი A დონის იატაკი. იატაკს ალაგ-ალაგ მოლესვის კვალი ეტყობა. ასეთივე იატაკი 0,3 მ ფენის ალების შემდეგაც გამოვლინდა. ამ დონის (B დონე) იატაკიც ზემოთ აღწერილ კედლებს ებჯინება. ფენა მთლიანად შევსებული იყო ნაცარითა და ნახშირით, რომელშიც შერეული იყო ცხოველის ძვლები (ძირითადად მსხვილფეხა საქონლის, მცირე რაოდენობით წვრილფეხა საქონლის) და კერამიკის ფრაგმენტები. კედლის პირიდან 0,7 მ და B დონის იატაკიდან 0,2 მ სიღმეზე კლდოვანი დედაქანია, რომლის უსწორმასწორო ზედაპირი ნაცროვანი მასითაა მოსწორებული და გადალესილი (C დონის იატაკი). ქვის კედელი ამ დონემდე ჩადის და საფუძვლად კლდოვანი დედაქანი აქვს. C დონის იატაკი კარგად ყოფილა მოსწორებული და დატკეპნილი. იგი ნაწილობრივ დაზიანებულია, ალაგ-ალაგ ბუნებრივი ქვებია ამოჩრილი. იატაკზე დიდი რაოდენობით ნაცარი ყრია, რომელშიც კერამიკის ფრაგმენტები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები ურევია. აქვე აღმოჩნდა ერთილიქიანი ცხოველის ფეხის და ცხენის ძვლები.

ამდენად, სახლის კედლის პირიდან კლდოვან დედაქანამდე სამი დონე, შესაბამისი იატაკებით, იქნა გამოვლენილი (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სულ ზედა ფენაში, რომლის სიმძლავრეც 0,1 მ-ია, აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი სახლში გამოვლენილი მასალების მსგავსია). როგორც ჩანს სახლი რამდენჯერმე იყო გადაკეთებულ-განახლებული. სახლში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი კერამიკული მასალა დანაწევრებული დათარიღების საშუალებას არ იძლევა. ისინი საფარ-ხარაბას სამაროვანზე მოპოვებული ჭურჭლების ანალოგიურია. C დონის მასალებში შეინიშნება გარკვეული განსხვავებაც, ესაა სქელკეციანი უხეში ჭურჭელი (ტაბ. XXVII<sub>4</sub>). ეს ფაქტი ამ ძეგლების განსხვავებული ფუნქციით ან თარიღით შეიძლება აიხსნას. საყურადღებოა, რომ ბემქენაშენ-

ნის ნამოსახლარის ჩრდილოეთით, სოფ. საფარ-ხარაბასთან გათხრილ ვრცელ სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი № 3 სახლში აღმოჩენილი კერამიკის იდენტიურია. ამ ფაქტისა და ამ ორი ძეგლის ერთმანეთთან ახლოს მდებარეობის გამო მიგვაჩნია, რომ ბეშქენაშენის „ციკლოპური ნაქალაქარის“ მოსახლეობა საფარ-ხარაბას სამაროვანზე იკრძალებოდა.

ბეშქენაშენის თავდაცვითი კედელი ძლიერაა დაზიანებული. XX ს-ში კედლები დაშალეს, ქვები სამეურნეო და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოიყენეს. ბ. კუფტინისა და ჩვენს მიერ ჩატარებული გათხრების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვითი კედლის სიგანე LXVII და LXVIII ნაკვეთებში 3,0-3,5 მ-ია, ხოლო XIX ნაკვეთში 4,0-4,2 მ-ს უდრის. კედლის შიდა, სამხრეთით მიმართული პირი სწორხაზოვანია და თითქმის აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი. გარეპირი კი ტეხილია. ეს ან მშენებლობის თავისებურების, ან გვიანდელი დაზიანების შედეგი შეიძლება იყოს.

№ 1 და № 2 სახლების ჩრდილოეთი კედლები თავდაცვითი კედლის პარალელურადაა გამართული, ისე, რომ მათ შორის გასასვლელია დატოვებული. რაც, თავდაცვითი კედლისა და სახლების ერთდროულად ფუნქციონირებაზე უნდა მიუთითებდეს.

თავადაცვითი კედლის ჩრდილოეთით ღრმა თხრილი ყოფილა, რომელიც მდ. ბაშკოვ-სუს ნაპირიდან მდ. ჩილ-ჩილის ნაპირამდეა გაჭრილი. ბ. კუფტინის მიერ ჩატარებული სამუშაოების [Куфтин, 1941: 109] მიხედვით ირკვევა, რომ თხრილის სიღრმე 3,0 მ მაინც უნდა ყოფილიყო. თავდაცვით სისტემას აძლიერებდა თხრილის ჩრდილოეთით არსებულ შემალლებაზე გამართული კედელი [Куфтин 1941: 108], რომელიც დღეს აღარ არსებობს.

საინტერესოა თხრილის და თავდაცვითი კედლის ურთიერთმიმართება. თხრილის ქვედა ფენები ადრებრინჯაოს ხანის მასალებს შეიცავს, რომლის ზემოთ ბედენური კულტურის ფენები დაფიქსირდა, სულ ზედა, 2,0 მ სიმძლავრის ფენა კი, შუასაუკუნეების ნაყარითაა შევსებული. მიუხედავად მცირე მონაცემებისა ვფიქრობთ, რომ თავდაცვითი თხრილი ადრებრინჯაოს ხანაშია გაჭრილი, ხოლო „ციკლოპური“ კედელი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში აიგო და ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა.

**სანთის „ციკლოპური“ სიმაგრე.** სანთის ციკლოპური სიმაგრე განლაგებულია სოფ. სანთის ჩრდილოეთით განოლილი ქედის თხემზე და კალთებზე (ტაბ. XXVIII<sub>1</sub>). სასიმაგრო კომპლექსი ორი, ზედა და ქვედა ნაწილისაგან შედგება. ზედა სიმაგრე უშუალოდ თხემზეა გაშენებული და მის კონფიგურაციას ემთხვევა. სიმაგრის სიგრძე 1300 მ-ს აღწევს, სიგანე 70-130 მ-ს შორის მერყეობს.

ნამოსახლარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენაა ნაგრძელებული და რამდენიმე გამოცალკევებული უბნისაგან შედგება. მათ შორის გამოკვეთილი ადგილი უკავია ერთიან ზღუდეში მოქცეულ ცენტრალურ უბანს. სიმაგრის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაუმარგებელი უბნებია განთავსებული. შთამბეჭდავია თხემის ცენტრში აგებული კედელი, რომელიც ცენტრალურ უბანს ორ ნაწილად ყოფს. კედლის სიგრძე 100 მ-მდეა, სიგანე 5-6 მ-ია, შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე კი 2,0 მ-ს უდრის. კედელში კარიბჭეა დატოვებული, რომლის ერთ მხარეს კიბეებიანი კოშკი ყოფილა აგებული.

ნაგებობები და დამცავი კედლები აგებულია ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზედა სიმაგრე ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება.

ზედა სიმაგრის ცენტრალური ნაწილის, სამხრეთით, პირველსავე ტერასაზე დიდი ზომის ბაზალტის ქვების მშრალი წყობით ნაგები ციხე-სიმაგრე დგას. სიმაგრე გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, რომლის სამხრეთ კედელში სამი კოშკია გამართული.

სიმაგრის შიდა სივრცეში ბ. კუფტინმა 1936 წელს ერთი თხრილი გაავლო [Куфтин 1936], რომელიც ოთხ ფენას შეიცავდა: 1. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,2 მ სიღრმემდე ჰუმუსური ფენა არქეოლოგიურ მასალას არ შეიცავდა; 2. 0,2-0,45 მ შორის მოქცეულ ფენაში დიდი რაოდენობით

ნითლად გამომწვარი კერამიკა აღმოჩნდა. აქ აღმოჩენილ ყურმილიანი ჭურჭლის ნატეხს ბ. კუფტინი სავარაუდოდ შუა საუკუნეებით ათარიღებს. მასალაზე დაკვირვება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ეს ფენა ანტიკურ ეპოქას მიეკუთვნება; 3. მესამე ფენა 0,45-0,8 მ-ს შორისაა. აქ მოპოვებული კერამიკის დიდი ნაწილის კეცი ნაცრისფერია და კარგადაა გამომწვარი. ზედაპირი გაპრიალებულია. ზოგიერთი მათგანი ჭადრაკული ორნამენტითაა შემკული. კერამიკის მეორე ჯგუფის კეცი უხეშია და ობსიდიანის მინარევებს შეიცავს. ამ ფენაში მოპოვებული მასალა ზედა სიმაგრეზე, აგრეთვე სხვა „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კერამიკის მსგავსია და ძვ.წ. XIII-XII სს. მიეკუთვნება; 4. მეოთხე ფენა ყველაზე მძლავრია. ის 0,8 მ სიღრმეზე იწყება და 1,7 მ-მდე გრძელდება. ამ ფენის ზედა დონეზე გამოვლინდა დიდი ქვებით ნაგები მძლავრი კედელი, რომელმაც თხრილის უძრავ ფენამდე ჩასვლის საშუალება არ მისცა არქეოლოგებს. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ კედელი 1,7 მ სიღრმემდე დაფიქსირდა, თუმცა მონითალო-მონაცრისფრო გადამწვარი ფენა უფრო ღრმადაც გრძელდებოდა [Куптин 1936]. სწორედ ეს ფენაა საფარ-ხარაბას სამაროვნისა და ბემქენაშენის ნამოსახლარის თანადროული.

**ოზნის ნამოსახლარი.** საფარ-ხარაბას სამაროვანზე მოპოვებული ჭურჭლების ანალოგიური კერამიკა ბ. კუფტინმა ოზნის „ციკლოპური“ სიმაგრის სამხრეთ ტერასაზე განთავსებული ნამოსახლარის გათხრებისას აღმოაჩინა.

“ციკლოპური“ სიმაგრე მდებარეობს სოფ. ოზნის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალ პლატოზე. ძველი წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება ცენტრალური ნაწილისაგან (სიმაგრე), მის შიგნით და გარეთ არსებული დასახლებისაგან (ტაბ. XXVIII<sub>2</sub>). სიმაგრე გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობისაა, რომელსაც დღეისათვის სამი შესასვლელი აქვს. ორი შესასვლელი ჩრდილოეთ კედელშია დატოვებული, ერთი კი დასავლეთის კედელში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავდაპირველად კარიბჭე მხოლოდ დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო გაჭრილი. სიმაგრის კედლები ნაგებია დაუმუშავებელი ბაზალტის ლოდებით და ე.წ. პერანგული წყობა ახასიათებს. შიდა ტერიტორია მთლიანად ძველ დასახლებას უკავია, სამხრეთ ნაწილში მოწყობილია საქონლის შესარეკი თანამედროვე ბაკი. სიმაგრის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები აიკრიფა.

სიმაგრის აღმოსავლეთით ტერასულად განლაგებულია ძირითადი სამოსახლო, რომელიც თანამედროვე სოფლის ფარგლებშიც შედის.

ცენტრალური გამაგრებული ნაწილის დასავლეთით, ძველი შესასვლელის პირდაპირ, კიდევ ერთი სიმაგრეა გამართული. იგი, თავისი მშენებლობის ტექნიკით, აშკარად განსხვავდება ცენტრალური სიმაგრისაგან. მისი კედლები მთლიანად დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა ნაგები და ერთმანეთზე მჭიდროდაა მორგებული. ასეთივე ტექნიკითაა ნაგები იმ დასახლების სახლები, რომლებიც მეორე სიმაგრეს სამხრეთიდან ეკვრის და ასევე ტერასულად ეშვება სოფლისაკენ. პირველი და მეორე სიმაგრეების კედლების მშენებლობის ტექნიკის განსხვავება მათი ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას.

ბ. კუფტინმა გათხრები სამხრეთი ფერდობის ძირში, მდ. ოზნის წყლის მარცხენა ნაპირზე ჩაატარა, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის მძლავრი ნამოსახლარი დაადასტურა. აქვე მიაკვლია საფარ-ხარაბაში (ბაიბურთი) გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლების ანალოგიური კერამიკის შემცველ კულტურულ ფენებს [Куптин 1948: 35-36]. ჩემი აზრით ამ ფენის თანადროული უნდა იყოს ოზნის მეორე „ციკლოპური“ სიმაგრე.

**ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა არქიტექტურა და მშენებლობის ტექნიკა.** თრიალეთის ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III-I ათასწლეული) არქიტექტურა სამი ძირითადი ტიპითაა წარმოდგენილი: ძელური, თიხის და ქვის.

საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, მათ შორის თრიალეთში ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ძირითად სამშენებლო მასალად დაუმუშავებელი ქვები გამოიყენება. ქვით ნაგებ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი „ციკლოპურ“ არქიტექტურას უკავია. ნაგებობების მონუმენტურობა და ნამოსახლართა დიდი მასშტაბები აშკარად გამოარჩევს მათ სამხრეთ კავკასიის სხვა

ძეგლებისაგან. საქართველოს „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია როგორც საცხოვრებელი, ისე დასახლებათა სასიმაგრო კედლების ან ცალკე მდგომი სიმაგრეების დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით უდულაბოდ შენება.

მშენებლობის ამგვარი ტექნიკა სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულიდანაა გავრცელებული, თუმცა უძველეს დასახლებებს „ციკლოპური“ ნიშნით ნაგები თავდაცვითი კედლები არ გააჩნია. მშენებლობის ეს ტექნიკა ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების შემდეგ თითქმის აღარ გვხვდება. ქვა გამოიყენება მხოლოდ ნაგებობათა კედლის საფუძვლის გასამართად, რომელზეც ზემოდან ალიზის აგურია დაწყობილი. ამავე დროს წინა პლანზე გამოდის ხის არქიტექტურა. ხე გამოიყენება როგორც კედლის არმირებისათვის, ისე პერანგული ნიშნისათვის. შემავსებლად გამოყენებულია წვრილი ქვა და ალიზის მასა. ამავე დროს იწყება დამუშავებული ქვის გამოყენება.

შუა საუკუნეებში, სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში სოფლებს და მსხვილ დასახლებებსაც ახასიათებს მშრალი ნიშნობა, მაგრამ არ გააჩნია მშრალი ნიშნით ნაგები სიმაგრეები ან სასიმაგრო სისტემები. ამდენად, „ციკლოპურ“ ნამოსახლარებსა და სიმაგრეებს მივაკუთვნებთ მხოლოდ იმ ძეგლებს, რომელთაც მშრალი ნიშნით ნაგები თავდაცვითი კედლები აქვთ.

„ციკლოპურ“ ნამოსახლართა თავდაცვითი კედლები რელიეფს მიუყვება. მშენებლები კარგად იყენებდნენ ბუნებრივად გამაგრებულ ადგილებს. ამასთან ერთად, ვაკე ადგილებზე ჭრიდნენ თავდაცვით თხრილებს, კლდოვანი ბორცვების ფერდების ჩამოკვეთით კი ზრდიდნენ სასიმაგრო კედლის სიმაღლეს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავდაცვით სისტემებს და მარტივ სიმაგრეებს კოშკები არ გააჩნიათ.

ამ ტიპის ნამოსახლარების თარიღის და რაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი [Ханзадия 1969: 23; Есаян 1976: 7-18] მათ წარმოშობას ძვ.წ. III ათასწლეულიდან ვარაუდობს. ს. ესაიანის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში შესწავლილი „ციკლოპური“ სიმაგრეების ნაწილში მხოლოდ ერთი, ძვ.წ. III ათასწლეულის ფენა დადასტურდა [Есаян 1976: 17-18], ამ ეპოქის ფენები თრიალეთში ბემქენაშენის და თეზის „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზეც გამოვლინდა [Куртин 1941: 108, 115, 117; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996]. თუმცა ამ ფენებისა და „ციკლოპური“ ნიშნით აგებული სასიმაგრო სისტემების თანადროულობის საკითხის გადაწყვეტა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს.

ბემქენაშენის ნამოსახლარის გათხრების შედეგები მიუთითებენ, რომ ნამოსახლარების „ციკლოპური“ კედლით შემოზღუდვა, როგორც ჩანს, ძვ.წ. XVI-XIV სს-ში იწყება (ბემქენაშენი). მომდევნო ეპოქაში კი „ციკლოპური“ ტექნიკით ნამოსახლარებისა და სიმაგრეების შენება დიდ მასშტაბებს აღწევს [შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 1996; ნარიმანიშვილი, შანშაშვილი 1997; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1998; Ханзадия 1969; Есаян 1976; Нариманишвили, Шаншашвили 2000; Narimanishvili, Shanshashvili 1997; Narimanishvili, Schanshashvili 2001; Narimanishvili, Shanshashvili 2001a].

დღეისათვის, თრიალეთის პლატოზე გათხრილი „ციკლოპური“ ნამოსახლარების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის ძეგლები ძვ.წ. XVI საუკუნიდან არსებობენ (ბემქენაშენი), ძვ.წ. XIII-VII საუკუნეში კი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ (საბექდავი, კნოლე, ცრიცი, ბარეთი, ახალდაბა, ლოშო, სომხეთის ძეგლები).

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გამოვლენილ „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე და სიმაგრეებზე ჩატარებული სამუშაოები და გამოკვლევები ნათლად მიუთითებენ, რომ ძვ.წ. XVI-V სს-ში ამ ტიპის ძეგლებს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გაბატონებული ადგილი უკავია. მათი უმეტესობა ძვ.წ. XIII-VIII სს. მიეკუთვნება. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მათი მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

„ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე დაფიქსირებული განსხვავება მათ იერარქიაზე მიუთითებს, რაც აშკარად გვიჩვენებს საზოგადოების რთულ სტრუქტურასაც. თრიალეთში შესწავლილ „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე (უნჯლო, ბარეთი, საბექდავი, ახალდაბა, კნოლე) წარმოდგენილია სი-

ტუაცია, როდესაც გვაქვს ციტადელი, ან რამდენიმე გამაგრებული ნაწილი, მათ გარშემო არსებული გაუმაგრებელი ან ნაკლებად გამაგრებული დასახლება. უმეტეს შემთხვევაში ციტადელის გარეთ არსებული ნაკლებად გამაგრებული ნამოსახლარი მძლავრი კედლებითაა გამოყოფილი ციტადელისაგან, თვით ციტადელი კი ორ ან სამ ნაწილადაა გაყოფილი (საბეჭდავი, კნოლე, უწყლო, ახალდაბა, კოხაჯი). ახალდაბაში ციტადელი ორ, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად იზოლირებულ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთაც დამოუკიდებელი შესასვლელები აქვთ. სიმაგრის გარეთ არსებულ დასახლებასთან მხოლოდ ციტადელის ერთი ნახევარია დაკავშირებული. ეს ფაქტი, შეიძლება, არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სამხედრო იერარქიაზეც მიუთითებდეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრეების ძირითადი ფუნქცია სამხედრო კონტროლი და სუსტად გამაგრებული თუ გაუმაგრებელი პუნქტების მოსახლეობის და დოვლათის დაცვა იყო.

დიდი „ციკლოპური“ დასახლებები რთულ კომპლექსებს წარმოადგენს. მათი ძირითადი მახასიათებელი ნიშანია მძლავრი გალავანი და ციტადელი, რეგულარულად დაგეგმარებული საცხოვრებელი კვარტლები. ისინი, როგორც წესი, რამდენიმე გამაგრებულ მონაკვეთს (საბეჭდავი, თეზი, ლოშო), ან ერთიანი გალავნის შიგნით მოქცეულ გამაგრებულ მონაკვეთებს (უწყლო, ბარეთი, ახალდაბა) შეიცავენ და ცენტრალური, ერთიანი დაგეგმარების პრინციპით არის აშენებული. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ძირითადად გალავნის შიგნითაა მოქცეული. გალავნის გარეთ დასახლების გაჩენა, როგორც ჩანს, ოდნავ მოგვიანოდ ხდება, მაშინ როდესაც მოსახლეობა გალავნის შიგნით ვეღარ ეტევა ან არასტაბილური მდგომარეობის გამო გამაგრებული ადგილის სიახლოვეს სახლდება. შიდა ციხის არსებობა კი მმართველი ფენის საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფის მანიშნებელია. „ციკლოპურ“ ნამოსახლართა დაგეგმარების პრინციპები ურბანიზაციის მაღალი დონის მაჩვენებელია, რაც ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

დიდი „ციკლოპური“, მრავალფენიანი დასახლებები (ბეშქენაშენი, თეზი, ლოშო, ბარეთი) სტრატეგიულ ადგილებში, თრიალეთიდან მეზობელი რაიონებისაკენ მიმავალ ძირითად გზებზე მდებარეობს. მხოლოდ ამ ძეგლებზე შეინიშნება ცხოვრების ხანგრძლივი კვალი. ყველა მათგანზე (გარდა ბარეთისა) მტკვარ-არაქსული ფენებიცაა დადასტურებული. შუაბრინჯაოს ხანის ფენები კი, თითქოს მხოლოდ ბეშქენაშენის ნამოსახლარზე შეინიშნება, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ყველა მათგანი ინტენსიურადაა ათვისებული. ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ზოგიერთი მათგანი (მაგ. ცრიცი) არსებობას წყვეტს, სამაგიეროდ ჩნდება ახლები (მაგ. კნოლე).

ცალკე მდგომი სიმაგრეები, როგორც ჩანს ფორპოსტებს წარმოადგენდა, იცავდა რა ერთ გარკვეულ მონაკვეთს, იმავდროულად „ციკლოპური“ ძეგლების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე გზებსაც აკონტროლებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალკე მდგომი სიმაგრეები ცენტრალური ხელისუფლების მიერ შექმნილ თავდაცვის სისტემაში იყო ჩართული, რომელსაც ალბათ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციები ჰქონდა ვიდრე ერთი, კონკრეტული რეგიონის დაცვა იყო.

**სამარხთა აღწავლა და დაკრძალვის წესი.** საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვანებზე გათხრილი ყველა სამარხი ორმოსამარხს წარმოადგენს (ტაბ. VI<sub>8,10</sub>; VII<sub>6-8</sub>; VIII<sub>3</sub>). დასაკრძალავი კამერები შემოფარგლულია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი წრეებით (კრომლევებით), რომელთა დიამეტრი 4-18 მ შორის მერყეობს (ტაბ. III<sub>1-4</sub>; IV<sub>1-4</sub>; V<sub>1-6</sub>; VI<sub>1-4</sub>). კრომლევების შიდა სივრცე, უმეტეს შემთხვევაში რიყის წვრილი ქვითაა შევსებული (ტაბ. III<sub>1</sub>; V<sub>1-3</sub>; VI<sub>3</sub>). ზოგ შემთხვევაში ასეთივე ქვებითაა დაფარული კრომლევების ქვებიც. გვხვდება ისეთი კრომლევებიანი სამარხებიც, სადაც რიყის ქვის ყრილი მხოლოდ სამარხი კამერების თავზეა გამართული (ტაბ. II<sub>3</sub>; III<sub>2</sub>). უშუალოდ ამ ქვყრილების ქვეშაა მოქცეული სამარხი ორმოს გადახურვის კონსტრუქციები (ტაბ. VI<sub>2,4</sub>). სამარხი კამერები ბაზალტის სხვადასხვა ზომის ფილებით (ტაბ. VI<sub>1,5,6</sub>) ან ხის ძელებითაა (ტაბ. VI<sub>7-10</sub>) გადახურული.

კრომლევების ცენტრში ჩვეულებრივ ერთი სამარხი კამერაა მოწყობილი. გამონაკლისს წარმოადგენს № 67 და № 68 სამარხი (ტაბ. VIII<sub>1</sub>), რომლებიც ერთი კრომლევის შიგნითაა გამართული.

საყურადღებოა, რომ ორივე სამარხი ერთდროულად ჩანს გამართული. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ სამარხი ორმოები კრომლესის ცენტრში კი არ არის გაჭრილი, არამედ წრის შიგნით სიმეტრიულადაა განლაგებული (ტაბ. VIII<sub>2</sub>). № 67 სამარხში ახალგაზრდა ქალია დაკრძალული, № 68 სამარხში კი სხვადასხვა ასაკის ოთხი ბავშვი (ტაბ. VIII<sub>3</sub>).

სამარხი კამერები ყვითელ თიხნარშია გაჭრილი. მათი უმეტესობა კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის (2,0x1,2 მ) ფორმისაა (ტაბ. VI<sub>9</sub>; VII<sub>1,2</sub>; VIII<sub>3</sub>; XI<sub>1,3,5</sub>). სამაროვანზე გათხრილი 109 სამარხიდან მხოლოდ ოთხს (№№ 10, 23, 30, 90; ტაბ. VII<sub>3,5,8</sub>) განსხვავებული ფორმა აქვს. ისინი ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა წაგრძელებული და სიგრძეში 5-6 მ-ს აღწევენ. ეს სამარხები იმითაც გამოირჩევიან, რომ იქ დაკრძალული მიცვალებულები ხის სარეცელზე (№№ 10, 23, 90 სამარხები) არიან დასვენებულები (ტაბ. VII<sub>3,6</sub>; XXV<sub>1-3</sub>) ან ურმის ნაწილები (სამარხი № 30) აქვთ ჩატანებული (ტაბ. XXV<sub>4-6</sub>; XXVI<sub>1-3</sub>).

სამარხი კამერები ძირითადად ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი (შეინიშნება მცირე გადახრებიც (ტაბ. IV<sub>1-4</sub>; V<sub>1-6</sub>; XI<sub>1,3,5</sub>; XVII<sub>7</sub>; XXV<sub>1</sub>). მიცვალებულები დასვენებულია ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე (ტაბ. XXV<sub>2-3</sub>), თავით ჩრდილოეთით (ტაბ. VII<sub>3,5,8</sub>). სამარხებში თითო მიცვალებულია დაკრძალული. გამონაკლისს წარმოადგენს № 6 (ორი მიცვალებული) და № 68 (ოთხი მიცვალებული) სამარხები, სადაც მცირეწლოვანი ბავშვებია დაკრძალული (ტაბ. VIII<sub>3</sub>).

მიცვალებულთა ჩონჩხები უმეტეს შემთხვევაში შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული (ტაბ. VII<sub>1</sub>; X<sub>2</sub>; XI<sub>1,3,5</sub>). ასეთივე მასა დაფიქსირებულია ჩონჩხის ქვეშაც. ეს ფენა სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა და წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. ამ ფენის სისქე 0,2-0,4 მ-ს აღწევს და დიდი რაოდენობით შეიცავს ხის ნაშთებს. აქვე შეინიშნება ტყავის ანაბეჭდებიც. როგორც ჩანს, სამარხებში ტყავით გადახურული, ხის სუსტი კონსტრუქციები იყო გამართული, რომლებიც სამარხი კამერის სახურავის ჩაქცევის შემდეგ უფორმო მასად იქცა. მიცვალებულების ქვეშ შავი მინის ფენა ართიკის სამაროვანზეც დადასტურდა, რომელიც ხისა და ქსოვილის ნაშთებს შეიცავდა. № 89 სამარხში ჩასვენებულ მიცვალებულს ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული [Хачатрян 1975: 139; Хачатрян 1979: 7].

მიცვალებულისათვის განკუთვნილი ინვენტარი გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული. სამარხეული კერამიკა (თითოეულ მიცვალებულს 1-8 ჭურჭელი აქვს ჩატანებული) ძირითადად სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, მიცვალებულის თავის ქალასთანაა განლაგებული (ტაბ. VIII<sub>5,8</sub>), საბრძოლო იარაღი სახის წინ უწყვია (ტაბ. XVII<sub>3,5,7</sub>), ბრინჯაოს საკინძები ყელის, მძივ-სამკაული კი გულ-მკერდის არეში ფიქსირდება. სარდიონის მძივების ასხმები მაჯებზე და ტერფებზეც გვხვდება.

მიცვალებულისათვის ჩატანებული მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის ნაშთები ყველა სამარხში გვხვდება (ტაბ. VII<sub>6,8</sub>; VIII<sub>5</sub>). ისინი, ცალკეული ნაწილების სახით, დაწყობილია სამარხის იატაკზე. ზოგიერთ სამარხში (№№ 1, 2, 30, 90) აღმოჩენილია ცხვრის ან თხის მთლიანი ჩონჩხები (ტაბ. VIII<sub>6</sub>), რომელთა ყელის არეში დაუმუშავებელი ობსიდიანის ანატაკეციები აწყვია. ალაპის ნაშთებს შეიცავენ ჭურჭლებიც.

გარკვეული რიტუალია შესრულებული კრომლესის გარეთაც (ტაბ. IV<sub>3,4</sub>; V<sub>4,6</sub>; VI<sub>3,4</sub>). სარიტუალო (საალაპე) ორმოები განლაგებულია სამარხი კამერების ჩრდილოეთით, რომლებიც უშუალოდ კრომლესის ქვებზეა მიდგმული გარედან. ისინი წარმოადგენენ მცირე ზომის ორმოებს (0,4x0,5 მ; 0,6x0,8 მ). მათი ნაწილი გადახურულია ქვის ფილებით, ან მონიშნულია წვრილი ქვების ყრილით. ასეთი ორმოების მცირე ნაწილს ზევიდან არანაირი ნიშანი არა აქვს. ორმოებში მხოლოდ თიხის ჭურჭელია ჩადგმული (3-5 ერთეული), რომელთა ნაწილი საქონლის ძვლებითაა შევსებული. ჭურჭლების ნაწილს ქვის სარქველი ეფარა.

სხვადასხვა ფორმის ჭურჭლებში სხვადასხვა სახის საიქიო საგზალია მოთავსებულია. დიდი ზომის ქოთნებში ახლად მოხარშული საკვები ქვის სარქველით იხურებოდა და ისე იდგმებოდა სამარხში. ასეთ ჭურჭლებში მხოლოდ ხორცეულით მომზადებული კერძები გვხვდება. შედარებით

მცირე ზომის ქოთნებში მხალეული და ფაფები ყოფილა მოთავსებული; ბადებში თაფლი ესხა, ან თხილი და კაკალი ენყო [ყვავაძე 2004; ყვავაძე 2005]. საკვებით სავსე ჭურჭლები ჩანყობილია როგორც სამარხში, ისე სარიტუალო ორმოებში.

**სამარხეული ინვენტარი.**

**კერამიკა.** სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი. ისინი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყველა ჭურჭელი, ერთის გარდა (ტაბ. XIV<sub>1</sub>), უყუროა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, ჩარხზეა დამზადებული და თხელკედლიანია, გამომწვარია შავად (ტაბ. XII; XIV; XV). ასეთი ჭურჭლების ზედაპირი გაპრიანებულია და შემკულია ამოღარული და ნაპრიანები ორნამენტით. მეორე ჯგუფის ჭურჭლებიც ჩარხზეა დამზადებული (ტაბ. XIII; XVI), მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, კეცის ზედაპირი მოყავისფრო-რუხია, შიდაპირი შავი. ჭურჭლების ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლებით (ტაბ. XIII<sub>7,9,11,13</sub>; XVI<sub>9,10,12,13</sub>). ასეთივე ორნამენტი ხშირად ძირზეცაა დატანილი (ტაბ. XVI). ასეთი ჭურჭლები უმეტესად დიდი ზომისაა. ყველა მათგანს ცეცხლის კვალი ეტყობა. ისინი საქონლის ძვლებითაა შევსებული. მესამე ჯგუფის ჭურჭლები უხეშკეციანია, ხელითაა ნაძენი, ცუდად გამომწვარი და შლადია.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოფაში სხვადასხვა სახის, როგორც ცხოველურ (მსხვილფეხა საქონელი, ბატკანი ან ციკანი), ისე მცენარეულ (წაბლი, თხილი, კაკალი, ხორბალი, ნინიბურასნაირი მცენარეები, ნაცარქათამა, ჭინჭარი) საკვებს იყენებდნენ. საკვების დასამზადებლად იყენებდნენ ცხოველურ ცხიმს, სანელებლებად კი ქოლგოსან მცენარეებს.

კვების რაციონი საკმაოდ მრავალფეროვანი ჩანს. მაგ. № 10 სამარხში ნაპოვნ ქილაში თაფლი აღმოჩნდა; № 25 სამარხის დერგში ხორბალი, თხილი, ცაცხვის მტვერი; № 28 სამარხის იატაკზე, დამწვარ ნიადაგში, დიდი რაოდენობით გამოვლინდა ხორბალი, ჭვავი და სხვა სათესი კულტურები, ჭინჭარი; აქვეა რცხილის, ცაცხვის, მუხის და წიფლის მტვრის ნაშთები. № 29 სამარხის ქოთანში ღვის დამწვარი ნაშთები და მტვრის მარცვლები იქნა აღმოჩენილი; პირფართო ქოთანში ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი, ნათესების სარეველები და საძოვრის ბევრი ელემენტი. № 30-ე სამარხის თიხის ჭურჭელში მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი და ქოლგოსანი მცენარეები (სანელებლები) აღმოჩნდა [ყვავაძე 2004; ყვავაძე 2005]. ჭურჭელს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი. როგორც ჩანს, ჭურჭელი საჭმლის მომზადებისთანავე ჩადგეს სამარხში. ქოთანზე გამოსახული სვასტიკები კი მის საკრალურობაზე მიუთითებს, ხოლო შიგთავსი გარკვეული სარიტუალო საკვების მომზადებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი შინაური ცხოველების ძვლების პალეოზოოლოგიური გამოკვლევა [ბენდუქიძე 2005] მესაქონლეობის (ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი), ხოლო პალინოლოგიური კვლევა მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ჭვავი) განვითარებაზე მიუთითებენ.

**საბრძოლო იარაღი.**

**სატევარი** მხოლოდ სამ სამარხში (№№ 8, 13, 85) აღმოჩნდა (ტაბ. XVII<sub>3,8</sub>). № 13 სამარხში, მიცვალებულის სახის წინ ე.წ. წინააზიური ტიპის სატევარი იდო (ტაბ. XVII<sub>7</sub>). მისი საერთო სიგრძე 0.494 მ-ია, პირი სამკუთხა ფორმისაა (ტაბ. XVII<sub>4</sub>; XVIII<sub>7</sub>), ტარის (სიგრძე 0.105 მ) ჩარჩოში ჩასმულია ხის თხელი ფირფიტები (ტაბ. XVII<sub>5</sub>).

ასეთი სატევრები სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა პუნქტშია აღმოჩენილი და ძირითადად ძვ.წ. XV-XIV სს. თარიღდება [Пилипосян 1999: 52, 61, ტაბ. 6; Пицхелаური 1979: 79-81]. მოკლე სატევრებიც ბრინჯაოსია. ერთ მათგანს (სამარხი № 8) წაგრძელებული პირი აქვს (სიგრძე 0.215 მ, სიგანე ვადასთან 0.047 მ; ტაბ. XVII<sub>3</sub>; XIX<sub>8</sub>), მეორე (სამარხი № 85) მისი ანალოგიურია, მხოლოდ უფრო მოკლე პირი (სიგრძე 0.13 მ, სიგანე ვადასთან 0.06მ) და ძვლის ტარი აქვს (ტაბ. XVII<sub>6,8</sub>; XVIII<sub>1</sub>; XIX<sub>4</sub>).

**კაპარჭი** აღმოჩნდა № 8 სამარხში (ტაბ. XVII<sub>1,3</sub>). კაპარჭი დამზადებულია ხის თხელი ფიცრებისაგან რომელსაც გარედან ტყავი აქვს შემოკრული (ტაბ. XVIII<sub>6</sub>). კაპარჭის ზედაპირი შემკულია



ბრინჯაოს თხელი ფირფიტებით (ტაბ. XVIII<sub>10-12</sub>). ამ ფირფიტებზე ჩატარებული მიკრორენტგენო-სპექტრული ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ ბრინჯაოს დეტალების მალევირებული ელემენტი კალა იყო.

კაპარჭის პირიდან 0.15 მ-ის დაცილებით შავი, მომრგვალებული ლაქა აღმოჩნდა რომელსაც ნნული, თოკისებური ბორდიური შემოსაზღვრავდა. კაპარჭში 8 ისარი ყოფილა ჩადებული (კაპარჭის პირთან, სამხრეთის მიმართულებით, იდო 7 ისრისპირი – 6 ობსიდიანის და ერთი კაჟის, ხოლო კაპარჭის ბოლოსთან – ერთი ობსიდიანის ისრისპირი. კაპარჭის მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა ისრის ხუთი ზრო. კაპარჭის სიგრძე 0.51 მ-ია, მაქსიმალური სიგანე 0.17 მ-ს აღწევს. ზროს სიგრძე 0.38 მ-ია (ტაბ. XVIII<sub>6</sub>).

კაპარჭის შესამკობელი ფირფიტები აღმოჩენილია თრელის № 74 სამარხში [აბრამიშვილი 1978: 62, ნახ. 28], რომელიც შუა ბრინჯაოს ხანისადმია მიკუთვნებული [აბრამიშვილი 1978: 55], თუმცა აღნიშნულია, რომ „№ 53 და № 74 სამარხები შუაბრინჯაოს ხანის სამარხთა შორის ყველაზე გვიანდელის შთაბეჭდილებას ტოვებენ“ [აბრამიშვილი 1978: 59]. ეს სამარხი ძვ.წ. XV ს-თაა დათარიღებული [აბრამიშვილი 1978: 68]. კაპარჭის ფრაგმენტები აღმოჩნდა ზემო ბოდბის №4 ყორღანში [Пицхелаური 1979: 83, ტაბ. VI<sub>3-7</sub>], რომელსაც კ. ფიცხელაური უშუალოდ გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნებს [Пицхелаური 1979: 69] და ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. XIV ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [Пицхелаური 1979: 80].

**ისრისპირები** ორ სამარხში (სამარხი № 8, ტაბ. XVIII<sub>13</sub>; სამარხი № 85, ტაბ. XVII<sub>2</sub>; XVIII<sub>14</sub>) აღმოჩნდა. № 8 სამარხში 10 ც., № 85 სამარხში კი 30 ისრისპირი დაფიქსირდა (ტაბ. XVIII<sub>13</sub>). № 8 სამარხში ისრისპირები ეწყობა კაპარჭში, № 85 სამარხში კი მიცვალებულის მავჯაზე.

ისრისპირები დამზადებულია შავი ფერის გამჭვირვალე ობსიდიანისა და მონითალო მოყავისფრო ან რუხი-მოთეთრო ფერის კაჟისაგან (ტაბ. XIX<sub>21</sub>). განსაკუთრებით აღსანიშნავია № 8 სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი (ტაბ. XVIII<sub>2</sub>; XIX<sub>9</sub>), რომელსაც განსხვავებული ფორმა აქვს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს **ლანცეტისებური იარაღების** აღმოჩენის ფაქტი, რაც ასევე უნიკალური შემთხვევაა კავკასიის არქეოლოგიისათვის. ორი ასეთი ნივთი № 8 სამარხში დაფიქსირდა. მათ ბრინჯაოს თხელი პირი, ოთხნახნაგა, ბოლოსკენ დავიწროებული ყუნწი და ლულოვანი ძვლის ტარი აქვთ (ტაბ. XVIII<sub>8,9</sub>).

ლანცეტისებური იარაღები შეიძლება სკალპელები იყოს და სამედიცინო ინსტრუმენტებს წარმოადგენდეს.

**სამკაული.** სამროვანზე ბრინჯაოს ორი **სამაჯური** (სამარხი №№ 56, 119; ტაბ. XVIII<sub>3</sub>; XIX<sub>10</sub>) და სამი **საკინძი** (სამარხი №№ 18, 73, 56; ტაბ. XVIII<sub>4,5</sub>; XIX<sub>5-7</sub>) აღმოჩნდა. მრავალფეროვნებით გამოირჩევა მძივები. გვხვდება მრგვალი, კასრისებური, ბიკონუსური, ბრტყელი და ცილინდრული ფორმის მძივები, რომლებიც დამზადებულია სარდიონის, მინის, პასტისა და ბრინჯაოსაგან (ტაბ. XIX<sub>11-20;22-25</sub>). მძივების ასხმაში გვხვდება ოქროს ფირფიტებისაგან დამზადებული მილაკის ფორმის მძივებიც (ტაბ. XX<sub>9-11</sub>; XXIV<sub>19-25</sub>).

**საბეჭდავი.** სამაროვანზე რამდენიმე სხვადასხვა ფორმის საბეჭდავი იქნა აღმოჩენილი: სამი მათგანი ოთხკუთხაა (ტაბ. XXII<sub>10-12</sub>; XXIV<sub>2-4</sub>), ოთხი ცალი წრიულია (ტაბ. XXII<sub>5,6,8,9</sub>; XXIV<sub>12-15</sub>), ერთი ცალი სამკუთხაგანივკვეთიანია (ტაბ. XX<sub>7</sub>; XXIV<sub>11</sub>), 7 ცალი კი ცილინდრულია, რომელთაგან 5 გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. XX<sub>1,2,5,6</sub>; XXII<sub>13-14</sub>; XXIV<sub>6-10</sub>), ორზე კი სიუჟეტია გამოსახული (ტაბ. XXII<sub>1,2</sub>; XXIV<sub>1,5</sub>).

№ 27 სამარხში აღმოჩენილ ცილინდრულ საბეჭდავზე გამოსახული თევზები ორ რიგადაა განლაგებული (ტაბ. XXII<sub>1</sub>; XXIV<sub>5</sub>). ანალოგიური საბეჭდავები გავრცელებული იყო სირიაში (რას-შამ-რა) ძვ.წ. XVI-XIV სს-ში და მითანიური გლიზტიკის ე.წ. „Common Style“-ს ეკუთვნის [Salje 1990: 66, ტაბ. VII<sub>136-138</sub>]. საინტერესოა, რომ ამგვარი სიუჟეტი და სტილი ტიპიური იყო ჯემდეთ-ნასრული (ძვ.წ. 3000-2800 წწ.) საბეჭდავებისათვის [Афанасьева 1979: ტაბ. IV<sub>6</sub>]. ასეთი საბეჭდავები, ამულეტების სახით, დიდხანს იყო ხმარებაში. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ჯემდეთ-ნასრული სა-

ბექდავები აღმოჩნდა ახალბაბილონური და პართული ხანის სამარხებში. ახალასირიულ საბექდავს, როგორც თილისმას, XIII საუკუნეში ერთ-ერთი სელჯუკი სულთანი ატარებდა [Boehmer 1997: 23, 24, 33].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს № 5 სამარხში აღმოჩენილი ცილინდრული საბექდავი (ტაბ. XXII<sub>2</sub>; XXIV<sub>1</sub>). საბექდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, რომელსაც მოკლე ტუნიკა და წანვეტიებული თავსაბურავი ახურავს. მამაკაცს ხელში უკავია კვერთხი, რომლის თავი სხივიან ვარსკვლავს წარმოადგენს. ფიგურა მუხლმოდრეკილია საკურთხევლის წინ, რომელზეც ჯიხვი დგას (ტაბ. XXII<sub>3,4</sub>). თემატურად ეს საბექდავი სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულით დათარიღებულ სხვა საბექდავების (მინგეჩაური, რაზდანი, შახტახტი, შამირამი), ასევე ნუზისა და გეზერის საბექდავების მსგავსია [Пилипосян 1998: ტაბ. 34, 35, 41]. ყველა ამ საბექდავზე გამოსახულია მამაკაცის ფიგურა, ზოგჯერ მუხლმოდრეკილი, რომელსაც ხელში ვარსკვლავის ან მცენარის თავიანი კვერთხი უჭირავს. მის წინ, საკურთხეველზე ან შემადღებაზე ჯიხვი დგას. ნუზის ერთ-ერთ საბექდავზე, ცენტრალური ფიგურის ზემოთ თევზების რიგია გამოსახული. რაზდანში, მინგეჩაურში და გეზერში აღმოჩენილ საბექდავებზე, ჯიხვის ზემოთ ტალღოვანი ორნამენტია გამოსახული. ყველა ეს საბექდავი, ისევე როგორც № 27 სამარხში აღმოჩენილი, მითანიური გლიპტიკის ნრეში ექცევა და „Common Style“-ს მიეკუთვნება. ისინი გავრცელებული იყო ლევანტსა და მესოპოტამიაში [Salje 1990: 34, ტაბ. IV-VI].

საფარ-ხარაბას საბექდავის იკონოგრაფია ხური-მითანიური საბექდავების იკონოგრაფიის მსგავსია. გამოსახულებაც ხურიტულ მითოლოგიასთანაა დაკავშირებული. ჩვენი აზრით, საკურთხეველზე შემდგარი ჯიხვი უძველესი მესოპოტამიური ღვთაება ეა-ს გამოსახულებას წარმოადგენს, რომელიც ხურიტულ პანთეონში უკვე აქადურ პერიოდში მოხვდა. ეა-ენქის უძველეს გამოსახულებას ზოგჯერ თევზისკუდიანი ჯიხვი წარმოადგენს. ეა-ენქი ქვესკნელის მტკნარი ოკეანის (აბზუ) მბრძანებელი იყო. იგი სიბრძნეს, ჯადოსნობას განსახიერებდა. ხურიტულ ნაწარმოებში „სიმღერა ულიქუმიზე“ ეა-ს ეპითეტია *hassiss* (აქადურად *hasisu* - სიბრძნე) [Вильхельм 1992: 95].

კავკასიის ტერიტორიაზე 13 ცილინდრული საბექდავია აღმოჩენილი, რომლებზეც სიუჟეტური გამოსახულებაა მოცემული. ყველა მათგანი მითანიური გლიპტიკის „Common Style“-ს მიეკუთვნება და ძვ.წ. XVI-XIV სს-შია გავრცელებული [Погребова 2000: 145-150] და ხური-მითანის სამეფოს ძლიერების ხანას ემთხვევა.

გარდა ზემოთ აღნიშნული საბექდავისა, საფარ-ხარაბას სამაროვანზე სხვა ცილინდრული, ოთხკუთხა და სკარაბეოიდის ტიპის საბექდავებიც აღმოჩნდა, რომლებიც იმპორტს წარმოადგენს. იმპორტულია მინის მძივებიც. ლურჯი მინის ერთ-ერთი „სკარაბეოიდი“ ადამიანის სახიანია (ტაბ. XXII<sub>7</sub>; XXIV<sub>16</sub>), რაც არაა უჩვეულო ეგვიპტური სკარაბეოიდებისათვის. მსგავსი ეგზემპლარები ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში [Бадж 2001: 243].

**ეგვიპტურ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს პირამიდისებური ქვებიც.** მათ წაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვთ, ფართო ფუძიდან გაკეთებული ნახვრეტი გამჭოლი არ არის (ტაბ. XXIII<sub>4,6</sub>). გარდა ამისა № 8 სამარხში აღმოჩნდა სხვადასხვა ფორმისა და ჯიშის ქვები (ტაბ. XXIII). ამ ფორმის და ზომის ქვები აღმოჩენილია ტუტანჰამონის სამარხში. ისინი „პირის გალების“ რიტუალში გამოიყენებოდა. მსგავსი ინსტრუმენტები ეგვიპტის ძველ სამეფოშიც იგივე მიზნით იხმარებოდა [Hagen 2002: 160].

**წარჩინებულ პირთა („სამეფო“) ინსიგნიების შესწავლისათვის.** სამაროვანზე აღმოჩენილი ლითონის ნივთებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელისუფლებო ემბლემა-ინსიგნიები.

კვერთხისმაგვარი ნივთი აღმოჩნდა № 8 სამარხში. დამზადებულია ბრინჯაოსაგან, აქვს T-ს მაგვარი თავი და გრძელი გრეხილი ღერო, რომელიც კაუჭით ბოლოვდება. თავის შუა ნაწილი შესქელებულია, გახვრეტილია და მასში ჩამაგრებულია ღერო. ღერო ზედა ნაწილში მრგვალგანივ-

კვეთიანია (0.03-0.35 მ-ის სიგრძეზე) შემდეგ ის ოთხკუთხაგანიკვეთიანი ხდება და თავიდან 0.045 მ-ის შემდეგ დაგრეხილია. გრეხილი ღეროს ოთხკუთხაგანიკვეთიანი ბოლო მორკალულ ნვეტიან კაუჭში გადადის (ტაბ. XIX<sub>1-2</sub>). საერთო სიგრძე – 0.62 მ-ია, გატეხილია ორად. ნივთის თავი ქურჭლის პირზე იდო, კაუჭის ნვერი კი თავის ქალას კეფაზე ჰქონდა მიდებული (ტაბ. XVII<sub>3</sub>).

წარჩინებული პირის ნიშანია № 85 სამარხში აღმოჩენილი კვერთხისთავიც. იგი მასიური ბრინჯაოსია. ნახვრეტში შემორჩენილი ხის ნაშთი მიუთითებს, რომ კვერთხს ხის ტარი ჰქონდა (ტაბ. XIX<sub>6</sub>; XXI<sub>1</sub>).

სამხრეთ კავკასიაში გათხრილ ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ნივთების მთელი წყება საკულტო-სარიტუალო, სამეურნეო თუ საბრძოლო ინვენტარად მოიაზრება. ამ ნივთების ნაწილი, როგორც ჩანს, სახელისუფლებო ემბლემებს წარმოადგეს, თუმცა ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად მოხსენიებული კვერთხისთავები (ბელადის კვერთხი). თუმცა არც ისინია შესწავლილი სათანადოდ. კვერთხისთავების მრავალფეროვნება ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური დანაწევრების საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება მათი ატრიბუციის (კონკრეტული დანიშნულების) საფუძველიც გახდეს.

საფარ-ხარაბას სამაროვნის № 8 სამარხში აღმოჩენილი სახელისუფლებო ემბლემის უახლოესი პარალელი აქვე, თრიალეთშია აღმოჩენილი [Нариманишвили 2005].

წალკის რაიონის სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე 2003 წელს ადგილობრივმა მოსახლემ მიაკვლია და გათხარა სამარხი, რომელიც კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს ინვენტარსაც შეიცავდა. სამაროვანი, სადაც სამარხი აღმოჩნდა, სოფლის დასავლეთ ნაწილში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირზეა გამართული (აქ ჯერ კიდევ ბ. კუფტინს აქვს ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრები. დროდადრო ადგილობრივი მოსახლეობა, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების დროს გამოვლენილ სამარხებს თხრის. ამ ნივთების უმრავლესობა დღეს თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ინახება).

ავრანლოში 2003 წელს აღმოჩენილ სამარხულ ინვენტარში (აღმოჩენის შესახებ დაწვრილებით იხ. აქვე, გ. ნარიმანიშვილი, ჯ. ამირანაშვილი, მ. კვაჭაძე, ნ. შანშაშვილი - ავრანლოს არქეოლოგიური ძეგლები) განსაკუთრებით გამოირჩევა ბრინჯაოს ნივთების კომპლექსი – კაუჭი, სალტე და ხარის თავის ქანდაკება (ტაბ. XIX<sub>3</sub>; XXI<sub>4-6</sub>). ნივთები, რომელთაც კაუჭისმაგვარი დაბოლოება აქვთ, ადრეც იყო აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე (მაგ. უხეში კაუჭები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულების ნივთებად ითვლება), მაგრამ ასეთი მაღალმხატვრული ნიმუში პირველად იქნა დადასტურებული. მიმაჩნია, რომ იგი მაღალი სახელისუფლებო რანგის მოხელის ინსიგნიას წარმოადგენს.

კაუჭისმაგვარი კვერთხი ძველ ეგვიპტეში ოსირისის სიმბოლოს წარმოადგენდა. იგი მწყემსის ჯოხის (კომბალი) აღმნიშვნელი იყო [Египетская мифология 2002: 72]. მოგვიანებით ამგვარი ნივთი ფარაონების სიმბოლოც გახდა. ასეთი (ამ ფორმის) ნიშანი ძველ ეგვიპტეში სიტყვას „მართვა“ („ბატონობა“) აღნიშნავდა [Леонтьев 1990: 117]. ძველი ეგვიპტელისათვის იდეალური ფარაონი იყო „მწყემსი კეთილი“, რომელიც ყველაფერს ყურადღებით ადევნებდა თვალს [Г. Франкфорт, Г. А. Франкфорт, Уилсон, Якобсон 2001: 103]. მესოპოტამიაში ღმერთ ანუს სიმბოლო იყო სკიპტრა (სამეფო კვერთხი), კვერთხი, გვირგვინი და მწყემსის არგანი [Г. Франкфорт, Г. А. Франкфорт, Уилсон, Якобсон 2001: 177]. ძველ ბაბილონში კაუჭი სიკვდილის მომგვრელი და დამანგრეველი ღმერთის – ამურუ (მარტუ) სიმბოლო იყო [Black, Green 1992: 54]. კასიტურ საბეჭდავებზე კაუჭი ადამიან-თევზებს უკავიათ, რომლებიც მინისქვეშა წყლების ღმერთ ეასთან ასოცირდებოდნენ [Black, Green 1992: 54]. კაუჭი ასურეთის მეფეების ინსიგნიასაც წარმოადგენდა. ეს ნივთი უკავია ასურნასირაპალ II (ძვ.წ. 883-859 წწ), რომლის ქანდაკებაც ქ. კალხუში იდგა (ტაბ. XXI<sub>2</sub>). მეფეს მარცხენა ხელში სამეფო სკიპტრა უკავია, მარჯვენაში კი კაუჭისმაგვარი სიმბოლო [Британский музей 1980: 41-42].

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ კაუჭისმაგვარი სიმბოლო-ინსიგნია ძველი აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული და განსაკუთრებული ძალაუფლების სიმბოლოდ (არ არის გამორიცხული, სიკვდილთან დაკავშირებული) აღიქმებოდა. თრიალეთში აღმოჩენილი ინსიგნია (ტაბ. XXI<sub>4</sub>) „სამეფო“ ხელისუფლების ემბლემაა.

**სატრანსპორტო საშუალებები.** სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებაზე და მათ რთულ კონსტრუქციაზე № 30 სამარხში აღმოჩენილი ურემი და მისი დეტალები მიუთითებენ (ტაბ. XXV<sub>4-6</sub>; XXVI). საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ურემის ძარა განსხვავდება შუაბრინჯაოს ხანის ოთხთვალა ურემის ძარის კონსტრუქციისაგან.

**სამარხი № 30.** ქვაყრილიანი ორმოსამარხია, დამხრობილი იყო ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე. მისი სიგრძე 3,5 მ, სიგანე 1,9 მ-ია. სამარხი კამერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ორი თიხის ჭურჭელი იდგა.

სამარხის სამხრეთ ნაწილში, 1,4 მ სიღრმეზე, ხის ძელების ნაშთები დაფიქსირდა, რომლებიც ურემის დეტალები აღმოჩნდა (ტაბ. XXV<sub>4-6</sub>). ხე ცუდად არის შემონახული. იგი ლაქების სახითაა შემორჩენილი.

საფარ-ხარაბას ურემის დახასიათებამდე უნდა ითქვას, რომ ურემის ეს ტიპი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება – უბე, ღერძ-ბორბალი და უღელი. ურემის უბე ეწოდება მთლიან ნაკეთობას, რომელზედაც უშუალოდ თავსდება ტვირთი. იგი ღერძ-ბორბალზეა შედგმული, ხოლო თავით უღელს ეყრდნობა. უბე შედგება ცალკე ნაწილებისაგან – ხელნები, დანდლები, კოფოები, ჭალები-ჭავლები, ზენრები და სხვა. უბის ძირითადი ნაწილია ორი გრძელი ხისაგან ოთხკუთხად გამოთლილი ხელნა, რომლებიც თავებით ერთდებიან და ქმნიან ტოლფერდა სამკუთხედს. ხელნები არ არის აბსოლუტურად სწორი, მათ ერთგვარი მოხრილობა ახასიათებთ [გეგეშიძე 1956: 48-50].

№ 30 სამარხის ცენტრალურ ნაწილში ურემის ძარა-უბე არის ჩადგმული (ტაბ. XXV<sub>4,5</sub>; XXVI<sub>1,2</sub>). იგი რთული შედგენილობისაა. მისი საერთო სიგრძე 2,1 მ-ია, სიგანე ბოლოში 1,1 მ-ს უდრის. ძარას დეტალები ძირითადად ოთხკუთხად გათლილ ხეებს წარმოადგენს. უბეს თავნაკვეთილი თუ თავმომრგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს. ძარას ჩარჩო შეკრულია დიდი ძელებით, დანდლებით და წინა და უკანა კოფოებით. ჩარჩოს მარცხენა ძელი, თითქოს, ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი დიდი ძელი ძარას უკანა ნაწილშია მოქცეული. მისი სიგრძე 1,25 მ-ს უდრის, სიგანე – 0,12 მ, სიმაღლე კი 0,11 მ-ია. ძელი ბოლოში მორკალულია და ზევით აზიდული. ამ ნაწილში ძარას სიმაღლე, ძელთან ერთად, 0,28-0,3 მ-ია. მეორე ძელის სიგრძე 0,85 მ-ია. მას, 0,1 მ სიგრძეზე, დიდ ძელზე თავი აქვს მიდებული. ამ დეტალთან 0,03 მ სისქის შავი ლაქის (ხის ნაშთები?) მოხსნის შემდეგ გაირკვა, რომ ორივე ძელს ნაჭდევი აქვს გაკეთებული. ნაჭდევები ისეა გამოჭრილი, რომ ერთმანეთში მჭიდროდაა ჩასმული. როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი მათი გადაბმის ადგილს წარმოადგენს, სადაც ორივე ძელის სისქე 0,09 მ-ია, სიგანე 0,1 მ. ძარას თავთან, ვიწრო ნაწილში, მეორე ძელის სისქე 0,05 მ, სიგანე 0,06 მ უდრის. ურემის ძარას დასაწყისში ეს ძელი მომრგვალებულია და ძარას მარჯვენა ძელს უერთდება. ახლა ძნელი სათქმელია, ძარას ეს ნაწილი ერთი ხისაგან იყო გამოთლილი, თუ რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. აქვე, ამავე დონეზე, ფიგურული ძელის ორი ნაშთი დაფიქსირდა. ურემის უბეს თავმომრგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს (ტაბ. XXVI<sub>1,2</sub>).

ძარას ამ მონაკვეთში, ზედა ძელების აღების შემდეგ, ხისაგან დამზადებული ოთხკუთხა ჩარჩო დაფიქსირდა, რომელიც ძირითად ძარასთან კონსტრუქციულად არის დაკავშირებული. შეიძლება ეს ორი ოთხკუთხად გათლილი ძელი დანდალი იყოს, რომლებიც ურემის კონსტრუქციაში ძირითადი ჩარჩოს დამაკავშირებელს წარმოადგენდა. პირველი დანდლის სიგრძე 0,30 მ-ია და შესაბამისად ურემის ჩარჩოს სიგანე წინა ნაწილში 0,33 მ-ს უდრის. მეორე დანდალი პირველისაგან 0,2 მ-ითაა დაცილებული. მისი სიგრძე 0,45 მ-ია. პირველი დანდლის სიგანე 0,05 მ, მეორესი 0,07 მ-ია, ორივეს სიმაღლე 0,07 მ-ს აღწევს (ტაბ. XXVI<sub>3</sub>).

არ არის გამორიცხული, რომ ზედა, დანდლებზე დაფიქსირებული სტრუქტურა ძარაზე თავდაპირველად ვერტიკალურად იდგა და მისი ნაქცევის შემდეგ მივიღეთ ხის ნაშთების ორი ფენა. აღსანიშნავია, რომ აქვე, გარდა ზემოთ ნახსენები ფიგურული ძელებისა, იქნა აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმის ხის ნაშთები. ერთი მათგანი მცირე ზომის ბორბალს მოგვაგონებს.

ძარას ოთხკუთხა ნაწილი ზევიდან ედო ხის ფიცარს (წინა კოფო?), რომლის სიგანე 0,25 მ-ია (VI დონე) (ტაბ. XXVI<sub>2</sub>). სიგრძეში იგი ძარას ორივე მხარეს სცილდება და მისი სიგრძე 0,75 მ-ს აღწევს. ფიცარი მხოლოდ ანაბეჭდის სახითაა შემორჩენილი. ამ მონაკვეთში, სამხრეთიდან, ძარაზე მიდებული იყო წრიული ფორმის (დიამეტრი 0,35 მ), ხის ბრტყელი ფირფიტა (ტაბ. XXV<sub>4,6</sub>; XXVI<sub>2</sub>), რომელიც ზემოთ აღწერილ ფიცარზე დევს. ამავე ფიცრის კიდეზე ორკაპა ხელნის თავია ჩამოდებული (ტაბ. XXV<sub>5</sub>; XXVI<sub>2,3,5</sub>).

როგორც აღწერილობიდან ჩანს, ურმის ძარას წინა ნაწილი რთული შედგენილობისა იყო. მისი ფორმის ზუსტი აღდგენა კვლევის ამ ეტაპზე ძნელია. თუმცა ბერიკლდეებსა და ლჭაშენში აღმოჩენილი მსგავსი, თანადროული ურმები, რომლებიც უკეთესადაა შემორჩენილი, საფარ-ხარაბას ურმის რეკონსტრუქციის გარკვეულ საშუალებას იძლევა. არ არის გამორიცხული, რომ საფარ-ხარაბას ურემსაც მსუბუქი გადახურვის კონსტრუქცია ჰქონდა.

ძარას მარჯვენა, სამარხი კამერის დასავლეთ კედელთან მდებარე ძელი, ორი, შეიძლება სამი ნაწილისაგან შედგება. წვერიდან 0,25 მ დაცილებით ძელზე რელიეფური სარტყელია გამოყვანილი, აქვე შეინიშნება ნაჭდევი, რომელიც სხვა ძელთან გადაბმის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. მეორე ძელის სიგრძე 0,75 მ-ია, სიგანე ჩრდილოეთ ნაწილში 0,09 მ, სამხრეთ ნაწილში (თუ დაზიანებული არ არის) – 0,04 მ. ძელზე შეინიშნება ოთხკუთხა ფორმის ფოსოები. მათი სიგრძე 0,04 მ-ია, სიგანე 0,02 მ, სიღრმე კი 0,05 მ უდრის. ასეთივე სამი ფოსო მესამე ძელზეც დასტურდება. ეს ფოსოები ჭალების ან მსუბუქი გადახურვის კარკასისათვის იყო ალბათ განკუთვნილი. ამ ძელების დონეზე, დასავლეთი კედლის ძირში, ორი ფიგურული დეტალი დაფიქსირდა (ტაბ. XXVI<sub>4</sub>).

მესამე ძელის სიგრძე 1,0 მ-ია, სიგანე 0,08-0,1 მ-ს, სიმაღლე კი 0,12 მ უდრის. ძარას ბოლო ნაწილში ძელი ზევითაა აზიდული და მსგავსია ძარას მარცხენა ძელისა. ასეთი კონსტრუქცია მიუთითებს, რომ ურმის ბოლო შემალღებული იყო. ძარას ორივე, ძირითადი ძელი, შემალღებული ნაწილებით, ერთმანეთთან ხის ფიცრითაა (უკანა კოფო) დაკავშირებული. მისი სიგრძე 1,1 მ-ია, სიგანე 0,17 მ-ია. ფიცარი თხლად ყოფილა გათლილი. ასეთივე ფიცრის ფრაგმენტები ძარაზეც დაფიქსირდა. ერთი ფიცრის სიგრძე 0,7 მ-ია, სიგანე 0,14 მ, მეორეს სიგრძე 0,9 მ-ია, სიგანე 0,15 მ. ფიცრები ძარას ჩარჩოს ძირითადი ძელების პარალელურად აწყვიტა.

ძარას მთელ ფართობზე ხის მცირე ნაშთებია აღმოჩენილი, თუმცა მათი მიხედვით რაიმე ფორმის დადგენა ვერ მოხერხდა. ყველა ფიცარზე შავი ფერის, თხელი, მკვრივი ფენა აღმოჩნდა, რომელიც, შეიძლება ტყავის ან ქილოფის ანაბეჭდი ყოფილიყო. ძარას უბის შიდა სივრცეში აღმოჩენილი ფიცრები ურმის იატაკს უნდა წარმოადგენდეს.

ურმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ფიცრებზე თიხის ორი ჭურჭელი იდგა (ტაბ. XXV<sub>4</sub>; XXVI<sub>1,2</sub>). ერთი მათგანი მოზრდილი დერგია, მეორე ქოთანი. დერგი შევსებული იყო საქონლის ძვლებით. დერგთან ორი, დაუმუშავებელი რიყის ქვა იდო. მათგან ჩრდილოეთით, 0,4 მ დაცილებით, ძარას მარჯვენა ძელთან, ძარაზე ობსიდიანის ანატკეცი აღმოჩნდა.

სამარხის აღმოსავლეთ კედელთან ოთხკუთხად გათლილი ძელი აღმოჩნდა. მისი სიგრძე 2,0 მ-ია, სიგანე და სისქე 0,06 მ-ს უდრის. სამარხის სამხრეთ ნაწილში, ურმის კონსტრუქციის ორი დეტალი დაფიქსირდა. ერთი მათგანი ძარას მარცხენა ძელის ანალოგიურია და თითქოს მის გაგრძელებას წარმოადგენს. მეორე კი ურმის უკანა ნაწილის (კოფოს) პარალელურად დევს. თუმცა ეს ორი დეტალი უფრო მაღლაა (IV დონე) განლაგებული ვიდრე ძარას ძირითადი კონსტრუქცია.

სამწუხაროდ, სამარხის სამხრეთი ნაწილი მთლიანად განადგურებული დაგვხვდა, რამაც ურმის და მისი დეტალების სრული ფიქსაციის საშუალება არ მოგვცა. სამარხში მიცვალებულის ძვლების მდებარეობის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხ კამერას ერთ მესამედზე

მეტი აქვს ჩამოჭრილი. ვფიქრობთ, სამარხეული ინვენტარის ნაწილი და ურმის ზოგიერთი დეტალი ამ ნაწილშიც უნდა ყოფილიყო. სამარხის აღმოსავლეთ კედელთან, ზემოთ აღწერილი ხის ძეგლის ქვეშ, ურმის ორი ძირითადი დეტალი – ხელნა და უღელი დაფიქსირდა (ტაბ. XXVI<sub>2,3,5-6</sub>). ისინი ძარას პარალელურად ენყო და ნაწილობრივ მის ქვეშ იყო მოქცეული (ტაბ. XXV<sub>5,8</sub>).

ხელნა ერთი ხისაგანაა გამოთლილი. მას ორკაპი დაბოლოება აქვს, წვერი კი კაუჭით არის გაფორმებული. მისი სიგრძე 1,45 მ-ია. ორკაპის საერთო სიგრძე 0,3 მ-ია, შვერილების სიგანე 0,07-0,08 მ-ია. მათ შორის მანძილი 0,15 მ-ია, ორკაპის სიღრმე 0,22 მ-ია. ხელნის სიგანე კაპების განტოტვის ადგილთან 0,17 მ, სიმაღლე – 0,06 მ-ია. ორკაპის ბოლოდან 0,8 მ-ის დაცილებით, ხელნაზე ორი ბურცობი შეინიშნება, რომლებიც 0,3 მ სიგრძეზე მას ფიგურულ ფორმას აძლევენ. კაუჭისაკენ ხელნა თანდათან ვიწროვდება, სადაც მისი სიგანე და სიმაღლე 0,04 მ-ია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელნას ეს ნაწილი მომრგვალებული იყო. ორკაპის ერთ-ერთ შვერილზე 0,05 მ სიგრძის ნაჭდევია გაკეთებული. მეორეზე ასეთი ნაჭდევი არ შეინიშნება, ეს უკანასკნელი კი პირველთან შედარებით, 0,03 მ-ით მოკლეა. არ არის გამორიცხული, რომ ნაჭდევებით ხელნა ძარაზე მაგრდებოდა.

უღელიც ერთი ხისაგანაა გამოთლილი (ტაბ. XXVI<sub>5</sub>). მისი ერთი ნაწილი ძარას ქვეშ იდო და იმდენად იყო დაზიანებული, რომ ფორმა აქვს დაკარგული. უღლის საერთო სიგრძე 1,4 მ-ია, სიგანე 0,04 მ-ს, სიმაღლე 0,05 მ-ს უდრის. საქედე ნაწილი ნახევარმთვარისებურად არის მოხრილი, რომლის დასაწყისიც ოთხკუთხა ფიგურითაა გაფორმებული (ტაბ. XXVI<sub>3,5</sub>). აქვე ნახვრეტის კვალიც შეინიშნება. საქედესთან უღელს მეორე ნახვრეტიც უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ მისი კვალი გათხრების დროს ვერ დაფიქსირდა.

სამარხის შემორჩენილ ნაწილში არც ურმის ღერძი და ბორბლები აღმოჩენილა. ეს ფაქტი შეიძლება ორი გარემოებით აიხსნას: ეს დეტალები ან სამარხის დაზიანებულ ნაწილში იყო მოთავსებული, ან თავდაპირველადვე არ იყო ჩატანებული. გათხრების პროცესში გაჩნდა ეჭვი, რომ სამარხში მარხილი იყო ჩადგმული და არა ურემი. ეს ვარაუდი ძარას უკანა ნაწილის ფორმის გამო იქნა უარყოფილი, რადგან მარხილს თავი უნდა ჰქონდეს აზიდული და არა ბოლო.

ურმის ძარას ჩარჩოზე დაწყობილი ფიცრების ალების შემდეგ, თიხის ქურჭლების ქვეშ, ორი ბატკნის სრული ჩონჩხი დაფიქსირდა. აღმოსავლეთით მდებარე ბატკანი მარჯვენა გვერდზე იდო, დასავლეთით მდებარე კი - მარცხენაზე. ამ უკანასკნელის თავი ურმის ძარას მარჯვენა ძეგლის ქვეშაა მოქცეული. წინა ფეხებთან ობსიდიანის ანატაკეცი უდევს.

მიუხედავად იმისა, რომ სამარხში არც ბორბლები აღმოჩენილა და არც ღერძის ნაშთები (ისინი შეიძლება სამარხის დაზიანებულ ნაწილში ენყო) უღლის ფორმა და პარალელური მასალები (ბერიკლდეები) საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის № 30 სამარხში აღმოჩენილი ურმის გამწვევ ძალას ცხენი წარმოადგენდა. საფარ-ხარაბაში აღმოჩენილი უღელის ტიპი დადასტურდა ბერიკლდეების სამარხშიც, სადაც ძვ.წ. XIV-XIII სს. დათარიღებულ ურემში ცხენები იყო შებმული [Mansfeld 2001: 50].

ამ ეპოქაში, თრიალეთში ცხენი ფართოდ გავრცელებული შინაური ცხოველი იყო. ოსტეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ მეცხენეობას მისდევდნენ ბეშთაშენის [ნარიმანიშვილი 1992: 18] და ჯინისის დასახლებების [Амиранашвили, Нариманишвили 2005: 42-43] მცხოვრებლები.

**სარეცელი.** საფარ-ხარაბას სამაროვანზე, ზოგიერთ სამარხში მიცვალებული სარეცელზე იყო დასვენებული (ტაბ. XXV<sub>1-3</sub>). მათ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. ზოგიერთი მათგანი (სამარხი № 90) ფიგურული სახელურებითაა შემკული. აღსანიშნავია, რომ სარეცელს სახელურები მხოლოდ ერთ, წინა მხარეს აქვს.

შეიძლება იგი სარეცელი კი არა, არამედ ურმის ნაწილი იყოს. მაგ. ლჭაშენის ერთ-ერთი ურემის ძარის ზედა შემკვრელ ძეგლებს [Мартыросян 1964: 168, სურ. 64] საფარ-ხარაბას № 90 სამარხში

დადასტურებული ძელების მსგავსად, ფიგურული თავები აქვს. თუმცა ეს მსგავსება მათი იდენტიური ფუნქციის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის.

**თრიალეთის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლების დათარიღების ზოგიერთი საკითხი.** ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლები პირველად ბ. კუფტინმა შეისწავლა. საფარ-ხარაბას (ბაიბურთის) სამაროვანზე გათხრილ სამარხებს თავის ნაშრომში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ („Археологические раскопки в Триалети“) სპეციალური თავი „ბრინჯაოს ხანის ქვის წრებიანი სამაროვანი“ („Могильник бронзовой эпохи с кругами из камней“) მიუძღვნა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავიდანვე აღნიშნავს „თრიალეთში ამ ტიპის ძეგლების არასაკმარისი შესწავლის გამო ამ სამაროვნისათვის გარკვეული ადგილის მიჩენა ძნელია“, მან ბაიბურთის სამაროვანი უშუალოდ შუა ბრინჯაოს ხანის მომდევნო და ბეშთაშენის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხებზე ადრეულად მიიჩნია [Куфтин 1941: 75-77]. კუფტინი მიუთითებს, რომ გათხრილი ოთხი სამარხი მეტად ღარიბ ინვენტარს შეიცავდა და, ძირითადად, თიხის ჭურჭლისაგან შედგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაიბურთის სამაროვანზე მეტად მნიშვნელოვანი მასალები იქნა აღმოჩენილი, მათ დიდხანს ვერ დაიკავეს სათანადო ადგილი. ე. გოგაძე 1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში წერს „შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლების ზედა თარიღს ერთგვარად განსაზღვრავს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის უმთავრესი ძეგლებისათვის მიღებული უახლესი თარიღები. ამ ეტაპის დასაწყისი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანას უახლოვდება. თრიალეთის ტიპიური ყორღანული ძეგლები დაახლოებით ამ ხანაზე (ძვ.წ. XV ან XV-XIV სს. ზღვარი) უნდა ემიჯნებოდეს გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებს, თუ თრიალეთში სავარაუდო არ არის მნიშვნელოვანი გარდამავალი პერიოდის არსებობა. შესაძლებელია, რომ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ძეგლები მეტ-ნაკლებად სინქრონული იყვნენ ქრონოლოგიურად გარდამავლად მიჩნეული ძეგლებისა, მაგალითად ბაიბურთის ტიპის სამარხებისა თრიალეთში, რომლებიც ჩვენში ერთობლივი მნიშვნელოვანი ჯგუფის სახით ჯერჯერობით გამოყოფილი არ არის. მათ შესახებ ჩვენ ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს ვიცყვით, მაგრამ ბაიბურთის სამარხების გვიანბრინჯაოსაკენ მიდრეკილება უფრო ნათლად ჩანს“ [გოგაძე 1972: 69].

1974 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში [Жоржикашвили, Гогодзе 1974: 11-12] დართულ რუკაზე ბაიბურთის სამაროვნის ადგილზე დატანილია XX და XXI ყორღანები. ამ ნომრის ყორღანები და მათში აღმოჩენილი მასალები ნაშრომში აღწერილი არ არის, თუ არ ჩავთვლით რუკის განმარტებას (ექსპლიკაცია), სადაც ამ ნიშნით მხოლოდ შუა ბრინჯაოს ყორღანებია აღნიშნული. XX და XXI ყორღანის მასალები ე. გოგაძეს არც 1972 წლის ნაშრომში აქვს განხილული (გარდა ზემოთ მოტანილი ციტატისა – სხვა არაფერი წერია), აქვე მოცემულ ქრონოლოგიურ სქემაში მხოლოდ ბაიბურთის სამარხების თარიღია მინიშნებული [გოგაძე 1972: 95]. ამდენად ამ ყორღანების შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ბ. კუფტინი ფრთხილობს ბაიბურთის სამარხების დათარიღებისას თუმცა ზუსტად განსაზღვრავს მათ ადგილს და შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისს შორის ათავსებს.

ბაიბურთის სამაროვნის თარიღს არაერთი მეცნიერი შეეხო [ქორიძე 1955; 1958; ჩუბინიშვილი 1957; აბრამიშვილი 1957, 1961; გოგაძე 1972 – ქრონოლოგიურ სქემაზე მოცემულია მათი თარიღი 1400 წ.].

შუა ბრინჯაოს დასასრულისა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისის ძეგლები კომპლექსურად პირველად კ. ფიცხელაურმა შეისწავლა [ფიცხელაური 1973]. მან, 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი საფეხური გამოყო, რომელიც ძვ.წ. 1450-1350 წწ. შორის მოაქცია და მთელი რიგი თავისებური ნიშნების გამო სამ ეტაპად დაყო. იგი აღნიშნავს „ჩვენ ამ საფეხურს იმიტომ ვუწოდებთ გარდამავალი, რომ იგი შეიცავს ორი სხვადასხვა ეტაპის დამახასიათებელ ნიშნებს და შუალედ რგოლს წარმოადგენს მათ შორის“ [ფიცხელაური

1973: 139]. პირველ ეტაპს მიაკუთვნა ილტოს კენოტაფი; მეორე ეტაპს კი კუფტინის მიერ გათხრილი ბაიბურთის (საფარ-ხარაბა) სამარხები, ზემო ბოდბეს გორასამარხები, ოლეს სამაროვნის ზოგიერთი სამარხი, მესამე საფეხურს — ულიანოვკის № 2 ყორლანი, რომელიც გარდამავალი ეტაპის და გვიანი ბრინჯაოს ხანის მიჯნაზე მოათავსა [ფიცხელაური 1973: 145-146]. 1979 წელს კ. ფიცხელაურმა სქემა შეცვალა - გარდამავალი ეტაპის I ჯგუფის ძეგლები შუა ბრინჯაოს მიწურულს მიაკუთვნა, მეორე ჯგუფი უშუალოდ „გარდამავალ“ ეტაპზე დატოვა, მესამე ჯგუფი კი გვიანი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [Пицхелаური 1979: 67]. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს მიაკუთვნა სამთავროს სამხრეთი უბნის №№ 70 და 156 სამარხები, სადულას № 1 ყორლანი, წალვლის სამარხეული ინვენტარი, თრელის 43, 51, 53 სამარხები, შულავრის № 12 სამარხი, გადრეკილის № 1 და № 2 ყორლანები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორლანი, არიჭის № 85, 108 სამარხები. გარდამავალ ეტაპში მოათავსა ზემო ბოდბეს №№ 1, 2, 4-7, ყორლანები, ბაიბურთის სამარხები, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამინების № 2 სამარხი, ნაომარი გორის № 2 სამარხი, თრელის № 74, ბრიმანყლის ორივე კომპლექსი, ჩალიანხევის ქვედა ფენის სამლოცველო, ტაბანყურის № 42 ყორლანი, საბიდახჩას № 28 ყორლანი, ბესასტყე. რაც შეეხება გადრეკილის № 6 სამარხს, ოლეს ყორლანებს, ულიანოვკის № 2 ყორლანს, ისინი გვიანბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა [Пицхелаური 1979: 69-70].

ე.წ. გარდამავალი ეტაპის ქვედა თარიღის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია თრიალეთის კულტურის III ჯგუფის ძეგლების ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა, რომლის განსაზღვრა, მასალის სიმცირის გამო, ჯერ კიდევ პრობლემატურია. ამ თარიღის დადგენისათვის მეცნიერები ძირითადად თრიალეთის XV ყორლანში აღმოჩენილი მასრიანი შუბისპირის თარიღს ეყრდნობოდნენ [აბრამიშვილი 1978; გოგაძე 1972; ჯაფარიძე 1969]. კ. ფიცხელაური აღნიშნავს „შუა ბრინჯაოს ხანის ზედა თარიღი, რომელიც განსაზღვრულია ძვ.წ. XV ს-ის შუა ხანებით, ჩვენი აზრით (და არა მხოლოდ ჩვენს მსგავსად), არასაიმედოა...“ [Пицхелаური 1979: 101; Пицхелаური 1990: 247]. გ. ქავთარაძის აზრით „თრიალეთის XV ყორლანის მასრიანი შუბისპირის საფუძველზე თრიალეთის კულტურის სასრული თარიღის ძვ.წ. XV ს განსაზღვრა არ უნდა იყოს მართებული“ [ქავთარაძე 1981: 118]. ეს ყორლანი ქავთარაძემ შუა ბრინჯაოს ხანის I ფაზას მიაკუთვნა [ქავთარაძე 1981: 115-118; Кавтарадзе 1983: 130-136] და ძვ.წ. II ათასწლეულის ადრეული საუკუნებით დაათარიღა [ქავთარაძე 1981: 33, 114].

შუაბრინჯაოს ხანის II ფაზას ქავთარაძემ თრიალეთის ის ყორლანები (XXVIII, XXX, XXXII, XLII) მიაკუთვნა, სადაც გვხვდება მთელი რიგი ისეთი ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის. ამავე ჯგუფში გააერთიანა თრელის №№ 43, 51, 81, 84, 104, სამთავროს № 156, შულავრის № 12, სადულას № 1 და გადრეკილის № 1 და № 2 ყორლანები, მეტეხის ქვაყრილიანი სამარხი, ნული, ქვასათალი, წალვლის სამარხეული ინვენტარი, არიჭის № 65, 85, 108 სამარხები და ლჭაშენის № 6, № 46 ყორლანები [ქავთარაძე 1981: 121; Кавтарадзе 1983: 136] და აღნიშნა, რომ ისინი უშუალოდ მოსდევენ XV ყორლანსა და მის თანადროულ ძეგლებს, რომელთა ზედა თარიღი ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებით განსაზღვრა [ქავთარაძე 1981: 120-121, 128; Кавтарадзе 1983: 36].

მოგვიანებით კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს ხანის დამამთავრებელ სტადიას მიაკუთვნა გადრეკილის № 1 და № 2 ყორლანები, ფევრების სამაროვნის კრომლესები, ილტოს კენოტაფი, სადულას № 1 ყორლანი, სამთავროს № 70 და № 156 სამარხები, შულავრის № 12 სამარხი, წალვლის №№ 1,3,7,8,11,13,16,17,18,21 სამარხები და რიგი სამარხებისა თბილისიდან. გარდამავალი ეტაპის ძეგლების ნაწილი (ზემო ბოდბე, ბაიბურთის სამარხები, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამინების № 2 სამარხი, უდაბნოს ყორლანები) გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპს მიაკუთვნა, ხოლო ადრე, გვიანბრინჯაოს ხანის I ეტაპისადმი (ძვ.წ. 1350-1250) მიკუთვნებული ძეგლები (ფლავისმანი, ცხინვალის ნაცარგორა, ყათლანიხევი, მელიდელე I-სამლოცველო, პირდაპირი მინები, მადნისჭალა, ღრმაღელის გორასამარხები, ულიანოვკის № 1 გორასამარხი, სამთავროს



მთელი რიგი სამარხები, მჭადიჯვრის ქვედა ფენა) გვიანბრინჯაოს ხანის II ეტაპს მიაკუთვნა. III ეტაპს მიაკუთვნა შედგენილტარიანი კახური ტიპის და ფოთლისებურპირიანი სატევრების შემცველი სამარხეული კომპლექსები, IV ეტაპს კი ის ძეგლები, სადაც პირველად ჩნდება რკინის ნივთები [Пицхелаური 1990: 248-249].

გვიანი ბრინჯაოს I ფაზის თარიღი გ. ქავთარაძემ ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებიდან XIV ს-ის დასაწყისამდე განსაზღვრა [ქავთარაძე 1981: 128; Кавთარაძე 1983: 146], ამ ფაზას მიაკუთვნა თრელის №№ 53, 74, 115 სამარხები, ილტოს კენოტაფი, ლილოს № 5 ყორღანი, სამთავროს სამხრეთი უბნის № 70 სამარხი, ზემო ბოდბის №№ 1, 2, 4-7, ცხინვალის ტყისკომბინატის სამარხები, ნამგალამინების № 2 სამარხი, ნაომარი გორის № 2 სამარხი, ბრიმანყლის ორივე კომპლექსი, ჩალიანხევის A ნამოსახლარის ქვედა ფენის სამლოცველო, ბესასტყის ნამოსახლარიდან მოპოვებული მასალა. აქვე ათავსებს არტიკის №№ 53, 422 და 625 სამარხებს, სადაც დამატარიღებული მნიშვნელობის ცილინდრული საბეჭდავები აღმოჩნდა [ქავთარაძე 1981: 127; Кавთარაძე 1983: 145]. ამ სამარხებს გ. ხაჩატრიანი არტიკის I (უძველეს) ჯგუფს მიაკუთვნებს და ძვ.წ. XIV-XIII სს. ათარიღებს [Хачатрян 1975: 158; Хачатрян 1979: 14]. არტიკის სამაროვნის უძველეს ჯგუფს, მათ შორის ცილინდრული საბეჭდავების შემცველ სამარხებს, ა. პილიპოსიანი ძვ.წ. XV-XIV სს. ათარიღებს [Пилипосян 1999: 61; Пилипосян 1998: 42-43, ტაბ. 41]. მეცნიერთა ნაწილი ამ ჯგუფის სამარხებს ძვ.წ. XIV ს-ის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს [Badalyan, Smith, Avetisyan 2003: 149].

გ. ქავთარაძემ გვიანი ბრინჯაოს II ფაზა ძვ.წ. XIV ს-ით დაათარიღა [ქავთარაძე 1981: 131; Кавთარაძე 1983: 149], რომელსაც მიაკუთვნა ბაიბურთის სამარხები, ულიანოვკის № 2 სამარხი, თრელის №№ 37, 42, 55, 56 სამარხები, გადრეკილის ქვედა იარუსის სამარხები, ფევრების ქვედა იარუსის სამარხები, ჩალიანხევის კომპლექსის ნამოსახლარის ზედა ფენა, ღრმადელის, მელი-ღელე I და სამთავროს შესაბამისი სამარხები, ასევე არტიკის სამაროვნის II ჯგუფის სამარხები [ქავთარაძე 1981: 128-129].

ამდენად, კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილი გარდამავალი ეტაპის ძეგლების ერთი ნაწილი გ. ქავთარაძემ [ქავთარაძე 1981: 125] გვიანი ბრინჯაოს I ფაზას, ე.ი. შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს მიაკუთვნა და ეს ფაზა ძვ.წ. XVI ს-ის შუა ხანებსა და ძვ.წ. XV ს-ის დასაწყისს შორის მოათავსა [ქავთარაძე 1981: 128]. მეორე ნაწილი, მათ შორის ბაიბურთის სამარხები, გვიანი ბრინჯაოს II ფაზას მიაკუთვნა და ძვ.წ. XIV ს დაათარიღა [ქავთარაძე 1981: 131].

მ. აბრამიშვილმა თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის II ფაზის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. XIX საუკუნის შუა ხანებით განსაზღვრა [აბრამიშვილი 2003: 51]. ამ თარიღის გაზიარების შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება III ფაზის ძეგლების თარიღიც.

თრიალეთის კულტურის III ჯგუფის ყორღანების ზედა თარიღი ალბათ იმ დროზე უნდა მოდიოდეს, როდესაც ტიპიურ, შუა ბრინჯაოს ხანის მასალებთან ერთად, ერთეულების სახით ჩნდება ახალი მასალები. რ. აბრამიშვილი, თრელის №№ 43, 51, 81, 84, 104 სამარხებს, სადაც შუა ბრინჯაოს ხანის ცალკეული ნიშნები გვხვდება, ძვ.წ. XVI ს-ით [აბრამიშვილი 1978: 68], ხოლო იმ ძეგლებს, „რომლებშიც შუაბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპიური ნივთები გვხვდება“ ძვ.წ. XV ათარიღებს [აბრამიშვილი 1978: 68]. რაც შეეხება ბ. კუფტინის მიერ გათხრილ ბაიბურთის სამარხებს, მათ თრელის №№ 37, 42, 55, 56 სამარხებთან, ულიანოვკის № 2, ოლეს № 11 და № 13, საბიდახჩას XXVIII და ტაბანყურის XLII ყორღანებთან, არიჭისა და არტიკის სამაროვნებთან ერთად რ. აბრამიშვილს სამთავროს ფოთლისებური სატევრების შემცველი ძეგლების თანადროულად მიაჩნია და ძვ.წ. XIV ს ათარიღებს [აბრამიშვილი 1978: 85]. თრელის №37 სამარხს ა. პილიპოსიანი ძვ.წ. XV-XIV სს. ათარიღებს [Пилипосян 1998: 62].

უკანასკნელ ხანებში, ალ. რამიშვილმა მის მიერ გათხრილი მასალების მიხედვით ახლებურად წარმოადგინა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების ძეგლების თარიღები. შუა ბრინჯაოს ხანის II ფა-

ზა (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედი) ორად გაყო. პირველი ნახევარი მიაკუთვნა შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულს (ძვ.წ. XVII ს.), სადაც არ შეიტანა თრიალეთის ყორღანები; მეორე ეტაპს (ძვ.წ. XVI ს-ის პირველი ნახევარი) მიაკუთვნა თრიალეთის № 32 ყორღანი, ილტოს კენოტაფი, სამთავროს № 70 სამარხი, I კენოტაფი, თრელის № 43, 53 და ნალვლის სამარხების დიდი ჯგუფი, რომლებიც გარდამავალი პერიოდის I ეტაპის ძეგლებად მიიჩნია. იგი აღნიშნავს „სწორედ მაშინ იწყება შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდი, როდესაც შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი მასალის გვერდით თავს იჩენს გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ნიშნები [რამიშვილი 2004: 165]. გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზაც ორად გაყო. პირველი ნახევარი ძვ.წ. XVI ს-ის მეორე ნახევრით დაათარილა და გარდამავალი პერიოდის II ეტაპს მიაკუთვნა. ამ ეტაპში მოათავსა კუფტინის მიერ გათხრილი ბაიბურთის სამარხები, საბიდახჩას № 28, ტაბანყურის № 42, სამთავროს № 198, ლილოს № 5, თრელის № 56, № 74, ნამგალამინის № 1, № 2, კასპის № 4, № 18, ცხინვალის №№ 3,4, ოლეს № 11, ზემო ბოდბის №№ 1,2, გადრეკილის №№ 1,2, ბრიმანყლის №№ 1,2 სამარხები. მეორე ნახევარი ძვ.წ. XV ს დაათარილა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიაკუთვნა, სადაც მოათავსა ცხინვალის ნაცარგორა, საციხურის გორა, ხაშურის ნაცარგორა, ყათნალიხევის, მჭადიჯვრის, ბესასტყის (ნალვლი) ნამოსახლარები, ნალვლის №№ 62, 91, ნაცარგორას №№ 510-514, ფლავისმანის, წეროვნის, ღრმაღელეს №№ 2,4,6, თრელის №№ 37, 42, 55, ულიანოვლის № 2, ოლეს № 13, ზემო ბოდბის №№ 4-7, გადრეკილის №№ 1, 6, 9-11, 26, 27, 42, 66, 102, 105, პირდაპირი მიწების №№ 1-3, ფევრების №№ 21, 25, 53, სამთავროს №№ 139, 153 სამარხები. გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზაც (ძვ.წ. XIV ს) ორად გაყო. პირველი ეტაპი მიაკუთვნა ფოთლისებური სატევრების გავრცელების პერიოდს, მეორე კი ფოთლისებური და შედგენილტარიანი სატევრების გავრცელების ხანას [რამიშვილი 2004: 178].

ვ. სადრაძე სამთავროს სამაროვნის №№ 70, 156 სამარხებს ძვ.წ. XVI-XV ს-ის პირველ ნახევარით ათარილებს და შუა ბრინჯაოს ხანის უკანასკნელ, III ეტაპს მიაკუთვნებს [სადრაძე 2002: 41]. შუა ბრინჯაოს ხანის III ქრონოლოგიურ ჯგუფში ასევე აერთიანებს თრიალეთის I, II, XV ყორღანებს, საბიდახჩას № 5, ახჩიას №№ 3, 9, 13, ნატახტრის III სამაროვნის №№ 7, 20, 21, 22, 27, სამთავროს №№ 55, 62, 70, 123, 142, 156, 178, 194, 196, 222, 257, 263, ნალვლის №№ 11, 20, 94, 95, თრელის 43, 51, 53, 81 სამარხებს, ილტოს კენოტაფს, ლილოს № 5 ყორღანს [სადრაძე 2002: 101-102], რომლებსაც ძვ.წ. 1600-1450 წწ. ათარილებს [სადრაძე 2002: 108]. გარდამავალ პერიოდს ძვ.წ. 1450-1350 წწ. განსაზღვრავს. გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპი ძვ.წ. 1350-1250 წწ. შორის მოათავსა და ორ პერიოდად გაყო. პირველს, ადრეულ პერიოდს მიაკუთვნა ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის ძეგლები, რომლების თარიღად ძვ.წ. 1350-1300 წწ. მიიჩნია, მეორეს კი - სამთავროული კულტურის ძეგლები და ძვ.წ. 1300-1250 წწ. დაათარილა [სადრაძე 2002: 148-161, 242-247, იხ. ქრონ. ტაბულები]. ამასთან აღნიშნავს „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა წყვეტს ფუნქციონირებას და მის ადგილს სამთავროული კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები იჭერენ“ [სადრაძე 2002: 163].

კოტე ფიცხელაური შუა ბრინჯაოს ფინალურ ეტაპს დაახლოებით ძვ.წ. XVI ს-ში ათავსებს [ფიცხელაური 2005: 98]. ამასთან აღნიშნავს „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის უშუალო გაგრძელებაა. ეს კულტურა წინ უსწრებს ბოლო დრომდის გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურად მიჩნეულ სამთავროულ თუ შიდაქართლურ ბრინჯაოს ფოთლისებურპირიანი სატევრების კულტურას. რადიოკარბონული ანალიზების სერიის მიხედვით (ფევრების სამაროვანი) ამ კულტურის თარიღი თითქოს ძვ.წ. XIV-XIII სს. ფარგლებში უნდა მოთავსდეს“ [ფიცხელაური 2005: 107]. ამდენად, ცენტრალურამიერკავკასიურ კულტურას, რომელიც ფევრების სამაროვნისათვის მიღებული რადიოკარბონული ანალიზების სერიის მიხედვით ძვ.წ. XIV-XIII სს. ფარგლებში ათავსებს, თუმცა არ გამოორიცხავს ამ თარიღის

შესწორებას მათი დაძველების მიზნით [ფიცხელაური 2005: 107]. ამ კულტურის ძეგლებად მას მიაჩნია ყათნალიხევის, მჭადიჯვრის გორის, ხოვლეგორას, საჯოგეს, ცხინვალის ნაცარგორას, საცინურის გორას, ზღუდრის ხევის, ბესას ტყის, ხაშურის ნაცარგორას, ჩალიპირაგორების, ფევერების, ჩალიანხევის (ვაისწყალი), ნითელი გორების, დიდი გორის, ტყის ბოლო გორის, მურაკე-ბის გორის, ხაშალ გორის, ნერგით გორის, რუხი გორის, პატარა გორის, ბუმბულა გორის, ანაგის გორის, კომბალა გორის, ნაომარი გორის, დასაქანის, ნაომარი გორის (უდაბნო), საბადურის გორის, ავაზას გორის, ტახტი-მუხას, ჩანკაანის, სასანთლიანთ გორის, ხატის გორის, არხილოსკა-ლოს გორის და ზემოქედის გორის ნამოსახლარები; ბაკურციხის, ნითელი გორების (ყორღანები), სათვალისწყალის, უდაბნოს (№ 8 ყორღანი), უდაბნოს (№ 5 ყორღანი), ჩიჩხიტურის, ოლეს (№№ 11, 13 ყორღანები), ულიანოვკის (სიღნაღის რ-ონი), კოდისწყაროს (ყორღანები), ფევერების, გად-რეკილის „ნასადგომევი“, გადრეკილის „პირდაპირი მიწები“, გარდაბნის (ყორღანი), ნეროვნის, ქარელის (ყორღანები), ორგორას (დოღლაური), ზურგოვანის (ყორღანი), სასირეთის (განძი), ცი-ხიაგორას (საყარაულო სერი), ძველი ქანდას, ფლავისმანის, ბულაჩაურის, ბორჯომის, საჯოგეს (ყორღანები), ჩალიპირაგორების, თბილისის (ღრმაღელე-ყორღანები), ფლევის, კვირაცხოვე-ლის, ნამგალა მინას, თრელის №№ 37, 42, 55, კოპალას, მადნისჭალის, მაჭარწყალის, სამთავროს, ირგანჩაის (№ 5 ყორღანი), ბორნიღელეს, აბანოს ღელეს (ხიმშიანთ მიწები), ბერიკლდეების, ნა-ტახტარი II (ყორღანები), რველის (ბანის ხევის), წაღვლის სამაროვნები [ფიცხელაური 2005: 104-105].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანის ძეგლების დათარიღების, მათი კულტურული ატრიბუციის საკითხები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. მაგ. ბაიბურთის სამარხების დათარიღების საკითხი აზ-რთა სხვადასხვაობას იწვევს. ასევე ილტოს კენოტაფთან და სხვა ძეგლებთან მიმართებაშიც. ასეთი სიტუაცია კი ახალ მასალებსა და ადრე გათხრილი მასალების ახლებურ გაანალიზებას ითხოვს. საკითხის გადამწყვეტა დიდად იქნება დამოკიდებული რადიონახშირბადული და სხვა მე-თოდების გამოყენებით მიღებულ სერიულ თარიღებზე. ცენტრალური სამხრეთ კავკასიის ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებულ ყველა ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტების, მკაცრ იერარქიულ სისტემაზე დაფუძნებული, ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად შემუშავებული ტი-პოლოგიური რიგების კორელაცია და მათი შეჯერება რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული კალიბრირებულ თარიღებთან, ამ ეპოქის დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავებას შეუწყ-ობს ხელს. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესი აუ-ცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასეთი კვლევა კი შეიძლება ახალი არქეოლოგიური კულტურის (თუ კულტურების) გამოყოფის საფუძველი გახდეს.

მანამდე კი მხოლოდ გარკვეული ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. მიგვაჩნია, რომ მკვლე-ვართა ნაწილი სამართლიანად გამოყოფს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე „გარდამავალ“ ეტაპს, რამდენადაც გარკვეულ საფეხურზე მართლაც შეინიშნება ამ ორი კულტურისათვის დამახასი-ათებელი ელემენტების თანაარსებობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძეგლების ერთ ნაწილზე შუაბრინჯაოს ხანის მასალების სიჭარბე შეინიშნება, მეორე ნაწილზე კი მხოლოდ „გარდამავალი“ ეტაპისათვის დამახასიათებელი მასალები გვხვდება.

ჩვენი აზრით, შეიძლება დაფუძნათ, რომ „გარდამავალი“ ეტაპი ძვ.წ. XVII ს-ს ან ძვ.წ. XVII სა-უკუნის მეორე ნახევარს მოიცავს. ეს ეტაპი შეესაბამება გ.ქავთარაძის მიერ გამოყოფილ შუა ბრინჯაოს ხანის II ფაზას, ალ.რამიშვილის გარდამავალი ეტაპის I ფაზას (ძვ.წ. XVI ს. პირველი ნა-ხევარი).

ამ ეტაპის უადრეს ძეგლად თრიალეთში ჯინისის ნამოსახლარი მიგვაჩნია. ჯინისის ნამოსახ-ლარზე აღმოჩენილი კერამიკის ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, თხელკე-ციანია და ზედაპირი გაპრიალებული აქვს. მათ შორის გვხვდება სამკუთხედის ფორმის, წვრილი

შტამპით დატანილი სამკუთხედებით შემკული ნატეხები [ამირანაშვილი, ნარიმანიშვილი 2005] (ისინი ჭდევიტ დატანილ შევრონებს კი არ წარმოადგენენ, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეტაპის ძეგლებისათვის, არამედ შეუესებელი სამკუთხედების რიგს). მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭლები აღმოჩენილია თრიალეთის I და II ყორღანებში [გოგაძე 1972: ტაბ. XV<sub>20,21,25</sub>; ტაბ. XVI<sub>13</sub>], ზურტაკეტის № 3 [ჯაფარიძე 1969: ტაბ. XV], № 4 [ჯაფარიძე 1969: ტაბ. XXI, სურ. 37] ყორღანებში, ქვასათალის № 6 სამარხში [ჯაფარიძე 1969: სურ. 64<sub>1,2</sub>]; ნატახტარი II და III სამაროვნებზე [სადრაძე 2002: ტაბ. XX<sub>10</sub>; ტაბ. XVI<sub>5</sub>; ტაბ. XXVI<sub>38,48</sub>]; წინამურის № 13 სამარხში [ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995: 59, 69-73, სურ. 358, 362-365, 529-575]. ნატახტარისა და წინამურის სამარხები შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება [სადრაძე 2002: 87-91, 100, 105-108; ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი, 1995: 59; Апакидзе и др. 1991: 82, ტაბ. 191, 192, 194-195].

შეიძლება ითქვას, რომ ჯინისის ნამოსახლარის ამ ტიპის კერამიკა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის იდენტურია და ამ ეპოქის ტიპურ პროდუქტს წარმოადგენს. ჯინისის ნამოსახლარზე, ზემოთ აღწერილ ჭურჭლებთან ერთად გვხვდება ისეთი კერამიკაც, რომლებიც შედარებით უხემკეციანია, ხაოიანი და დაღარული ზედაპირი აქვთ. ასეთ ჭურჭლებს მხარზე ირიბად დაკეჭნილი სარტყელის რიგი შემოუყვება [ამირანაშვილი, ნარიმანიშვილი 2005: ტაბ. CI<sub>6</sub>; CXI<sub>5</sub>; CXVII<sub>4,6</sub>; CXIX<sub>9</sub>; CXXVI<sub>7,8</sub>; CXLIX<sub>1,3</sub>; CL<sub>5</sub>; CLXXII<sub>8</sub>; CLXXXVII<sub>5,7</sub>]. ასეთი ჭურჭლები იმერასა და საფარ-ხარაბას სამაროვნებზე აღმოჩენილ ჭურჭლებს ემსგავსება კეციტ და დაკეჭნილი ორნამენტით, იმ განსხვავებით, რომ ჯინისის კერამიკისათვის რელიეფური სარტყლები დამახასიათებელი არ არის.

ჯინისის ტიპის ჭურჭლები პირველად შუა ბრინჯაოს ხანის მინურულში ჩნდება [Пицхелаური 1979: 67; აბრამიშვილი 1978: 65]. ასეთ კომპლექსებს რ. აბრამიშვილი შუაბრინჯაოს ხანის მინურულს აკუთვნებს [აბრამიშვილი 1978: 65], კ. ფიცხელაური მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ჭურჭლების შემცველი კომპლექსების შუა ბრინჯაოს ხანის მინურულისადმი მიკუთვნებას ეთანხმება, აღნიშნავს, რომ გარდამავალი ეტაპის გამოყოფა ეჭვს არ იწვევს და შემდგომი აღმოჩენები ამ ეტაპის ცალკეული საფეხურების გამოყოფის საშუალებასაც მოგვცემს [Пицхелаური 1979: 67, შენიშვნა].

ამდენად, ჯინისის ნამოსახლარის შუა ბრინჯაოს ხანის მინურულისათვის მიეკუთვნება მართებულად მიმაჩნია. უფრო სწორად, იგი წარმოადგენს ნამოსახლარს, სადაც პირველად ჩნდება „გარდამავალი“ ეტაპისათვის დამახასიათებელი კერამიკის ერთეული ფრაგმენტები. ნამოსახლარი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVII საუკუნით ან XVII ს-ის მეორე ნახევარით უნდა დათარიღდეს.

ქრონოლოგიურად მისი თანადროული უნდა იყოს ის ძეგლები, რომლებიც კ. ფიცხელაურმა შუა ბრინჯაოს მინურულსა და უშუალოდ „გარდამავალ“ ეტაპს შორის მოაქცია, გ. ქავთარაძე კი შუაბრინჯაოს II ფაზას აკუთვნებს.

ის ძეგლები კი, სადაც „შუა ბრინჯაოს მასალებთან ერთად გვიანბრინჯაოს ხანის ტიპური ნიშნები“ გვხვდება გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზას შეიძლება მიეკუთვნოს. ეს ფაზა ძვ.წ. XVI ს უნდა მოთავსდეს.

გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზა ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით (ძვ.წ. 1500-1350) უნდა დათარიღდეს. იგი შეესაბამება გ.ქავთარაძის გვიანბრინჯაოს II ფაზას, სადაც ბაიბურთის სამარხებს ათავსებს და ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს, ალ. რამიშვილი ამავე სამარხებს გარდამავალი II ფაზა-გვიანბრინჯაო I ფაზაში აქცევს და ძვ.წ. XVI ს-ით ათარიღებს.

საფარ-ხარაბას (ბაიბურთის) და იმერას სამაროვნებს ჩვენ გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზაში ვათავსებთ. ბეშქენაშენის (ბეშთაშენი) ნამოსახლარიც ამ ფაზას უნდა მიეკუთვნოს. თუმცა, მასალის სიმცირის გამო, მისი ვინრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსება ჭირს და ამიტომ ზოგადად ძვ.წ. XVI-XIV სს. უნდა დათარიღდეს. თუმცა ძეგლზე დადატურებული ნამოსახლარი ფენის სამი დონე, შემდგომი გათხრების შემთხვევაში, უფრო დანაწევრებული ქრონოლოგიის საფუძველი შეიძლება გახდეს [ნარიმანიშვილი 2006]. ბეშთაშენის ნამოსახლარის და საფარ-ხარაბას სამაროვნის თანადროული დასახლებების ნაშთებს ბ.კუფტინმა სოფ. ოზნისთან [Куфтин 1947: 5,

12, 16, 21; Куфтин 1948: 34-35] და სანთის (უნყლო) ქვედა „ციკლოპურ“ სიმაგრესთან მიაკვლია [Куфтин 1936: 73-74].

ამ ფაზაზე უკვე გვაქვს წინააზიური სატევრის გარკვეული ტიპი და Common Style-ს ცილინდრული საბეჭდავები, რომელთა თარიღებიც ამ ფაზის თარიღს მისაღებს ხდის.

ამ დროის მასალებში შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები პრაქტიკულად აღარ გვხვდება.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე ორი სახის კერამიკაა აღმოჩენილი. ერთი ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი გაპრიალებულია. ზოგიერთი ეგზემპლარი შემკულია წნევით დატანილი გაპრიალებული ორნამენტით (ტაბ. XII; XIV; XV). მეორე სახის ჭურჭლები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან (ტაბ. XIII; XVI), სქელკეციანია, ზედაპირი და ძირი შემკულია რელიეფური, თოკისებურად გრეხილი ან ირიბად დაკეჭნილი სარტყლებით. ორივე სახის კერამიკა ჩარხზეა ამოყვანილი და უყუროა.

საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვანზე აღმოჩენილ კერამიკულ მასალაზე შუა ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ორნამენტი აღარ გვხვდება. ამ სამაროვნების თიხის ჭურჭელი არც ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურისათვის დამახასიათებელი ე.წ. სოლისებური ორნამენტითაა შემკული, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის III ფაზას მიეკუთვნება და ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებითა და ძვ.წ. XIII ს-ით (ძვ.წ. 1350-1200 წწ) თარიღდება. რაც შეეხება სამთავრულ კულტურას, რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ.წ. XIV ს-ით ათარიღებს, იგი ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის მიმდევრო საფეხურს განეკუთვნება [სადრაძე 2002: 148-163, 242-247; ფიცხელაური 2005: 107] და ძვ.წ. XII-XI სს. უნდა დათარიღდეს.

ამდენად, საფარ-ხარაბას სამაროვანი გვიანი ბრინჯაოს ხანის II ფაზას შეესაბამება და ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანებით თარიღდება.

კ. ფიცხელაურს აღნიშნული აქვს, რომ ძვ.წ. XV ს-ის დასაწყისიდან ყალიბდება ერთგვაროვანი კულტურა, რომელიც წინამორბედი „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების“ კულტურის მთელ არეალს იკავებს [Пицхелаური 1979: 70].

ამ „ერთგვაროვანი კულტურის“ წრეს განეკუთვნება თრიალეთში გათხრილი საფარ-ხარაბას (ბაიბურთი), ბეშქენაშენის (ბეშთაშენი), უწყლოს (სანთა), მეთრევანას (იმერა) და ლოშოს (ოზნი) არქეოლოგიური ძეგლები.

ცენტრალურ სამხრეთ კავკასიაში გვიანი ბრინჯაოს II ეტაპის პირველი ძეგლი თრიალეთში, ადგილ ბაიბურთში გაითხარა, რომელიც ბარეთის ტაფობის ცენტრში მდებარეობს. ამიტომ, იმ „ერთგვაროვან კულტურას“, რომელიც „თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების“ კულტურის მთელ არეალს იკავებს და ძვ.წ. 1500-1350 წწ. თარიღდება, პირობითად, „ბარეთის კულტურა“ შეიძლება ეწოდოს [ნარიმანიშვილი 2006a]. ამ დროს ყალიბდება არტეფაქტების მთელი კომპლექსი, რომელიც შემდგომი, ცენტრალურამიერკავკასიური კულტურისათვისაც არის დამახასიათებელი.

ბარეთისა და ცენტრალურამიერკავკასიური კულტურების ერთ-ერთ ძირითად განმასხვავებელ ელემენტს თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. ცენტრალურამიერკავკასიური კულტურისათვის ე.წ. სოლისებური ორნამენტით (შტამპით) შემკული და ყურიანი კერამიკაა დამახასიათებელი. ასეთი კერამიკა ბარეთის კულტურის ძეგლებზე საერთოდ არ გვხვდება.

ცვლილებები ბარეთის კულტურაში ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებიდან შეინიშნება, როდესაც მის ნიაღში ჩნდება ახალი მასალები. ეს მოვლენა, როგორც ჩანს, წინა აზიაში მიმდინარე პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძალთა ახალმა გადანაწილებამ მითანის სამეფოს დასუსტება და დაცემა გამოიწვია, შეიცვალა კულტურულ-ეკონომიკური გარემო, რამაც სამხრეთ კავკასიაზეც მოახდინა გავლენა.

ბარეთის კულტურის უშუალო გაგრძელებაა ცენტრალურამიერკავკასიური კულტურა, რომელსაც სამთავრული კულტურა მოსდევს [სადრაძე 2002: 148-163, 242-247; ფიცხელაური 2005: 107].

ამდენად, „გარდამავალი“ ეტაპი ძვ.წ. XVII ს-ში უნდა მოთავსდეს, გვიანი ბრინჯაოს ხანის I ფაზა ძვ.წ. XVI ს-ით დათარიღდეს, გვიანი ბრინჯაოს II ფაზა ძვ.წ. XV-XIV ს შუა ხანებით და ამ ფაზას მიეკუთვნოს „ბარეთის კულტურის“ ძეგლები, გვიანი ბრინჯაოს III ფაზა ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებით და ძვ.წ. XIII ს-ით, რომელსაც მიეკუთვნება „ცენტრალურამიერკავკასიური კულტურის“ ძეგლები, გვიანი ბრინჯაოს IV ფაზაში უნდა მოთავსდეს „სამთავრული კულტურის“ ძეგლები და ძვ.წ. XII-XI სს. დათარიღდეს (ცენტრალურამიერკავკასიური და სამთავრული კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი ამჟამად ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება და ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს).

**დასკვნა.** საფარ-ხარაბას და იმერას სამაროვნებზე მოპოვებული მასალები სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ პერიოდს მიეკუთვნება. ძვ.წ. XV-XIV სს. დათარიღებული სამარხები აღნიშნული რეგიონის ბევრ პუნქტშია გათხრილი, მაგრამ მათი შესაბამისი ნამოსახლარები პრაქტიკულად ცნობილი არ არის. ამ ეპოქის ნამოსახლარის მცირე ნაწილი ნალკაშივე, სოფ. ბეშთაშენსა და სოფ. საფარ-ხარაბას შორისაა გათხრილი. სამაროვნის სამხრეთით მდებარე დიდი დასახლებას რთული თავდაცვითი სისტემა აქვს. იგი მდინარეთა შესართავში, ღრმა კანიონებს შორის მოქცეულ კონცხზეა გამართული, რაც თავდაცვისუნარიანობის გაზრდას უწყობდა ხელს. ნამოსახლარზე გათხრილი ძვ.წ. XV-XIV სს-ის ფენა სამ დონეს შეიცავს.

თრიალეთში დღეისათვის ამ ეპოქის ხუთი ძეგლია გათხრილი: ბეშთაშენის, ოზნის და სანთის ნამოსახლარები, იმერას და საფარ-ხარაბას სამაროვნები.

ბეშთაშენის ნამოსახლარის მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი. ნამოსახლარის ის ნაწილი, რომელიც გაითხარა გვიანდელი სამშენებლო საქმიანობით ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია სახლის ერთი კუთხე და იატაკის ნაწილი. ამდენად ამ პერიოდის არქიტექტურაზე საუბარი ჭირს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განათხარ ფართობზე დაფიქსირდა ერთი ფენა სამი სამშენებლო დონით.

იმერას სამაროვნის ენერგოკორიდორში მოქცეული ნაწილი ინტენსიურად არ არის ათვისებული. სამაროვნის შესწავლილი ფართობი მიუთითებს, რომ სამარხების ძირითადი ნაწილი, სავარაუდოდ ენერგოკორიდორის ჩრდილოეთით მდებარეობს. საფარ-ხარაბას სამაროვნისაგან განსხვავებით, იმერას სამაროვანი ღარიბულ ინვენტარს შეიცავს და არც გამორჩეული სამარხები გვხვდება. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საფარ-ხარაბაში 115 სამარხი გაითხარა, იმერაში კი მხოლოდ შვიდი.

თრიალეთის ამ ეპოქის ძეგლებს შორის გამორჩეული ადგილი საფარ-ხარაბას სამაროვანს უკავია. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მისი სიგრძე 1500 მ-ია, სიგანე კი 400-500 მ-ს აღწევს. 2003-2005 წლებში სამაროვანზე 115 სამარხი გაითხარა. სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები მიუთითებენ, რომ საზოგადოებას, რომელსაც ეს სამარხები ეკუთვნის, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მითანური ცილინდრული საბეჭდავები (“Common Style”). ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ კავკასიაში იშვიათად გვხვდება, ისინი აქ იმპორტს წარმოადგენენ, რაც ამ რეგიონის გარე სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებზე მიუთითებს. ასეთ ურთიერთობას საფარ-ხარაბას სამაროვანზე და სამხრეთ კავკასიის სხვა, თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილი მესოპოტამიური, ანატოლიური და ეგვიპტური ნივთებიც ადასტურებენ.

სამხრეთ კავკასიაში ცილინდრული საბეჭდავების და სხვა წინააზიური ნივთების აღმოჩენა ამ რეგიონის ხური-მითანის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, რომელიც ძვ.წ. XVI ს-დან ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ხდება. მითანის სამეფო დინას-

ტია ნათესაურ კავშირებს ამყარებს ეგვიპტის XVIII დინასტიის (ძვ.წ. 1550-1355 წწ) ფარაონებთან [ИДВ 1988: 73].

ხურიტები ახლო აღმოსავლეთში უძველესი დროიდან სახლობდნენ. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებსა და ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში ზაგროსის მთიანეთში უკვე არსებობენ ხურიტული სახელმწიფოები (კარახარი, მოგვიანებით შუშარა, არაპხა და ა.შ.). შესაძლოა ძვ.წ. III ათასწლეულში სწორედ ხურიტები იკავებენ ევფრატის ზემო წელს. ხურიტულენოვანი წარმომადგენლობა არსებობდა ქანემის სავაჭრო ცენტრში და მასთან დაკავშირებულ სხვა ქალაქებში (განსაკუთრებით ურშუში). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ტავროსისა და ზაგროსის მთიანეთის მოსახლეობა ახლო აღმოსავლეთის დასავლეთ ოლქებთან ვაჭრობას უფრო ადრე აწარმოებდა, ვიდრე მათთან პოლიტიკურ კონტაქტებს დაამყარებდა [ИДВ 1988: 66-67].

ძვ.წ. XVI საუკუნეში ხურიტული მოსახლეობის გავლენა ევფრატის დასავლეთით უკვე ძლიერი იყო. ძვ.წ. XV საუკუნისათვის ხური-მითანის სამეფო უძლიერეს პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა. ძვ.წ. XIV საუკუნისათვის იგი იმდენად ანგარიშგასაწევი ძალა იყო, რომ ეგვიპტის ფარაონები მასთან ბრძოლას მითანის მეფეებთან ნათესაური კავშირების დამყარებას ამჯობინებდნენ. თუთმოს IV-ის ცოლი ართათამა I-ის ასული იყო. ამენხოტეპ III-ს ცოლად ყავდა შუთარნა I-ის ასული, კელუ-ხეფუ. შესაძლოა ამენხოტეპ IV-ის ულამაზესი მეუღლე, ნეფერტიტი თუშრატას ასული იყო [Египетская мифология 2002: 357-358].

მითანელები დაპყრობით ომებში ეყრდნობოდნენ სამხედრო ელიტას, ჯარს, რომელსაც როგორც მითანში, ისე სირია-პალესტინაში ეწოდებოდა *marijanni-na*. ამ სიტყვას დაუსაბუთებლად უკავშირებდნენ ძველ ინდურ *marya-s* რაც „ახალგაზრდა კაცს“, ავესტაში კი „მამაკაცთა კავშირის წევრს“ ნიშნავდა. შემდგომ ეს ფენა გადაიქცა თავისებურ დიდგვაროვანთა წოდებად — „საბრძოლო ეტლებზე მოარულეებად“, თუმცა ალაღახის არქივის ტექსტებიდან ცნობილია ისეთი *marijanni-na* რომლებსაც არა აქვთ საბრძოლო ეტლი [Вильхельм 1992: 47-48]. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ სირია-პალესტინაში ცხენის და ეტლის შენახვა ძალიან ძვირი ჯდებოდა და მხოლოდ მდიდარ ხალხს შეეძლო [Вильхельм 1992: 47].

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების სამხრეთ კავკასიაში ეტლით, ან ხის სარეცელით (საზიდარით) მიცვალებულის დაკრძალვა, ან მიცვალებულისათვის ურმის დეტალების ჩატანება, შესაძლოა, კავკასიის ტერიტორიაზე სწორედ ამ სოციალური ფენის არსებობაზე მიუთითებდეს. ზემოაღნიშნულზე შეიძლება ის ფაქტიც მიუთითებდეს, რომ ეტლიან სამარხებში დაკრძალულები არიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები (საფარ-ხარაბას № 30 სამარხი, ბერიკლდეები, ლჭაშენი). ჩვენი აზრით, სამხრეთ კავკასიაში ეტლიან სამარხებში დაკრძალული მიცვალებულები სწორედ ეს *marijanni-na* დიდგვაროვნები არიან და მათი მაღალი სოციალური წარმომავლობის მაჩვენებელი ეტლია (საინტერესოა, რომ სვანურად მამაკაცი, მამრი არის მაარე და სახელი *marijanni-na* შესაძლოა ქართულენოვანი წარმომავლობის იყოს).

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ძვ.წ. II ათასწლეულის მთელ მანძილზე მითანის ჩრდილოეთი რეგიონებიდან და არაპხადან თანამედროვე სომხეთისა და სამხრეთ საქართველომდე, შესაძლოა კავკასიის მთებამდეც, მოსახლეობა ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო [ИДВ 1988: 90]. ბ. პიოტროვსკის აზრით, მრავალი საერთო ნიშანი შეინიშნება ამ რეგიონებში გავრცელებულ კერამიკაში, შეიარაღებაში, მშენებლობაში და ა.შ., საერთო ნიშნები ჩანს სამხრეთ ოლქების ხურიტებსა (ტიგროსის სამხრეთი, ზემო მესოპოტამია, ჩრდილოეთ სირია) და ცენტრალური ამიერკავკასიის მოსახლეობას შორისაც [ИДВ 1988: 90].

თანამედროვე ლინგვისტიკური მონაცემებით ხურიტული ენა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენების მონათესავეა. უძველესი ხურიტული ტექსტები ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდანაა ცნობილი. ძვ.წ. I ათასწლეულიდან კი ამ ენაზე შესრულებული

ტექსტები აღარ გვხვდება [Лингвистический словарь 1990: 574]. დიაკონოვის აზრით, ცალკეული ლექსიკური მსგავსება ხურიტულსა და ქართველურ ენებს შორის შესაძლოა შორეულ ნათესაურ კავშირებზე მეტყველებს [Дьяконов 1980: 104].

ქართულ ენაში დადასტურებულია ურარტული გამოთქმები, რომლებსაც პირველად ა. სვანიძემ მიაქცია ყურადღება; ასეთებია: „ყირამალა“, „თავდაყირა“, „ივრი არალე“, „არი არალე“, „თარი არალე“. გ. მელიქიშვილი ამ ლექსიკის გაჩენას ხსნის იმით, რომ ურარტული ტომების გარკვეულმა ნაწილმა ქართველურ ტომებთან ასიმილაცია განიცადა და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა [Меликишвили 1959: 117]. ასევე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხურიტულ-ქართველური ლექსიკური თანხვედრა იმ უძველეს ერთობაზე მიუთითებს, რომელიც ურარტულ ხანაზე გაცილებით ადრე უნდა არსებულებოდა.

ძვ.წ. XIV ს-ს მეორე ნახევარში ხეთების სამეფო, ეგვიპტე და ასურეთი გაერთიანებული ძალეობით გამოვიდნენ მითანის წინააღმდეგ. ხეთების მეფე სუფილულიუმა I-მა (ძვ.წ. 1340-1325 წწ) დაიპყრო მითანის მთელი მიწები ხმელთაშუაზღვამდე, კარხემიშის ჩათვლით [Вильхельм 1992: 69]. XIII ს-ის შუა ხანებში ასურეთის მეფე ადადნერარი I დაიპყრო მითანის დიდი ნაწილი [Вильхельм 1992: 75].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილია თვლიანი მძივები (2005 წელს გათხრილი №№ 6, 56, 73 სამარხები; ტაბ. XIX<sub>11</sub>; XX<sub>19,20</sub>), ჯიხვისთავიანი საკინძი [Куртин 1941: 77, სურ. 87<sub>1</sub>] და ქუსლიანი ჭურჭელი (ტაბ. XIV<sub>7</sub>), რომელთა უახლოესი პარალელები ჩრდილოეთ ირანში, სამხრეთ თურქმენეთსა და ჩრდილოეთ ავღანეთში გვხვდება. თეთრი ან ნივთელი პასტიტ ინკუსტრირებული ბიკონუსური მძივები გავრცელებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში (თეფე ჰისარი III); სამხრეთ თურქმენეთში (მურღაბის აუზი), ნამაზგა VI პერიოდში; ინდის ველზე, პოსტხარაპულ კულტურაში; ჩრდილოეთ ავღანეთში (მუნდიგაკი) და ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. იგივე რეგიონშია გავრცელებული და ამავე პერიოდს მიეკუთვნება რქოსანი ცხოველის (ჯიხვი, ხარი) თავიანი საკინძები [Сарианиди 1977: 83-84, 102-104]. ქუსლიანი ვაზები და სასმისები გავრცელებულია ზაგროსის მთიანეთში, გიანის კულტურაში, სადაც ქრონოლოგიურად II ათასწლეულში ექცევა, ტერიტორიულად კი ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ირანშია გავრცელებული [Станкевич 1978: 17-31]. თრიალეთისა და კასპიის ზღვის სამხრეთ რაიონებში მსგავსი მასალების აღმოჩენა ამ რეგიონების გარკვეულ კონტაქტებზეც უნდა მიუთითებდეს.

ძვ.წ. მეორე ათასწლეულის II ნახევარში ხური-მითანის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ნაირის ქვეყნების გაერთიანება იკავებს, რომლის სათავეში დიაუხის სამეფო ჩანს. ძვ.წ. II ათასწლეულის მინურულისათვის, ნაირის ქვეყნების კოალიციიდან წინა პლანზე ურარტუ გამოდის, რომელიც ძვ.წ. IX საუკუნიდან უძლიერესი სახელმწიფო ხდება.

ჩვენი აზრით, ძვ.წ. XVI-XIV სს-ში, ხური-მითანის ძლიერების ხანაში, თრიალეთი განიცდიდა ამ სამეფოს ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას, რის შედეგად საფარ-ხარაბას სამაროვნის ინვენტარში ჩნდება წინააზიური ტიპის მახვილები, „Common Style“-ის ხური-მითანიური საბეჭდავები, მინის მძივები და ეგვიპტური სკარაბეები. ძვ.წ. II ათასწლ. დასწყისში პოლიტიკური ძალების გადანაწილებას და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მოჰყვა მახლობელ აღმოსავლეთში ძველი საქარავნო გზების მოშლა. მანამდე (ძვ.წ. IV-III ათასწლეული) სავაჭრო გზა სამხრეთ კავკასიიდან მესოპოტამიაში, სირიასა და პალესტინაში, როგორც ჩანს, გადიოდა მაღალთაზე. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურების ჩამოყალიბებას ანატოლიაში [Меллаарт 1985: 24] და შესაძლოა კავკასიაში, აგრეთვე მათ გავრცელებას სამხრეთით. ეს სავაჭრო გზა, ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისში, ისევე როგორც ასირიელების სავაჭრო კოლონიები განადგურდა. II ათასწლ. შუა ხანებისათვის კავშირი სამხრეთ კავკასიასა და მესოპო-



ტამიას შორის, შესაძლოა ხორციელდებოდა მცირე ზაბისა და არბელას გავლით. ამ ტერიტორიებს კი ძვ. წ. XV-XIV სს-ში. აკონტროლებდა მითანი [Нариманишвили 2004: 105].

კავკასიაში კულტურის ახალი ელემენტების გაჩენა თან სდევს ხური-მითანის სახელმწიფოს აყვავებას. მესოპოტამიური და ეგვიპტური იმპორტი წარმოადგენდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის ანარეკლს მახლობელ აღმოსავლეთში. ცილინდრულ საბჭდავებთან ერთად კავკასიაში ვრცელდება წინა აზიური ტიპის სატევრები და მახვილები, მესოპოტამიური და ეგვიპტური იმპორტი (სკარაბეები, საბეჭდავები, მძივები), ყალიბდება კერამიკის დამზადების სრულიად ახალი ტექნოლოგია. გავრცელებას იწყებს კერამიკის ახალი ტიპები. ჩნდება ორბორბლიანი ეტლები და საზიდრები, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხენები იყო შებმული.

ძვ.წ. II ათასწლეულში სავაჭრო ქარავნების ძირითად ტვირთს წარმოადგენდა ქსოვილები. მათ შორის იყო სხვადასხვა ფერის შალის და სელის ქსოვილები. ტანისამოსი, განსაკუთრებით კი კარგი ტანისამოსი ხეთურ ანატოლიაში საკმაოდ ძვირად ფასობდა. ლამაზი ტანსაცმელი ღირდა 30 სიკლი, რაც 30 ცხვარს შეესაბამებოდა [Герни 1987: 78-79].

საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაფიქსირებული იყო სხვადასხვა ფაქტურის და ფერის (მენამული, ფირუზისფერი, ყავისფერი, ნაცრისფერი და ლურჯი) სელის და შალის ქსოვილები. ზოგიერთი ნიმუში ჯერ არაა განსაზღვრული. ზოგი ნიმუში უხეში და შეუღებავია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წითელი-მენამული ფერის ქსოვილის ნაშთი (№ 85 სამარხიდან). მენამული ფერის ქსოვილების წარმოება და გავრცელება ძვ.წ. II ათასწლ. შუა ხანებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის (ლევანტის) ქალაქების მონოპოლიას წარმოადგენდა. წითელი საღებავი კეთდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სანაპიროზე არსებული მოლუსკების სახეობისაგან [ИДВ 1988: 74; Бернхардт 1982: 90]. ამ მოლუსკებისაგან საღებავს ფინიკიელებამდეც აკეთებდნენ, მაგრამ ფინიკიელებმა იზრუნეს მის გავრცელებაზე მეზობელ ქვეყნებში [Бернхардт 1982: 90]. სწორედ ფინიკიელებმა დაიწყეს ამ მოლუსკებისაგან (Murex) მიღებული საღებავით სელის და შალის შეღებვა მენამულისფერ-წითლად და ლილისფერ-ლურჯად. ამის შედეგად დიდ სამეურნეო მნიშვნელობას იძენს იაფი შეუღებავი შალის შემოტანა სირიის მეცხოველეობის რაიონებიდან და შემდეგ კი მთელი წინა აზიიდან. ფინიკიიდან კი წითლად და ლურჯად შეღებილი ქსოვილი გადიოდა დიდ ფასად. თავად საღებავი, შეღებილი ნივთებისგან განსხვავებით, ვერ უძლებდა ხანგრძლივ შენახვას, ამიტომ ექსპორტის საგანი ვერ იქნებოდა [ИДВ 1988: 236]. სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის საგანს ალბათ წარმოადგენდა ლითონი, მატყლი, ტყავი, ხე-ტყე და ცხენები.

ძვ.წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ცხენი და ცხენით შებმული ეტლი ძალზე ძვირად ფასობდა. შესაბამელი ცხენი ანატოლიაში 30 სიკლი ღირდა [Герни 1987: 78]. ცნობილია კიკული მითანიელის და უგარიტის არქივებში შემონახული ტრაქტატები ცხენების მოვლის შესახებ. ეტყობა ცხენი იმდენად ეგზოტიკური ცხოველი იყო და მისი მოვლა იმდენად უჩვეულო საქმე, რომ მეჯინიბეებსა და მეეტლებისათვის სპეციალური ინსტრუქციები იყო საჭირო. ჩვენამდე არ მოუღწევია შრომებს, თუ როგორ უნდა მოიხნას მინა, ანდა გამოიძერნოს ქოთანი. ასეთი ინფორმაცია შთამომავლობას გადაეცემოდა როგორც საყოფაცხოვრებო ცოდნის ელემენტი, რომელიც ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. ტრაქტატები ცხენის მოვლის შესახებ გამონაკლისს წარმოადგენდა [Шифман 1987: 41-42].

ძვ.წ. II ათასწლეულში სირია-პალესტინაში ცხენი დიდი იშვიათობა იყო. ჯერ კიდევ ძვ.წ. XIV-XIII სს-ში ცხენები სახელმწიფოებათშორისო ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენდნენ და ძალზე ძვირად ფასობდნენ [Шифман 1987: 41].

ასირიული წყაროების მიხედვით, ასურეთში უძველესი დროიდან ცხენები მეზობელი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებიდან შემოჰყავდათ [Пиотровский 1959: 151].

თიგლათფილესერ I-მა ნაირის მეფეთა კავშირზე გამარჯვების შემდეგ მათ 1200 ცხენი და 2000 მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გადახდის ვალდებულება დააკისრა. სალამანსარ III ცხენების დიდ რაოდენობას იღებდა ურმიის ტბისპირეთიდან. ურარტულ წარწერებში ხშირადაა მოთხრობილი ამიერკავკასიის რეგიონებიდან ცხენების გამოჩენის შესახებ ვანის სამეფოს ცენტრში. ნადავლის სიაში პირველ ადგილას ცხენებია მოხსენიებული [Пиотровский 1959: 151].

მოშინაურებული ცხენი ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაში სავარაუდოდ IV-III ათასწლეულებში არსებობდა [Burney 1993: 314] ძვ.წ. XVII-XVI სს. ნამოსახლარებზე თრიალეთში ოსტეოლოგიური მასალით დასტურდება ამ ცხოველის გამოყენება ყოფაში. II ათასწლეულის მეორე ნახევარში კი შეიძლება ვილაპარაკოთ განვითარებულ მეცხენეობაზე. შესაძლოა II ათასწლეულში იგი ვაჭრობის, კერძოდ კი სამხრეთ კავკასიიდან ექსპორტის ობიექტი იყო, რასაც აადვილებდა ეთნიკურად ერთგვარი მოსახლეობის და ძვ. წ. XVI-XIV სს. ხური-მითანის სამეფოს არსებობა სამხრეთ კავკასიიდან სირია-პალესტინამდე.

ძვ.წ. XV-XIV სს. თრიალეთი, ისევე როგორც ბარეთის კულტურის არეალი, მითანის სამეფოს კულტურულ-ეკონომიკურ გავლენას განიცდის. არ არის გამორიცხული გარკვეული პოლიტიკური ინტეგრაციაც.

- Takaishvili E. 1907:** *Arkheologicheskie ekskursii, raziskaniya i zametki* (Archaeological excursions, research and notes). *IKOIMAO* 2, 96-115. Tiflis.
- Takaishvili E. 1913:** *Arkheologicheskie ekskursii, raziskania i zametki* (Archaeological excursions, research and notes). *IKOIMAO* 2, 11-176. Tiflis.
- Uvarov A. 1887:** Ob obsidianovykh orudiakh naidennykh na Tsalke (On obsidian tools excavated in Tsalka). *Trudy Arkheologicheskogo Sezda v Tiflise* 35. Moscow.
- Wilhelm G. 1992:** *Drevnii narod khuritti (Hurrians, an ancient nation)*. Moscow.
- Zhorzhikashvili L., Gogadze E. 1974:** *Pamyatniki Trialeti epokhi rannei i srednei bronzy* (Early and Middle Bronze Age Sites of Trialeti). Tbilisi.

**Illustrations:**


- Pl. I – 1. Location of Trialeti; 2. Sapar-Kharaba cemetery. General plan.
- Pl. II – 1. Burials excavated by B. Kuftin. Plan; 2. General view of the Sapar-Kharaba cemetery from the south-west; 3. Sapar-Kharaba, stone mound of Burial No. 50.
- Pl. III – 1. Sapar-Kharaba, stone mound of Burial No. 17; 2. Sapar-Kharaba, chambers of Burials Nos 62, 63; 3. Sapar-Kharaba, general view of Burial No. 20 from south; 4. Imera, chamber of Burial No. 1.
- Pl. IV – 1. Sapar-Kharaba, Burials Nos 38-40. Plan; 2. Sapar-Kharaba, Burials Nos 50, 100, 110. Plan; 3. Sapar-Kharaba, Burials Nos 89, 90, 93. Plan; 4. Sapar-Kharaba, Burials Nos 49-51. Plan.
- Pl. V – 1. Sapar-Kharaba, Burials Nos 52, 55, 73, 99. Plan; 2. Sapar-Kharaba, unexcavated burials on the area adjacent to Burials Nos 116-122. Plan; 3. Sapar-Kharaba, Burials Nos 117, 118, 121. Plan; 4. Sapar-Kharaba, Burial No. 51. Stone mound and chamber tomb. Plan; 5. Sapar-Kharaba, Burial No. 20. Plan and section before opening the chamber; 6. Sapar-Kharaba, plan and sections of Burial No. 22.
- Pl. VI – 1. Sapar-Kharaba, burial 50. Kromlex and roof; 2. Sapar-Kharaba, Burial No. 51. Kromlex and roof; 3. Sapar-Kharaba, Burials Nos 49-51. Stone mound; 4. Sapar-Kharaba, Burials Nos 49-51; 5. Sapar-Kharaba, Burial No. 5; 6. Roof tiles; 7. Sapar-Kharaba, Burial No. 116. Roof tile; 8. Imera, Burial No. 1. Remnants of roof tile and timbers; 9. Sapar-Kharaba, Burial No. 68. Roof timbers. Layer I; 10. Sapar-Kharaba, Burial No. 68. Roof timbers. Layer II; 11. Sapar-Kharaba, Burial No. 67. Roof timbers.
- Pl. VII – 1. Sapar-Kharaba, Burial No. 51. Plan and sections before opening the chamber; 2. Sapar-Kharaba, Burial No. 32. Plan and sections; 3. Sapar-Kharaba, Burial No. 90. Plan and sections; 4. Sapar-Kharaba, Burial No. 23. Plan and sections; 5. Sapar-Kharaba, Burial No. 10. Plan and sections; 6. Sapar-Kharaba, general view of Burial No. 90; 7. Sapar-Kharaba, general view of Burial No. 10; 8. Sapar-Kharaba, general view of Burial No. 23.
- Pl. VIII – 1. Sapar-Kharaba, chamber of Burials Nos 67-68; 2. Sapar-Kharaba, chamber Burials Nos 67-68 after opening; 3. Sapar-Kharaba, Burials Nos 67-68; 4. Sapar-Kharaba, stone mound and chamber of Burial No. 39; 5. Sapar-Kharaba, distribution of pottery in Burial No. 10; 6. Sapar-Kharaba, distribution of pottery in Burial No. 90; 7. Sapar-Kharaba, distribution of pottery in Burial No. 120; 8. Sapar-Kharaba, distribution of pottery in Burial No. 116.
- Pl. IX – 1. Sapar-Kharaba, Burial No. 39. Plan; 2. Sapar-Kharaba, Burial No. 39. Layer II of the stone mound over the burial chamber. Plan and section; 3. Sapar-Kharaba, Burial No. 39. Chamber before removal of stone mound. Plan and section; 4. Sapar-Kharaba, Burial No. 39. Plan and section.
- Pl. X – 1. Sapar-Kharaba, Burial No. 39. Layer II of the stone mound over the burial chamber; 2. Sapar-Kharaba, Burial No. 39, burial chamber after removing stone mound; 3. Sapar-Kharaba, Burial No. 39.
- Pl. XI – 1. Sapar-Kharaba, Burial No. 52. Plan and sections; 2. Sapar-Kharaba, Burial No. 68. Plan and sections; 3. Sapar-Kharaba, Burial No. 44. Plans and sections of layers I-III; 4. Sapar-Kharaba, Burial No. 103. Plans and sections of layers I-III; 5. Sapar-Kharaba, Burial No. 51. Plans and sections of layers I-IV.
- Pl. XII – Sapar-Kharaba cemetery: 1, 2. Burial No. 19; 3, 11. Burial No. 2; 4. Burial No. 15; 5. Burial No. 29; 6, 13. Burial No. 30; 7. Burial No. 9; 8. Burial No. 1; 9. Burial No. 23; 10. Burial No. 10; 12. Burial No. 17.
- Pl. XIII – Sapar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 2; 2, 4. Burial No. 10; 3. Burial No. 8; 5. Burial No. 30; 6, 7. Burial No. 1; 8. Burial No. 29; 9. Burial No. 15; 10. Burial No. 6; 11. Burial No. 12; 12. Burial No. 5; 13. Burial No. 22; 14. Burial No. 26; 15. Burial No. 13; 16. Burial No. 28.
- Pl. XIV – Sapar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 4; 2. Burial No. 10; 3. Burial No. 11; 4, 6, 9, 11. Burial No. 1; 5, 10, 15, 16, 19. Burial No. 22; 7. Burial No. 8; 8. Burial No. 27; 12. Burial No. 17; 13. Burial No. 16; 14. Burial No. 20; 17. Burial No. 9; 18. Burial No. 5; 20. Burial No. 26.
- Pl. XV – Sapar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 110; 2, 6, 11. Burial No. 120; 3. Burial No. 68; 4, 7. Burial No. 116; 5. Burial No. 90; 8. Burial No. 52; 9. Burial No. 121; 10. Burial No. 10; 12. Burial No. 95; 13. Burial No. 10.

- Pl. XVI – Safar-Kharaba cemetery: 1, 11. Burial No. 68; 2. Burial No. 69; 3. Burial No. 94; 4. Burial No. 122; 5. Burial No. 95; 6. Burial No. 116; 7. Burial No. 107; 8-10. Burial No. 120; 12, 15. Burial No. 10; 13. Burial No. 15; 14. Burial No. 34; 16. Burial No. 22.
- Pl. XVII – Safar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 8. Detail – quiver; 2. Burial No. 85. Arrowheads; 3. Burial No. 8; 4, 5. Burial No. 13. Dagger; 6, 8. Burial No. 85. Detail; 7. Burial No. 13.
- Pl. – XVIII – Sapar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 85. Dagger; 2, 13. Burial No. 8. Arrowheads; 3. Burial Nos 56, 119. Bracelets; 4, 5. Burial Nos 56, 73. Pins; 6, 10-12. Burial No. 8. Quiver and quiver details; 7. Burial No. 13. Dagger; 8, 9. Burial No. 8. Lancets; 14. Burial No. 85. Arrowheads.
- Pl. XIX – Sapar-Kharaba cemetery: 1, 2. Burial No. 8. Insignia; 4. Burial No. 85. Dagger; 5, 7. Burial Nos 56, 73. Pins; 6. Burial No. 85. Warderhead; 8. Burial No. 8. Dagger; 9. Burial No. 8. Arrowheads; 10. Burial No. 56. Bracelet; 11. Burial No. 110. Bead; 12. Burial No. 90. Bead; 13, 18. Burial No. 73. Beads; 14. Burial No. 56. Beads; 15. Burial No. 68. Beads; 16, 24, 25. Burial No. 38. Beads; 17. Burial No. 95. Beads; 19. Burial No. 93. Beads; 20. Burial No. 106. Beads; 21. Burial No. 85. Arrowheads; 22, 23. Burial No. 84. Beads; 3. Avranlo, Insignia.
- Pl. XX – Sapar-Kharaba cemetery. Beads and seals: 1 Burial No. 40; 2, 3, 35. Burial No. 94; 4, 7, 8, 25. Burial No. 56; 5, 20, 30, 34. Burial No. 73; 6, 16, 17, 21, 22, 24. Burial No. 38; 9-15, 28, 31. Burial No. 84; 18. Burial No. 90. Bracelet; 19. Burial No. 110; 23. Burial No. 98; 26. Burial No. 95; 27. Burial No. 88; 29. Burial No. 42; 32. Burial No. 73<sup>1</sup>; 33. Burial No. 33.
- Pl. XXI – 1. Sapar-Kharaba cemetery. Burial No. 85. Sceptre-head; 2. Statue of Asurnasirpal II; 3,5,6. Avranlo. Insignia, details; 4. Avranlo. Insignia, reconstruction.
- Pl. XXII – Seals excavated at Sapar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 27. Cylinder seal; 2-4. Burial No. 5. Cylinder seal; 5-9. Burial No. 6. Scaraboids; 10-12. Burial No. 6. Rectangular seals; 13, 14. Burial No. 22. Cylinder seal.
- Pl. XXIII – 1-11. Sapar-Kharaba, Burial No. 8. Bone and stone objects.
- Pl. XXIV – Seals and beads excavated at Safar-Kharaba cemetery: 1. Burial No. 5; 2-4, 20. Burial No. 6; 5. Burial No. 27; 6. Burial No. 38; 7. Burial No. 40. 8, 9. Burial No. 22; 10. Burial No. 73; 11. Burial No. 56; 12-16. Burial No. 6; 17. Burial No. 90; 18. Burial No. 110; 19. Burial No. 15; 21,23-25. Burial No. 84; 22. Burial No. 56.
- Pl. XXV – Sapar-Kharaba. 1-2. Burial No. 90. General view; 3. Burial No. 90. Bed; 4-6. Burial No. 30. Detail.
- Pl. XXVI – Sapar-Kharaba cemetery. Burial No. 30. 1. Plan and sections of level I; 2. Plans and sections of level II; 3. Plan and sections of level III; 4-6. Details of chariot.
- Pl. XXVII – 1. Beshtasheni settlement. Topographic plan; 2. The “Cyclopean” fortress at Beshtasheni (according to V. Tsilosani); 3. Beshtasheni, plan of the area excavated in 1990-1993. The dark colour marks cultural strata of the 16<sup>th</sup>-14<sup>th</sup> centuries BC; 4. Beshatasheni, pottery of the 16<sup>th</sup>-14<sup>th</sup> centuries BC.
- Pl. XXVIII – 1. The “Cyclopean” fortress at Santa. Plan (according to V. Tsiliani); 2. The “Cyclopean” fortress at Ozni. Plan.


I



1



2




2




3





1




2




3




4




1




2




3




4




1




2




3



4



5



6



1



2




3




4



5




6



7



8




9



10


VII



6



7



8



1



2



3




4



5





6



7



8





1





2




3








XIII





XV



1



2



3



4



5



6




7



8




9



10




11



12



13





1



2



3



4



5




7




6





8
























1



2



3




4




5




6








1




2




3



4



1



2

## ავრანლოს არქეოლოგიური ძეგლები

სოფელი ავრანლო მდებარეობს წალკის რაიონში, მდინარე ქციის ნაპირებზე, წალკიდან 35 კმ დაშორებით, ზღვის დონიდან 1580 მ სიმაღლეზე.

სოფლის ძველი სახელწოდებაა თეზი, ავრანლო უწოდეს 1828-1829 წწ. ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა ბერძნებმა. სოფლის ძველი სახელი თეზი რომ ყოფილა, ამას ადასტურებს ვახუშტის რუკის შედარება თანამედროვე რუკებთან. ძველი თეზის და თანამედროვე ავრანლოს გაიგივებას მოიაზრებენ ე. თაყაიშვილი, დ. ბერძენიშვილი, თ. ჩიქოვანი [Такаишвили 1913: 45; ჩიქოვანი 1973: 16; ბერძენიშვილი 1982: 15].

ვახუშტი ბაგრატიონი ამ მიდამოების შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვანდის - „არწივანს, თეზის ხრამსა შინა, არს მონასტერი, კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და ან არს ცარიელი“ [ვახუშტი 1973: 320]. დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „მართლაც, კანიონში გამოქვაბულებია და ორი დარბაზული ეკლესიაც დგას. ესენი გვიანი გადაკეთების კვალს ატარებენ, მაგრამ ადრეფეოდალური არქიტექტურული დეტალებიცაა შემორჩენილი.... ქციის ზემო წელზე ისეთი ტოპონიმების თავმოყრამ, როგორცაა საპიტიახშო, რეხა, აბიბოს მონასტერი, წარმოშვა ვარაუდი, რომ აბიბოს ნეკრესელის წამება თრიალეთის რეხაში (ავრანლოს მახლობლად) უნდა მომხდარიყო“ [ბერძენიშვილი 1982: 16]. კ. კეკელიძე თვლიდა, რომ აბიბოსი დასაჯეს შუა ქართლში, სამთავისის მახლობლად, საიდანაც ეს ამბავი შემდეგი დროის ტრადიციამ წალკის რეხაში გადაიტანა; შემდეგ ამ უკანასკნელში გაშენებულა აბიბოსის სახელობის მონასტერი [კეკელიძე 1968: 178]. ჯ. გვასალიას აზრითაც „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ რეხა უეჭველად შიდა ქართლის რეხაა“ [გვასალია 1982: 52-53]. დ. ბერძენიშვილის აზრით, შიდა ქართლის რეხის სასარგებლოდ მეტყველებს მარტვილობის ის ადგილი, სადაც რეხის „გარემოს ქალაქებზეა“ საუბარი. ასეთი რამ, მისი აზრით VI საუკუნის თრიალეთის რეხასთან წარმოუდგენელია, შიდა ქართლში კი მაშინ იყო ურბნისი, უფლისციხე, კასპი, მცხეთა, სადაც ჯუანშერის ცნობით, საბოლოოდ დაუმარხავთ კიდევ აბიბოსი [ბერძენიშვილი 1982: 17]. მაგრამ „მოქალაქეობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელისა“ ნათქვამია, რომ როდესაც „მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა და მცველნი განენესნეს მის ზედა, ხოლო სამგზის სანატრელსა წმიდისა მის მონამისა ხორცთა არაი შეეხო მხეცთა და მფრინველთაგანი. და ვითარ მყუარ სცვიდეს, დაუტევეს იგი და წარვიდეს. მაშინ მოვიდეს რომელნი-იგი მყოფ იყვნენ ქუაბსა მას, რომელი იგი მათვე წმიდათაგან სავანესა აღეშენა მონასტერი და აღიხუნეს ნაწილნი წმიდისა აბიბოსისნი დიდითა პატივითა დაჰკრძალეს ადგილსა მას“ [ჰაგიოგრაფია 1947: 107].

ჩვენი აზრით ეს ცნობა თეზის ხრამში მდებარე აბიბოს ნეკრესელის მონასტერზე მიუთითებს. თრიალეთშია საპიტიახშო „ქალაქი და ციხენი ბოჟანა“, საიდანაც დავით აღმაშენებელმა გაილაშქრა ანისში; კარუმეთი, სადაც თავისი ლაშქრით იდგა ბაგრატ IV და ხევლრმა, სადაც გარდაიცვალა გიორგი I [ქც 1955: 291]. ასე, რომ ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეების თრიალეთში, საკუთრივ თანამედროვე ავრანლოს მიდამოებში ქალაქური ტიპის დასახლებები და მეფეთა სა-

ზაფხულო რეზიდენცია უნდა არსებულებო. თუ მარტილობა წლის ცხელ სეზონში მოხდა, შეიძლება სპარსელი მოხელეები აქ ისვენებდნენ. თრიალეთი ხომ ქართველ მეფეთა ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილი იყო.

თრიალეთის სიძველეებს პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა ე. თაყაიშვილმა. სოფ. ავრანლოსთან მან ნახა გამოქვაბულები, აგრეთვე აღნიშნა, რომ სხვა ნაგებობების კვალიც შეიმჩნევაო. ე. თაყაიშვილის აზრით, ეს არის აბიბოს მონასტრის ნაშთები [Такаишвили 1913: 46]. მონასტრის მიდამოებში ქართულ წარწერას მიაკვლია დ. ბერძენიშვილმა, რომელსაც იგი ასე კითხულობს: “[...] მქ ბს [-] მმნი/[დ]აყუდებუ/ლსა ღ(მერთმა)ნ შეუ/ნდვენ ა(მე)ნ მნი/გნ(ო)ბ[რი] [სძე ხა/და (ა)ქ მ(ა)რხია“ და წარწერას XII-XIII სს-ით ათარიღებს. მისი ვარაუდით, ეს იყო ვინმე დაყუდებული მნიგნობრის საფლავი, რომელიც ერთ-ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა [ბერძენიშვილი 1982: 15-16].

სოფ. ავრანლოს კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრე, რომელიც სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას დგას. ე. თაყაიშვილი მხოლოდ მეგალითურ კედელზე მიუთითებს: „Вдоль скалы длинная ограда из нагроможденных друг на друга огромных камней“ [Такаишвили 1913: 45], თუმცა მისი აღწერა მოცემული არა აქვს.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა „ციკლოპური ნაგებობის ნაციხარ-ნაქალაქარი“ მიაკუთვნა მეგალითური კულტურის ძეგლებს [მელიქსეთ-ბეგი 1938: 57]. „ნაქალაქევი, რომელიც მდინარეს დასცქერის ამფითეატრივით, სამი საფეხურისაგან შედგება: 1 - მთის ძირში; 2 - მთის ფერდობის შუა სიმაღლეზე პატარა დავაკებულ ადგილას და 3 - მთის წვერზე ..... პირველი (ქვედა) საფეხური ანუ ტერასა შედგება გრძელი ზღუდისაგან, რომელიც რკალისებრი გეგმისაა, მთაზე მიყუდებული, სიგრძით 100 მეტრამდე, სიმაღლით 3-4 მ, ზოგან 4,5 მ, სისქით 2-2,5 მ. ზღუდეს აქვს ერთი კარი წყაროს მახლობლად, შემდეგი ზომისა: სიმაღლით სისქით და სიგანით 1,5 მ, იგი გადახურულია უზარმაზარი ქვით, რომლის სიგრძეა 2,25 მ., სიგანე - 1,5 მ. ამ ზღუდესა და მთას შორის მოგრძო ტერიტორიაზე ერთადერთი შენობაა პატარა ეკლესია. ამ საეკლესიო კომპლექსის გვერდით, დასავლეთისკენ ზღუდის წვერამდე აუარებელი გამოქვაბულია, ზოგი დაუმუშავებელია, ზოგი კი ოდნავ დამუშავებული. მეორე (საშუალო) ტერასა, რომელიც მთის ფერდობის შუა სიმაღლეზეა, ოთხკუთხედის გეგმისაა, რამდენიმე მეტრის სიგრძისა და სიგანის; იგი წარმოადგენს ნაციხარს, სადაც ახლა ავრანლოელებს ბოსტანი გაუშენებიათ. მესამე (ზედა) ტერასა კი, რომელიც მთის წვერზეა, შედარებით უფრო დიდი ნაციხარია, ოთხკუთხედის გეგმისა; სიგრძით 25 მ, სიგანით 18 მ, კედლის სისქე 3-4 მ, იგი თითქმის დაშლილია“ [მელიქსეთ-ბეგი 1938: 57-58] (ტაბ. II<sub>1,2</sub>).

პირველი არქეოლოგიური გამოკვლევა ავრანლოს ტერიტორიაზე ბ. კუფტინმა 1940 წელს ჩაატარა [Куфтин 1940: 14]. თუმცა ციკლოპური ნაგებობების შესწავლა მას დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1938 წელს ჰქონდა დაყენებული. იგი აღნიშნავდა „Развернувшиеся исследования ставят целый ряд проблем о .....связях циклопических строений с различными типами погребений в долине“ [Куфтин 1938: 1]. ავრანლოს ციხის აღწერისას ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ „კედლები იგივე ხასიათისაა, რაც ნარდევანის ციხის, მხოლოდ ნაკლებად მასიური. გეგმაში კი უფრო არასწორი მოხაზულობა აქვს, ვიდრე ნარდევანის ციხეს“ [Куфтин 1940: 14.] ავრანლოს ციხეზე ბ. კუფტინმა ორი შურფი გაჭრა ციხის შიდა ეზოს ზედა მოედანზე და გარეთ, დასავლეთის კედლის წინ. აგრეთვე განმინდა ციხის შესასვლელი კარი, მაგრამ შუასაუკუნეების კერამიკის ფრაგმენტების გარდა ვერაფერი ნახა [Куфтин 1940: 41-42], თუმცა ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ავრანლოში მოპოვებული მასალა ნარდევანის კერამიკისგან განსხვავდება იმით, რომ მასში ურევია კარგად გამომწვარი შავპრილა თიხის ჭურჭელი, ზოგჯერ გოფირებული ზედაპირით [Куфтин 1940: 42].

1941 წელს სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კარელოვების საკარმიდამო ნაკვეთში ბ. კუფტინმა აღმოაჩინა ადრე რკინის ხანის და აქემენიდური ეპოქის სამაროვანი, რომელიც ძმების სათაროვების, კარელოვების და აშკალოვების ნაკვეთებშიც გრძელდებოდა. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ ყველა სახლის ზღუდე ნაგები იყო ირიბად დაყენებული საფლავის ქვის ფილებისაგან. შემთხვევით აღმოჩენილი სამარხების ინვენტარი კი ზოგს სახლში ჰქონდა შენახული. მთელ თი-

ხის ჭურჭელს მეურნეობაშიც იყენებდნენ. საჩვენებლად აქატის და სერდოლიკის მძივებიც მიუტანიათ. ადგილობრივი სკოლის დირექტორმა, ს. იორდანოვმა ბ. კუფტინს გადასცა ამ სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს კაუჭი და ორი მოჭიქული ჭურჭელი, რომლებიც ბ. კუფტინმა ხოჯალიში აღმოჩენილი ჭურჭლის ანალოგიურად მიიჩნია. ეს უკანასკნელი კი კარგად თარიღდებოდა ადადნერარის სახელიანი მძივით. ავრანლოს სამაროვანზე აღმოჩენილი იყო აგრეთვე რომაული ვერცხლის დენარი ავგუსტუსის გამოსახულებით. გიორგი აშკალოვის ცნობით, ეს ნივთები მამამისს, გრიგოლს უნახავს თავის ნაკვეთში. იქვე აღმოჩენილი ყოფილა ბრინჯაოს ორთითა, რომელიც ლენინგრადში წაუღია ა. კარელოვს [Куфтин 1948: 9]. სოფ. ავრანლოს ბ. კუფტინი კვლავ ეწვია 1948 წელს და ორი ყორღანი გათხარა: „კუჩუკ-თეფე“, რომელიც სოფლიდან ჩრდილო-დასავლეთით, სათიბებში მდებარეობდა და სოფ. გუმბათისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ე.წ. „სამასწავლებლო“ ყორღანი. ორივე ცარიელი აღმოჩნდა. იმავე წელს ს. კარელოვის მიხედვით გათხარა ადრე რკინის ხანის 15 ქვაყუთი. ზოგი სამარხი გაძარცვული იყო, ზოგში კი კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები, პასტის და სერდოლიკის მძივები აღმოჩნდა [Куфтин 1948: 11]. სოფ. კუშჩისკენ მიმავალ გზაზე მან ორი ყორღანი გამოავლინა; სოფლის ნაპირას ერთი სამარხი გათხარა, რომლის ინვენტარი შედგებოდა თიხის ორი ჭურჭლის, ბრინჯაოს ძენკვზე ჩამოკიდებული ფეხის ფორმის ამულეტისა და ბეჭედისაგან [Куфтин 1948: 26].

დ. მშენიერაძემ თავის ნაშრომებში „Строительное дело в Древней Грузии“ და „Строительное искусство в Древней Грузии“ აღწერა ავრანლოს ციხე. იგი აღნიშნავს, რომ ციხე სამ იარუსადაა განლაგებული. პირველი იარუსი წარმოდგენილია გრძელი, 80 მ. სიგრძის კედლით, რომლის სიმაღლე ზოგან 3 მ-ს აღწევს. იარუსები სამხრეთ მხარეს არის მიმართული, მდინარისკენ. მთელ კედელში ერთი კარია გამართული. მისი სიმაღლე 1,90 მ, სიგანე 1,75 მ-ია. კარი გადახურულია ერთი მონოლითით, რომლის სიგრძე 2,2 მ, და სიგანე 1,8 მ-ია. ქვედა იარუსში ცალკეული მონოლითების ზომები 2,0×2,5×3,0 მ-ია. მეორე იარუსზე კედლები სამ ფენადაა ნაგები. ნაპირებზე მსხვილი მონოლითებია დანყობილი, შიდა სივრცე კი მცირე ზომის ქვებითაა შევსებული. მათი ზომები 0,30×0,30×0,20 - 0,15×0,15×0,10 მ-ია. ზედა, მესამე იარუსზე ციხეა განლაგებული. დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარე კლდეს გადაჰყურებს. დასავლეთის მხრიდან პატარა მოედანია გამართული, მისი ზომებია 20,0×35,0 მ. იგი მსხვილი ქვებითაა შემოზღუდული. მესამე იარუსის ციხის ზომებია 25,0×35,0 მ. კედლების სისქე 4,0 – 8,0 მ-ია. იარუსებს შორის კავშირი ხორციელდებოდა დიდი მონოლითების მეშვეობით. ციხიდან მარჯვნივ მდებარეობს ბუნებრივი გამოქვაბული დამუშავების კვალით. გამოქვაბულის წინ მოედანია, რომელიც აგრეთვე მსხვილი ქვებითაა შემოზღუდული [Мшвениераძე 1959: 11]. დ. მშენიერაძე აღნიშნავს, რომ ავრანლოში, მეორე და მესამე იარუსზე ნამდვილი „ციკლოპური“ წყობა გვაქვს, რომელსაც ახასიათებს დიდი ზომის ქვები, მშრალი წყობა და წყობის თავისებური ხასიათი (ტაბ. II<sub>1</sub>). ისინი იგებოდა როგორც ძნელად დასაშლელი ნაგებობები და მიწისძვრის შემთხვევაში გაცილებით დრეკადია. ამ პრინციპს ეყრდნობოდა არქიტექტურის მთელი შემდგომი კონცეფცია ძველ საქართველოში ანტიკურ ეპოქამდე [Мшвениераძე 1959: 13].

1998 წელს ფონდის „ღია საზოგადოება საქართველო“ დახმარებით, თრიალეთის არქეოლოგიურმა2 ექსპედიციამ შეადგინა ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის გენგეგმა, ზედა და ქვედა სიმაგრეების გეგმები. ამავე დროს ნამოსახლარისა და სიმაგრის ტერიტორიაზე ზედაპირულად აიკრიფა პალეოლითური და ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები (ქვის ნაკეთობები, კერამიკა). 2003 წელს სოფ. ავრანლოს მკვიდრის გიორგი აშკალოვისაგან (ეს პიროვნება კარგად იცნობდა ბ. კუფტინს და მონაწილეობას იღებდა ო. ჯაფარიძის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რამაც მას სიძველეთა მიმართ ინტერესი დღემდე შემოუნახა) თრიალეთის ექსპედიციამ მრავალრიცხოვანი კოლექცია შეიძინა, რომელიც ქვედა პალეოლითიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით ყველა ეპოქის მასალას შეიცავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლითონის ნივთები, მათ შორის გამოირჩევა ხარის თავით შემკული ლითონის კაუჭი.

2006 წელს არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა „ციკლოპური“ სიმაგრის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორზე (ტაბ. I<sub>1</sub>). სამუშაოები დაკავშირებული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სამშენებლო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ პროექტთან, რომელიც ნალკის მუნიციპალიტეტის ზედა ზონის სოფლების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობას ითვალისწინებდა. სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანდა ნამოსახლარის კულტურული ფენები. ძეგლის ხასიათის, სტრატოგრაფიისა და საზღვრების დადგენის მიზნით ექსპედიციამ „ციკლოპური“ სიმაგრის ჩრდილოეთით გაშლილ მინდორზე რამდენიმე თხრილი გაავლო (ტაბ. I<sub>2</sub>).

მინდორის სამხრეთით მოედინება მდ. ქცია, რომლის ღრმა კანიონის გასწვრივ, ფრიალო ფერდობებზე და თხემზე გაშენებულია „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრე (ტაბ. III<sub>1</sub>), კანიონის კედელში მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. ციხე აგებულია პატარა კონცხზე, დიდი ზომის ბაზალტის ქვებით, მშრალი წყობით. ჩრდილოეთიდან ჩამოედის მოზრდილი რუ, რომელიც გამოედინება ციხის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1,5-2,0 კმ-ის დაშორებული წყაროდან და, როგორც ჩანს, თავის დროზე კომპლექსს ამარაგებდა სასმელი წყლით.

ციხეს ჩრდილოეთით და დასავლეთით ეკვრის ზემოხსენებული მინდორი (ტაბ. I<sub>1</sub>), რომლის ზედაპირზეც ვიზუალურად შეინიშნება ნამოსახლარისა და სამაროვნის ნაშთები. მინდორის ჩრდილოეთ განაპირას აღმართული დაბალი ქედის ძირში შარაგზა გადის, რომელიც სოფ. ავრანლოს სოფ. რეხასთან აკავშირებს, საიდანაც გზა სოფ. ხანდოს გავლით გუჯარეთის ხეობაში გადადის და ბაკურიან-ბორჯომის ხეობაში ჩადის.

ავრანლოს ციხისა და მიმდებარედ არსებული მინდორის სახელწოდება შემორჩენილი არ არის. ადგილობრივი, მოსული თურქულენოვანი ბერძენი მოსახლეობა ამ მინდორს „დანალახ დუჟი“-ს უწოდებს, რაც „ხბორების მინდორს“ ნიშნავს.

ნამოსახლარი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ განფენილია მთელ მინდორზე, „ციკლოპური“ ციხიდან სამანქანო გზამდე. იგი უფრო ინტენსიური ჩანს სამხრეთ ნაწილში, ციხესთან ახლოს, რომლისაგანაც ზემოთ აღწერილი ხევიტაა გამოყოფილი. ეს ხევი ნამოსახლარს ორად ყოფს. ხევის დასავლეთით მდებარე მინდორი ათეული წლების მანძილზე იხვნებოდა.

ნამოსახლარის სიგრძე-სიგანე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 250 მ-ს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე კი 360 მ-ს უდრის (ტაბ. I<sub>1</sub>; III<sub>2</sub>).

ნამოსახლარის მთელი ფართობი დაიყო ოთხ (A, B, C, D) უბნად. უბნები კი 18×24 მ ნაკვეთებად, რომლებიც დანაწილდა 6×6 მ კვადრატებად; კვადრატები კი 2×2 მ მონაკვეთებად დაიყო.

მინდორზე სულ ოთხი თხრილი გაიჭრა (ტაბ. I<sub>2</sub>).

№ 1 თხრილი მდებარეობს D უბნის CCLVI ნაკვეთის მე-8 კვადრატში (ტაბ. I<sub>2</sub>). თხრილის სიგრძე 4,2 მ-ს, სიგანე კი 2,0 მ-ს უდრის. ჰუმუსის მოხსნისთანავე დიდი ზომის ბაზალტის ქვების ყრილი გამოვლინდა. ძეგლის ხასიათის დასადგენად საჭირო იყო თხრილის ყველა მიმართულებით გაფართოვება, ამიტომ სამუშაოები შეწყდა. თხრილში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

№ 2 თხრილი გაიჭრა D უბნის CCXXV ნაკვეთის 11, 12 და CCLV ნაკვეთის 2, 3 კვადრატებში (ტაბ. I<sub>2</sub>; IV<sub>3</sub>). თხრილის სიგრძე 12,0 მ-ს, სიგანე 2,0 მ-ს უდრის. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე წვრილი ქვით შედგენილი, 0,2 მ სისქის ინტენსიური ქვაცარილი გამოვლინდა (I დონე), რომელშიც ალაგ-ალაგ დიდი ზომის ბაზალტის ქვები იყო ამოჩრილი (ტაბ. IV<sub>1</sub>). წვრილი ქვაცარილის ალების შემდეგ გამოიკვეთა ცალპირად დაწყობილი ბაზალტის ქვების კედლები (II დონე). ისინი, მსგავსად №№ 3, 4 თხრილებში გათხრილი სამარხებისა, ოთხკუთხა ფორმის კრომლებებს წარმოადგენენ, რომელთა ცენტრში ქვის ფილით გადახურული სამარხებია გამართული (ტაბ. IV<sub>2</sub>). თხრილში ოთხი სამარხის (№№ 7-10) კრომლები გამოვლინდა. სამუშაო დროის სიმცირის გამო ეს სამარხები არ გათხრილა. № 2 თხრილი ისევ მიწით შეივსო.

№ 3 თხრილი მოიცავს CXCIII ნაკვეთის მე-12, CXCIV ნაკვეთის მე-10, CCXXIII ნაკვეთის მე-3 და CCXXIV ნაკვეთის 1-ელ კვადრატებს (ტაბ. I<sub>2</sub>; VII<sub>1</sub>). მისი სიგრძე 9,9 მ-ს, სიგანე 4,0 მ-ს უდრის.

მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,2-0,3 მ-ის სიღრმეზე, თხრილის მთელ სიგრძეზე საშუალო ზომის ბაზალტის ინტენსიური ქვაცარილი დაფიქსირდა (II დონე; ტაბ. VI<sub>1</sub>). ყრილის ალების

შემდეგ გამოიკვეთა ოთხკუთხა ფორმის კრომლები, რომელთა ცენტრში ორმოსამარხები (№№ 5, 6) გაითხარა. № 5 სამარხის კრომლების ქვები შავი ფერის ნიადაგზე იყო დაწყობილი (ტაბ. V<sub>2</sub>). ამ დონიდან 0,3-0,4 მ სიღრმეზე ნამოსახლარი ფენა დაფიქსირდა. სახლს თიხატყეპნილი იატაკი აქვს, რომელზეც მრავლად აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები. ეს ფენა ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ნამოსახლარის ნაშთები № 6 სამარხის ზონაშიც აღმოჩნდა (ტაბ. V<sub>1</sub>; ტაბ. VI<sub>3</sub>).

№ 3 თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატის 5-6, 8-9 მონაკვეთებში გაითხარა სამეურნეო ორმო № 1 (ტაბ. VI<sub>2</sub>). ორმო დაფარული იყო 1,8 მ დიამეტრის ქვაყრილით (ტაბ. V<sub>1</sub>). ორმოს დიამეტრი 0,8 მ-ია, სიღრმე 0,9 მ. ორმო შევსებული იყო ქვებითა და ალიზის შელესილობის ფრაგმენტებით, აქვე აღმოჩნდა დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. ორმო ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნება (ამავე კრებულში იხ. ნ. შანშაშვილის სტატია – მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები თრიალეთიდან).

№ 4 თხრილი CXCII ნაკვეთის მე-2, 3, 5, 6 და CXCIII ნაკვეთის მე-4 კვადრატებშია მოქცეული (ტაბ. I<sub>2</sub>; VII<sub>2</sub>; IX<sub>1</sub>). მისი სიგრძე 8,0 მ-ია, სიგანე 5,0 მ. № 4 თხრილში № 3 თხრილის ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა. იმ განსხვავებით, რომ ადრებრინჯაოს ხანის ფენა აქ უფრო დაზიანებულია. სარლასტის სახლის კარგად შემორჩენილი თიხატყეპნილი იატაკი მხოლოდ მე-5 კვადრატის მე-2, 3 და 6 მონაკვეთებში დაფიქსირდა. სახლი ძლიერი ხანძრის შედეგად ჩანს განადგურებული. იატაკზე დიდი რაოდენობით სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა (ტაბ. IX<sub>2</sub>; XI<sub>4</sub>).

№ 4 თხრილში ექვსი სამარხი გამოვლინდა (ტაბ. X), მაგრამ იმის გამო, რომ ორი მათგანი გაუთხრელ ფართობში გადიოდა, მხოლოდ ოთხი სამარხი (№№ 1, 2, 3, 4) გაითხარა.

ამრიგად, 2006 წელს ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის მიმდებარე მინდორზე ექვსი სამარხი გაითხარა.

**სამარხი № 1** გაითხარა CXCII ნაკვეთის მე-5 კვადრატში (№ 4 თხრილი). ქვის ფილებით შედგენილი ქვაყუთი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე (ტაბ. VIII<sub>2</sub>; IX<sub>2,3</sub>). ქვაყუთის აღმოსავლეთი კედელი შედგებოდა ორი, ხოლო დანარჩენი კედლები და გადახურვა თითო ფილაქვისაგან. ქვაყუთის სიგრძე 0,5 მ-ია, სიგანე 0,3 მ-ს, სიღრმე 0,25 მ-ს უდრის. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი (ტაბ. IX<sub>4</sub>; X; XI<sub>1</sub>).

სამარხში აღმოჩნდა: 1. ყურმილიანი დოქი (ტაბ. XIV<sub>1</sub>), თიხის, მოყავისფრო ნაპრიალები ზედაპირით, ასეთივე ფერის შიდაპირით და მონითალო კეციტ. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში; 2. კოჭობი (ტაბ. XIV<sub>2</sub>), თიხის, მოშავო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და თხელი კეციტ. სამარხის სამხრეთ კუთხეში; 3. მძივები, 5 ც. (ტაბ. XIV<sub>3</sub>), სარდონის. მიცვალებულის გულ-მკერდის არეში; 4. ძენკვი (ტაბ. XIV<sub>4</sub>), ბრინჯაოსი. მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

**სამარხი № 2** მდებარეობს CXCII ნაკვეთის 6 კვ-ში და CXCIII ნაკვეთის 4 კვ-ში (№ 4 თხრილი).

სამარხის თავზე გამართული ბაზალტის ქვებისაგან შედგენილი ყრილის ზომებია 2,0×1,2 მ (ტაბ. VIII<sub>1</sub>). ქვაყრილის ქვეშ გამართული დასაკრძალავი კამერა დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტაბ. XI<sub>2</sub>; XIII<sub>1</sub>). მისი სიგრძე 1,2 მ-ია სიგანე 1,1 მ, სიღრმე 0,8 მ-ს უდრის. ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა კვერის კოხის ქვები რომლებიც მიცვალებულს მთლიანად ფარავდა (ტაბ. XI<sub>2,3</sub>).

სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი (ტაბ. X; XI<sub>3</sub>; XIII<sub>1</sub>). მიცვალებულის ყბის ქვეშ დაფიქსირდა ბრინჯაოს ძლიერ დაშლილი რგოლი.

სამარხში აღმოჩნდა: 1. კოხის ქვები, 128 ც., ვულკანური წარმოშობის მსუბუქი ჯიშის ქვისა, ნაცრისფერი, ფორებიანი, ორმხრივ დამუშავებული. დიდ ნაწილს ზურგი მომრგვალებული, ფუძე კი დაბრტყელებული აქვს. 15 ც. აღმოჩნდა სამარხის ქვაყრილში, დანარჩენი ქვაყრილის ქვეშ, მიცვალებულის ზემოდან რიგებად იყო დაწყობილი; 2. სალესი, შავი ფერის ქვის. სამარხის ჩრდი-

ლო-დასავლეთ კედელთან; 3. ანატკეცი, შავი ფერის ობსიდიანის. მიცვალებულის მენჯის ძვალზე; 4. საქონლის კბილი. მიცვალებულის მენჯის ძვალზე; 5. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, თიხის, მოყვითალო-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და სქელი კეცით. მიცვალებულის თავის ქალასთან.

**სამარხი № 3** გაითხარა CXCII ნაკვეთის 6 კვადრატში (№ 4 თხრილი). გააჩნდა ბაზალტის ქვე-ბით შედგენილი ძლიერ დაზიანებული ქვყრილი (ტაბ. VII<sub>2</sub>; VIII<sub>2</sub>; XI<sub>4</sub>; XIII<sub>2</sub>). სამარხი ორმო (სიგრძე 1,4 მ, სიგანე – 1,3 მ, სიღრმე – 0,7 მ) დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში ჩასვენებული ყოფილა ერთი მიცვალებული, რომლის ჩონჩხის ანატომიური შესახსრება ძლიერ დარღვეული იყო. მიცვალებულს თავი, როგორც ჩანს, სამხრეთით ედო. სამარხი გაძარცულია. მიცვალებულის ძვლები და სამარხეული ინვენტარი სამარხი ორმოს სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა (ტაბ. X). თიხის ჭურჭლის ნატეხები, შავად გამომწვარი, სამარხი ორმოს შემავსებელ ქვყრილში აღმოჩნდა. აქვე იყო ობსიდიანის ანატკეცი. იატაკის დონეზე, ცენტრალურ ნაწილში, დაფიქსირდა ბრინჯაოს რგოლი (ტაბ. XIV<sub>5</sub>); კოხის ქვა, ბაზალტის; ობსიდიანის ანატკეცი; ობსიდიანის ლამელა; ხუფის ფრაგმენტი, თიხის.

**სამარხი № 4** გაითხარა CXCII ნაკვეთის მე-3 და 6 კვადრატებში (№ 4 თხრილი). ქვყრილი, რომელსაც მართკუთხა ფორმა ჰქონდა, ძლიერაა დაზიანებული. როგორც ჩანს, სამარხს დიდი ქვე-ბით შედგენილი ოთხკუთხა კრომლები ჰქონდა (ტაბ. VIII<sub>2</sub>; XI<sub>4</sub>). შემორჩენილია მისი სამხრეთი (4,0 მ) და დასავლეთი (3,0 მ) კედლების ფრაგმენტები (ტაბ. VIII<sub>1</sub>; IX<sub>1</sub>). სამარხი ორმო გადახურული იყო ბაზალტის დიდი (2,2x2,1 მ) ფილით. სამარხი გაძარცულია. დასაკრძალავ ორმოში (2,4x1,6x0,3 მ) მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი არ აღმოჩნდა (ტაბ. VIII<sub>2</sub>; X). კამერის გადასახურ ფილაზე გამოვლინდა სადღვებელისა და სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XIV<sub>28,31</sub>). აქვე იდო ობსიდიანის ანატკეცი. სამარხის იატაკზე დაფიქსირდა შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XIV<sub>29,30</sub>), ობსიდიანის ანატკეცი და საქონლის ძვლები.

**სამარხი № 5** მდებარეობს CXCIII ნაკვეთის მე-12, CXCIV ნაკვეთის მე-10, CCXXIII ნაკვეთის მე-3 და CCXXIV ნაკვეთის 1-ელ კვადრატებში (№ 3 თხრილი. ტაბ. VII<sub>1</sub>).

სამარხს ჰქონდა მართკუთხა ფორმის ქვყრილი (ტაბ. XII<sub>1</sub>), რომელიც შემოზღუდული იყო დიდი ზომის ბაზალტის ქვებით (3,8x3,1 მ). კრომლები დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (ტაბ. XI<sub>5</sub>). ზედა დონის ქვყრილის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა უშუალოდ დასაკრძალავ ორმოზე გამართული ქვყრილი (2,5x1,8 მ). მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,6-0,7 მ სიღრმეზე სამარხი კამერის პირი დაფიქსირდა. ამავე დონეზეა ადრებრინჯაოს ხანის სახლების იატაკებიც (ტაბ. V<sub>2</sub>).

სამარხი ორმო გაჭრილია ყვითელ თიხნარში და კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს. დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მისი სიგრძე 1,5 მ-ია, სიგანე 1,1 მ. სიღრმე მიწის ზედაპირიდან 1,2 მ. სამარხს ჩაჭრილი აქვს ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკი. ამ დონიდან 0,3 მ სიღრმეზე გადახურვის ხის ძელები აღმოჩნდა, რომლებიც სამარხის სიგრძივ იყო მიმართული (ტაბ. XI<sub>6</sub>). სამარხის იატაკი კი 0,5 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული თავი სამხრეთით, ხელ-ფეხი მოკეცილი, მარცხენა გვერდზე (ტაბ. VI<sub>3</sub>, XII<sub>2,3</sub>; XIII<sub>3</sub>).

სამარხში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის, მონითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. აღმოჩნდა სამარხის პრეპარაციის დროს ხის ძელის დონეზე; 2. ანატკეცი, ანდეზიტის. აღმოჩნდა სამარხის პრეპარაციის დროს ხის ძელის დონეზე; 3. ფრინველის ფიგურა – საკიდი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>8</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში; 4. მძივი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>12</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში; 5. რგოლი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>14</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ; 6. საკინძი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>10</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის ნიკაპთან; 7. საკინძი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>11</sub>), აღმოჩნდა მიცვალებულის ყბასთან; 8. ძენკვი საკიდით, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>9</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა წინამხრის ძვალთან; 9. რგოლი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>13</sub>), მრგვალგანივკვეთიანი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელის



არეში; 10. მძივები, 5 ც., პასტის (ტაბ. XIV<sub>7</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის ყელისა და გულ-მკერდის არეში; 11. მძივები 17 ც., სარდიონის (ტაბ. XIV<sub>6</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის ყელისა და გულმკერდის არეში; 12. მძივი-საბეჭდავი, პასტის. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა ხელის მაჯასთან.

**№ 6 სამარხი** გაითხარა CCXXIV ნაკვეთის 1 კვადრატში (№ 3 თხრილი). ქვაყრილიანი ორმოსამარხია (ტაბ. XII<sub>1</sub>; XIII<sub>4</sub>). ყრილი ძლიერაა დაზიანებული. მას, ისევე როგორც № 5 სამარხს მართკუთხა კრომლები ჰქონია. შემორჩენილია დასავლეთი (4,0 მ) და სამხრეთი (3,6 მ) კედლები (ტაბ. VI<sub>3</sub>). კრომლების ცენტრალურ ნაწილში საშუალო ზომის ქვაყრილიც იყო, მის ქვეშ აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო (1,9x1,3 მ), რომლის იატაკი ადრებრინჯაოს ხანის ფენიდან 0,8 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ჩონჩხის ზედა ნაწილი ანატომიურ შესახსრებაში იყო, ქვედა კი გადაადგილებული - სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, იატაკიდან 0,25 მ სიმაღლეზე არეულ მდგომარეობაში დაფიქსირდა (ტაბ. XII<sub>4,6</sub>). მიცვალებულის გულ-მკერდის წინ მსხვილფეხა საქონლის ბეჭი და კიდურები ენყო (ტაბ. XII<sub>4</sub>).

სამარხის ქვაყრილში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის პირისა და გვერდის ფრაგმენტები, თიხის, ლეგა-მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო-მონაცრისფრო კეცით. შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს; 2. ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის, მონითალო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით; 3. ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის, მოყავისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და ასეთივე ფერის სქელი კეცით.

სამარხში აღმოჩნდა: 1. ჭურჭლის ფრაგმენტი, თიხის, მორუხო ზედაპირით, მოყავისფრო შიდაპირითა და მორუხო-მოყავისფრო ორფენოვანი კეცით. ეტყობა ყურის მიძენის კვალი. 2. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, თიხის, შავი ზედაპირით, შიდაპირითა და ყავისფერი კეცით, წვრილმარცვლოვანი მინარევებით. აქვს მრგვალი ბაკო და ოდნავ გადაშლილი პირი. 3. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი, თიხის, ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი. 4. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები, თიხის, მოშავო ზედა და შიდა პირით, ლეგა-მოყავისფრო კეცით. 5. სასმისი (ტაბ. XIV<sub>27</sub>), თიხის, მორუხო ზედაპირით, შიდაპირითა და კეცით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (ყველა ეს ფრაგმენტი აღმოჩნდა მიცვალებულის ქვედა კიდურებთან ერთად). 6. ქოთანის (ტაბ. XIV<sub>24</sub>), თიხის, მოშავო-მონაცრისფრო ზედაპირით, შიდაპირითა და მოყავისფრო კეცით, შეიცავს წვრილმარცვლოვან მინარევებს. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან; 7. სატევრისპირი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>25</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის წინ, ქვაზე; 8. შუბისპირი, ბრინჯაოსი. მასრაში შერჩენილია ტარის ხის ნაშთი (ტაბ. XIV<sub>15</sub>). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში; 9. ისრისპირი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>20</sub>), აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 10. ისრისპირის ფრაგმენტი, ძვლის (ტაბ. XIV<sub>22</sub>). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 11. საკინძი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>23</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის წინ, ქვაზე; 12. მძივები 8 ც., მომწვანო ფერის პასტის (ტაბ. XIV<sub>16</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან; 13. მძივები 2 ც., სარდიონის (ტაბ. XIV<sub>16</sub>). აღმოჩნდა მიცვალებულის მაჯასთან; 14. კვერთხისთავი, ირმის რქის (ტაბ. XIV<sub>26</sub>). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან; 15. ისრისპირი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>17</sub>). ყუნწზე დახვეულია ზროს დასამაგრებელი ძაფი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 16. ისრისპირი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>19</sub>). ყუნწზე დახვეულია ზროს დასამაგრებელი ძაფი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან; 17. ისრისპირი, ბრინჯაოსი (ტაბ. XIV<sub>18</sub>). ყუნწზე დახვეულია ზროს დასამაგრებელი ძაფი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან. 18. ისრისპირი, ძვლის (ტაბ. XIV<sub>21</sub>). აღმოჩნდა ალაპის ძვლებთან, სამხრეთით.

გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხების თანადროული დასახლება, როგორც ჩანს ამავე მინდორზე და „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე იყო. ამაზე მიუთითებს კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი, რომლებიც ამ ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ამავე ფართობზე ოდნავ მოგვიანო ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის არსებობასაც გვაპარაუდებინებს გიორგი აშკალოვისაგან

შეძენილი ბრინჯაოს არტეფაქტები და ჩვენს მიერ შეგროვილი კერამიკული მასალაც (ტაბ. XV-XX).

მინდვრის დასავლეთ ნაწილში, სოფ. რეხასაკენ მიმავალი გზის პირას გორანამოსახლარია. მისი კიდე გზას აქვს ჩამოჭრილი, სადაც კარგად ჩანს მძლავრი კულტურული ფენა. ზედაპირულად მოპოვებული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ნამოსახლარი მრავალფენია და ძირითადად ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მასალებს შეიცავს.

2003 წელს გიორგი აშკალოვი დაგვეხმარა მის მეზობლად მდებარე საკარმიდამო ნაკვეთში ადგილობრივი მოსახლის მიერ გათხრილი სამარხის ინვენტარის შეძენაში. ადგილის დათვალიერების და ნივთების მომპოვებელთან საუბრის შედეგად გაირკვა, რომ სამარხი მიეკუთვნებოდა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხების ჯგუფს. სამარხი კამერა ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე ყოფილა დამხრობილი. მიცვალებული თავით ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე ყოფილა დაკრძალული (“გამთხრელის” თქმით აღმოსავლეთით „იყურებოდა“). სამარხში თიხის ოთხი ჭურჭელი, ბრინჯაოს დანა, ისრისპირები, რგოლები და ინსიგნიის დეტალები აღმოჩენილა. ინსიგნიის ძირითადი ნაწილი, კაუჭი მიცვალებულის სახის წინ ყოფილა, ღეროზე წამოცმული ჰქონია სალტე (ფიგურული გარსაკრავი), მათგან 10-15 სმ მოცილებით, ჩრდილოეთით კი ხარის თავის ქანდაკება აღმოჩენილა. ქანდაკებასა და სალტეს შორის დაშლილი ხის ნაშთები ყოფილა.

შეძენილი სამარხეული ინვენტარი:

1. დოქი, თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, ზოომორფული ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე. ტანი შემკულია რელიეფური სარტყლებითა და ვერტიკალური ხაზებით. ვერტიკალურ ზოლებს შორის მოთავსებულია ორი გველის რელიეფური გამოსახულება (ტაბ. XIX<sub>1</sub>; XX<sub>2</sub>).

2. დოქი, თიხის, მონაცრისფროდ გამომწვარი, დამზადებულია ობსიდიანის მინარევებიანი თიხისაგან, სამკუთხაგანიკვეთიანი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, მუცელზე აქვს გამჭოლი ნახვრეტი (ტაბ. XIX<sub>6</sub>; XX<sub>3</sub>).

3. ქოთანის, თიხის, ლეგა-მოშავოდ გამომწვარი, დამზადებულია ქარსმინარევებიანი თიხისაგან, მხარი შემკულია სამი ამოღარული ხაზისაგან (ტაბ. XIX<sub>5</sub>; XX<sub>1</sub>).

4. ქოთანის, თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, თეთრმარცვლოვანი მინარევებით, მხარი შემკულია ამოღარული ხაზებით (ტაბ. XIX<sub>3</sub>; XX<sub>4</sub>).

5. დერგი, თიხის, ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი, მხარი შემკულია ამოღარული ჰორიზონტალური, ურთიერთგადამკვეთი ხაზებითა და ნაჭდევებით, მხარსა და პირზე ეტყობა ყურის ნაკვალევი (ტაბ. XIX<sub>4</sub>).

6. ისრისპირი, ბრინჯაოსი, ნაგრძელებული ფრთებით და ბრტყელგანიკვეთიანი გრძელი ყუნწით (ტაბ. XVI<sub>2</sub>).

7. ისრისპირი, ბრინჯაოსი, ნაგრძელებული ფრთებით და ბრტყელგანიკვეთიანი გრძელი ყუნწით (ტაბ. XVI<sub>3</sub>).

8. დანა, ბრინჯაოსი, მოკლე სატარე ყუნწით, ყუნწზე სამანჭვლე ნახვრეტით (ტაბ. XVI<sub>1</sub>).

9. გარსაკრავი, ბრინჯაოსი, ვერტიკალური ამოღარული ხაზებით, ორი გამჭოლი ნახვრეტით (ტაბ. XVI<sub>1</sub>).

10. ხარის თავის ქანდაკება, ბრინჯაოსი (ტაბ. XVI<sub>8</sub>).

11. კვერთხისებრი ნივთი, ბრინჯაოსი, მოკაუჭებული ბოლოთი, ორნამენტირებული ღეროთი და გამჭოლნახვრეტიანი ყუნწით (ტაბ. XVI<sub>6</sub>).

12. რგოლი, ბრინჯაოსი, განიკვეთში რვანახნა (ტაბ. XVI<sub>4</sub>).

13. რგოლი, ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი, თავებგახსნილი (ტაბ. XVI<sub>5</sub>).

**დასკვნა:** სოფ. ავრანლოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ აქ ადამიანი ქვის ხანაში დასახლებულა (იხ. აქვე ქ. სტურუას სტატია). დიდი და მნიშვნელოვანი დასახლება კი ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება (იხ. აქვე ნ. შანშაშვილის სტატია).

გვიანი ბრინჯაოს ხანაშია აგებული „ციკლოპური“ სიმაგრე, რომლის გარშემო ახალი დასახლება ჩნდება. დღეისათვის ამ ეპოქის I (ძვ.წ. XVI ს.) და II ფაზის (ძვ.წ. XV-XIV ს-ის შუა ხანები) ნაშთებსა და სამაროვნები აქ მიკვლეული არ არის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევით მოპოვებულ მასალებში II ფაზის (ბარეთის კულტურა [იხ. ნარიმანიშვილი 2006: 101]) კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი შეინიშნება. გვიანი ბრინჯაოს ხანის III ფაზას, ძვ.წ. XIV ს-ის შუა ხანებსა და XIII ს-ს მიეკუთვნება შემთხვევით მოპოვებული კერამიკის ძირითადი ნაწილი (ტაბ. XVII-XVIII), რომელიც „ცენტრალურამიერკავკასიური“ კულტურის მასალის მსგავსია [ფიცხელაური 2005: ტაბ. X, XX, XXX, XVIII, II, XII, XIX, XCIV, CXIX, CXXX, CLVI, CLXIII]. ამავე კულტურის ძეგლია 2003 წელს სოფლის ტერიტორიაზე გათხრილი სამარხიც (ტაბ. XVI; XIX<sub>1-6</sub>; XX<sub>1-4</sub>).

2006 წელს გათხრილი №№ 2, 3-6 სამარხების ინვენტარი „სამთავრული კულტურის“ კომპლექსების მსგავსია [სადრაძე 1997; სადრაძე 2002] და ძვ.წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება.

ყურადღებას იქცევს № 4 თხრილში შესწავლილი № 1 სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. ეს სამარხი ავრანლოს ტერიტორიაზე მიკვლეული ერთადერთი ძეგლია, რომელიც ამ ეპოქას მიეკუთვნება. სამარხში აღმოჩენილი ყურმილიანი დოქი იშვიათია არა მხოლოდ თრიალეთში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ტიპის ჭურჭლები ძირითადად დასავლეთ საქართველოში გვხვდება.

ახ.წ. პირველი საუკუნეების ძეგლები უშუალოდ სოფლის ტერიტორიაზე გვხვდება. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე, ნალკის რეგიონში იწყება ეკლესიების მშენებლობა. ახ.წ. VI საუკუნეში ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის მიდამოებში დაარსებულ მონასტერს კი ამ რეგიონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე და „ციკლოპური“ ციხე-სიმაგრე ამკარად მიუთითებს, რომ ავრანლო მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობდა და ასევე მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. აქ თავს იყრია ბორჯომ-ბაკურიანიდან და გორი-ქარელიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზები. ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის სამანქანო გზას, სოფ. ციხისჯვრის გავლის შემდეგ, ცხრანყაროს უღელტეხილთან ერთი გზა გამოეყოფა, რომელიც მარცხნივ, აღმოსავლეთისაკენ მიდის. 7-8 კმ გავლის შემდეგ ტაბანყურის ტბას მიადგება, სოფ. ტაბანყურს მარჯვნივ მოიტოვებს და ტბის ჩრდილოეთი ნაპირის გავლის შემდეგ ვინრო ხეობაში შედის. თავკვეთილის მთას გზა სამხრეთიდან ჩაუვლის და მთის ფერდობზე არსებული მცირე უღელტეხილის ყველაზე მაღალ წერტილში ნალკის მუნიციპალიტეტის საზღვარს გადაკვეთს. გზის გასწვრივ, 3,5 კმ სიგრძეზე რამდენიმე ათეული ყორღანია. გზა შავნაბადას მთას ჩაუვლის და თანდათან ქვემოთ ეშვება. შემდეგ გადის მთა ეგოიასარის აღმოსავლეთი კალთის ძირში გაშლილ მინდორზე, სადაც ძველი საპიტიახშო მდებარეობდა. აქედან გზა ორად იყოფა. ერთი სოფ. ბურნაშეთში ჩადის, მეორე კი ყიზილ-ქილისაში. ტაბანყურიდან ნალკის სოფლებამდე დაახლოებით 20 კმ-ია. სოფ. ტაბანყურიდან ნალკაში ნარიანის ველისა და მდ. ქციის გაყოლებითაც შეიძლება შემოსვლა, საიდანაც სოფ. ხანდოსა და რეხაში შეიძლება მოხვედრა. სოფ. რეხაში საპიტიახშოდან ნამოსული გრუნტის გზითაც შეიძლება შესვლა.

სოფ. რეხაზე გადის ნალკაში შემოსასვლელი კიდეც ერთი გზა, რომელიც გუჯარეთის ხეობიდან გადმოდის და რეხას გავლის შემდეგ სოფ. ავრანლოში ჩადის. გუჯარეთის ხეობაში შესასვლელი გზა ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის გზის მე-10 კმ-ზე, სოფ. ნალვერთან იწყება. სამანქანო გზა სოფლის ცენტრში მარცხნივ უხვევს, გაივლის სოფ. კიმოთესუბანს, გვერდისუბანს, ღვთისმშობელს, მაჭანყალს და სოფ. გუჯარეთამდე მიდის. გუჯარეთიდან გამოსული გრუნტის გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის და 4,0 კმ გავლის შემდეგ თრიალეთის ქედზე არსებულ უღელტეხილს მიადგება, სადაც ნალკის საზღვარი იწყება. უღელტეხილიდან სოფ. ავრანლომდე 10-12 კმ-ია.

სოფ. ნალვერთან დაწყებული გზის ერთი ტოტი სოფ. კიმოთესუბნიდან 2,5 კმ გავლის შემდეგ მარჯვნივ უხვევს და სოფ. პატარა მიტარბის გავლით შედის დიდ მიტარბში, საიდანაც მდ. ქციის ხეობაში, ნარიანის ველზე შეიძლება მოხვედრა. აქვე, ნარიანზე ამოდის სოფ. გვერდისუბნი-

დან და სოფ. ღვთისმშობლიდან მომავალი გრუნტის გზები. ნარიანის დასავლეთით ტაბანყურის ტბაა, აღმოსავლეთით, მდ. ქციის გაყოლებით წამოსული მგზავრი კი სოფ. ხანდოში მოხვედება.

გუჯარეთი-რეხას გზით, ნალვერ-ბორჯომის მიმართულებით გადაადგილების გარდა, ქ. ქარელშიც შეიძლება მოხვედრა. გუჯარეთის ხეობაში მდებარე სოფ. წითელსოფლიდან და მაჭარწყლიდან გრუნტის გზა მდ. აბუხალოსღელეს და მდ. ტყემლოვანის წყლის (მდ. მტკვრის აუზი) ხეობებში გადადის. სოფ. ტყემლოვანთან ეს ორი მდინარე ერთდება. ამ სოფლიდან მიმავალი გზა სოფ. ზღუდერის გავლით ქ. ქარელში ჩადის. ამ გზის ერთი განშტოება კი ქ. გორისაკენ მიემართება.

სოფ. ავრანლოდან გზები ქვემო ქართლსა და ჯავახეთისაკენ მიდის, საიდანაც ერთის მხრივ არარატის დაბლობსა და ურმიისტბისპირეთთან გადის, მეორე მხრივ კი ფარავნის ტბას გაუვლის და მდ. მტკვრის ხეობით ცენტრალურ ანატოლიაში ჩადის.

მიუხედავად იმისა, რომ ას წელზე მეტი ხანია რაც ავრანლოს ტერიტორიაზე მიკვლეული ძეგლების შესახებ არაერთი ინფორმაცია არსებობს, გეგმაზომიერი და ფართო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. დღემდე არც აქ მოპოვებული მასალები იყო გამოქვეყნებული. წინამდებარე სტატია ამავე კრებულში გამოქვეყნებული ქ. სტურუასა და ნ. შანშაშვილის ნაშრომებთან ერთად სოფ. ავრანლოში მოპოვებული მასალების პუბლიკაციის პირველი მცდელობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ავრანლოს ტერიტორიაზე მიკვლეულ ძეგლებზე მცირე სამუშაოებია ჩატარებული შეიძლება ითქვას, რომ აქ სტაციონალური გათხრების წარმოებას არა მხოლოდ თრიალეთის, არამედ სამხრეთ კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

## ლიტერატურა

- ბერძენიშვილი დ. 1982:** თრიალეთის უცნობი წარწერები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI, 3-28. თბილისი.
- გვასალია ჯ. 1982:** ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. VI, 29-57. თბილისი.
- ვახუშტი 1973:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი.
- კეკელიძე კ. 1968:** ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი.
- მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938:** მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.
- ნარიშკინიშვილი გ. 2006:** საფარ-ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი, № 17-18, 92-126.
- სადრაძე ვ. 1997:** სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.
- სადრაძე ვ. 2002:** მცხეთისა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ფიცხელაური კ. 2005:** ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა (ძვ.წ. XIV-XIII სს.). თბილისი.
- ქც 1955:** ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
- ჰაგიოგრაფია 1947:** მოქალაქეობა და წამება წმიდისა აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა. – აპოკრიფები. ჰაგიოგრაფია. თბილისი.
- ჩიქოვანი თ. 1973:** თრიალეთი. თბილისი.
- Такаишвили Е 1913:** Археологические экскурсии, разыскания и заметки. – Известия Кавказского отделения

Императорского Московского археологического общества. Вып. III. Тифлис.

**Куфтин Б 1938:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. рукопись. Тбилиси.

**Куфтин Б 1940:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. рукопись. Тбилиси.

**Куфтин Б 1948:** Дневник. Триалетская археологическая экспедиция. рукопись. Тбилиси.

**Мшвениерадзе Д 1952:** Строительное дело в Древней Грузии. рукопись. Тбилиси.

**Мшвениерадзе Д 1959:** Строительное искусство в Древней Грузии. рукопись. Тбилиси.

## ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრისა და ნამოსახლარის ტოპოგეგმა; 2. საძიებო თხრილების განლაგება ნამოსახლარზე.

ტაბ. II – 1. სასიმაგრო სისტემის გეგმა ვ. ნილოსანის მიხედვით; 2. სასიმაგრო სისტემა (ვ. ნილოსანის ჩანახატი).

ტაბ. III – 1. სასიმაგრო სისტემის ხედი აღმოსავლეთიდან; 2. ნამოსახლარის ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. IV – თხრილი № 2: 1. I დონის გეგმა და ჭრილი; 2. II დონის გეგმა და ჭრილი; 3. გეგმა.

ტაბ. V – თხრილი № 3: 1. V დონის საერთო ხედი; 2. № 5 სამარხის კრომლები და ადრებრინჯაოს ხანის სახლის იატაკი.

ტაბ. VI – თხრილი № 3: 1. II დონის გეგმა; 2. IV დონის გეგმა და ჭრილი; 3. თხრილი გათხრების დასრულების შემდეგ. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. VII – 1. თხრილი № 3. გეგმა; 2. თხრილი № 4. გეგმა.

ტაბ. VIII – 1,2. თხრილი № 4. საერთო ხედი სამარხების გახსნამდე.

ტაბ. IX – თხრილი № 4: 1. I დონის გეგმა; 2. II დონის გეგმა და ჭრილი; 3-4. სამარხი № 1. გეგმა და ჭრილები.

ტაბ. X – თხრილი № 4. გეგმა და ჭრილები სამარხების გახსნის შემდეგ.

ტაბ. XI – თხრილი № 4: 1. სამარხი № 1; 2, 3. სამარხი № 2; 4. წინა პლანზე სამარხი № 3, უკანა პლანზე სამარხი № 4. თხრილი № 3: 5, 6. სამარხი № 5.

ტაბ. XII – თხრილი № 3: 1. სამარხი № 6. ქვაყრილი; 2, 3. სამარხი № 5; 4-6. სამარხი № 6.

ტაბ. XIII – 1. სამარხი № 2. გეგმა და ჭრილი; 2. სამარხი № 3. გეგმა და ჭრილი; 3. სამარხი № 5. გეგმები და ჭრილები; 4. სამარხი № 6. გეგმები და ჭრილები.

ტაბ. XIV – ინვენტარი: 1-4. სამარხი № 1; 5. სამარხი № 3; 6-14. სამარხი № 5; 15-27. სამარხი № 6; 28-31. სამარხი № 4.

ტაბ. XV – 1-28. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული მასალა.

ტაბ. XVI – 1-8. გ. აშკალოვის ეზოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები.

ტაბ. XVII – 1-40. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული მასალა.

ტაბ. XVIII – 1-23. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული მასალა.

ტაბ. XIX – 1,3-6. გ. აშკალოვის ეზოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი კერამიკა; 2,7-10. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული კერამიკა.

ტაბ. XX – 1-4. გ. აშკალოვის ეზოში გათხრილ სამარხში აღმოჩენილი კერამიკა; 5,6. ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული კერამიკა.

Goderdzi Narimanishvili  
Juansher Amiranashvili  
Marine Kvachadze  
Nino Shanshashvili

## ARCHAEOLOGICAL SITES AT AVRANLO

The village of Avranlo is situated on the banks of the River Ktsia in Tsalka region, some 35 km from Tsalka at an altitude of 1,580 m above sea level. The old name of the village is Tezi. It was called Avranlo by the Greeks who migrated from Turkey in 1828-1829. A comparison of a map of Vakhushti Bagrationi with modern ones confirms the fact that the village was called once called Tezi, and E. Taqaishvili, D. Berdzenishvili, T. Chikovani share this opinion (Taqaishvili 1913, 45; Chikovani 1973, 16; Berdzenishvili 1982, 15).

Vakhushti Bagrationi provides some very interesting information about this area: "In Artsivani, in the Tezis Khrami, there is a monastery created in the rock by Saint Abibos of Nekresi, now empty" (Vakhushti 1973, 320). D. Berdzenishvili notes, "In fact, there are caves and two basilicas in the canyon. They bear a trace of late redecoration, although early Medieval architectural details have survived ... In the upper reaches of the Ktsia the accumulation of such toponyms as Sapitiakhsho, Rekha. Abibos Monastery gave rise to the opinion that the martyrdom of St. Abibos must have occurred at Rekha in Trialeti (near Avranlo)" (Berdzenishvili 1982, 16). K. Kekelidze considered that Abibos was punished in Shua Kartli, near Samtavisi, from where this story was transferred in the course of time to Rekha in Tsalka; then a monastery dedicated to Abibos was built there, at Rekha in Tsalka (Kekelidze 1968, 178). J. Gvasalia also agrees that the Rekha where Abibos of Nekresi was tortured is definitely the Rekha of Kartli (Gvasalia 1982, 52-53). According to D. Berdzenishvili, the section where "the cities around Rekha" is discussed speaks in favour of the Rekha in Kartli. In his opinion, such a thing must have been impossible to consider in connection with the Trialeti Rekha of the 6<sup>th</sup> century. In those times there were Urbnisi, Uplistsikhe, Kaspi, Mtskheta, where, according to Juansher's information, Abibos was finally buried (Berdzenishvili 1982, 17). However, the work "Life and Martyrdom of Saint Abibos of Nekresi" says that when Abibos "was killed and dragged to the outskirts of the city and guards were appointed to watch his body, not a single animal or bird dared to touch his greatly blissful flesh. And those guarding him left him. Then came those living in the cave near the monastery and took him and buried him with great respect" (Hagiography 1947, 107).

თუმცა, ძველი და ახალი, მოცვეთილი და მოუცვეთავი, კოხის ქვების პროცენტული შეფარდება მონიშნავდა, რომ დაკრძალვის რიტუალში უმეტესად ძველს — ხმარებიდან ამოღებულ, ან შედარებით იშვიათად — ძველს, მაგრამ განახლებულ კვერებს იყენებდნენ.

ნამოსახლარ ნაჭივჭავების ეკლესიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კვერის მოყვანილობის ქვის, “კვერქვის” საფლავის ძეგლად დადგმა [ბოხოჩაძე 1956] იმ უძველესი ტრადიციის (იგულისხმება დაკრძალვის რიტუალში კვერის სიმბოლური გამოყენება), გვიანდელი გამოძახილი უნდა იყოს.

კვერის დაკრძალვის რიტუალში გამოყენების წესი, როგორც ამას დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები ცხადყოფენ, ამიერკავკასიის კულტურული სამყაროსთვისაც არის დამახასიათებელი.

კვერის მიცვალებულის კულტთან კავშირი წინა აზიის ძველი მოსახლეობის, კერძოდ, სირიელების ეთნოგრაფიულ ყოფაშია დამონმებული. XIX საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწე ეთნოგრაფ ვეტშტეინის ცნობით ბაღდადის მახლობლად მცხოვრები სირიელებისათვის კვერი „წმინდა“ იარაღი იყო, მათვე შემოუნახათ მიცვალებულის დამარხვამდე კვერზე დასვენების წესი. კვერზე დასვენებულ მიცვალებულს სირიელები კალოზე გამართულ კარავში ათავსებდნენ [Wetzstein 1873: 295].

ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ განათხარ კვერებთან კავშირში, რადგან მასში გარკვევით მოჩანს კავკასიისა და წინა აზიის მოსახლეობას შორის არსებული უძველესი კავშირურთიერთობები, რაზედაც მაღალი დონის სამეურნეო იარაღის გამოყენება და ამ ხალხთა საერთო დიდი სამინათმოქმედო კულტურა მეტყველებს [ჯალაბაძე 1960: 130-135].

სამარხში არსებული ყოველი ნივთი გარკვეული რიტუალის დროს გამოყენებული და ჩვენამდე მოღწეული სიმბოლური ელემენტია, რომლებიც ამ რთული წესის ნაწილობრივი გააზრების საშუალებას გვაძლევს. ელი-ბაბას სამაროვანზე კვერის კოხების აღმოჩენა კულტმსახურების ჩატარების ფაქტად, ანუ დაკრძალვის რიტუალის შესრულების ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

## ლიტერატურა

- ბოხოჩაძე ა. 1956:** ახალი ტიპის საფლავის ქვები. – თეთრიწყაროს რაიონული გაზეთი “საკოლმეურნეო გზით”, 27.6.
- გასიტაშვილი გ. 1980:** კვერი. — გ. ჩიტაია (რედ.), საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, 78-84, თბილისი.
- კიკვიძე ი. 1975:** მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.
- მენტეშაშვილი სტ. 1936:** კალოზა ქიზიყში. — სსმმ, IX-B, 1935-1936(1), 59-77.
- მურვანიძე ბ. 2005:** ელი-ბაბას სამაროვანი. — ძიებანი, № 15-16, 147-150.
- მუსხელიშვილი დ., ცქიტიშვილი გ. 1960:** შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. — სიგკ, I, 125-196.
- მუსხელიშვილი დ. 1978:** ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.
- ნარიშკინი ვ. 1990:** ნასტაკისის ანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხთა ტიპები და დაკრძალვის წესი). — რ. რამიშვილი (რედ.), არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა VII-VIII სამეცნიერო სესიების მასალები) 85-104. თბილისი.
- ნარიშკინი ვ. 2000:** წალკის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1999 წელს შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი). თბილისი.
- ნარიშკინი ვ. 2003:** წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2002 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში (ხელნაწერი). თბილისი.
- ნარიშკინი ვ. 2004:** წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ელი-ბაბას (საბეჭდავის) სამაროვანზე 2003 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების წინასწარული ანგარიში (ხელნაწერი). თბილისი.
- ნარიშკინი ვ., ამირანაშვილი ჯ., კვაჭაძე მ., შანშაშვილი ნ. 2006:** ავრანლოს „ციკლოპური“ სიმაგრის ტერიტორიაზე ჩატარებული მუშაობის ანგარიში. ხელნაწერი. თბილისი.
- რამიშვილი ა. 1987:** არქეოლოგიური კვლევა-ძიება “ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის” მშენებლობის ზონაში 1984 და 1985 წლებში. — ძმ, № 4, 31-35.
- რამიშვილი ა. 1999:** შუბრინჯაოს ხანის კვერი საქართველოდან. — ძიებანი, № 3, 29-36.
- სინაურიძე მ. გიუნაშვილი გ. 1976:** კაზრეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამარხები. — სსმმ, XXXII-B, 96-105.
- სინაურიძე მ. 1985:** კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ლამბაშიძე ოთ, ლამბაშიძე ირ. 1987:** ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. — ძმ, № 4, 36-43.
- ლამბაშიძე ირ. 2006:** შეფასებითი და მონაცემთა ამოღების არქეოლოგიური კვლევები უბანზე IV— 217, KP — 225-ზე, ახალციხის რაიონში. 3-343. (ხელნაწერი)
- ჩუბინიშვილი ტ. 1951:** მიცვალებულის კვერზე დასაფლავება სამთავროში. — სმამ, XII, №1, 61-67.
- ჩუბინიშვილი ტ. 1957:** მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- ძნელაძე. 1998:** სამარხთა სახეობანი და დაკრძალვის წეს-ჩვეულებანი ძველ საქართველოში, კვერიანი სამარხი აბულმუგიდან (ძვ.წ. IV-III სს). — ნელინდეული, III, 18-26.
- ძნელაძე მ. 2001:** აბულმუგის სამაროვანი. — ჯ. კობალიანი (რედ.), დმანისი, III, 3-334. თბილისი.
- ხახუტაიშვილი დ. 1964:** უფლისციხე, I. თბილისი.
- ჯალაბაძე გ. 1960:** აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბილისი.
- Бохочадзе А. и др. 1986:** Настакисская археологическая экспедиция. – ПАИ в 1983 году, 42-48. Тбилиси.
- Вавилов Н. 1932:** Проблема происхождения мирового земледелия. Москва-Ленинград.
- Гумель Я. 1949:** Курган № 2 близ Ханлара – КСИИМК, XXIV, 56.



- Кахиани К. и др. 1985:** Археологическая экспедиция Машаверского ущелья – ПАИ в 1982 году, 29-31. Тбилиси.
- Народы Кавказа 1960:** М. Косвен (ред.), Народы Кавказа, т. I. Москва.
- Орджоникидзе А. 1995:** Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. – ПАИ в 1987 году, 80-81. Тбилиси.
- Пиотровский Б. 1939:** Урарту – древнейшее государство. Ленинград.
- Сергеенко М. 1958:** Очерки по сельскому хозяйству древней Италии. М-Л.
- Уваров А. 1903:** Христианская символика, часть I. Москва.
- Хачатрян Т. 1979:** Арктикский некрополь. Ереван.
- Wetzstein I. L. 1873:** Die Syrische Dreschtafel, *Zeitschrift für Ethnologie* 5, 270-302.

### ტაბულების აღწერა

- ტაბ. I – 1. ელი-ბაბას სამაროვნის ტოპოგეგმა; 2. ელი-ბაბას სამაროვნის გენგეგმა.
- ტაბ. II – 1. სამარხი № 60 გახსნამდე; 2. სამარხი № 67 გახსნამდე; 3. სამარხი № 17 გახსნამდე; 4. სამარხი № 17 გახსნის შემდეგ.
- ტაბ. III – 1. სამარხი № 110 გახსნის შემდეგ; 2. სამარხი № 92 გახსნის შემდეგ; 3. სამარხი № 113 გახსნის შემდეგ; 4. სამარხი № 60 გახსნის შემდეგ.
- ტაბ. IV – 1. სამარხი № 60. გეგმა; 2-4. სამარხი № 17. გეგმები და ჭრილები.
- ტაბ. V – 1. სამარხი № 67. გეგმა და ჭრილები; 2. სამარხი № 92. გეგმა და ჭრილები; 3. სამარხი № 113. გეგმა და ჭრილები; 4. სამარხი № 10. გეგმა და ჭრილები; 5. სამარხი № 110. გეგმა და ჭრილები; 6. სამარხი № 13. გეგმა და ჭრილები.
- ტაბ. VI – 1-5,7,11. სამარხი № 17. ინვენტარი; 6,9. სამარხი № 113. ინვენტარი; 8,10. სამარხი № 92. ინვენტარი; 12. სამარხი № 110. ინვენტარი.
- ტაბ. VII – 1-10. სამარხი № 17. ინვენტარი; 11. სამარხი № 67. ინვენტარი; 12,15,16,18. სამარხი № 92. ინვენტარი; 13. სამარხი № 110. ინვენტარი; 17,19. სამარხი № 60. ინვენტარი.

## BURIALS WITH THRESHING-BOARDS FROM ELI-BABA CEMETERY

The Eli-Baba cemetery is situated in south Georgia, on the Trialeti Plateau, between the villages of Besh-tasheni (Beshkenasheni) and Bashkoi (Bareti), on the north-east slope of Mount Eli-Baba, on the left bank of the Bashkov-Su river (pl. I, 2). It is arranged on a flat area of about 200 sq. m and is situated between two large basalt massifs. The Tsalka-Trialeti Archaeological Expedition (director G. Narimanishvili) conducted excavations here in 2003-2005, in the construction zone of the BTC pipeline (pl. I, 2).

Forty-four pit-graves and eighty-three cists were found at the cemetery. Nine of them (six cists, Nos 10, 13, 26, 67, 92, 110 and three pit-graves, Nos 17, 60, 113) produced threshing stones. Both types of burials have chambers and are covered with stone slabs.

Burial No. 10 (pl. V, 4) is situated in Grids 5-8, Plot XVII. The cist with a circular stone mound was oriented NW-SE. Two large basalt slabs were used for the longitudinal walls, and there were earthen walls at each end. The ceiling of the chamber was damaged and no bones of the deceased were found in the burial. The earth filling of the burial pit and the floor produced unattractive fragments of pottery. There were several courses of threshing stones on the floor. The burial had been robbed.

Burial No. 13 (pl. V, 6) was a cist with a circular stone mound. It was excavated in Grid 5, Plot XVII. The roof slab was oriented N-S. The cist beneath it, however, was oriented NW-SE. The burial had been damaged and robbed. No bones of the deceased were found. Fragments of ceramic vessels, beads and 20 threshing stones were recovered at floor level.

Burial No. 17 (pl. II, 3-4; IV, 2-4) was a pit-grave with a chamber. It was located in Grids 1, 2, 4, 5, Plot XVII. The roof the burial was damaged. The roof slab measured: 2.20 x 1.30 x 0.40 m, and the burial is oriented E-W. To the north-west an independent Burial No. 124 was recovered. The principal burial contained stones thrown into it irregularly. Some of these seemed to have been packed along the wall, while some lay on the floor. Fragments of pottery and other objects were recorded in different parts of the burial and at different levels. Some of the objects and 29 threshing stones (29 pieces) were found in the centre, inside a large pot fitted into the floor, which was cut or broken at floor level, while its fragments lay to the south (pl. II, 4). The burial had been damaged and robbed. The following artefacts were discovered in the burial: a smaller (pl. VI, 7; VII, 1) and a larger (pl. VI, 11; VII, 9) pot, and five fragments of various ceramic vessels, bronze rings (pl. VI, 5; VII, 6-7), a bronze arrowhead (pl. VII, 8), fragments of an iron object (pl. VII, 3-4), and vitreous paste beads (pl. VI, 1-4; VII, 2, 10). The burial did not contain any bones of the deceased.

Burial No. 26 is situated on Grid 4, Plot XVII. The cist (1.90 x 1.30 x 0.90 m) was covered with large stone slabs. The chamber was oriented NE-SW. The burial yielded four fragments of pottery, an iron spearhead, domino-like paste beads and three threshing stones. The burial had been damaged and seems to have been robbed.

Burial No. 60 with a stone circle (pl. II, 1; III, 4; IV, 1) was excavated in Grid 7, Plot XI. The north and south parts of the stone circle were disturbed by Burial No. 59. The ceiling stone had dropped into the chamber. The burial was oriented east to west. On the floor there were a larger (pl. VII, 19) and a smaller pot (pl. VII, 17),

the stones of a stones of a threshing board arranged in several courses and one bone fragment from the deceased.

Burial No. 67 was a cist with a stone circle (pl. II, 2; V, 1) situated in Grid 12, Plot X. The stone circle was disturbed by Burials Nos 58 and 64, while the burial itself disturbed the stone circle of Burial No. 73. The burial consisting of stone slabs was oriented E-W. The chamber had been covered with slabs. The longitudinal walls were made up of two slabs each. The cist (1.7 x 0.8 x 0.8m) was walled only at one (eastern) end and was open at the other. Fragments of ceramic vessels, cornelian and paste beads (pl. VII, 11) and seven pieces of threshing stone were recovered on the floor.

Burial No. 92 was a pit-grave with a stone circle (pl. III, 2; V, 2) situated in Grid 6, Plot XVII. The burial had been damaged, and only the eastern part of the stone circle survived. The roofing stone had fallen into the chamber. Within the burial (1.5 x 0.8 x 0.45 m) were two pots (pl. VI, 10; VII, 15), a bowl (pl. VI, 8; VII, 16), a fragment of an iron weapon (a knife?), cornelian and paste beads (pl. VII, 12), and 25 threshing stones found at different levels of the chamber.

Burial No. 110 was a cist with a stone circle (pl. III, 1; V, 5) situated in Grid 11, Plot X and oriented SW-NE. The north-east wall had been damaged by the chamber of Burial No. 72. In the central part of the burial chamber were found bones of the lower extremities of the deceased who seems to have been buried with the head to the SE. A large two-handled pot containing paste beads (pl. VII, 13) was placed against the NE wall (pl. VI, 12; VII, 14), beneath which lay the shoulder blade of a bovine. There were 35 pieces of threshing stone recorded on the floor (pl. V, 5).

Burial No. 113 was a pit-grave with a stone circle (pl. III, 3; V, 3) situated in Grid 10, Plot X. It was covered with two large basalt slabs; judging by the remains, the deceased must have lain on the left side with the head to the south-west. Two large ceramic vessels were recovered near the west wall of the burial (pl. VI, 9) and a bronze pin in the chest area of the deceased (pl. VI, 6). Threshing stones arranged in several courses were recorded upon the skeleton of the deceased (pl. III, 3).

Only three of the listed burials (Nos 60, 110, 113) yielded any remains of the deceased. The other burials did not have any bones. The remains of threshing boards were not recovered either, due either to the high acidity of the soil or as the result of robbery.

Of the three pit-graves containing threshing stones the most interesting was Pit-grave No. 17. This burial differed from the others in the large size of the ceiling stone of the chamber (2.2 m long and 1.30 m wide) and by the artefacts recovered in it. It belongs to an earlier group of burials (Nos 49, 42, 51, 52) and must be dated to the turn of the 8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries BC. One view is that the grave was used for cremation (Murvanidze 2005, 147-163). Archaeological material recovered in burials with threshing stones does not differ from that of other burials, indicating their equal status. Analysis of the finds leads to the conclusion that the cemetery belongs to the 8<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries BC (Murvanidze 2005, 147-163; Narimanishvili 2004, 3-20).

The number of burials with threshing boards excavated in South Caucasia is very small. This is why every new discovery of threshing boards remains arouses special interest, and in particular when several cases are recorded in the same cemetery. It is also interesting that threshing boards—household implements—are found in burials at all. A threshing board is a sort of an implement known throughout the world which operates only by using traction and is used for threshing out wheat. The oldest threshing boards have been excavated in Mesopotamia (Gasitashvili 1980, 83), Italy (Sergeenko 1958, 60), the Mediterranean countries, Asia Minor (Vavilov 1932, 9), and North Caucasia (Peoples of the Caucasus 1960, 348). In Transcaucasia, apart from Georgia, burials with threshing boards have been found in Azerbaijan (Gumel 1949, 36) and Armenia (Piotrovskii 1939, 49-50; Khachatryan 1979, 15).

Remains of threshing boards in Georgia have been mainly found in the cemeteries and settlements

of Shida and Kvemo Kartli. According to the latest data, most remains (11 burials) have occurred in Trialeti. In Georgia, burials with remains of threshing boards have been excavated in the following cemeteries (arranged in chronological order): Tsaghvli, Burial No. 94 (15<sup>th</sup> century BC; Ramishvili 1987, 31-35); Bornighele, Burial No. 52 (14<sup>th</sup> century BC; Ghambashidze 1987, 36-43); Dzveli Kanda, Burial No. 16 (14<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries BC; Bokhochadze et al. 1986, 42-48); Digasheni, kurgan No. 1 (14<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries BC; Ordjonikidze 1995, 80-82); Avranlo, Burial No. 2 (13<sup>th</sup> 12<sup>th</sup> centuries BC; Narimanishvili 2006); Gantiadi, Burials No. 120, No. 140 (13<sup>th</sup>-8<sup>th</sup> centuries BC; Kakhiani et al. 1985, 29-31); Samtavro, Burial No. 320 (8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries BC; Chubinishvili 1951, 61-67); Kazreti, Burial Nos 1, 4 (7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries BC; Sinauridze et al. 1976, 96-105); Kulbakevi, Burial No. 1 (7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries BC; Chubinishvili 1957, 106); Eli-Baba, Burial No. 17 (8<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries BC; Narimanishvili 2004; 34-56); Eli Baba, Burial Nos 10, 13 (7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries BC; Narimanishvili 2003, 19-22); Eli-Baba, Burials Nos 26, 60, 67, 92, 110, 113 (7<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries BC; Narimanishvili 2004, 86-448); Natsargora, Burial No. 447 (5<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries BC; Ramishvili 1999, 33); Abulmugi, Burial No. 22 (4<sup>th</sup>-3<sup>rd</sup> centuries BC; Dzneladze 2001, 140-235; Dzneladze 1998, 18-26); bottom of the Tsalka reservoir (4<sup>th</sup> century BC; Narimanishvili 2000); Nastakisi, Burial Nos 44, 124, 140 (1<sup>st</sup> c; Narimanishvili 1990, 85-110); Klde, Burial Nos 70, 76 (Early Medieval; Ghambashidze 2006, 56).

Threshing stones have been recognized at quite a few settlements: 1. Digasheni I (14<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries BC; Ordjonikidze 1995, 81); 2. Qatnalikhevi, at an altar (12<sup>th</sup>-8<sup>th</sup> centuries BC; Khakhutaishvili 1964, 32); 3. Khovle (9<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries BC; Muskhelishvili 1978, 40-81); 4-5. Plavismani and Qornisi (Muskhelishvili, Tskitishvili 1960, 125-196); 6. Satsikhurisgora (Tsaghvli) (Late Bronze-Early Iron Age; Ramishvili 2000, 29-35); 7. Natsargora (Late Bronze-Early Iron Age; Ramishvili 2000, 29-35); 8. Khizanaant Gora (Kikvidze 1975, 80); 9. Nastakisi settlement (6<sup>th</sup>-8<sup>th</sup> centuries AD; Narimanishvili 1990, 91). The discovery of threshing stones near an altar at Qatlaniskhevi strongly suggests ritual sacrifice.

Among all household implements the threshing board is the most related to agriculture from practical, as well as cultural and historical, points of view. The discovery of evidence for threshing boards in nine burials in the Eli-Baba cemetery indicates that the region was advanced agriculturally and that the community utilized this implement very intensively. This discovery gives us an insight into the everyday life of the community in antiquity. It would appear that in the first half of the 1<sup>st</sup> millennium BC the population of Eli-Baba was involved in intensive agricultural work. The discovery of a number of threshing boards points to the fact that one group of people was occupied in a specific (professional) activity. The wide utilization of threshing boards meant that large numbers had to be produced, and consequently part of the community will have been involved in this activity. The whole community of Eli-Baba was presumably completely occupied in this business. The existence of a few centres of manufacturing threshing boards has been attested ethnographically; Trialeti has always been one of the most well-known centres (Jalabadze 1960, 130-135).

While defining sizes of threshing boards from Eli-Baba we should consider the sizes of the burials where they were recovered: 1.9 x 1.3m; 1.5 x 0.7m; 1.5 x 0.8m; 1.52 x 0.93 m; 1.3 x 0.5 m. Accordingly, the threshing board discovered at Eli-Baba cemetery must measure 1.5 x 0.8 m. S. Menteshashvili gives a maximum size of 3.00 x 1.00 m and a minimum of 1.45 x 0.54 m for threshing boards. He had measured one threshing board himself at 2.09 x 0.38 m. He also interviewed a maker of threshing boards, Mchedlishvili by name, who informed him that the maximum size of modern ones is 1.7 x 0.6 m and the minimum 1.5 x 0.5 m (Menteshashvili 1936, 57-77).

The sizes of some archaeologically recorded threshing boards are known: at Abulmugi, 1.9 x 0.8 m; in Klde, 1.3 x 0.6 m; at Khalnar (Azerbaijan), 1.25 x 0.46 m; at Tsaghvli, 1.25 x 0.75 m; and at Akhtala (Armenia), 0.92 x 0.7 m. The size of the threshing boards excavated in the Eli-Baba cemetery—1.5x0.8m—matches the sizes listed here.

It was interesting to define the nature of the stones that were mounted on the threshing boards of the

Eli-Baba cemetery. These included: fine-grained, quartzite- and calcium-rich, tufogenic sandstones, stones in the medium hardness category. (Thanks are due to the geologist D. Ghambashidze for identifying the stones in question).

Agricultural peoples had customs associated with religious cults. One was a ritual for the reception of the harvest, that is also recorded in the ethnographic record: when a threshing board was placed on a sheaf, it had first to be carried over a loaf of stale bread. This was believed to bring abundance and prosperity. They would also drop an axe or a hatchet in the middle of the threshing floor in order to protect it from the evil eye (Jalabadze 1960, 131).

The discovery of threshing boards in burials is interesting. After utilizing them in regular household activities, the community used them in funerary rituals, as is indicated by the presence of threshing stones in burials. Depositing implements in burials or representing them symbolically as an indication of the occupation of a deceased was a widespread practice on Roman, Greek and Assyrian sites (Uvarov 1903, 97).

By re-using threshing boards, very sophisticated and efficient implements, in burials the community of Eli-Baba emphasized the profession of the dead and their honourable position in the society.

Threshing stones placed in a vessel in Burial No. 17 must also be symbolic of the activities of the deceased in life. Threshing stones were found behind the backs of the deceased in pit-graves excavated at the Kazreti cemetery (Sinauridze 1985, 17), which again suggests a ritual associated with threshing boards.

Threshing stones appeared in few of the burials in the Eli-Baba cemetery. More than 80% of them were badly worn, which pointed to a prolonged use of the threshing board. For example, 14 of the 29 threshing stones packed in the vessel in Burial No. 17 were new. It is likely that the threshing board placed in the burial was still in working order. As a rule, the threshing stones need to be changed when a threshing board is refurbished. But the ratio of old to new, worn out to usable threshing stones showed that mostly old, disused or (rarely) refurbished threshing boards were used in funerary rituals.

The practice of erecting a stone resembling a threshing board over the burial (Bokhochadze 1956), as seems to have happened at a grave excavated at the Nachivchavebi settlement, must be a belated echo of the ancient tradition of using threshing boards in a burial rituals.

The use of threshing boards in burial rites, as indicated in the archaeological record, was also widespread in the cultural world of Transcaucasia. Links between threshing boards and the cult of the dead is well known in the ethnographic record of the ancient Near East, especially among Syrians. According to the ethnographer Johann Gottfried Wetzstein, who lived in Syria between 1848 and 1862, a threshing board was a "sacred" implement for Syrians living near Baghdad and they had preserved the rite of resting the dead on a threshing board. The Syrians placed the dead laid out on a threshing board within a tent erected over a threshing floor (Wetzstein 1873, 295). This is remarkable in the context of threshing boards excavated in Georgia, as it clearly shows ancient ties between the Caucasian and Near Eastern peoples, as is shown by the use of a highly developed implement and the common agricultural culture of these peoples (Jalabadze 1960, 130-135). Every object in a burial is a symbolic ritual element that justifies speculation about this complicated rite. The discovery of threshing board stones in the Eli-Baba cemetery must be considered part of the funerary ritual.

## Bibliography

- Bokhochadze A. 1956:** akhali tipis saphlavis kvebi (New Type Tombstones). *Sakolmeurneo Gzit* 27, 6 (in Georgian).
- Bokhochadze A. et al. 1986:** Nastakisskaya arkheologicheskaya ekspeditsiya (The Nastakisi archaeological expedition). *PAI in 1983*, 42-48. Tbilisi.
- Chubinishvili T. 1951:** mitsvalebulis kevrze dasaphlaveba samtavrosi (Burial on a threshing board at Samtavro). *SMAM* 12/1, 61-67.
- Chubinishvili T. 1957:** *mtskhetis udzvelesi arkeologiuri dzeglebi (Ancient Archaeological Sites in Mtskheta)*. Tbilisi.
- Dzneladze M. 1998:** samarkhta sakheobani da dakrdzalvis tses-chveulebani dzvel sakartveloshi, kevriani samarkhi abulmugidan (dzv.ts.IV-IIIss) (Types of burials and burying practices in ancient Georgia, a burial with a threshing board from Abulmugi [4th-3rd centuries BC]). *Tselitsdeuli* 3, 18-26.
- Dzneladze M. 2001:** abulmugis samarovani (Abulmugi Cemetery). In J. Kopaliani (ed.), *Dmanisi* 3, 3-334 (in Georgian).
- Gasitashvili G. 1980:** kevr (A Threshing Board). – In: G. Chitaia (ed.). Georgian historical-ethnographical atlas, materials, 78-84, Tbilisi.
- Ghambashidze O., Ghambashidze I. 1987:** akhali arkeologiuri masalebi samtskhe- javakhetidan (New archaeological material from Samtskhe-Javakheti). *Dzeglis megobari* 4, 36-43.
- Ghambashidze I. 2006:** *shephasebiti da monatsemta amoghebis arkeologiuri kvlevebi ubanze IV\_ 217, KP \_ 225-ze, akhaltsikhis raionshi (Evaluation and data recovery; archaeological research at Plot IV/217, KP 225, at Akhaltsikhe district)*. (Manuscript).
- Gumel I. 1949:** *Kurgan N 2 bliz Khanlara (Kurgan No. 2 near Khanlar)*. *KSIMK* 24, 56.
- Jalabadze G. 1960:** *aghmosavlet sakartvelos samitsatmokmedo iaraghebis istoriidan (On the History of Agricultural Tools of East Georgia)*. Tbilisi.
- Kakhiani K.I. 1985:** *Arkheologicheskaya ekspeditsiya Mashaverskogo ushchel'ya (Archaeological expedition of the Mashavera Gorge)*. *PAI in 1982*, 29-31. Tbilisi.
- Khachatryan T. 1979:** *Artikskii necropol' (The Necropolis of Artik)*. Erevan.
- Khakhutaishvili D. 1964:** *Uplistsikhe 1*. Tbilisi.
- Kikvidze I. 1975:** *mitsatmokmedeba da samitsatmokmedo kulti dzvel sakartveloshi (Agriculture and Agricultural Cult in Ancient Georgia)*. Tbilisi.
- Menteshashvili S. 1936:** kalooba kiziqshi (Threshing Practice at Kiziqi). *SSMM*, 9-B, 1935-1936 (1), 59-77.
- Murvanidze B. 2005:** eli-babas samarovani (Eli-Baba Cemetery). *Dziebani* 15-16, 147-150.
- Muskhelishvili D., Tskitishvili G. 1960:** shida kartlis 1955 tslis dazverviti ekspeditsiis shedegebi (Results of the Shida Kartli prospecting expedition in 1955). *SIGK* 1, 125-196.
- Muskhelishvili D. 1978:** *khovles namosakhlaris arkeologiuri masala (Archaeological Material of the Khovle Settlement)*. Tbilisi.
- Narimanishvili G. 1990:** nastakisis antikuri khanis samarovani (samarkhta tipebi da dakrdzalvis tsesi) (The Nastakisi Cemetery of the classical period (Types of burials and burial practices). In R. Ramishvili (ed.), *Archaeologiuri Dziebani (Materials of scientific session VII-VIII by young researchers)*. 85-104. Tbilisi.
- Narimanishvili G. 2000:** *tsalkis arkeologiuri ekspeditsiis mier 1999 tsels shesrulebuli arkeologiuri samushaobis angarishi (Report of archaeological work conducted by the Tsalka-Trialeti Archaeological Expedition in 2002)* (Manuscript). Tbilisi.
- Narimanishvili G. 2004:** *tsalka-trialetis arkeologiuri ekspeditsiis mier eli-babas (sabettdshdavis) samarovanze 2003 tsels chatarebuli savele kvleva- dziebis tsinastaruli angarishi (Preliminary report of field research carried out by the Tsalka-Trialeti archaeological expedition at the Eli-Baba cemetery in 2003)* (manuscript). Tbilisi.
- Narimanishvili G., Amiranashvili J., Kvachadze M., Shanshashvili N. 2006:** avranlos "tsiklopuri" simagris teritoraze chatarebuli mushaobis angarishi (Report of work carried out at the "Cyclopean" fortress in Avranlo). Manuscript.

Tbilisi.

**Narodi Kavkaza 1960:** *Narody Kavkaza* (Caucasian peoples), M. Kosven (ed.) 1, Moscow.

**Orjonikidze A. 1995:** Raboty Ddzavakhetskoi ekspeditsii na pamyatnikakh bronzovogo veka (Work of the Javakheti Expedition on Bronze Age sites). *PAI in 1987*, 80-81. Tbilisi.

**Piotrovski B. 1939:** *Urartu – drevneishee gosudarstvo* (Urartu – ancient state). Leningrad.

**Ramishvili A. 1987:** arke-ologiyuri kvleva- dzieba “zemo khashuris sartsqavi sistemis” msheneblobis zonashi 1984 da 1985 tslebshi (Archaeological research in the building zone of the “Zemo Khashuri Irrigation System” in 1984 and 1985). *Dzeglis megobari* 4, 31-35.

**Ramishvili A. 1999:** shubrinjaos khandis kevre sakartvelodan (A Middle Bronze Age threshing board from Georgia). *Dziebani* 3, 29-36.

**Sergeenko M. 1958:** *Ocherki po sel'skomu khozyaistvu drevnei Italii* (Essays on the agriculture of ancient Italy). Moscow-Leningrad.

**Sinauridze M. Giunashvili G. 1976:** kazretis gvianbrinjao-adrerkinis samarkhebi (The Kazreti Late Bronze-Early Iron Age burials). *SSMM* 32-B, 96-105.

**Sinauridze M. 1985:** *kazretis kheobis arkeologiyuri dzeglebi* (Archaeological Sites of the Kazreti Valley). Tbilisi.

**Uvarov A. 1903:** *Khristianskaya simvolika* (Christian symbolism) 1, Moscow.

**Vavilov N. 1932:** *Problema proiskhozhdeniya mirovogo zemledeliya* (Problem of the origins of world agriculture). Moscow-Leningrad.

**Wetzstein I.L. 1873:** Die Syrische Dreschtafel. *Zeitschrift für Ethnologie* 5, 270–302.

#### Illustrations:

Pl. I – 1. Topographic plan of Eli-Baba cemetery; 2. General plan of Eli-Baba cemetery.

Pl. II – 1. Burial No. 60 before opening; Burial No. 67 before opening; 3. Burial No. 17 before opening; 4. Burial No. 17 after opening.



Pl. III – 1. Burial No. 110 after opening; 2. Burial No. 92 after opening; 3. Burial No. 113 after opening; 4. Burial No. 60 after opening.

Pl. IV – 1. Burial No. 60. Plan; 2-4. Burial No. 17. Plans and sections.

Pl. V – 1. Burial No. 67. Plan and sections; 2. Burial No. 92. Plan and sections; 3. Burial No. 113. Plan and sections; 4. Burial No. 10. Plan and sections; 5. Burial No. 110. Plan and sections; 6. Burial No. 13. Plan and sections.

Pl. VI – 1-5, 7, 11. Burial No. 17, inventory; 6,9. Burial No. 113. Inventory; 8,10. Burial No. 92. Inventory; 12. Burial No. 110. Inventory.


Pl. VII – 1-10. Burial No. 17. Inventory; 11. Burial No. 67, inventory; 12, 15, 16, 18. Burial No. 92. Inventory; 13. Burial No. 110. Inventory; 17, 19. Burial No. 60. Inventory.








1



2



3



4



1



2




3




4


IV




1



2




1 - 1









3



2 - 2




0 20 40 60

4







## სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი

2004-2005 წლებში თეთრიწყაროს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ზ. შატბერაშვილი) ენერგოდერეფნის მე-80-ე კილომეტრზე შეისწავლა ნამოსახლარი [Шатберашвили, Николаишвили 2005; 186-187] და მისი სინქრონული სამაროვანი. იგი მდებარეობს თეთრიწყაროს ცენტრიდან სამხრეთით, 3 კმ-ში, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზიდან სამასიოდე მეტრში, ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სხალთას უწოდებს. ძეგლს აღმოსავლეთიდან უსახელო მშრალი ხევი ესაზღვრება.

სხალთის გარშემო, 5-6 კილომეტრის რადიუსში მდებარეობს მისი სინქრონული რამოდენიმე ძეგლი: გარისის გორის, აბელიასა და ეცოს სამაროვნები [ბოხორჩაძე 1963: 37-38; კვიციანიძე 1973: 39-48; ლომთათიძე 1989: 87-89; შატბერაშვილი 2005: 30-49]. სამხრეთით, 5 კილომეტრის დაშორებითაა სამშვილდის ციხე, რომელიც არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა წერილობითი წყაროებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ანტიკური ხანის ფენასაც შეიცავს; ამავე პერიოდის, ძალზე დაზიანებული ძეგლი გაითხარა ენერგოდერეფნის 77-ე კილომეტრზეც.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სხალთის კომპლექსური ძეგლი ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის კვლევისათვის მნიშვნელოვანი წყაროა. ეს თითქმის უნიკალური შემთხვევაა ისტორიულ ქვემო ქართლში, სადაც აქამდე არ იყო შესწავლილი ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნამოსახლარი (გამონაკლისია შავსაყდარა II-ის ნამოსახლარი, რომელიც გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენებითაა დაზიანებული და ცუდადაა შემონახული) და მისი სინქრონული სამაროვანი.

ნამოსახლარსა და სამაროვანზე გათხრები 1000 მ<sup>2</sup> ფართობზე ჩატარდა. გაირკვა, რომ ძეგლი 500 მ<sup>2</sup> ზე იყო კონცენტრირებული (ტაბ I<sub>1</sub>). ძეგლი ერთფენიანია, იგი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,5-1 მ-ის სიღრმეზე, თიხნარ დედაქანზე იყო გამართული. გამოვლინდა 6 ნაგებობის ნაშთი, 17 სამეურნეო ორმო და 60 სამარხი (აქედან 10 უინვენტარო), რომლებშიც აღმოჩნდა 413 არტეფაქტი: 236 თიხის ჭურჭელი, 134 ლითონის, 13 ქვის, 18 მინის, 3 ძვლისა და ერთი ხის ნივთი, აგრეთვე ქსოვილის ორი და ბათქაშის ერთი ნაშთი. ნაგებობებიდან გაითხარა მხოლოდ ხუთი. № 6 ნაგებობა მილსადენის დერეფნის გარეთ ვრცელდებოდა და ამიტომ მისი მხოლოდ დერეფანში შემავალი, სამხრეთი კუთხე გამოვლინდა.

ნამოსახლარი მდებარეობდა სამაროვნის გარშემო, მის აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამრეც ფერდობზე (ტაბ. I<sub>1</sub>). აქ აღმოჩნდა ქვატეხილებით ნაგები და თიხით შემტკიცებული, წაგრძელებულ-ოთხკუთხა ფორმის შენობები, რომლებსაც შესასვლელი სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰქონდა. მათი უკანა მხარე დედაქანში იყო ჩაჭრილი და ნახევრადმინურს წარმოადგენდა. შენობებს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა. ყველაზე კარგად № 3 სახლი იყო დაცული. გთავაზობთ მის სრულ აღწერილობას.

სახლი № 3 (ტაბ I<sub>2</sub>) ფერდზე გამართულ, ორსათავსიან საცხოვრებელ კომპლექსს წარმოადგენდა. შენობის უკანა, ჩრდილო მხარე, თიხნარში გაუჭრიათ, მისი ერთიანი, 10 მ-ის სიგრძის კედელი (შემორჩენილი სიმაღლე 1 მეტრამდე, სისქე – 0,5 მ) შედგებოდა თიხით შემტკიცებული, 4-5 რიგად და 2 მწკრივად დანყობილი ქვატეხილებისაგან. საცხოვრებელი კომპლექსის დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემორჩენილი კედლები 6 მ-ის სიგრძეზე ვრცელდებოდა, უფრო სამხრე-

თით კი დაზიანებული იყო. ნაგებობას ფასადი სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰქონდა მიმართული. საცხოვრებელ კომპლექსს ორ სათავსოდ ყოფდა ჩრდილო კედლიდან გამომავალი, მისი პერპენდიკულარული, მოზრდილი ქვატეხილებით, ორ რიგად და ორ მწკრივად ნაგები, 0,8 მ-ის სისქის ტიხარი (შემორჩენილი სიგრძე – 4,6 მ). ორივე სათავსოს თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდა.

სათავსო A საცხოვრებელი კომპლექსის დასავლეთ ნაწილში იყო გამართული (ზომები: 6x4,6 მ), მას ორ ნაწილად ყოფდა 0,3-0,4 მ-ის სისქე კედელი, რითაც იქმნებოდა მცირე ზომის (3,3x1,1 მ) სათავსო (საკუჭნაო?), რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონდა (ლიობის სიგანე 0,7 მ). A და B სათავსოების გამყოფ ტიხარზე, ჩრდილო კედლიდან 2,2 მ-ზე, აღმოჩნდა ბრტყელი ქვა — ბალიში, ასეთივე ქვა (ზომები 0,3x0,4 მ) იდო მისგან სამხრეთით, 2,9 მეტრის დაშორებით. სავარაუდოა, რომ ამ ქვებზე დაყრდნობილ ხის სვეტებზე გადიოდა თავზე, რომელზეც გარდვიგარდმო დალაგებულ ძელებზე გამართული უნდა ყოფილიყო თიხატკეპნილი, ბანური სახურავი.

A სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამართული იყო ქვატეხილებით ნაგები და ალიზით შელესილი პურის საცხოობი ღუმელი (ზომები: 0.9x0.65x0.4მ). საცხოობი განყოფილება (0.70x0.65მ) საცეცხლეზე (0.65x0.4მ) 0.10-0.15 მ-ით მაღლა მდებარეობდა, საცეცხლეს აღმოსავლეთ გვერდზე სანაცრე იყო მიდგმული (დაზიანებული, შემორჩენილი იყო ნაცრის სქელი ფენა). ღუმელს თაღოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა. მას აღმოსავლეთიდან ქვატეხილებით ნაგები და ალიზით გადალესილი თარო (1.70x0.4მ) ეკვროდა, რომელიც, შესაძლოა, ახლადგამომცხვარი პურის დასალაგებლად გამოიყენებოდა. ჩრდილოეთის კედლიდან 3,6 მ-ის დაშორებით აღმოჩნდა კედლებიდან ჩაცვენილი ქვებითა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით შევსებული პროდუქტების შესანახი ხარო (1,6x1,2 მ.).

სათავსო B საცხოვრებელი კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში იყო გამართული. მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა საცხოობი ღუმელი (ზომები: 1,2x0,8x0,41 მ) და თარო (1,2x0,8x0,4 მ). ფასადი შედარებით ცუდადაა შემონახული.

პურის საცხოობი ღუმელების ზედაპირზე ორ ფენად მოგებული თიხის ჭურჭლების ფრაგმენტები ალიზით იყო გადალესილი. როგორც ჩანს, კერამიკა სიმხურვალის შესანარჩუნებლად და პურის ცხოობის გასაუმჯობესებლად დაუგიათ. ამ კერამიკიდან აღდგა რამოდენიმე ჯამის, ქოცოს, ქოთნის ნაწილები, რომლებიც უმეტესწილად მოჩალისფრო-მოყავისფროდ იყო გამომწვარი.

№ 3 სახლის გარშემო გაითხარა სამეურნეო-სარიტუალო ორმოები, მათ მრგვალი ან ოვალური ზედაპირი, ძირისაკენ კი გაფართოებული ფორმა ჰქონდათ. ზედაპირის დიამეტრი 1,2-1,6 მ, სიღრმე კი 0,8-1 მეტრს შორის მერყეობდა. ორმოებში მოპოვებული კერამიკული მასალა ნამოსახლარის თიხის ჭურჭლის მსგავსი და მისი თანადროულია. ამგვარად, ისინი სახლის ფუნქციონირებისას უნდა გამოყენებულიყო.

მართალია № 5 სახლი (ტაბ I<sub>3</sub>) მშენებლობისას ძალიან დაზიანდა, მაგრამ მან რამდენიმე საინტერესო დეტალი შემოინახა. შენობის უკანა, ჩრდილოეთის კედელი თითქმის დაუზიანებელი დაგვხვდა (სიგრძე – 6 მ.), შემორჩა აღმოსავლეთის კედლის 5 მეტრიანი მონაკვეთი, ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კიდედან კი გამოვლინდა დასავლეთი კედლის მცირე, 0,6 მ-ის სიგრძის ნაშთი. კედლები ნაგები იყო ოთხ-ხუთ რიგად და ორ მწკრივად დაწყობილი ქვატეხილებით, მისი სისქე 0,8 მ, მაქსიმალური, შემორჩენილი სიმაღლე კი 1,2 მეტრი იყო. ნაგებობის თიხატკეპნილ იატაკზე აღმოჩნდა დანახშირებული ძელები (საშუალოდ 0.12-0.13 მ-ის სისქისა). იგი ბანური გადახურვის ნაშთებს წარმოადგენდა. ნაგებობის ცენტრში აღმოჩნდა ცენტრალური ბოძის საყრდენი ქვა (0.3x0.2მ). აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილზე მიშენებული იყო ქვატეხილებით ნაგები თარო (1.7x0.3x0.3 მ) მის ჩრდილოეთით კი პირჩამხობილი დერგი იდო. ამრიგად, ამ შენობაში დადასტურდა, რომ მისი გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო. შენობის იატაკზე მონითალო-მოყავისფროდ და მოყავისფრო-მორუხოდ გამომწვარი კერამიკის – ჯამის, ქოთნის, ხელადის, ქვევრის ფრაგმენტები, აგრეთვე ქვის სანაყი და რკინის მუჯირაა (კონუსური ფორმის შუბისპირი) მოპოვებული.



ნამოსახლარზე აღმოჩენილი საცხოვრებელი ნაგებობები აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მშენებლობის ტრადიციების გათვალისწინებით ჩანს ნაგები. სხალთის ნამოსახლარის მსგავსი ბანურსახურავიანი ნაგებობები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადერკინის ხანის ძეგლებზე (ძვ.წ. XIV-VI სს). ამ ტიპის სახლებისათვის დამახასიათებელია ინტერიერის მყარად ჩამოყალიბებული ელემენტები: პურის საცხობი ორგანყოფილებიანი ღუმელი [Апакидзе, Кипиანი, Николаишвили, Гиунашвили 2000: 25-26]. ეს ფაქტი ნინანტიკური და ანტიკური ხანის ძეგლების კავშირზე მეტყველებს და მნიშვნელოვან მასალებს გვანდის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობის კვლევისათვის [Шатберაშვილი, Николаишვილი 2005: 186-187].

ნამოსახლარზე დადასტურდა 167 ერთეული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი ( ქვევრი, ქოცო, ბადია, ჯამი, ფიალა, ხელადა). ყველაზე მეტი თიხის ჭურჭელი არმოჩნდა №№ 3 და 5 სახლებში. № 4 ორმოში აღმოჩენილმა კერამიკამ (ტაბ. IV<sub>19-26</sub>) კიდევ ერთხელ დაადასტურა ნასახლარისა და სამაროვნის თანადროულობა.

ნამოსახლარის თანადროული სამაროვანი (ტაბ. II) 150 მ<sup>2</sup> ფართობზე გამოვლინდა, იგი ჩრდილოეთით, გაუთხრელ ტერიტორიაზეც ვრცელდება. მჭიდროდ განლაგებული სამარხები 10-15 მეტრის სიგრძეზე, ერთ რიგში, ერთმანეთის მიყოლებით გაუმართავთ. სამარხების აბსოლუტური უმრავლესობა მართკუთხა ფორმის, ბაზალტის უხეშად დამუშავებული 5-6 ფილისაგან შედგენილი ქვასამარხი იყო (ზომები 1X1,4მ და 0,6X0,9მ-ს შორის მერყეობს), 5 სამარხი კი (№№ 14, 27, 40, 52 და 58) – ფილაქვებით გადახურული, ოვალური მოყვანილობის ორმოსამარხი. სამარხებში თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თითო მიცვალებული იყო დაკრძალული. გამონაკლის წარმოადგენდა № 52 სამარხი, სადაც მიცვალებული თავით აღმოსავლეთით დაუკრძალავთ.

პალეოანთროპოლოგიური კვლევის მონაცემებით სხალთის სამაროვანზე დაკრძალულთა 46,7% მამაკაცია, 29,8% დედაკაცი და 23,4% ბავშვი. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებში 44,4 წელია, ქალებში – 39,7 წელი. მამაკაცების საშუალო სიმაღლე 167,2 სმ, ქალებისა – 157,9 სმ. სხალთის მოსახლეობის სხეულის სიმაღლე საშუალოზე მაღალ კატეგორიაში ხვდება [კილაძე 2007].

სამაროვანზე, ისევე როგორც ნამოსახლარზე, ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი (ტაბ. V). სულ გამოვლინდა თიხის 75 ჭურჭელი: სამტურა ხელადა – 8 ც., დოქი – 12 ც., ქოთანი – 10 ც., კოჭობი – 13 ც., ფიალა – 3 ც, ჯამი – 2 ც. მიკვლეულია რკინის იარაღიც (ტაბ. VI<sub>1-10</sub>) – რომელთა შორის გამოიყოფა როგორც სამეურნეო (1 ეჩო და 15 დანა), ისე საბრძოლო დანიშნულების (4 შუბისპირი და 3 ცული) ნივთები.

მრავალფეროვანია სამარხებში მოპოვებული ლითონის სამკაული (ტაბ. VI<sub>11-32</sub>): რკინისა და ბრინჯაოს ბეჭდები; ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები; რკინის ხატისუღელი; ვერცხლისა და ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები; რკინისა და ბრინჯაოს რგოლები; ბრინჯაოს ზარაკები; ბრინჯაოს ძეწკვებზე ასხმული რკინისა და ბრინჯაოს საკინძები; ბრინჯაოს გარსაკრავები; ვერცხლის საკიდები; სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები. სამარხებში გვხვდება პირსაფარეშო ნივთებიც: ძვლისა და ბრინჯაოს ილარები (რომლებიც ყურის გასაწმენდად გამოიყენებოდა), ხის სავარცხელი, ხის სანელსაცხებლე ჭურჭელი.

ქვემოთ განვიხილავთ სამაროვანზე აღმოჩენილ რამოდენიმე კომპლექსსა და ცალკეულ ნივთებს.

**სამარხი № 1.** წრიულპირიანი დოქი № 1 სამარხიდან (ტაბ. III<sub>1</sub>) გარკვეულწილად ემსგავსება წრიულპირიან, მსხლისებური ფორმის დოქებს, რომელთა გავრცელებაც ძვ.წ. IV და IV-III საუკუნეების მიჯნისათვისაა ნავარაუდები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ გახლავთ ამ ჯგუფის ტიპური ნიმუში, მისი მხრები შედარებით გამობერილია და მუცლის ფორმით უფრო სფერულისაგან იხრება. ამდაგვარი ჭურჭელი მოპოვებულია დაჭრილების სამაროვანზე [ნაკაიძე 1986: 20] და ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება [Нариманишвили 1991: 30]. სამარხში მოპოვე-

ბული რკინის ბურთულეროიანი სამაჯურები (ტაბ. III<sub>2-4,6,7</sub>) რკალის ფორმის მიხედვით ოვალურია. ნ. გოგიბერიძის აზრით ასეთი, ოვალური ან მრგვალრკალიანი სამაჯურები ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრითა და ამავე საუკუნის შუახანებით თარიღდება [Гогіберидзе 2003: 66-67]. რაც შეეხება ზურგშეზნექილ, ბოლოებზემსხვილებულ სამაჯურებს (ტაბ. III<sub>5</sub>), ისინი ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს გავრცელებული და შესაძლოა ძვ.წ. III საუკუნეშიაც განაგრძობდეს არსებობას [Гогіберидзе 2003: 66-67]. ამავე კომპლექსში მოპოვებულია ბეჭედი, რომელზედაც მზის გამოსახულებაა ამოკვეთილი. მნათობის გამოსახულებას ნერტილოვანი ჩარჩო შემოუყვება (ტაბ. III<sub>17</sub>). ასეთივე გამოსახულებაა ეცოს სამაროვნის № 91 სამარხის [რამიშვილი, შატბერაშვილი 1997: 21-22], პაპიგორას № 49 სამარხისა [მარგიშვილი 1992: 42] და ნერონ დერესის № 3 სამარხების ბეჭედზეც [ლორთქიფანიძე: 1969; სურ. 54]. პაპიგორადან და ეცოდან მომდინარე ბეჭედები კომპლექსის მიხედვით ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება, ნერონ დერესისა კი ძვ.წ. I საუკუნით. ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, რომლებსაც ბრინჯაოს ძეწკვი აქვს შებმული (ტაბ. III<sub>11,12</sub>) ქვემო ქართლის ძვ.წ. IV და III საუკუნეების კომპლექსებისათვის დამახასიათებელი ელემენტია. ისინი ჩანს წინარე ანტიკურ ხანაშიც. სხალთის № 1 სამარხის რკინის საკინძს ყელი რელიეფური ზოლით აქვს შემკული, რითაც აბელიაში, კარიაკსა [გაგომიძე 1982: 6, ტაბ. X<sub>1</sub>] და შავსაყდარაზე [Тушишвили, Маргишვილი 1991: 36, ტაბ. 80<sub>25</sub>] აღმოჩენილი ნივთების მსგავსია. ბრინჯაოს ძეწკვები, რომლებიც გამოიყენებოდა საკინძების, ილარებისა და სხვა წვრილი ნივთების შესაბამელად ასევე დამახასიათებელი ელემენტია, ისინი დამზადებულია მრგვალ ან ბრტყელგანივკვეთიანი მავთულისაგან და არაფრით გამოირჩევიან ქვემო ქართლში - ბეშთაშენში, კიკეთში, ახალსოფელში აღმოჩენილი ასეთივე ნივთებისაგან [დავლიანიძე 1983: 86]. ძვლის ილარი (ტაბ. III<sub>15</sub>), რომელიც წვერისაკენ შევიწროვებულია და მინიატურული კოვზით ბოლოვდება, თავთან გახვრეტილია. ძვლის ილარები ძალიან იშვიათია და რამდენადაც ჩვენ ვიცით, მხოლოდ ეცოს სამაროვანზე, ძვ.წ. III საუკუნით დათარიღებულ, № 80 სამარხში გვხვდება [შატბერაშვილი 2005: 80]. სხვა ძეგლებზე ილარები ბრინჯაოსია. ეს საპირფარეშო ნივთი გავრცელებულია როგორც წინაანტიკურ, ისე შემდგომ ხანებში. ბრინჯაოსაგან დამზადებული ილარები სხვადასხვა ტიპისაა: გვხვდება ფრინველის ან ცხოველის გამოსახულებებით შემკული ილარები. № 1 სამარხში მოპოვებული მინის მძივები (ტაბ. III<sub>14</sub>) სხვადასხვა ფერისა და ფორმისაა - ცილინდრული, ბორბლისებური, კასრისებური, რომბული. აქვეა ე.წ. თვალედი მძივებიც, რომელთა სამშობლოდ ეგვიპტეა მიჩნეული [იხ. დავლიანიძე 1983: 92]. ასეთი მძივები ფინიკიაშიც მზადდებოდა [Крупнов, 1960: 352]. ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩრდილო შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებში, სადაც ელინისტურ ხანაში ჩნდებიან და არსებობას ახ.წ. პირველ საუკუნეებშიც აგრძელებს [Алексеева, 1975: 11]. ჩვენში ისინი ძვ.წ. VI ს-იდან ჩნდება და არსებობას ადრეშუასაუკუნეებშიაც განაგრძობს [დავლიანიძე 1983: 99, 153; კვიციანიძე 1975: 28, 30, 44, 45]. სამარხში მოპოვებული ვერცხლის ფირფიტოვანი, რომბული, ყუნწიანი საკიდების (ტაბ. III<sub>9</sub>) მსგავსი ნივთები ძვ.წ. III საუკუნით დათარიღებულ სამადლოს მდიდრულ სამარხშია გამოვლენილი [Гагошидзе 1979: 72-76]. აღსანიშნავია ხის ორი ნივთი: მცირე ზომის სავარცხელი (ტაბ. III<sub>16</sub>) და სანელსაცხებლეს ფრაგმენტი (ტაბ. III<sub>13</sub>); ასეთი ნივთები საქართველოში ცნობილი არ არის. რაც შეეხება სავარცხელს, იგი, როგორც უკვე ითქვა, ძალზე მცირე ზომისაა და ამ ნივთით თმის დავარცხნა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. სხალთის № 1 სამარხი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

**№ 10 სამარხიდან** დამათარიღებელი მნიშვნელობა აქვს ორ მსხლისებურტანიან, წრიულპირიან ხელადას (ტაბ III<sub>18,19</sub>). მათი ასაკის დადგენისას უპირველეს ყოვლისა, სარგებლობენ ვანის № 9 სამარხის კომპლექსით, რომელიც სხვა მასალასთან ერთად ამდაგვარ დოქსაც შეიცავს და ფილიპე II-ის სტატერით, შავლაკიანი კანთაროსითა და სინოპურ ამფორაზე შემორჩენილ დამლაზე დაყრდნობით, იგი ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება [ლორთქიფანიძე და სხვ. 1972: 203-21]. ასეთივე დოქის შემცველია ვანის № 10 სამარხიც, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულით თარიღდება [თოლორდავა 1986: 89-91]. ვარსიმანთკარის № 175 სამარხის კომპლექსი მოხატულ, წრიულპირიან, მსხლისებურ დოქთან ერთად არქაული ტიპის ილარებს

შეიცავს [Рамишвили и др. 1987: 81, табл. CXLII]. ასეთივე სურათია კუშჩის № 3 სამარხში, სადაც სამკუთხედებით მოხატულ, წრიულპირიან, ფართო პირყელიან მსხლისებურ დოქებთან ერთად ასევე არქაული ტიპის, კერძოდ ძვ.წ. V-IV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სანელსაცხებ-  
 ლეა აღმოჩენილი [გაგოშიძე 1982: 51-52, ტაბ. VI-III]. კუშჩის სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის შუახან-  
 ნებითაა დათარიღებული [გაგოშიძე 1982: 50]. ამავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს ვარსიმაანთკარის  
 სამარხიც. მსხლისებური, წრიულპირიანი დოქები, როგორც ჩანს, ძვ.წ. III საუკუნეშიაც, კერძოდ  
 მის დასაწყისშიაც უნდა აგრძელებდეს არსებობას, რაზედაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ეცოს  
 სამაროვნის № 18 სამარხში ამ ტიპის დოქებთან ერთად აღმოჩენილია ძვ.წ. III საუკუნისათვის და-  
 მახასიათებელი თავისუფალსაკიდიანი საყურე [შატბერაშვილი 2005: 46]. ამგვარად, მსხლისებუ-  
 რი, წრიულპირიანი დოქები გავრცელებულია ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებიდან ძვ.წ. III საუკუნის  
 დასაწყისის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის პირგადაშლილი, წრიულპირიანი დოქები  
 ძვ.წ. I საუკუნეშიაც გვხვდება, თუმცა მათი პირი მკვეთრად განსხვავდება ადრეული ჭურჭლის  
 პირებისაგან [Нариманишвили 1991: 37]. კომპლექსის აღნიშნული პერიოდით დათარიღებას არც  
 სხვა ნივთები: რუხი ფერის ყურიანი კოჭობი (ტაბ. III<sub>20</sub>), პირგადაშლილი, ბიკონუსურტანიანი ფი-  
 ალა (ტაბ. III<sub>21</sub>), რკინის სადა, ოვალურრკალიანი (ტაბ. III<sub>23</sub>) და ბურთულებიანი სამაჯურები (ტაბ.  
 III<sub>24,26,28</sub>); ბრინჯაოს მარტივი რგოლი და რკინის დანა (ტაბ. III<sub>22</sub>) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ამ-  
 გვარად № 10 სამარხი ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებით ან IV-III საუკუნეების მიჯნით თარიღდება.  
 ჩვენი აზრით, ასევე თარიღდება მსხლისებური, წრიულპირიანი დოქებისა და ხელადების შემცვე-  
 ლილ №№ 7 და 17 სამარხებიც.

**სამარხი № 18** აღსანიშნავია იმით, რომ მასში რკინის ცულია მოპოვებული (ტაბ. III<sub>32</sub>). მას  
 ოვალური სატარე ხვრელი, ჩაქუჩისებური ოთხნახნაგა ყუა და ოვალური პირი აქვს. ასეთივე ორი  
 ცული ამავე სამაროვნის დაზიანებული სამარხებიდანაცაა მოპოვებული. ცულებს ფორმით უახ-  
 ლოვდება რველის ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღებული კომპლექსიდან მომდინარე ცული  
 [ლამბაშიძე 1973: 62 ტაბ. II<sub>7</sub>], ბეშთაშენისა და მანგლისის ძვ.წ. V ს-ის ცულები [დავლიანიძე 1983:  
 50-51 ტაბ. VII<sub>17,23</sub>], ასევე IV-III საუკუნის ძეგლებზე: გომარეთში [დავლიანიძე 1983: 139 ტაბ. XVI<sub>6</sub>],  
 ასურეთში [კვიციანიძე 1975: ტაბ. XXII<sub>3</sub>], სანთაში [გაგოშიძე 1982: 45 ტაბ. V], ეცოზე [შატბერაშვი-  
 ლი 2005: 65-66] მოპოვებული ამავე ტიპის იარაღი. № 18 სამარხში აღმოჩენილი სამტურაპირიანი  
 დოქი, რომელიც ტანის ფორმით მსხლისებურსა და ოვალურს შორის დგას (ტაბ. III<sub>29</sub>), სამარხის  
 თარიღს ძვ.წ. IV საუკუნით განსაზღვრავს. აქვეა მოპოვებული უყურო კოჭობი (ტაბ. III<sub>30</sub>) და რკი-  
 ნის დანა (ტაბ. III<sub>31</sub>).

**სამარხი № 22**-ის კომპლექსი შეიცავს მონითალოდ გამომწვარ, ბიკონუსურ, სამტურაპირიან  
 დოქს (ტაბ. III<sub>38</sub>), რომლის მსგავსი ჭურჭელი აბელიაში [კვიციანიძე 1975; ტაბ. XIII<sub>7</sub>] ეცოსა [შატბე-  
 რაშვილი 2005; 34 ტაბ. XXVI] და კამარახევშია [ჯღარკავა 1983: 170, სურ. 1278] აღმოჩენილი და  
 ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება. პირგადაშლილი, ბიკონუსურტანიანი ჯამის (ტაბ. III<sub>37</sub>) ანა-  
 ლოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე: მუხათ-  
 გვერდში [Нариманишвили 1991: 154 სურ. 906-907], ეცოსა [შატბერაშვილი 2005: 35 ტაბ. XXVIII<sub>7</sub>]  
 და კამარახევში [ჯღარკავა 1983: 159, სურ. 1129]. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება სფეროსებური  
 კოჭობი (ტაბ. III<sub>36</sub>) და რკინის სადაღეროიანი სამაჯურები (ტაბ. III<sub>34,35</sub>). ამგვარად, № 22 სამარხის  
 თარიღი ზოგადად IV-III საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს.

**სამარხი № 25.** აქ მოპოვებული ჩაიდნისებურმილიანი დოქი სამაროვანზე ერთადერთია  
 (ტაბ. III<sub>39</sub>). იგი აღმოჩნდა რკინის სადა ღეროიან სამაჯურებთან, ბრინჯაოს მცირე ზომის სასა-  
 ფეთქლე რგოლებთან, მინის ბიკონუსურ მძივებთან და ბრინჯაოს ბეჭედთან, რომლის ფარაკი  
 დახვეული მავთულითაა შექმნილი (ტაბ. III<sub>40-45</sub>). ჩაიდნისებურმილიანი დოქი, როგორც ჩანს, რი-  
 ტუალური დანიშნულებისა უნდა იყოს და საქართველოში მხოლოდ ძვ.წ. V-IV საუკუნეების ძეგ-  
 ლებზე გვხვდება [Нариманишвили 1991: 58]. მისი წარმოშობა ირანულ სამყაროს უკავშირდება და  
 ზოგი მოსაზრებით ლურისტანის ლითონის ჭურჭლის მიბაძვით ჩანს დამზადებული [Погребова  
 1977: 99]. საქართველოში იგი ძვ.წ. V-IV საუკუნეებიდან ვრცელდება. ამგვარად, შესაძლოა, რომ

ეს სამარხი სამაროვანზე ყველაზე ადრეული იყოს. აღსანიშნავია, რომ იგი სხვა სამარხებისაგან განსხვავებით უფრო ღრმად აღმოჩნდა და შეკრული იყო არა ბაზალტის, არამედ თეთრი ქვიშაქვის კარგად დამუშავებული ფილებით. ძალიან ძნელია მისი ზუსტი თარიღის თქმა, მაგრამ, სავარაუდოდ იგი V საუკუნის ბოლოხანებით, ან IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

**№ 26 სამარხში** მოპოვებულია მსხლისებურტანიანი, სამტურჩაპირიანი დოქი (ტაბ. III<sub>46</sub>), რომლის პარალელები აღმოჩენილია ღრმახევისთავის, კამარახევის, ასურეთის, შავსაყდარას, კოთიმის (ცხრაძმის), ეცოს სამაროვნებზე [აბრამიშვილი და სხვ. 1980: 186 სურ. 185-497; ჯღარკავა 1983: 170, 177, სურ. 1286, 1359; კვიციანიძე 1975: 23-24, ტაბ. XXII<sub>2,5,10</sub>; ტაბ. XXIX<sub>7</sub>; შატბერაშვილი 2005: 32 ტაბ. XV<sub>1,2</sub>]. მათი წარმოშობის თარიღი ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს, თუმცა ისინი უფრო გვიანაც, კერძოდ IV საუკუნის მეორე ნახევარშიაც განაგრძობენ არსებობას. ამ თარიღს სამარხში მოპოვებული არც ერთი ნივთი არ ეწინააღმდეგება (იხ. ტაბ. III<sub>47, 50</sub>).

- Tolordava V. 1983:** *dakrdzalvis tsesebi elinisturi khanis sakartveloshi (Burial Practices in Hellenistic Georgia)*. Tbilisi.
- Tushishvili N., Margishvili S. 1991:** *Expeditisia Algetskogo ushchel'ya (The Algeti Valley Expedition)*. *PAI in 1986*, 34-40. Tbilisi.


#### Illustrations:

- Pl. I – Skhalta, general plan: 1. House No. 3, plan and section; 2. House No. 5, plan and section
- Pl. II – 1. Cemetery, plan and section; 2. Burials Nos 50, 29 and 13, plan and sections
- Pl. III – 1-17. Inventory of Burial No. 1; 18-28. Inventory of Burial No. 10; 29-32. Inventory of Burial No. 18; 33-38. Inventory of Burial No. 22; 39-45. Inventory of Burial No. 25; 46-50. Inventory of Burial No. 26
- Pl. IV – 1-8. Inventory of Burial No. 43; 9-17. Inventory of Burial No. 48; 18. Pit No. 4, plan and section; 19-26. Pottery from Pit No. 4
- Pl. V – Pottery from the cemetery
- Pl. VI – Iron weapons and jewellery from the cemetery and the settlement






2





3









1




1 - 1










2




№ 43




№ 48



V





## ჭორატის ნამოსახლარი

ჭორატის ნამოსახლარი მდებარეობს ახალციხის რ-ნში, ქალაქ ვალეს სიახლოვეს, ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ სამეურნეო-სახნავ ფართობზე.

ჭორატის ნამოსახლარი განფენილია მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირის მაღალ (სიმაღლე 70-100 მ) ტერასაზე. ტერასას უკავია დაახლოებით 10 ჰა ფართობი. ტერასა ფაქტიურად ვაკეა, მცირედი (10-12°) დაფერდებით სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ტერასა მკვეთრად გამოყოფილია გარემოდან ორი მხრიდან (ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით). დასავლეთით იგი გრძელდება დაახლოებით 3 კმ. მანძილზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ნასახლარიდან დასავლეთით 100-150 მ მანძილზე შეინიშნებოდა მდ. ფოცხოვისკენ დაშვებული პატარა ღელე. როგორც ჩანს, სწორედ მისი მეშვეობით ხდებოდა საკვლევი ტერიტორიის მორწყვა.

ნამოსახლარის ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა „საურმე სერს“ უწოდებს. ტოპონიმი მიგვითითებს აღნიშნულ ტერიტორიაზე სამიმოსვლო არტერიას ძველი გზის მონაკვეთზე. სწორედ ვალე-ჭორატზე გადის ტრასა მდ. ფოცხოვის ხეობიდან მდ. ქვაბლიანის ხეობის გავლით (უდე-არალი) ზეკარის უღელტეხილით აჭარამდე, ე.ი. ზღვისპირეთამდე. ამასთანავე სწორედ იმ გზით შეიძლება მოხვედრა მდ. ხანისწყლის ხეობაში და შემდგომ რიონის ხეობით მთიან რეგიონებში და შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიაში. ე.ი. ეს მონაკვეთი უნდა იყოს ისტორიულად არსებული ჩრდილო-სამხრეთის სატრანზიტო გზის ნაწილი. ამასთანავე, სწორედ აქ გადის უმოკლესი გზა აღმოსავლეთის დამაკავშირებელ მტკვარ-რიონის მაგისტრალზე. ამდენად ტოპონიმი „საურმე სერი“ ამ ისტორიული რეალობის ამსახველი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ტოპონიმი „ჭორატი“ უნდა იყოს მოგვიანებით წარმოქმნილი. მას არ იცნობს არც „ქართლის ცხოვრება“ და, რაც მთავარია, არც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელშიც დეტალურად არის მოცემული სამცხის დასახელებათა ტოპონომიკა და მოსახლეობის რაოდენობა.

ჭორატის ტერასა ძირითადად მოყავისფრო თიხნარითაა წარმოდგენილი. მის ქვეშ განფენილია ღია მოყვითალო, ქვიშანარევი, ქვარგვალეების შემცველი შეცემენტებული გრუნტული ფენა, რომელიც ჩაჭრილია სამეურნეო ორმოებითა და სამარხებით. ფენის ზედა პორიზონტი შეიცავს ძველი ქვის ხანის ნაშთებსაც.

ჭორატის ნამოსახლარი მოექცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის ზოლში. ტრასის გაჭრისა და ზედაპირის ნიველირების დროს თავი იჩინა კულტურულმა ნაშთებმა. საძიებო კვლევითი სამუშაოები წარმოებდა 2004 და 2005 წწ-ში. პირველ წელს შესწავლილი იქნა ნავთობსადენის ტრასა, ხოლო მეორე წელს გაზსადენის მონაკვეთი.

ქალაქ ვალეს შემოგარენში არქეოლოგიური ძეგლები ექსპედიციის მუშაობის დაწყებამდე, ფაქტობრივად, უცნობი იყო. სადღეისოდ აქ სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ძეგლი იქნა გამოვლენილი.

1. ნასახლარის ჩრდილოეთით და სამხრეთით უშუალოდ მიმდებარე სამეურნეო სავარგულებში ნაპოვნია ანდეზიტ-ბაზალტის და ობსიდიანის ხელცულები, საფხეკები, სახოკები, სახვრეტები, რაც აქ, დაახლოებით 700x200 მმ ფართობზე ქვედა პალეოლითის აშელ-მუსტიეს მძლავრი ღია სადგომის არსებობას გვაგარაუდებინებს. სადგომის ზედა ჰორიზონტი დაზიანებულია. ანა-

ლოგიური ძეგლები ცნობილია ჯავახეთის პლატოზე (ახალქალაქი), ენგურის და რიონის ხეობებში, აფხაზეთში და ქვემო ქართლში.

2. ჭორატის ტერასის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჭრილში შეინიშნება 1-1,2 მ მოშავო-მონაცრისფრო ფენა, რომელშიც გამოვლენილია მარცვლოვანი, ხრემნარევი თიხისაგან დამზადებული კერამიკის ფრაგმენტები. მონაპოვარი ტიპურია ე.წ. ადრესამინათმოქმედო კულტურისთვის (ენეოლითი), რომელიც გავრცელებულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და ანატოლიის ჩრდილო აღმოსავლეთ რეგიონების ტერიტორიაზე. შესაძლოა, სწორედ მასთან იყო დაკავშირებული ამ პერიოდის მძლავრი ნამოსახლარ ფენაში აღმოჩენილი ვერტიკალური ოვალური შვერილებით შემკული მოზრდილი ჭურჭელი.

3. ჭორატის ნასახლარის ჩრდილოეთით, 250 მ გზის ჭრილში შეინიშნება გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვნის კვალი, შეგროვილი მცირერიცხოვანი კერამიკა ტიპურია სამცხის სამაროვნებისათვის (ბორნიღლე, ზველი).

4. ნამოსახლარის ირგვლივ, დაახლოებით 200-500 მ მანძილზე შეინიშნება ადრე შუასაუკუნეების ხანის ნაგებობათა ნაშთები და კერამიკა. იგი, გათხრილ მონაკვეთთან ერთად, საკმაოდ მოზრდილ, ერთიან სამოსახლოს არსებობას გვაფიქრებინებს.

5. ნამოსახლარის სიძლავრის მანიშნებელი უნდა იყოს ვალეს წმინდა ნიკოლოზის სახელობის დარბაზული ეკლესია, რომელიც აშენებულია XI ს-ში და XVII-ს ჩათვლით ფუნქციონირებდა. იგი რამდენიმე გზის არის გადაკეთებული [ბოჭორიძე 1991: 58]. უკანასკნელ პერიოდში მისი ფუნქცია აღდგენილია.

ჭორატის ნასახლარი გაითხარა 220×8მ<sup>2</sup> ფართობზე. არქეოლოგიური ნაშთების კონცენტრაცია შეინიშნებოდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც შედარებით უკეთ იყო დაცული (სურ. 1).

გამოვლინდა რამდენიმე სათავსო.

სათავსო № 1 მდებარეობს A<sub>22-23</sub> და B<sub>22-23</sub> კვადრატებში. დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ტაბ. I). სათავსო ნაგებობა ორ-განყოფილებიანია. საცხოვრებელ ოთახს ჩრდილოეთიდან მიდგმული აქვს მართკუთხა დერეფანი. შემორჩენილი კედლის სიგრძე 6 მ, ხოლო სიგანე 1 მ-ია. ნაგებობის ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულია ქვის ბალიშები, რომლებზედაც სახურავის დამჭერი ბოძები იდგა. კედლები ნაგებია რიყის ქვის ცალპირა თევზიფხური ნყობით. მიწის ზედაპირიდან სათავსო იატაკი 0,8 მ-ის სიღრმეზე დაფიქსირდა. სათავსო სავსე იყო ნაცარ-ნახშირით, ხის ძელების ნაშთით, ცხოველთა ძვლებით და ნივთიერი კულტურის მასალით: რკინის სამი ნივთი, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატკეცები.

სათავსო № 2 მდებარეობს A<sub>19-20</sub> და B<sub>19-20</sub> კვადრატებში. ნაგებობის შემორჩენილ ნაწილს ტრაპეციის ფორმა აქვს. სამხრეთის კედლის სიგრძე 4,6 მ-ია და აღმოსავლეთის კედელი 3,2 მ. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. შენობას დასავლეთიდან ებჯინება წრიული მოყვანილობის ქვის ყრილი, რომელშიც მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა. № 2 სათავსოში ორი სამშენებლო დონე დაფიქსირდა. ქვედა ნაგებობა მართკუთხაა, ზომა - 5,3×3,4 მ.


სათავსო № 3 მდებარეობს მე-17-18 კვადრატებში. მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე. სათავსოს ნაშთი შედგება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი ქვის კედლის ნყობით, რომლის სიგრძე 3,6-მ-ია. კედელი ორმაგი ნყობით არის ნაგები თიხის ხსნარზე. სათავსოს აქვს თიხატკეპნილი იატაკი.

სავარაუდოდ ეს სათავსოც ორ განყოფილებიანი უნდა ყოფილიყო.

სამივე სათავსოში მოპოვებული იქნა საყურადღებო არქეოლოგიური მასალა: სხვადასხვა სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის 7 დანის პირის ფრაგმენტი. ვერცხლის ჯვრისებური ნივთი, ბრინჯაოს ორი ნივთი პირადი მოხმარებისათვის, ქვის, კაჟის და ბაზალტის იარაღ-ანატკეცები, ირმის ორტოტა რქის ძირი, ტახის ეშვები და სხვა.



**CHORATI  
IV - 261**



**სურ. 1. სათავსოებისა და სამეურნეო ორმოების განლაგების სიტუაციური გეგმა**

ორმოები (სულ 21) განლაგებულია ენერგოდერეფნის მთელ ფართობზე. ორმოები ჩაჭრილია რიყის ქვის, ყვითელი თიხის და თაბაშიროვანი ნიადაგის მიერ შექმნილ კონგლომერატში. ორმოები თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0.40x0.50 მ სიღრმეზე იწყება.

ორმო № 1 მდებარეობს 24-ე კვადრატში, იგი თითქმის წრიული ფორმისაა, დიდი ზომის (2x1,8 მ), დამხრობილი სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სიღრმე 1,2 მ. ორმოს ფსკერზე ჩაშვებული სამარხი აღმოჩნდა, შევსებაში კი საქონლის ძვლები, სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები და ქვები.

ორმო № 2 მდებარეობს 26-ე კვადრატში, წრიული ფორმისაა. დიამეტრი 0,90 მ, სიღრმე 1,20 მ. ორმო ცილინდრულია, სწორი კედლებით, არქეოლოგიური მასალა შედარებით მცირე იყო.

ორმო № 3 26-ე კვადრატის ჩრდილო კუთხეში წრიული ფორმისაა. დიამეტრი 0,68 მ, სიღრმე 1,75 მ. ორმო ცილინდრულია, სწორი კედლებით. აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები, ცხოველის ძვლები, ბაზალტის ანატაკეცები.

ორმო № 4 მდებარეობს 27-ე კვადრატის სამხრეთ კუთხეში, ზემოდან წრიული ფორმისაა. დიამეტრი 1,40 მ. ორმო ქვევით ფართოვდება. სიღრმე – 1.40 მ. აღმოჩნდა ნაცარ-ნახშიროვანი ნიადაგის ფენა, სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები და ცხოველის ძვლები.

ორმო № 5 მდებარეობს A<sub>27-28</sub> კვადრატების ზღვარზე. წრიული ფორმისაა. დიამეტრი 1,40 მ, სიღრმე 0,90 მ. ცილინდრული ფორმის გვერდები შელესილი აქვს. ორმოს ფსკერზე ბრტყელი გათლილი ქვის ფილა იდო, აღმოჩენილი დიდი ზომის სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტების მიხედვით ორმო, შესაძლოა, სამეურნეო დანიშნულების ყოფილიყო.

ორმო № 6 მდებარეობს 28-29-ე კვადრატების საზღვარზე. ზემოდან ოვალური ფორმისაა. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ზომები: 1,50x1,20 მ. ორმო კონუსურია, ქვევით შევიწროვებული, სიღრმე 1,60 მ. ნაცარ-ნახშიროვან შევსებაში აღმოჩნდა სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები, ცხოველის ძვლების და ქვის ნატეხები. 1,50 მ. სიღრმეზე აშელური ჩოპერის ტიპის ბაზალტის და ობსიდიანის იარაღი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ისინი მოხვედრილია ორმოში გრუნტული კონგლომერატის ჩაჭრის დროს.

ორმო № 7 მდებარეობს 28-ე კვადრატში. მსხლისებური მოყვანილობისა. ზედაპირი წრიული აქვს, დიამეტრი 0,80 მ. ფართო ნაწილში დიამეტრი უდრის 1,10 მ, სიღრმე 1 მ-ია. ფსკერზე 0,50 მ სიგრძის ბრტყელი გათლილი ფილა დევს. იქ აღმოჩენილი სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრაგმენტები გვაფიქრებინებს, რომ ორმო სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო.

ორმო № 8 მდებარეობს A<sub>30</sub> კვადრატში. ზედაპირი წრიული აქვს, დიამეტრი 1,30 მ. შევსებაში აღმოჩნდა ცხოველთა ძვლები და სხვადასხვა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის ერთი ნითლად შეღებილი კანელურებიანი.

ორმო № 9 მდებარეობს 30-ე კვადრატის შუა ნაწილში. ორმო ნაგრძელებული ფორმისაა, სიგრძე 1,60 მ. დიამეტრი 1.30 მ. სიღრმე 0,50 მ. აღმოჩნდა დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის სა-

მეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის ერთი ტანდასვრეტილი (საწური), ასევე განტოტვილი ირმის რქის ძირი.

ორმო № 10 მდებარეობს  $A_{30}-B_{30}$  კვადრატების საზღვარზე. ზემოდან წრიული ფორმისაა. დიამეტრი 0,80 სმ. უინვენტაროა.

ორმო № 11 მდებარეობს  $A_{31}$  კვადრატის კუთხეში, ზემოდან წრიული ფორმის, დიამეტრი 0,90 სმ. ორმო ცილინდრულია, სწორი კედლებით. აღმოჩნდა ბაზალტის ანატაკეცები, საქონლის ძვლები და ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები.

ორმო № 12 მდებარეობს 25-ე კვადრატში, ზემოდან წრიული ფორმის, დიამეტრი 0,35 მ. სიღრმე 1 მ. დაზიანებულია.

ორმო № 13 მდებარეობს 19-ე კვადრატში, ზემოდან წრიული ფორმის, პირის დიამეტრი 0,80 მ, ფორმა ცილინდრული. აღმოჩნდა სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები, რკინის სამი დანის პირი და უფორმო ქვის ნატეხები.

ორმო № 14 მდებარეობს 28-29-ე კვადრატების საზღვარზე, ზემოდან წრიულია, პირის დიამეტრი 0,85 მ. ფორმა ცილინდრული, იატაკი მოტკეპნილი. აღმოჩნდა სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები და საქონლის ძვლები.

ორმი № 15 მდებარეობს  $A_{22}$  კვადრატში. პირის დიამეტრი 1,70 მ, სიღრმე 1,20 მ. ორმო ფსკერისკენ გაფართოვებულია. ძირის დიამეტრი 2,10 მ. ფსკერზე აღმოჩნდა ტუფის გათლილი ბრტყელი სწორკუთხა ფილები, რომლებიც, როგორც ჩანს, კედლების მოსაპირკეთებლად იყო გამოყენებული.

ორმო № 16 მდებარეობს 24-ე კვადრატში. მომრგვალებული ფორმისაა, დიამეტრი 1,10 მ, სიღრმე 1,30 მ. ორმო ძლიერ დაზიანებულია.

ორმო № 17 მდებარეობს  $A_{26}$  კვადრატში მთელი ორმო შიგ ჩადგმული ქვევრისგან შედგებოდა, რომელიც დაზიანებული აღმოჩნდა.

ორმო № 18 მდებარეობს  $A_{20}$  კვადრატში. ორმო მსხლისებური მოყვანილობისაა, პირის დიამეტრი 0,60 მ, გაფართოებულ ნაწილში 1 მ. სიღრმე 1,40 მ. მასში უნესრიგოდ ჩაყრილია ნაცარი, ნახშირი, კერამიკის, ძვლისა და ქვის ფრაგმენტები. ორმო მდებარეობს № 2 ნაგებობასთან და მასვე უკავშირდება.

ორმო № 19 მდებარეობს 20-ე კვადრატში. ორმო მინის ზედაპირიდან წითელი ლაქის სახით გამოირჩეოდა, რაც ძლიერი ცეცხლის კვალს აღნიშნავდა. როგორც გაირკვა, ის პურის საცხობი იყო. ოთხკუთხა ფორმის, 1,50×1,40მ. ორმოს კედლები ამოშენებული იყო ქვის ბრტყელი, მოგლუვებული ფილებით.

ორმო № 20 მდებარეობს 20-21-ე კვადრატების საზღვარზე, აქვს არასწორი წრიული ფორმა, სიღრმე 1 მ. ორმო სავსე იყო გადამწვარი წითელი მიწით, ცეცხლისგან დახეთქილი გამურული რიყის ქვებით და გადამწვარი ალიზის კვადრების დიდი ნატეხებით. ეს ორმო, შესაძლოა, გამოსანვავი ქურა ყოფილიყო, რადგან აქვე აღმოჩნდა თიხის საქშენი მილების ფრაგმენტები.

ორმო № 21 მდებარეობს 33-34-ე კვადრატების საზღვარზე, ოდნავ წაგრძელებული ფორმის. პირის დიამეტრი 0,90 მ. სიღრმე 1 მ. ორმოს კედლები შემოლესილი იყო თიხის ფენით. ორმოში არაფერი არ აღმოჩნდა. იგი № 1 სათავსოს სამხრეთ კუთხეში მდებარეობდა და, შესაძლებელია, სანოვავის შესანახი ხარო ყოფილიყო.

გათხრილი ტერიტორიის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა კერამიკის ფრაგმენტებს, ცხოველთა ძვლებს, ქვის ანამტკრევ-ანატაკეცებს, კულტურული ფენის სისქე იყო 0,3-05 მ.

ჭორატის ნასახლარში გამოვლენილი არტეფაქტები (21 ორმო, 3 სათავსო და კულტურული ფენა) ძალიან ინფორმატიულია და ანალოგების მოძებნისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

აქ აღმოჩენილი მასალების ტიპოლოგიურ-მორფოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სათავსოებში, ორმოებში და კულტურულ ფენაში აღმოჩენილი მასალები აბსოლუტურად ანალო-

გიურია, როგორც დამზადების ტექნიკით, ისე ფორმით, ორნამენტით და თავისი სამეურნეო დანიშნულებით; ამიტომ, ჩვენ მათ ერთად განვიხილავთ (ტაბ. II-VI).

ქოთნები (სულ 57 ფრაგმენტი), ყველა ჩარხზეა დამზადებული და, ხშირად, შიდა და ზედა პირზე ჩარხის ზოლები ეტყობა. უმეტესობა ზედაპირზე ნაფოტითაა მოსწორებული, რაც პარალელურ წვრილ ხაზებს ტოვებს და ორნამენტის შთაბეჭდილებას ქმნის. ნარმოდგენილია ჭურჭლის შემდეგი ტიპები: ქოთნები დიდი და საშუალო ზომის, ლეგა-მოშავო ან ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი, აქვთ გადაშლილი პირი, ცილინდრული ყელი, ბრტყელი ძირი, დიდი ყურები.

დოქები (სულ 20 ფრაგმენტი), ახასიათებთ შედარებით თხელი კეცი, გამომწვარია მოვარდისფროდ და შეღებილია ნითლად, აქვთ მილისებური ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. თითო ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე.

ქილები (სულ 18 ფრაგმენტი), ლეგა-მონაცისფრო ან მოვარდისფრო-ნაცრისფერი, პირგადაშლილი, ყელჩალარული, მოგრძო ტანით და ბრტყელი ძირით, ჩვეულებრივად ყურები არა აქვთ.

ჯამები (სულ 24 ფრაგმენტი), რუხი-მოშავო ან ლეგა-მოშავო, ხშირად ზედაპირნაპრიალებია, აქვთ სწორი ან ნაკვეთილი პირი, ნიბოიანი მუცელი, ბრტყელი ან ქუსლიანი ძირი, ყურები არა აქვთ.

ქვევრები (სულ 27 ფრაგმენტი), დიდი ზომის, უხეში მსხვილმარცვლიანი თიხის, ლეგა-ვარდისფერი, ან ლეგა-ნაცრისფერი, ახასიათებს სქელი ქობიანი პირი, მოკლე, ოდნავ შესამჩნევი ყელი, გამობერილი მუცელი და შედარებით ვიწრო ძირი, ყურები არა აქვთ. ქვევრები ორნამენტირებულია რელიეფური ან რელიეფურად დაჭდეული სარტყელებით.

დერგები (სულ 34 ფრაგმენტი), დიდი და საშუალო ზომის, უყელო, ლეგა-მონაცისფრო ან ლეგა-ვარდისფერი, აქვთ სწორი ქობიანი პირი, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი, იშვიათად გვხვდება მრგვალგანივკვეთიანი ყურები, უმეტესობის ზედაპირი დაფარულია უსისტემოდ განლაგებული ამოღარული ხაზებით ან დაჭდეული ხაზებით.

სამტუჩა ჭურჭელი (სულ 5 ფრაგმენტი), საშუალო სისქის კეცი, ღია-მოვარდისფროდ ან ჩალისფრად გამომწვარი, ხშირად ნითლად შეღებილი, აქვთ სამტუჩა პირი, მომრგვალო მუცელი, ბრტყელი ძირი, თითო ყური ყელსა და მხარზე.

კოჭობი (სულ 16 ფრაგმენტი), ლეგა-მოშავო ან ლეგა-ნაცრისფერი, აქვთ გადაშლილი პირი, ცილინდრული მოკლე ყელი, ნაკლებად გამობერილი მუცელი და ბრტყელი ძირი, ერთი ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. შემკულია ნაპრიალები ზოლებით და ხაზებით.

ტოლჩა-სასმისი - 1 ფრაგმენტი, ტანდასვრეტილი ჭურჭლის ფრაგმენტები, ნაცრისფერი და მოვარდისფრო.

მილიანი ჭურჭელი, 2 ეგზემპლარი, ქოთნისებური ფორმის, გვერდზე გადმოსასხმელი მოკლე მილით, ნაცრისფერი.

ყველა ტიპის ჭურჭელი სამეურნეო დანიშნულებისაა. ამათგან სამზარეულო და სანოვავის შესაბამისი უნდა იყოს: ქვევრები, დერგები, დიდი ზომის ქოთნები, ქილები, სანური. სუფრის ჭურჭელს განეკუთვნება ჯამები, კოჭობი, დოქები, სამტუჩა სასმისები და მილიანი ჭურჭელი.

ორნამენტი შედარებით იშვიათია და მარტივი. სულ 72 ერთეული.

1. ნითელი და მოყავისფრო წერნაქიანით შეღებილი - 8 ფრაგმენტი.
2. ზედაპირნაპრიალები - 8 ფრაგმენტი.
3. დაწნევით შექმნილი სახეები - 5 ფრაგმენტი.
4. ამოკანრული გეომეტრიული ორნამენტი - 3 ფრაგმენტი.
5. ამოღარული უსისტემო ხაზები - 6 ფრაგმენტი.
6. რელიეფური სარტყელი - 10 ფრაგმენტი.
7. რელიეფური დაჭდეული სარტყელი - 7 ფრაგმენტი.
8. კანელურები - 2 ფრაგმენტი.
9. ამოღარული ფესტონები - 1 ფრაგმენტი.

10. ამოღარული ფესტონებით მხარზე და ნაფოტით მოსწორებული ზედაპირით – 21 ფრაგმენტი.

ჭორატის ნასახლარზე ლითონი წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით:

რკინის დანის პირები – 7 ერთეული, უმეტესად ფრაგმენტულია.

ბრინჯაოს პინცეტი და საკინძის ნატეხი, 2 ფრაგმენტი და ვერცხლის ჯვრისებური ნივთი. ყველა მათგანი სამეურნეო და პირადი მოხმარებისაა.

ქვის იარაღები იშვიათია, რიყის ქვის სალესი (1 ცალი); ბაზალტის საფხეკი (2 ცალი); კაჟის საფხეკი (3 ცალი); და 33 ცალი ობსიდიანის ანატკეცი ნამუშევრობის კვალით.

ოსტეოლოგიურმა მასალამ შეადგინა 292 ერთეული, ამათგან შინაური: ცხენი, ძროხა, ღორი, ცხვარი, თხა და ქათამი. გარეულია: ირემი, კანჯარი, თევზი.

ჭორატის ნასახლარის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ძეგლზე გათხრილი სამეურნეო ორმოები სხვადასხვა დანიშნულებისაა. რიგ შემთხვევაში ფიქსირდება მათი მეორადი გამოყენება სამარხეულ ორმოდ.

გათხრების პროცესში დაფიქსირდა შედარებით უკეთ დაცული სამი ქვის საძირკველიანი დარბაზული ტიპის ოთხკუთხა ნაგებობა. კუთხეებთან დევს სახურავის საყრდენი სვეტების მოზრდილი ქვის „ბალიშები“. გადახურვა, სავარაუდოდ, ბანურია, წყობა თევზიფხური, ტალახის ხსნარით შემაგრებული. აღსანიშნავია, რომ ნაგებობათა ეს დეტალები გარკვეულად უკავშირდება ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ ე.წ. „მესხურ არქიტექტურას“. ამ მოსაზრებას გარკვეულად ადასტურებს ნაგებობათა შიდა სივრცეში არსებული პურის საცხობი თონე, სამეურნეო ორმოები, სანოვავის შესანახი ხარო და სხვა. ნასახლარზე ჩანს კერამიკის გამოსაწვავი ქურის და ლითონგადამამუშავებელი საწარმოს ნაშთები.

ჭორატის ნასახლარი თავისი არქიტექტურით განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა ურბნისი [ჭილაშვილი 1964: 110-117], კარსნისხევი [ნიკოლაიშვილი 1995], ჟინვალი [ჩხილაძე 1999: 32-55], რუსთავი [ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005: ტაბ. 28-32], ჭერემი [მამაიაშვილი 2004: 106-111] და სხვა. ამავე ძეგლებზე ვლინდება ჭორატის ნივთიერი მონაპოვრის პარალელებიც. მათ საფუძველზე ჩანს, რომ ნასახლარი ფუნქციონირებდა ადრე შუასაუკუნეების ხანაში, ახ.წ. IV-IX სს-ში.

უდაოდ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჭორატის არქეოლოგიური მონაცემები ზუსტად ემთხვევა ისტორიულ სიტუაციას. ახ.წ. I საუკუნის დასასრულიდან გაძლიერებას იწყებს ქართლის სამეფო. იგი აფართოვებს თავისი გავლენის არეალს, ძირითადად სამხრეთის მომართულებით და სამცხის ტერიტორია ექცევა მის ფარგლებში. ჩვენს მიერ შესწავლილი სამაროვნები ჭორატსა და ორჭოსანში ამ პროცესის დამადასტურებელ ნივთიერ დასაბუთებას გვაძლევს. ახ.წ. IV საუკუნის დასაწყისისთვის ეს პროცესი დასრულებულია. არქეოლოგიური მასალების პარალელები მხოლოდ იბერიის სამეფოს ტერიტორიაზე გვხვდება (მცხეთა, ალაიანი, ურბნისი, ჟინვალი, რუსთავი, ბორი, კლდეეთი და სხვა). წინარე პერიოდის კოლხური იმპულსები და გავლენა, ფაქტიურად, გამქრალია.

## ლიტერატურა

**ბოჭორიძე გ. 1991:** მესხეთის ისტორიული ძეგლები. თბილისი.

**მამაიაშვილი ნ. 2004:** ქალაქი ჭერემი. თბილისი.

**ნიკოლაიშვილი ვ. 1995:** კარსნისხევის სამაროვანი. თბილისი.

**ჭილაშვილი ლ. 1964:** ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.

**ჩიკოიძე ც., ჩხატარაშვილი მ. და სხვ. 2005:** რუსთავი, III. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 1999:** არაგვის ხეობა ა.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

## სურათების და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – სათავსოებისა და სამეურნეო ორმოების განლაგების სიტუაციური გეგმა.

ტაბ. I – სათავსო № 1. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. II-VI – სათავსოებიდან და კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალა.

## THE SETTLEMENT AT CHORATI

The Chorati settlement is situated in Akhaltsikhe district, north-west of the town centre of Vale, and extends over 1.5 km of an agricultural terrace.

The Chorati settlement extends over a high terrace (70-100 m above sea level) situated on the right bank of the river Potskhovi. The terrace is level, slopes gently (10-12°) from south to north, and occupies an area of about 10 ha. The terrace is sharply delineated from the surrounding area at the north and east. It extends 3 km towards the west. It is worth mentioning that a small tributary of the Potskhovi used formerly to irrigate the settlement flows 100-150m to the west.

Today locals call the area of the settlement "Saurme Seri", "Slope for a Cart", which implies the existence at one time of a road linking the settlement with other places. The highway from the Potskhovi valley to Adjara and the Black Sea coast runs through Vale-Chorati and via the Kvabliani valley (Ude-Arali) and the Zekari Pass. It is also a route to North Caucasia via the Khanistsqali Valley and the Rioni Valley beyond, and must be the part of a historical north-south transit road. The shortest way to the east to the Mtkvari-Rioni main road also runs here. There is thus a basis in historical reality in the toponym "Saurme Seri".

It is noteworthy that the toponym Chorati was probably a later development. It is not mentioned in *Kartlis Tskhovreba (Life of Kartli)* nor in the *Great Register of Guurjistan Vilayet*, which gives detailed information about the place-names of Samtskhe and the size of its population.

The Chorati terrace is mainly brownish loam. Underneath is a light yellow, hard-packed dirt layer containing sand and lithic cores, and cut through by household pits and burials. The upper horizon of the layer also contains remains of the Stone Age. The Chorati settlement fell within the area of the construction works of the BTC pipeline. Cultural remains emerged during the cutting of the route and levelling the surface. Research works were carried out in 2004 and 2005. The pipeline route and the pipeline section were investigated. Archaeological sites in the environs of Vale were actually unknown before the expedition started. Several sites of different period have been excavated by now:

Agricultural areas immediately adjacent to north and south of the settlement revealed andesite-basalt and obsidian hand-axes, scrapers, side scrapers, perforators, which indicate the presence of strong open Acheulian-Moustierian dwellings of the Lower Paleolithic over an area of about 700x200m. The upper horizon of the dwelling is damaged. Analogous sites are known at Javakheti Plateau (Akhalkalaki), the Enguri and the Rioni Valleys, in Abkhazia and Kvemo Kartli.

In the extreme north part of the Chorati terrace, in the section a blackish-grey 1-1.2m layer can be observed, which revealed fragments of unattractive pottery made from grained clay with gravel admixture. The assemblage is diagnostic of the so called Early Farming Culture (Eneolithic), widespread in eastern Transcaucasia and the north-east regions of Anatolia. It is likely that a large vessel decorated with vertical oval projections excavated in the thick occupation stratum of this period was connected with those regions.

North of the Chorati settlement, in a section 250 m long on the road, there is a trace of a Late Bronze Age cemetery. The sparse pottery collected here is typical of Samtskhe cemeteries (Bornighele, Zveli). Remains of Early Medieval buildings and pottery can be seen for 200-500m beyond the settlement. Together with the excavated part, it suggests that there once existed here quite a large, united, settlement. The influence of the

settlement is suggested by the existence of the basilica of St. Nicholas in Vale, built in the 11<sup>th</sup> century and which functioned until the 17<sup>th</sup> century. It was reconstructed several times (Bochoridze 1991, 58) and has recently been reopened.

The Chorati settlement was excavated over an area of 220 x 8 m. A concentration of archaeological features was observed in the central part of the trench, which was relatively better preserved (fig. 1).

**Chorati IV-261**

Room No. 1 is situated in grids A, 22-23 and B, 22-23. It is oriented north to south (pl. I). The room has two parts. The living room was approached by a rectangular corridor. The surviving length of the wall is 6 m and its width 1 m. Part of the building extends into an unexcavated area. Stone cushions are arranged along the wall and were used to support columns holding up the ceiling. The walls are built of pebbles in a fishbone pattern. The floor was recorded at a depth of 0.8 m from the ground level. The room was full of ashes and charcoal, remains of timber, animal bones and some artefacts: three iron objects, fragments of pottery and obsidian flakes.

Room No. 2 is situated in grids A, 19-20 and B, 19-20. The surviving part of the building is trapezoidal. The south wall is 4.6 m and the east wall 3.2 m long. It is oriented east to west. A circular stone mound is attached to the construction, which contained the bones of cattle. Two building strata were recorded in Room No. 2. The lower structure is rectangular and measures 5.3 x 3.4 m.

Room No. 3 is situated in grids 17 and 18 at 0.4 m below ground level. The remains of the room consist of a wall oriented east to west, 3.6 m long, and built of double masonry using a clay bonding solution. The floor of the room is plastered with clay.

This room must also have had two parts.

All three rooms produced interesting finds: fragments of various kinds of household pottery, fragments of 7 knife blades, a silver cross-like object, two bronze toilet items, stone, flint and basalt flakes, base of an antler, wild boar tusks, etc.

There were a total of 21 pits situated over the whole area of the ROW. They are cut through a conglomerate consisting of pebbles, and yellow loam containing gypsum. They begin at a depth of 0.4-0.5 m below the modern ground level.

Pit No. 1 is situated in grid 24. It is almost circular, large (2 x 1.8m), oriented south to west, and 1.2 m deep. At the bottom of the pit a suspended burial was found, and the fill contained cattle bones, fragments of household pottery and stones.

Pit No. 2 is situated in grid 26, is circular with a diameter of 0.9 m, and a depth of 1.2 m. It is cylindrical with straight walls and sparse archaeological material.

Pit No. 3 is situated in the north corner of grid 26, is circular with a diameter of 0.68 m, and a depth of 1.75m. It is cylindrical with straight walls and contained pottery fragments, animal bones, basalt flakes.

Pit No. 4 is situated in the south corner of grid 27, and is circular at the top where its diameter is 1.4 m. It broadens towards the bottom, at a depth of 1.4 m. There was a soil layer with ash and charcoal, fragments of




Fig. 1. Plan of showing the distribution of rooms and pits

ceramic kitchenware and animal bones.

Pit No. 5 is situated on the border of grids A, 27-28. It is circular with a diameter of 1.4 m, and a depth of 0.9 m. Its cylindrical sides were plastered, and a flat hewn stone lay on the bottom of the pit. Judging by fragments of large kitchen vessels, it may have had a household function.

Pit No. 6 is situated on the border of grids 28-29. It is oval at the top, measuring approximately 1.5 x 1.2 m, and is oriented east to west. It is conical, narrowing towards the bottom, at a depth of 1.6 m. The fill of ash and coal included fragments of ceramic kitchenware, broken animal bones and stones. At a depth of 1.5 m, Acheulian basalt and obsidian tools were recovered. It would appear that they appeared in the pit when the dirt conglomerate was cut into.

Pit No. 7 is situated in grid No. 28. It is pear-shaped with a circular mouth, diameter 0.8 m. At its widest, the diameter is 1.1 m, and the depth is 1 m. A flat hewn slab 0.5 x 0.5 m lies on the bottom. Fragments of kitchenware and tableware suggest that the pit had a household function.

Pit No. 8 is situated in grid A<sub>30</sub>. It has a circular mouth, diameter 1.3 m. There were animal bones and various fragments of pottery, including a red painted one with flutes.

Pit No. 9 is situated in the middle part of grid 30. It is elongated, measuring 1.6 m x 1.3 m, and 0.5 m in depth. It contained numerous fragments of various kinds of pottery, including a sieve, and the base of an antler.

Pit No. 10 is situated at the border of grids A, 30-B, 30. The mouth is circular, 0.8 m in diameter. There were no finds.

Pit No. 11 is situated in the corner of grid A<sub>31</sub>. The mouth is circular, 0.9 m in diameter. The pit is cylindrical with straight walls. It contained basalt flakes, cattle bones and unattractive fragments of vessels.

Pit No. 12 is situated in grid No. 12 and was damaged. The mouth is circular, 0.35 m in diameter, and 1 m deep.

Pit No. 13 is situated in grid 19. The mouth is circular, 0.8 m in diameter, and the pit is cylindrical. It contained fragments of ceramic kitchenware, three iron knife blades and irregular pieces of stone.

Pit No. 14 is situated at the border of grids 28 and 29. The mouth is circular, 0.8 m in diameter, and the pit is cylindrical. The floor was rolled smooth. The pit contained fragments of household vessels and cattle bones.

Pit No. 15 is situated in grid A, 22. The diameter of the mouth is 1.7 m, and the depth 1.2 m. The pit gets broader towards the bottom. The diameter of the base is 2.10 m. Rectangular, flat, hewn tufa slabs were found on the floor, apparently used for lining the walls.

Pit No. 16 is situated in grid 24, but was badly damaged. It has a round shape, being 1.1 m in diameter and 1.3 m deep.

Pit No. 17 is situated in grid A, 26. Lined with a badly damaged *pithos*.

Pit No. 18 is situated in grid A, 20. Pear-shaped, the diameter of the mouth is 0.6 m, and at the broadest part 1 m. It is 1.4 m deep. Ashes, charcoal, fragments of bone and stone had been thrown into it. It is located near Building No. 2, with which it appears to have been associated.

Pit No. 19 is situated in grid 20. It showed up on the ground as a red spot, implying traces of an intense fire. It turned out to be a rectangular bakery (1.5 x 1.4 m). The walls were constructed of smooth stone slabs.

Pit No. 20 is situated at the border of grids 20 and 21. It is round but irregularly so, and 1 m deep. It was filled with burnt red soil, sooty pebbles cracked from fire and huge pieces of burnt adobe blocks. It may have been a kiln for firing ceramics since fragments of clay blowpipes were recovered nearby.

Pit No. 21 is situated at the border of grids 33-34. It is slightly elongated, with a mouth 0.9 m across, and 1 m deep. The walls were plastered with a coat of clay. It was empty, but positioned at the south corner of Room No. 1, it may have been used for food storage.

The occupation layer was 0.3-0.5 m thick and stretched over the whole of the excavated area; it contained fragments of pottery, animal bones, stone flakes and chips; the cultural stratum.

Artefacts assembled at the Chorati settlement (21 pits, 3 rooms and a cultural stratum) are highly in-



formative and enable us to look for parallels and draw conclusions.

A typological analysis of the finds showed that the material recovered from the rooms, pits and cultural stratum are completely uniform in terms of technique as well as shape, ornament and household function. They are therefore, discussed together (pl. II-IV).

The pots (57 fragments were found) were all manufactured on a potter's wheel and often display traces both on the interior and the exterior. Most of them were smoothed with a piece of wood which left thin parallel lines creating the impression of an ornament. The following types of vessels are represented: large medium-sized pots, fired light brown to black, with offset rims, cylindrical necks, flat bases and large handles.

Jugs (20 fragments) are mainly characterized by a thin fabric, fired pink and painted red, with tubular necks, round bodies and flat bases. One handle links neck and shoulder.

Jars (18 fragments), light brown through grey to pink fabric, with offset rims, grooved necks, elongated bodies and flat bases; without handles.

Bowls (24 fragments), light brown through grey to black, often with burnished exteriors, straight or truncated rims, ribbed bodies, flat or footed heels, no handles.

*Pithoi* (27 fragments), large, coarse-grained clay, light brown, through pink to grey fabric, with thick rims, short necks, swelling bodies and relatively narrow bases; without handles. The *pithoi* are ornamented with relief or hatched bands.

Large pots (34 fragments), large and medium-sized, without necks, light brown through pink to grey fabric, straight rims, round bodies, flat bases, rarely with handles that are round in section. The exteriors of most of them are covered with irregular incised or hatched lines.

Vessel with a trefoil rim (5 fragments), medium-thick fabric, fired light brown to pink, often painted red, trefoil rim, rounded body, flat base, one handle between neck and shoulder.

Small pot (16 fragments), light brown through grey to black, offset rim, short cylindrical neck, slightly swelling body and flat base, one handle between rim and shoulder; decorated with burnished lines and hatching.

Mug, 1 fragment. Fragments of a vessel with perforations. Grey and pink.

Vessel with a tube, 2 examples, pot-shaped, with a short tube for pouring, grey.

All these vessels had a household function. They included *pithoi*, large pots, jars, and sieves, that were kitchenware and food storage items. Bowls, small pots, jugs, drinking vessels with trefoil rims and the vessel with a tube were tableware.

Ornamentation is rare and simple. There were a total of 72 decorated items.

Painted with red and brownish slip, 8 fragments

Burnished exterior, 8 fragments

Patterns created by pressing, 5 fragments

Incised geometrical ornament, 3 fragments

Engraved irregular lines, 6 fragments

Relief band, 10 fragments

Relief hatched band, 7 fragments

Fluted, 2 fragments

Incised festoons, 1 fragment

Incised festoons on the shoulder and exterior smoothed with a piece of wood, 21 fragments

The Chorati settlement produced the following metal objects:

Iron knife blades: 7 items, mainly fragmentary.

Bronze pincers and a fragment of a pin, 2 fragments and a cross-like object. All of them are household and personal items.

Stone tools are sparsely represented: a grind-stone made from a pebble, two basalt scrapers, three flint scrapers, and 33 obsidian flakes with traces of wear.

Osteological material consisted of 292 items. Domestic animals included: horse, cow, pig, sheep, goat and hen; wild animals: deer, onager, fish.

The review of the Chorati settlement shows that the household pits excavated at the site had different functions. There are cases of secondary usage for pit-graves.

Three relatively well preserved hall-type rectangular buildings with stone foundations emerged during excavation. Large stone cushions were positioned in the corners for supporting columns. The roof was presumably flat. The fishbone masonry was bonded with an earth mixture. It is noteworthy that all these constructional features are close to what is termed 'Meskhetian architecture' known from the ethnographic record. This impression is supported by the bakery, the household pits, and the food storage pits arranged inside the buildings, as well as by the remains of kilns and smelting furnaces recovered at the other settlement.

In terms of architecture, the Chorati settlement is close to the sites of eastern Georgia, such as Urbnisi (Chilashvili 1964, 110-117), Karniskhevi (Nikolaishvili 1995), Zhinvali (Chikhladze 1999, 32-55), Rustavi (Chikoidze, Chkhatarashvili 2005, pl. 28-32), Cheremi (Mamaiaashvili 2004, 106-111), etc. These sites have parallels with the Chorati material, and show that the settlement functioned in the early Middle Ages, in the 4<sup>th</sup> to 9<sup>th</sup> centuries AD.

It must also be stated that the archaeological data from the Chorati settlement coincide exactly with the historical situation. From the end of the 1<sup>st</sup> century AD, the kingdom of Kartli became progressively stronger. It expanded the area of its influence, mainly southwards and the territory of Samtskhe fell into its area. The cemeteries at Chorati and Orchosani that were investigated provide material evidence for this process. By the beginning of the 4<sup>th</sup> century this process had already come to an end. Parallels for our artefacts are only to be found in the territory of the kingdom of Iberia (Mtskheta, Aghaiani, Urbnisi, Zhinvali, Rustavi, Bori, Kldeeti, etc.). Colchian influences apparent in the previous period are now absent.

## Bibliography:

**Bochoridze G. 1991:** *meskhetis istoriuli dzeglebi (Historical Sites of Meskheti)*. Tbilisi.

**Chikhladze V. 1999:** *aragvis kheoba a.ts. I atastsleulis pirvel nakhevarshi (The Aragvi Valley in the First Half of the First Millennium AD)*. Tbilisi.

**Chikoidze T., Chkhatarashvili M. et al. 2005:** *Rustavi 3*. Tbilisi.

**Mamaiaashvili N. 2004:** *kalaki tcheremi (The Town of Tcheremi)*. Tbilisi.

**Nikolaishvili V. 1995:** *karsniskhevis samarovani (Karsniskhevi Cemetery)*. Tbilisi.

**Tchilashvili L. 1964:** *nakalakari urbnisi (Urbnisi Settlement)*. Tbilisi.


## Illustrations:


Fig. 1: Plan showing the distribution of rooms and household pits


Pl. I: Room No. 1. Plan and section


Pl. II-VI: Finds from rooms and occupation levels

I


















V



VI





## ჭორატის აღრეპრისტინული ხანის სამაროვანი

ჭორატის სამაროვანი მდებარეობდა ახალციხის რაიონში, ქალაქ ვალესთან. მისი აღმოჩენა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობასთან არის დაკავშირებული. სამაროვანი 2004 წელს იქნა აღმოჩენილი, იგი ერთფენიანია. გაკეთდა 12 სადაზვერვო თხრილი. გამოვლენილი იქნა 17 სამარხი. ამათგან გაითხარა 16, ერთი კი კერძო მესაკუთრის ფართობში დარჩა, გაინმინდა ამ სამარხის მხოლოდ დასავლეთი მონაკვეთი და მიეცა ნომერი (ქვის სამარხი № 5). ამ 17 სამარხიდან 4 ქვის სამარხია, ხოლო დანარჩენი ხის ძელებიანი ორმოსამარხები (ტაბ. I).

დაკრძალვის წესი ძირითადად ქრისტიანულია, თუმცა, ერთი და იმავე სამარხში შეგვხვდა ნინაქრისტიანული, ნარმართული წესით დაკრძალულნიც. სამაროვნის ფუნქციონირების თარიღი V-VIII საუკუნეებით განისაზღვრა.

**სამარხი № 1** (ტაბ. II) ქვის სამარხია. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით, გამართულია მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,95 მ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო, სახურავი მოხსნილი, ხოლო კედლები დაზიანებული ჰქონდა. გარე ზომები: 2,3×1×0,65 მ, შიდა – 1,9×0,6×0,65 მ. სამარხის გვერდითი კედლები შედგენილია ორი უხეშად დამუშავებული ქვიშაქვისაგან, თავკედლებად კი თითო ქვის ფილა ჰქონდა ჩადგმული. ქვის სისქე – 0,2 მ.

სამარხში ოთხი მიცვალებული იყო დაკრძალული: სამი ზრდასრული და ერთი მოზარდი. პირველი და მეორე ქრისტიანული წესით დაუკრძალავთ ზურგზე გამოტილი, ხელები მხრების გასწვრივ ჰქონდათ ჩაშვებული, ხოლო მესამე, ბოლოს ჩასვენებული, დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, ხელები სახის წინ ჰქონდა დანყობილი. მეოთხე ჩონჩხი, მოზარდისა, სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში იყო მიხვეტილი. სამარხში აღმოჩენილი ერთი მიცვალებულის ჩონჩხი ეკუთვნოდა 55-59 წლის დედაკაცს, ორი — 40-44, 65-69 წლის მამაკაცებს და ერთიც 3-4 წლის ბავშვს (ანთროპოლოგიური მასალა შეისწავლა ლ. ასლანიშვილმა).

სამარხის ჩრდილოეთ კედელთან, 40-44 წლის მამაკაცის ჩონჩხზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი, რომელსაც განივკვეთში ოთხკუთხა, დანახნაგებული რკალი აქვს, მხრებზე მრგვალ-ბრტყელი ფარაკია დარჩილული. ფარაკზე სქემატურად გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მამაკაცი გრძელი შუბით, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას (შესაძლოა წმინდა გიორგი). ბეჭდის რკალის დმ – 2,5 სმ (ტაბ. VIII<sub>2</sub>).

**სამარხი № 2** (ტაბ. III) ქვის სამარხია, გამართულია მიწის ზედაპირიდან 1,6 მ სიღრმეზე, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით, დაზიანებულია. სახურავი არ ჰქონდა შემორჩენილი. *In situ* მდგომარეობაში შემორჩენილია სამარხის განივი და ჩრდილოეთის გრძივი კედელი, რომელთანაც თითქმის შეტყუებული იყო სამხრეთის კედელი. სამარხი გამართულია მასიური ქვიშაქვის ფილებისაგან. ჩრდილოეთის გრძივი კედლის სიგრძე 1,9 მ-ია, სისქე – 0,12 მ, ზომები: 1,16×0,9მ, სისქე – 0,1 მ. თავკედლებს ვერტიკალური ნარიბანდები ჰქონდა ამოკვეთილი, რომელშიც თავის დროზე გვერდითი კედლის ბოლოები ყოფილა ჩამჯდარი.

სამარხში მიცვალებულის 16 ჩონჩხი აღმოჩნდა, დაუკრძალავთ სხვადასხვა დროს. მასალა არეული იყო, მაგრამ ჩანდა, რომ გვიან ჩასვენებულები ქრისტიანული წესით იყვნენ დამარხულნი. სამარხში 5 მამაკაცი იყო დაკრძალული, რომელთა ასაკი განისაზღვრა 65-69, 50-54, 40-44,

35-40, 30-34 წლებით, ოთხი დედაკაცი 60-64, 25-29, 30-34, 45-49 წლისა, 5 მოზარდისა — 7-9, 5-6, 3-4, 7-8 და ორი უსაკო ჩვილი.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბრინჯაოს ბეჭედი. განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი ბეჭდის რკალი მხრებთან გაგანიერებული და შესქელებულია. რკალში ამოჭრილია რომბისებური თვალბუდე, რომელშიც მოლურჯო მინის თვალის ჩასმული (ადგილზე დაიშალა, ალება ვერ მოხერხდა). რკალის დმ – 2,2 სმ. ფარაკის სიგანე – 1 სმ (ტაბ. VIII<sub>6</sub>).

2. ბეჭედი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი, თხელი რკალი მხრებთან გაგანიერებულია და ქმნის მოგრძო, რომბისებურ ფარაკს. ფარაკის ზედაპირზე ამოკანრულია გამოსახულება. რკალის დმ – 2 სმ (ტაბ. VIII<sub>7</sub>).

3. საყურე ვერცხლისა. იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან თავგახსნილ რგოლს, რომელსაც ქვემოთ მირჩილული აქვს ვერცხლისავე ღერაკი. მასზე მცირე ზომის მარგალიტის მძივია ასხმული. საყურის დმ - 1,6 სმ. საყურის სიგრძე – 2 სმ (ტაბ. VIII<sub>8</sub>).

4. საყურე ვერცხლისა. იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან თავგახსნილ რგოლს, რომელსაც ქვემოთ მირჩილული აქვს ვერცხლისავე მცირე თანაბარი ზომის მრგვალი ბურთულები (ყურძნის მტევნის იმიტაცია). დმ – 1,6 სმ, სიგრძე – 1,9 სმ (ტაბ. VIII<sub>9</sub>).

5. კაურის ნიჟარა, მცირე ზომისა. შემორჩენილია ნაწილობრივ. სიგრძე – 1,1 სმ, სიგანე – 0,6 სმ.

**სამარხი № 3** (ტაბ. IV) ხის ძელებიანი ორმოსამარხია, რომელსაც ოთხივე კუთხეში რიყის ქვები ჰქონდა ჩადგმული. ხის ძელები ეყრდნობოდა ქვებს. იგი გამართული იყო მინის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე, დამხრობილი დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ორმოს ზომებია 2,06×0,9 მ. სამარხში 5-8 წლის მოზარდი იყო დაკრძალული ქრისტიანული წესით, ზურგზე გაშოტილი, ხელები მკერდზე ჰქონდა დაწყობილი. ძვლოვანი მასალა ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი. ინვენტარი არ დადასტურებულა.

**სამარხი № 4** (ტაბ. IV) ქვაყრილიანი ქვის სამარხია. იგი მინის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე გაუმართავთ. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხის ზომებია 1,80×1,10×0,6 მ, დაზიანებულია. შემორჩენილია სამხრეთის გრძივი კედელი (კლდის ერთიანი ფილაქვისაგან გამოთლილი) და თავკედლის მხოლოდ ძირის ნაწილები.

სამარხში 0,3 მ მინის ალების შემდეგ, ქვაყრილზე, აღმოჩნდა ერთი ჩონჩხი, რომელიც სამარხის ცენტრალურ ნაწილში იყო დაკრძალული. ამ ჩონჩხის განლაგების მიხედვით საქმე უნდა გვექონდეს მეორად დაკრძალვასთან. ჩონჩხის ალების შემდეგ სამარხს მოვხსენით ქვაყრილი და დავედით იატაკის დონეზე. სამარხის შიდა ზომებია: 1,6×0,7×0,6 მ.

სამარხში ორი ზრდასრული ინდივიდი იყო დაკრძალული, ერთი ქრისტიანული წესით – ზურგზე გაშოტილი, ხელები მხრების გასწვრივ ჰქონდა ჩამკვებული, ხოლო მეორე ისე ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი, რომ მისი დაკრძალვის პოზა ვერ გაირკვა. სამარხის აღმოსავლეთ თავკედელთან ორი მოზარდის თავის ქალა იყო ჩაფლული. ანთროპოლოგიური მონაცემებით ძირითადი ჩონჩხები ეკუთვნოდა 65-70 და 60-64 წლის მამაკაცებს, ხოლო თავის ქალები – 2-4 წლის ბავშვებს.

სამარხში აღმოჩნდა რკინის სამაჯური, ბოლოებგადასული, მრგვალგანივკვეთიანი, მრგვალ-რგოლიანი. რკინის ღერო დაჟანგულია, გატეხილია ორად. დმ – 6,5 სმ (ტაბ. VIII<sub>1</sub>).

**სამარხი № 6** (ტაბ. V) ხის ძელებიანი ორმოსამარხია. გამართული იყო მინის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხი ჩაჭრილი იყო ქვალორლიან ნიადაგში. თავკედლებად ბრტყელი ქვები ჰქონდა ჩადგმული. ზომები: 0,7×0,35×0,15 მ (დასავლეთისა) და 0,45×0,2×0,65 მ (აღმოსავლეთისა). გრძივი კედლები შედგენილია ვერტიკალურად ჩადგმული ხუთ-ხუთი ხის ძელისაგან, რაც ამ სამარხს განასხვავებს სამაროვანზე აღმოჩენილი ყველა ხის ძელებიანი სამარხებისაგან (ხის ძელები ვერტიკალურად ჩადგმული იმიტომ იყო, რომ ორმოსამარხი ქვა-ლორლისაგან დაეცვა). ორმოს ზომები – 1,5×0,45 მ. სამარხში ერთი, 20-24 წლის

დედაკაცის ჩონჩხი დადასტურდა. იგი ქრისტიანული წესით იყო დაკრძალული, ზურგზე გამოტილი, ხელები მუცლის არეში ჰქონდა დაწყობილი. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 7** (ტაბ. IV) ხის ძელებით შეკრული ორმოსამარხია. იგი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. თავსა და ბოლოში პატარა ზომის ქვები ჰქონდა ჩადგმული, ხოლო ზემოდან გადახურული იყო სიგრძივი ძელებით. ორმოს ზომებია: 1,5×0,4 მ.

სამარხში 5-8 წლის მოზარდის ჩონჩხი აღმოჩნდა, იგი დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, ხელის მტევნები სახის წინ ჰქონდა დაწყობილი.

სამარხში აღმოჩნდა მიწისებრი პასტის ძძივები, მრგვალ-ბრტყელი, ძლიერ შლადი (შემორჩენილია სამი ცალი) (ტაბ. VIII<sub>3</sub>).

**სამარხი № 8** (ტაბ. VI) ხის ძელებიანი ორმოსამარხია. გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,8 მ სიღრმეზე. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხი (ზომები: 1,5×0,65 მ).

სამარხში აღმოჩნდა ქრისტიანული წესით დაკრძალული 20-24 წლის დედაკაცის ჩონჩხი, ზურგზე გამოტილი, ხელები მუცლის არეში ჰქონდა დაწყობილი. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 9** (ტაბ. IV) ორმოსამარხია, რომელსაც ჩრდილოეთით გრძივი კედელი არათანაბარი ზომის ქვებით ჰქონდა შემოსაზღვრული. გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ორმოს წარგძელებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. ზომები – 1,80×0,8 მ.

სამარხში აღმოჩნდა სამი მიცვალებულის ჩონჩხი. ერთი, ქრისტიანულად დაკრძალული, ეკუთვნოდა 16-20 წლის მამაკაცს; მეორე ჩონჩხი, 8-10 წლის მოზარდისა, დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ოდნავ კიდურებმოკეცილი, ხოლო მესამე, 3-5 წლის ბავშვისა, შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 10** (ტაბ. X) ორმოსამარხია, გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე, დამხრობილი - დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ორმოს ზომები: 1,80×0,65 მ. სამარხში ესვენა ერთი მიცვალებული, ოდნავ კიდურებმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, ხელები სახის წინ ჰქონდა დაწყობილი. იგი ეკუთვნოდა 55-59 წლის დედაკაცს. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 11** (ტაბ. VI) ხის ძელებიანი ორმოსამარხია. გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,75 მ სიღრმეზე. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხის გრძივი კედლები ძელებით იყო შემოსაზღვრული. სამარხი ორმოს ზომებია 1,70×0,7 მ. სამარხში ქრისტიანული წესით დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ზურგზე გამოტილი, ხელები მკერდის არეში ჰქონდა დაწყობილი. ეკუთვნოდა 65-69 წლის მამაკაცს. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 12** (ტაბ. VII) ხის ძელებით შეკრული ორმოსამარხია. იგი გამართულია მიწის ზედაპირიდან 0,8 მ სიღრმეზე. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ორმოს ზომებია: 2×0,8 მ.

სამარხი ორმო ოთხივე მხრივ შემოსაზღვრული იყო ხის ძელებით, ზემოდანაც ხის ძელებით იყო გადახურული. სამარხში ერთი ჩონჩხი, 55-59 წლის მამაკაცის ძვლები, მიხვეტილი იყო ჩრდილოეთით, ხოლო მეორე, შემდგომ დაკრძალული, 50-54 წლის დედაკაცისა, ესვენა ოდნავ კიდურებმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, ხელები მუცლის არეში ჰქონდა დაწყობილი. ინვენტარი არააღმოჩენილა.

**სამარხი № 13** (ტაბ. VII) ხის ძელებიანი ორმოსამარხია. გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,85 მ სიღრმეზე. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. სამარხი ოთხივე მხრივ ძელებით იყო შემოსაზღვრული. ორმოს ზომებია 1,60×0,70მ. პრეპარაციის შემდეგ სამარხში აღმოჩნდა 18-20 წლის მამაკაცის ჩონჩხი. მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით, ზურგზე გამოტილი, ხელების მუცლის არეში ჰქონდა დაწყობილი. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 14** ხის ძელებიანი ორმოსამარხია. გამართული იყო მიწის დღევანდელი ზედაპირიდან 0,9 მ სიღრმეზე. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. დაუზიანებიათ № 2

სამარხის გამართვის დროს. სამარხის სამხრეთ გრძივი ძელი მთლიანად ჩაჭრილი აქვს № 2 სამარხის ჩრდილოეთ გრძივ კედელს, ხოლო ჩრდილოეთის გრძივი ძელი № 13 სამარხის სამხრეთის გრძივ ძელის გვერდით დევს. სამარხის ორმოს ზომებია 1,9×0,65 მ.

სამარხში 45-49 წლის მამაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა, მიცვალებული ქრისტიანული წესით დაუკრძალავთ, ზურგზე გამოტილი, ხელები მკერდის არეში ჰქონდა დაწყობილი. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 15** (ტაბ. VII) ხის ძელებიანი ორმოსამარხია, გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,8 მ სიღრმეზე, დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით, სამარხს ხის ძელების გარეთ თავსა და ბოლოში, ოთხივე კუთხეში ბრტყელი რიყის ქვები აქვს ჩადგმული. სამარხი ორმოს ზომებია 1,6×0,5მ.

სამარხში ერთი, 30-34 წლის დედაკაცის ჩონჩხი აღმოჩნდა. იგი დასვენებული იყო მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, ხელები მკერდის არეში ჰქონდა დაკრეფილი. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი № 16** (ტაბ. VII) ხის ძელებიანი ორმოსამარხია, გამართულია მიწის ზედაპირიდან 0,8 მ სიღრმეზე, დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ოთხივე კუთხეში ძელების გარეთ ქვებია ჩადგმული. ორმოს ზომებია: 1,70×0,70 მ. სამარხში ორი მოზარდის ჩონჩხი აღმოჩნდა. ორივე ჩონჩხი ესვენა მარცხენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი, ხელები ორივეს მკერდის არეში ჰქონდა დაწყობილი. ისინი ეკუთვნოდა 6-8 და 8-10 წლის მოზარდებს.

სამარხში ერთ-ერთი მოზარდის ხელის ფალანგებთან აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს ბეჭედი:

ერთი მათგანის რკალი განივკვეთში ბრტყელია, მხრებისკენ რომბისებურად გაგანიერებული და ფარაკზე სქემატურად ამოკანრული გამოსახულებაა. რკალის დმ – 1,8 სმ. ფარაკის სიგანე – 0,005 სმ, სისქე – 0,002 სმ (ტაბ. VIII<sub>5</sub>).

მეორე ბრინჯაოს ბეჭედი ნაკლულია (აკლია რკალის ნაწილი), შემორჩენილია განივკვეთში ბრტყელი, თხელი, ვიწრო რკალის ნაწილი რომბისებური ფარაკით. ფარაკზე ამოკანრულია სქემატური გამოსახულება (ღვთაება?). ფარაკის სიგანე – 0,005 სმ, სისქე – 0,02 სმ. (ტაბ. VIII<sub>4</sub>).

**სამარხი № 17** (ტაბ. VI) ხის ძელებიანი ორმოსამარხია, გამართული იყო მიწის ზედაპირიდან 0,7 მ დონეზე. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხი ორმოს ზომებია 1,8×0,75მ. სამარხში 20-24 წლის ქალის ჩონჩხი აღმოჩნდა, მიცვალებული ქრისტიანული წესით იყო დაკრძალული. ზურგზე გამოტილი ხელები მუცლის არეში ჰქონდა დაკრეფილი. უინვენტაროა.

\* \* \*

როგორც ეს გათხრების შედეგებმა აჩვენა, ჭორატის სამაროვანი ერთფენიანი ძეგლია. აღმოჩენილი 17 სამარხიდან ოთხი ქვის სამარხია, ხოლო დანარჩენი ხის ძელებიანი ორმოსამარხები. ყველა მათგანი დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

ჭორატის №№ 1 და 5 ქვის სამარხების გვერდითი კედლები შედგენილი იყო ორ-ორი უხეშად დამუშავებული ქვიშაქვისაგან, ხოლო თავკედლებად თითო ქვიშაქვა ჰქონდა ჩადგმული. ქვის სამარხი № 2 გამართული იყო მასიური ქვიშაქვის ფილებისგან, როგორც გრძივი კედლები, ასევე თავკედლები თითო მასიური ქვიშაქვისაგან იყო შედგენილი. № 4 სამარხი კი წარმოადგენდა ქვყრილიან ქვის სამარხს, რომლის სამხრეთი გრძივი კედელი ერთიანი ფილაქვისაგან შედგებოდა. სამარხზე გამართული იყო არათანაბარი ზომის ქვებისაგან შედგენილი ქვყრილი.

არც ერთ სამარხს სახურავი არ ჰქონდა შემორჩენილი მიწის ზედაპირთან სიახლოვის გამო, როგორც ჩანს, ისინი განადგურდა მიწის სამუშაოების დროს.

ანალოგიური ქვყრილიანი ქვის სამარხები აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზე (№№ 49, 50, 297) და დათარიღებულია V-VI სს-ით [ჩიხლაძე 1977: 95-101].

ქვის სამარხები ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია ადრექრისტიანული ხანის საქართველოში. ჭორატის ქვის სამარხები საოჯახო-კოლექტიურ საკრძალავებს წარმოადგენდნენ, სადაც

დაკრძალული იყო 4-16 ინდივიდი. ანალოგიური ქვის სამარხები დადასტურებულია სამთავროზე [მანჯგალაძე 1990: 11] მცხეთაში, არმაზისხევში [აფაქიძე, გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე 1955:205], ნავთსადენში [უგრელიძე 1956: 17], ჟინვალში [ჩიხლაძე 1977: 95-101], არაგვისპირში, ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: 131], ვაშლიჯვარში [ნიკოლაიშვილი 1979: 63-67] და ყველა თანადროულ სამაროვანზე.

ხის ძელებით შეკრული და ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხები საკმაოდ გავრცელებული ტიპია საქართველოს სამაროვანებზე, როგორც გვიანანტიკურ ხანაში [ჩიხლაძე 1999: 7], ისე ადრეშუასაუკუნეებში [აფხაზავა 1988: 42-44].

ჭორატის სამარხებში მასალა ძალიან მწირია. გვაქვს რკინის ერთი სამაჯური, ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები, ვერცხლის საყურეები და მძივები.

რკინის სამაჯურის ანალოგიები მრავლად გვხვდება თანადროულ სამაროვანებზე სამთავროზე [აფაქიძე და სხვ. 1982: 191-198], ნეძიხში [რობაქიძე 1989: 25], ჟინვალში, ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: 81], ვაშლიჯვარში [ნიკოლაიშვილი 1979:] და სხვ.

ვერცხლის საყურეები ყურძნის მტევნის იმიტაციით აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვანზე გვხვდება II საუკუნიდან, III-IV საუკუნის სამარხებში მრავლადაა წარმოდგენილი [ჩიხლაძე 1999: 23] და იშვიათად, მაგრამ მაინც არის V-VI საუკუნის სამაროვანებზე [რობაქიძე 1989: 17].

რაც შეეხება მეორე ტიპის ვერცხლის საყურეს, რომელიც მარგალიტის მძივით არის შემკული, გვხვდება IV საუკუნიდან VI-VII საუკუნეების ჩათვლით: ნეძიხი [რობაქიძე 1989: 17], ჟინვალი [ჩიხლაძე 1999: 21], ქვემო ალევი [აფხაზავა 1988: 39], სამთავრო [აფაქიძე, და სხვ. 1982: 191-198].

ყურადღებას იქცევს №1 ქვის სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბეჭედი დანახნაგებული რკალით, რომელზედაც მრგვალი ფორმის ბრტყელი ფარაკია დარჩილული. გამოსახულია ცხენზე ამხედრებული შარავანდედით შემკული მამაკაცი, მას ხელში გრძელი შუბი უჭირავს, რომლითაც გველეშაპს განგმირავს. შესაძლოა, წმინდა გიორგის გამოსახულებასთან გვექონდეს საქმე. ბეჭდები, დანახნაგებული რკალით გვხვდება IV-V საუკუნეებში: არმაზისხევი [აფაქიძე გობეჯიშვილი, კალანდაძე, ლომთათიძე 1955: ტაბულა CXVII], ჟინვალი [ჩიხლაძე 1999: 75-79], ნავთსადენი [უგრელიძე 1956: 19], თელოვანი [ნიკოლაიშვილი 1985: 90-104].

ჟინვალის სამაროვანზე კატაკომბურ სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს მრგვალფარაკიანი ბეჭედი [ჩიხლაძე 1990: 6-8], რომლის ფარაკზე გამოსახულია ქრისტეშობის სცენა [ჩიხლაძე 2001: 81-84]. იგი ფორმით მსგავსია ჭორატის ბეჭდისა. ჭორატის ბეჭედი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. დღეისათვის ძნელია მისი ატრიბუციის განსაზღვრა. თუ გამოსახულება ნამდვილად წმინდა გიორგისაა, ის იქნება ყველაზე ადრეული გამოსახულება საქართველოში. სამარხი V-VI სს-ით უნდა დათარიღდეს. ქვემო ალევის 72 ქვის სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს ბეჭედი, რომლის ფარაკზე, მკვლევარის ვარაუდით, გამოსახულია წმინდა გიორგი. ფარაკი დათარიღებულია VI-VII სს-ით [აფხაზავა 1988: 112].

№ 2 ქვის სამარხში აღმოჩენილი ორი ბრინჯაოს ბეჭდის ანალოგიური ბეჭდები აღმოჩენილია V-VI სს-ით დათარიღებულ ქვის სამარხებში სამთავროზე [მანჯგალაძე 1990: 21], ნეძიხში [რობაქიძე 1989: 19], ქვემო ალევში [აფხაზავა 1988: 112], ჟინვალში [ჩიხლაძე 1977: 95-100].

ასეთივე ორი ბრინჯაოს ბეჭედი აღმოჩნდა № 16 ხის ძელებიან ორმოსამარხში. ორივე ბეჭდის ფარაკზე გამოსახულება სქემატურად არის ამოკანრული. შესაძლოა, ქაღალდით იყოს. ანალოგიური ბრინჯაოს ბეჭედი აღმოჩენილია დაღეთის სამაროვანზე, თეთრწყაროში [მირცხულავა, მაისურაძე, კოპალიანი, მინდორაშვილი, ჩიხლაძე 2005: 25]. № 43 ქვის სამარხში აღმოჩენილ 5 ჩონჩხიდან, ერთ-ერთს, კერძოდ 14 წლის გოგონას, მარცხენა ხელის ფალანგზე ეკეთა ბრინჯაოს ანალოგიური ბეჭედი. ამ ბეჭდის ფარაკზე გამოსახულება უკეთ არის შემორჩენილი. იკითხება ქალის გამოსახულება მარჯვენა ხელით ზეანეული ჯვრით. ჭორატის და დაღეთის ბეჭდები ზედმინვენით ჰგავს ერთმანეთს. შესაძლოა, ისინი ერთი ხელოსნის ნაკეთობაც იყოს. ეს ბეჭდებიც V-VI სს-ით უნდა დათარიღდეს. ისინი ადგილობრივი ხელოსნის მიერ უნდა იყოს დამზადებული ბიზანტიური გლიპტიკის ნიმუშების მიხედვით.

ანალოგიური ბრინჯაოს ბეჭედი აღმოჩენილია კახეთში, სოფელ დარჩეთში, ადრეშუასაუკუნეების სამაროვანზე. ბეჭდის ფორმა ზუსტად ანალოგიურია ჭორატისა და დაღეთის ბეჭდებისა. დარჩეთის ბეჭედზე გამოსახულია მამაკაცი ბიზანტიური სამეფო გვირგვინითა და გვირგვინის შუაში ამოზიდული ჯვრით. მკვლევარები მას ბიზანტიის იმპერატორ ფოკასტონ (602-610 წწ.) აიგივებენ. იგი ბიზანტიურ ნაკეთობად მიიჩნევა [მამიაშვილი, ჯავახიშვილი 2006: 175-177], ჭორატისა და დაღეთის ბეჭედებზე კი ქალია გამოსახული, მარჯვენა ხელით ზეანეული ჯვრით. ხომ არ შეიძლება წმინდა ნინოს გამოსახულება იყოს?

რაც შეეხება № 2 ქვის სამარხში აღმოჩენილ კაურის მცირე ზომის ნიჟარას, იგი ჩველი ბავშვების აუცილებელი ინვენტარია ადრეშუასაუკუნეთა ხანის სამარხებში [ჩიხლაძე 2007: 79-89].

№ 7 ბავშვის სამარხში აღმოჩნდა მინისებრი პასტის მძივები, მრგვალბრტყელი, თეთრი, გამჭირვალე, რომელთა ნაწილი ადგილზევე დაიშალა. ანალოგიური მძივები აღმოჩენილია ადრეშუასაუკუნეების ქვის სამარხებში. ზოგჯერ მძივების რაოდენობა ასაკზეც მიუთითებს [ჩიხლაძე 2007: 79-89].

ამგვარად, ჭორატის სამაროვნისა და სამარხების თანმხლები მწირი, მაგრამ მაინც საკმაოდ ინფორმატიული ინვენტარის შესწავლა საშუალებას გვაძლევს პარალელები გავავლოთ საქართველოს სხვა რეგიონებში ამავე პერიოდის სამარხებთან და გავაკეთოთ დასკვნები ადრე შუასაუკუნეების საქართველოს შესახებ.

## ლიტერატურა

- აფაქიძე ა., კალანდაძე ა., გობეჯიშვილი გ., ლომთათიძე გ. 1955:** არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, I. თბილისი.
- აფაქიძე და სხვ. 1982:** დიდი მცხეთა, 1979 (დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1979 წელს ჩატარებული კვლევადიების შედეგები). – ა. აფაქიძე (რედ.), მცხეთა, VI, 191-213. თბილისი.
- აფხაზავა ნ. 1988:** ქვემო ალფეი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი.
- მამიაშვილი მ., ჯავახიშვილი ქ. 2006:** ადრე შუასაუკუნეთა ხანის სამარხი სოფელ დარჩეთიდან. – ძიებანი, № 17-18, 175-178.
- მანჯგალაძე გ. 1990:** – სამთავროს სამაროვნის ქრონოლოგიისთვის ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს. ავტორეფერატი. თბილისი.
- მირცხულავა გ., მაისურაძე ბ., კოპალიანი ჯ., მინდორაშვილი დ., ჩიხლაძე ვ. 2005:** სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2004 წლის მუშაობის ანგარიში. დაღეთის სამაროვანი (ხელნაწერი). თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1979:** ვაშლაჯვარის სამაროვანი (1972 წლის განათხარის მიხედვით). – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.) საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, ტ. II, 63-77.
- ნიკოლაიშვილი ვ. 1985:** დიღმის ხეობა ადრეოფეოდალურ ხანაში. – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.) საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, ტ. III, 90-104.
- რობაქიძე ც. 1989:** ნეძიხის სამაროვნის 1986-88 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (ხელნაწერი). თბილისი.
- უგრელიძე ნ. 1956:** ადრეოფეოდალური მცხეთის მატერიალური კულტურა, არმაზისხევისა და ნავთსადენის არქეოლოგიური მასალების მიხედვით (ხელნაწერი). თბილისი.
- ჩიხლაძე ვ. 1977:** სამარხთა აღწავლა და დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე. – რ. რამიშვილი (რედ.), არქეოლოგიური ძიებანი. ახალგაზრდა მკვლევართა მეორე და მესამე სამეცნიერო სესიის მასალები, 95-100. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 1990:** ჟინვალის კატაკომბები. პრეპრინტი. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 1999:** არაგვის ხეობა ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ჟინვალის სამაროვნის მასალების მიხედვით). ავტორეფერატი. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 2001:** ჟინვალის ბეჭედი ქრისტეშობის სცენით. – რ. რამიშვილი (რედ.), ქრისტიანული არქეოლოგიის მეხუთე კონფერენცია, 79-89. თბილისი.

**ჩიხლაძე ვ. 2007:** ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული მძივები. – რ. რამიშვილი (რედ.), საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, 81-84. თბილისი.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ჭორატის სამაროვნის გენგემა და ჭრილი.

ტაბ. II – ქვის სამარხი № 1. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. III – ქვის სამარხი № 2 გეგმა და ჭრილი.

ტაბ. IV – ხის ძელებიანი ორმოსამარხები №№ 7, 3, 4 და 9. გეგმები და ჭრილები.

ტაბ. V – ხის ძელებიანი ორმოსამარხი № 6. გეგმა და ჭრილი.

ტაბ. VI – ხის ძელებიანი ორმოსამარხები №№ 8, 10, 11 და 17. გეგმები და ჭრილები.

ტაბ. VII – ხის ძელებიანი ორმოსამარხები №№ 12, 13, 15 და 16. გეგმები და ჭრილები.

ტაბ. VIII – ჭორატის სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: 1. რკინის სამაჯური (სამარხი № 4); 2. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი მხედრის გამოსახულებით (სამარხი № 1); 3. მინის მძივი (სამარხი № 7); 4. ბრინჯაოს ბეჭედი, ნაკლული, ქალღვთაების გამოსახულებით (სამარხი № 16); 5. ბრინჯაოს ბეჭედი ქალღვთაების გამოსახულებით (სამარხი № 16); 6. ბრინჯაოს ბეჭედი (სამარხი № 2); 7. ბრინჯაოს ბეჭედი (სამარხი № 2); 8. ვერცხლის საყურე (სამარხი № 2); 9. ვერცხლის საყურე (სამარხი № 2).

ტაბ. IX – 1. ქვის სამარხი № 1 გახსნის შემდეგ, 2. ქვის სამარხი № 2 გახსნამდე.

## CHORATI EARLY-CHRISTIAN PERIOD CEMETERY

The Chorati cemetery is situated near the town of Vale in Akhaltsikhe district, and was found in the course of construction of the BTC pipeline in 2004. There is a single stratum. Twelve exploratory trenches were dug and 17 burials were revealed; 16 were fully excavated, but one proved to be on the land of a private owner. Only the western section of this burial (Cist No. 5) was excavated. Four of the 17 burials are cists, while the rest are pit graves lined with timber (pl. I).

The burial practice is mainly Christian, although some were buried in the same graves but according to pre-Christian, pagan, rites. The cemetery was in use between the 5<sup>th</sup> and 8<sup>th</sup> centuries.

**Burial No. 1** (pl. II) was a cist oriented west to east, at a height of 0.95 m above the present ground level. The burial was damaged, with the roof removed and the walls only partly preserved. Exterior dimensions: 2.3 x 0.65 m; interior: 1.9 x 0.6 x 0.65 m. The side walls consist of two coarsely worked sandstone slabs 0.2 m thick, and a single slab served as an end wall.

There were four individuals buried in this grave: three adults and a child. Two were buried according to Christian burial practice, lying supine, with arms along the body; a third, the last to be buried, lay on the right side in a crouched position and the hands in front of the face. The fourth skeleton, of a child, was apparently pushed to the eastern part of the burial. The skeletons were identified (by L. Askanishvili) as a 55-59 year-old female, a 40-44 year-old male, a 65-69 year-old male, and a 3-4 year-old child.

The 40-44 year-old male lay at the north wall of the burial, and wore a bronze finger ring. The latter was faceted and square in section with a round flat bezel 2.5cm in diameter welded to its shoulders. The image is a schematic representation of a rider holding a long spear and wearing a halo over his head, and is probably of St George. Diameter of the bezel is 2.5 cm (pl. VIII, 2).

**Burial No. 2** (pl. III) was a cist, at a depth of 1.6 m, oriented west to east, damaged. The roof has not survived. The side and north walls of massive limestone slabs survive *in situ*. The length of the northern longitudinal wall is 1.9 m, and the width 1.16 m. The end wall had vertical grooves in which the edges of the lateral walls were fitted.

The burial contained revealed 16 skeletons buried at different times. The material was somewhat confused, but it was apparent that the later burials had been carried out according to Christian practice. There were 5 males of 65-69, 50-54, 40-44, 35-40, and 30-34 years of age, four women of 60-64, 25-29, 30-34, 45-49, 5 children of 7-9, 5-6, 3-4, 7-8 and two infants.

The burial contained:

A bronze finger ring; round and flat in section broader and thicker at the shoulders. A rhomboid setting held a blue glass stone (that disintegrated on removal); diameter of ring: 2.2 cm; width of setting: 1 cm (pl. VIII, 6).

Bronze finger ring, round and flat in section; broader at the shoulders to form an elongated rhomboid bezel. A representation is incised on the bezel; diameter of ring: 2 cm (pl. VIII, 7).

Silver earring; a penannular ring round in section with a silver stem soldered below, on which a small pearl bead is threaded. Diameter: 1.6 cm; length: 2 cm (pl. VIII, 9).

Silver earring, a penannular ring round in section with small round silver balls soldered below in imitation



of a bunch of grapes. Diameter: 1.6 cm; length: 1.9cm (pl. VIII, 8).

Small cowrie shell. Length 1.1cm; width 0.6 cm.

**Burial No. 3** (pl. IV) was a timbered pit grave with pebbles inserted in all four corners. Wooden planks rested on stones. It was arranged 0.6m below current ground level, and oriented west to east. The pit measures 2.06 x 0.9 m. There was a single occupant: a 5-8 year-old child buried in the Christian manner, supine and with hands folded on the chest. Fragments of bones survived. No grave goods were found.

**Burial No. 4** (pl. IV) was a cist with a stone mound 0.7 m below ground level; oriented west to east. Measures 1.8 x 1.1 x 0.6 m. Found in a poor condition. Southern longitudinal wall consisted of a single slab. Only parts of the base of the wall at the head have survived.

After removing a layer 0.3 m thick, we saw that the surface of the roof was covered with an assortment of uneven stones. A skeleton was found on this stone mound as a secondary burial in the central part. The chamber beneath measured 1.6 x 0.7 x 0.6 m.

This contained two adults: one buried in the Christian manner, but the second was so badly preserved that it was impossible to define its position. At the head wall at the east were the crania of two children aged 2-4. The principal skeletons were of males aged 65-70 and 60-64.

A round iron bracelet, round in section and its ends overlapping, was found; diameter 6.5 cm (pl. VIII, 1).

**Burial No. 6** (pl. V) was a timbered pit grave 1.00 m below ground level and measuring 1.5 x 0.45m; oriented west to east. The burial was cut into rubble, with stone slabs at the ends, 0.7 x 0.35 x 0.15 m (west) and 0.45 x 0.2 x 0.65 m (east). The side walls consisted of five vertical wooden posts, a distinctive feature not shared by any of the other timbered burials. A single burial of a woman 20-24 years old buried in the Christian manner. No grave goods were found.

**Burial No. 7** (pl. IV) was a timbered pit grave 1.00 m below ground level and measuring 1.5 x 0.4 m; oriented west to east. Small stones were placed at each end and covered with longitudinal wooden planks.

The burial contained the skeleton of child of 5-8 years lying in a crouched position on its right side, and the hands in front of the face.

Finds consisted of highly friable vitreous paste beads, round and flat (pl. VIII, 3).

**Burial No. 8** (pl. VI) was a timbered pit grave 0.8 m below ground level; oriented west to east; size of the pit: 1.5 x 0.65 m.

The burial contained a 20-24 year old female buried in a Christian manner. No grave goods were found.

**Burial No. 9** (pl. IV) was a pit grave whose northern longitudinal wall was constructed of stones of irregular sizes. It was 0.7 m below ground level; oriented west to east. Dimensions: 1.8 x 0.8 m.

Three persons were buried here: a 16-20 year-old male buried in the Christian manner; 8-10 year-old child in a crouched position on the left; and a partly preserved skeleton of a 3-5 year-old child. No grave goods were found.

**Burial No. 10** (pl. X) was a pit grave 0.5 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.8 x 0.65 m. A single, crouched burial of a 55-59 year-old woman lying on her left side and hands in front of the face. No grave goods were found.

**Burial No. 11** (pl. VI) was a timbered pit grave 0.75 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.7 x 0.7 m; walls made of planks. A single occupant: a male 65-69 years of age buried in the Christian manner, with hands folded on the breast. No grave goods were found.

**Burial No. 12** (pl. VII) was a timbered pit grave 0.8 m below ground level, oriented west to east, and measuring 2 x 0.8 m.

The pit grave was built with wooden planks on all four sides and also had timber roof. It was originally a single burial of a 55-59 year-old male; the bones had been swept to the north to make room for a female of 50-54, crouched, lying on her left side. No grave goods were found.

**Burial No. 13** (pl. VII) was a pit grave timbered on all four sides 0.85 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.6 x 0.7 m. Contained an 18-20 year-old male buried in the Christian manner, with

hands folded at the belly. No grave goods were found.

**Burial No. 14** was a timbered pit grave 0.9 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.9 x 0.65 m; it was intruded on when Burial No. 2 was constructed. Contained a 45-49 year-old male buried in the Christian manner, with the hands folded at the chest. No grave goods were found.

**Burial No. 15** (pl. VII) was a timbered pit grave 0.8 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.6 x 0.5 m; flat pebble stones are inserted outside the timbers, at the head and the end and in the four corners. Contained a 30-34 year-old female in a crouched position and hands folded at the chest. No grave goods were found.

**Burial No. 16** (pl. VII) was a timbered pit grave 0.8 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.7 x 0.7 m; flat pebble stones are inserted outside the wooden planks in the four corners. Two occupants: 6-8 and 8-10 year-old children in crouched positions lying on their left, and hands folded at the chest.

Near the hands of one of the deceased two bronze rings were found. One is flat in section, broadening towards the shoulders where there is a schematic incised representation on the bezel; diameter 1.8 cm (VIII, 5). The other is incomplete, but part, including the bezel, has survived. The latter bears a schematic incised representation, perhaps of a deity (pl. VIII, 4).

**Burial No. 17** (pl. VI) was a timbered pit grave arranged 0.7 m below ground level, oriented west to east, and measuring 1.8 x 0.75 m. A single burial of a 20-24 year-old female buried in the Christian manner, with hands folded at the belly. No grave goods were found.

\*\*\*

The excavations indicated that the Chorati cemetery was a single stratum site. Of the 17 recovered burials four are cists and the rest are pit graves lined with wooden planks. All were oriented west to east. No roofs survived, having been destroyed a result of agricultural activity.

Analogous cists with stone mounds have been excavated in at the Zhinvali cemetery (Nos 49, 50, 297) and are dated to the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries (Chikhladze 1977, 95-101).

The cist burial is the most common type in early Christian Georgia. The Chorati cists are collective family burials containing between four and 16 individuals. Similar cists have been recorded at Samtavro (Manjgaladze 1990, 11), Mtskheta, Armaziskhevi (Apakidze, Gobejishvili, Kalandadze, Lomtadidze 1955, 205), Navtsadeni (Ugrelidze 1956, 17), Zhinvali (Chikhladze 1977, 95-101), Aragvispiri, Kvemo Alevi (Apkhazava 1988, 131), Vashlijvari (Nikolaishvili 1979, 63-67) and in all contemporary cemeteries.

Pit graves of wooden beams and covered with planks are a fairly common type in cemeteries in Georgia both in the Late Classical (Chikhladze 1999, 7) and Early Medieval periods (Apkhazava 1988, 42-44).

The burials at Chorati contained rather little in the way of grave goods. These included an iron bracelet, bronze finger rings with bezels, silver earrings and beads.

Many parallels for the iron bracelet have been found in contemporary cemeteries including Samtavro (Apakidze et al. 1982, 191-198), Nedzikhvi (Robakidze 1989, 25), Zhinvali, Kvemo Alevi (Apkhazava 1988, 81), and Vashlijvari.

Silver earrings imitating bunches of grapes occur in east Georgian cemeteries from the 2<sup>nd</sup> century AD, are very common in burials of the 3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> centuries (Chikhladze 1999, 23), but are rare in cemeteries of the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries (Robakidze 1989, 17).

As for the second type of silver earring decorated with a pearl bead, it occurs from the 4<sup>th</sup> century to the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries inclusive at Nedzikhvi (Robakidze 1989, 17), Zhinvali (Chikhladze 1999, 21), Kvemo Alevi (Apkhazava 1988, 39), and Samtavro (Apakidze et al. 1982, 191-198).

Of special significance is the faceted bronze ring with a bezel perhaps representing St George. Faceted rings are common in the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> centuries: at Armaziskhevi (Apakidze, Gobejishvili, Kalandadze, Lomtadidze 1955, pl. CXVII, 9), Zhinvali (Chikhladze 1999, 75-79), Navtsadeni (Ugrelidze 1956, 19), and Telovani (Nikolaishvili 1985, 90-104).

A catacomb burial in the Zhinvali cemetery produced a bezelled bronze ring (Chikhladze 2001, 81-84). In shape, it resembles the Chorati ring. The latter requires further investigation. It is difficult to be sure of the St George identification, but if it really does show him, then it must be one of the earliest such representation found in Georgia. The burial must be dated to the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries. Cist No. 72 at Kvemo Alevi produced a bronze finger ring which scholars believe also shows St George. It too is dated to the 6<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries (Apkhazava 1988, 112).

Finger rings resembling the two from Cist No. 2 have been found in similar contexts cists dated to the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries at Samtavro (Manjgaladze 1990, 21), Nedzikhi (Robakidze 1989, 19), Kvemo Alevi (Apkhazava 1988, 112), and Zhinvali (Chikhladze 1977, 95-100).

Two similar finger rings were found in pit Burial No. 16. There are schematic representations on the bezels of both, and one might be a goddess. Similar bronze rings come from the Dagheti cemetery, Tetrtsqaro (Mirtskhulava, Maisuradze, Kopaliani, Mindorashvili, Chikhladze 2005, 25). Of the five individuals in Cist No. 43, the girl of 14 was wearing such a bronze ring, the bezel of which is better preserved. It shows a woman holding a cross in her right hand. The rings from Dagheti and Chorati are very close, and might even be the work of the same local artisan working in a Byzantine craft tradition. They must also be dated to the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries.

A parallel from an Early Medieval cemetery in the village of Darcheti, Kakheti is also close. It shows a man wearing a Byzantine royal crown surmounted by a cross whom scholars identify as the emperor Phocas (602-610) (Mamaishvili, Javakhishvili 2006, 175-177). The woman with a raised cross on the Chorati and Dagheti rings might be St. Nino.

The small cowrie shell in Cist No. 2 is typical of Early Medieval infant burials (Chikhladze 2007, 79-89).

The child's Burial No. 7 contained some white vitreous paste beads of a kind that have been found in other Early Mediaeval cists. Sometimes the number of beads point to the age of the deceased (Chikhladze 2007, 79-89).

Thus, the study of scanty but still informative grave goods from the Chorati cemetery allows us to draw parallels with contemporary burials in other regions of Georgia, and to draw certain conclusions concerning Early Medieval Georgia.

## Bibliography:

- Apakidze A., Kalandadze A., Gobejishvili G., Lomtatidze G. 1955:** armaziskhevis arkeologiuri dzeglebi (Armaziskhevi Archaeological Sites). *Mtskheta* 1. Tbilisi.
- Apakidze et al. 1982:** didi mtskheta, 1979 (Greater Mtskheta, 1979 (Results of investigation carried out on the territory of Greater Mtskheta in 1979). *Mtskheta* 6, 191-213. Tbilisi.
- Apkhazava N. 1988:** *kvemo alevi adreul shua saukuneebshi (Kvemo Alevi in Early Middle Ages)*. Tbilisi.
- Chikhladze V. 1977:** samarkhta aghnagoba da dakrdzalvis tsesi zhinvalis samarovanze (The structure of burials. Burial practices in Zhinvali cemetery). In: R. Ramishvili (ed.), *Archaeological Research. Materials of scientific sessions II and III of young researchers*, 95-100. Tbilisi.
- Chikhladze V. 1990:** *zhinvalis katakombebi (Zhinvali Catacombs)*. Preprint. Tbilisi.
- Chikhladze V. 1999:** *aragvis kheoba akhali tseltaghrikhvis I atastsleulis pirvel nakhevarshi (zhinvalis samarovnis masalebis mikhedvit) (Aragvi valley in the first half of the 1st millennium AD [in the light of the material of Zhinvali cemetery])*. Abstract. Tbilisi.
- Chikhladze V. 2001:** zhinvalis bettshedi kristeshobis stsenit (The Zhinvali Finger Ring with the Nativity). In: R. Ramishvili (ed.), *5th conference of Christian archaeology*, 79-89. Tbilisi.

- Chikhladze V. 2007:** zhinvalis samarovanze mopovebuli mdzivebi (Beads excavated in Zhinvali Cemetery). In: R. Ramishvili (ed.), *Medieval archaeological sites of Georgia*, 81-84. Tbilisi.
- Mamiashvili M., Javakhishvili K. 2006:** adre shuasaukuneta khanis samarkhi sopher darchetidan (An Early Medieval burial from the village of Darcheti). *Dziebani* 17-18, 175-178.
- Manjgaladze G. 1990:** *samtavros samarovnis kronologiistvis dzv.ts. I - akh.ts. IV ss.* (The chronology of Samtavro cemetery, 1<sup>st</sup> century BC-5<sup>th</sup> century AD). Abstract. Tbilisi.
- Mirtskhulava G., Maisuradze B., Kopaliani J., Mindorashvili D., Chikhladze V. 2005:** *samshvildis arkeologiuri ekspeditsiis 2004 tslis mushaobis angarishi. daghetis samarovani* (Report of work of the Samshvilde archaeological expedition in 2004. Dagheti cemetery). (Manuscript).
- Nikolaishvili V. 1979:** vashlajvaris samarovani (1972 tslis ganatkharis mikhedvit) (Vashlijvari cemetery (in the light of the excavations of 1972). *Problems of Georgian Archaeology*, 2, 63-77.
- Nikolaishvili V. 1985:** dighmis kheoba adreopheodalur khanashi (Dighomi valley in the Early Feudal period). *Problems of Georgian Archaeology* 3, 90-104.
- Robakidze T. 1989:** *nedzikhis samarovnis 1986-88 tslis arkeologiuri gatkhebis angarishi* (Report of the Nedzisi archaeological expedition of 1986-88). (Manuscript).
- Ugreldze N. 1956:** *adropheodaluri mtskhetis materialuri kultura, armaziskhevisa da navtsadenis arkeologiuri masalebis mikhedvit* (The material culture of Early Feudal period Mtskheta in the light of finds from Armaziskhevi and Navtsadeni). (Manuscript).

#### Illustrations:

Pl. I – Chorati cemetery, plan and section

Pl. II – Cist No. 1. Plan and section

Pl. III - Cist 21. Plan and section

Pl. IV – Pit graves with wooden planks Nos 7, 3, 4, 9. Plans and sections


Pl. V – Pit grave with wooden planks No. 6. Plan and section

Pl. VI - Pit graves with wooden planks Nos 8, 10, 11 17. Plans and sections


Pl. VII - Pit graves with wooden planks Nos 12, 13, 15, 16. Plans and sections


Pl. VIII – Finds from Chorati cemetery: 1. Iron bracelet (Burial No. 4); 2. Bronze finger ring with a rider on the bezel (Burial No. 1); 3. Glass bead (burial No. 7); 4. Bronze finger ring, incomplete, with the representation of a ?goddess (Burial No. 16); 5. Bronze finger ring with the representation of a ?goddess (Burial No. 16); 6. Bronze finger ring (Burial No. 2); 7. Bronze finger ring (Burial No. 2); 8. Silver earring (Burial No. 2); 9. Silver earring (Burial No. 2)


Pl IX – 1. Cist No. 1 after opening, 2. Cist No. 2 before opening.




II






















VI





VIII





## დავით მინდორაშვილი

## თისელის ნასოფლარი

თისელის ნასოფლარი მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, ახალციხის რ-ნში, სოფ. თისელიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლ. 1 კმ-ის დაშორებით, ზღვის დონიდან 1200 მ-ზე. სოფელთან სიახლოვის გამო ძეგლს „თისელის ნასოფლარი“ შეერქვა. თუმცა, ეს ძეგლი, როგორც ჩანს, თავის დროზე წარმოადგენდა თისელისაგან ცალკე, დამოუკიდებლად არსებულ სოფელს, რომლის იდენტიფიკაცია წერილობით წყაროებში შემორჩენილ ამ რეგიონის ნასოფლარების სახელთან შეუძლებელია. საფიქრებელია, რომ ნასოფლარის ცენტრი მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, რაზედაც მიუთითებს განათხარი ფართობიდან 300 მ-ით დაშორებული დარბაზული ტიპის, დღეისათვის თითქმის საძირკვლამდე დანგრული ეკლესია.

ნასოფლარი სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია მთებით, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან აკრავს გაშლილი ველი. ძეგლს დასავლეთიდან დაახლ. 1,5 კმ-ის დაშორებით ჩამოუდის პატარა მდინარე თისელი, რომელიც მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადია.

განათხარი ნასოფლარის ნაშთი შემორჩენილია ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, რომლებიც განლაგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით დაქანებულ ფერდობზე (ტაბ. I). არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი და შესწავლილი იქნა ოთხი ძირითადი ნაგებობა.

ნაგებობა № 1 მდებარეობს გათხრილი ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში. გეგმით ის არაწესიერი სწორკუთხედიანია, წაგრძელებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (6,8×8,1 მ). კედლები ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით, წყობა მშრალია, პერანგებად გამოყენებულია მოზრდილი ქვები. მათ შორის არსებული სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. კედლები შემორჩენილია 0,7-1 მ სიმაღლეზე. მათი სიგანე მერყეობს 0,7-0,9 მ შორის. კედლების გარეპირები უსწორმასწოროა. აშკარაა, რომ მათ გარედან, გარკვეულ სიმაღლემდე (არსებული მონაცემებით 1 მ-ზე მაინც) მიწა ფარავდა, ანუ ნაგებობა ნახევრადმიწური იყო. არსებული სურათით არ ირკვევა, რომელ მხარეს ჰქონდა ნაგებობას შესასვლელი. სავარაუდოდ, ის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო (ტაბ. II).

ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია კლდის ფლეთილი ფილებით გადახურული სანრეტი არხი (სანრეტის სიგრძე 4,3 მ, სიგანე 0,15-0,25 მ, სიმაღლე 0,05-0,10 მ). ფილების ქვეშ, ნიადაგში, ამოჭრილია ღარი (სიგრძე 0,10 მ, სიგანე 0,08 მ) (ტაბ. II). ნაგებობა საქონლის სადგომი — ბაგა იყო. ამაზე, გარდა იქ მიკვლეული სანრეტი არხისა, მიუთითებს შენობის უჩვეულო, არაწესიერი გეგმა. აგრეთვე ის, რომ იქ არ აღმოჩენილა თონე ან კერა — გამათბობელი საშუალება, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობის განუყოფელი ნაწილია. ნაგებობაში კერამიკის სულ რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა.

№ 1 ნაგებობას სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ებმის № 2 ქვაფენილიანი ნაგებობა (ტაბ. III). თხრილში ნაგებობის მხოლოდ მცირე ნაწილი, ერთი კუთხეა შემორჩენილი. მისი დიდი ნაწილი თხრილის გარეთაა მოქცეული. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე. მისი ჩრდილო-დასავლეთი კედელი ქვების ერთი რიგითაა შედგენილი. კედლის სიგრძე 2,9 მ, სიგანე 0,30-0,35 მ, სიმაღლე შემორჩენილია 0,55 მ-ზე. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის მხოლოდ ორიოდ ქვაა გამოვლენილი. წყობა მშრალია. მშენებლობაში გამოყენებულია კლდის ფლეთილი

ქვები. იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული (ფილების საშუალო ზომები: 0,65×0,40 მ, 0,45×0,35 მ, 0,50×0,30 მ) (ტაბ. II). ქვის ფილებით მოგებული ნაგებობები ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ძირითადად საქონლის სადგომებად გამოიყენებოდა [ჩიქოვანი 1976: 66]. არაა გამორიცხული, რომ ამ ნაგებობასაც ბაგის ფუნქცია ჰქონდა.

№ 2 ქვაფენილიანი ნაგებობიდან ჩრდილო-დასავლეთით 0,30 მ-ის დაშორებით გამოვლინდა ქვიშაქვის საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვებით ნაგები სამეურნეო ორმო — ხარო. მისი ზედა ნაწილი ვიწროა, ქვემოთ თანდათან ფართოვდება (ხაროს სიღრმე 1,85 მ, პირის დმ - 0,75 მ, მიწა-ტკეპნილი ძირის დმ - 1,6 მ, კედლების სისქე 0,30-0,60 მ) (ტაბ. III, IV). ხარო შუასაუკუნეების აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს საცხოვრებელი ნაგებობების განუყოფელი ნაწილია. მასში ინახებოდა ოჯახის მიერ მოწეული მარცვლეულის დიდი ნაწილი. ხაროები სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გასული საუკუნის 30-40-იან წლებამდე იყო შემორჩენილი [ჩიქოვანი 1976: 54].

№ 3 ნაგებობა მდებარეობს № 1 ნაგებობის დასავლეთით, 3 მ-ის დაშორებით. სხვა ნაგებობების მსგავსად, თხრილში ისიც არასრულადაა გამოვლენილი. ნაგებობა არანესიერი გეგმისაა, დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე (ტაბ. III). თხრილში მისი ფართობი გამოვლინდა 6,6×2,9 მ-ზე. თხრილის გარეთაა მოქცეული შენობის ჩრდილო-დასავლეთი კედელი. კედლები ნაგებია ქვიშაქვის დაუმუშავებელი ქვებით. წყობა მშრალია. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი შემორჩენილია 1,15 მ სიმაღლეზე. სხვაგან კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0,30-0,50 მ აღწევს. კედლების სისქე 0,55-0,80 მ-ია. № 1 ნაგებობის მსგავსად, აქაც კედლების გარეთა ნაწილი უსწორმასწოროადაა ამოყვანილი, ანუ მათი ნაწილი გარკვეულ სიმაღლეზე მიწით ყოფილა დაფარული. იატაკი მიწატკეპნილია. ნაგებობას შესასვლელი უნდა ჰქონოდა ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სადაც შემორჩენილია ხის სამი ძელის ფრაგმენტი. ერთ-ერთი ძელის სიგრძე 1 მ აღწევს, დმ. 0,15-0,20 მ. კარის სიგანე დაახლოებით 1 მ უნდა ყოფილიყო (ტაბ. III).

ნაგებობის შესასვლელიდან 0,90 მ დაშორებით გამოვლინდა ქვებით შედგენილი წრიული კერა, რომლის კიდეები თიხით იყო მოლესილი (კერის დმ. 0,55 მ) (ტაბ. III). ნაგებობა საცხოვრებელია, რაზეც მეტყველებს იქ აღმოჩენილი კერის ნაშთი.

№ 4 ნაგებობა მდებარეობს № 3 ნაგებობიდან დასავლეთით 2,1 მ-ის დაშორებით. სხვა ნაგებობის მსგავსად გეგმით ისიც არანესიერი სწორკუთხედიანია. შენობის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი თხრილის გარეთაა დარჩენილი. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი ქვებით. პერანგებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია წვრილი ქვებით. თხრილში შენობის ფართობი 9×5 მ-ია. 1-1,2 მ სიგანის კედლები შემორჩენილია 1,2 მ სიმაღლეზე. იატაკი მიწატკეპნილია. ნაგებობას შესასვლელი უნდა ჰქონოდა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რომელიც თხრილის გარეთაა მოქცეული (ტაბ. III).

შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ გამოვლინდა ორი თონე. პირველი თონის ზომები: შემორჩენილი სიმაღლე - 0,22 მ, დმ. - 0,60-0,65 მ, კედლის სისქე - 0,06 მ (ტაბ. III). მასში აღმოჩნდა მწვანედ მოჭიქული სამარილის ნატეხი (ტაბ. XVII<sub>14</sub>). მეორე თონე უფრო დიდია. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე - 0,40 მ, დმ. - 0,70-0,85 მ, კედლის სისქე - 0,04 მ (ტაბ. III). თონეში აღმოჩნდა თხელკედლიანი სასმისის ფრაგმენტი (ტაბ. XIII<sub>6</sub>). ორივე თონე ე.წ. „ქართული თონის“ ტიპისაა. მათი ნაწილი იატაკის დონის ქვეშაა მოქცეული. ნაწილი კი ამოდის იატაკის დონის ზემოთ.

თონეებს შორის აღმოჩნდა ქვიშაქვის ვერტიკალურად ჩადგმული ქვებით შედგენილი ხუთკუთხა გეგმის ღრმა კერა, რომელთა დიამეტრები შესაბამისად 0,50-0,55 მ-ია, სიღრმე კი 0,40 მ (ტაბ. III).

მეორე თონის სამხრეთით, 0,60 მ-ის დაშორებით, იატაკში ჩადგმული იყო თოკისებური ორნამენტით შემკული ჩაკირული ქვევრი, რომელსაც თავზე ეფარა ბრტყელი ქვა. ქვევრის ზომები: სიმაღლე 1 მ, მუცლის დმ. 0,60 მ (ტაბ. III).

ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე შემორჩენილია T-ს მაგვარი გეგმის მქონე ქვიშაქვის პატარა ზომის ვერტიკალურად ჩადგმული ქვებით შედგენილი წყალსაწრეტი, რომელიც გადახურული იყო ქვიშაქვისავე ბრტყელი, მოგრძო ფილებით (ტაბ. III). მათი დიდი ნაწილი აღარ იყო შემორჩენილი. წყალსაწრეტის ერთი ტოტი დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთ ხაზზე. ზომები: შემორჩენილი სიგრძე – 2,1 მ, სიგანე – 0,25 მ, სიმაღლე – 0,10-0,15 მ. წყალსაწრეტის ეს ტოტი უერთდება მის პერპენდიკულარულად მდებარე მეორე ტოტს, რომლის სიგრძე – 2,8 მ-ია, სიგანე – 0,25 მ, სიმაღლე – 0,10-0,15 მ. საცხოვრებელ ნაგებობაში წყალსაწრეტის არსებობა ამ ადგილებში გრუნტის წყლების სიჭარბეზე უნდა მიუთითებდეს. უეჭველია, წყალსაწრეტი ნაგებობის გარეთ გადიოდა. სამწუხაროდ, ის ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ნაგებობაში გამოვლინდა თიხის ჭურჭლის მოჭიქული და სადა ნატეხები.

№ 4 ნაგებობის დასავლეთით 4x2 მ ფართობის ბაქანია (ტაბ. V), რომელსაც ებმის № 5 ნაგებობა (6x7,5 მ). ის სხვა ნაგებობის ანალოგიურადაა ნაშენი. 1 მ სიგანის კედლები შემორჩენილია 0,40-0,50 მ სიმაღლეზე. შესასვლელი უნდა ჰქონოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. შენობა ნახევრადმინური ყოფილა (ტაბ. V). ამაზე მეტყველებს კედლების ფასადის არანესიერი წყობა. ნაგებობა ძლიერ ხანძარშია მოხვედრილი. მიწატკეპნილ იატაკზე შემორჩენილია დამწვარი ძელის ნაშთები. ხანძრის კვალი კედლებზეცაა შემორჩენილი. შენობაში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

თისელის ნასოფლარის გათხრებისას მიკვლეული არქეოლოგიური მასალის უდიდესი ნაწილი კერამიკაა (275 ერთეული). გვხვდება ლითონის (6 ერთეული), ქვისა (4 ერთეული) და მინის ნივთებიც (1 ერთეული).

ნასოფლარის კერამიკული ნაწარმი იყოფა სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლად.

**სამეურნეო კერამიკა.** ქვევრები პირ-გვერდისა და ძირის ნატეხებითაა შემორჩენილი. გამომწვარია ნითლად. კეცი უხეშია. პირსა და გვერდებზე შემოუყვებათ ორნამენტი. გვხვდება როგორც სადა, ისე რელიეფური სარტყლებით შემკული ნიმუშები. ქვევრის ძირები ბრტყელია (ტაბ. VI<sub>1-7</sub>).

მსგავსი ფორმისა და შემკულობის ქვევრები ძალზე დამახასიათებელია გვიანდელი შუასაუკუნეების ქართული მატერიალური კულტურისათვის. ანალოგიური ქვევრები აღმოჩენილია თბილისში, ერეკლე II-ეს მოედანზე [გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961: ტაბ. 27, სურ. 162], უფლისციხეში [მინდორაშვილი 1990: ტაბ. XIV<sub>2</sub>], ქვემო ქართლში (ლოქის ხეობა) [ბოხოჩაძე 1973: 75], ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე [ისაკაძე 2006: 21] და არაერთ სხვა ძეგლზე.

დერგები შემორჩენილია პირ-გვერდისა და ყურის ნატეხებით. გამომწვარია ნითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. მათი ერთი ნაწილი სადაა. პირები ბრტყელია, ყელი დაბალი (ტაბ. VII<sub>1</sub>). ყურები მასიურია, ბრტყელგანივკვეთიანი (ტაბ. VII<sub>3</sub>). სადა ნიმუშების გარდა გვხვდება შვერილებით ან ამოღარული ორნამენტით შემკული ყურები (ტაბ. VII<sub>2,4</sub>). ზოგიერთი დერგი შეღებილი ყოფილა ნითლად.

**სამზარეულო კერამიკა.** კეცები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. გამომწვარია ნითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. კეცები სხვადასხვა ზომისაა. ზოგიერთი შემკულია ნაჭდევით ორნამენტით გამოყვანილი ჯვრით (ტაბ. VII<sub>5</sub>). გვხვდება ოვალურგანივკვეთიანი სახელურის მქონე კეცებიც. სახელური შემკულია ღრმა ღარით (ტაბ. VII<sub>6</sub>). კეცები ხელითაა ნაძერნი.

კეცები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი აღმოსავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების ძეგლებზე: თბილისში [ლომთათიძე 1955: 153], ჯავახეთის ახალქალაქში [ჯვანდიერი 1969: 65], ფშავის არაგვის ხეობაში [რჩეულიშვილი 1990: 73], ერწო-თიანეთში [ჯორბენაძე 1982: 94], უჯარმაში [ლომთათიძე 1989: 207], თელავში [ჩიკოიძე 1979: 49] და სხვ. სამზარეულო კერამიკის ეს ჯგუფი დიდხანს ინარჩუნებს ფორმის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ შუასაუკუნეების კეცები ფორმით თითქმის არ განსხვავდება ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი კეცებისაგან [მასალები . . . 1979: 108, სურ. 38].



ქოთნები ყველაზე მრავალრიცხოვანია. გამომწვარია ნითლად. თიხა მსხვილმინარევიანია. მათი უმრავლესობა ნატეხების სახითაა შემორჩენილი. ქოთნებს აქვს გაშლილი პირი (ტაბ. VIII<sub>1</sub>). ჭურჭლებზე ორნამენტი წარმოდგენილია ამოღარული, სწორი და ტალღოვანი, ზოგჯერ კი კონცენტრული ხაზების ან რელიეფური სარტყელის სახით (ტაბ. X<sub>1-6</sub>; ტაბ. XI<sub>3,5</sub>). ზოგიერთს ყურზე დაძერწილი აქვს კოპი (ტაბ. VIII<sub>2</sub>) ან ამკობთ ამოღარული წრიული და მოგრძო ნაჭდევები (ტაბ. IX<sub>2,3</sub>). ზოგიერთი ქოთნის ყელი შემკულია რელიეფური დანაძერწით (ტაბ. XI<sub>1</sub>).

ქოთნების რამდენიმე ნიმუში აღდგა. ერთ-ერთ ქოთანს აქვს გაშლილი პირი, დაბალი ყელი, ოდნავ გამობერილი მხრები. ყურის მხართან მიერთების ადგილას აქვს ოვალური ნაჭდევი. პირი შემკულია რელიეფური დანაძერწით. მხარზე შემოუყვება ამოღარული ტალღოვანი სარტყელი. ჭურჭლის მხარი შემკულია ამოკანრული ჯვრის გამოსახულებით (ტაბ. IX<sub>5</sub>).

მასზე თითქმის ორჯერ პატარაა ქოთანი, რომელსაც აქვს გაშლილი პირი, დაბალი ყელი, სფეროსებური მუცელი. ყურის მხართან მიერთების ადგილას შემკულია ოვალური ნაჭდევი. ჭურჭელი ნაპრიალებია წნევით დატანილი ვერტიკალური ზოლებით (ტაბ. IX<sub>6</sub>). დაახლოებით იმავე ფორმის უნდა იყოს ყურმოტეხილი ქოთანი (ტაბ. X<sub>4</sub>).

ხუფები გამომწვარია ნითლად. თიხა მსხვილმარცვლოვანია. ყველა მათგანი შებოლილია. ხუფები დისკოსებურია, ცილინდრული (ტაბ. VI<sub>6</sub>) ან კონუსური სახელებით. ერთ მათგანს დისკოზე აქვს ნახვრეტი ორთქლის ცირკულაციისათვის (ტაბ. VI<sub>8</sub>).

ქილები ქოთნებისაგან განსხვავდება ვიწრო და მაღალი ყელით. აქვთ სწორი ან ოდნავ გაშლილი პირი (ტაბ. XII<sub>6,9</sub>). ჭურჭლის ნატეხები სადაა, ხაოიანი ზედაპირით. პირზე შემოუყვებათ ამოღარული ან რელიეფური სარტყელი (ტაბ. XII<sub>3,5</sub>). ზოგიერთს პირზე დაძერწილი აქვს კოპი (ტაბ. XII<sub>1,2</sub>). გამომწვარია ნითლად. თიხა მსხვილმინარევიანია.

**სუფრის ჭურჭელი.** ხელადები ყურისა და ყელის ნატეხებითაა შემორჩენილი. ყურები მრგვალ და ბრტყელგანივკვეთიანია (ტაბ. XIII<sub>1,8</sub>). საინტერესოა ერთი ხელადისა თუ სასმისის მრგვალგანივკვეთიანი, ღრუ ყურის ნატეხი (ტაბ. IX<sub>7</sub>). ერთ-ერთი ხელადის ყელის ნატეხი მოხატულია ნითელი საღებავის ორი ზოლით (ტაბ. IX<sub>8</sub>).

ჯამები გამომწვარია ნითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. მათში გამოიყოფა დიდი, საშუალო და მცირე ზომის ჯამები. პირის მოყვანილობის მიხედვით ჯამებში გვხვდება:

1. პირმოყრილი ჯამები (ტაბ. XIV<sub>11</sub>; ტაბ. XV<sub>4,9</sub>).

2. სწორპირიანი ჯამები (ტაბ. XIV<sub>3</sub>; ტაბ. XV<sub>3,7</sub>). მათგან ზოგიერთი პირწალარულია (ტაბ. XIV<sub>13</sub>) ან აქვს ანეული კიდე (ტაბ. XIV<sub>4</sub>; ტაბ. XV<sub>2,6</sub>).

3. პირგაშლილი ჯამები დაბალი მხრებით, რომელზეც შემოუყვება ნიბო (ტაბ. XIV<sub>15</sub>; ტაბ. XV<sub>1,5,8</sub>).

4. დაბრტყელებულპირიანი ჯამები, გარეთ განეული კიდით. მხრებზე შემოუყვებათ ამოღარული სარტყელი ან რელიეფური ორნამენტი (ტაბ. XIV<sub>1,2,5-10,12,14,17</sub>).

ჯამების ძირები სამი სახისაა: 1. ბორბლისებურძირიანი (ტაბ. XVI<sub>1-6</sub>), 2. ბრტყელძირიანი (ტაბ. XVI<sub>7-10</sub>) და 3. შეღარული ძირით (ტაბ. XVI<sub>11-13</sub>).

ჯამების ფორმებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ნითლად გამომწვარი, პირმოყრილი, მაღალკალთიანი ჯამი, რომელსაც გარედან შემოუყვება ნიბო. განვითარებული შუასაუკუნეების ჯამებისაგან განსხვავებით ის ხასიათდება დაბალი ვიწრო ქუსლითა და ოდნავ შეღარული ძირით (ტაბ. IX<sub>1</sub>).

სასმისები სუფრის ჭურჭლებს შორის ერთ-ერთი საინტერესოა ჯგუფია. გამომწვარია მოყვითალოდ, თიხა წმინდადაა განლექილი, კეცის სისქე 2-3 მმ. სასმისებს აქვს ოდნავ გაშლილი პირი. ბრტყელგანივკვეთიანი, ზოგჯერ ჩალარული ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირზე ან მხარზე. სასმისების ზედაპირი ნაპრიალებია. ზოგიერთი შემკულია შიგნიდან ამოზნექილი კოპებით ან მხარზე დატანილი ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით (ტაბ. IX<sub>9,10</sub>).

ანალოგიური სასმისები ქართული კერამიკის ძალზე დამახასიათებელი ფორმაა. ისინი ფართოდაა გავრცელებული მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. თხელკედლიანი სასმისები აღმო-

ჩენილია: თბილისში [გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961: ტაბ. XXX<sub>219</sub>], რუსთავეში [ჩხატარაშვილი 1964: 172, 173, ტაბ. IV<sub>გ</sub>], უჯარმაში [ლომთათიძე 1989: ტაბ. XXX<sub>203,320,498</sub>], იყალთოში [რამიშვილი, ჭეიშვილი 1967: 85-89], ივრის სიონის სამაროვანზე [რამიშვილი 1970: ტაბ. XXVIII<sub>1</sub>], ჟინვალის სამაროვანზე [ჯორბენაძე 1983: 93], უფლისციხეში [მინდორაშვილი 1990: 87], ქვემო ქართლის კლდის ძეგლებზე [ბახტაძე 1991: ტაბ. XIII<sub>14,17</sub>], და სხვ. ჩამოთვლილ ძეგლებზე ამგვარი ჭურჭელი ძირითადად XII-XIV სს-ით თარიღდება, მაგრამ ჩანს, ისინი მოგვიანებითაც, კერძოდ XV-XVI სს-შიც უმზადებიათ.

**მოჭიქული ჯამები** ცოტაა (14 ერთეული). გამომწვარია წითლად. თიხა წვრილმარცვლოვანია. მოჭიქვის ხერხების მიხედვით მათში გამოიყოფა:

1. შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამი (ტაბ. XVII<sub>1</sub>)
2. შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამი (ტაბ. XVII<sub>2</sub>)
3. ანგობირებულ ზედაპირზე ამოკანრული ხაზებით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამი (ტაბ. XVII<sub>3</sub>).

4. ანგობირებულ ზედაპირზე ამოკანრული ხაზებით მოხატული და მრავალფრად მოჭიქული ჯამები (ტაბ. XVII<sub>4-7</sub>). მათ შორის გვხვდება ცხოველის გამოსახულებითა და მცენარეული ორნამენტით შემკული ნიმუში (ჯამის გვერდზე შემორჩენილია ცხოველის ყვითლად შეღებილი ყურები) (ტაბ. XVII<sub>8</sub>).

5. მწვანედ მოჭიქული ჯამები (ტაბ. XVII<sub>9,10</sub>).

6. ცისფრად მოჭიქული ჯამი (ტაბ. XVII<sub>11</sub>).

7. ჯამის თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოხატულია იისფერი და მწვანე ზოლებით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური (ტაბ. XVII<sub>12</sub>).

8. ვარდისფერი ანგობით დაფარული ჯამი მოხატულია იისფერი და ცისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. ჯამის ნატეხისგან დამზადებულია დისკო (ტაბ. XVII<sub>13</sub>).

9. ჯამების გარდა, მოჭიქულ ჭურჭელში გვაქვს მწვანედ მოჭიქული სამარილის ძირი, რომლისგანაც დამზადებულია თიხის დისკო (ტაბ. XVII<sub>14</sub>).

**ლითონის ნივთები.** ლითონის ნივთებიდან ორი სპილენძის ნახევარსფეროსებური ფირფიტაა, რომელთაც კიდეებზე შემორჩენილი აქვთ ორ-ორი ნახვრეტი (ტაბ. XVII<sub>15</sub>). საფიქრებელია, რომ ისინი სამკაულის დეტალს წარმოადგენდნენ.

რკინის 4 ნივთიდან ერთი 7,5 სმ სიგრძის წვეტანაა (ტაბ. XVII<sub>16</sub>). მეორე — ქარქამის ფრაგმენტი (ტაბ. XVII<sub>17</sub>). განათხარ მასალაში გვხვდება 11 სმ სიგრძის ცალპირლესული სწორტანიანი დანის ფრაგმენტი (ტაბ. XVII<sub>18</sub>). ხარის ნალი უნდა იყოს რკინის ფრაგმენტი, კიდეზე შემორჩენილი ორი ნახვრეტი (ტაბ. XVII<sub>19</sub>).

**ქვის ნივთები.** ქვის ნივთები 4 ერთეულია. მათ შორის გვხვდება: 1. ობსიდიანის ანატკეცი (ტაბ. XVII<sub>20</sub>); 2. კაჟის ნამგლის ჩასართი, რეტუშირებული სამუშაო პირით. სიგრძე 4 სმ (ტაბ. XVII<sub>21</sub>). ორივე ნივთი გვიანდელი შუასაუკუნეების კულტურულ ფენაში შემთხვევითაა მოხვედრილი; 3. ქვის ბირთვი — შურდულის ქვა. დმ 6 სმ (ტაბ. XVII<sub>22</sub>). შურდულის ქვები ხშირად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების ძეგლებზე (თბილისი, უფლისციხე, გონიო და სხვ.)

4. ქვის გახვრეტილი დისკო, დმ 4 სმ (ტაბ. XVII<sub>23</sub>). ნივთი სარიტუალო დანიშნულების უნდა იყოს. გვიანდელი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ისინი ხშირად გვხვდება სხვადასხვა პერიოდის, მათ შორის შუასაუკუნეების ძეგლებზე.

**მინის ნივთი.** სამაჯური ძეგლის გათხრებისას აღმოჩენილი მინის ერთადერთი ნივთია. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი შავი მინისაგან (ტაბ. XVII<sub>24</sub>).

საქართველოში იშვიათად მოიძებნება განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლი, სადაც არ იყოს აღმოჩენილი სხვადასხვა ფორმისა თუ ფერის მინის სამაჯურები [დოლაბერიძე 1969: 98; უგრელიძე 1963: 65]. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მინის სამაჯურებისათვის შემუშა-

ვებულ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას [დოლაბერიძე 1969: ტაბ. I, II], თისელის მინის სამაჯური ნასოფლარზე გამოვლენილ არტეფაქტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნივთად შეიძლება მივიჩნიოთ და XIV ს-ის მიწურულით დავათარილოთ. ქვევრების ფორმა-მოყვანილობასა და დეკორში, ქოთნების, ჯამებისა და სასმისების ფორმებში, მოჭიქული კერამიკის ფორმებსა და დეკორში, ერთი მხრივ თითქოს შეიმჩნევა განვითარებული შუასაუკუნეების (XIII-XIV სს.) ნივთებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ არტეფაქტებს უფრო მეტად გვიანდელი შუასაუკუნეების იერსახე აქვთ. განსაკუთრებით ეს ითქმის ქვევრების, ქოთნებისა და ჯამების ფორმებზე.

ძეგლის არსებობის ზედა თარიღი XVI ს-ზე უფრო გვიანდელი პერიოდით არ უნდა განისაზღვროს, რადგან იქ არ ჩანს ოსმალთა ბატონობის ხანის ამსახველი ნივთები. თურქული ნაწარმი – ჩიბუხები, ფაიანსი და სხვა, რომლებიც გვხვდება ოსმალთა მიერ იმ დროისათვის დაპყრობილ, მათ შორის დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებზე გამოვლენილ გვიანდელი შუასაუკუნეების თითქმის ყველა ძეგლზე. მსგავსი ნივთები ნასოფლარზე საერთოდ არ ჩანს. მაგრამ თუ ძეგლზე არსებულ ძლიერი ცეცხლის კვალს გავითვალისწინებთ, არაა გამოსარიცხი, ის მოსაზრება რომ სოფელი ოტომანთა იმპერიის თავდასხმებს შეეწირა. ვფიქრობთ, თისელის ნასოფლარის თარიღად XV-XVI სს. უნდა მივიჩნიოთ.

თისელის ნასოფლარის განათხარი ნაგებობები წარმოადგენს მოზრდილი ნასოფლარის ნაწილს. იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა უფრო დიდი ტერიტორიის გათხრა, შეუძლებელია იმის დადგენა, გათხრილი ნაგებობები შეადგენდა ერთი ოჯახის საცხოვრებელ კომპლექსს, თავისი დამხმარე სამეურნეო სათავსოებით, თუ ეს იყო ორი (ან მეტი) ოჯახის კუთვნილი ნაგებობები.

ნასოფლარი ერთფენიანი ძეგლია. საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები ერთმანეთთან ახლოს, გვერდიგვერდაა განლაგებული. როგორც საცხოვრებელი, ისე სამეურნეო დანიშნულების ოთახები ერთი სამშენებლო ტექნიკითაა ნაგები. მშენებლობაში გამოყენებულია კლდის ფლეთილი, დაუმუშავებელი ქვები. შემაკავშირებელი მასალა თიხა-მინაა. ნაგებობები წარმოადგენს ნახევრად მიწურებს. მათი კედლები გარკვეულ სიმაღლეზე მიწით იყო დაფარული. საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა იატაკი მინატყეპნილია. გვხვდება ქვით მოგებული იატაკის მქონე ნაგებობაც, რომელიც ეთნოგრაფიული პარალელების მიხედვით [ჩიქოვანი 1976: 66] შეიძლება საქონლის სადგომი იყოს. საცხოვრებელ ნაგებობაში აუცილებლად გვხვდება კერა და თონეები. საცხოვრებელ შენობაში გაუმართავთ ქვევრიც, რაც ნაკლებადაა დამახასიათებელი შუასაუკუნეების ქართული საცხოვრებელი კომპლექსებისათვის. ქვევრებისათვის ყოველთვის ცალკე იყო გამოყოფილი საგანგებო ნაგებობა — მარანი. გათხრებისას არ აღმოჩენილა კრამიტები (ერთი ნატეხის გარდა, ტაბ. VI<sub>10</sub>), რაც იმის მაუწყებელია, რომ ნაგებობებს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდათ.

განათხარი მასალა (ნაგებობები, არტეფაქტები) გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის სოციალურ სტატუსზე და მათ სამეურნეო საქმიანობაზე. უდავოა, რომ ნასოფლარზე ცხოვრობდა უშუალო მწარმოებელი ფენა — გლეხობა.

ჰუმუსის საკმაოდ მაღალი შემცველობა და ხელსაყრელი კლიმატური პირობები ოდითგანვე დიდად უწყობდა ხელს ამ მიდამოებში ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას. ანტიკური ხანიდან მოყოლებული მთელი შუასაუკუნეების მანძილზე სამცხეში ითესებოდა მარცვლეულის ისეთი ჯიშები, როგორიცაა: დოლის პური, დიკა, ქერი, ჭვავი, ასლი, თავთუხი, იფქლი [ჩიქოვანი 1979: 78]. სამცხე ყოველთვის განთქმული იყო მემინდვრეობის მაღალი კულტურით და გათხრებისას გამოვლენილმა მასალებმაც ეს თვალნათლივ დაადასტურა.

ნასოფლარზე აღმოჩენილი თონეები, კეცები იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი მარცვლეული კულტურების მოყვანა იყო. მემინდვრეობის კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს მოზრდილი ორმოს — ხაროს აღმოჩენაც (ტაბ. III, IV).

ათასწლეულების განმავლობაში იქ, სადაც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად მემინდვრეობა ყალიბდებოდა, მის პარალელურად სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის სათავს-საცავები იქმნებოდა. ამ საცავებიდან ერთ-ერთი ყველაზე უძველესია ხარო [ჩიქოვანი 2004: 155]. მარცვლეულის შენახვის გარდა ხარო სამალავადაც გამოიყენებოდა მტრის შემოსევის დროს. მას უმთავრესად ეზოში, და ზოგჯერ სახლშიაც აკეთებდნენ. მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ ოჯახის წევრებმა იცოდნენ [ჩიქოვანი 1976: 70]. გათხრებისას გამოვლენილ ხაროებსა და გასული საუკუნის 30-40-იან წლებამდე ჩვენში შემორჩენილ ეთნოგრაფიულ ხაროებს შორის აღნაგობის მხრივ რაიმე განსხვავება არ შეინიშნება. ამ რაიონში მემინდვრეობის მაღალი დონეს ადასტურებს XIV-XVI სს-ის წერილობითი წყაროებიც, კერძოდ თისელის მონასტრის ხელნაწერთა მინაწერები. სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე მათგანს: „შემოგწირე ... თისელისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა მონასტერსა მე, შველაძემან იმარინდო-ყოფილმან იოსებ ... ყანა“, „თისლისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა მონასტერსა მე ხუციისძემან ანტონ შემოგწირე ყანა“, „შემოგწირეთ თქუენ, თისლისა ღმრთისმშობლისა მონასტერსა მე, ქურციკამან ყანა“, „თისლისა ღმრთისმშობლისა მონასტერსა მე, თილისძემან გიორგი, შემოგწირე ჩემი მამული ლობანს, ვარდანაულისა ქვემოთი ყანა“, „შემოგწირე მე, სეფედავლაშვილმან ნონამან თქუენ, თისლისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა მონასტერსა ყანა“, „შემოგწირე თქუენ, თისლისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა მონასტერსა მე, ქურციკისძემან მახარებელმან ყანა“ [თისელისა ... 1986: 16, 25, 28, 29, 31-34].

თისელის ნასოფლარზე აღმოჩენილია ქვევრის ნატეხები, მათ შორის მთელი ქვევრიც, რაც უდავოს ხდის, რომ მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა მევენახეობა-მელვინეობა. მევენახეობა მესხეთის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი უძველესი დარგია. ჯერ კიდევ პროკოფი კესარიელი აღნიშნავდა, რომ მესხები „მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის“ [გეორგიკა 1965: 127; ჩიქოვანი 1979: 88]. ის, რომ მეურნეობის აღნიშნული დარგი დიდად იყო დანინაურებული ამ მხარეში, მიუთითებს იგივე თისელის მონასტრის ხელნაწერთა XIV-XVI სს-ის მინაწერები, სადაც მოხსენიებულია მარნები სოფ. ტყემლანაში. წყაროებში ასევე აღნიშნულია თუ როგორ სწირავენ ცალკეული პირები თისელის მონასტერს ვენახებსა და ღვინოს: „შემოგწირე ... თისლისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა მონასტერსა მე, ლალმაგაშვილმან დავით ტყემლუანს ყანა მარანთა უკან“, „შემოგწირე ... თისლისა ღმრთისმშობელსა და თქუენსა მონასტერსა ტყემლუანას ვენახი“, „მე, ბასილაშვილმან ნონამან შემოგწირე თქუენ, თისლისა ღმრთისმშობლისა მონასტერსა ორმოცი თანგა საალაპეთ“, „მე, სიაოშა, ვიყიდე ... ნავენახევი და მივეც საშენებლად ლაკლაკისძესა სანახევროდა; და ... შევსწირე თისლისა ღმრთისმშობელსა“ [თისელისა ... 1986: 17-19, 30, 33].

არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, წერილობითი წყაროების ცნობებიც თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ ნასოფლარის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგები მარცვლეული კულტურების წარმოება და მევენახეობა-მელვინეობა იყო.

მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა. განათხარი ნაგებობებიდან ორი, კერძოდ № 1 და № 2 ნაგებობა საქონლის სადგომი ბაგა უნდა ყოფილიყო.

ტრადიციულად მესხეთში ყველა სოფელს თავისი საზაფხულო საძოვარი ჰქონდა. ამ რეგიონისთვის ასეთ საზაფხულო საძოვარს წარმოადგენდა თისელის მთა, რომლითაც სარგებლობდნენ თისლელები, აწყურელები, ტყემლანელები, საყუნეთელები [ჩიქოვანი 1979: 94]. სავარაუდოა, რომ თავის დროზე ეს საძოვარი ჩვენს მიერ გათხრილი ნასოფლარის მოსახლეობის მიერაც ინტენსიურად იყო გამოყენებული.

ჩანს, ნასოფლარს თავის დროზე საკმაოდ ხელსაყრელი ტერიტორია ეკავა არა მარტო იმიტომ, რომ მის გარშემო იყო საკმაოდ მდიდარი და ნაყოფიერი სახნავ-სათესი თუ სათიბ-საძოვარი მიწები, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ ის მარჯვე გადასასვლელებითა და გზებით უკავშირდებოდა ახლომახლო მდებარე პუნქტებს. ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობის ავლით, ნასოფლარი უკავშირდება სოფელ ტაძრისს, საიდანაც გზა მიემართებოდა ბორჯომისაკენ. ხოლო

მდ. თისელის პატარა, ვინრო ხეობის აყოლებით ნასოფლარი უკავშირდებოდა ხეობის სიღრმეში მდებარე, იმ დროისათვის ერთ-ერთ ძლიერსა და მნიშვნელოვან თისელის მონასტერს. იმავე ხეობის ჩაყოლებით კი უმოკლესი გზა გადიოდა ამ რეგიონის უძველეს პოლიტიკურ და საეკლესიო ცენტრთან — აწყურთან.

ძველის გათხრების შედეგად გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა სამხრეთ საქართველოს გვიანდელი შუასაუკუნეების მთისწინა ზოლის ნასოფლარების გეგმარებაზე, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ხასიათზე, ნასოფლარის შესწავლით საინტერესო მასალები გამოვლინდა სამხრეთ საქართველოს იმდროინდელი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის, სოციალური ყოფის, დემოგრაფიული სიტუაციის გასარკვევად.

XVI ს-ის შუა ხანებიდან ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია, რომელშიც შედიოდა ამჟამად ჩვენთვის საინტერესო თისელის ნასოფლარის მიდამოებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელი შესაძლოა ოსმალთა შემოსევებსა და მათი ამ რეგიონში დამკვიდრების მცდელობას შეენირა.

## ლიტერატურა

**ბახტაძე ნ.** 1991: ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი.

**ბოხორჩაძე ალ.** 1973: ლოქის ხეობის ნასოფლარი. – მსკა, ტ. V, 71-101.

**გეორგიკა** 1965: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II. თბილისი.

**გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო.** 1961: თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი.

**დოლაბერიძე რ.** 1969: საქართველოს მინის სამაჯურები. – სსმ, XXVIII-B, 98-115.

**თისელისა ...** 1986: **თისელისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები** (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დ. კლდიაშვილმა. თბილისი.

**ისაკაძე რ.** 2006: ქუთაისი XV-XVIII საუკუნეებში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

**ლომთათიძე გ.** 1955: არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში. – მსკა, I, 119-165.

**ლომთათიძე გ.** 1989: არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში. თბილისი.

**მასალები ...** 1979: **მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნური წარმოების ისტორიისათვის** (= რედ. ვ. ჯაფარიძე). ტ. II, ნაწ. I. თბილისი.

**მინდორაშვილი დ.** 1990: უფლისციხე ფეოდალურ ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი). თბილისი.

**გეორგიკა** 1965: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II. თბილისი.

**რამიშვილი რ.** 1970: სიონი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბილისი.

**რამიშვილი რ., ქვიციანი გ.** 1967: აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყალთოში 1966 წელს. — სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, 85-89. თბილისი.

**რჩეულიშვილი გ.** 1990: ფშავის არავის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

**უგრელიძე ნ.** 1963: ნატბურის მინის სანარმო. – მსკა, III, 61-68.

**ჩიკოიძე ც.** 1979: ქალაქი თელავი. თბილისი.

**ჩიქოვანი თ.** 1976: თრიალეთი. თბილისი.

ჩიქოვანი თ. 1979: მესხეთი. თბილისი.

ჩიქოვანი თ. 2004: ხარო — მარცვლეულის მიწისქვეშა საცავი. — ძიებანი, №13-14, 155-159.

ჩხატარაშვილი მ. 1964: რუსთავის შუასაუკუნეთა ხანის მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა. — მაცნე, № 5, 165-177.

ჯანდიერი ე. 1969: ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის. — ფსად, I, 46-73.

ჯორბენაძე ბ. 1982: ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი.

ჯორბენაძე ბ. 1983: ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს. რ. რამიშვილი (რედ.), ჟინვალი, I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, 134-168. თბილისი.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ნასოფლარი, გენგემა.

ტაბ. II – №№ 1, 2 ნაგებობები, გეგმა.

ტაბ. III – №№ 2, 3, 4 ნაგებობები, გეგმა.

ტაბ. IV – სამეურნეო დანიშნულების ორმო — ხარო, ჭრილი.

ტაბ. V – №№ 4, 5 ნაგებობას შორის არსებული ბაქანი და № 5 ნაგებობა, გეგმა, ჭრილი.

ტაბ. VI – 1-7. ნასოფლარზე აღმოჩენილი სამეურნეო დანიშნულების კერამიკა; 8, 9. ხუფები; 10 ბრტყელი კრამიტის ნატეხი.

ტაბ. VII – 1-4. დერგების ნატეხები; 5, 6. კეცები.

ტაბ. VIII – ქოთნების პირ-ყურის ნატეხები.

ტაბ. IX – 1. ჯამი, 2-6. ქოთნები. 7. ყურმილიანი ხელადის ნატეხი; 8. წითელი ზოლებით მოხატული ხელადის ნატეხი; 9, 10. თხელკედლიანი მინიატურული სასმისები.

ტაბ. X – ქოთნების პირ-გვერდის ნატეხები.

ტაბ. XI – ქოთნების ნატეხები.

ტაბ. XII – ქილების პირის ნატეხები.

ტაბ. XIII – ხელადების ყურის ნატეხები.

ტაბ. XIV – ჯამების პირ-გვერდის ნატეხები.

ტაბ. XV – ჯამების პირ-გვერდის ნატეხები.

ტაბ. XVI – ჯამების ძირის ნატეხები.

ტაბ. XVII – 1-14. მოჭიქული კერამიკის ნატეხები; 15-19. ლითონის ნივთები; 20. ობსიდიანის ანატკეცი; 21. კაჟის ნამგლის ჩასართი; 22. ქვის ბირთვი; 23. ქვის გახვრეტილი დისკო; 24. მინის სამაჯურის ნატეხი; 25. თიხის გახვრეტილი დისკო.

## TISELI SETTLEMENT

Tiseli settlement is situated in historical Samtskhe, Akhaltsikhe district, about 1 km north-east of the village of Tiseli, at an altitude of 1200 m. On account of the proximity of the village it was called "Tiseli settlement". The site, however, used to be a separate, independent, village that cannot now be identified with the known names of settlements in the region. The centre of the settlement was presumably situated in the north-east, as is suggested by a basilica-type church hardly preserved above its foundations 300 m from the area we studied.

The settlement is bounded by hills to the south and east, while an open valley adjoins it to north and south. The small river Tiseli, a tributary of the river Mtkvari, flows 1.5 km to the west of the site.

The remains of the excavated settlement consist of closely spaced residential and domestic buildings situated on a slope inclined east to west (pl. I). Four main constructions were excavated and investigated by the archaeological expedition.

Building No. 1 was situated in the eastern part of the excavated area, and was an irregular rectangle in plan (6.8 x 8.1 m). The walls consisted of rough stones, using a dry-stone technique. Large stones were used for the framework, and the space between them is filled with smaller stones. The walls were preserved to a height of 0.7-1 m, and were between 0.7 and 0.9 m thick. The outer surfaces of the walls were rough, and it is clear that there was earth up against the external walls to a height of at least one metre, which means that the structure was partially inserted into the ground. We were unable to tell on which side the entrance lay, but it was probably in the western part of the NE wall (pl. II).

In the NE part of the structure, a gutter made with flat coarse stone was preserved. It measured 4.3m x 15.25cm x 5-10cm. A channel 10cm x 8cm was cut beneath the flat stones on the floor (pl. II). The structure used to be a cattle stall, the evidence for which, apart from the gutter, is the unusual irregular plan of the structure and the fact that no bread oven or hearth (heating is a necessary element of a residential structure) was found. Only a few artefacts, potsherds, were found inside the structure.

Building No. 2 with a paved floor abutted onto the SE corner of Building No. 1. Only part of the structure, a corner, was preserved in the trench; most remains unexcavated. The structure was aligned NE-SW. Its NW wall was laid with only one course. It was 2.9m long, 30-35cm wide, and its preserved height 55cm. Only two stones of the NE wall of the structure were found. The foundation was of dry-stone construction.

Rough stones were used for building, and the floor was paved with stone slabs. Typical slab sizes are: 0.65 x 0.40 m, 0.45 x 0.35 m, 0.50 x 0.30 m (pl. II). In the Georgian ethnographic tradition, domestic structures with paved stone floors were mainly used as cattle stalls (Chikovani, 1976, p. 66). It is quite possible that this structure functioned as a manger.

At 0.3 m north-west of the paved Building No. 2 a household pit (corn bin) built with unfinished medium size sandstone was recovered. Its upper part is narrow gradually broadening towards the bottom (depth: 1.85 m, diameter at mouth: 0.75 m, diameter at bottom: 1.6 m, thickness of the walls: 0.3-0.6 m) (pl. III, IV). Corn bins are an important element of residential buildings in Medieval East and South Georgia. They were used to keep most of the crops harvested by a family. Corn bins were preserved in South Georgia until the 1930s-40s (Chikovani 1976, 54).

Building No. 3 is situated 3 m west of Building No. 1. Like other buildings, it was only partially revealed in the trench. The plan of the building is irregular, oriented north-west to south-east (pl. III). In the trench it was revealed over an area of 6.6 x 2.9 m. The north-west wall of the building lies beyond the trench. Walls are built of unfinished sandstone with dry masonry. The north-east wall has survived to a height of 1.15 m. At other places the surviving height is 0.3-0.5 m, and the walls are 0.55-0.8 m thick. Like Building No. 1, the exterior of the walls is unevenly finished, i.e. this part was covered with earth to a certain height. The floor is of hard-packed earth. The building must have had the entrance in the north-west corner where fragments of three timbers have been recovered. One of these is 1 m long and 0.15-0.2 m in diameter. The width of the door was probably 1 m (pl. III).

At 0.9 m from the entrance of the building a circular stone hearth 0.55m in diameter was recorded. Its edges were plastered with clay (pl. III). The remains of a hearth strongly implies that the building was residential.

Building No. 4 is situated 2.1 m west of Building No. 3. Like the other buildings, it is an irregular rectangle in plan. The north-west part of the building remained outside the trench. It is oriented east to west and built with large sandstone blocks. The space between the exterior and interior facings of the wall is filled with small stones. The area of the building within the trench is 9 x 5 m. Walls 1-1.2 m thick have survived to a height of 1.2 m. The building has an earthen floor and must have had an entrance in the north-west part, which is outside the trench (pl. III).

Two bread ovens were found along the north-east wall of the building. The first had walls 0.06 m thick surviving to a height of 0.22m, and was 0.6-0.65 m in diameter (pl. III). It contained a fragment of a green glazed salt container (pl. XVII, 14). The second was larger, with walls 0.04 m thick surviving to a height of 0.4 m, and it was 0.7-0.85 m in diameter (pl. III). It contained a fragment of a thin-walled drinking vessel (pl. XIII, 6). Both ovens are of the so called "Georgian oven" type, partly beneath, and partly above floor level.

A deep pentagonal hearth consisting of vertically set pieces of sandstone was recovered between the bread ovens. Some 0.6 m south of the second oven a mortared *pithos* (1 m high, 0.6 m in diameter) decorated with a rope-like ornament was fitted into the floor and covered with a flat stone (pl. III).

In the south-east part of the building there was a T-shaped drain consisting of small sandstone slabs fitted vertically, covered with flat oblong sandstone slabs (pl. III), most of which had perished. One branch of the drain, which survived to a length of 2.1 m, and was 0.25 m wide and 0.1-0.15 m high, was oriented north to south. It lay perpendicular to the other branch which was 2.8 m long, 0.25 m wide, and 0.1-0.15 m high. The presence of drainage in a residential building must point to a high water table in this area. There is no doubt that the drainage ran out of the building, but it was unfortunately incomplete. The building produced fragments of glazed and plain pottery.

There was a platform 4 x 2 m west of Building No. 4 (pl. V), which was attached to Building No. 5 (6 x 7.5 m). Built like other constructions, its 1 m thick walls survive to a height of 0.4-0.5 m. The entrance must have been in the south-eastern part. It was a semi-dugout building (pl. V), as is suggested by the irregular masonry of the face of the walls. The building had been subject to intense burning: the remains of a charred timber survived on the earthen floor, and traces of fire were also visible on the walls. There were no finds.

Most of the finds from Tiseli settlement consisted of pottery (275 items). There were also six metal items, four of stone, and one of glass.

The recovered pottery can be divided into household items, kitchenware and tableware.

**Household pottery.** The *pithoi* have survived as fragments of rim, walls and bases. They are fired red, are of a coarse fabric, and have an ornament running along the rim and the sides, There are also plain vessels with flat bases (pl. VI, 1-7).

*Pithoi* with this shape and ornament are highly diagnostic of Late Medieval Georgian material culture. Analogous vessels have been found in Tbilisi, at Erekle II Square (Gdzlishvili, Tqeshelashvili 1961, pl. 27, fig. 162), Uplistsikhe (Mindorashvili 1990, pl. XIV, 2). Kvemo Kartli (the Loki valley) (Bokhochadze 1973, 75, in the



area of Kutaisi prison (Isakadze 2006, 21), and elsewhere.

Large pots survived as rim, wall and handle fragments. They are fired red and made from coarse-grained clay. Some are plain with flat rims and low necks (pl. VII, 1). The handles are solid and flat in section (pl. VII, 3). In addition to plain examples there are handles decorated with projected or engraved ornament (pl. VII, 2, 4). Some large pots had been painted red (Nos 49, 196).

**Kitchenware.** Only fragments of pans have survived. They are hand-made, fired red and made from coarse-grained clay. The pans come in different sizes. Some are decorated with a hatched cross (pl. VII, 5). There are pans with handles that are oval in section and decorated with a deep groove (pl. VII, 6).

Pans are to be found in abundance on Medieval sites in eastern Georgia: Tbilisi (Lomtadze 1955, 153), Javakheti Akhalkalaki (Jandieri 1969, 65), the Pshavi Aragvi valley (Rcheulishvili 1990, 73), Ertso-Tianet (Jorbenadze 1982, 94), Ujarma (Lomtadze 1989, 207), Telavi (Chikoidze 1979, 49), etc. This group of kitchenware pottery retains its shape over a long time. It is remarkable that the Medieval pans do not differ in shape from those that are known in the ethnographical record (Japaridze 1979, 108, fig. 38).

Pots are the most numerous category of ceramic but most have only survived in fragments. They are fired red and the clay is coarse-grained. They have offset rims (pl. VIII, 1), and are decorated with engraved, straight, wavy ornament or concentric lines and relief bands (pl. X, 1-6; pl. XI, 3, 5). Some have a knob modelled on the handle (pl. VIII, 2) or are decorated with engraved circular or oblong hatching (pl. IX, 2-3). The necks of some pots are decorated with relief ornament (pl. IX, 1).

Several pots were restored. One has an offset rim, a low neck and slightly convex shoulders. It has a hatched oval at the point where the handle joins the shoulder. The rim is decorated with an applied relief. An engraved wavy band runs around the shoulder, where there is also an incised cross (pl. IX, 5).

Another pot is almost twice as small as the first one. It has an offset rim, a low neck, and a spherical body. It is decorated with a hatched oval notch at the junction of handle and shoulder. The vessel is burnished with vertical lines applied under pressure (pl. IX, 6). A pot with a broken handle must have had the same shape (pl. X, 4).

Lids are fired red, the clay is coarse-grained, and all have traces of burning. They are disc-shaped with cylindrical (pl. VI, 9) or conical handles. One has a vent-hole (pl. VI, 8).

Jars differ from the pots by virtue of their narrow and tall necks. They have straight or slightly out-turned rims (pl. XII, 6-9). Fragments are plain, with a rough exterior. There might be an engraved or relief band around the rim (pl. XII, 3-5), and some have a knob applied to the rim (pl. XII, 1,2). Once again, these vessels are fired red, and the clay is coarse-grained.

**Tableware.** Jugs have survived in the form of handle- and neck-fragments. The handles are round and flat in section (pl. XIII, 1-8), and one is of particular interest (pl. IX, 7). One neck-fragment is painted with two lines of red paint (pl. IX, 8).

Bowls are fired red, and the clay is coarse-grained. There are large, medium and small bowls. Going by the shape of the rim, there are:

Bowls with incurved rims (pl. XIV, 11; pl. XV, 4, 9)

Bowls with straight rims (pl. XIV, 3; XV, 3-7). Some have engraved rims (pl. XIV, 13) or have a raised edge (pl. XIV, 4; pl. XV, 2, 6)

Bowls with offset rims and low ribbed shoulders (pl. XIV, 15; pl. XV, 1, 5, 8)

Bowls with a flat top and projecting rim. There might be an engraved band or relief ornament running around the shoulder (pl. XIV, 1-2, 5-10, 12, 14, 17).

The bowls have three kinds of bases: 1. A wheel-like bottom (pl. XVI, 1-6), 2. A flat bottom (pl. XVI, 7-10) and 3. A recessed bottom (pl. XVI, 11-13).

A red baked fragment with incurved rim and a high wall and an external rib is distinctive. Unlike bowls of the developed Middle Ages, it has a low narrow foot and a slightly recessed bottom (pl. IX, 1).

Drinking vessels are one of the most interesting groups among the tableware. They are fired yellow, the

clay is well precipitated, and the fabric is 2-3 mm thick. The vessels have slightly out-turned rims. There are handles flat in section, sometimes incised, attached to the rim or the shoulder of the vessel. The surface is burnished. Some vessels are decorated with knobs rising from the inside or with engraved wavy ornament applied on the shoulder (pl. IX, 9-10).

This kind of drinking vessel is typical of Georgian pottery. They are widespread throughout east Georgia. Thin-walled vessels have been excavated in Tbilisi (Gdzelishvili, Tqeshelashvili 1961, pl. XXX, 219), Rustavi (Chkhatarashvili 1964, 172, 173, pl. IV, 8). Ujarma (Lomtadze 1989, pl. XXX, 203, 320, 498), Iqalto (Ramishvili, Cheishvili 1967, 85-89), Iori Sioni cemetery (Ramishvili 1970, pl. XXVIII, 1) Zhinvali cemetery (Jorbenadze 1983, 93), Uplistsikhe (Mindorashvili 1990, 87), at rock sites in Kvemo Kartli (Bakhtadze 1991, pl. XIII, 14, 17), etc. These parallels are mainly dated to the 12<sup>th</sup>-14<sup>th</sup> centuries but production seems to have continued into later periods, in particular the 15<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries.

**Glazed bowls** are sparsely represented, for there were only 14 items. They are fired red, and the clay is fine-grained. Going by the glazing methods, we can classify them as follows:

Bowl with plain fabric painted with slip and green glaze (pl. XVII, 1)

Bowl with plain fabric painted with slip and blue glaze (pl. XVII, 2)

Bowl with incised lines on slipped surface and glazed green (pl. XVII, 3)

Bowls with incised lines on a slipped surface and polychrome glazing (pl. XVII, 4-7). Among these is a specimen decorated with an animal and a floral ornament (see the animal's yellow painted ears on the side of the bowl) (pl. XVII, 8)

Green glazed bowls (pl. XVII, 8)

Blue glazed bowl (pl. XVII, 11)

The white slipped interior of the bowl is ornamented with purple and green lines; a colourless glaze covers the whole bowl

Bowl covered with a pink slip ornamented with purple and blue lines. A colourless glaze covers the whole bowl; a fragment of this ware was made into a disc (pl. XVII, 13)

Another disc was produced from the base of a glazed salt-container (pl. XVII, 14)

**Metal objects.** There are two hemispherical bronze plates with two holes at the edges (pl. XVII, 15), presumably jewellery fragments.

Of four iron objects, one is a 7.5 cm long spike (pl. XVII, 16), another is a fragment of a sheath (pl. XVII, 17), another is a fragment of a one-sided knife with a straight body (pl. XVII, 18), and the fourth, an iron fragment with two perforations, must be an ox shoe (pl. XVII, 19).

**Stone objects.** There are 4 stone objects: 1. An obsidian flake (pl. XVII, 20); 2. A flint insertion for a sickle with a retouched working edge, 4cm long (pl. XVII, 21). Both objects were stray finds in a Late Medieval cultural layer; 3. A sling stone 6 cm in diameter (pl. XVII, 22), of a kind that often occurs on sites in both western and eastern Georgia (Tbilisi, Uplistsikhe, Gonio, etc.); 4. A perforated stone disc, 4 cm in diameter (pl. XVII, 23) that must have had ritual function, and of a kind common on sites of various periods from the Late Bronze Age to the Medieval period.

**Glass object.** A bracelet was the only glass object excavated at the site. Made of black glass, it is round in section (pl. XVII, 24).

Few Medieval sites in Georgia are without glass bracelets of a variety of shapes and colours (Dolaberidze 1969, 98; Ugrelidze 1963, 65). In view of the typology worked out for Georgian glass bracelets, (Dolaberidze 1969, pl. I, II), this bracelet must be considered to be one of the earliest objects among the artefacts excavated at the Tiseli settlement and should be dated to the end of the 14<sup>th</sup> century.

The shapes and decoration of the *pithoi*, the shapes of the pots, bowls and drinking vessels, the shapes and decoration of the glazed pottery suggest on the one hand diagnostic elements of the developed Middle Ages (13<sup>th</sup>-14<sup>th</sup> centuries), but on the other the artefacts have a late Medieval look about them. This is especially the case with the shapes of *pithoi*, pots and bowls.

The lower date of the site cannot be later than the 16<sup>th</sup> century, since it has not produced objects reflecting Ottoman rule. Turkish products such as pipes, faience, etc., common on almost all the sites of lands conquered by the Ottomans including western and southern Georgia, are absent from the Tiseli settlement. But if we take the traces of intense fire into consideration, we may perhaps conclude that the village succumbed to Ottoman raids. In our view, the Tiseli settlement should be dated to the 15<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries.

The excavated buildings that we found are part of a larger settlement. Since excavations could not be conducted over a larger area, it is difficult to be sure whether the buildings were a residential complex of one family with industrial facilities or whether they belonged to two (or even more) families.

The settlement has a single stratum. Residential and industrial buildings are situated side by side, very close to each other. Both residential and industrial rooms are built using the same technique. Uncut stones are used in building, and a mixture of clay and earth was the bonding material. The buildings are semi-dug-outs, with walls covered with earth up to a certain height. The floors of both the residential and industrial structures were of hard-packed earth. Some buildings also had floors paved with stone which, judging by ethnographical parallels (Chikovani 1976, 66), may have been cattle-sheds. Residential buildings are always accompanied by a hearth and an oven. A *pithos* had also been arranged inside the residential building, which is not common in Medieval Georgian residential complexes, for it was more usual for a special building, a *marani* (wine-cellar), to be assigned for *pithoi*. The excavations did not reveal any roof tiles (apart from one fragment, pl. VI<sub>10</sub>), which suggests that the buildings had earthen roofs.

The excavated material (buildings, small finds) create a certain impression regarding the social status of the community and their industrial activities. The settlement was clearly inhabited by a productive peasant community.

The rich content of the humus and favourable climatic conditions promoted the development of intensive farming in this region from ancient times. From the Classical into the Medieval period Samtskhe enjoyed the production of a range of cereals including Persian wheat (*Triticum carthlicum*), barley, rye, emmer wheat, hard wheat, and winter wheat (Chikovani 1979, 78). Samtskhe was always famous for its cereal production, and this was borne witness to by the material revealed during the excavations.

The ovens and pans excavated at the settlement suggest that one of the most important branches of agriculture was growing cereals, and a high level of cereal cultivation is indicated by the discovery of a large pit for storing grain (pl. III-IV).

In the areas where cereal production was an important part of agricultural activity over millennia, there were specialized storage facilities of different shapes and capacity. One of the oldest of these stores was the grain bin (Chikovani 2004, 155). Apart from storing crops these bins might be used to hide in during invasions. They were mainly built outdoors and only occasionally indoors. Only family members knew where it was located (Chikovani 1976, 70). In terms of construction there is no difference between the excavated grain bins and those in use until the 1930s-40s. A high level of cereal cultivation in this region is indicated in written sources of the 14<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries, in particular postscripts to the Tiseli monastery manuscripts. Typical examples are: "I, Shveladze Imarindo, formerly Ioseb, donated a field to the Virgin of Tiseli and your monastery"; "I, Khutsiadze Anton donated a field to the monastery of Tiseli Virgin"; "To the monastery of the Tiseli Virgin I, Kurtsik, donated a field"; "To the monastery of the Tiseli Virgin I, Tilidze Giorgi, donated my estate at Lobani, a field below Vardanauli"; "I, Sepedavlashvili Nona, donated a field to the Tiseli Virgin and your monastery"; "I, Kurtsikidze Makharebeli donated a field to the Tiseli Virgin and your monastery" (Kldiashvili 1986, 16, 25, 28, 29, 31-34).

A complete *pithos*, as well as fragments, were discovered at the Tiseli settlement, which suggests that one of the branches of farming was viticulture and wine-making. Viticulture is one of the oldest branches of agriculture in Meskheti. Procopius of Caesarea states that "the Meskhetians are good farmers and there are vineyards there too" (Qaukhchishvili 1965, 127; Chikovani 1979, 88). The progress of viticulture in this region is indicated by the postscripts to the same manuscripts of the Tiseli monastery of the 14<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries, where

the wine cellars of the village of Tqemlana are mentioned. Written sources record gifts of vineyards and wine made to the monastery: "I, Ghamlagashvili David donated the Tqemluani fields behind the wine cellar to the Tiseli Virgin and and your monastery"; "I...donated the Tqemluana vineyard to the Tiseli Virgin and your monastery"; "I, Basilashvili Nona, donated forty silver tetras for agape to the Tiseli Virgin and your monastery"; "I, Siaosha, bought...a place, a former vineyard and gave half of it to Laklakidze for development; and .... donated to the Tiseli monastery" (Kldiashvili 1986, 17-19, 30, 33).

Written sources and archaeological material thus show clearly that the principal branches of farming of the Tiseli settlement community were the production of cereals, viticulture and wine-making.

Another important branch of agriculture was livestock breeding. Two of the excavated structures, in particular, Buildings No. 1 and No. 2 must have been a cow sheds.

Traditionally, every village in Meskheta had their own summer pastures. Mount Tiseli performed this role for this region and it was used by the people of Tiseli, Atsquri, Tqemlani, and Saquneti (Chikovani 1979, 94). It was presumably also intensively used by the inhabitants of the settlement we excavated.

The settlement, it seems, was very conveniently situated, being not only surrounded by rich and fertile fields and pastures, but also because it was linked to neighbouring places by passes and roads. Beyond the north-east slope, the settlement is connected to the village of Tadzrisi, from where the road led to Borjomi. The river Tiseli connected the settlement to the Tiseli monastery situated in the depth of the narrow gorge. The monastery was by then a powerful and important centre. The same gorge offered the shortest route to the oldest political and religious regional centre, namely Atsquri.

Thanks to the excavations we were able to form certain impressions about the planning of the settlements, and the nature of residential and industrial buildings in the foothills of South Georgia in the Late Medieval period. The investigation of the settlement produced material that enabled us to identify industrial activities, and to assess social life and the demographic situation of the population that lived in southern Georgia in those times.

The Ottomans conquered the territory of Samtskhe-Saatabago in the middle of the 16<sup>th</sup> century, and this also involved the environs of the Tiseli settlement. As noted, the village may well have succumbed to the Ottoman invasions and their attempt to occupy the region.

## Bibliography:

- Bakhtadze N. 1991:** *kvemo kartlis kldis dzeglebi (Kvemo Kartli Rock Sites)*. Tbilisi.
- Bokhochadze A. 1973:** lokis kheobis nasophlari (Loko Valley Settlement). *MSKA* 5, 71-101.
- Chikoidze T. 1979:** *kalaki telavi (The city of Telavi)*. Tbilisi.
- Chikovani T. 1976:** *trialeti (Trialeti)*. Tbilisi.
- Chikovani T. 1979:** *meskheta (Meskheta)*. Tbilisi.
- Chikovani T. 2004:** kharo – martsvleulis mitsiskvesha satsavi (Grain bin: underground cereal storage). *Dziebani* 13-14, 155-159.
- Chkhatrashvili M. 1964:** rustavis shuasaukuneta khanis mouttshikavi keramikis erti taviseburi sakheoba (An unusual type of unglazed pottery from Medieval Rustavi). *Matsne* 5, 165-177.
- Dolaberidze R. 1969:** sakartvelos minis samajurebi (Georgian Glass Bracelets). *SSMM* 28, 98-115.
- Gdzlishvili I., Tqeshelashvili O. 1961:** *tbilis materialuri kulturis dzeglebi (Features of Material Culture in Tbilisi)*. Tbilisi.
- Isakadze R. 2006:** kutaisi XV-XVIII saukuneebshi (Kutaisi in the 15<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries). *Abstract*. Tbilisi.
- Jandieri E. 1969:** javakhetis akhalkalakis istoriisatvis (On the history of Javakheti Akhalkalaki). *PSADz* 1, 46-73.
- Japaridze V. (ed.) 1979:** *masalebi sakartvelos shinamretsvelobisa da khelosnuri tsarmoebis istoriisatvis (Materials for the*

*history of internal industry and crafts*) 2/1. Tbilisi.

**Jorbenadze B. 1982:** *ertso- tianeti shua saukuneebshi (Ertso-Tianeti in the Medieval Period)*. Tbilisi.

**Jorbenadze B. 1983:** *zhinvalis nakalakarissamarovnis tkhra 1972 tsels (Excavations in the Zhinvali Cemetery in 1972)*. *Zhinvali 1*, 134-168. Tbilisi.

**Kldiashvili, D. (ed.) 1986:** *tiselisa da khakhulis khelnatserebis minatserebi (masalebi XIII-XVI saukuneebis samkhret sakartvelos istoriisatvis)(Post Scripts to Tiseli and Khakhuli Manuscripts (Materials on the History of South Georgia in the 13<sup>th</sup>-16<sup>th</sup> centuries)*. Tbilisi.

**Lomtatidze G. 1955:** *arkeologiuri gatkhra tbilisshi 1948 ts. zamtarshi (Archaeological Excavation in Tbilisi in Winter 1948)*. *MSKA 1*, 119-165.

**Lomtatidze G. 1989:** *arkeologiuri kvleva- dzieba algetsa da ivris kheobebshi (Archaeological Research in the Algeti and Iori Valleys)*. Tbilisi.

**Mindorashvili D. 1990:** *uphlitsikhe pheodalur khanashi (Uplistsikhe in the Feudal Epoch)*. Dissertation. (Manuscript). Tbilisi.

**Qaukhchishvili S. (ed.) 1965:** *Georgika. bizantieli mtserlebis tsnobebi sakartvelos shesakheb (Byzantine Writers on Georgia 2)*. Tbilisi.

**Ramishvili R. 1970:** *sioni, ivris kheobis arkeologiuri dzeglebi (Sioni, Archaeological Sites of the Iori Valley) 1*. Tbilisi.

**Ramishvili R., Cheishvili G. 1967:** *aghdgeniti mushaoba da mastan dakavshirebuli arkeologiuri kvleva- dzieba iqaltoshi 1966 tsels (Restoration work in Iqalto in 1966 and related archaeological research)*. *Scientific session dedicated to results of fieldwork in 1966*, 85-89. Tbilisi.

**Rcheulishvili G. 1990:** *phshavis aragvis kheobis arkeologiuri dzeglebi (Archaeological Sites of the Pshavi Aragvi Valley)*. Tbilisi.

**Ugreldize N. 1963:** *natbeuris minis satsarmo (Natbeuri Glass Manufacture)*. *MSKA 3*, 61-68.

#### Illustrations:

Pl. I – Settlement, plan

Pl. II – Buildings Nos 1, 2, plan

Pl. III – Buildings Nos 2, 3, 4, plan

Pl. IV – Household pit: grain bin, section

Pl. V – Platform between Buildings Nos 4 and 5 and Building No, 5, plan and section

Pl. VI – 1-7. Household pottery excavated at the settlement, 8,9. Lids; 10. Fragment of a flat tile

Pl. VII – 1-4. Fragments of largepots; 5,6. Pans

Pl. VIII – Fragments of rims and handles of pots

Pl. IX – 1. Bowl, 2-6. Pots. 7. Fragment of the jug with a tubular handle; 8. Fragment of a jug painted with red lines; 9,10. Miniature drinking vessels with thin walls

Pl. X – Fragments of rims and walls of pots

Pl. XI – Fragments of pots

Pl. XII – Fragments of jar rims


Pl. XIII – Fragments of jug handles


Pl. XIV –Fragments of rims and walls of bowls


Pl. XV - Fragments of rims and walls of bowls

Pl. XVI – Fragments of bases of bowls


Pl. XVII – 1-14. Fragments of glazed pottery; 15-19. Metal beads; 20. Obsidian flake; 21. Flint sickle lamella; 22. Stone nucleus; 23. Perforated stone disc; 24. Fragment of a glass bracelet; 25. Perforated clay disc





















VII







IX




















XV





XVII



## სამცხე - ქველი მეღვინეობა არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით

ვაზის ისტორიის კვლევა საქართველოში ყოველთვის უპირველეს სამეცნიერო პრობლემათა რიგში იდგა, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ აკად. ნ. ვავილოვის მოსაზრებამ კულტურულ მცენარეთა ნინააზიური წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ, საქართველო სწორედ პრიორიტეტულ არეალში მოაქცია. ჩვენს ინტერესს ამ თემასთან დაკავშირებით ბიძგი იმ შესანიშნავმა აღმოჩენებმა მისცა, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობასთანაა დაკავშირებული. იგულისხმება სოფ. აწყურის (ახალციხის რაიონი) მიდამოებში აღმოჩენილი საწინააღმდეგო ნივთიერებების, რომელთაც ახალი ნიუანსები შეიტანეს სამცხის და, საზოგადოდ, შუასაუკუნეების საქართველოს მეღვინეობის ისტორიაში.

არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ვაზის კულტურას საქართველოში 7000-წლოვანი ისტორია მაინც აქვს. ერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის და, მით უფრო, ვაზის განვითარების ისტორიაში ეს ძალზე ხანგრძლივი პერიოდია და იგი თავისთავად გულისხმობს ამ პროდუქტის მომხმარებელი საზოგადოების განვითარების გარკვეულ დონეს. ამიტომ, იმისათვის, რომ ცენტრალურ ამიერკავკასიაში მოსახლე ტომების საერთო განვითარების სურათი უფრო ნათელი გახდეს, მოკლედ შევეჩერდებით ამ ადრეული ეპოქის დახასიათებაზე.

ვაზის ისტორიასთან დაკავშირებით პირველ რიგში აღსანიშნავია ის ძეგლები, რომლებიც მდებარეობს მდ. მტკვრის შუა წელში და ე.წ. აღმოსავლურკავკასიურ ადრესამინათმოქმედო კულტურულ არეალს ეკუთვნის. ამ კულტურის დამახასიათებელი ნიშნებიდან აღსანიშნავია სამოსახლოთა კონცენტრაცია დღეისათვის შემალღებულ ადგილებზე – “გორებზე”. სამოსახლოთა დაგეგმარება და ტოპოგრაფია კომპაქტურია – სოფლების ჯგუფები ერთმანეთისაგან დაშორებულია 10-15 კმ-ით, ხოლო თითოეული ჯგუფი შედგება ასევე ერთმანეთთან ახლოს მდებარე 3-5 სოფლისაგან [ლორთქიფანიძე 2002: 56-57]. რაც შეეხება თვით სახლებს, ისინი გეგმაში წრიული ან ოვალურია და განლაგებულია წრიული მოედნის ირგვლივ. საცხოვრებელ კომპლექსში უკვე არსებობს სათავსოების ფუნქციური დაყოფა (ცალკეა დამხმარე სამეურნეო სათავსო, ეზო და საცხოვრებელი სახლი). ო. ჯაფარიძე ამ ეპოქის შესახებ მიუთითებს, რომ “განჯა-ყაზახის ველზე და მარნეულის ვაკეზე ადრესამინათმოქმედო კულტურის დასახლებული ადგილები დღეს ხელოვნურ ბორცვებს წარმოადგენენ, რომლებიც თაობების ერთ ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად წარმოიქმნენ, ამის საფუძველს კი საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური სისტემა ქმნიდა. იმ დროს სოფლები გამოუმწვარი აგურისაგან, ალიზისაგან ნაგები საცხოვრებელი და სამეურნეო შენობებისაგან შედგებოდნენ. სოფელს არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე არ განუცდია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები გეგმარებაში, მშენებლობის წესებში, არქიტექტურაში. თავიდანვე სოფლისათვის დამახასიათებელი იყო ერთნაირი გეგმარება, უნესო, მჭიდრო, ქაოტური განლაგება საცხოვრებელი კვარტლებისა. ხუროთმოძღვრების ძირითადი ფორმა წრიული გეგმით ნაგები საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის შენობა იყო. ძირითადი სამშენებლო მასალა თიხა იყო. ხე და განსაკუთრებით ქვა, მშენებლობაში თითქმის არ გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, თიხის მშენებლობაში გამოყენების ტრადიცია ძალიან ძლიერი უნდა ყოფილიყო; თანაც, თიხის არქიტექტურა აქ უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა” [ჯაფარიძე 2006: 260-261]. ბუნებრივია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას თან ახლავს ან,

რაც გაცილებით მართებულია, უზრუნველყოფს შესაბამისი შრომის იარაღების არსებობა. ამ ხანის კულტურულ ფენებში მიკვლეულია ობსიდიანის, ქვის, ძვლისა და ხის იარაღები. ესენია: ნამგლის ჩასართები, თოხები (მათ შორის ირმის რქისგან დამზადებულიც), ბარები, საპრიალებლები, სახვრეტები, სადგისები, დანისებური იარაღი და სხვა. მინის დასამუშავებელი იარაღიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არუხლო I ნამოსახლარზე აღმოჩენილი კეთილშობილი ირმის რქა (სიგრძე 67 სმ), რომელიც პრიმიტიული სახენელი იარაღის ფუნქციას ასრულებდა [ჩუბინიშვილი 1978: 13-16].

ადრესამინათმომქმედო კულტურის საკმაოდ კომპაქტურად განლაგებულ სამოსახლოებზე (მაგალითად, ქვემო შულავერის, არუხლოს, წითელი სოფლისა და ყაჩაღანას სამოსახლოთა ჯგუფები) მოპოვებული პალეობოტანიკური მასალის მიხედვით, აქ მინათმომქმედებას ხანგრძლივი ისტორია ჰქონია, რადგან ხორბლის გვარის წარმომადგენლები ბოტანიკურად უკვე დიფერენცირებულნი არიან და შიშველმარცვლიანი ფორმები რაოდენობრივად დომინირებენ კლიანმარცვლიანზე [რუსიშვილი 2007: 15]. სოფლის მეურნეობის განვითარების ასეთი მაღალი დონის ფონზე მოულოდნელი არ უნდა იყოს ვაზის ნაშთების ამავე არქეოლოგიურ კონტექსტში აღმოჩენაც. კერძოდ, შულავერის მახლობლად, ე.წ. „დანგრეულ გორაზე“, ძვ.წ. VI-IV ათასწლეულების ფენაში აღმოჩენილია ვაზის ნიჰნები. მათი პალეობოტანიკური შეფასება ასეთია: მასალა მრავალფეროვანია და წარმოდგენილია მომრგვალო და მსხლის ფორმის თესლებით. მათი სიგრძე (L) მერყეობს 6,8-6 მმ-ს შორის, სიგანე (B) – 3,0-3,8 მმ შორის, ნიჰნის ნისკარტის სიგრძე – 1,3-1,8 მმ, შეფარდება L/B ტოლია 1,61-1,94. ქალაქა მომრგვალოა და ნიჰნის ზედა ნაწილშია განლაგებული. ცენტრალური ღარები ღრმაა, განლაგებულია თითქმის პარალელურად. მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი ვაზის კულტურულ სახეობას *Vitis vinifera-s* მიეკუთვნება [რუსიშვილი 2007: 13].

მოგვიანებით, ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. IV ათასწლეულიდან), ქართველური ტომები განვითარების ახალ საფეხურს აღწევენ – იწყება ლითონის წარმოება, რომელმაც ათასწლეულების მანძილზე განვითარების არნახულ ტექნიკურ და მხატვრულ დონეს მიაღწია. ამ ეპოქის ძეგლებზეც ასევე კარგადაა ცნობილი კულტურული ვაზის ნაშთები. მაგალითად, ვაზის ნიჰნები აღმოჩენილია კახეთში – ბადაანის ძვ.წ. III ათასწლეულის ფენებში და კულტურული ვაზის სახეობას *Vitis Vinifera L.* მიეკუთვნება [რუსიშვილი 2007: 17]; შიდა ქართლში – ურბნისის მახლობლად, ქვაცხელებზე, ამავე ხანის ნიჰნებია მოპოვებული. სოფლის მეურნეობის განვითარების პარალელურად ვითარდება ეკონომიკისა და კულტურის ყველა მიმართულება. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ისეთი მოვლენა, როგორც ძვ.წ. III-II ათასწლეულების თრიალეთის ყორღანთა ბრწყინვალე კულტურაა. ამ გრანდიოზულ ნაგებობებში, რომელთა დიამეტრი ხშირად 100 მეტრს აღწევს, შესანიშნავად გათვლილ არქიტექტურულ კონსტრუქციებთან ერთად, უხვად ჩნდება ინვენტარიც, მათ შორის, სასმისების ნაირგვარი სახეობებიც.

ძვ.წ. II ათასწლეულიდან კულტურული ვაზი – *Vitis vinifera* – გავრცელებული ჩანს მთელს საქართველოში. ნიჰნები აღმოჩენილია ქვეყნის როგორც ზღვისპირა ზოლში (ანაკლიის ნამოსახლარი), ასევე კოლხეთის შიდა ტერიტორიაზეც (ნოსირი). ეს რეგიონი თავისი ბუნებრივი პირობებით, ცხადაა, მკვეთრად განსხვავებულია თრიალეთის, სამცხის, ქართლისა და კახეთისაგან და, ძირითადად, დაბლობს წარმოადგენს. ამ ზონალური სხვაობის შესაბამისად, თავისებურია სამოსახლოების ტიპებიც, რომლებიც ასევე უხვად შემორჩენილი არქეოლოგიური და ბოტანიკური მასალით გამოირჩევა. ესენია: ხორბალი, ფეტვი, წიფელა, რკო, თხილი, ოდნავ მოგვიანებით ღომი (*Setaria italica L.*) [მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005: 6-38]. წარმოების განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ ამ დროს კვლავ აღმავლობას განიცდის ლითონის წარმოება და იქმნება კოლხური ბრინჯაოს შესანიშნავი, ნაირგვარი ორნამენტით გრავირებული ნივთები, რომელთა შორისაც გვხვდება როგორც უტილიტარული, ისე საკულტო და ასევე მცირე ხელოვნების – ბრინჯაოს პლასტიკის ნიმუშებიც.

ამ ხანიდან თანდათანობით შეინიშნება ისეთი კერამიკული ფორმების მომრავლება, რომლებიც უშუალოდ მეღვინეობასთან იყო დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ VI საუკუნიდან მთელი



ქვეყნის ტერიტორიაზე ჩნდება ნაირგვარი დეკორით შემკული საღვინე ქვევრები, რომელთა ტევადობა სხვადასხვაგვარია, საშუალოდ ღვინის წარმოებას უნდა უკავშირდებოდეს სპეციალური სათავსოების – მარნების გაჩენაც. მარანი (ტაბ. I), რომელიც ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა, ძვ.წ. V-IV საუკუნეებს განეკუთვნება. მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა – რამდენად განვითარებული იყო ის საზოგადოება, რომელიც ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეღვინეობისა და მევენახეობის კულტურას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისია დავასახელოთ ვანის ძვ.წ. IV საუკუნის სამარხეული კომპლექსების გათხრის შედეგები. ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით აღვნიშნავ ამ სამარხში ამფორების აღმოჩენის ფაქტს, რაც იმის დასტურია, რომ მიუხედავად ღვინის წარმოებისა კოლხეთში, ამ სითხით ვაჭრობა მაინც ფართოდაა გავრცელებული, რაც იმ ხანისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ კოლხური ექსპორტის დამადასტურებელი კოლხური ქვევრები და ამფორები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც. თუმცა ამჯერად ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა კოლხური საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული დონე, რაც ნათლად წარმოჩინდა ამ სამარხებში. საკმარისია აღვნიშნოთ ვანისა და საირხის სამარხებში აღმოჩენილი ათასობით ნივთი, რომელთა შორის უმეტესობა ძვირფასი ლითონისგანაა დამზადებული. ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ საზოგადოებას, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულში მეღვინეობას მისდევდა, ამ დარგის განვითარების როგორც საკმარისი ტრადიცია, ისე ეკონომიკური შესაძლებლობებიც ჰქონდა.

მეღვინეობას და მასთან დაკავშირებულ მთავარ ჭურჭელს – ქვევრს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ძვ.წ. IV საუკუნიდან საქართველოში მკვიდრდება მიცვალებულთა საღვინე ქვევრებში დაკრძალვის ტრადიცია. ღვინის ამავე მნიშვნელობის დასტურია აგრეთვე ძვ.წ. V საუკუნიდან ამფორების სამარხებში ჩაყოლების წესის დამკვიდრებაც, რაც კარგად ჩანს ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე გათხრილ სამარხებში (კახიძე, ვიკერსი 2004: 48-85).

მეღვინეობის დიდი როლის მანიშნებელია ადგილობრივი და ბერძნული კულტების სინკრეტიზმი – მევენახეობა-მეღვინეობის ღმერთის – დიონისეს კულტის ფართო გავრცელება ანტიკური ხანის საქართველოში. ამ კულტის არსებობის საუკეთესო ნიმუშია ძალისას ცნობილი მოზაიკა (ტაბ. II)

IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ვაზმა და ღვინომ ახალი, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ქართული ქრისტიანობის სიმბოლო ვაზის რტოებისაგან დამზადებული ჯვარია.

ვაზი ყოველდღიურ ქრისტიანულ ყოფასთან ერთად, ქართული ხუროთმოძღვრების განუყოფელ დეკორატიულ ელემენტად იქცა. ამ პერიოდის მარნები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თითქმის ყველა ზონალურ სარტყელშია მიკვლეული.

ჩვენს კონკრეტულ ინტერესს ამჯერად ანყურის მიმდებარე ტერიტორიაზე მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები წარმოადგენს. თუმცა სამუშაოების დაწყებას ამ პუნქტში სხვა საფუძველიც ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ანყური ისტორიულ ქრონიკებში პირველად იხსენიება „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში, რომლის დაწერის დროის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. ივარაუდება, რომ იგი, ზოგადად, ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ჩანართში მოთხრობილი ამბის ისტორიული ფონი საკმაოდ რთულია. ესაა ხანა, როდესაც ქრისტეს მოციქულები ქადაგებას იწყებენ სხვადასხვა ქვეყნებში. საქართველოში ეს მისია ანდრია მოციქულს ერგო. მემატინეს თხრობა შემდეგი სახისაა:

«და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს ნილ-იგდეს მოციქულთა... მაშინ ჰრქუა ყოვლად წმინდამან მოციქულსა ანდრიას: წარხვიდე და წარასუენო ხატი ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემ ნილ ხდომილსა... ხოლო წმინდა მოციქული წარმოემართა და მოინია ანყურს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი. და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა ან-ცა ძუელ – ეკლესია ეწოდების და მას შინე იმსახურებოდეს კერპნი მათნი. ხოლო იყო

ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი იგინი ღმერთნი მათნი არტიმი და აპოლონი. ...ნარმოგ ზავნილ არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად წილ-ხდომილთათვის და ჯერეთცა აგრეთ არს, რათა დაესვენოს აქა მკვიდრად უკუნისამდე ჟამთა...» («ქართლის ცხოვრება», I, 1955: 39-42).

შესაბამისად, სასულიერო ტრადიციის მიხედვით ანდრია მოციქულმა აწყურში დატოვა ღვთისმშობლის ხატი და თვითონ წარემართა სკვითეთში. ამ ხანიდან აწყური იქცა მარიამ ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ადგილსამყოფელად და შემდგომი ხანის ყველა ისტორიული მოვლენა, რომელიც ამ რეგიონში განვითარდა, ძირითადად, სწორედ აწყურთან იყო დაკავშირებული.

ბუნებრივია, რომ ამგვარმა ინფორმაციამ გარკვეული არქეოლოგიური ინტერესი აღძრა აწყურის მიმართ და ოცი წლის მანძილზე აქ ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოებიც მიმდინარეობდა, რის შედეგადაც აღმოჩნდა წარმართული ხანის (ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი) ვრცელი სამოსახლო და ჩანართში მოცემული ინფორმაცია ნაწილობრივ დადასტურდა მატერიალური [Licheli 1999a: 27-34 ; Licheli 1999b: 13-15; Licheli 1999c: 101-107] და პალეობოტანიკური მასალების საფუძველზე.

აწყურის და, საზოგადოდ, სამცხის თემა მევენახეობა-მეღვინეობის კონტექსტში დამატებით მცირე განმარტებას მოითხოვს: საქმე ისაა, რომ ბუნებრივი გარემო აქ ნაკლებად უწყობს ხელს მეღვინეობის განვითარებას მისი ზღვის დონიდან მდებარეობისა და მკაცრი კლიმატის გამო.

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად მრავალჯერადი შემოსევისა შუასაუკუნეების მთელს პერიოდში, რაც თითქმის ანადგურებდა ქვეყნის ეკონომიკას, მევენახეობის ტრადიცია მაინც იქნა შენარჩუნებული. ეს ფაქტები კარგადაა დადასტურებული სამცხის (სამხრეთი საქართველო) ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. სოფელ აწყურში მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ VII-VIII საუკუნეებში აქ მდგარა დიდი, მყარ საფუძველზე აგებული შენობა, ჩვენი აზრით, ტაძარი, რომლის სამხრეთით მარანი მიუშენებიათ. ჩვენ შევისწავლეთ ამ მარნის მხოლოდ მცირე ნაწილი, სადაც სამი სახვადასხვა ზომისა და მოცულობის ქვევრი გამოვლინდა – 100, 200 და დაახლოებით 800 ლიტრი ტევადობის. სხვათა შორის, აქვე გამოვლინდა სამარხი, რომელშიც სრულიად უნიკალური ოქროს საკიდი ხატი აღმოჩნდა. იგი ტიხრული მინანქრითაა შემკული და ჩასმული აქვს იასპის ქვა, რომელზეც ჯვარცმის სცენაა გამოსახული.

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანის, X-XVI საუკუნის მრავალი საწნახელია მიკვლეული ამავე რეგიონში. კერძოდ, ადგილზე, რომელსაც მოსახლეობა ნავენახარს უწოდებს, გამოვლენილია შვიდი მარან-საწნახელი, რომლებიც X-XVI საუკუნეებს განეკუთვნება (ტაბ. III-IV). მათი კონსტრუქცია ზუსტად იგივეა, რაც დღევანდელ საწნახელებში გვხვდება. საინტერესოა, რომ რიგ შემთხვევებში თითო მარანში ორ-ორი საწნახელია გამართული, რაც შესაძლოა იმას მიანიშნებს, რომ აქ, ერთი მეპატრონის კუთვნილი, სხვადასხვა ჯიშის ყურძენი ერთდროულად იწურებოდა და სხვადასხვა თაღარში ჩაედინებოდა (ტაბ. Vა). მარნებში მიკვლეული საწნახელების ზომები სხვადასხვაგვარია: 2,8×1,5 მ; აქვე მდებარე სხვა საწნახელის სიგრძე კი 11 მეტრია. საზოგადოდ, საწნახელების ტევადობა 4-7 ტონაა.

მარნის კედლები ამოყვანილია დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული ლოდებით (ტაბ. Vა, VI). მათი ზომები განსხვავებულია, თუმცა საზოგადოდ, მათი კონფიგურაცია დაახლოებით ერთიდაიგივეა.

საყურადღებოა, რომ ყველა მარანში აღმოჩნდა საწნახელთან საგულდაგულოდ გამართული რეზერვუარები, საქაჯავები, რომელშიც საწნახელში დაწურული ყურძენიდან დარჩენილი მასა – ქა-ქა იყრებოდა და აქ კიდევ ერთხელ იწურებოდა მძიმე წნეხის წვემ. ამისათვის იყენებდნენ წისქვილის დოლაბის ქვებს ან სპეციალურად საქაჯავისათვის დამზადებულ მსხლის ფორმის ქვებს. მათი წონა დაახლოებით 150-200 კგ-ია (ტაბ. Vბ).

სანნახელის ფსკერის ანაფხეკში, რომელიც პალინოლოგიური ანალიზისათვის გაკეთდა, ხე-მცენარეთა შორის დომინირებს კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლების რაოდენობა, აღმოჩენილია მისი 12 მტვრის მარცვალი. არის აგრეთვე თხილის (*Corylus*) და ზეთის ხილის (*Olea*) მტვრის მარცვლები, რაც მებაღეობის განვითარებაზე მეტყველებს. მესამე ნიმუშში არის აგრეთვე კაკლის (*Juglans regia*) მტვრის მარცვლები (პროფ. ე. ყვავაძის დასკვნა).

ამ შენობებში ხდებოდა ყურძნის დანურვა და მიღებული წვენი გადაჰქონდათ სოფელში, მარნებში შესანახად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართველი კაცისათვის მარანიც და სანნახელიც ყოველთვის წმინდა ადგილს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აწყურშივე გამოვლენილი კიდევ ერთი მარანი, რომლის ინტერიერში საკურთხეველი და წმინდა პურის ანუ კვერის პატარა საცხობი აღმოჩნდა. მარანში ჩასასვლელი კიბის მარჯვნივ, იატაკში ამოკვეთილ ოთკუთხა ორმოში გამართული იყო ქვის ფილებისაგან შედგენილი საკურთხეველი (ტაბ. VIIა). ესაა თხელი ფილებისაგან შეკრული ქვაყუთი, რომელიც ასეთივე თხელი ფილებით იყო გადახურული (ზომები: 0,7x0,4 მ).

მარნის წმინდა ადგილად გააზრების დასტურია აგრეთვე აქვე აღმოჩენილი სამკუთხა ფორმის თიხის ფილა ქართული წარწერით “წმინდა გიორგი” (ტაბ. VIIIბ). ეს მონაპოვარი IX საუკუნით თარიღდება.

განათხარი მარნები ქვითკირის სანნახლებითა და საქაჯავებით ნათლად წარმოგვიჩვენებენ მევენახეობა-მელვინეობის მნიშვნელოვან როლს ამ რეგიონის მოსახლეობის მეურნეობაში. ამავე დროს ეს მარნები წარმოადგენენ შუასაუკუნეების ხალხური არქიტექტურის უაღრესად თავისებურ ძეგლებს. საყურადღებოა, რომ მარნებიც და სანნახელებიც ტიპოლოგიურად მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებში (კახეთი, ქართლი, არაგვის ხეობა) გათხრილი სინქრონული ძეგლებისა [რჩეულიშვილი 1977: 101-105; რჩეულიშვილი 1980: 57-66; რჩეულიშვილი 1990: 101-103; ჭილაშვილი 1975: 21-23]. ამავე დროს, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აქაურ მარნებში ვერ ვხვდებით ღვინის დასადუღებელ და შესანახ ქვევრებს. ჩვენი აზრით, ეს ნაგებობები საცხოვრებელი სახლებისაგან მოშორებით, ვენახებში იყო გამართული და გამოიყენებოდა მხოლოდ ყურძნის დასანურად. წვენი მაშინვე მიჰქონდათ იმ მარნებში, რომლებიც საცხოვრებელ სახლთან ახლოს უნდა ჰქონოდათ გამართული. ამას მოწმობს მსგავსი ვითარების დადასტურება არაგვის ხეობაში შუასაუკუნეებსა და გასული საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც [ნანობაშვილი 1960: 162; სონლულაშვილი 1974: 152].

Height is one of the most important morphological features that which helps define other bodily measurements. It displays idiosyncratic changes, as well as age, gender and territorial differences. Body height was defined by means of the tibular bones of five females and nine males. Among males, body height varies between 154.5 and 175 cm, and the average height is 165.2 cm, which we take to be the average male height. Female body height varies between 151.3 and 165.3 cm, and the average height is 155.5 cm. According to the data, the women at Sapar-Kharaba, as well as men, were of average height for the period. The small size of the sample and the chance nature of the data should, however, be emphasized.

The body proportions of the population were calculated according to height (dolichomorphy, mesomorphy, brachymorphy). Males revealed all the types of body proportion (1. Dolichomorphic; 2. Mesomorphic; 3. Brachymorphic), while females displayed mesomorphic and brachymorphic types.

Body weight is calculated on the basis of regress equation and it is: among males, 55.7-70kg, average 63.1 kg; among females, 52.7-65.5 kg, average 59.6 kg. These data are also preliminary, as it is very important to have more data in order to obtain more reliable statistics.

As a consequence of the poor preservation of the craniological and postcranial skeleton the range of observed pathologies is limited to caries, hyperplasia of tooth enamel, the breach of the excision order of the teeth, specific tooth wear, and the loss of teeth in life, while the causes of death are unclear. Hyperplasia of

tooth enamel can, however, can be caused by negative factors from “diet stress” to specific illnesses. Caries is a widely spread pathology and points to a breach of immunity, or specific dietary or general health conditions. Loss of teeth during life sometimes correlates with age, which, in this case, is demonstrated by the age of the deceased (50-55 years). Anomalous tooth growth can give information about group genetic and ethnic features, while specific tooth wear and loss of teeth in life is related to the processing of leather with the teeth. The range of observed pathologies does not allow us to define any specific activities of the Sapar-Kharaba population. The cause of death of three children of 9, 11 and 12 in Burial No. 78 and that of a woman of 18-20 and children of 5-6 and 3-5 in burial No. 104 must be some acute infection, although there is no indisputable proof of this assertion.

The palaeo-population of Sapar-Kharaba in the Middle Bronze Age has, despite the scanty database, thus been investigated in a comprehensive manner. The most important finding is that the material provided a low estimate of life expectancy and a high reproduction rate. Some indicators of physical development of the Trialeti population were defined for the first time. As for the cranial type, the very fragmentary nature of the material notwithstanding, it is probably the same as the general population of Georgia at that time.

#### Bibliography:

**Abdushelishvili M. 1976:** *kraniologia (Craniology)*. Tbilisi.

**Abdushelishvili M. 1982:** *kavkasiis antropologia brinjaos khanashi (The Anthropology of Caucasia in the Bronze Age)*. Tbilisi.

**Acsadi G., Nemesheri T. 1970:** *The History of Human Life Span and Mortality*. Akademiai Kiado. Budapest

**Alexeev V. P. 1972:** Paleodemografia SSSR (The palaeodemography of the USSR). *SA* 1, 3-21.

**Bitadze L. 2005:** sakartvelos udzvesi mosakhleobis sitsotskhilis khangrdzlivobis dinamika (The dynamics of average life expectancy of the ancient population of Georgia). In A. Daushvili (ed.), *Klio* 26, 183-193. Tbilisi.

**Bitadze L. 2006:** The longevity of the Bronze Age population in the light of the Atsquri cemetery. *Traditional Medicine and Dietology: The Way to Caucasian Longevity* 21. Tbilisi, Borjomi.

**Bitadze L., Aslanishvili V., Laliashvili S., Monaselidze L. 2002:** Aatsquris samarovnis paleodemographia (The palaeodemography of Atsquri Cemetery). In: A. Totadze (ed.). *Demography* 1 (5), 79-83. Tbilisi.

**Narimanishvili G. 2006:** saphar-kharabas samarovani (Sapar-Kharaba Cemetery). *Dziebani* 17-18, 92-126.

#### Illustrations:

**Pl. I.** 1. Burial No. 85. Craniological material. 2. Burial No. 85 Cranial and osteological material.

**Pl. II.** 1. Burial No. 61. Cranial and osteological material. 2. Burial No. 90 Cranial and osteological material.



№ 85

1



№ 85

2

II



№ 61

1



№ 90

2

## თრიალეთში არქეოლოგიურ ძეგლებზე

### მოპოვებული ქვის ინვენტარი

(ფუნქციონალური ანალიზი)

შრომის იარაღი პირველყოფილი ფორმაციის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მაგრამ ხშირად მეცნიერის ყურადღებას მოკლებული. თუ იარაღის ტიპოლოგიური შესწავლა მთლიანად არქეოლოგიური მასალის ორგანიზაციისა და სისტემატიზაციის ხერხს წარმოადგენს (რაც კულტურისა და ლოკალური ვარიანტების გამოსაყოფად აუცილებელია), ტრასოლოგიური კვლევა – უფრო ზუსტი და ინფორმაციული მეთოდია. იგი არა მხოლოდ იარაღის ფუნქციის განსაზღვრით შემოიფარგლება, არამედ მთელი ნასახლარის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო სიტუაციას განსაზღვრავს და უძველესი სამეურნეო სისტემების რეკონსტრუქციას ახდენს.

მას შემდეგ, რაც არსებობს ტრასოლოგიური კვლევის მეთოდი [Семенов 1957; Семенов 1968; Семенов 1974; Семенов 1983] და ფუნქციონალური ანალიზი [Коробкова 1987; Массон 1971 და სხვ.], არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ქვის კოლექციების დიდი ნაწილი ტრასოლოგიურ კვლევას გადის, თვითონ მეთოდი კი მსოფლიო არქეოლოგიურ სივრცეში მყარად დამკვიდრდა [Keeley 1976; Plisson 1983; Moos 1983 და სხვ.].

იარაღებზე მუშაობის პროცესში დატოვებულ კვალს სავსებით კანონზომიერი ნიშნები ახასიათებს. მათი მიკროსკოპში შესწავლით ვიგებთ, თუ რა ფუნქციას ასრულებდა იარაღი შრომის პროცესში, რამდენ ხანს იმუშავა, რა მასალას ამუშავებდა, რამდენ ოპერაციას ასრულებდა, რომელ წარმოებასთან იყო დაკავშირებული და ა.შ. [Коробкова 1987].

თუ ტრასოლოგიური მეთოდის ინსტრუმენტალური მხარე დღეს დამაკმაყოფილებელია, მონაცემთა კლასიფიკაცია, ხშირად, ზედაპირული და არადაამაჯერებელია. ჩვენ შევეცადეთ, ინტეგრირებული ანალიზის შემოღებით, ეს კლასიფიკაცია უფრო ინფორმაციული და კონკრეტული გაგვეხადა [Эсакия 2003]. გათვლით ნაწილში გამოვიყენეთ ნორმირება, ანუ შეფარდებითი მაჩვენებლები. ამით თავიდან ავიცილეთ აბსოლუტური ცდომილება სხვადასხვა რაოდენობის კოლექციების ერთმანეთთან შედარებისას. მეურნეობის ანალიზში კი გავითვალისწინეთ ეკონომიკის თეორიაში კარგად ცნობილი მაკროეკონომიკური შეფასება.

უძველესი ნამოსახლარების მეურნეობა, უმთავრესად, ნატურალურია. ამ დროს ადამიანი იკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნებს. ეს იწვევს მეურნეობის სასიცოცხლო დარგების განვითარებას. დროთა განმავლობაში იხვეწება იარაღი, ტექნიკა, ტექნოლოგია და ამის შედეგად საკმარისი რაოდენობის პროდუქცია იქმნება. ჩაკეტილ საზოგადოებას ხელს არ აძლევს ნამატი პროდუქტის წარმოება, ამიტომ თვით საზოგადოების სისტემაში იწყება ცოცხალი ძალისა და საწარმოო ინტერესების გადანაწილება, ვითარდება სხვა დარგები (მაგ. შიდა მეურნეობები). შესაბამისად, იქ, სადაც მეურნეობა წარმოდგენილია მრავალფეროვანი განვითარებული დარგებით, ეკონომიკა უფრო მაღალი დონისაა. ევოლუციის თანამედროვე თეორიის მიხედვით [Laszlo 1991; Пригожин 1991] განვითარების მაღალ დონეს შეეფერება საზოგადოების, როგორც სისტემის, უფრო მაღალი ორგანიზაცია. ასეთი ორგანიზაციის შესატყვისს წარმოადგენს სისტემის უფრო მაღალი არასტაბილურობა. ევოლუციური გადასვლა ხდება მაშინ, როცა არასტაბილურობა მიაღწევს მაქსიმუმს და ნებისმიერი უმნიშვნელო ზემოქმედება გამოიწვევს სისტემის ტრანსფორმირებას. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს ნიშნავს ახალი ურთიერთობების განვითარებას ძველ სისტემაში. ამიტომ, მეტად განვითარებული მეურნეობა უფრო არასტაბილურია და მზად არის

ტრანსფორმირებისათვის. ადრე ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკის ორგანიზაცია მჭიდრო კავშირშია ძეგლების ქრონოლოგიასთან [ესაკია 2005].

აქვე უნდა გავაკეთოთ მითითება კიდევ ერთ აუცილებელ პირობაზე. ტრასოლოგია, როგორც ნებისმიერი კვლევა, პირდაპირ არის დამოკიდებული მასალის მომზადებასა და ხარისხიან მინოდებაზე. ამის გარეშე ირღვევა შესასწავლი არქეოლოგიური არეალის სურათი. დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის ამოღების პრინციპს: დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იარაღის მოპოვების დროს არ დაირღვა სტატისტიკური თანაფარდობა, ანუ ამოღებული მასალა არა მხოლოდ ცალკეულ იარაღს წარმოადგენს, არამედ ასახავს ძეგლზე არსებულ სურათს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი ცდომილების ერთნაირ ხარისხზე და, მაშასადამე, სრულყოფილ ანალიზზე. მცირერიცხოვანი და ზედაპირული მასალა ასეთი ანალიზის შესაძლებლობას არ გვაძლევს, თუმცა შეიძლება საკმაო ინფორმაციის მოპოვება თვითონ იარაღის ფუნქციის შესახებ.

ნავთობსადენის პროექტი, თავის დროზე, წარდგენილი იყო არა მხოლოდ როგორც თანამედროვე ეკონომიკის მიღწევა, არამედ როგორც უძველესი სავაჭრო გზების აღდგენის წყარო: მშენებლობის მიდამოებში მასშტაბურ არქეოლოგიურ გათხრებსა და კვლევის შედეგად მიღებულ ნებისმიერ შედეგს, არსებული ინფორმაციის ვაკუუმში უნდა შეეხსო. ამ მიზნით გაჩნდა ინტერესი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ტრასის მშენებლობის დროს აღმოჩენილ ძეგლებზე მოპოვებულ სხვა მასალებთან ერთად, ქვის ინვენტარზეც ჩატარებულიყო ტრასოლოგიური ანალიზი.

წალკის რაიონსა (საფარ-ხარაბას სამაროვანი, აი-ილია, იმერას ყორღანი, ჯინისის სათავსოები) და ბორჯომის მონაკვეთზე (თისელის სერი) მოპოვებული ქვის მასალა შესწავლილი იყო როგორც ტიპოლოგიური, ისე ფუნქციონალური ანალიზით. მასალის დიდი ნაწილი ზედაპირულია, მაგრამ ფუნქციონალური ანალიზისათვის საკმაოდ ინფორმაციული აღმოჩნდა პირველყოფილი საზოგადოების ყოფისა და მეურნეობის საქმიანობის დასადგენად. კვლევის შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია [ესაკია 2004: 6-10], ნაწილობრივ არსებობს ანგარიშების სახით. წინამდებარე ნაშრომში არსებული კვლევების ფუნქციონალური ანალიზის შეჯამება არის წარმოდგენილი.

საფარ-ხარაბას ქვის მასალა ძირითადად ობსიდიანის არის. არტეფაქტები წარმოდგენილია ზედაპირული (27) და სამაროვნის (44) ინვენტარით. ტიპოლოგიურად ზედაპირულ მასალაში ფიქსირდება 5 იარაღი: 1 ისრისპირი, 1 სალესი, 1 ცული, 1 სანაყი, 1 ხელცული. ამდენივე (5) გამოიყო სამაროვანზე: 4 წვეტანისებური იარაღი და 1 ისრისპირი.

ტრასოლოგიური შესწავლის შედეგად სამაროვანზე მოპოვებული 44 ერთეულიდან აღმოჩნდა, რომ 27 იარაღია, დანარჩენი 17 კი ანატკეც-ანამტვრევები გამოყენების კვალის გარეშე. მთლიანად სამაროვნის ქვის ინვენტარში ჭარბობს ხორცის საჭრელი დანები – 7, შემდეგ 6-6 სახოკი და საფართი, 4-4 სახვრეტი და ქლიბი, 2 საფხეკი, თითო-თითო რეტუშორი, საჭრისი, წვეტანა და ისრისპირი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგი იარაღის სამუშაო პირი რამდენიმე ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას (გაცვეთილი იარაღის სხვა ფუნქციით გამოყენება) იარაღების რაოდენობა, ფუნქციონალურად, 31 ერთეულამდე გაიზარდა.

უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთ სამარხში იარაღების აღმოჩენის ადგილის ფიქსაცია. საინტერესოა № 85 სამარხში, ბატკნის თავის ქალაში კისრის მალეებთან აღმოჩენილი საშუალო ზომის ერთპირიანი ქლიბი. მისი სამუშაო პირი ძლიერ დაბლაგვებულია და ხაზოვანი კვალის მიხედვით ძვლის, ან გამხმარი ხის დასამუშავებლად იყო გამოყენებული. № 78 სამარხის ცენტრალურ ნაწილში, დასავლეთ კედელთან მდებარე ბატკნის ბეჭის ქვეშ, აღმოჩენილია ერთპირიანი ხორცის საჭრელი დანა. ხოლო № 90 სამარხში, ჩონჩხის ზედა კიდურებთან, ანალოგიური დანა აღმოჩენილი. პირველი იარაღის პირზე კარგად ჩანს ხაზოვანი კვალი და ცვეთის ხარისხი, მეორე იარაღზე — უფრო სუსტად, რაც მის მოკლე დროით გამოყენებაზე მიუთითებს. ასევე № 122 სამარხის № 1 დერგში აღმოჩენილი გატეხილი ლამელა, ხორცის საჭრელი დანის ფუნქციას ასრულებდა.



ამრიგად, სამარხებში იარაღებად გამოყენებულია შემთხვევითი ანატკეცები, რომლებიც, ადგილზე, კონკრეტული სამუშაოს ჩასატარებლად გამოიყენეს.

ფუნქციონალური სტატისტიკით, არსებული იარაღებით ხდებოდა ხისა და ძვლის დამუშავება. კონკრეტულად: სამარხებში აღმოჩენილი ქლიბები გამოყენებულია ხეზე და ძვალზე სამუშაოდ, რაც, თავისთავად, სამარხებში ხისა და ძვლის არსებობას ადასტურებს. დანები გამოყენებულია ხორცის საჭრელად, საფართი — ხის მასალაზე ნახვრეტის გასაფართოვებლად, № 78 სამარხში აღმოჩენილი ისრისპირის ერთი გვერდი კი საფხეკად. სახოკებს ხეზე ხოკვის კვალი აღენიშნებათ. რაც შეეხება ისრისპირს, უნდა აღვნიშნოდ, რომ სამხრეთ თურქმენეთის ენეოლითურ ნასახლარებზე, კაჟის ისრისპირების ტრასოლოგიური ანალიზის საფუძველზე, გ. კორობკოვამ ამ იარაღებს შორის გამოყო [Скакун 1972; Коробкова 2001] სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი ჯგუფები: სახვრეტები, ბურღები, საფართები, საფხეკები ტყავის დასამუშავებლად, ხორცისა და ტყავის დანები. ჩვენ შემთხვევაში აღნიშნული ისრისპირი საფხეკის ფუნქციას ასრულებდა.

2002 წლის ნოემბერ-დეკემბერში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული აი-ილიას ქვის ინდუსტრია ზედაპირულ მასალას წარმოადგენს და უპირატესად ობსიდიანისას. ტრასოლოგიური კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ობსიდიანზე მუშაობისას — სამუშაო პირზე, მისი სიმყიფის გამო, ცვეთის ნიშნები ძნელად იკითხება.

წარმოდგენილი ქვის ინვენტარიდან (219 ერთეული), 109 – შრომის იარაღია. მათი რაოდენობა წარმოების ნარჩენების, ანატკეც-ანამტვრევებისა და გაცვეთილ იარაღებზე მეორადი გამოყენების ხარჯზე გაიზარდა: სახოკები – 54, დანები — 18, სახვრეტები — 8, ხერხები — 6, საჭრისები — 6, საფხეკები — 5, საფართი — 5, რეტუშორი — 4, სათლელეები — 2, სატეხი სწორპირა — 1.

საჭიროდ ჩავთვალეთ ცალკე გამოგვეყო აი-ილიას ძეგლზე № 25 საცდელი თხრილის ინვენტარი, ვინაიდან წარმოდგენილი ინვენტარიდან მნიშვნელოვანი ნაწილი (96 ერთეული) ამ თხრილშია ნაპოვნი. საკმაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს თხრილისა და მთლიანად ძეგლის ინვენტარის შედარება, რადგანაც ხარისხობრივმა თანხვედრამ, ან სხვაობამ, უნდა გამოავლინოს ძეგლის ლოკალური თვისებები. როგორც აღვნიშნეთ, მონაცემთა ნორმირება გვაძლევს ხარისხობრივი დახასიათების შესაძლებლობას ინვენტარის არათანაბარი რაოდენობის შემთხვევაშიც კი. ამ პრინციპის გამოყენებით ავაგეთ კრებსითი ჰისტოგრამა (ჰისტოგრამა 1). როგორც ვხედავთ, ძირითადი ჯგუფების განაწილება ერთგვაროვანია და მასალის იდენტიურობაზე მიუთითებს: თხრილი არ წარმოადგენს ძეგლის ლოკალურ ვარიანტს. ორივე შემთხვევაში ნორმირება ხდებოდა იარაღების მთავარი ჯგუფის გამოყენებით, რომლებიც ორივე შემთხვევაში წარმოადგენდნენ სახოკებს. აქ უფრო ნათლად ჩანს ხარისხობრივი იდენტიურობა. სხვაობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ ცვლის მთლიან სურათს.

ამგვარად, ნათლად გამოჩნდა ძეგლზე არსებული სამეურნეო საქმიანობა. იარაღების სამუშაო პირის ცვეთის მიხედვით ჩანს, რომ მათი საშუალებით ხდებოდა ხის, ძვლისა და რქის დამუშავება. ამ იარაღებიდან დიდი ადგილი უჭირავს სახოკებს. შინაწარმოებებში აღსანიშნავია აგრეთვე სამკაულის დასამზადებელი იარაღები: პატარა ხერხები და საფართები. მეურნეობაში დომინირებს მესაქონლეობა, რაზედაც მიუთითებს ხორცის საჭრელი დანები. წარმოების ქერცლისებური ნარჩენები აი-ილიას ძეგლზე მოწმობს, რომ იარაღები მზადდებოდა ნამოსახლარის ტერიტორიაზე.

ჯინისის ნამოსახლარის მასალა წარმოდგენილია 3 სათავსოს ობსიდიანის ინვენტარით, სულ 36. ტრასოლოგიური კვლევით № 1 სათავსოში აღმოჩენილი 9 ერთეულიდან 4 იარაღი აღმოჩნდა. ესენია სახოკები ძველ, გაცვეთილ ხორცის საჭრელ დანებზე. სამუშაო პირზე დატოვებული ხაზოვანი კვალისა და ცვეთის ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დასამუშავებელი მასალა გამომშრალი ხე უნდა ყოფილიყო. სათავსოს იარაღები უტილიზირებულია და სპეციალურად დამზადებული არ არის.

№ 2 სათავსოში აღმოჩენილი 7 ერთეულიდან 3 სახოკი და 1 პატარა ზომის საფართია, რომელთა სამუშაო პირების ცვეთის მიხედვით, ოთხივე იარაღი, ხის დასამუშავებლად იყო გამოყენებული.

№ 3 სათავსოში 12 ერთეულიდან 5 დანა, 4 სახოკი და 1 ხერხია. სახოკებს სამუშაო პირი ძლიერ გამოფხვნილი აქვთ. მუცლის მხრიდან, კიდეში, ჩანს მოკლე და ღრმა ხაზები რაც მყარი მასალის დამუშავებაზე მეტყველებს. დანებს სამუშაო პირზე წვრილ ზოლად მიყვება სიპრიალე, რომელიც ამონატეხებშიც ვრცელდება. სწორედ ეს მიგვანიშნებს, რომ დასამუშავებელი მასალა ძალიან რბილი უნდა ყოფილიყო. ხერხი მაღალზურგიანი, ნწევითი რეტუმით დამუშავებული და დაკბილულია. იარაღის სამუშაო პირზე ჩანს წვრილი, ხშირი ხაზები, ძლიერი ცვეთის კვალით. ეს იარაღი ძვლის დასამუშავებელ იარაღს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ჯინისის სამივე სათავსოში იარაღებს ხორცის, ხისა და ძვლის დასამუშავებლად იყენებდნენ.

შემდეგი ძეგლი გახლავთ იმერას ყორღანის ობსიდიანის ინვენტარი. სულ შესწავლილია 68 ერთეული. აქედან 35-ს არ აღმოაჩნდა ფუნქცია, ე.ი. მუშაობის პროცესში არ მონაწილეობდა.

ფუნქციონალური ჯგუფები ასე განაწილდა: 5 სახოკი (ხის დასამუშავებელი); 2 რეტუმორი (ნუკლეუსის ნარჩენსა და უსწორო ლამელაზე); 4 სახვრეტი (მუშაობის პროცესშია გატეხილი); 3 ხერხისებური იარაღი (წვრილად დაკბილული და გაპრიალებული სამუშაო პირით. ასეთ კვალს რბილი მასალა ტოვებს); 3 ხორცის საჭრელი დანა წვრილი ამონატეხებით ზურგისა და მუცლის მხრიდან; 1 საჭრისი (გამომშრალი ხის, ან ძვლის დასამუშავებელი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ იარაღებთან ერთად ინვენტარში 7 კომბინირებული იარაღი აღმოჩნდა.

პატარა კოლექციით არის წარმოდგენილი ბორჯომის ხეობის თისელის სერზე მიკვლეული ძეგლი. კაჟის ნამგლის ჩასართები დამზადებულია საშუალო ზომის, სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის ლამელაზე. ყველა დამუშავებულია ორმხრივი ნწევითი რეტუმით. სამი მადგანი ერთპირიანი, ხოლო ორი — ორპირიანი. სამუშაო პირი დაკბილულია და ნამგლებისათვის დამახასიათებელი სარკისებური სიპრიალე ვიზუალურადაც კარგად ჩანს მუცლისა და ზურგის მხრიდან. მიკროსკოპის დახმარებით დადგინდა, რომ ხაზოვანი კვალი, რომელიც მხოლოდ ბალახის ქრისას რჩება იარაღზე, გადაფარულია მარცვლეული კულტურებისათვის დამახასიათებელი ხაზოვანი კვალით, ანუ იარაღი ერთი ფუნქციის ორი სხვადასხვა ხარისხის სამუშაოს ასრულებდა. ოთხ ჩასართზე კი დაფიქსირდა მხოლოდ კულტურული მარცვლოვანი სახეობისათვის დამახასიათებელი ხაზოვანი კვალი. იმას, რომ ნამგლის ჩასართებით კულტურული მარცვლეული იმკებოდა, განსაზღვრავს ხაზოვანი კვალი: ასეთ ღრმა კვალს ტოვებს დაბარული მინის მტვერი, რომელიც მარცვლეულის ლეროზე არსებულ კაჟმინას ერევა და კანრავს იარაღის პირს. რაც შეეხება ველურ მარცვლეულს, მას არ გააჩნია კორდოვანი საფარი, ვინაიდან იზრდება დაუმუშავებელ ნიადაგზე და ლეროზეც ძლივს შესამჩნევ მტვერს ტოვებს, რის გამოც იარაღის სამუშაო პირზე იშვიათი, სუსტი ხაზოვანი კვალი რჩება. ამგვარად შეიძლება გარკვევა, თუ რა ტიპის მცენარის მოსაჭრელად იყო გამოყენებული ჩასართი: მარცვლეულის, ბალახის, ველური მარცვლეულის და სხვა. ბალახი კი, რომელსაც მრავალშტოიანი ფესვური სისტემა აქვს, ქმნის მძლავრ კორდოვან საფარს და იცავს მცენარეს მასზე აბრაზიული სახის მტვერისაგან, რაც ბალახის მოჭრისას იარაღზე ხაზოვან კვალს არ ტოვებს [Коробкова 1978: 37-52].

თისელის ძეგლზე აღმოჩენილი დანარჩენი მასალა წარმოადგენს: ხერხისებურ იარაღს, რომლითაც რბილი ხის მასალა დამუშავებული; საფხეკებს (ასეთი იარაღი ეფექტურია ტყავის დამუშავების ბოლო ეტაპისათვის); რეტუმორს (სამუშაოდ გამოყენებულია ზურგის მხარე); ხორცის საჭრელ დანებს. ძეგლზე ნაპოვნია კაჟის შუბისპირი, რომელიც დამზადებულია ფოთლისებური, სამკუთხა ფორმის, დიდი ზომის ანატაკეცზე ორმხრივი დამუშავების ტექნიკით. მიკროსკოპით კვლევამ უჩვენა, რომ აღნიშნული ისრისპირი დანის ფუნქციასაც ასრულებდა.

შესწავლილი მასალის ნორმირებული მაჩვენებლები (ჰისტოგრამა 2) განთავსებულია ჰორიზონტალურ ღერძზე იარაღების ფუნქციონალური ჯგუფების მიხედვით. ყველა ძეგლზე ნორმირება ჩატარდა იარაღების წამყვანი ჯგუფის მიხედვით. ჰისტოგრამაზე გამოიკვეთა მეურნეობის ძირითადი დარგი და მასთან სხვა დარგების შეფარდებითი სიდიდეც. შრომის იარაღებით იქმნებოდა რალაც ერთობლივი ვირტუალური პროდუქტი, რომლის სიდიდე ეკონომიკის განვითარების მახასიათებელია. თუ შევაჯამებთ პირველი სამი ძეგლის მაჩვენებელს, საფარ-ხარაბას ძეგლისთვის მივიღებთ – 4.7, აი- ილიას – 2.2, იმერას – 3.8. ცენტრალური აზიისა და კავკასიის უძველესი დასახლებების ეკონომიკის ეფექტიანობის ერთიან გრაფიკზე (დიაგრამა 3) აი-ილია მეზობლობს ანასეული I-თან, იმერა – მელოურსა და შულავერის გორას შორისაა, ხოლო საფარ-ხარაბა არუხლო I-თან არის ახლო.

განსხვავებული შემთხვევა გვაქვს თისელის ნამოსახლარზე. ერთის მხრივ, აქ ნაპოვნია საკმაოდ განვითარებული ტექნიკით ნამზადი ნამგლის ჩასართები, რაც განვითარებული მწარმოებლური მეურნეობის დონეს ასახავს. მეორეს მხრივ, წარმოდგენილი მასალის მიხედვით გაკეთებული ეკონომიკის შეფასება (2.6) საკმაოდ სუსტად გამოიყურება. აქ იჩენს თავს ჩვენს მიერ ზემოდ სპეციალურად აღნიშნული მასალის მონოდების პირობები.

თუ დადგინდა, რომ მასალის ამოდების და მონოდების დროს არ დაირღვა სტატისტიკური თანაფარდობა, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ თისელის სამკელი ჩასართების და მთლიანად თისელის ეკონომიკის თავისებურებებზე. ჩვენს ხელთ არსებული მასალა კი არ გვაძლევს ამის შესაძლებლობას, ამიტომ თისელი ეკონომიკის ეფექტიანობის გრაფიკზე არ არის დატანილი.

ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტრასოლოგიური გამოკვლევა უნდა ჩატარდეს მასალაზე, რომელიც ძეგლის მთლიან სურათს წარმოადგენს. სწორედ ამ პრინციპით იყო აგებული ცენტრალური აზიისა და კავკასიის უძველესი დასახლებების ეკონომიკის ეფექტიანობის გრაფიკი. ამ თვალსაზრისით, წარმოდგენილ ნაშრომში მასალა მწირია. ამრიგად, ინტეგრირებულმა ტრასოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რა პერსპექტივა აქვს დამატებითი მასალების წარმოდგენას, უფრო სრული ინფორმაციული ბაზის მისაღებათ.

## ლიტერატურა

- ესაკია ქ. 2004:** ექსპერიმენტალურ-ტრასოლოგიური კვლევის მეთოდის გამოყენება ადრესამინათმოქმედო ეკონომიკის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. – ვ. ჯაფარიძე (რედ.), ინტერდისციპლინარული გამოკვლევები (ძიებანი, დამატებანი XII), 6-10. თბილისი.
- Коробкова Г.Ф. 1978:** Древнейшие жатвенные орудия и их производительность. – СА, 4, 37-53.
- Коробкова Г.Ф. 1987:** Хозяйственные комплексы земледельческо-скотоводческих обществ юга СССР. Ленинград
- Коробкова Г.Ф. 2001:** Функциональная типология орудий труда и других неметаллических изделий Алтын-депе. Особенности производства поселения Алтын-депе. – МЮТАКЭ, 146-212.
- Массон В.М. 1971:** Поселение Джейтун (МИА, 180). Москва.
- Пригожин И. 1991:** Философия нестабильности. - Вопросы философии, 6, 46-57.
- Семенов С.А. 1957:** Первобытная техника (МИА, 54). Москва.
- Семенов С.А. 1968:** Развитие техники в каменном веке. Ленинград.
- Семенов С.А., Коробкова Г.Ф. 1983:** Технология древних производств. Ленинград.
- Семенов С.А. 1974:** Происхождение земледелия. Ленинград.
- Скакун Н.Н. 1972:** Функциональное исследование каменных наконечников стрел эпохи бронзы. – КД, 15-37.
- Эсакиа К.М. 2003:** Экспериментально-трассологический метод и эффективность экономики раннеземледельческих хозяйств. – Сб. Петербургская трассологическая школа и изучение древних культур Евразии, 136-146. Санкт-Петербург.


**Esakia K.M. 2005:** Economic efficiency of Meso-Eneolithic settlements in southern Caucasus: the results of the traceological analysis of stone instruments. In *Prehistoric Technology, 40 years later: Functional studies and the Russian legacy*, -Verona, 20-23 April 2005. Abstracts, 179-183. -

**Keeley L. 1976:** Mikrowear on flint: Some experimental results. – *Staringia*, Vol. 3, 49-51.


**Laszlo E.1991:** The Age of Bifurcation. Understanding the Changing World. Amsterdam.

**Moss E. H. 1983:** Microwear analysis of burins and points from Tell Abu Hureyra, Syria. – M.-C. Cauvin, ed., *Traces de utilisation sur les outils Néolithiques du Proche Orient*, Travaux de la Maison de L’Orient 5, 143-162. Paris.




**Plisson H. 1983:** An application of casting techniques for observing and recording of microwearLithic Technology. University ofTulsa (USA).



ჰისტოგრამა 1



ჰისტოგრამა 2



ჰისტოგრამა 3

## STONE FINDS FROM ARCHAEOLOGICAL SITES IN TRIALETI: A FUNCTIONAL ANALYSIS

Tools are one of the principal for the study of early human development, but they often escape the attention of scholars. The typological study of tools is a means of organizing and systematizing all archaeological material (necessary for identifying cultures and local variants). Traceological research is an even more accurate and informative method. It is not limited to defining the function of a tool, but defines the whole economic situation of a settlement and reconstructs ancient economic systems.

After the traceological method (Semionov 1957; Semionov 1968; Semionov 1974; Semionov 1983) and functional analysis (Korobkova 1987; Masson 1971, etc.) were invented, most stone objects collected on archaeological sites undergo a traceological investigation, and the method itself has become firmly established in the archaeological world (Keeley 1976; Plisson 1983; Moos 1983, etc.).

Traces left on tools during their use are characterized by regular features. When studied beneath the microscope, tools reveal their function, their length of use, the materials on which they were employed, the numbers of operations they performed, and the nature of the manufacture in which they were involved, etc. (Korobkova 1987).

While the instrumental aspect of the traceological method may be satisfactory at present, the classification of the data is often superficial and unconvincing. We have tried to make this classification more informative and specific by introducing integrated analysis (Esakia 2003). In calculation we used normalization, or relative indicators. In this way we avoided the absolute margin of error while comparing collections of different sizes. In the area of economic analysis we considered a well known theory of economics, namely, macro-economic evaluation.

The economy of ancient settlements is mainly natural. When an individual satisfies necessary demands there is a knock-on effect in the development of vital branches of the economy. In the course of time tools, technique, technologies become more refined and, as a result, sufficient goods are produced. A closed society does not benefit from the production of excessive goods, which is why when there begins a distribution of kinetic energy and manufacturing interests, other branches of the economy develop (e.g. internal economies). Consequently, an economy that has a variety of developed branches suggests a high level of development. According to modern evolutionary theory (Laszlo 1991; Prigozhin 1991), high standards of development equate with a higher organization of society, as a system. The higher instability of the system corresponds to such organization. Evolution only occurs when instability reaches its maximum so that any insignificant impact will result in the transformation of the system. In terms of economics, it means the development of new relations within the old system. An advanced economy is therefore more unstable and ready for transformation. Earlier research showed that the organization of economics is closely related to the chronology of sites (Esakia 2005).

Here we should make one necessary proviso. Traceology, as with any research, depends directly on the preparation of material and its qualitative provision. Without this an incomplete archaeological picture emerges. The principle of material collection is very important: we have to ensure that when the material is received there will be no statistical confusion; i.e. the received material is not just a separate tool but also reflects the present situation at the site. Only in this case we can speak about an equal degree of margin of er-

ror, and, consequently, about perfect analysis. Stray surface finds do provide the possibility for such analysis, although it is possible to obtain enough information about the function of the tool itself.

The pipeline project was initially presented not only as an achievement of modern economy, but also as a means of restoring ancient trade routes: Any results gained through wide-scale archaeological excavation and research had to fill the vacuum in our present state of information. This is why there arose an interest in conducting traceological analysis of stone assemblages alongside other material recovered during the building of the BTC pipeline. Stone material found in Tsalka region (Sapar-Kharaba cemetery, Ai-Ilia, Imera kurgan, Jinisi rooms) and in the Borjomi section (Tiselis Seri) was investigated by means of both typological and functional analysis. Most of the material consists of surface finds, but is still informative for functional analysis to make an estimation of everyday life and the economic activities of primitive communities. The results of the investigation have been partly published (Esakia 2004, 6-10), and partly exist as reports. The present work summarizes the functional analysis of the research we have conducted.

Stone material from Sapar-Kharaba mostly consists of obsidian. The artefacts were both surface finds (27) and from burials (44). Typologically, five tools were recorded among the surface finds: an arrowhead, a grindstone, an axe, a mortar, a hand axe. Five more were recovered from the cemetery: four pointed tools and an arrowhead.

As a result of traceological investigation it turned out that 27 items out of 44 are tools and the other 17 are flakes and chips without any trace of use. Among the finds from the cemetery knives for cutting meat predominate: there are seven of them. Next come six side-scrapers and six wideners, four perforators and four files, two scrapers, a retouch maker, a burin, a pointed tool and an arrowhead. If we take into consideration that the blades of some tools were used in several operations (using a worn-out tool for another, different, function), the number of tools functionally grew to 31 items.

Recording the findspots of tools within burials is another point. The discovery of a medium-sized one-sided file inside the skull of a lamb in Burial No. 85 is especially interesting. Its working blade was greatly blunted and, according to linear traces, was used for bone or dried wood. In the central part of Burial No. 78, beneath the shoulder blade of a lamb near the west wall was a one-sided knife for cutting meat. A similar knife was recovered from near the upper extremities of the skeleton in Burial No. 90. The blade of the first tool clearly shows a linear trace and a degree of wear. The second tool is not as worn out as the first, which points to its having been in use for a shorter time. A broken lamella recovered from the large pot in Burial No. 122 served as a knife for cutting meat. Thus, the burials produced tools that were in fact accidental flakes but which had been used on the spot for performing a specific function.

According to functional statistics, certain tools were used for dealing with bone and wood. In particular, files from burials were used for wood and bone, which by itself implies that wood and bone were present in the burials. The knives had been used for cutting meat, wideners for broadening hole in wood, while one side of the arrowhead from Burial No. 78 was used for scraping. Side scrapers bear a trace of scraping on wood. As for the arrowhead, it must be mentioned, that at Eneolithic settlements of southern Turkmenistan, G. Korobkova conducted traceological analysis on flint arrowheads, and distinguished groups of different function among them (Skakun 1972; Korobkova 2001): perforators, drills, wideners, scrapers, for treating leather, knives for meat and leather. In our case the arrowhead in question functioned as a scraper.

The stone implements from Ai-Ilia found during excavations in November and December 2002 were mostly surface finds and mostly made of obsidian. Traceological research is particularly important while working on obsidian, as it is difficult to identify signs of wear on a working edge due to its fragility.

109 items of the 219 items in the stone inventory might be considered working tools. Their number grew as result of the secondary use of worn-out tools and of flakes and chips. They included 54 side-scrapers, 18 knives, eight perforators, six saws, six burins, five scrapers, five wideners, four retouch makers, two peelers, and one straight sided crusher.

We considered it important to give prominence to the finds from Trial Trench No. 25 at Ai-Ilia, since an im-



portant part of the inventory (96 items) came from this trench. It is especially interesting to compare the finds from the trench and from the whole site, because qualitative similarities and differences will inevitably reveal distinctive local characteristics. As we mentioned before, normalizing the data allows us also to assess the qualitative characteristics of finds in the case of an unequal quantity. Employing this principle we compiled a collective histogram (Histogram No. 1). As can be seen, the distribution of the main groups does not vary and points to their similarity: the trench is not a local version of the site. In both cases normalization occurred using the main group of tools, which in both cases were scrapers. Here the qualitative similarity is clearer. Any difference is so insignificant that it does not change the whole picture.

Thus, household activities were clearly displayed. The wear on the working edges of the tools shows that they were used to work wood, bone and horn. Among them scrapers occupy an important place. Tools for making ornaments—small saws and wideners—are also remarkable. Livestock breeding dominates in the economy, as is suggested by the discovery of knives for cutting meat. Flakes of production waste at the Ai-Ilia site indicates that the tools were produced within the settlement.

The material from the Jinisi settlement consists of the finds of obsidian from three rooms (36 objects in total). Traceological investigation showed that four of the nine items recovered in room No. 1 were tools. These are scrapers on old, battered knives for cutting meat. Judging by linear trace on the working edge and by signs of wear, the worked material must have been dry wood. The tools in the room were used and were not made specially.

Among the seven from Room No. 2 there were three scrapers and one small widener; in view of the wear on their working edges, all four tools were used for working wood.

Room No. 3 produced 12 items: five knives, four scrapers and a saw. The working edge of the scrapers is badly broken. At the edge of its ventral side short and deep lines are visible, which points to working solid material. The working edges of the knives have a line of polishing, which goes over the chipped edge too: an indication that the material that was worked must have been very soft. The saw has a high back, is treated with pressure flaking and is jagged. On the working edge of the tool there are thin, dense lines with wear marks. It was a tool used for working bone.

All three rooms of the Jinisi settlement thus contained tools for working meat, wood and bone.

The next group consists of the obsidian finds from Imera kurgan. A total of 68 items were studied. 35 of them did not appear to have had any function, i.e. they had not been used in any working process.

Of the tools that had been used, we can posit the following functional groups: five scrapers (for treating wood); two retouch makers (on a waste piece of a nucleus and an uneven lamella); four perforators (broken in use); three saw-like tools (with small teeth and a polished working edge; soft material leaves such a trace); three knives for cutting meat with small chips on the dorsal and ventral sides; a burin (for working dry wood or bone). Seven combined tools were excavated alongside these tools.

The site at Tiselis Seri in Borjomi district produced a small assemblage. Flint sickle blades were made from medium-sized triangular and rectangular lamellae. All were treated with double pressure flaking. Three were one-sided and two double sided. The working edge is cogged and the mirror-like surface common on sickles can be seen on both ventral and dorsal sides. Microscopic examination allowed us to estimate that the linear trace which stays on a tool only as a result of cutting grass, was covered with a trace diagnostic of other agricultural activities, i.e. the tool performed two kinds of operation. Four lamellae revealed a trace only found on arable crops. The likelihood that arable crops were mown by the sickle lamellae is indicated by a linear trace: such a deep trace is only left by the dust of cultivated soil mixed with the silica deposited on the stems of crops and which scrapes the tool edge. As for wild crops, they do not have a thick coat as they grow in uncultivated soil and the dust left on the stem is insignificant. Consequently, linear trace rarely occurs on the tool edge is faint when it does. It is therefore possible to establish what sort of plant was cut by the lamella: crops, grass, wild plants and so on. The grass which has a multi-branch root system creates a hard coat that protects the plant from abrasive dust which does not leave a linear trace on a tool (Korobkova 1978, 37-52).

The rest of the material recovered at the site of Tiseli includes: a saw-like tool used for treating soft wooden material; scrapers (of a kind effective for treating leather at the last stage of its preparation); a retouch maker (the back had been used for work); knives for cutting grass. The site produced a flint spearhead formed on a large, leaf-like, triangular flake with double treatment technique. Microscopic analysis showed that this spearhead had also functioned as a knife.

Normalized indicators of the investigated material (Histogram 2) are shown horizontally according to the functional groups of tools. Normalization was based on the leading group of tools at each site. The main branch of the economy and its relative importance with respect to other branches was distinguished. The number of work tools was the criterion by which economic development was judged. If we compare the indicators of the first three sites, we get 4.7 for Sapar-Kharaba, 2.2 for Ai-Ilia, and 3.8 for Imera. On a chart showing economic efficiency ancient settlements in Asia and Caucasia (Diagram 3) Ai-Ilia is close to Anaseuli I, Imera is between Melouri and Shulaveris Gora, while Sapar-Kharaba is close to Arukhlo I.

The Tiseli settlement reveals a different picture. On the one hand, there are sickle blades made with rather advanced technique reflecting a developed manufacturing economy; on the other hand, the evaluation of the economy (2.6) made on the basis of the available material looks quite weak. Here the question of the quality of material provision arises that we specially discussed above.

If it is the case that was no breach of statistic correlation in the reception and provision of material at Tiseli, we can discuss the peculiarities of the Tiseli sickle blades as well as the economic development of the site. The available material does not, however, allow us to do so. For this reason Tiseli's economic efficiency does not appear on the chart.

Finally, it should once more be stated that traceological investigation must be conducted on material representative of the whole site. This is the principle upon which the chart of the economic efficiency of the settlements of Central Asia and ancient Caucasia was constructed. From this point of view, the material presented here in this work is somewhat meagre. But if we are to create a complete information base we need more integrated social investigations with further material.

#### Bibliography:

- Esakia K.M. 2003:** Eksperimental'no-trasologicheskiy metod i effektivnost' ekonomiki rannezemledel'cheskikh khozyaistv (The experimental-traceological method and economic efficiency in Early Farming economies). In: *Peterburgskaya trasologicheskaya shkola i izuchenie drevnikh kul'tur evrazii*, 136-146. St. Petersburg.
- Esakia K.M. 2004:** eksperimentalur-trasologiyuri kvlevis metodis gamoqeneba adresamitsatmokmedo ekonomikis ephektianobis gansazghvrisatvis (Using the experimental-traceological research method for indicating the efficiency of early agricultural economies). In V. Japaridze (ed.). *Interdisciplinary Studies (Dziebani, Supplement 10)*, 6-10. Tbilisi.
- Esakia K.M. 2005:** The economic efficiency of Meso-Eneolithic settlements in the southern Caucasus: the results of traceological analysis of stone instruments. *"Prehistoric Technology" 40 years later: Functional studies and the Russian legacy, Verona, 20-23 April 2005. Abstracts*, 179-183.
- Keeley L. 1976:** Microwear on flint: some experimental results. *Staringia* 3, 49-51.
- Korobkova G. F. 1978:** *Drevneishie zhatvennie orudia i ikh proizvoditel'nost'* (Ancient harvesting tools and their efficiency) SA, 4. 37-53.
- Korobkova G.F. 1987:** *Xoziaistvennie kompleksi zemledelchesko-skotovodcheskikh obshchestv iuga SSSR (Household complexes of farmers and cattle breeders in the south of the USSR)*. Leningrad.
- Korobkova G.F. 2001:** *Funktsional'naya tipologiya orudii truda i drugikh nemetalicheskikh izdelii Altin-depe. Osobennosti proizvodstva poseleniya Altin-depe* (The functional typology of tools and other metal objects from Altin-tepe. The

peculiarities of manufacture of the Altin-tepe settlement). *MYUTAKE*, 146-212.

**Laszlo E. 1991:** *The Age of Bifurcation. Understanding the Changing World*. Amsterdam.

**Masson V.M. 1971:** *Poselenie Dzheitun (Jeitun settlement)* (MIA, 180). Moscow.

**Moss E. H. 1983:** Microwear analysis of burins and points from Tell Abu Hureyra, Syria. In: M.-C. Cauvin, ed., *Traces deutilisation sur les outils Néolithiques du Proche Orient*, Travaux de la Maison de L'Orient 5, 143-162. Paris.

**Plisson H. 1983:** An application of casting techniques for observing and recording of microwear. *Lithic Technology* 12: 17-20.

**Prigozhin I. 1991:** *Filosofia nestabil'nosti* (The philosophy of instability). *Voprosi filosofii* 6, 46-57.


**Semenov S.A. 1957:** *Pervobytnaia tekhnika* (Primitive technology) (MIA 54). Moscow.

**Semenov S.A. 1968:** *Razvitie tekhniki v kamennom veke* (The development of technology in the Stone Age). Leningrad.

**Semenov S.A. 1974:** *Proiskhozhdenie zemledeliya* (The origin of farming). Leningrad.


**Semenov S.A., Korobkova G.F. 1983:** *Tekhnologiya drevnikh proizvodstv* (The technology of ancient production). Leningrad.

**Skakun N.N. 1972:** Funktsional'noe issledovanie kamennykh nakonechnikov strel epokhi bronzy (A functional investigation of Bronze Age arrowheads). *KD*, 15-37.




Histogram 1

The economic efficiency of ancient settlements in Central Asia and Caucasia




Histogram 2


Regulated histograms of stone tools of the Settlements  
AI-ILIA



IMERA



TISELI



Histogram 3

## ელისო ყვავაძე გოდერძი ნარიმანიშვილი

### ნალკის პლატოს პალეოლანდშაფტები გვიანპლეისტოცენისა და ჰოლოცენში

(არქეოლოგიური და გეოლოგიური მასალის პალინოლოგიური  
მონაცემების მიხედვით)

**შესავალი.** პალეოლანდშაფტების რეკონსტრუქცია არქეოლოგიური მასალის პალინოლოგიური კვლევების მიხედვით საკმაოდ პერსპექტიულია. უძველესი კულტურული ფენებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური შესწავლა როგორც ველური, ისე კულტურული მცენარეული საფარის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. დისკუსია ნალკისა და მისი შემოგარენის გვიანპლეისტოცენისა და ჰოლოცენის ლანდშაფტის ხასიათის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მიმდინარეობს [კეცხოველი 1959; მარუაშვილი 1970; Маргалитаძე 1977; 1995]. გასული საუკუნის 70-იან წლებში ნალკის პლატოზე პალინოლოგიურად შესწავლილ იქნა ბარეთის ტბის დანალექი ფენების მხოლოდ ერთი ჭრილი, სადაც არც ერთი შრე არ არის დათარიღებული რადიონახშირბადის მეთოდით. პალინოსპექტრებში არც სათესი მარცვლეულის და არც სხვა კულტურული მცენარეულობის ნაშთები არ დაფიქსირებულა. არსებული მოსაზრებით ნალკის ზეგანზე მთელი ჰოლოცენის პერიოდში გავრცელებული იყო ღია სტეპური ცენოზები და აქ, როგორც ჯავახეთის პლატოზე, ტყეები არასოდეს იზრდებოდა [Маргалитаძე 1977]. აღსანიშნავია ბეშთაშენის ციკლოპური სიმაგრის კულტურული ფენიდან შესწავლილი ხის ნახშირის მაკრონარჩენები, რომელთა პალეობოტანიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ ბეშთაშენის შემოგარენში ენეოლითის ხანაში იზრდებოდა ტყე, სადაც დომინირებდა მურყანი, ხოლო ადრებრინჯაოს ეპოქაში ჭარბობდა მუხნარი [Яценко-Хмелевский, Канделаки 1941]. ბრინჯაოს ხანაში ნალკის პლატოზე ტყის არსებობის შესახებ აღნიშნულია ახალ გამოკვლევებშიც [Kvavadze, Connor 2005; Квავაძე и др. 2007].

**ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.** ნალკის პლატო მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილში. ოროგრაფიული თვალსაზრისით იგი წარმოადგენს ამაღლებულ მთიან პლატო-ქვაბულს [Маруაშვილი 1973]. რეგიონი ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია თრიალეთის ქედით, დასავლეთიდან – სამსარის ქედის ჩრდილო კალთებით, აღმოსავლეთიდან – მდ. ალგეთის აუზით, სამხრეთიდან – ჯავახეთის ქედის ჩრდილო კალთით, ჭოჭიანის პლატოსა და ბედენის ზეგანით. აღნიშნული ტერიტორიის აბსოლუტური სიმაღლე მერყეობს 1400-1500 მ-დან 1900-2000 მ-მდე. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ნეოგენური ხანის ვულკანოგენური ფენები. მხოლოდ თრიალეთის ქედისპირა ზოლია აგებული აჭარა-თრიალეთის სისტემის პალეოგენური და ზედაცარცული დანალექებით [მარუაშვილი 1970; Маруაშვილი 1973].

**ჰიდროგრაფიული ქსელი** განვითარებულია საკმაოდ კარგად. რეგიონის ძირითად მდინარეს ქცია წარმოადგენს, რომელიც თრიალეთის ქედზე იღებს სათავეს და ქვემო ქართლის ვაკეზე მდ. მტკვარს უერთდება. მისი სიგრძე 220 კმ-ია. ნალკის პლატოზე მრავლადაა ვულკანური და ტექტონიკური წარმოშობის ტბები, ყველაზე დიდი ბუნებრივი ტბაა ბარეთისა (ბაშქოის). პატარა ტბებიდან აღსანიშნავია უზუნგელის, ალიგელისა და იმერას ტბა [Апхазова 1975]. ტბების ნაწილი დაფარა ნალკის წყალსაცავმა, რომელსაც ნალექიან წლებში 30-31 კმ<sup>2</sup> უკავია. ამ ხელოვნური ტბის დონის აბსოლუტური ნიშანი შეადგენს 1510 მ-ს. დასავლეთიდან მასში ჩაედინება მდ. ქცია, აღმოსავლეთიდან – მდ. კორსუ. ნალკის წყალსაცავიდან წყლის გადინება ხდება ხრამჭესისა და წყლის გამფილტრავი მიწისქვეშა ნაგებობების საშუალებით.

**კლიმატური პირობები**, ორი მეტეოსადგურის (ნალკისა და ოლიანქის) მონაცემების მიხედვით, აქ ზომიერია. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 6°-5°. იანვარში ტემპერატურა ეცემა -5°, -6°, ივლისისა კი შეადგენს 16°-15°. ყოველთვიური ტემპერატურის ცვალებადობის ამპლიტუდაა 21°-21.5°. ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 538-662 მმ-ს [Ломинадзе, Чиракаძე 1971]. ნალექის მაქსიმუმი მოდის მაისსა და ივნისში. ძლიერ საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მთელი წლის განმავლობაში თითქმის არ იცვლება და საშუალოდ შეადგენს 72-76% [Атлас Грузии, 1964].

**ნიადაგის საფარი** ძირითადად შედგება შავმიწანიადაგისაგან. ნალკის მთების სამხრეთ ფერდობებზე გავრცელებულია საშუალოდ გამოტუტვილი შავმიწანიადაგი. თუმცა რელიეფის დაფერდებულ და ამოზურცულ მონაკვეთებზე გავრცელებულია სრულად გამოტუტვილი შავმიწანიადაგი. თრიალეთის ქედის წინა ზოლის ჩრდილო განაპირას შეინიშნება მთა-მდელოთა ნიადაგები. ქვაბულის ძირზე, ტბებთან და მდ. ქციას ნაპირებთან გავრცელებულია სხვადასხვა ტიპის დაჭაობებული ტენიანი მდელო-ნიადაგი [Атлас Грузии, 1964].

რეგიონის **მცენარეული საფარი** მეორად ხასიათს ატარებს. ეს ძირითადად გასტეპებული მდელოებია, რომელშიც ჭარბობს მარცვლოვნები. ტყე ცალკეული ფრაგმენტების სახით შემორჩენილია თავკვეთილის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე, მდ. კუსრეთისწყლისა და ხრამის აუზში, სოფ. დაშაშის, კუშჩის, საფარ-ხარაბასა და სხვ. შემოგარენში. ტყეში იზრდება მუხა, ნიფელი, რცხილა, თელა. ქვეტყეში გვხვდება ცირცელი, მდგნალი და მალაღმთიანი ტყის სხვა კომპონენტები. აღსანიშნავია ხელოვნურად გაშენებული ფიჭვის ტყეები, რომლებიც დაირგო გასული საუკუნის 60-იან წლებში. ეს ტყეები კარგადაა განვითარებული. ჩვენი დაკვირვებით, ფიჭვის განახლება კარგად მიმდინარეობს.

**მასალა და მეთოდიკა.** არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს ჭურჭლის ორგანულ ნარჩენებს, განამარხებულ ნიადაგს, ნაცროვან ფენებს, ხისა და ტყავის ნაშთებს, რომლებიც აღმოჩნდა სამარხებსა და ნამოსახლარის ფენებში. აღნიშნული მასალა შეგროვებულია 2002-2005 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოების დროს. ალიგელისა და იმერას ტბების ფსკერის დანალექი ფენები გაბურღულია ხელის ბურღით. გამოკვლეულია ორი ტბა-ჭაობისა და ოთხი ნიადაგური ჭრილი, არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული განამარხებული ნიადაგის და სხვა ორგანული ნარჩენების სერია (ტაბ. I).

ნიმუშები აღებულია იმერასა და საფარ-ხარაბას სამაროვნებზე, ჯინისის და აი-ილიას ნამოსახლარებზე. ჭრილებში აღებულ ნიმუშებს შორის ინტერვალი საშუალოდ 4-5 სმ-ია.

ლაბორატორიული დამუშავების პირველ ეტაპზე ხდება მასალის მოხარშვა ტუტეში, მეორე ეტაპზე – ცენტრიფუგირება კადმიუმის მძიმე სითხეში, ხოლო ბოლო, მესამე ეტაპზე – აცეტოლიზი ანუ შეღებვა ერდტმანის სტანდარტული მეთოდიკის მიხედვით. რადიონახშირბადული დათარიღება ჩატარდა აქსელერატორული სპექტრომეტრის (AMS) საშუალებით მეღბურნის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.

განამარხებული მტვრის სპექტრების სწორი ინტერპრეტაციისათვის განსახილველ რეგიონში შესწავლილია აგრეთვე ნიადაგის, ტბის, ჭაობისა და ხავსის თანამედროვე პალინოლოგიური სპექტრები. მასალის იდენტიფიკაცია ხდებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში დაცული თანამედროვე ეტალონური კოლექციებისა და მტვრის ატლასების გამოყენებით. მასალის შესწავლა ხდებოდა Leitz სერიის მიკროსკოპის გამოყენებით (x300-600). შესწავლილი მასალა ინახება პალეობიოლოგიის ინსტიტუტში.

**კვლევის შედეგები და მათი განხილვა.** განამარხებული ნიადაგი და ორგანული ნაშთები საფარ-ხარაბას სამაროვნიდან. ძეგლი მდებარეობს სოფ. საფარ-ხარაბას ჩრდილოეთით. სამაროვნის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 1500 მეტრია, ხოლო სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 700 მ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისას გაითხარა 120-ზე მეტი სამარხი. არქეოლოგიური მონაცემებით იგი, ისევე როგორც იმერას სამაროვანი,

თარიღდება ძვ.წ. XV-XIV სს-ით [ნარიმანიშვილი 2006; Нариманишвили Г. 2006; Kvavadze, Narimanishvili 2006a,b].

პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია 30 სამარხიდან აღებული 300-მდე ნიმუში, რომელიც წარმოდგენილია განამარხებული ნიადაგით, თიხის ჭურჭლისა და მიცვალებულთა კუჭ-ნაწლავის შიგთავსის ნაშთებით, სამარხი კამერების გადასახური ძელების და ქსოვილთა ნარჩენებით და სხვა. ნიმუშების აღება ხდებოდა წინასწარ განსაზღვრული ადგილებიდან (ტაბ. II<sub>1,2</sub>).

შესწავლილი ორგანული წარმონაქმნების პალინოლოგიურმა სპექტრებმა მათში მარცვლოვანი კულტურების, განსაკუთრებით ხორბლის, მაღალი შემცველობა გვიჩვენა. სათესი კულტურების სარეველებიდან მრავლადაა წარმოადგენილი *(Carduus)*, მათიტელა (*Polygonum*), ლილილო (*Centaurea*), წინიბურა (*Fagopyrum*), ხვართელა (*Convolvulus*). ხე-მცენარეებიდან მრავლადაა წარმოდგენილი ფართოფოთლოვანთა, განსაკუთრებით მუხისა და ცაცხვის მტვერი. წინვოვნებიდან უმეტესობას წარმოადგენს ფიჭვისა და სოჭის მტვერი. შესწავლილი მტვერის სპექტრის 50-45% შეადგენს ტყის კომპონენტები. № 10 სამარხის № 4 ჭურჭლიდან (ინვ. № 99) აღებული ნიმუშის სპექტრში მრავლადაა თაფლოვანი მცენარეების მტვერი, რომელიც როგორც ჩანს, წარმოადგენს თაფლის ნარჩენს. ამავე ნიმუშში ბევრია ტყის კომპონენტებიც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მრავალ სამარხში აღმოჩენილია სითბოს მოყვარული ტყის გვიმრის – ვენერას თმისა (*Adiantum capillus veneris*) და ანოგრამას (*Anogramma leptophyllum*) სპორები. ამაჟამად ვენერას თმა არ იზრდება შუა სარტყელზე მაღლა, რაც შეეხება ანოგრამას, იგი იშვიათ მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება და გვხვდება აჭარის ტენიან კლდეებზე.

განხილულ პალინოლოგიურ სპექტრებში საკმაოდ ხშირად გვხვდება კაკლის (ყუგლანს *regia*), თხილის (*Corylus*), კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვერი. კულტურული ვაზის მტვერი აღმოჩენილია არა მარტო განამარხებული ნიადაგის სპექტრში, არამედ იმ ორგანული ნარჩენების ნიმუშებში, რომლებიც აღებულია მიცვალებულთა კბილებსა (ტაბ. III) და მუცლის არედან. ვაზის ძალიან ბევრი მტვერი აღმოჩნდა № 54 სამარხის ჭურჭლის (ინვ. № 338) ქვეშ, იატაკიდან აღებულ ნიმუშში. არაპალინოლოგიური ხასიათის ფოსილიების ჯგუფში ნაპოვნია მუხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, რომლებიც მრავლადაა სამარხთა გადასახური ძელების ნარჩენებში. ხოლო ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები დაფიქსირებულია მიცვალებულის ჩონჩხისა და თიხის ჭურჭლის ქვეშ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესწავლილი სამარხების თითქმის 50% გადახურული იყო ძელებით. მიცვალებულთა ჩონჩხის ქვეშ მრავლადაა აღმოჩენილი სელისა და ბამბის ქსოვილის ბოჭკოების ნაშთები (ტაბ. IV). უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არის ბამბის ქსოვილის აღმოჩენის ყველაზე ადრეული ფაქტი, არამარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთელ ამიერკავკასიაში [Kvavadze, Narimanishvili 2006b]. შალის ბოჭკოები სამარხებში ნაკლებადაა აღმოჩენილი. რამდენიმე სამარხში მიცვალებულთა მუცლისა და ტერფის არეში დაფიქსირდა ადამიანის ჰელმიტების, კერძოდ, ღორის სოლიტერის (თაენია *solium*) კვერცხები.

**ჯინისის ნამოსახლარის კულტურული ფენები.** ნამოსახლარი მდებარეობს ნალკის პლატოს დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 1569-1572 მ-ზე. ნამოსახლარის ქვედა ფენები არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძვ.წ. XVII-XVI სს-ით, ხოლო ზედა ფენები და სამეურნეო ორმოები – ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება [Амиранашвили, Нариманашвили 2005, 42-43]. პალინოლოგიური კვლევისათვის ქვედა ფენებიდან შერჩეული და შესწავლილია 8 ნიმუში, ხოლო ზედა ფენებიდან – 6 ნიმუში. ძვ.წ. XVII-XVI სს-ით დათარიღებული ფენების სპექტრში ხემცენარეებიდან ბევრია ფიჭვისა და არყის ხის მტვერი, რომლებიც თანაბარი რაოდენობითაა (38 – 38%) წარმოდგენილი. აღმოჩენილია აგრეთვე თელას, თხილის, მურყანის მტვერი. სპოროვანი მცენარეებიდან ბევრია ტყის კომპონენტების, მაგალითად მთის ჩადუნას (*Dryopteris filix-mas*) სპორები. ბალახეულ ჯგუფში ბევრია სარეველები. მარცვლოვანთაგან აღმოჩენილია ხორბლის მტვერი. მარცვლოვნების, ისევე როგორც ნათესის თანმხლები სარეველების მტვერი, არც ისე ბევრია აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ნამოსახლარის ზედა ფენებში და სამეურნეო ორმოებში აღებული ნიმუშების მტვერის სპექტრი სრულიად განსხვავებულია ქვედა ფენების სპექტრებისაგან. ზედა ფენებ-



ში და სამეურნეო ორმოებში არ გვხვდება არცის ხის მტვრის მარცვლები, სამაგიეროდ ქარბობს რცხილისა და ჯაგრცხილას მტვერი. პირველი სახლის № 3 სამეურნეო ორმოში აღმოჩნდა წაბლის მტვერი. ბევრია სათესი მარცვლეული, რომელშიც შედის ხორბალი და ჭვავი. ხორბლის მარცვლებზე შეინიშნება ცეცხლის კვალი. მრავლადაა მარცვლოვანთა კულტურების სარეველები, განსაკუთრებით სხვადასხვა სახეობის ღიღილო (*Centaurea*), მათიტელა (*Polygonum*), ნარშავი (*Carduus*), ნაცარქათამა (*Chenopodium*) და სხვ.

**განამარხებული ნიადაგი და ორგანული ნაშთები იმერას სამაროვნიდან.** ძეგლი მდებარეობს იმერას ტბის სამხრეთ-დასავლეთით, ზღვის დონიდან 1600 მ-ის სიმაღლეზე. არქეოლოგიური მასალის მიხედვით სამაროვანი ძვ.წ. XV-XIV სს-ით თარიღდება. პალინოლოგიურად შესწავლილია 6 ნიმუში, რომლებიც აღებულია ოთხი სამარხიდან და წარმოადგენს განამარხებულ ნიადაგს და თიხის ჭურჭელში დაფიქსირებულ ორგანულ ნაშთებს. ყველაზე საინტერესოა № 7 სამარხი, სადაც ერთ-ერთ ჭურჭელში (ინვ. № 187), როგორც ჩანს, იყო ცხიმი, და № 6 სამარხის მასალა, სადაც № 180 ჭურჭელში აღმოჩნდა თაფლის ან თაფლუჭის ნაშთი. ორივე ნიმუში შეიცავს ცაცხვის, რცხილის, მურყანის, ტირიფისა და ნიფლის მტვრის მარცვლებს. ნინვოვნიდან დომინირებს ფიჭვი და სოჭი, ცოტაა ნაძვის მტვრის მარცვლები. № 7 სამარხის ჭურჭელში (ინვ. № 187) მრავლადაა გვიმრის სპორები, განსაკუთრებით გვიმრუჭა (*Asplenium*), კილამურა (*Polypodium vulgare*), კრიპტოგრამა (*Cryptogramma crispa*). აქვე ბევრია სათეს მარცვლოვანთა, მათ შორის ხორბლის, მტვერი. არანაკლებ საინტერესოა № 6 სამარხის ჭურჭელის (ინვ. № 180) ნიმუშში დადასტურებული ბალახოვნების შემადგენლობა. იგი დიდი რაოდენობით შეიცავდა თაფლოვანი მცენარეების ყვავილის მტვერს, რომელთა შორის მრავლადაა ტყის კომპონენტები, როგორიცაა ლაშქარა (*Symphytum*). სპექტრში დომინირებს ისეთი თაფლოვანები, როგორიცაა არჯაკელი (*Lathyrus*), ორფერა (*Pulmonaria*), სამყურა (*Trifolium*), ალკანა (*Alkanna orientalis*). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგადად ზემოთ ჩამოთვლილი მცენარეების მტვერი ცუდად ინახება და ამიტომ ნიადაგში თითქმის არ გვხვდება. ალკანა ძალიან იშვიათად ინახება ტბისა და ქაობის დანალექ ფენებშიც კი. ხოლო თაფლი, რომელიც წარმოადგენს ბრწყინვალე კონსერვანტს, შესანიშნავად ინახავს ამ მცენარის მტვერს. ალკანას მტვერი ჩვენს მიერ ნაპოვნია თანამედროვე თაფლის მრავალ ნიმუშში. საინტერესოა ჩამოთვლილი თაფლოვანი მცენარეების ეკოლოგია. სამყურას (*Trifolium*) გარდა, ყველა მცენარე წარმოადგენს ტყისათვის დამახასიათებელ სახეობებს, ამავე დროს დღეს ისინი იზრდებიან დაბალ და მთის შუა სარტყლის ტყეებში [Гроссгейм 1946, 1949; Кецохели 1964].

**აი-ილიას ანტიკური ხანის ნამოსახლარის კულტურული ფენები.** აი-ილიას მთის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 1660 მ-ზე გაითხარა ანტიკური ხანის ნამოსახლარი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. V ს-ით. ძეგლიდან შესწავლილია 6 ნიმუში. პალინოლოგიურ სპექტრში ტყის კომპონენტებიდან ბევრია ფიჭვისა და მაღალმთის მუხის მტვერი. ნაპოვნია სოჭისა და ნაძვის მტვრის მარცვლები. ფართოფოთლოვანთაგან მუხის გარდა, აღსანიშნავია ნიფელი, რცხილა და ჯაგრცხილა. ბალახოვანი მცენარეები წარმოდგენილია საკმაოდ კარგად. ბევრია რუდერალური მტვერი, რომელიც მომდინარეობს ეზოებიდან, გზებიდან, სანაგვე ადგილებიდან. ცოტა, მაგრამ მაინც აღმოჩნდა სათესი მარცვლოვანების მტვერი, სადაც დომინირებს ხორბალი. ბევრია პასკვალური ჯგუფის მტვერი. გარდა ამისა, ინტენსიური მეცხოველეობის არსებობას ადასტურებს პალინოსპექტრში კოპროფილური სოკოების – *Sordaria*, *Neurospora*, *Sporormiella* – სპორების სიჭარბე. არაპალინოლოგიური ფოსილიებიდან აღსანიშნავია ცხვრის მატყლი, რაც მიუთითებს მეცხვარეობის განვითარებაზე.

**ალიგელის ტბის ქრილი (სოფ. სანთასთან).** გაბურღვით მიღებული დანალექი ფენების სიღრმე 3.10 მ-ია და წარმოდგენილია ტბიური თიხისა და საპროპელის მონაცვლეობით. პალინოლოგიურ დიაგრამაზე გამოიყოფა 6 პალინოზონა (ტაბ. V<sub>ა</sub>). პირველ და მეორე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მტვრის მინიმალური კონცენტრაცია. ხე-მცენარეთა მტვრის შემცველობა განსახილველ ზონაში ასევე დაბალია (დიაგრამაზე ცალკეული ხე-მცენარეთა პროცენტული

შემადგენლობა გამოთვლილია ხე-მცენარეთა ჯგუფის რაოდენობიდან). ბალახეულის მტვერში ჭარბობს ცივი და მშრალი სტეპების კომპონენტები. ეს არის აბზინდის, ნაცარქათამასა და ველურ მარცვლოვანთა მტვერი. პირველ პალინოზონაში ბევრია ღვიის და ეფედრას მტვრის მარცვლები. 309 სმ-ზე აღებული შრე, რომელიც პირველ პალინოზონაში შედის, რადიონხშირბადული მეთოდით თარიღდება  $12400 \pm 90$  BC. მეორე პალინოზონა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ემსგავსება პირველ პალინოზონას, მაინც მკვეთრად განსხვავდება მისგან. აღინიშნება სუბალპური ზონის კომპონენტები, მაგ. არყის ხე. აქ მატულობს ეფედრისა და თხილის მტვრის რაოდენობა. 285 სმ-ის სიღრმის დანალექების აბსოლუტური ასაკი შეადგენს  $10\ 102 \pm 90$  BC, ხოლო 252 სმ სიღრმეზე  $9\ 045 \pm 160$  BC (Connor 2006; Kვაადზე и др. 2007).

მესამე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მტვრის რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით ტყის ელემენტებისა (ტაბ. V<sub>A</sub>). ბევრია სოჭის (*Abies*) ნიფლის (*Fagus*), მუხის (*Quercus*), რცხილას (*Carpinus*), თელის (*Ulmus*), თხილის (*Corylus*) მტვერი. აქ ჩნდება და მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს სითბოს მოყვარული ისეთი მცენარეების მტვერი, როგორცაა ძელქვა (*Zelkova*) და ცაცხვი (*Tilia*). ასევე იზრდება ფართოფოთლოვანთა მტვრის რაოდენობა, მათ შორისაა ნეკერჩხალი (*Acer*), ნაბლი (*Castanea*), ლაფანი (*Pterocarya*). ამავე დროს მნიშვნელოვნად მცირდება მაღალმთიანი ტყისათვის დამახასიათებელი სიცივის მოყვარული კომპონენტები, მაგალითად არყის ხე. სწორედ მესამე პალინოზონაში ჩნდება და დიდ მნიშვნელობას აღწევს სათესი მარცვლოვნების – ქერის (*Hordeum*), ხორბლის (*Triticum*), ჭვავის (*Secale*) მტვერი. ჩნდება კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*). აღნიშნული ზონის ზედა ნაწილში მრავლადაა ნაპოვნი ნახშირის ნაწილაკები, რაც მაჩვენებელია ხანძრებისა, რომელიც საახოო მიწათმოქმედების განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. 219 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი ნახშირის ნაწილაკების აბსოლუტური თარიღია  $3095 \pm 40$  BC, ხოლო 203 სმ-ის სიღრმეზე –  $3375 \pm 50$  BC.

მეოთხე პალინოზონა გამოირჩევა მტვრის კონცენტრაციის ზრდით. პალინოსპექტრში მცირდება მეზოფილური ხემცენარეების – ნიფლისა და სოჭის მტვრის მარცვლები. მატულობს ისეთი გვალვაგამძლე ელემენტების მტვრის რაოდენობა, როგორცაა ფიჭვი და მუხა. წინა პალინოზონასთან შედარებით ასევე მატულობს ღვიის (*Juniperus*) მტვრის შემცველობა. ბალახოვანთა შორის ბევრია მარცვლოვნები. ნახშირის ნაწილაკები საერთოდ არ ფიქსირდება. აღნიშნული ზონის 165 სმ-ზე მდებარე დანალექი შრეების თარიღია  $2517 \pm 50$  BC.

მეხუთე პალინოლოგიური ზონის ნიმუშები ხასიათდება მტვრის მაქსიმალური კონცენტრაციით. შესამჩნევად მატულობს ტენის მოყვარული მცენარეების, განსაკუთრებით ნიფლისა და რცხილის როლი. მუხის მტვრის შემცველობა მკვეთრად ეცემა, ხოლო ფიჭვისა, პირიქით, მკვეთრად მატულობს (ტაბ. V<sub>A</sub>). ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს მარცვლოვნები. საინტერესო ფაქტს წარმოადგენს სათესი მარცვლოვანების და ვაზის მტვრის შემცველობის ერთდროული მატება. აქ ასევე ბევრია ნახშირის ნაწილაკები. 147 სმ-ის სიღრმეზე მდებარე დანალექი ფენები თარიღდება  $829 \pm 40$  BC, ხოლო 110 სმ-ს სიღრმეზე მდებარე –  $549 \pm 40$  AD.

მეექვსე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მტვრის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება და ნახშირის ნაწილაკების ზრდა. პალინოლოგიურ სპექტრში შეინიშნება ანთროპოგენური ინდიკატორების ჯგუფის მცენარეთა მტვრის, განსაკუთრებით კი ძოვის მაჩვენებლების (ნაცარქათამა, ავშანი) მატება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პალინოზონის ზედა ნაწილში იზრდება კოპროფილური სოკოს (*Sporormiella* და სხვ.) სპორების რაოდენობა, რომლებიც ჩვეულებრივ ფიტოფაგი ცხოველის ექსკრემენტებში გვხვდება. დანალექი ფენების აბსოლუტური თარიღი 70 სმ-ის სიღრმეზე არის  $1091 \pm 40$  AD, ხოლო 38 სმ-ის სიღრმეზე –  $1780 \pm 40$  AD.

**იმერას ტბის ჭრილი.** გაბურღული დანალექი ფენების სიღრმე 330 სმ-ია, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან თიხისა და საპროპელის შრეები. ჭრილის ზედა ნაწილში ჩნდება ნიადაგური წარმოშობის ფენები. იმერას ტბის მტვრის დიაგრამაზე გამოიყოფა 5 ზონა (ტაბ. V<sub>B</sub>).

პირველ ზონაში ბევრია ხე-მცენარეთა მტვერი და ის შეესაბამება ალიგელის ტბის მე-3 ზონას.

უხვადაა წარმოდგენილი სითბომოყვარული ელემენტები: რცხილა (*Carpinus caucasica*), ცაცხვი (*Tilia*), იფანი (*Fraxinus*), ძელქვა (*Zelkova*), წაბლი (*Castanea*), თელა (*Ulmus*), წიფელი (*Fagus*). ბალახოვანთა ჯგუფში დომინირებს მარცვლოვანთა და რთულყვავილოვანთა მტვერი. აღსანიშნავია ანთროპოგენური ინდიკატორები – ხორბალი, ჭვავი, სელი. არის აგრეთვე მინდვრის სარეველების მტვერი. ჭრილის ზედა ფენაში ნახშირის ნაწილაკები დიდი რაოდენობით ჩნდება. 271 სმ-ის სიღრმეზე შრეების რადიონახშირბადული თარიღი  $5521 \pm 60$  BC (Connor 2006; Квავაძე и др. 2007).

მეორე პალინოზონა იდენტურია ალიგელის ჭრილის მე-4 ზონისა და აქვს შემდეგი თავისებურებები. ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებს მუხა. არის ცაცხვისა და თხილის მტვერი. ბალახეულ მცენარეთა შორის ჭარბობს მარცვლოვნები, ბევრია ანთროპოგენური ინდიკატორები – ხორბალი (*Triticum*), ქერი (*Hordeum*), ჭვავი (*Secale*), ფეტვი (*Panicum*) და მათი თანმხლები სარეველები. აღინიშნება კულტურული ვაზის მტვერიც. ნახშირის ნაწილაკები ბევრია ზონის დასაწყისში. დანალექი ფენების აბსოლუტური თარიღი 230 სმ-ის სიღრმეზე არის  $2897 \pm 50$  BC, ხოლო 198 სმ-ის სიღრმეზე  $2517 \pm 110$  BC.

მესამე პალინოზონისათვის დამახასიათებელია მუხის რაოდენობის შემცირება, ხოლო სოჭისა და ფიჭვის მტვრის რაოდენობის ზრდა. განსაკუთრებით მკვეთრად ეს გამოხატულია ზონის ქვედა დონის შრეებში. ძალიან ცოტაა ნახშირის ნაწილაკები. პალინოლოგიური ზონის ზედა ნაწილში, 146 სმ-ის სიღრმეზე რადიონახშირბადული თარიღია  $400 \pm 40$  BC. აღწერილი ზონა შეესაბამება ალიგელის ჭრილის მე-5 ზონას. ყველაზე მეტი მსგავსება ვლინდება პალინოზონის ქვედა ნაწილის სპექტრში.

მეოთხე პალინოზონის ქვედა ნაწილის ხემცენარეთა ჯგუფში დომინირებს ფიჭვი, რომლის მტვრის რაოდენობა განხილული პალინოზონის ზედა ნაწილში თანდათან მცირდება. ქვედა ზონასთან (მე-3 პალინოზონა) იზრდება ბალახოვანთა მტვრის შემცველობა, განსაკუთრებით შესამჩნევია ღია ლანდშაფტებისათვის დამახასიათებელი კომპონენტების მატება. ბევრია ანთროპოგენური ინდიკატორების მტვერი. მკვეთრად მატულობს ნახშირის ნაწილაკების რაოდენობა. 115 სმ-ის სიღრმეზე დანალექი ფენის რადიონახშირბადული თარიღია  $421 \pm 40$  AD.

მეხუთე ზონას ახასიათებს მეორადი ტყის ელემენტების როლის ზრდა. მრავლადაა ჯაგრცხილასა და თხილის მტვერი. ბალახოვნების ჯგუფში არსებითად გაიზარდა სინანთროპული მცენარეების რაოდენობა. მრავლადაა ხორბალი და სარეველა მარცვლოვნები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სპექტრში იზრდება ზეთისხილის როლი, რომლის მტვერი წინა, მეოთხე პალინოზონაში პირველად ჩნდება.

ზეთისხილთან ერთად პალინოსპექტრში დაფიქსირებულია კულტურული ვაზი, კაკალი და თხილი, რაც მეზღვრობის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს. აღმოჩენილია საძოვრის ინდიკატორები და ადამიანის საცხოვრებლის რუდერალური ელემენტები. მრავლად გვხვდება ნახშირის ნაწილაკები. 54 სმ სიღრმეზე რადიონახშირბადული თარიღი  $1020 \pm 40$  AD. ყველა დათარიღება აბსოლუტურია და მათი კალიბრირება მოცემულია პირველ ტაბულაზე.

**აი-ილიას ნიადაგის 1-ელი ჭრილი.** განხილული ჭრილი მდებარეობს აი-ილიას მთის თხემის ოდნავ დაფერდებულ მონაკვეთზე. თხრილით მოიხსნა 150 სმ-ის სისქის ნიადაგი. ჰუმუსის ფენა 40 სმ-ის სიმაღლისაა, რომელიც შემდეგ გადადის ყვითელი ფერის თიხნარში. ყველაზე ქვედა ფენის პალინოსპექტრი ხასიათდება ხემცენარეების მტვრის მაქსიმალური შემადგენლობით, რომელთა შორის ბევრია თერმოფილური ელემენტები – მუხა (*Quercus*), ცაცხვი (*Tilia*), რცხილა (*Carpinus*), კაკალი (*Juglans regia*), თხილი (*Corylus*) (ტაბ. VI).

ჭრილში გამოიყო რვა პალინოლოგიური ზონა. 150-105 სმ-ის სიღრმეზე (1 და მე-2 პალინოზონები) ბევრია მურყნის (*Alnus*) მტვერი. ანთროპოგენური ინდიკატორების ჯგუფში ბევრია რუდერალური მცენარეების მტვერი. აღსანიშნავია სათესი მარცვლოვნებისა და მათი თანმხლები სარეველების მტვერი. სპოროვანთა შორის ბევრია გვიმრები. პირველი ზონა შეესაბამება ალიგელის ჭრილის მე-2 ზონის დასასრულს, მეორე კი – მთლიანად ასახავს ალიგელის დიაგრამის მე-3 პალინოსპექტრის ხასიათს.

105–90 სმ-ის სიღრმეზე მდებარე ფენა მოიცავს მე-3 პალინოზონას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეზოფილური ელემენტების მტვრის რაოდენობის შემცირება და გვალვაგამძლეობა მცენარეთა მტვრის მატება. ანთროპოგენურ ინდიკატორებს შორის რუდერალური მცენარეების მტვრის რაოდენობა არსებითად მცირდება, საძოვრების ინდიკატორების როლი კი იზრდება. საერთოდ არ აღინიშნება სათესი მარცვლოვნების და მინდვრის სარეველები. გამოყოფილი პალინოზონა შეესაბამება ალიგელის ქრილის მე-4 ზონას.

მეოთხე პალინოზონის სპექტრში, 90–70 სმ-ის სიღრმეზე აღინიშნება ხემცენარეების, განსაკუთრებით ფიჭვის, რაოდენობის ზრდა. მატულობს ანთროპოგენური ინდიკატორების მტვრის რაოდენობა, სათესი მარცვლოვნების ჩათვლით. ეს პალინოზონა შეესაბამება ალიგელის ქრილის მე-5 ზონას.

70–52 სმ სიღრმის ფენაში (პალინოზონა 5) დაფიქსირებულია ხე-მცენარეების, განსაკუთრებით ფიჭვის რაოდენობის არსებითი შემცირება. ანთროპოგენური მტვრის ჯგუფში მკვეთრად იზრდება კომპონენტები, რომლებიც მიუთითებენ ინტენსური ძოვების არსებობაზე. ანალოგიური ზონა ალიგელის ტბის ქრილში არ დაფიქსირებულა.

აი-ილიას ნიადაგის 1-ელი ქრილის დიაგრამის ზედა ნაწილის (6–8 პალინოზონები (ტაბ. V) მრუდეები შეესაბამება ალიგელის ტბის ქრილის მე-6 პალინოზონას და ახასიათებს ფიჭვის მტვრისა და ანთროპოგენური ინდიკატორების ჯგუფის ყველა კომპონენტის დიდი რაოდენობა. ტბების დანალექებისაგან განსხვავებით ნიადაგის ქრილში მკვეთრად გამოიყოფა სამი ქვეზონა.

**აი-ილიას ნიადაგის მე-2 ქრილი** 1-ელი ქრილის ჩრდილოეთით 100 მ-ის დაცილებით მდებარეობს. ნიადაგი გაიჭრა 95 სმ-ის სიღრმის თხრილით. ჰუმუსის ფენა 45 სმ-ის სიმაღლისაა და თანდათან გადადის მოყვითალო ფერის შრეში. ქრილში წარმოდგენილი ნიადაგი, განსაკუთრებით ქვედა ფენა, აი-ილია 1-ელთან შედარებით, გამოირჩევა დიდი სინოტივით. მთლიანობაში მე-2 ქრილიდან აღებული მასალა შეიცავს მტვრის დიდ რაოდენობას. გამოიყოფა 6 პალინოლოგიური ზონა (ტაბ. VII).

პალინოლოგიური დიაგრამის ქვედა ნაწილის (პალინოზონა 1, სიღრმე 95–75 სმ) სპექტრებს ახასიათებს ხემცენარეებისა და სარეველების მტვრის მნიშვნელოვანი შემცველობა. აქვე აღმოჩნდა სათესი მარცვლოვნების, კულტურული ვაზისა და თხილის მტვრის მარცვლები. აღნიშნული ზონა მსგავსია ალიგელის ტბის ქრილის მე-4 პალინოზონის ქვედა ნაწილისა.

75–45 სმ-ის სიღრმეზე (მე-2 და მე-3 პალინოზონები) გამოვლინდა იგივე თავისებურება, რაც ალიგელის ქრილის მე-5 პალინოზონას ახასიათებს - ხემცენარეების მტვრის, განსაკუთრებით ფიჭვის, საერთო რაოდენობის ზრდა.

დიაგრამის ზედა ნაწილი (4–6 პალინოზონები) შეესაბამება ალიგელის ტბის ქრილის მე-6 ზონას.

**აი-ილიას ნიადაგის მე-3 ქრილი** მდებარეობს მე-2 ქრილის დასავლეთით 60–65 მ-ის დაშორებით. აღნიშნული ფართობი სწორი ზედაპირით ხასიათდება. გაიჭრა 75 სმ-ის სიღრმის თხრილი, სადაც ნიადაგი ტენიანი იყო. ჰუმუსის ფენა 46 სმ სისქისაა. ნიადაგის ნიმუშებში მაღალია მტვრისა და სპორების შემცველობა. სპოროვანი მცენარეები აქ უფრო მეტია, ვიდრე აი-ილიას მე-2 ქრილში. დიაგრამის ქვედა ნაწილი (პალინოზონა 1, სიღრმე 75–55 სმ) ხასიათდება ხემცენარეების მტვრისა და ტყის გვიმრის სპორების მაქსიმალური რაოდენობით. ხე-მცენარეებს შორის დომინირებს ფიჭვი და მურყანი. ანთროპოგენური ინდიკატორების ჯგუფში მინდვრის სარეველები თითქმის არ არის, მრავლადაა იმ მცენარეების მტვერი, რომლებიც საძოვრების არსებობაზე მიუთითებენ.

დიაგრამის ზედა ნაწილი (სიღრმე 55–0 სმ) განეკუთვნება მე-2 პალინოზონას, რომელშიც სამი ქვეზონა გამოიყოფა. ხემცენარეთა რაოდენობა თანდათან მცირდება, ხოლო სინანტროპული მტვრის რაოდენობა იზრდება. სათესი მარცვლეულის, მათ შორის ხორბლისა და ქერის მტვერი მრავლადაა დაფიქსირებული მე-2 ქვეზონაში. 1-ელი და მე-2 პალინოზონები შეესაბამება ალიგელის მე-5 და მე-6 ზონებს.

**თანამედროვე მტვრის სპექტრის ხასიათი.** ტბების და ტბა-ჭაობების წარმონაქმნების სუბ-ფოსილური პალინოლოგიური სპექტრების დეტალური ანალიზი გარეჯი-თრიალეთი-ჯავახეთის ტრანსექტზე განხილულია ნაშრომში „თანამედროვე მტვრისა და მცენარეული საფარის გამოკვლევა სამხრეთ საქართველოს ვერტიკალურ ტრანსექტზე“ [Connor et al. 2004]. დადგენილია, რომ ტბების და ტბა-ჭაობების სპექტრში ხემცენარეების მტვრის რაოდენობა ტყის ლანდშაფტების გავრცელების არეალში ძლიერ შემცირებულია და შეადგენს არაუმეტეს 30-40%-ს. ანალოგიური სურათი მივიღეთ აი-ილიას მთის სამხრეთ ფერდობზე არსებული ფიჭვნარის ნიადაგის შესწავლისას. აღნიშნული ტყე გაშენებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში, იგი კარგადაა განვითარებული, რადგან მას გააჩნია თვითგანახლება. ფიჭვის ტყის სპექტრში ხემცენარეების მტვრის საერთო რაოდენობა საშუალოდ 40% შეადგენს (ტაბ. VIII). მაშინ როცა კავკასიის სხვა რეგიონების ამგვარ ტყეებში იგი როგორც წესი 80-95% აღწევს [Клопотовская 1973; Квavadze, Рухадзе Л. 1989; Kvavadze 1993]. ხემცენარეების მტვრის შემადგენლობა ტყემლარას (თეთრინყაროს რაიონი) მიდამოების შავმიწანიადაგშიცაა შემცირებული [Kvavadze et al. 2004]. ამასთან დაკავშირებით ვთვლით, რომ მცენარეული საფარის რეკონსტრუქციისას უნდა გავითვალისწინოთ ტყის ყველა კომპონენტის შემცველობა, მაგალითად გვიმრების სპორებისა, რომლებიც ტყის ნიადაგში შესანიშნავად ინახება. დიაგრამის შედგენისას ცალკეული ხემცენარის პროცენტული შემცველობის დაანგარიშება უნდა ხდებოდეს, არა მტვრის საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, როგორც დღესაა მიღებული, არამედ ხემცენარეების მტვრის შემადგენლობიდან.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფაქტობრივი მასალის მიხედვით, ნალკის პლატოზე, უკანასკნელი 15 000 წლის განმავლობაში, ლანდშაფტის განვითარებაში შემდეგი ეტაპები გამოიყოფა.

ვიურმის უკანასკნელი გამყინვარების შემდეგ, რომლის მაქსიმალური ფაზა ევრაზიის კონტინენტზე 18000 წლის წინ იყო, კლიმატი თანდათან გაუმჯობესდა [Tarasov et al. 1999]. მაგრამ 15000 წლის წინათ ისევ აცივდა, რასაც მოწმობს ალიგელის ტბის ჭრილის მტვრის სპექტრის შემადგენლობა. ნალკის პლატოს მცენარეული საფარი ზემოალპური ტიპის იყო, რომელიც შეიცავდა აგრეთვე სუბნივალური სარტყლის კომპონენტებს. აქ იზრდებოდა გამეჩხერებული დაბალი ბალახი, აგრეთვე მღიერები, ლიკოპოდიუმი და ხავსი. ეფედრასა და ყველა ხემცენარეთა მტვერს

**ცხრილი 1.** იმერასა და ალიგელის ტბების დანალექი შრეების სინჯების ნახშირბადული დათარიღება; კალიბრირებული თარიღი გამოთვლილია სტუივერ-რეიმერის (შტუივერ, Reimer 1993) სისტემის მიხედვით.

ადგილი, სიღრმე	ლაბ. №№	რადიონახშირბადული დათარიღება	კალიბრირებული დათარიღება
იმერა, 54 სმ	OZG-619	1010±40	968-911
იმერა, 115 სმ	OZG-624	1630±40	1566-1509
იმერა, 146 სმ	OZH-067	2360±40	2363-2335
იმერა, 189 სმ	OZG-623	4903±110	4648-4405
იმერა, 230 სმ	OZH-399	4290±50	4877-4822
იმერა, 271 სმ	OZH-398	6590±60	7505-7434
ალიგელი, 38 სმ	OZH-397	190±40	209-146
ალიგელი, 70 სმ	930±40	OZH-396	873-816
ალიგელი, 110 სმ	OZH-395	1510±40	1420-1333
ალიგელი, 147 სმ	OZH-394	2700±40	2798-2763
ალიგელი, 165 სმ	OZH-393	4030±50	4530-4424
ალიგელი, 203 სმ	OZH-393	4660±50	5460-5364
ალიგელი, 219 სმ	OZH-391	4450±40	5063-4972
ალიგელი, 252 სმ	OZH-390	9340±160	11115-10677
ალიგელი, 285 სმ	OZH-389	10250±90	12168-11892
ალიგელი, 309 სმ	OZH-388	12430±90	14949-14147

ჩვენ ვთვლით ქვედა სარტყლებიდან შემოტანილად. ადგილობრივად არ შეიძლება ჩაითვალოს ნაცარქათამასებრთა და ავშანის მტვერი, რომელიც კარგად ვრცელდება შორ მანძილზე. კავკასიის სუბნივალური ტბების თანამედროვე დანალექ ფენებში ისინი ყოველთვის მრავლადაა, თუმცა კავკასიის მაღალმთაში ეს ბალახოვნები არ იზრდება [Kvavadze, Efremov 1995].

მეორე ეტაპზე, 13000 წლის წინ, ლანდშაფტი ქვედაალპური გახდა, სადაც სუბალპური სარტყლის კომპონენტებიც იყო წარმოდგენილი. ალპურ მდელოებზე ჭარბობდა მარცვლოვანი ბალახები, ღრმა ხეებში კი იზრდებოდა სუბალპური ტანბრეცილი ტყე, არყის ხისა და მდგნალის შემადგენლობით, რომლებმაც, შესაძლოა გამყინვარების პერიოდი გადაიტანეს მდინარეების ღრმა ხეობებში (მაგ. ხრამის ხეობა).

მესამე ეტაპზე, 9000 წლის წინ, კლიმატი დათბა და ნალკის პლატოზე წარმოიქმნა ტყეები მაღალმთის მუხის (*Quercus macranthera*) დომინირებით.

როგორც მცენარეულობის, ისე კლიმატის განვითარების შემდგომი მეოთხე ეტაპი მთლიანობაში ასახავს ატლანტიური პერიოდის გლობალური დათბობის პირველ პიკს. ამ დროს იზრდება აგრეთვე ნალექების რაოდენობა. განხილულ პროცესს ადგილი ჰქონდა 6,5 – 6 ათასი წლის წინ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში [Tarasov et al. 1998]. აღნიშნულ პერიოდში ნალკის პლატოზე იზრდებოდა რცხილა, ნიფელი, ქართული მუხა, ძელქვა, ცაცხვი. დასაშვებია, რომ ღრმა ხეობებში, მაგ. ხრამის ხეობაში, იზრდებოდა ნაბლი და ლაფანი. მიმდებარე მაღალ მთებში ჭარბობდა სოჭი, რომელიც ნაძვთან შედარებით წარმოადგენს უფრო სითბოსა და ნესტის მოყვარულ მცენარეს. ადამიანი ამ პერიოდში ინტენსიურადაა დაკავებული მინათმოქმედებით, რასაც თბილი და ნოტიო კლიმატის გარდა, ხელს უწყობდა ნაყოფიერი შავმიწანიადაგის არსებობა. კარგად იყო განვითარებული მეზღვრობა და მევენახეობა.

მცენარეულობისა და კლიმატის განვითარების მეხუთე ეტაპზე აღინიშნება სითბოს მოყვარული სახეობების – რცხილის, ნიფლის, ძელქვისა და ცაცხვის ტყეების ფართობის შემცირება. მაღალმთის მუხისა და არყის ხის ტყეები, პირიქით, ფართოდ ვრცელდება. შეიცვალა კულტურული ლანდშაფტების ტიპი, მინათმოქმედება აღარ დომინირებდა, გაიზარდა საძოვრების ფართობი, გაქრა მევენახეობა. ლანდშაფტის ამ ცვლილებებს, ნახშირბადული დათარიღების მიხედვით, ადგილი ჰქონდა 5300 წლის წინ და გამოწვეული იყო კლიმატის აცივებით.

ლანდშაფტის განვითარების მეექვსე ეტაპი მიეკუთვნება ატლანტიკური დათბობის მეორე მაქსიმუმს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 5000-4600 წლის წინ ე.ი. ადრებრინჯაოს ხანაში. კვლავ გაიზარდა თერმოფილური მცენარეული საფარის ფართობი – განსაკუთრებით ქართული მუხის, გაჩნდა ინტენსიური მინათმოქმედება, მეზღვრობა და მევენახეობა. ეს იყო ძალზე ძლიერი დათბობა, რომელიც სამხრეთ საქართველოს მთისწინეთში და მაღალმთიანეთშიც აისახა. მაგალითად, ჯავახეთში სოფ. ტამბოკვასთან, ზღვის დონიდან 2 100 მ სიმაღლეზე ფარავნის ტბასთან მდებარე ყორღანის განამარხებული ნიადაგის სპექტრში ჩვენს მიერ აღმოჩენილია რცხილის, ცაცხვის, მუხის და ბზის მტვრის დიდი რაოდენობა. მრავლადაა სათესი მარცვლოვანების, მათ შორის ხორბლის მტვერი. ყორღანი თარიღდება ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით [Kvavadze, Kakhiani 2007]. სოფ. საკირეს სამხრეთით, ზღვის დონიდან 2 289 მ-ზე მდებარე კოდიანის ყორღანის განამარხებულ ნიადაგსა და ფოსილური თაფლის ნაშთში აღმოჩნდა ფართოფოთლოვანი სითბოს მოყვარული ხემცენარეების მტვერი და შესანიშნავად შემონახული ხის ძელები და ტოტები. კოდიანის ყორღანი არქეოლოგიური მასალის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. XXVI-XXIV სს-ით [Kvavadze и др. 2004; Kvavadze 2006; Kvavadze et al. 2006].

მცენარეულობისა და კლიმატის განვითარების მეშვიდე ეტაპზე ხდება სუბბორეალური აცივება და ნალექების რაოდენობის შემცირება. ნალკის რეგიონში მაქსიმალურ აცივებას ადგილი ჰქონდა 4000 – 3700 წლის წინ. კვლავ გავრცელდა მაღალმთიანი მუხის, არყის ხისა და ფიჭვის ტყეები, რომლებიც ამჟამად იზრდება ტყის გავრცელების ზედა საზღვარზე. ჯინისის კულტურული ფენების პალინოსპექტრებში მრავლადაა არყის ხის მტვერი, რაც ადასტურებს აქ არყის

ხის ტყეების არსებობას. ბალახოვნებს შორის იზრდება სუბალპური ელემენტები. მესაქონლეობამ თითქმის მთლიანად გამოდევნა მინათმოქმედება.

მერვე ეტაპზე, 3500-3400 წლის წინ, ხდება კლიმატის დათბობა. რა თქმა, უნდა იგი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ადრე ბრინჯაოს ხანაში, თუმცა ეს ცვლილებები ლანდშაფტებზე არსებითად აისახა. კვლავ გაჩნდა მუხისა და რცხილის ტყეები ცაცხვის მონანილეობით. მინათმოქმედება უფრო ინტენსიურად განვითარდა, ვიდრე წინა პერიოდში. აღორძინდა მეზალეობა და მევენახეობა, რასაც ადასტურებს საფარ-ხარაბასა და იმერას სამაროვნების მდიდარი ფაქტობრივი მასალა.

მეცხრე ეტაპი ასახავს სუბატლანტიკური პერიოდის აცივებას, რომელიც ასევე გლობალურ ხასიათს ატარებდა და მას ადგილი ჰქონდა 2 500 წლის წინ. კლიმატური პირობების გაუარესება კარგადაა ნაჩვენები აი-ილიას მთის ნამოსახლარის პალინოსპექტრებში. ხემცენარეებს შორის არ არის სითბოს მოყვარული ისეთი მცენარე, როგორიცაა ცაცხვი, ნაკლებია სათესი მარცვლეული და საერთოდ არ არის კულტურული ვაზი. მეურნეობაში ნამყვანი როლი ეკუთვნის მესაქონლეობას.

ლანდშაფტის განვითარების მეათე ეტაპი მოიცავს შუასაუკუნეებს (1350-800 წლის წინ), კლიმატი ხასიათდება მნიშვნელოვანი დათბობით, რომელიც კარგადაა დაფიქსირებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე [Kvavadze, Connor 2005]. ნალკის პლატოზე ინტენსიურად ვითარდება მინათმოქმედება, მესაქონლეობა და მევენახეობა. აღნიშნულ პერიოდში მოჰყავთ ზეთისხილიც (*Olea europaea*), რაც კარგად ჩანს იმერას ტბის ქრილის დიაგრამაზე. მდ. ხრამის ხეობაში ზეთისხილის გავლურებულ პლანტაციების არსებობაზე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი [ქც 1973].

გარდა ამისა, მეზობელ რეგიონში, არსიანის ქედზე, დიდაჭარის ტორფნარის ქრილში, რომელიც ზღვის დონიდან 1850 მ-ზე მდებარეობს, ანტიკური ხანის ფენებში აღმოჩნდა ზეთისხილის მტვრის მარცვლები (ჟ. ვან ლეევანის ზეპირი გადმოცემით. ბერნის უნივერსიტეტი). ზეთისხილის მოშენება საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდში დაფიქსირებულია ნავკისის ქრილის მტვრის სპექტრითაც [Connor, Kvavadze 2005]. როგორც ჩანს ზეთისხილის ინტროდუქცია მოხდა ანტიკურ პერიოდში დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში. შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კლიმატის დათბობისას მისი კულტივირება სხვა რეგიონებშიც ხდებოდა.

1350-800 წლის წინ მესაქონლეობა ნალკის პლატოზე თუმცა კი მეორეხარისხოვანი იყო, მაგრამ საკმაოდ კარგად იყო განვითარებული. მაქსიმუმამდე გაიზარდა ადამიანის საცხოვრებლის თანმხლები სარეველების მტვერი, რაც მოსახლეობის მაღალ სიმჭიდროვეზე მიუთითებს. ეს დასტურდება არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემებითაც. შესამჩნევია ადამიანის სამეურნეო გავლენა ბუნებრივ მცენარეულ საფარზე, დაიწყო ტყეების განადგურება.

მცირე გამყინვარების პერიოდი, რომელსაც ადგილო ჰქონდა 300 წლის წინ, აისახა ქრილების დანალექი ფენების სპექტრში ნაძვის მტვრის რაოდენობის ზრდით. განსაკუთრებით მკვეთრად ეს ჩანს აი-ილიას ქრილების დიაგრამებზე, ამიტომ, ჩვენი აზრით, დასაშვებია წინვოვანი ტყეების არსებობა ნალკის რეგიონის ტერიტორიაზე ამ ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი აცივების დროს. ვახუშტის მიხედვით ნაძვისა და ფიჭვის ტყეები იზრდებოდა ტაბანყურის ტბის ირგვლივ, ზღვის დონიდან 1900- 2000 მ სიმაღლეზე [კეცხოველი 1959, 277]. სწორედ მაშინ გაქრა ბევრი სითბოს მოყვარული მცენარე როგორც ველურ, ისე კულტურულ ცენოზებში. XVII საუკუნეში მოსახლეობამ მტრის შემოსევების გამო მიატოვა ეს ადგილები. ტყეების სრული განადგურება, როგორც ჩანს, XIX-XX საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, როდესაც მოსახლეობამ კვლავ აითვისა ეს ტერიტორია.

საკმაოდ საინტერესო მონაცემები მივიღეთ თავკვეთილის მთის ნიფლის ტანბრეცილი ტყის ნიადაგის ქრილის კვლევისას, სადაც 2100 მ-ის სიმაღლეზე ადრე და გვიანი შუასაუკუნეების ფენებში გამოვლენილია მუხისა და რცხილის ტყეების პალინოლოგიური სპექტრები [Arabuli et al. 2008].

ამრიგად, ტბებისა და ჭაობების დანალექი ფენების პალინოლოგიური ანალიზის შედეგების შედარება არქეოლოგიურ მასალასთან გვიჩვენებს, რომ თრიალეთში ატლანტიკური კლიმატური ოპტიმუმის მაქსიმუმი მოდის ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან II ათასწლეულის დასაწყისამდე. ამ ეტაპს ემთხვევა ადრე ბრინჯაოს ეპოქა (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი და III ათასწლეულის შუა ხანები). აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები ნალკის პლატოზე რამდენიმე პუნქტში გაითხარა. ეს არის ბეშთაშენი, ოზნი, ავრანლო, ტაშ-ბაში.

ზემოაღნიშნულ თბილ პერიოდს ემთხვევა შუაბრინჯაოს ხანის პირველი (ძვ.წ. XXVI-XXIV სს.), მეორე (ძვ.წ. XXIII-XXII სს.) და მესამე (ძვ.წ. XXI-XX სს.) ეტაპები. პირველი ეტაპის არქეოლოგიური ძეგლები (ბედენის კულტურა) შესწავლილია 5 პუნქტში: ბეშთაშენი, სანომერი, შიპიაკი, სანთა, ნინწყარო. მეორე და მესამე ეტაპის ძეგლებს განეკუთვნება თრიალეთის კულტურის ყორღანების პირველი და მეორე ჯგუფი.

ნალკის რეგიონში სუბბორეალური აცივება დაიწყო ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში და გრძელდებოდა ძვ.წ. XVII ს-მდე. ამ ეპოქას განეკუთვნება თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების III ჯგუფი.

დათბობის ახალი ეტაპი რეგიონში დაიწყო ძვ.წ. XV საუკუნიდან და გრძელდებოდა თითქმის ძვ.წ. V საუკუნემდე. ამ დროს ნალკის პლატოს ინტენსიურად ითვისებს ადამიანი. პალინოლოგიური მონაცემების გარდა ამას მოწმობს აქ არსებული მრავალრიცხოვანი ნამოსახლარები და სამაროვნები. არქეოლოგიური მასალა მიუთითებს ეკონომიკის მძლავრ განვითარებაზე.

ძვ.წ. V საუკუნიდან დაწყებული პერიოდი ხასიათდება კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესებით, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. რეგიონში არქეოლოგიური ძეგლების რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში მცირდება.

ახ.წ. VII ს-დან დაიწყო ე.წ. კლიმატის ანომალური დათბობის პერიოდი თრიალეთში და თითქმის XII საუკუნემდე გაგრძელდა. ეკონომიკა კვლავ აღორძინებას განიცდის. XIII-XVI სს-ში ადგილი ჰქონდა მკვეთრ აცივებას, შეინიშნება ეკონომიკის დასუსტება და მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. სწორედ ამ დროს ხდებოდა გარეშე მტრის მრავალრიცხოვანი შემოსევები. აღნიშნული ფაქტორების გამო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მოსახლეობა საერთოდ ტოვებს ნალკის პლატოს.

ამდენად არქეოლოგიური და პალინოლოგიური მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ეკონომიკური აღმავლობა და ტერიტორიის ინტენსიური ათვისება წარმოებდა სწორედ კლიმატის ხანგრძლივი დათბობების დროს.

**დასკვნა.** ჩვენს მიერ განხილული ფაქტობრივი მასალა და ლიტერატურული მონაცემები [Трифонов, Караханян 2004] გვიჩვენებს, რომ კლიმატური ფლუქტუაციები ცივილიზაციის ისტორიაში მნიშვნელოვნად განაპირობებდა ადამიანის სამეურნეო საქმიანობას.

ნალკის პლატოზე მინათმოქმედების აღორძინება თბილ კლიმატურ პირობებს ემთხვეოდა, ხოლო კლიმატური ოპტიმუმის დადგომისას ასევე ვითარდებოდა მეზალეობა და მევენახეობა. აცივების პერიოდებში კნინდებოდა მინათმოქმედების როლი, ქრებოდა მეზალეობა და მევენახეობა. კლიმატის გაუარესება მესაქონლეობის მძლავრ განვითარებას უწყობდა ხელს.

ზემოთ განხილული პალინოლოგიური მასალა მოწმობს, რომ უკანასკნელი 15 ათასი წლის განმავლობაში კლიმატი არაერთხელ შეიცვალა. კლიმატური ცვლილებები გლობალურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო დათბობისკენ. აღსანიშნავია, რომ ჰოლოცენში მიმდინარე დათბობის გლობალური ეტაპი პერიოდულად ხანმოკლე აცივებებით წყდებოდა. ანალოგიური სიტუაცია დადგენილია საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებშიც [Квавадзе, Рухадзе 1989; Ефремов, Квавадзе 1995; Квавадзе 1999; Kvavadze, Efremov 1994,1996; Трифонов, Караханян 2004; Kvavadze, Connor 2005].

პლეისტოცენის ბოლოს ნალკის ზეგანის ლანდშაფტები თავისი განვითარების პირველ ეტაპებზე უტყეოა. კლიმატი კი ცივი და მშრალი იყო. ჰოლოცენის დასაწყისში ლანდშაფტი ისევ ღია



რჩებოდა. ატლანტიკური პერიოდიდან, როდესაც დაიწყო ტემპერატურის და ნალექების მკვეთრი ზრდა დაიწყო ტყის მასივების თანდათანობით წარმოქმნა.

გატყიანებას თანდათანობითი და ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა. ეს პროცესი უწყვეტად მიმდინარებდა. თუმცა კლიმატის პერიოდული აცივება ან ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ხელს უშლიდა ამ პროცესს. ანალოგიური მოვლენა შეინიშნება სამხრეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის მრავალ რეგიონში. მაგ. ვანის, ურმიისა და ზერიბარის ტბების მიდამოები გვიანი პლეისტოცენის ცივ ეპოქაში უტყეო იყო. ტყე აქაც კლიმატის დათბობისა და დანოტივების დროს შუა ჰოლოცენში გაჩნდა [Van Zeist, Bottema 1991; Wick et al. 2003; Wright et al. 2003; Wasylikowa, Witkowski 2008].

წალკის პლატოზე ფართოფოთლოვანი ტყის მასივები შუა და გვიანი ჰოლოცენის დათბობის მაქსიმუმის დროს გაჩნდა. ტყეში დომინირებდა ქართული მუხა, რცხილა და თელა. ასევე იზრდებოდა ცაცხვი, ჯაგრცხილა, მურყანი, თხილი, ნეკერჩხალი, იფანი, ძელქვა. თრიალეთის ყორღანების დასაკრძალავ კამერებსა და სხვა ტიპის სამარხებში დადასტურებული ხის კონსტრუქციებიც ამ რეგიონში ტყის მასივების არსებობაზე მიუთითებს.

ჰოლოცენში აცივების ხანმოკლე ეტაპები ფიქსირდება. ზოგიერთი აცივების პერიოდი მეტად ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი იყო (მაგ. 300 წლის წინ). ამ დროს იცვლებოდა ტყის შემადგენლობაც. სითბომოყვარულ ფართოფოთლოვან ტყეებს ფიჭვისა და არყის ხის ტყეები ენაცვლებოდა, სადაც მაღალმთიანი მუხაც იზრდებოდა. მცირდება მინათმოქმედების როლი, მესაქონლეობა კი ინტენსიური ხდება.

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ტყეების განადგურების პირველი ეტაპი შუა საუკუნეებში, იმ დროს დაიწყო, როდესაც მოსახლეობის სიმჭიდროვე წალკის ზეგანზე ძალიან მაღალი იყო. ტყის გაჩეხვის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX ს-ში, წალკის პლატოზე ახლად ჩამოსახლებული სომეხი და ბერძენი მოსახლეობის მიერ. XX ს-ის პირველ ნახევარში ტყის მასივები განადგურდა. ბუნებრივი ტყეები მხოლოდ მდ. ქციის აუზის ღრმა ხეობებში შემორჩა.

## ლიტერატურა

**კეცხოველი ნ. 1959:** საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი.

**მარუაშვილი ლ. 1970:** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2. თბილისი.

**ნარიმანიშვილი გ. 2006:** საფარ- ხარაბას სამაროვანი. – ძიებანი, № 17-18, 92-126.

**ქც 1973:** ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

**Амиранашвили Дж., Нариманишвили Г. 2005:** Поселение эпохи средней бронзы из Триалети. – Т. Бунятов (ред.), Археология, Этнология, Фольклористика Кавказа, 42-43. Баку.

**Апхазова Н. 1975:** Озера Грузии. Тбилиси.

**Атлас Грузии 1964:** Тбилиси.

**Гроссгейм А. 1946:** Растительные ресурсы Кавказа. Баку.

**Гроссгейм А. 1949:** Определитель растений Кавказа. Москва.

**Ефремов Б., Квавадзе Э. 1995:** История озер Кавказа. – Румянцев В.А. (ред.) История озер севера Азии, 192-205. Санкт-Петербург.

**Квавадзе Э. 1999:** Голоценовые колебания уровня озера Лиси и изменения положений нижней границы леса. – Проблемы палеобиологии, том.1, 75-87. Тбилиси.

**Квавадзе Э. В. 2006:** Фоссильный мед как объект для палеоэкологических реконструкций (по палинологическим данным археологического материала из Грузии). – Палеонтологический журнал, том 40: 595-603. Москва.

**Квавадзе Э., Рухадзе Л. 1989:** Растительность и климат голоцена Абхазии. Тбилиси.

**Квавадзе Э., Гамбашидзе И., Миндиашвили Г., Гогочури Г. 2004:** Следы существования древнего пчеловодства

(III тысячелетие до н.э.) на территории Грузии по палинологическим данным. – И. Я. Элиава (ред.), Труды Института Зоологии, том. XXII, 438-449. Тбилиси.

- Квавадзе Э. В., Коннор С. В., Нариманишвили Г. К. 2007:** Позднеплейстоценовая и голоценовая история развития ландшафтов окрестностей Цалки (Южная Грузия) по палинологическим данным озерных и почвенных образований. Проблемы палеобиологии, том. II, 12-23. Тбилиси.
- Кецховели Н. (ред.) 1964:** Определитель растений Грузии, том 1. Тбилиси.
- Клопотовская Н. 1973:** Основные закономерности формирования спорово-пыльцевых спектров в горных районах Кавказа. Тбилиси.
- Ломинадзе В., Чиракадзе Г. 1971:** Климат и климатические ресурсы Грузии. Ленинград.
- Маруашвили Л. (ред.). 1973:** Геоморфология Грузии. Тбилиси.
- Маргалитадзе Н. 1977:** История растительности Джавахетского нагорья и Цалкинского плато в голоцене. – И. Тумаджанов (ред.), Палинологические исследования в Грузии, 124-147. Тбилиси.
- Маргалитадзе Н. 1995:** История голоценовой растительности Грузии. Тбилиси.
- Нариманишвили Г. 2006:** Триалети в II тысячелетии до н.э. (по данным археологии). Автор. докт. дисс. Тбилиси.
- Трифонов В., Караханян А. 2004:** Геодинамика и история цивилизаций. Москва.
- Яценко-Хмелевский А., Канделаки Г. 1941:** Древесные угли из раскопок Бешташенской циклопической крепости (Цалка). – Сообщ. Груз. филиала АН СССР, том 2, № 5, 14-21.
- Arabuli G., Kvavadze E.I., Kikodze D., Connor S., Kvavadze E., Bagaturia N., Murvanisze M., Arabuli T. 2008:** The Krummholz beech woods of Mt. Tavkvetili (Javakheti Plateau, Southern Georgia), a relict ecosystem. *Proceedings of the Institute of Zoology* 23, 194-213.
- Connor S.E. 2006.** Late Quaternary vegetation history of Southern Georgia. Caucasus. Thesis of Dr. Dissertation. Melbourne.
- Connor S.V., Kvavadze E.V. 2005:** Climatic and human influences on vegetation dynamics around Tbilisi over the past 6000 years. *Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biological series B*, 3/4, 64-76.
- Connor S., Thomas I., Kvavadze E., Arabuli G., Avakov G., Sagona A. 2004:** A survey of modern pollen and vegetation along an altitudinal transect in southern Georgia, Caucasus region. *Review of Palaeobotany and Palynology* 129, 229-250.
- Kvavadze E. 1993:** On the interpretation of subfossil mountain spore-pollen spectra. *Acta Palaeobotanica* 33(1), 347-360.
- Kvavadze E., Shatberashvili Z., Amiranashvili J., Arabuli G. 2004:** Palynological investigations of two burial mounds of the Middle Bronze Age of Tkemlara (Eastern Georgia). *Acta Palaeobotanica* 44(2), 267-279.
- Kvavadze E.V., Connor S.V. 2005:** Zelkova carpinifolia (Pallas) K. Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany and Palynology* 133, 69-89.
- Kvavadze E., Efremov Yu. 1994:** Palynological studies of Holocene lake sediments in the headwaters of the river Bezymianka (West Caucasus). *Acta Palaeobotanica* 35(2), 205-214.
- Kvavadze E., Efremov Yu. 1995:** Peculiarities of recent pollen spectra of lake sediments in the Caucasus. *Acta Palaeobotanica* 35(1), 57-72.
- Kvavadze E., Efremov Yu. 1996:** Palynological studies of lake and lake-swamp sediments of the Holocene in the high mountains of Arkhyz (Western Caucasus). *Acta Palaeobotanica* 36(1), 107-119.
- Kvavadze E., Kakhiani K. 2007:** Extrafossils in pollen spectra of the samples of organic formation from the Paravani Kurgan (the Early Bronze Age, Georgia). *Vegetation History and Archaeobotany* (in press).
- Kvavadze E., Gambashidze I., Mindiashvili G., Gogochuri G. 2006:** The first find in southern Georgia of fossil honey from the Bronze Age based on palynological data. *Vegetation History and Archaeobotany* 16,5, 399-404.
- Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a:** An experimental approach to the palynology of remains from Middle Bronze

Age burials in Saphar-Kharaba, southern Georgia. *Abstracts of the 7<sup>th</sup> European Palaeobotany-Palynology Conference*, 77-78. Prague.

**Kvavadze E., Narimanishvili G. 2006b:** The remains of *Gossipium*, *Linum* and sheep hairs as textile fibers of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials. *Palyno-Bulletin* 2. No. 1-4, 34-37. Innsbruck.

**Tarasov P.E., Volkova V.S., Andreev A.A., Bezusko L.S, Kvavadze E. 1998:** Present-day and middle-Holocene biomes reconstructed from pollen and plant macrofossil data from the Former Soviet Union and Mongolia. *Journal of Biogeography* 25, 1029-1054.

**Tarasov P.E., Peyron O., Guiot J., Brewer S., Kvavadze E. et al. 1999:** Last glacial maximum climate of the Former Soviet Union and Mongolia reconstructed from pollen and plant macrofossil data. *Climate Dynamics* No. 15, 227-240.

**Trifonov V., Karakhanian A. 2004:** *Geodinamika i istoria civilizacii*. (The geodynamics and history of civilization). Moscow

**Van Zeist W., Bottema S. 1991:** Late Quaternary vegetation of the Near East. *Beihefte zum Tübinger Atlas des Vorderen Orients*, Reihe A 18, 1-156

**Wasylkowa K., Witkowski A. (ed.) 2008:** *The Paleocology of Lake Zeribar and Surrounding Areas, Western Iran, during the last 48,000 years*. Diatom Monographs 8. Ruggell.

**Wick L., Lemcke G., Sturm M. 2003:** Evidence of Late-glacial and Holocene climatic change and human impact in eastern Anatolia: high-resolution pollen, charcoal, isotopic, and geochemical records from the laminated sediments of Lake Van, Turkey. *The Holocene* 13 (5), 665-675.

**Wright H., Ammann B., Stefanova I., Atanassova J., Margalitadze N., Wick L., Blyakharchuk T. 2003:** Late-glacial and early-Holocene dry climates from the Balkan peninsula to Southern Siberia. S. Tonkov (ed.), *Aspects of Palynology and Palaeoecology*, 127-136.

### სურათების აღწერა

ტაბ. I. ნალკის ტაფობის რუკა და საკვლევი პუნქტების ადგილმდებარეობა: 1. ჯინისის ნამოსახლარი; 2. ალიგელის ტბა; 3. აი-ილიას მთა; 4. საფარ-ხარაბას სამაროვანი; 5. იმერას ტბა; 6. იმერას სამაროვანი.

ტაბ. II. 1. საფარ-ხარაბას სამაროვანი, სამარხი № 67 (a – გათხრების დასაწყისი; b – გათხრების დასასრული. ფოტო გ. ნარიმანიშვილისა). წრეებითა და ისრებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც აღებულია ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზისათვის; 2. საფარ-ხარაბას სამაროვანი, სამარხი № 85 (a – გათხრების დასაწყისი; b – გათხრების დასასრული. ჩანს კამერის გადახურვის ხის ძელები. ფოტო გ. ნარიმანიშვილისა). წრეებითა და ისრებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც აღებულია ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზისათვის.

ტაბ. III. საფარ-ხარაბას სამაროვანი. სამარხი № 67. კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლები, რომლებიც აღმოჩნდა მიცვალებულის კბილებს შორის (×600-ჯერ).

ტაბ. IV. საფარ-ხარაბას სამაროვანი. ბამბის ქსოვილისა და ბოჭკოების ნაშთები: 1. სამარხი № 56. ქსოვილის ნაშთი (×20-ჯერ); 2,3. სამარხი № 56. ბამბის ქსოვილის ძაფის ბოჭკოები (×600-ჯერ); 4,5. სამარხი № 71. ბამბის ქსოვილის ძაფის ბოჭკოები (×600-ჯერ).

ტაბ. V. A. ალიგელის ტბის ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა (ნაჩვენებია დომინანტები და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი კომპონენტები); B. იმერას ტბის ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა (ნაჩვენებია დომინანტები და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი კომპონენტები) [დიაგრამა აღებულია ყვავაძისა და სხვ. 2007 წლის პუბლიკაციიდან].

ტაბ. VI. აი-ილიას ნიადაგის 1-ელი ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა.

ტაბ. VII. აი-ილიას ნიადაგის მე-2 ჭრილის დანალექი ფენების სპორებისა და მტვრის დიაგრამა.

ტაბ. VIII. თანამედროვე მტვრისა და სპორების ნიადაგური სპექტრი აი-ილიას მთის ჩრდილო ფერდობზე (1-3 სინჯები აღებულია ფიჭვის ტყეში, დანარჩენი კი - მდელოზე).

Eliso Kvavadze,  
Goderdzi Narimanishvili

## THE PALAEOLANDSCAPES OF THE TSALKA PLATEAU IN THE LATE PLEISTOCENE AND HOLOCENE

(According to palynological data from archaeological  
and geological material)

**Introduction.** The reconstruction of palaeolandscapes through palynological investigation of archaeological material holds great promise. The palynological study of samples from ancient cultural strata provides the opportunity of restoring both wild and cultivated vegetation. There has long been a discussion in the scientific literature on the late Pleistocene and Holocene landscape of Tsalka and its environs (Ketskhoveli 1959; Maruashvili 1970; Margalitzadze 1977; 1995), but the only place on the Tsalka Plateau where palynological study had occurred was in a single section of sediment at Baret Lake in the 1970s, and none of the levels were dated by radiocarbon methods. The palynological spectrum did not record remains of crops or other cultivated plants. It was generally believed that throughout the Holocene period open steppe cenoses were spread over Tsalka Plateau and, like the Javakheti Plateau, no forests grew here (Margalitzadze 1977). We must emphasize the charcoal macro-remains from the cultural stratum of the Beshtasheni Cyclopean fortress, which when subjected to paleobotanical analysis showed that in the Eneolithic period a forest dominated by alder grew in the environs of Beshtasheni, while in Early Bronze Age it was oak that prevailed (Yatsenko-Khmelevskii, Kandelaki 1941). New investigations also mention the presence of a forest on Tsalka Plateau in the Bronze Age (Kvavadze, Connor 2005; Kvavadze et al. 2007).

**Physical and geographical situation.** Tsalka Plateau is situated in the eastern part of a volcanic plateau in South Georgia. In orographic terms, it is a raised mountainous plateau-depression (Maruashvili 1973). The region is confined by the Trialeti range to the north, by northern slopes of the Samsari range to the west, by the River Algeti basin to the east and by the northern slope of the Javakheti range, Chochiana and Bedena Plateaux to the south. The absolute altitude of the area varies between 1400-1500 and 1900-2000. The geological structure is composed of the Neogene sedimental layers of volcanic provenance. Only the northernmost part of the area adjoining the Trialeti Ridge consists of Palaeogene and Upper Cretaceous layers of the Adjara-Trialeti system. (Maruashvili 1970; Maruashvili 1973).

**The hydrographic net** is quite well developed. The main river of the region is the Ktsia, which starts in the Trialeti range and joins the River Mtkveri on the Kvemo Kartli plain. It is 220km long. There are many lakes of volcanic and tectonic origin on Tsalka Plateau. The largest natural lake is Baretisa (Bashkois). Among smaller lakes Uzungeli, Aligeli and Imera lakes (Apkhazava 1975) are worthy of note. Some of the lakes were covered by the Tsalka reservoir which occupies 30-31 km<sup>2</sup> in years with a high rainfall. The absolute level of this artificial lake is 1510m. The River Ktsia flows into it to the west and to the east it is joined by the Korsu. Water drains from the reservoir through the Khrami hydroelectric station, as well as by underground arrangements for water filtering.

**Climatic conditions**, thanks to data from two meteorological stations (Tsalka and Olianki) can be said to be mild. The average annual temperature is 5-6°C. In January the temperature falls to -6-5°C. In July it reaches 15-16°C. The amplitude of temperature variability per month is 21-21.5°C. Annual precipitation is between 538 and 662 mm. (Lominadze, Chirakadze 1971). The greatest precipitation is in May and June. Air humidity does not vary during the year and is 72-76 % on average. (*Atlas of Georgia*, 1964).

The main soil type in this district is black earth. Moderately alkalized black earth spreads from the mountains to the southern slopes of the Tsalka highland region. The alpine meadow soils cover the marginal northern foothills of the Trialeti Ridge. At the bottom of the basin, near the lakes and on the banks of the River Ktsia the swamps and meadows have moist clayey soil (*Atlas of Georgia*, 1964).

**The vegetation** of the region is of a secondary nature. These are mainly meadows turned into steppes where cereals dominate. Sparse patches of forest survive on the eastern slopes of Mount Tavkvetili, in the basins of the rivers Kusretistsqali and Khrami, in the environs of the villages of Dashbash, Kushch, Sapar-Kharaba, etc. Oak, beech, hornbeam, elm grow in the forest. In the sub-forest are rowan, *Salix caprea* and other components of mountain forests. A well-developed artificial coniferous forest was planted in the 1960s, and as far as we could observe, the renovation of the conifers is proceeding normally.

**Material and methods.** Archaeological material consists of organic remains in vessels, fossilized soil, layers of ash, remains of wood and leather found in burials and settlements. This material was collected during fieldwork in 2002-2005. Sediments from the bottom of the Aligeli and Imera lakes were drilled with a hand drill. Two lake-swamp and four soil sections, and a series of fossilized soils and other organic remains have been investigated (pl. I).

Samples come from the Imera and Sapar-Kharaba cemeteries, and from the Jinisi and Ai-Ilia settlements. The interval between the samples received in sections is about 4-5 cm.

The first stage of laboratory treatment involves boiling the sample in alkali, the second centrifugation in a heavy cadmium liquid, and the third is acetolysis or dying according to the Erdtmann standard method. Radiocarbon dating was carried out with the help of the accelerator mass spectrometer (AMS) at the Melbourne University laboratory.

For the correct interpretation of fossilized dust spectra, the modern palynological spectra of soil, lake, swamp and moss of the region were been investigated. Identification of the material was carried out by means of atlases of modern etalon collections and dust. The material was studied using a Leitz microscope (x300-600). The material studied is preserved in the Institute of Palaeobiology.

**Results of the research and review.** *Fossilized soil and organic remains from the Sapar-Kharaba cemetery.* The site is situated north of the village of Sapar-Kharaba. The cemetery measures 1500 m E-W, and 700 m N-S. During construction work in connection with the BTC pipeline, over 120 burials were excavated. Judging by the archaeological data the site, like the Imera cemetery, is dated to the 15<sup>th</sup>-14<sup>th</sup> centuries BC (Narimanishvili 2006; Narimanishvili G. 2006; Kvavadze, Narimanishvili 2006 a,b).

About 300 samples from 30 burials were studied using palynological methods. These samples included fossilized soil, the remains of pottery with organs of the deceased in them, the remains of timbers from the roofs of burial chambers, clothes, etc. The collection of the samples took place at pre-defined places (pl. II, 1-2).

The palynological spectra of the organic formations we investigated showed a high cereal content, especially wheat. Among crop-weeds there was plenty of thistle (*Carduus*), knotweed (*Polygonum*), cornflower (*Centaurea*), buckwheat (*Fagopyrum*), and convolvulus (*Convolvulus arvensis*). Among arboreal plants there was much pollen of wide-leaf trees, especially oak and lime. Pollen of pine and Nordmann fir predominated among coniferous trees. 50-45% of the sampled pollen consisted of forest components. In the spectrum from Vessel No. 4 (inv. No. 99) of Burial No. 10 there was plenty of pollen from honey plants which was clearly fossil honey. The same sample contains many forest components. It is important that many burials produced spores of warm climate forest ferns: *Adiantum capillus veneris* and *Anogramma leptophyllum*. The former does not currently grow above the middle zone, while the latter belongs to a group of rare plants that grows on damp rocks in Adjara.

These palynologic spectra very often contained the pollen of walnut (*Juglans regia*), hazelnut (*Corylus*), cultivated vine (*Vitis vinifera*). The pollen of the cultivated vine has been found not only in the spectrum of fossilized soil, but also in samples of organic remains found in the teeth (pl. III) and stomach area of the deceased.

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესოა მოსახლეობის რეგიონალური ტიპის დადგენა. ძვლის რენტგენოლოგიურმა ანალიზმა გვაჩვენა ძვლის სტრუქტურის ორი ტიპი: ერთი, რომელიც დამახასიათებელია ბარში მაცხოვრებელი ადამიანისათვის და მეორე, რომელიც მიუთითებს მოსახლეობის რეგიონალურ წარმომავლობაზე და დამახასიათებელია მთისა და მთისწინეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის. ძვლის ამგვარი სტრუქტურული ცვლილებები ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის პროცესის მაჩვენებელია. ასევე რენტგენოლოგიური ანალიზით ქვედა კიდურებზე გამოიკვეთა ე.წ. ოსტეოპენია, რაც, თავის მხრივ, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების ნიშანია. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები კი ენდემური დაავადებებია კავკასიის მთის და მთისწინეთის რეგიონის მოსახლეობისათვის.

ამრიგად, რენტგენოლოგიური ანალიზით გამოიკვეთა ქორატის სამაროვანზე ორი ტიპის მოსახლეობა, ერთი – ადგილობრივი, ხოლო მეორე – მთის ან მთისწინეთიდან ჩამოსახლებული, თუმცა ორივე, კრანიალური ტიპის მიხედვით, უდაოდ მიეკუთვნება კავკასიონის ტიპს. ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მოსახლეობის შიდა მიგრაციასთან. ამავე დროს ქორატის სამაროვანზე სხვა კრანიალური ტიპიც ჩანს, განსხვავებული ფიზიკური აღნაგობის და პოსტკრანიალური ნაწილის პროპორციებით, მაგრამ ეს ტიპი მაინც არ წარმოადგენს ამ სამაროვნისათვის დამახასიათებელ ანტროპოლოგიურ ტიპს და რენტგენოლოგიურმა ანალიზმა არ აჩვენა ის მარკერები, რომელზეც ჩვენ ზევით ვსაუბრობდით.

რაც შეეხება ორჭოსანის სამაროვანს, აქ განსხვავებული სურათი გვაქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ორი სამაროვანი ერთმანეთისაგან 5კმ-ით არის დაშორებული. ორჭოსანის სამაროვანი თარიღდება ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, დამთვრებული გვიან შუა საუკუნეებით [ბარამიძე, ჯიბლაძე 2004-2006: 2-3]. ბრინჯაოს ხანის პალეოანტროპოლოგიური მასალა არ გვაქვს, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების პალეოანტროპოლოგიური მასალიდან შევისწავლეთ 60 სამარხი. ამ შემთხვევაშიც გამოვიყენეთ რენტგენოლოგიური ანალიზი და ასევე ძვლის ქიმიური ანალიზი [Сорвачев 1962]. ანტიკური ხანის პალეოანტროპოლოგიურ მასალაში გამოიკვეთა კრანიალური და ფიზიკური ტიპის ორი კომპლექსი: 1. მეზოკრანიალური, პროპორციული აღნაგობის საშუალო სიმაღლის; 2. ბრაქიკრანიალური, მოკლე კიდურებითა და შედარებით გრძელი ტორსით, დაბალი, შედარებით განიერი სახით, გამოკვეთილი ყვრიმალეებით, დაბალი თავის ქალის ფუძით, გრაციალური პოსტკრანიალური ნაწილით. ორივე კომპლექსში აღმოჩენილ ძვლოვან მასალას გაუკეთდა, როგორც რენტგენოლოგიური, ასევე ქიმიური ანალიზი. პირველ კომპლექსში ძვლის სტრუქტურა მსგავსია ქორატის სამაროვნისა, ხოლო ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა ცხოველური და ნახშირწყლოვანი კვების რაციონისათვის დამახასიათებელი მიკროელემენტების სიჭარბე. საინტერესო შედეგი მივიღეთ მეორე კომპლექსის გაანალიზებით: რენტგენოლოგიური ანალიზით ჩანს ჩვეულებრივი ძვლის სტრუქტურა, არ არის ოსტეოპენიის კვალი. ძვლის ქიმიურმა ანალიზმა კი გამოავლინა კვების რაციონში როგორც ცხოველური კვების რაციონისათვის დამახასიათებელი მიკროელემენტების კომპლექსი, ასევე ზღვის მოლუსკებისა და ზღვის პროდუქტების შემადგენელი მიკროელემენტების კომპლექსიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეორე კომპლექსის ინდივიდები მიგრანტები არიან ზღვისპირა რეგიონიდან.

### ორჭოსანის სამაროვანი, II კომპლექსი, ძვლის ქიმიური ანალიზი.

ელემენტები	Ca	Cu	Zn	Pb	Cd	Ni	Sz
საშუალო მაჩვენებელი	72,5-47,2	0,9-8,3	89,5-120,2	0,1-1,3	65,1-85,3	0,4-8,5	37,1-67,2

ამ ჯგუფის განსხვავებული როგორც კრანიალური, ასევე ფიზიკური ტიპი, ძვლის რენტგენოლოგიური ანალიზი და ძვლის ქიმიური ანალიზის შედეგები, არ მიუთითებს შიდა მიგრაციულ პროცესზე. ვფიქრობთ, მეორე კომპლექსში შემავალი ინდივიდები მცირე აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ზღვისპირა რეგიონის მიგრანტებს მიეკუთვნებიან. ძვლის ქიმიური შემადგენლობა და ინდივიდის ანტროპოლოგიური ტიპი გამორიცხავს მათ შიდა მიგრაციას სამხრეთ-კავკასიის დასავლეთ შავიზღვისპირა რეგიონიდან, ვინაიდან ამ რეგიონის უძველესი მოსახლეობა სრულიად განსხვავებული კრანიალური და ფიზიკური ტიპისაა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქორატიისა და ორჭოსანის სამაროვნებზე გვხვდება დოლიქოკრანიალური ანტროპოლოგიური ტიპი, რომელიც დამახასიათებელია სამხრეთ-კავკასიის დასავლეთ რეგიონისათვის, მაგრამ ეს ტიპი არ არის წარმმართველი ამ სამაროვნებისათვის. რაც შეეხება ქიმიური ანალიზის შედეგებს, შავი ზღვის პლანქტონი თითქმის არ შეიცავს იმ ზღვის პროდუქტებს და მოლუსკების შემადგენელ მიკროელემენტების კომპლექსს, რომელიც გამოიკვეთა ორჭოსანის სამაროვნის მე-2 ჯგუფის პალეოანტროპოლოგიურ მასალაზე.

ცნობები ანატოლიის ტერიტორიაზე მიმდინარე ხალხთა მიგრაციისა, საბოლოო დამკვიდრებისა და, შესაბამისად, ამ მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბების შესახებ მოგვეპოვება ადრეული ბრინჯაოს ხანიდან. ეს მონაცემები ეყრდნობა, როგორც ცოცხალი პოპულაციის, ასევე პალეოანტროპოლოგიურ კვლევებს. ანატოლიის მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბების დინამიკა რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ჩვენ არ შევხვებით დანვრილებით ყველა ამ ეტაპს, მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ პერიოდს, როდესაც ანატოლიის ტერიტორიაზე ადრე ბრინჯაოს ხანაში განსხვავებული მოსახლეობის ნაკადი შემოდის. ეს პროცესი დაკავშირებული იყო კავკასიასთან ან მის უშუალო მომიჯნავე მხარეებთან. შემოსვლის პირველი ეტაპი ბალკანეთიდან შემოჭრილი მიგრანტებისგაჩენა. ამ ტომთა გამოჩენა დაკავშირებულია ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან მესაქონლე ტომების დასავლეთისაკენ გადაადგილებასთან. ამ ტომთა გარდა, ამავე პერიოდში უნდა შემოედინათ ყორღანული კულტურის მატარებელ ზოგიერთ სხვა ტომსაც [ქავთარაძე 2004: 53]. როდესაც ვსაუბრობთ მცირე აზიაში ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ტომთა მიგრაციაზე, უნდა მიმოვიხილოთ თვით ამ ნახევარკუნძულზე მიმდინარე ტომთა შიდა თუ გარე მიგრაციისა და მათი ამ ტერიტორიაზე განსახლების პროცესიც, რათა შეძლებისდაგვარად გავერკვიოთ ამ რეგიონსა და შემდგომ ამ რეგიონიდან მცირე აზიაში შეღწეულ ტომთა წარმომავლობის საკითხში.

ბალკანეთის ნახევარკუნძული უძველესი დროიდან სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებისა და ტომების განუწყვეტელი მიგრაციის არეალს წარმომადგენს. ეს პროცესი ყველა მიმართულებით მიმდინარეობდა, ხოლო ნახევარკუნძულის გეოგრაფიული მდებარეობა და ლანდშაფტი ხელს უწყობდა ამ ტომთა იზოლირებულად განსახლებას ნახევარკუნძულის სიღრმეში. ტომთა ამგვარი მიგრაციისა და ტერიტორიაზე დამკვიდრების პროცესი მსგავსია კავკასიის რეგიონში მიმდინარე ანატოლოგიური პროცესისა, მით უფრო, რომ კავკასია ის რეგიონია, რომელიც თავის გეოგრაფიული მდებარეობით ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს. კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესები და, შესაბამისად სხვადასხვა ტომთა მიგრაცია, აგრეთვე ამ ტერიტორიაზე დამკვიდრების პროცესის დინამიკა, ანატოლიაში მიმდინარე ანატოლოგიურ პროცესებთან პარალელების ძიების საშუალებას იძლევა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ხალხთა მიგრაციამ ხელი შეუწყო ანტროპოლოგიური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავებული პოპულაციების დამკვიდრებას და, დროთა განმავლობაში, მოხდა მიგრანტთა გარკვეული ნაწილის ასიმილაცია მანამდე აქ მაცხოვრებელ პოპულაციასთან.

ნახევარკუნძულის, როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთ ნაწილი, სხვადასხვა ტომთა მრავალფეროვნებით ხასიათდება. გვიანდელ პერიოდში ამ ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ სლავთა, რომაელთა და ბერძენთა შორის აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ თრაკიელების, გოთების, გეპიდებისა და ავართა უძველესი ტომებიც, რომლებიც ნახევარკუნძულის შიდა, შედარებით

ძნელად მისადგომ რაიონებში სახლობდნენ. ტომთა ამ მრავალფეროვან ნაზავს მოგვიანებით ემატებიან ფინური და თურანული ტომებიც [ქავთარაძე 2004: 64].

როგორც აღვნიშნეთ, ანატოლიაში მიგრანტების პირველი ნაკადი სწორედ ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან შეიჭრა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ თვით ამ ნახევარკუნძულზე მიმდინარე სხვადასხვა ტომთა მიგრაციისა და მათი წარმომავლობის საკითხს შევხებოდით, რათა შემდგომ უკეთესად გაგვეჩვენა მოსახლეობის რა სახის მიგრაცია მოხდა მცირე აზიის ტერიტორიაზე. მართალია, ჩვენ არ გვაქვს პალეოანტროპოლოგიური მონაცემები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უძველეს ხანაში მცხოვრებ და ამ ტერიტორიაზე შემოღწეულ ტომთა შესახებ, მაგრამ ჩანს, რომ ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ტომები სრულიად განსხვავებულები იყვნენ როგორც თავისი წარმომავლობის, ასევე ანტროპოლოგიური ტიპის მიხედვით. ასეთი მძლავრი მიგრაციული პროცესების რეგიონში უნდა მომხდარიყო სხვადასხვა გენოტიპის ნაწილობრივი ასიმილაცია, და გარკვეული პერიოდის შემდეგ, უკვე ტერიტორიის შიგნით შესაძლებელია წარმოქმნილიყო სრულიად განსხვავებული ანტროპოლოგიური ტიპის პოპულაცია. სხვადასხვა გენოტიპთა აღრევის ალბათობა მით უფრო მაღალია იმ რეგიონებში, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მიგრაციული პროცესები. ბალკანეთის ნახევარკუნძულის შიდა, შედარებით ძნელად მისადგომ რაიონებშიც მოხდა იმ ტომების შეღწევა, რომლებიც შემოვიდნენ ამ ტერიტორიაზე. ისინი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ იზოლირებულად. ამ შემთხვევაში იზოლირებულ პოპულაციის შიგნითაც მიმდინარეობდა ასიმილაციის პროცესი. დროთა განმავლობაში ამ იზოლაციაში მცხოვრებ ტომებშიც უნდა წარმოშობილიყო ასევე განსხვავებული ანტროპოლოგიური ტიპის პოპულაცია.

არსებობს მოსაზრება, რომ მცირე აზიაში ორი განსხვავებული ანტროპოლოგიური ტიპი სახლობდა – წინა ინდოევროპული და უფრო გვიანდელი ხანის, ინდოევროპული წარმომავლობის მოსახლეობა [ქავთარაძე 2004: 53]. ეს მოსაზრება ემყარება ანატოლიის მოსახლეობის როგორც სეროლოგიური ანალიზების მონაცემებს, ასევე უძველესი სამაროვნების ანტროპოლოგიური მასალების ანალიზს. ჩვენთვის საინტერესოა ამ რეგიონის, როგორც მკვიდრი მოსახლეობის, ასევე უფრო გვიანდელ ხანაში ამ ტერიტორიაზე შემოსულ მიგრანტთა, როგორც წარმომავლობის, ასევე ამ უძველესი მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპი. ეს რეგიონი უშუალოდ ესაზღვრება სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონს, სამცხე-ჯავახეთს, ჩვენს შემთხვევაში – სამცხეს, რომლის პალეოანტროპოლოგიური მასალის ანალიზმა გვაფიქრებინა, რომ ანატოლიაში მიმდინარე, მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპების ჩამოყალიბების დინამიკა გარკვეულწილად დაკავშირებულია მის მოსაზღვრე რეგიონებში მიმდინარე ანატოლოგიურ პროცესთან.

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბების დინამიკა კარგად ჩანს სეროლოგიური ანალიზების მონაცემებში. ეს მონაცემები გვაქვს როგორც ევროპის, ასევე სამხრეთ კავკასიიდან. თითქმის მთელ ევროპაში ჩანს წინა ინდოევროპული სამყაროს მემკვიდრეობა, მაგალითად RH<sup>+</sup> ფაქტორის სისხლის ჯგუფის გავრცელება. RH<sup>+</sup> ნეგატიური ფაქტორი მაღალია ჩრდილო დასავლეთ ევროპაში, ცენტრალურ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მახლობელ აღმოსავლეთში. განსაკუთრებით ეს ფაქტორი მაღალია სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში, რომელშიც ექცევა სამცხის რეგიონიც.

რაც შეეხება ABO სისხლის ჯგუფების მონაცემებს, ამ შემთხვევაშიც პირინეების ნახევარკუნძული და სამხრეთ კავკასია ავლენენ O გენის მაღალ სიხშირეს, ვინაიდან RH<sup>+</sup> უარყოფითი ფაქტორი სისხლის O გენი უკავშირდება წინარე ინდოევროპულ მოსახლეობას. მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ აღნიშნულ რეგიონებში (ევროპა, სამხრეთკავკასიის დასავლეთი ნაწილი) წინარე ინდოევროპული გენეტიკის მქონე მოსახლეობაა შემორჩენილი. მიღებული მონაცემები მიგვანიშნებს ამ ანტროპოლოგიური ტიპის გეოგრაფიულ გავრცელებაზეც. სეროლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, ვფიქრობთ შეიძლება დაუკავშიროთ ABO სისტემის O გენი წინარე ინდოევროპულ მოსახლეობას სამხრეთ კავკასიის ჩათვლით; განსაკუთრებით კი მისი დასავლეთი ნაწილი, რომელშიც მოქცეულია ჩვენთვის საინტერესო რეგიონი სამცხე. A გენის გავრცე-

ლება მიუთითებს უკვე ინდოევროპული მოსახლეობის გავრცელებაზე, ხოლო B გენი ურალურ-ალათაურ ტომებზე, ვინაიდან ეთნიკურ ცვლილებათა საწყის მამოძრავებელ არეალად ითვლება ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპები, საიდანაც როგორც აღვნიშნავდით, ადრე ბრინჯაოს ხანაში მცირე აზიისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოხვდა სრულიად განსხვავებული ტომების შეღწევა. RH<sup>+</sup> ფაქტორისა და ABO სისტემების ნაირგვარობა კარგად ასახავს ამ გენეტიკური კომპლექსის მატარებელ ტომთა მიგრაციის გზებს. ვფიქრობთ, ამ პერიოდიდან მიგრაციულ პროცესებში ანატოლიის მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილიც იყო ჩართული [Mourant 1954].

ანტროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებისა და ცვალებადობის პროცესი არ არის დინამიური და უწყვეტი, ის მიმდინარეობს ბიძგებით და, თავისთავად, მრავალეტაპობრივია. ამ პროცესის ანარეკლს კი წარმოადგენს მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპების ეპოქალური ცვალებადობა.

ისტორიული პროცესებისა და მატერიალური კულტურის ცვლილებები გულისხმობს მათი მატარებელი ხალხების მონაწილეობას ამ პროცესებში, რომელთა მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის მოსახლეობაზე და ხშირ შემთხვევაში სერიოზული ისტორიული პროცესების ჩამოყალიბებისა თუ რღვევის მიზეზად გვევლინება. ჩვენთვის საინტერესოა ამ პროცესებში მონაწილე ხალხების წარმომავლობა, ანტროპოლოგიური ტიპი, მათი მიგრაციის მიმართულება და მიგრანტთა აბორიგენულ მოსახლეობასთან ასიმილაცია. სხვადასხვა გენოფონდის მატარებელი პოპულაციების ასიმილაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა პოპულაციის შიგნით, თუ მთლიანად ამ რეგიონში მცხოვრები ხალხთა ანტროპოლოგიური ტიპის ნაირგვარობის. ანტროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბების გენეტიკური ასპექტი წარმმართველ პროცესად გვევლინება სწორედ იმ რეგიონებში, სადაც ათასწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა ხალხთა მიგრაცია.

რამდენად ეთანხმება ანატოლიის მოსახლეობის სეროლოგიური ანალიზების მონაცემები უძველეს სამარხებში აღმოჩენილ უძველესი მოსახლეობის ანტროპოლოგიურ ტიპებს? ამ მხრივ საინტერესოა ალაჯა-ჰუიუკის „სამეფო აკლდამების“ კულტურის მოსახლეობის წარმომავლობის მაჩვენებელი [ქავთარაძე 2004: 72]. „სამეფო აკლდამის“ სამარხებში ორი კრანიალური ტიპია მიკვლეული – დოლიქოკრანიალური და ბრაქიკრანიალური; დოლიქოკრანიალური ტიპი მიჩნეულია ცენტრალური ანატოლიის მკვიდრ მოსახლეობად. აღსანიშნავია, რომ ადრებრინჯაოს ხანის გვიანდელ პერიოდში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია მიჩნეულია „შედარებითი ბრაქიკრანიის“ ცენტრად.

მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ანტროპოლოგიის კვლევასთან დაკავშირებით დიდძალი ფაქტობრივი მასალაა შეგროვებული; ამ საკითხების კვლევა ძირადად ეძღვნება ორი ანტროპოლოგიური ტიპის არსებობას და ამ ტერიტორიაზე თურანული ტომების გაჩენის პერიოდის შესწავლას. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი თეორია არსებობს, რომელთა განხილვა ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის. შევეხებით მხოლოდ ორ მოსაზრებას, რომელიც, ჩვენის აზრით, ადასტურებს ამ ტერიტორიაზე ორი ანტროპოლოგიური ტიპის არსებობას, რომელთაგან ერთი ტიპი, როგორც ჩანს, წარმოადგენს ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას, ხოლო მეორე დაკავშირებულია გვიანდელი მიგრანტების გამოჩენასთან. ამ გვიანდელ მიგრანტებს თურქი მეცნიერები მოიხსენიებენ როგორც „თეთრკანიან ბრაქიციფალებს“ და აკუთვნებენ ხმელთაშუაზღვის რასას [Şenyürek 1956: 155].

როგორც აღვნიშნეთ, მცირე აზია – ანატოლიის უძველესი მოსახლეობის ანტროპოლოგიური კვლევა დიდძალ ფაქტობრივ მასალის შესწავლას ეფუძნება. შესწავლილია ტორიას, ბაბკეის, კუსურის (დასავლეთ ანატოლია), ახლათლიბელის, ალაჯა-ჰუიუკის, ალიშარის (ცენტრალური ანატოლია), დიუნდარ-თეფეს (ჩრდილო ანატოლია), ასლან-თეფეს (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია), ტილკით-თეფეს (ვანის ტბის მიდამოები) სამაროვანთა პალეოანტროპოლოგიურ მასალა. ამ სამაროვნების ხალკოლითისა და სპილენძის ხანის პალეოანტროპოლოგიური მასალიდან

ჩანს, რომ განსახილავი პერიოდისათვის ანატოლიის მოსახლეობის უმრავლესობა დოლიქოკრანიალური ტიპისაა, ხოლო უმცირესობა – ბრაქიკრანიალური ტიპისა.

ამ უკანასკნელის გამოჩენა ამ ტერიტორიაზე უფრო გვიანდელ ხანას უკავშირდება, კერძოდ კი, ხეთური ტომების გამოჩენის პერიოდს. თუ დავაკავშირებთ სეროლოგიური ანალიზის მონაცემებს და სამაროვნების პალეოანტროპოლოგიური მასალის კვლევის შედეგებს, დავინახავთ მათ შორის კავშირს, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელია და ადასტურებს, რომ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობა ორი ან სამი ანტროპოლოგიური ტიპით იყო წარმოდგენილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ტერიტორიაზე უფრო გვიანდელი პერიოდის ჩამოსახლებულ ტომებამდე აქ უძველესი დროიდან სახლობდნენ სხვა ტომებიც, რომელთა ნაწილის ასიმილაცია მოხდა გვიანდელ პერიოდში ჩამოსახლებულ ტომებთან, მაშინ ამ ასიმილაციის შედეგად უკვე საქმე გვაქვს სხვადასხვა გენოტიპის მატარებელ პოპულაციათა კავშირზე, რაც დროთა განმავლობაში აისახებოდა ამ პოპულაციათა ანტროპოლოგიურ-მორფოლოგიურ ნიშნებზე. ამრიგად ჩამოსახლებულ ტომთა უკვე ჩამოყალიბებულ ანტროპოლოგიურ ტიპთა გარდა ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით უკვე ტერიტორიის შიგნით მიმდინარე ასიმილაციური პროცესის შედეგად უნდა წარმოქმნილიყო კიდევ ერთი განსხვავებული ანტროპოლოგიური ტიპის მოსახლეობა.

ამრიგად, ამ ტერიტორიის პალეოანტროპოლოგიური კვლევის მონაცემები, სეროლოგიური ანალიზების შედეგები და ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მიმდინარე ტომთა მიგრაციული პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ადასტურებს ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მაცხოვრებელი მოსახლეობის ანტროპოლოგიურ პოლიმორფიზმს.

ანატოლიის უძველესი მოსახლეობის პალეოანტროპოლოგიური კვლევა განსაკუთრებით საყურადღებოა ამ რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნების ანთროპო- თუ ეთნოგენეზის საკითხების გააზრებისათვის.

მცირე აზიასა და კავკასიას შორის უძველესი დროიდან არსებული კავშირების და ტომთა მიგრაციის პროცესის კვლევისას არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ კავკასიის რეგიონით და შეძლებისადაგვარად გამოვიკვლიოთ ამ ორ მოსაზღვრე რეგიონში მიმდინარე მოსახლეობის ანტროპოლოგიური ტიპის ჩამოყალიბებისა და ცვალებადობის პროცესის ურთიერთგავლენისა და განსხვავების დინამიკა.

ამრიგად, ჩატარებული ლიტერატურული კვლევები რენტგენოლოგიური და ქიმიური ანალიზების შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სამცხის ორი სამაროვნის – ჭორატისა და ორჭოსანის პალეოანტროპოლოგიური მასალის ანალიზმა (გვიან ბრინჯაო-გვიან შუა საუკუნეების) გვაჩვენა მოსახლეობის სამი ტიპი:

1. ადგილობრივი – კავკასიონის ტიპი, დოლიქოკრანიალური, რომელიც შიდა მიგრაციის შედეგად დამკვიდრდა ამ რეგიონში.

2. მიგრანტები – დასტურდება მათი კვების რაციონის ანალიზით, რომელმაც გამოავლინა ზღვის პროდუქტებისათვის დამახასიათებელი მიკროელემენტების კომლექსების არსებობა. ეს ტიპი წარმოდგენილია ბრაქიკრანიალური ანტროპოლოგიური ტიპით. ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვრიცხავთ ამ ანტროპოლოგიური ტიპის გამოჩენას ჩრდილო შავი ზღვისპირა რეგიონიდან, ვინაიდან შავი ზღვის პლანქტონი, თავისი შემადგენლობით, საკმაოდ ღარიბია ამ მიკროელემენტებით და შესაბამისად, ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობის საკვების შემადგენლობა ვერ იქნებოდა გაჯერებული ზღვის პროდუქტებისა და მოლუსკებისათვის დამახასიათებელი მიკროელემენტების ისეთი მაღალი შემადგენლობით, როგორც ეს აჩვენა ანალიზებმა. ვფიქრობთ, რომ ამ ჯგუფის ანტროპოლოგიური ტიპი წარმოადგენს მცირე აზიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ზღვისპირა რეგიონებიდან შემოსულ მიგრანტებს. ამ ჯგუფის ძვლის ქიმიურმა ანალიზმა უჩვეულოდ მაღალი მინერალიზაციის ხარისხი გვაჩვენა, რაც მიუთითებს ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლიზმის გარკვეულ დისბალანსზე, ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება გამოწვეული იყოს ნივთიერებათა ცვლის დარღვევით და ასევე წარმოადგენს იმ სტრესის მარკერს, რომელსაც ინ-

ვევს გარემოს შეცვლა. სწორედ ასეთივე სტრესის მარკერს წარმოადგენს ამ ჯგუფის ახალგაზრდა ინდივიდების თავის ქალაზე ნაადრევი ობლიტერაციის არსებობა.

3. მეზოკრანიალური ტიპი. ეს ანტროპოლოგიური ტიპი შედარებით მცირეა და წარმოიქმნა ორი განსხვავებული – დოლიქო- და ბრაქიკრანიალური გენოტიპის ასიმილაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ამ ტიპის მოსახლეობის წარმოქმნაში წარმმართველია გენეტიკური ასპექტი. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში აზია-ანატოლიაში პირველად ჩნდება ე.წ. „თეთრკანიანი ბრაქიციფალები“. ვფიქრობთ, გვიანდელ პერიოდში, სწორედ ამ „თეთრკანიანი ბრაქიციფალების“ კვალს ვხვდებით სამცხის ტერიტორიაზე.

მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ანატოლიის ტერიტორიაზეც. ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უძველესი ხანიდან ჩართულია ტომთა მიგრაციისა და ეთნიკური ცვალებადობის პროცესში.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ბრაქიკრანიალური ტიპის გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში გაცილებით ადრე მოხდა, ვიდრე ეს აქამდე იყო მიჩნეული.

ვფიქრობთ ამ ტიპის გამოჩენა ორი სხვადასხვა მიმართულებიდან მოხდა. კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში ბრაქიკრანიალური ტიპის გამოჩენა დაკავშირებულია მცირე აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონებთან, ხოლო სამხრეთ-კავკასიის აღმოსავლეთ და შიდა რაიონებში, უძველესი მოსახლეობის პალეოანტროპოლოგიური მასალის შედარებითი ანალიზი მოსაზღვრე რეგიონების ანატოლიურ მასალასთან, გვაფიქრებინებს, რომ ბრაქიკრანიალური ტიპის გამოჩენა მოხდა კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილიდან, რომელიც უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანის გვიანდელი პერიოდიდან ითვლება ე.წ. „შედარებითი ბრაქიკრანიის ცენტრად“ [Дебец 1948].

ლიტერატურა:

- ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ. 2004-2006:** ახალციხის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (ხელნაწერი). თბილისი.
- მელიქიშვილი გ. 1965:** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი.
- საბაშვილი მ. 1972:** საქართველოს ნიადაგები. ნიადაგის გეოქიმია. თბილისი.
- ქავთარაძე გ. 2004:** კავკასიისა და ანატოლიის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI. თბილისი.
- Дебец Г.Ф. 1948:** Палеоантропология СССР, т. IV. Москва-Ленинград.
- Сорвачев К. Ф. 1962:** Биологическая химия. Москва.
- Mourant A.E. 1954:** The Distribution of the Human Blood Groups. Oxford.
- Şenyürek M. 1956:** A note on the Anthropology of the Ancient Inhabitants of Anatolia. In S. Lloyd, Early Anatolia: the archaeology of Asia Minor before the Greeks. Harmondsworth.

## ON THE CHANGES OF ANTHROPOLOGICAL TYPES OF THE ANCIENT POPULATIONS OF THE SOUTH-WEST CAUCASUS AND ASIA MINOR IN THE LIGHT OF EVIDENCE FROM BURIALS AT CHORATI AND ORCHOSANI

The Caucasian and Anatolian regions, the eastern and southern parts of the lands around the Black Sea are a bridge connecting the Near East and Europe. The Caucasus and Anatolia have much in common in terms of topographic, climatic and regional peculiarities; the separate location of geographic and landscape zones created favourable conditions for the formation of completely different anthropological types of the population as well as for their coexistence.

In order to demonstrate the process and dynamics of formation of the ancient population of the Caucasus and Anatolia, we chose for comparative analysis Samtskhe, the south-western part of South Caucasia, which immediately borders Anatolia, while being itself a crossroads connecting the inland and the Black Sea coastal regions of South Caucasia and linking Anatolia with South Caucasia.

The south-western part of South Caucasia, the Samtskhe-Javakheti region, has long attracted scholarly attention. Its geographical position means that it borders Anatolia and via the road system connects East Georgia with Asia Minor. The road divides into two, one way is connected to Turkey and runs through Orchosani (on the present-day border with Turkey), and the other goes to Adjara through the Goderdzi pass and is connected to Sarpi. This is the road that links Anatolia with North Caucasia. It runs through the Rioni Valley and thus reaches the arterial road linking Iberia and Colchis, whence one road runs via the Rioni Valley through Racha and on to North Caucasia. It is the presence of these connecting roads that makes this region especially significant. The Samtskhe-Javakheti region has witnessed many important developments since antiquity. Evidence comes from several important sites, beginning with the Lower Palaeolithic to settlements and cemeteries of the late Medieval period (Baramidze, Jibladze 2004-2006, 3).

Judging by the archaeological data, Samtskhe was an advanced region from the third millennium BC with well developed architecture, pottery and metallurgy. The Classical period saw the development of crop cultivation and agriculture.

The earliest information about the community living here emerges in the historical sources from the second millennium BC. The tribes are mentioned as *Moskhs*, who already had a state stretching from the north-east part of Asia Minor to modern Meskheti. In the first half of the 7<sup>th</sup> century BC "the kingdom of *Mushks*" was destroyed by Cimmerians and Urartians and thenceforward the tribes of *Mushks* were associated with Kartli, called *Iberia* (Melikishvili 1965). These circumstances led to our interest in the dynamics of the formation of the ancient population in these two border regions as well as in the alternation of the anthropological type of this population.

Archaeological excavations carried out in association with the construction of the BTC pipeline allowed us to investigate palaeoanthropological material from two cemeteries, namely those of Chorati and Orchosani. Both are located in Samtskhe-Javakheti region.

These burials contain a variety of anthropological material. Almost all periods from the Early Bronze Age to the Late Medieval period are represented here. The Chorati cemetery is situated on a high plain in the valley



of the River Potskhovi, 1.5 km south-west of Vale. The Orchosani cemetery is situated 5 km from Vale on the present-day Turkish border.

Both the cranial and postcranial elements of the anthropological material from the two cemeteries were studied. The cemeteries are 5 km apart. Nevertheless, a distinction between cranial and postcranial material was observed. The Chorati cemetery is dated to the Early Roman period, while the Orchosani cemetery dates to between the Bronze Age and the Medieval period inclusive (Baramidze 2004-2005, 2).

There are no significant differences regarding the cranial type among 40 burials studied at the Chorati cemetery. In terms of morphological features individuals in the Chorati cemetery are characterized by features typical of the Caucasian type: long face, high nasal bridge, prognathic facial profile, and medium facial width. With a few mesocranial exceptions, the dolichocranic type predominated in the Chorati cemetery. As for the physical type, most individuals fitted the Caucasian diagnostic criteria: a well-developed muscular system, massive postcranial bones, medium height or taller. This applies to both genders. Whatever their age, every individual suffered from bone system diseases during their lifetimes. There were both spinal and joint deformations, but at the same time there was not a single case of bone curvature, which points to high osteal mineralization. This is conformed by the good condition of tooth enamel, although the colour of the latter indicates fluorine deficiency, resulting from the lack of this element in water and food. As for the damage to the bone system, it must have been caused by excessive consumption of certain types of animal and vegetable food. Such a diet resulted in the accumulation of salts and urea that exist in some kinds of vegetables and that are difficult to expel from the organism; they are deposited on joint surfaces and cause further damage.

#### Chemical analysis and soil humidity of burial and control soil:

Samples	SiO <sub>2</sub> %	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> %	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> %	Ca 0%	Na <sub>2</sub> O%	K <sub>2</sub> O%	4000
1	56.2	13.1	2.92	4.6	3.2	2.1	9.20%
2	50.35	12.9	2.3	3.67	4.3	3.3	10.10%
3	61.0	13.25	3.75	4.21	2.85	3.72	9.90%

The analysis of burial soil showed that the climate was temperately warm and humid in the Early Roman period (Sabashvili 1972), confirmed by the palynological research of Eliso Kvavadze. However, the degree of humidity of the soil was not so high as to cause the leaching away of mineral substances from the skeletons. It can therefore be stated that the high osteal mineralization diagnostic of the individuals concerned while they were alive, was caused by exposure to the sun in warm climatic conditions. By the same token, their bodies were synthesizing vitamin D, while calcium was wholly absorbed from food.

We were also interested in assessing the regional type of the population. Radiological osteal analysis showed two types of bone structure: one diagnostic of plain-dwellers, and the other pointing to a regional provenance of the population, typical of hill- or mountain-dwellers. Such osteal structural changes indicate man's adaptation to the environment. The same radiological analysis indicated osteopaenia of the lower extremities, in its turn a sign of thyroid disease. Diseases of the thyroid glands are endemic among populations living in the mountains and foothills of the Caucasus.

